

ლუარა სორდია

ტერენტი გრანელის ბედისწერა



გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2011

ნაშრომში, სათანადო წყაროების გათვალისწინებით, არის ცდა ტერენტი გრანელის პიროვნული და პოეტური პორტრეტის უმთავრესი შტრიხების ჩვენებისა.

შესწავლილია პოეტის ესთეტიკის ზოგიერთი საკითხი, რელიგიური სიმბოლიკა, შემოქმედების რამდენიმე მთავარი პრობლემა.

“მემენტო მორის” ავტორი ნარმოჩენილია, როგორც ადამიანურ შესაძლებლობებზე ამაღლებული, მსოფლიო მასშტაბებს ზიარებული, ანტიციპაციის უნარით მომადლებული გამორჩეული პოეტი.

ნაშრომი განცუთვნილია ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტების, ასევე, ტერენტი გრანელის შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

**რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ტიტე მოსია**

**რეცენზენტები: ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
ნანა კუცია
ფილოლოგიის დოქტორი მარინე ტურავა**

© ლ. სორია, 2011

გამოცემლობა „ანალისი“, 2011

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-489-6

სარჩევი

შესავალი..... 5

თავი I

ტერენტი გრანელის პიროვნული თავისებურებები	
ფსევდონიმ “გრანელის” გამო	15
ტერენტი გრანელის პორტრეტი	21
ცოცხალი ლეგენდა	26
სილატაკე — პატარა ჯვარცმა	32
ნისლებმოსილი (ტერენტი გრანელის ერთი თავისებურების შესახებ)	37
გაბედული, პირდაპირი	45
აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლი	51
შერისხული	58
სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას	68
ტერენტი გრანელის პატარა მტრები	69

ტერენტი გრანელის მეგობრები

სულთა სიახლოვე. გალაქტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი	81
დაფასება, ალიარება	93
ტერენტი გრანელი და კოტე მარჯანიშვილი	99
ტერენტი გრანელი და მხატვრები	100
„და საქართველო ასე მაღმერთებს“	102
ტერენტი გრანელი და შალვა დადიანი	114
ტერენტი გრანელი და სერგეი ესენინი	116
ტერენტი გრანელი და ვლადიმერ მაიაკოვსკი	118
პოეტის სახელს ბრძო არ ითმენდა	119
მე ვადიდებდი ქუჩას, ხეტიალს	124
“რა ძვირფასია თავისუფლება”	127
“უცნობი სფინქსი”	128
ახლა სიგიჟე გრძნობის ბრალია	135

თავი II

ესთეტიკის ზოგიერთი საკითხი

“ვოეტი არის ყოველთვის ერთი”	146
ბიბლიური სიმბოლიზმის გზა	161
სიჩუმის ყვავილები	166
პოეზია — სულინმიდის მადლი	175
ლოცვა-ვედრება, გალობა ახალი	183

თავი III	
ტერენტი გრანელის ლირიკის რამდენიმე პრობლემა	
ბიბლიური პარადიგმები ტერენტი გრანელის პოეზიაში	186
ძველი აღთქმის სახეები	188
სიცოცხლის შუქის ძიება.....	199
მარიამ ლვთისმშობელი — პოეტის “ცისფერი და”	209
ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიების ასახვა	215
თავი IV	
პოეზია პლანეტების.....	222
თავი V	
ანტიციპაციით მომადლებული ტერენტი გრანელი.	
წინასწარმეტყველური ხილვები	230
ნათელსმენის ფენომენი	236
სიკვდილის აჩრდილების გამოცხადება	238
აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების შეცნობა	241
ღმერთისკენ მიბრუნების და საქართველოს	
დამოუკიდებლობის წინასწარმეტყველება	248
საკუთარი მომავლის განჭვრეტა	250

შესავალი

მეოცე საუკუნე ლირებულებათა ტოტალური გადაფასებით გამოირჩა. მრავალი შემოქმედის სახელი ჩაიძირა დავიწყების უფსკრულში. გაღმა ნაპირამდე ვერ გააღწიეს ორდენისანმა, ხუთნლედების პრემიებით წახალისებულმა, მთავრობის მიერ ხელდასხმულმა კალმოსნებმა. სულინმიდის მადლით ცხებული სიტყვის ოსტატები კი, რომლებიც თავის დროზე დევნილი, ტერორიზებული და რეპრესირებული იყვნენ, ნათლის სვეტივით გაბრწყინდნენ და სულის სასწაულებით გაგვაოცეს. ცოტანი არიან ასეთები, მსხვერპლის ფასად რომ გადაარჩინეს უმაღლესი იდეალები. ერთ-ერთი ასეთი უპირველესი ლირიკოსის შარავანდედით მოსილი პოეტია ტერენტი გრანელი. იგი ბოლომდე დარჩა მოუსყიდველი, მოუთვინიერებელი, თვაისუფლების ჰარიოთ ცადანეული.

გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წელი გაუცხოების ნისლი ებურა ტერენტი გრანელს, მის შემოქმედებას საგანგებოდ უგულვებელყოფნენ და მკითხველს უმაღლავდნენ მედროვეები, პრიმიტივები, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ მისი სიდიადის დაფარვის მოსურნები.

დღეს ტერენტი გრანელის გამორჩეული პოეტური აზრი მეუფებს ყველგან, აზრთან კი, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, არტილერიაც უძლურია.

მკითხველმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ხელახლა აღმოაჩინა მისი პოეტური პლანეტა, უფრო დიდი ძალით ინამა ეს “პოეტი ბავშვი” და ლამის ჩვენი დროის სახარებად შერაცხა მისი განუმეორებელი პოეტური კრებულები.

სიტყვის ჯადოქართა ქვეყანაში, პოეტების მეფე გალაკტიონის გვერდით, ცხოვრობდა ცრუ პოეტების ლეგიონებისაგან გამორჩეული, ზეგარდმო მადლით ცხებული ლირიკოსი და ისეთსავე ფურიორს ახდენდა მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ქართულ სინამდვილეში, როგორც არტურ რემბო თავის თანამედროვე საფრანგეთში.

ტერენტი გრანელის შემოქმედება დასავლურ-აღმოსავლური ტენდენციების სინთეზირების ნიმუშია. მან უკვე ჩამოარიტეობის გამოცდა და ერის მუდმივ მეგზურად იქცა.

ცხოვრებაში “მემწიტო მორის” ავტორი იობივით მრავალტანჯული და იობივით ღმერთის რჩეული იყო, თითქოს საგანგებოდ უვლენდა ღმერთი ყოველნაირ განსაცდელს, რათა წამების ცეცხლში ნაწრთობს, ბოლომდე გამოევლინებინა თავისი განსაკუთრებული შესაძლებლობები, უფსკრულიდან მიეკვლია მარადიული შუქისთვის.

მიწიერი, წარმავალი ბედნიერებისაგან განზე დარჩინილი, მაინც დიადად განიცდებოდა, ერის ნერვებს ათრთოლებდა პოეზიითაც

და ცხოვრების წესითაც. მეშჩანობის ჭაობს, ბრძოს ცდუნებებს ბოლომდე განრიდებულ ტერენტი გრანელს დავით წინასწარმეტყველივით შეეძლო ეთქვა: “შევიძულე კრებული უკეთურთა, ბოროტთა გვერდით არ დავჯდები” (ფს. 25,5).

ბევრი დაინტერა პოეტის ცხოვრებაზეც და შემოქმედებაზეც, მაგრამ საბოლოოდ ისიც კი არაა დადგენილი, კვირკველია იყო იგი (ელ. უბილავა), კვირკვაა (ლ. ალიმონაკი) თუ კვირკვაა (ირ. ხარჩილავა).

დაბადების თარიღებად ასახელებენ 1897, 1898 და 1901 წლებს.

პოეტის ადგილის დედაა ნალენჯიხა, იმდროინდელი ზუგდიდის მაზრა. ტერენტის სახელმა ისე განადიდა ეს პროვინციული დაბა, როგორც ილიამ — ყვარელი, აკაკიმ — სხვიტორი, კ. გამსახურდიამ — აბაშა, გალაკტიონმა — ჭყვიში.

ტერენტის მამა ლარიბი გლეხი იყო, ჯერ სოფლის მეურნე, შემდეგ — მეუნაგირე. დედით ობოლი პოეტის ცხოვრებას სამუდამოდ დაუკავშირდა სათხო დედინაცვლის — დარია მებონიასა და უნაზესი დების — მაშოსა და ზოზიას სახელები.

სკოლაში “მონაფეთა მეფედ” იცნობდნენ. მამის დაინვალიდების და სახლის დაწვის შემდეგ იძულებული იყო ხარაზის მოსაწყენ საქმიანობას მოჰკიდებოდა. ბედი დასციონდა უფრო მეტად, ვიდრე ნიკოლოზ ბარათაშვილს.

სილარიბე ჯვარცმად ექცა. მოგვიანებით, უკვე ცნობილმა, ზამთარ-ზაფხულ თხელი ხალათით მოარულმა, შალვა დადიანის შენიშვნას, ჩაიცვით ყმანვილო, ჩაიცვითო, ასეთი ლექსით უპასუხა: “ბატონი შალვა, არათუ კაცმა, ბავშვმაც კი იცის ჭამა და ჩაცმა, შენ სილატაკეს არ იცნობ, ალბათ, რომელიც არის პატარა ჯვარცმა”.

მატერიალურმა სიდუხჭირემ ვერ ჩაკლა მისი ამაყი, თავისუფლებისმოყვარე სული, დიდი ნიჭი. თავიდანვე მიიქცია ყურადღება შეურიგებელი ბუნებით, ეროვნული სულისკვეთებით სავსე წერილებით, ლექსებით.

1918 წლიდან თბილისშია. უსახსრობის გამო სტუდენტი ვერ გახდა, მაგრამ თავისუფალი მსმენელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მისი ბიოგრაფიის სასახელო ფურცელია ბრძოლა თურქი ასკერების წინასალმდევ აჭარაში 1918 წელს.

საარსებო წყაროს ძიებამ ხან რკინიგზის მუშად აქცია, ხან ტრამვაის კონდუქტორად, ხან გაზეთ “ახალი სოფლის” რედაქციის შიკრიკად, მაგრამ სამსახურს ვერ შეეგუა მისი უკიდეგანო სული.

“პოეზიაში უდიდესი და ცხოვრებაში გზადაბნეული” პოეტი ახერხებდა ლიტერატურული თბილისის დაელექტრონებას, მკითხველთა და მსმენელთა მონუსხვას.

ტერენტის პოეტური დიდება განაპირობეს კრებულებმა: “სამ-გლოვიარო ხაზები” (1921), “სული და საფლავები” (1922), “პანაშვიდები” (1920 წ.), “მემენტო მორი” (1924 წ.), ასევე 1926 წელს გამოვიდა “ახალი რჩეული”.

მის ლექსებს აღტაცებული წერილები უძლვნეს ვ. გაფრინდაშვილმა, პ. ორბელიანმა, კ. გამსახურდიამ.

ტერენტი გრანელის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ კ. კაპანელი, შ. ნუცუბიძე, შ. დადიანი.

1924 წელს ტერენტისადმი მიძღვნილი სპეციალური გაზეთი გამოვიდა. პოეტის შემოქმედებას მიესალმებოდნენ ვ. ბარნოვი, პ. ირეთელი, დ. ახვლედიანი, ი. გომართელი, ვ. რუხაძე, გ. ნადირაძე, დ. კობიძე, კ. კაპანელი.

ტერენტის შემოქმედებას თვალყურს ადევნებდა ლავრენტი ბერია.

“უცნობი სფინქსის” “მინანქრის სტრიქონებით” მოიხიბლა კ. გამსახურდია, ხოლო თვითშეცნობილმა პოეტურმა გენიამ — გალაკტიონმა, რომელსაც მეორე სახელი არ სწამდა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, აღტაცება ვერ დაფარა წალენჯიხიდან მოვლენილი მგოსნის “საამო ქართულით” და “მემენტო მორის” ავტორს “ხალასი გენია და ნიჭი, ბუნებით პოეტი”, “ჭეშმარიტი პოეტი” უწოდა.

ტ. გრანელმა 1919 წელს გამოსცა სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი “ია” და უურნალი “კრონისის სარკე”.

1917-1919 წ. “წალენჯიხელის” ფსევდონიმით აქვეყნებდა პუბლიცისტურ სტატიებს “სახალხო საქმეში”, “ახალ ნაკადში”, “ტრიბუნაში”.

1919 წელს პოეტმა სამუდამო ფსევდონიმად აირჩია “გრანელი”.

1928 წელს მის ბიოგრაფიაში შავი ფურცელი ჩაიწერა.

1931-1934 წწ. თბილისისა და სურამის საავადმყოფოებში გაატარა. დღეს ირკვევა, რომ მის მიმართ გატარდა “ფსიქიატრიული რეპრესიები”.

გარდაიცვალა 1934 წ. 10 ოქტომბერს თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში. პოეტის ნეტტი ყოველგვარი ნეკროლოგების, გამოსალმებისა და სამგლოვიარო პროცესის გარეშე მიაბარეს პეტრეპავლეს სასაფლაოს მიწას, სადაც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედონი განისვენებდნენ.

1987 წლის 20 დეკემბერს, ასევე უხმაუროდ გადაასვენეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ეს ისე ჩუმად, შეგნებულად შენილბული მეთოდებით მოხდა, რომ ოჯახის ნევრებმა მისთვის საფლავში ადგილის დედიდან ჩამოტანილი მიწის ჩატანებაც ვერ მოახერხეს.

აღსანიშნავია, რომ პოეტმა თვით იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების დრო, თვითვე წარმოიდგინა თავისი ჩუმი და უცრემ-

ლო პროცესია, გულჩათხობილი, სევდიანი და სინდისაწრიალებული რომ მიაცილებდა ნაადრევად დალუპული უნიჭიერესი პოეტის ცხე-დარს. მაშინ ტერენტი 36 წლის იყო.

ახდა პოეტის წინასწარმეტყველება ნაადრევ დალუპვაზე, უცე-რემონიო დასაფლავებაზე, მომავალ დიდებაზე.

“არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა”, “მესამე გზა”, წერდა პოეტი და ეს “შესამე გზა” “უკვდავების ცისფერი მხარე” იყო, სადაც სამუდამოდ დაივანა პოეტის მშფოთვარე სულმა.

ზეცანართმეული, ღმერთწართმეული ეპოქის შვილი იყო ტე-რენტი გრანელი, ღმერთის გმობა კი ადამიანის გაარაფრების, ყო-ველგვარი უკეთურების დაკანონების საშუალებას იძლეოდა.

მაგრამ “მემენტო მორის” ავტორს არასოდეს უწერია პარტიული დიქტატით, არასოდეს შეუქამდი მინიერთა პრაგმატული მისწრაფებები, სოციალისტური ქეყნის არარსებული წარმატებები.

პოეტის მთავარი საფიქრალი იყო “საქართველოს ისტორიული მისია”, ენა, მამული, სარწმუნოება.

სისხლიან ბოლშევიზმთან დაპირისპირებულმა, სავსებით გან-სხვავებული, “უვალი გზა”, ნამდვილი პოეტის გზა აირჩია.

იოანე ნათლისმცემელი ამბობდა: “ვინც თქვენ გგონივართ, არა ვარ იგი”.

აკაკი წერეთელი გვაფრთხილებდა: “თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ”.

გალაკტიონი ამტკიცებდა: “მე ხომ სხვა ვარ”...

ტერენტი გრანელი დაჟინებით იმეორებდა: “მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგარად მიცნობს”...

თუმცა მის სიდიადეს გრძნობდნენ, ბოლომდე ვერ უგებდნენ და შეუცნობლობის ტკივილმა ათქმევინა: “სადაც მე ვდგავარ, იქ სიბნე-ლეა, იქეთ არავინ არ იხედება”. ეს ლეთაებრივი სიბნელე იყო, ანუ სი-ნათლე, ჩვეულებრივი მზერისთვის მოუქელთებელი.

ნამდვილი პოეტების სულები საჭიროების უამს ევლინებიან ხოლმე ერს. ბუნებრივია, ჩვენს დროს ასე რომ აედევნა ტერენტი გრანელის აჩრდილი და ხალხს ძილს უფრთხობს მისი პოეზიის “ცის-ფერი შუქი”, საღმრთო ემბაზში განბანილი ჭეშმარიტებები.

“მემენტო მორის” ავტორის შემოქმედება გვიზიდავს იგავურ-სიმბოლური ფორმით გამოხატული სიბრძნით, იგი იმ მარადიული წყაროს დაწაფების შედეგია, ბიბლიაში უფალს რომ უწოდებენ.

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მინიერსა და ზეცი-ურს (ბარუქი), ემბაკეულსა და მაღლიდან გარდმოვლენილ სიბრძნეს (პავლე მოციქული).

“ჭეშმარიტი სიბრძნე ყოველთვის დაფარულია, ერთადერთია იგი, მაგრამ ყოველივეს განმაახლებელი,... ეწვევა უბინო სულებს თა-

ობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს.

რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს.

ღამედ შეიცვლება ნათელი, სიბრძნეს კი ვერ სძლევს ბოროტება” (“სიბრძნე სოლომონისა”).

ტერენტი გრანელის პოეზიაში სწორედ ზეციური, მარადიული სიბრძნე მოიძიება. კერპების, ცრუ მოციქულების, ანტიქრისტების ეპოქაშიც გაიგნო პოეტის სულმა გზა უხილავი ღმერთისკენ.

მისი პოეზიის ნაყოფელვარე ხე უფლისგან არის კურთხეული, მისი ცეცხლი უზენაესი ცეცხლია, ჩვენ მასზე ვითბობთ ჩრდილოეთის ყინვისგან გათოშილ ხელებს, ვწმენდთ დროის მტვრისაგან გაუხეშებულ სულს და დარწმუნებული ვართ, რომ “უცნობი სფინქსის” მწუხარე მუხა ხვალ თუ ზევ მოაზროვნე მსოფლიოს მრავალ მხარეს შესძრავს.

ტერენტი გრანელის ენიგმურ, სიმბოლურ-მეტაფორულ სამყაროში შესასვლელი “საოცრების კარი” ანუ ქრისტიანული ღმერთია.

პოეტი ამრავალფეროვნებს, ახალი წიუანსებით ავსებს საღმრთო სახელებს, ხშირ შემთხვევაში სრულიად ახლებურ მიგნებებს გვთავაზობს.

“უცნობი სფინქსის” შემოქმედებაში უბერავს საღმრთო ნიავი, გვეცნაურება გამოცხადების სიბრძნე, საღვთო ნისლი.

სისხლის, ტერორის, ძალმომრეობის ეპოქაშიც შეძლო პოეტმა ანგელოზური სულის შენარჩუნება: “მე ვარ უცნობი, მე ვარ ფარული და ანგელოზი თეთრი ბალისა”.

მან განსაკუთრებული განსჯის საგნად აქცია ფილოსოფიური პრობლემები, სიკვდილ-სიცოცხლის მიმართება, ზნეობრივი განწმენდა, ბედისწერის იდუმალება.

იგი დაემყრა მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც ადამიანში ორი არსია: ღვთაებრივი და მდაბალი. ღმერთის სამყაროში, ჩვენს ნამდვილ სახლში დასაბრუნებლად აუცილებელია განწმენდა.

ტერენტი გრანელი ჰგავდა ზიარებულთა ორდენის წევრს, რომელსაც უნდა გაევლო ინიციაციის, კათარსისის რთული და ძნელი გზა.

განწმენდა ხდება ცეცხლით, სულინმინდით, სისხლით.

პოეტის სული წმინდა გიორგის მსგავსად განიწმინდა წამების ცეცხლით, წმინდა წამებით, მადლის მდინარით, სულინმიდით და გულის სისხლით.

ზიარებულთა ინიციაციის ერთ-ერთი საფეხურია ლოცვა, მსხვერპლის გაღება, მონანიება.

“პოეზიის უმანკო მსხვერპლი” გამუდმებით ლოცულობდა, ითმენდა, მარხულობდა უკეთესი დროის სახელით: “ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი”.

იტალიის მორნმუნეთა ორდენის, დადუმებული ბერების ორდენის წარმომადგენელთა დარად, ტერენტი გრანელიც ქართველ მორნმუნეთა ორდენის გამორჩეული წევრი იყო, რომელიც დუმილით შეფიცულ ძმობის წევრებს მოგვაგონებდა, იგი წმინდანებივით, “თეთრი სამოსით” ევლინებოდა “სიმბოლიზმის მწვანე ყვავილებს”.

მისტიკოსები საღმრთო ტრაფიალის იდეას იზიარებდნენ.

პლატონის მიხედვით, მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში, მაგრამ არსებობს მიწიერი და ციური ეროსი. მიზანი უნდა იყოს არა ეროტიკულ მისტერიათა პირველი სტადია, არამედ სულის ამაღლება მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს, ღვთაებრივს მშვენიერებამდე, საღვთო მიჯნურობამდე.

ტ. გრანელი “ციური ეროსის” ციურ ჰანგებს ქმნიდა, იგი მაღლდებოდა სიყვარულისა და მშვენიერების პლატონურ გაგებამდე, საღვთო სიყვარულის სიმაღლემდე.

რიცხვისადმი პოეტის ინტერესი მოწმობს ჰარმონის ძიებას, მუსიკით ტოტალური გატაცება პითაგორეულ სფეროთა ჰარმონიას, საღმრთო მუსიკას უნდა უკავშირდებოდეს.

სულიერი განსაწმენდელი ორფეოსელთათვის იყო არგონავტების ლაშქრობა, გაჭირვების დათმენა. ტ. გრანელისათვის განსაწმენდელია ხელოვნება, პოეზია, მუსიკა და “ლექსი მისტერიაა”.

მისი ცხოვრება სულიერი განწმენდა, სიკვდილის შიშის დაძლევა და სიკვდილისათვის მზადება იყო.

დიდი ადამიანები ამაღლებული სულით ამარცხებენ სიკვდილს, ამიტომაც ფერებში წარმოიდგენენ მას. მაღარმესთვის სიკვდილი ოქროსფერია, ვერლენთან — მზისფერი, რემბრანდ წითელი, გალაკტიონთან — ვარდისფერი, ტერენტი გრანელი კი “ცისფერი სიკვდილის” მშვენიერებას ეზიარებოდა: “ეს იყო წამი, წამი, როდესაც ელოდნენ ცისფერ სიკვდილის წამებს”.

სიკვდილთან ბრძოლის სურვილით შეიქმნა ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია.

სიკვდილის საიდუმლოს გაცნობიერება წყაროა ჩვენი გაღვიძების, ამაღლების, იგი ემსახურება ადამიანის დაფარული სულიერი ძალების გამოვლენას.

ტერენტი გრანელის მიხედვით, ადამიანი კვდება არა მაშინ, როცა სული სხეულს შორდება, არამედ სიკვდილის ტოლფასია სულის დამორჩება ღვთაებრივ გაღას, რდეს უკ-

ლაო-ძი ამბობდა: “ადამიანი გაუკვდავდება იმიტომ და იმ დროს, რდეს შეითვისებს თავის წიაღში ღვთაებრივ ძალას, რდეს უკ-

ვდავების წყალს დალევს სიკეთისა და სიბრძნის სახით, ოდეს გარე-მოიცავს თავის თავში ღვთაებრივ საწყისებს”.

ტერენტი გრანელი დარწმუნებული იყო, რომ სული სიკედილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას, იგი იღვიძებს ახალ გარემოში და სიკედილის “სიდიადეს” აღიარებდა: “სიკედილია სიცოცხლეზე მეტი”, “გამომელვიდა მგონი, გარდაცვალების შემდეგ”.

პოეტმა გაიზიარა გარდასხეულების თეორია, გადაიხედა მიღ-მურში, ჩასწვდა ყოფნა-არყოფნის საიდუმლოებებს.

იოგების მიხედვით, სამყარო დაყოფილია მაღალ, შუა და და-ბალ პლანეტარულ სისტემებად. დედამინა შუა პლანეტარული სისტე-მის შემადგენლობაშია. სიკედილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა. ადამიანმა ისე უნდა იცხოვოროს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

ტერენტი გრანელი გამუდმებით ექტდა “მესამე გზას”, „სხვა პლანეტას”, მას ეიმედებოდა უკვდავება, „სიცოცხლე სხეულის გარე-შე”. მისი „უვალი გზა“ ხორცისაგან გასაღწევი, სულის გამარადისე-ბის გზა იყო, რაც სიკედილის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, სიცოც-ხლები სულიერი ნათელლების პირობების ერთგული დაცვით. მან გვიჩვენა ზეცამდე ასამაღლებელი ბილიკები.

“უცნობმა სფინქსმა” შექმნა თავისებური გარდაცვალების სა-ხელმძღვანელო, „მიცალებულის დღიური”, მაგრამ ფუჭად მოზეიმე საზოგადოებამ, რომელიც ნივთს, ყოველდღიურობას, ვულგარულ გრძნობებს აიდეალურდა, ვერაფერი გაუგო პოეტის უზენაეს სიბ-რძნეს და მის გენიალურ წიგნს „შავი წიგნი” უწოდა.

ტერენტი გრანელის სულის გზები იწყება კაცობაში “ადამის ძის” სახით და სრულდება უმაღლეს სავანეში. მის მიერ განვლილი გზა მთელი კაცობრიობის სულის გზაა და ამიტომაც არის იგი “მსოფ-ლიოს პოეტი”.

მას აღაშფოთებდა ადამიანის განშორება ღვთისგან და ბიბლი-ური წინასწარმეტყველებივით ურჩევდა მოძმეთ, ღმერთს შერიგე-ბოდნენ.

ბიბლიაში უზენაესი მაღაქია წინასწარმეტყველის სიტყვებით აფრთხილებდა ცოდვილებს: “აპა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტ-ყველს უფლის დღის, დიდის და საშინელის დადგომამდე.

“ის შეარიგებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან, რომ ჩემი მოსვლისას ქვეყანა შეჩვენებით არ შევმუსრო” (მაღაქია, წინასწარმეტყველი, 3,23,24).

პავლე მოციქული მოძღვრავდა თაობებს: “ყოველივე ღვთისგან არის, რომელმაც შეგვირიგა იესო ქრისტეს მეშვეობით და მოგვცა შე-რიგების მსახურება.

იმიტომ, რომ ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი და არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულობაზი და გვიბოძა შერიგების სიტყვა.

ამგვარად, ჩვენ ქრისტეს სახელით ვართ მოვლენილი და თავად ღმერთი შეგაგონებთ ჩვენი მეშვეობით, ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს” (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 5, 18, 19, 20).

შერიგების დღეს ნატრობდა გალაკტიონი და მზის (ქრისტეს) სახელით ურიგდებოდა სიკვდილს (“შერიგება”).

“განშორების” გულისტყივილი, განშორების წამებში ჩამქრალი სანთლები, ღმერთისგან განშორება ანამებდა ტერენტი გრანელს, მაგრამ სჯეროდა განწმენდის, შერიგების: “და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების”.

პოეტს ელანდებოდა ცოდვილთა განკითხვა, “უფლის დიდი დღე, ძალზე საშინელი” (იოველი, 2, 11).

ტერენტი გრანელი რწმენით სავსე გულით ელოდა გარდუვალს: “დანვებოდა კვლავ ბინდი, გულში მეწყუ ლოდები, მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი”. ლოდი სალვთო სახელია, ანუ პოეტი თავის მორწმუნეობაზე აკეთებდა აქცენტს.

ღმერთი არის მარად ღია თვალებით მზირალი მართალი მსაჯული, რომელიც დამსახურებებისამებრ მიუზღავს თითოეულს: “დიდგანმზრახველო და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და ნამოქმედარის მიხედვით” (იერემია, 32, 19).

ტერენტი გრანელის უნიკალური ხედვა და ინტუიცია სამყაროს გლობალურ მოვლენებს აფიქსირებდა: “უუმზერ სამყაროს ღია თვალებით”.

ადამიანებზე გულგატეხილი, ღმერთზე ამყარებდა იმედებს: “მე ისევ ციდან ველი ტაროსებს”.

ეპოქის მოვლენების შუაგულში მყოფი პოეტი თავისი თანამედროვეობის არსა, შავი დროის კონტურებს განუმეორებელი სახე-სიმბოლოებით აფიქსირებდა.

პრატუმანური, სატანური პერიოდის შინაარსს გვიცნობირებს მიგნებული სახეები: ულირსი თვალი, მხეცი (აპოკალიფსური მხეცების ასოციაციას რომ იწვევს), კაენი, დემონი, ბნელი შუალამე, ეშაფონტი და საფლავები, დროის თანამდევი გველი და მკვდარი დღეები.

სიმბოლური ჩანაფიქრისაა შუქის ჩაქრობა, შავი ღრუბლების მოვლინება, ფინიების გააქტიურება: “და ჩაქრა შუქი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფენილია, ნელა მიდიან ღრუბლები ცისკენ, გარეთ ვიღაცას უყეფს ფინია”.

იკრძალებოდა ღმერთის ხსენება, სამშობლოს სიყვარული, ირგვლივ კი მრავლად იყვნენ ჭოტები, ყვავები, ყორნები, კატები, ფინიები.

ეროვნულ ტრაგედიაზე მიგვანიშნებდა ქარისგან ყაჩალივით აკლებული, მიტოვებული ბალების სახეებით (ბალი კაცური ბუნებაა

იპოლიტე რომაელის მიხედვით, მიტოვებული ბალი მიტოვებული ადამიანია).

კვდებოდა რწმენა, პოეტი გლოვობდა მიტოვებულ ყვავილებს, ბედის წყაროს და მაინც ნუგეშის ღმერთს ეძებდა: “ახლოს არ დარჩა ვარდი არცერთი და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან, ჩამქრალ თვალებით ნუგეშს ვეძებდა, ვეძებდა ნუგეშს და მიხაროდა”...

ტერენტი გრანელი ტიროდა “ქვეყნის უკუღმართობას”, დალუპვის გარდუვალობას, აღაშფოთებდა კოსმიური ავდარი, მთელი პლანეტის ბედი: “ცა ილრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის”.

ტოტალურ კატაკლიზმებს, თავისი წინაპრების დარად, ღმერთის უარყოფით ხსნიდა.

პოეტს ეზმანებოდა სიავის არსასრული, ბოროტების იმპერიის დანგრევაზე ოცნება ასოცირდებოდა ბაბილონის დაცემასთან, მის ნანგრევებზე ყორნის ჩხავილთან...

ტერენტი გრანელი თავის სამშობლოდ ზეცას იგულვებდა: “ჩე-მი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი”... თავის მარადიულ სავანედ ესახებოდა ზეციური სახლი, “ცისფერი სახლი, ცისფერი ქვეყანა”, “უხილავი საქართველო”.

მაგრამ, ამასთან, ყოველ ადამიანს აქვს თავისი მიწიერი სამშობლო. წალენჯიხიდან, ზუგდიდიდან დაწყებული მისი გზა თბილის-ზე გადის და ქვეყნის ამ მთავარი მაგისტრალიდან მიერთვის “მსოფლიოს და უსაზღვროს”.

მისი დევიზი იყო “სამშობლოს დაცვა და აყვავება”. იარაღით იბრძოდა მტრების განდევნისათვის, როცა 1918 წელს თურქეთის ავრესია დაინტყო აჭარაში. სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა: მას ხომ თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო, ქართველი ხალხი, — იგონებდა პოეტი ალ. გაბისკირია.

ტერენტი გრანელი არ ჰგავდა იმ ფუჭად მოზეიმე პოეტებს, რომლებიც სისხლის კალოზე დაღიოდნენ, ცხედრებზე დააბიჯებდნენ და ამტკიცებდნენ, სამოთხეში ვცხოვრობთო. იგი გრძნობდა სამშობლოს მაჯისცემას, ყინულოვანი მონსტრის მუქარა, უფსკრულის პირისპირ მარტოდ დარჩენილი საქართველოს ხვედრი აწუხებდა: “რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი, უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი, მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს” (“სამშობლოს”).

ზოგჯერ სამარეს უწოდებდა სამშობლოს: “ჩემი სამშობლო ხომ სამარეა, ვეძახდი დედას მე სამარიდან”. ეს ფრაზა ნასაზრდოები იყო რეალური ვითარებით. მართლაც, მრავალი რაინდის სამარე იყო ჩვენი მიწა...

1921 წ. 25 თებერვლის შემდეგ, როცა მოხდა ჩვენი ქვეყნის ხელახალი ოქუპაცია, დაინტყო მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი

რეპრესიები, დაჭრილი ქართველი მეომრების დახოცვა, დაჭრილების მკვდრებთან ერთად დამარხვა, რისი უშუალო თვითმხილველი იყო შემთხვევით გადარჩენილი პოეტი. ამ ფაქტს გამოხატულება უპოვია მის შემდეგ სტრიქონებში: “ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია”.

მომავლის რწმენას მაინც არ კარგავდა: “მაგრამ ლაზარე აღ-დგება მკვდრეთით, აღდგება, როგორც ლვთის სიყვარული”.

“ლურჯ გალიად” ეჩვენებოდა დედამიწა, გაუძლის ტკივილებს აღუძრავდა “სისხლით დაფენილი გზები და შარა”, “სამარადისო მწუ-სარება მოკლულ თვალების”...

იმ დროს, როცა რენეგატი ხელისუფლების ხოტბაში გაცვითეს კალმები უნიჭო მჯღაბნელებმა, ტ. გრანელი აშკარად ავლენდა თავის შეურიგებლობას ტირანებისადმი და ამხელდა “ქვეყნის უკულმართობას”.

პოეტი ხედავდა მომავლის კატაკლიზმებსაც: “ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის”.

ტოტალური შეში იპყრობდა ქვეყნად გამეფებული უსამარ-თლობების გამო: “შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ”...

იგი ფრენდა სულით, როგორც წმინდანები, მოგზაურობდა ას-ტრალური სხეულით. ამიტომ ხშირია მის პოეზიაში “ლოცვა გაფრე-ნისთვის”, “ექსკურსია ცისკენ”, “ბარათი ცისკენ”...

“ტერენტი გრანელმა მთელი მსოფლიო შემოიტანა თავის სულ-ში, კოსმიურ პრობლემებს ლირიკით გასცა პასუხი” (ა. ქორდანია).

პოეტმა გაგვაოცა მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული განუმეორებელი სახეებით.

ცხოვრება დარდისთვის, ცრემლისთვის მეტ საფუძველს იძლე-ოდა და მისი გენიალური ხილვები გლოვითა და წალველით იყო შეფე-რილი: “ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვერებს სევდიან ძილით, და ჩემი მწუხარე სული მსგავსია დათოვ-ლილ სანთლის, დროა, გრიგალმა მალლა აგწიოს, როგორც ოცნება დიდი ნალველის, ჩუმად სძინავს გულს ტყეში სევდის ლურჯი ოდე-ბით, და ჩემი სული თეთრ ლოცვებში დატეხილი გლოვის ხაზებად, გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხე-ში მიეკავებით”.

ეკლესიასტე გვმოძღვრავს: “ბრძენთა ფიქრები გლოვის სახ-ლშია, უგუნურთ ფიქრები მხიარულების სახლში” (7,4). ტერენტი გრა-ნელის ფიქრები უმეტესად გლოვის სახლს დასტრიალებდა.

ლმერთთან ახლომდგომ მცირერიცხვან პოეტებში უპირველე-სია ტერენტი გრანელი. ამიტომაც იგულვებდა თავს ქრისტეს, მარია-მის, ანგელოზების გვერდით.

ქართველი ხალხის დიდ გულისტკეცივილს დიდი მკურნალობა სჭირდება უპირველესად ღმერთით, რწმენით, მადლით, სიტყვით, ცრემლით და სიკეთის ის ფლუიდები, ასე უხვად რომ იფრქვევა ტ. გრანელის პოეზიდან, ჩევნი გაბზარული გულის განახლების უებარ წამლად უნდა ვიგულვოთ.

“ჯადო აქვს მწერლის სიტყვას, მას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლა” — ბრძანებდა კ. გამსახურდია.

“მწერალი ჰგავს ბერძნულ მითიურ არსებას, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვერ დააწყნარა” — გვარწმუნებდა მ. ჯავახიშვილი.

უეჭველია, სულინმიდის ქარი უბერავს ტ. გრანელის შემოქმედებიდან და მისი ლექსებიდან დაძრულ გრიგალისებურ ძალას დაცხომა არ უწერია.

ვფიქრობთ, ბედნიერია ყოველი კაცი, ვინც შეისუნთქა ამ ჭეშმარიტი პოეტის სამყაროდან მონაბერი ზეციური ქარი.

“ვინც მიცნობს, ყველა ბედნიერია”, ამბობდა ტ. გრანელი. მართლაც ბედნიერებასთან ზიარებაა “მემენტო მორის” ავტორის შემოქმედების შეგრძნება, გაცნობა.

თავი I

ტერაცი გრაცელის პიროვნული თავისეპურები

ფსევდონიმ “გრანელის” გამო

პოეტი ტერენტი კვირკველია ფსევდონიმ “გრანელით” შემორჩა ლიტერატურის ისტორიას. ეს კეთილხმოვანი, თან იდუმალების შემცველი სიტყვა საოცრად მოერგო მის ენიგმურ ლირიკას.

ტერენტი გრანელი კორესპოდენციებს, ადრეულ ლექსებს “წალენჯიხელის” ფსევდონიმით ბეჭდავდა.

“წალენჯიხელის” ფსევდონიმით გამოაქვეყნა პუბლიცისტური სტატიები გაზეთებში “სახალხო საქმე”, “ახალი ნაკადი”, “ტრიბუნა”. ეს იყო 1917, 1918, 1919 წლებში (1,5).

ტერენტის პქონდა ოთხი ფსევდონიმი: ტ. წალენჯიხელი, ტ. წელი, ტ. წ. და გრანელი.

ლერი ალიმონაკის აზრით, არასწორად იხსენება პოეტის გვარი, ის იყო კვირკვაია და არა კვირკველია.

მაგრამ ამ შენიშვნას არ ეთანხმება ტერენტის დის შვილიშვილი — ექიმი მამანტი როგავა.

გალაკტიონ ტაბიძეს, რომელიც მთელი არსებით აყურადებდა ტერენტის გამორჩეულ მუზას და ქვეშეცნეულად გრძნობდა მის კოსმიურ მასშტაბებს, ფსევდონიმი “ნალენჯიხელი” რაღაც სულიერ დისკომფორტს უქმნიდა. ეს უფრო ლოკალურით შემოსაზღვრული სიტყვა ეპატარავებოდა ისეთი პლანეტარული პოეტისთვის, როგორიც ტერენტი გრანელი იყო.

პოეტების მეფესა და ‘მემენტო მორის’ ავტორს შორის ამაზე ასეთი დიალოგი შედგა თურმე.

გალაკტიონმა უთხრა ტერენტის:

— არ ვიცი, დედას თუ მამას, კარგი სახელი დაურქმევია, ალბათ, გვარიც კარგი გექნება, მაგრამ ფსევდონიმად ნალენჯიხელზე უკათესი ვერაფერი შეარჩიე ?

— გალაკტიონ, არც მე მომწონს, მაგრამ რა ვქნა, სადაურიც ვარ, ის დავირქვიო — უპასუხნია ტერენტის (1,98).

ამის შემდეგ, უკვე 1919 წლიდან, გრანელის ფსევდონიმით გამოეცხადა მკითხველს და საზოგადოებას ეს ლირიკოსი და ხიბლი ამ მიგნებული ბეგერებისა იმდენად დიდი იყო, რომ მოინუსხა მკითხველი.

თვითონაც ხვდებოდა ტერენტი გრანელი, რომ უბედნიერესმა წუთებმა დააწყვილა სიტყვის გამორჩეული ოსტატი ამ ერთადერთ, განუმეორებელი ჟლერადობის ასოებთან, რაღაც საოცარი, მიღმურზე, მარადიულზე, იღუმალზე მიმანიშნებელი რომ იყო და პოეტური სასწაულის მოლოდინს ალძრავდა...

სიამაყე და დიდი რწმენა დაჲყვება ამ განაცხადს: “მიხარია, რომ ვარ ტერენტი გრანელი, ჩემი გვარი გრანელი პოეზიას დარჩება” (“მემენტო მორი”) (2,13).

სრულიად უცნობებს მოევლინებოდა თავისი განუმეორებელი, ჭეშმარიტად პოეტური სახით და საკუთარი ლირსების გრძნობით იტყვოდა: “მე ვარ ტერენტი გრანელი” — ასე გაეცნო გალაკტიონს, სერგეი ესენინს, კორნელი სანაძეს.

ამ ჰაეროვანი ბეგერათა კომპლექსის ნარმომავლობისა და მნიშვნელობის შესახებ ატეხილი ხმაური დღესაც არ არის დამცხრალი. უსაზღვროა ცნობისნადილი ამ სიტყვის ამოხსნისა...

ცნობილი მეცნიერი სიმონ ყაუხჩიშვილი იხსენებდა: “გრანუმი” ზომა-წონის უმცირეს ერთეულს ნიშნავს, მაგრამ რატომ აირჩია იგი ფსევდონიმად, ამაზე აქამდე არ მითიქირია” (3,55).

ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების დაუცხრომელი მკვლევარი გივი ცქიტიშვილი იზიარებს მოსაზრებას, რომ “გრანუმი” ლათინური სიტყვაა და მარცვალს ნიშნავს. “მეც მსოფ-

ლიო პოეზიის ერთი მარცვალი ვარო”, ასე აიხსნება “გრანელის” ქვეტექსტი (იქვე).

უურნალისტი შოთა ფიფია (რედაქტორი გაზეთისა “კომუნიზმის დროშით”) აცხადებს: “გრანი” ფრანგულად წერტილს ნიშნავს. მეც მსოფლიო პოეზიაში ერთ-ერთი წერტილი ვარო, ესეც მისგან მომიღებია. ტერენტის ფსევდონიმის გამო არავის არ მინდა ვედავო” (3,37-38).

პოეტის და ზოზია იგონებდა: “ფსევდონიმი უცხო სიტყვიდან აიღო. მსოფლიო პოეზიის ნაწილი ვარო, იტყვოდა. ლექსებსაც ნაუმ-ძლვარებდა ასეთ სიტყვებს, სათაურს ქვემოთ” (3,22).

ოდნავ განსხვავებულია მკვლევარ ლერი ალიმონაკის აზრი: “ზოზიას თქმით, მისთვის ძმას გაუზიარებია, რომ ფსევდონიმის არჩევას საფუძვლად დასდებია ლათინური სიტყვა “გრანუმ”, რაც მარცვალს ნიშნავს. პოეტს ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით აურჩევია: მეც პატარა, ობოლი მარცვალი, სამყაროს უმცირესი ნაწილი ვარო” (3,19).

ლერი ალიმონაკი ყურადღებას ამახვილებს მეორე გადმოცემაზეც: პოეტი ეტრფოდა თურმე ერთ მსახიობ ქალს, გვარად გრანელს და მისი პატივისცემით აურჩევია ეს ფსევდონიმი.

უფრო სარწმუნოდ მესამე ვერსიას მიიჩნევს ლერი ალიმონაკი: 1918-1919 წლებში საქართველოში იმყოფებოდა ცნობილი იტალიელი დირიჟორი გრანელი, რომელსაც უდირიჟორებია ქართული ოპერისათვის “ქრისტინე”. საფიქრებელია, რომ პოეტმა ამოირჩია “გრანელი” თავისი პოეტური ულერადობისა და კეთილბმოვნების გამო, იქნებ სახელთან ალიტერაციული თანაულერადობის გამოც (იქვე).

მნერალ ელიზბარ უბილავას აზრით, პოეტის მიერ ფსევდონიმად გრანელის შერჩევა განაპირობა ამ გვარის მქონე რომელიღაც თეატრალური მოღვაწე ქალის პატივისცემამ (ელიზბარ უბილავა, ტერენტი გრანელი) (4,15).

პროფესორი სერგი ჭილაია გრანელის ადრესატსაც პოულობდა იტალიელი მომღერლის სახით, რომელიც პოეტის უილბლო სიყვარულის ობიექტი ყოფილა. თავისი მოსაზრების უტყუარობის დასტურად მეცნიერი იმოწმებდა ერთ-ერთ ძველ თეატრალურ აფიშას და წერდა: “1919 წელს, როდესაც თბილისის ოპერის თეატრში “აბესალომ და ეთერის” ჯერ გენერალური რეპეტიცია, შემდეგ წარმოდგენა გაიმართა, ტერენტიმ იხილა შესანიშნავი ხმის მომხიბლველი იტალიელი მომღერალი ქალი, გვარად “გრანელი”, რომელიც შეუყვარდა პოეტს და თანაბრად ტიროდა აბესალომის და ეთერის ტრაგიკული ბედისა და თავისი უილბლო სიყვარულის გამო” (სერგი ჭილაია, ტერენტის ფსევდონიმი “გრანელი”) (5,175).

მეცნიერი მანანა გვეტაძე ამ სიტყვას უკავშირებდა ლათინურ “გრანუმს” (მარცვალს), მაგრამ უჭირდა იმ მოსაზრების გათავისე-

ბა, რასაც ავითარებდნენ ლ. ალიმონაკი, პოეტის და ზოზია, რადგან, მისი აზრით, ტერენტის ამბიციები პატარას და მცირეს ვერ შეეგუებოდა: “გრანელი” დაკავშირებულია პატარასთან, მცირესთან, მაგრამ თვით პოეტს არასოდეს დაპბადებია აზრი თავისი პიროვნების თუ ლირიკის სიმცირის გამო” (მანანა გვეტაძე, ტრაგიკული ბედის პოეტი) (6,169).

ტერენტი გრანელის საუკეთესო მეგობრის — კონსტანტინე გაჩეჩილაძის (კონნე სპერელის) არქივში დაცული ყოფილა ცნობა ტ. კვირკველიას ფსევდონიმის შესახებ. მისთვის რჩევა უკითხავს ტერენტის, ორი ფსევდონიმიდან — ნალენჯიხელი და გრანელი — რომელი აერჩია. კ. გაჩეჩილაძეს ურჩევია გრანელი და რატომ? ამას მისი ჩანაწერი განმარტავს: “მხოლოდ ბერათა კომპლექსის უღერადობა ედო სარჩულად ჩემს არჩევანს, რაც შეეხება სიტყვის სემანტიკას, ან სადაურობას ამ სიტყვისას, მე ამით არ დავინტერესებულვარ. დარწმუნებული ვიყავი, რომ სიტყვა გრანელი იმავე გზით იყო მიღებული, რა გზითაც ნალენჯიხელი. თუ ამ სიტყვას არც ქართულ ტოპონიმიკაში და არც ლექსიკონში ფესვი არ მოენახებოდა, მე ამაზე იმ დროს არ მიფიქრია და არც მიკითხავს პოეტისთვის. ახლა კი ვფიქრობ, რომ ეს სიტყვა უნდა იყოს “გრაალელისგან” ნარმომდგარი, რაც რელიგიურ-მისტიკურ საწყისზე მიგვანიშნებს”(7,12).

ამ საკითხზე მოგვიანებითაც და უფრო ღრმად დაფიქრებულა კოტე გაჩეჩილაძე, როგორც მისი ჩანაწერები ამტკიცებს: “შეუა საუკუნეების თქმულებათა ბრეტონულ ციკლში არსებობს თქმულება წმინდა გრაალის შესახებ... თქმულების თანახმად, გრაალი ზურმუხტისგან გამოთლილი თასია, რომელიც საიდუმლო სერობის დროს ქრისტეს ხელთ ჰქონდა. ამ თასში იოსებ არიმათელმა ჯვარცმის სისხლი მოაგროვა... ეს თქმულება მთელს ევროპას მოედო. მის საფუძველზე დამუშავა უდიდესმა მუსიკოსმა როპარდ ვაგნერმა თავისი შესანიშნავი ოპერა “ლოენგრინი”. “ლოენგრინის” გავლენით დაწერა გ. ტაბიძემ თავისი “ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი” და “გრაალის კოშკები”. ზეციური სამეფოს რაინდია ლოენგრინი და ა.შ. აქედან, ნამდვილად აქედანაა ნარმოშობილი ტერენტი გრანელის ფსევდონიმი — გრაალელი-გრაანელი-გრანელი” (7,13).

ცნობილია, რა დიდი ადგილი უჭირავს გრაალის თემას ქართულ ცნობიერებაში, გელათის ფრესკის ქართულ მხატვრობაში. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, დავით აღმაშენებელი გრაალის მცველი რაინდია (8,51).

გრაალის თემის მაღალმხატვრული დამუშავების მაგალითებია — გალაკტიონის “მზეო თიბათვისა, “ანგელოზის ეჭირა გრძელი პერგამენტი”, გრიგილ რობაქიძის “გრაალის მცველი”, ზვიად გამ-სახურდიასა და მერაბ კოსტავის ლექსები.

ტერენტი გრანელი ორთოდოქსი ქრისტიანი იყო, მას ჰქონია რელიგიური პოემები (“სანთლის ცრემლები”, “ცისფერი მირაჟები”, “უფლის ნათელი”), რომლებიც, სამწუხაროდ, დაკარგულია (9,8).

დაუჯერებელია, რომ ტერენტი გრანელს არ ჰქონოდა გრაალზე სათანადო ინფორმაცია. პოეტი, რომელიც შემოქმედებით ნიჭს სულინმინდის მადლად სახავდა და თავის ლექსებში სულინმინდის მადლის განვენას ხედავდა, პოეტი, რომელიც ლაზარეს მკვდრეთით აღდგომის თემას ჩვენი ქვეყნის ბედს უკავშირებდა, შეუძლებელია არ ყოფილიყო ამ პრობლემაზე ინფორმირებული. ამასთან, მისი გენეტიკური კოდი იმთავითვე რელიგიური იყო. მის ლექსებში ხშირად არის სულინმიდა განცდილი, როგორც ნუგეშისმცემელი, ხოლო მისი პერსონიფიკაცია, სახარების კვალობაზე, არის მტრედი (თოვლი) (10,87).

მივმართოთ ბიბლიას: “მე ვარ, მე, თქვენი ნუგეშისმცემელი” (11,12).

სავსებით სარწმუნოდ გვეჩვენება მოსაზრება, რომ ტერენტის, რომელიც “მეორედ მოსულ ქრისტედ” აცხადებდა თავს, გრაალის ორდენის რაინდად წარმოედგინა თავი, ვინაიდან “გრაალი განასახიერებს მთვარისულ მარადქალურ საწყისს, სოფიას, ღვთისმშობელს” (ზ. გამსახურდია) (12,181).

გამომდინარე აქედან, ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება “გრანელის” დაკავშირება ლათინურ თუ ფრანგულ “გრანუმთან”, მით უმეტეს, იტალიელი დირიჟორის ან უცხოელი თეატრალური მოღვაწე ქალის სახელთან.

არსებობს კიდევ ერთი, ძალზე სენსაციური ვერსია, რომელსაც ახალი ელფერი შეაქვს ლეგენდარული ლირიკოსის გამოცანად-ქცეული ფსევდონიმის გარკვევაში.

ახალგაზრდა გრანელოლოგი დარიკო ფიფია შეხვედრია წალენჯიხელ ქალბატონ ნუკა კვარაცხელიას, რევოლუციონერ იოსებ კვარაცხელიას შვილს. იოსებს ახლო ნაცნობობა ჰქონია ტერენტისთან. ფსევდონიმ გრანელთან დაკავშირებით ამ ქალბატონს ინფორმაციები ჰქონია როგორც დედის — მატრო ბერულავასგან, ისე ძმის — ვასოსგანაც.

მეოცე საუკუნის ათიანი წლების მიწურულს თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო იოსები იძულებული გამხდარა აფხაზეთში გადასულიყო. მას მალე სულ ახალგაზრდა ტერენტიც ჩაუყვანია გაგრაში. იოსების თანამოაზრე ყოფილა გალელი ჯგერენაია, რომელსაც იოსებისთვის ავტომანქანა უჩუქქებია.

იოსების საშუალებით ტერენტი დაკავშირებია ჯგერენაიების ოჯახს. ტერენტის შეჟყვარებია ჯგერენაიას ასული ნელი. იოსები ახალგაზრდების სიყვარულს თანაუგრძნობდა და ტერენტის თანადგომას ჰპირდებოდა, მაგრამ იოსები მოსკოვში გამოუძახებიათ და ამ

დროს ვიღაც აფხაზს მოუტაცებია ნელი ჯგერენაია. ბურუსით არის მოცული ნელის შემდგომი ბედი, მაგრამ ქალბატონ ნუცას მტკიცებით, ტერენტიმ ძალზე მწვავედ განიცადა სიყვარულში მარცხი, მან დატოვა აფხაზეთი, ჩავიდა თბილისში და თავისი ტრაგიკული სიყვარულის უკვდავსაყოფად ფსევდონიმად აირჩია გრანელი, რომელიც მიღებულია ორი სიტყვისგან: გაგრა-ნელი-გრანელი.

ამ სიყვარულის საიდუმლო მხოლოდ იოსებ კვარაცხელიას ოჯახში იყო ცნობილი, იგი არ გახმაურებულა (დარიკო ფიფია, ვერსია თუ რეალობა ?) (13,69-72).

როგორც ვხედავთ, ყველა მოსაზრებას მოეპოვება თავისი მეტნაკლებად დასაბუთებული არგუმენტები.

და მაინც... ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება ქალის გვარის (თუნდაც დირიქორის, თეატრალური მოღვანის ან შეყვარებულის) ქცევა ამოსავალ წერტილად. ტერენტის ერთადერთი ჰობი რელიგიამდე ამაღლებული პოეზია იყო (ლექსი მისტერია), იგი, როგორც ორთოდოქსი ქრისტიანი, გრაალის (სულინმინდის, ღვთისმშობლის) რაინდი უფროა, ვიდრე მინიერი ქალის, თუმცა, ეს როდი ნიმნავს, რომ ბანოვანს მის პოეზიაში სათანადო ადგილი არ ჰქონდეს მიკუთვნებული. ცნობილია, პოეტის სიყვარულის რეალურად არსებული ადრესატები (ირა რადოვსკაია, თამარ ჯაფარიძე, თინა როინიშვილი, ნინო დადიანი...), თუ ინტეგრალური სახეები: “და ქალი ჩემთვის სხვა სიმალეეა”, ან ციური ეროსის კავშირი პოეზიასთან: “შენ თვით ეროსი აგამღერებს ციურ ჰანგებით” (სონეტი).

ეჭვმიუტანელი ერთია: ახდა ტერენტის ნინასწარმეტყველება”: “ჩემი გვარი — გრანელი პოეზიას დარჩება”... (“მემენტო მორი”).

ლიტერატურა

1. ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984.
2. ტერენტი გრანელი, 100 ლექსი, თბ. 2005.
3. ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბ. 1990.
4. ტერენტი გრანელი, რჩეული, თბ. 1961.
5. ალმანახი “განთიადი”, 1977, 1-12.
6. “მანათობი”, 1981, 10.
7. მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები, კონწე სპერელლი (კონსტანტინე გაჩეჩილაძე) ტერენტი გრანელის შესახებ, თბ. 2003.
8. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991.
9. სერგი უვანია, მოგონება ტერენტი გრანელზე (ხელნაწერი), თბ. 1998.
10. ტერენტი გრანელი, ორ ტომად, ტ. I, თბ. 1991.

11. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1998.
12. ზვიად გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ. 1991.
13. ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა შრომები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2003.

ტერენტი გრანელის პორტრეტი

გამოჩენილი ადამიანები ყურადღების ცენტრში ექცევიან არა მხოლოდ მათ მიერ შექმნილი სულიერიფენომენით, არამედ თავიანთი ცხოვრების წესით, გარეგნობით, მანერებით,... რაკი ინტელექტუალური ადამიანების ტკინი თავისებურია, გამორჩეულობის ძიება იწყება მათ ფიზიკურ მონაცემებშიც. და ხანდახან მათი ნაკლიც ისეა ნარმოჩენილი, თითქოს ისიც გონებრივ განვითარებას ემსახურებოდეს. ბეთხოვენის სიყრუე, ჰომეროსის უსინათლობა, ბაირონის და ბარათაშვილის კოჭლობა, დოსტოევსკის ეპილეფსია ორგანულად უკავშირდება მათ სულიერ ზრდას, ჩვეულებრივი თვალისწვის ნაკლად მიჩნეული თვისებებიც თითქოს გენიალობის სამსახურშია ჩაყენებული და იშვიათი ნიჭის მსახურია...

როგორც ტალანტების შემოქმედებაა მკითხველისთვის გამოცანა, ენიგმა, ასეთი გამოცანაა რჩეულ ადამიანთა ფიზიონომია. ხშირად ისინი არა ჩვეულებრივ ადამიანებად, არამედ დემონებად ალიქმებიან, ჩვეულებრივთათვის დაწესებული საზღვრის მიღმა გაღწევის გამო... მათი ფიზიკური კომპლექსიც ვერ ჯდება რიგითთა ფარგლებში.

განსაკუთრებით ხელოვანთა პორტრეტი იმსახურებს დიდ ყურადღებას.

ტერენტი გრანელი სფინქსად მოევლინა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიას, სფინქსად, გამოცანად. აკაკი: “მაგრამ რახან პოეტი ხარ, უნდა იყო გამოცანა”. გამოცანა აკი ყოველთვის ბადებს ჩაწვდომის, ამოხსნის სურვილს. ტერენტი გრანელის პოეზიით მონუსხულთა ათასები (პოეტები, მეცნიერები, რიგითი მკითხველები, მხატვრები, მოაზროვნენი, ანალიტიკოსები) მრავალგზის ამახვილებენ ყურადღებას ამ დიდი შემოქმედის გარეგნობაზე, სიარულის მანერაზე, პორტრეტზე, მის ცალკეულ დეტალებზე.

გამოჩენილი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი ბრძანებდა: “ტერენტი გრანელს გამოარჩევდით ჩაცმულობითაც და სიარულის მანერითაც, დგომის ჟესტითაც კი, მაშინვე იტყოდით, პოეტი რომ იყო” (ლადო გუდიაშვილი, ტერენტი გრანელის გახსენება, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984 წ. გვ. 253).

ტერენტის მეგობარი გენო ქელბაქიანი ასე იგონებს პოეტის გარეგნობას: “სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა იყო. უკან გადავარცხნილი ხშირი წაბლისფერი თმა ძლიერ უხდებოდა მის მეტისმეტად სანდომიან პირისახეს და ფართო შუბლს. ზომიერად მაღალი, ზომიერად ფართო მხარ-ბეჭი... ეცვა ლურჯი სატინის ხალათი, ფართე ქამრით შემოსალტული. იაფფასიანი ქსოვილისგან შეკერილი შარვალი და თეთრი ტუფლები.

— მე მიცნობთ?

— თქვენ ვინ არ გიცნობთ?”

ეს ამონანერი გენო ქელბაქიანის წიგნიდან — “ის მხოლოდ პოზით ცოცხლობდა”, ნათელ წარმოდგენას იძლევა არა მარტო ტერენტის გარეგნობაზე, მის პიროვნებაზეც, რომელიც მთელი თბილისისთვის ნაცნობი უცნობი, საინტერესო და ხედვის არეში მოქცეული რჩეული იყო.

“ტერენტი იყო ძალიან ლამაზი გარეგნობის კაცი, უბრალო, სადა, ღარიბი, მაგრამ კოხტა და სუფთა”, იგონებს მისი თანამემამულე ვლადიმერ სალია (ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 80).

ტერენტის თანამედროვე ვასო გორგაძე ასე ახასიათებს ტერენტის: “შუა ტანის, ქერა, გრუზა თმა, ცისფერი თვალების ჭკვიანური გამომეტყველება თავისებურ იერს აძლევდა ახალგაზრდა პოეტის ოდნავ სევდიან სახეს. ნაზი ბუნების პატრონს ახასიათებდა იშვიათი ზრდილობა და თავაზიანობა. ხმა სუსტი ჰქონდა, არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი, იყო საოცრად გულახდილი, უშუალო და თავმდაბალი... იგი იყო ნამდვილი ქურუმი პოეზიის” (იქვე, გვ. 107).

დავით კობიძეს ასე დამახსოვრებია თავისი განუყრელი მეგობარი: “საშუალოზე უფრო მაღალი ტანის, მაღლა ავარცხნილი წაბლისფერი თმით, ოდნავ ფერმერთალი სახის ცისფერთვალებიანი ტერენტი გრანელი, რომლის გულში “ნისლიანი ღამე იდგა და სულში ცისფერი სინათლე” (იქვე, გვ. 113).

პოეტის ნაცნობები ხაზს უსვამენ მის სევდიან გამომეტყველებას, აზრიან გამოხედვას, მაძიებელ სულს: “ღრმა სევდით აღბეჭდილი გამოხედვა, კაეშნით სავსე, მეოცნებე, აზრიანი თვალები, რომელიც გიყურებს ნდობით, თანაც უპირატესობის და მფარველობის გრძნობით... მისი სევდით აღბეჭდილი გამოხედვა არ გამოხატავდა დეპრესიას, აქტივობის დაქვეითებას. პირიქით — ამჟღავნებდა დიდ შინაგან წვას, სულიერ მღელვარებას და სიფაქიზეს... თვალები, რომლებიც მეტყველებდნენ მორიდებულობას, თავშეკავებას, თითქოს შიგნით, საკუთარი სულიერი სამყაროსკენ იმზირებოდნენ, ვიდრე გარეგან სამყაროში. მისი გამომეტყველება აღბეჭდილი იყო შინაგანი ძალით, ღირსების, თავისთავში დარწმუნებულობის, უპირატესობის განცდით. ამავე დროს, თვალები იყო მოძრავი, მოუსვენარი; იგი გამკილავად უმზერდა მისთვის მიუღებელ კაცს (ხშირად

მისთვის მიუღებელი იყო ადამიანი, ვისაც მაღალი იდეა, პოეზიის სიყვარული არ ამოძრავებდა). მის სახეზე აღბეჭდილი იყო მიამიტობამდე მისული უანგარობა და სათნოება” (გლადიმერ ნორაკიძე, იქვე გვ. 131).

პოეტის მეგობარმა კონსტანტინე გაჩეჩილაძემ (კონნე სპერელლმა) სპეციალური ყურადღება დაუთმო პოეტის პორტრეტს. მის არქივში მიკვლეულია ფურცლები სათაურით “გრანელის ფიზიონომია”, რომელშიც ვკითხულობთ: “ცისფერი თვალები, რომელშიც ორი მიუწვდომელი სამყარო იხედება და ამას ხედავდა მხოლოდ გრანელი. ჩვეულებრივი ადამიანები, მათი ყოველდღიურობით, ერთსაც ვერ ხედავენ კარგად, ამიტომაც გრანელის უალრესად მოძრავ თვალებში ჩანთლილი იყო სიხარული, რომ მან გადაიხედა ამის გადაღმა და დაეწაფა ნეტარების იებს, რომ მან შეიცნო საკუთარი სულის სიმაღლე და ეზიარა უკვდაევებას და იქვე, იმ ბედნიერების გვერდით დაკვირვებული თვალი შეამჩნევს უზომო მწუხარებას, რაც გამოწვეული იყო იმის შეგნებით, რომ ეს მაღალი სული მომწყვდეულია ხრნნად ჭურჭელში, რომ სხეული ადამიანის დამძიმებულია მიწიერების უანგით და მიწიერების ჭუჭყით.

მისი ღმილი არასოდეს არ ყოფილა მთლიანი, ნახევარი მუდამ აშეარა სევდაში იკარგებოდა. აქაც კი აერთებდა იგი ხილულს უხილავთან. ლაპარაკის დროს ბაგეთა ნახევარი მუდამ დახმული ჰქონდა, თითქოს ბაგეთა სათანადო განწყობით უნდოდა მსმენელის ნათქვამიდან უთქმელში გადაყვანა.

ნერვული თითებით იგი ენამჭევრ ორატორზე მეტს მეტყველებდა უსიტყვიდ.

გრძელი, თხელი და ხუჭუჭი თმა გრანელისა არასოდეს არ ყოილა საგანგებოდ დაწყობილი, რაც პატრონის აფორიაქებულ ბუნებას ზედმინევნით ამჟღავნებდა. ესეც ყოფნის ამაოებაზე მიუთითებდა.

საოცარია, არამცთუ არ გაურბოდა იგი, პირიქით, თვითონ დაექცებდა შემთხვევას, რომ ჯვარზე გაეკრათ, რათა უღმერთოებს საკუთარი თვალით ენახათ “მეორე ქრისტე”.

მაინც, ჩემი აზრით, ყველაზე ზუსტად მისი გახლეჩილი ფიზიონომია ირაკლი თოიძემ დახატა.

ფიზიონომიკა რომ მეცნიერების სიმაღლეზე ასულიყო, გრანელის სახეში იგი უსათუოდ მთელ ფილოსოფიურ სისტემას ამოიკითხავდა”, წერდა კ. გაჩეჩილაძე 1962 წლის 3 ნოემბერს (მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები, კონნე სპერელლი (კონსტანტინე გაჩეჩილაძე) ტერენტი გრანელის შესახებ, თბ. 2003, გვ. 14).

აქვე ხაზგასმულია პოეტის “წრეგადასული გულწრფელობა”.

“ტერენტი გრანელთან უხილავი კონტაქტის დამყარება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც პოეზიისთვის კოსმიური წვა განუცდია”, ასკვნიდა კ. გაჩეჩილაძე (იქვე).

ანა ლვინიაშვილი ხაზს უსვამდა პოეტის სანდომიანობას, სევდიან თვალებს და გვირგვინივით სახის მამშვენებელ თმას: “მომენონა მისი სანდომიანი სახე, მღელვარე და სევდით მოცული ცისფერი თვალები, ხუჭუჭა ოქროსფერი თმა, გვირგვინივით რომ ედგა მაღალ შუბლზე” (იქვე, გვ. 171).

გუგული გვათუა ასე აცოცხლებს ტერენტის სახეს: “დღესაც თვალნინ მიდგას მისი უმნიკვლო, ბავშვური გამომეტყველების სახე, თმაანენილი, თვალებაშფოთებული, ლამაზი სახის ტერენტი გრანელი” (იქვე, გვ. 186).

პოეტის ემოციურ სახეში ყოველთვის სევდა და ტანჯვა იხატებოდა: “ტერენტი შესახედავად ძალზე სანდომიანი იყო, თუმცა გამოტანჯული იერი გადაპერავდა თვალებზე, ოდნავ ჩავარდნილ ლოყებზე, მთრთოლვარე ტუჩებზე, მაგრამ ახალგაზრდული სიხარულის ნაპერნკლები მაინც გააჩნდა” (ელიზბარ ზედგენიძე, იქვე, გვ. 200).

ტერენტის თანამემამულე, იურისტი იროდი ხარჩილავა იგონებს: “მისი დიდებული სახე და სილამაზე დღემდე შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

ტერენტი, მართლაც, შესანიშნავი ყმანვილი იყო. მის სახეს პირდაპირ ამკობდა ხშირი, შუაზე გაყოფილი ხუჭუჭა თმა, სმენას ატკბობდა მისი არაჩვეულებრივი დიქცია და ხავერდოვანი ხმა” (ირ. ხარჩილავა, დიოგენის სანთლით ხელში, გივი ცქიტიშვილის წიგნიდან — “ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების” თბ. 1990, გვ. 39).

ნოე კომახიძე (დაფნარელი) აღნიშნავს, რომ ტერენტი იყო “საშუალოზე ოდნავ მაღალი, მონითალო-მოთაფლისფრო ხუჭუჭა-თმიანი, ნათელშუბლიანი ახალგაზრდა, რომელსაც საოცრად უხდებოდა მიმზიდველი, ცისფერი თვალები, ნელი, თითქოს დალლილი, მაგრამ გრძნობით აღსავსე, საამოდ მუღლერი ხმა” (იქვე, გვ. 60).

ფატი ჯაყელი (სოლომონ ცაიშვილის მეუღლე) ასე იხსენებს პოეტს: “ტანად საშუალოზე ცოტა მაღალი, გამხდარი, თეთრი პირი-სახის კანი, ცისფერი მეტყველი თვალები, გრძელი, უკან გადავარცხნილი თმა ძალიან უხდებოდა. ეცვა უბრალოდ, მაგრამ სუფთად და კოხტად” (იქვე, გვ. 113).

დარეჯან ვეკუას პოეტი დამახსოვრებია “შეშინებული თვალებით” (იქვე, გვ. 126).

ძალზე ფასეულია ტერენტის მეგობრის — ალ. სიგუას მოგონება, მის მიერ ალდგენილი პოეტის პორტრეტი: “ტერენტის... სახეს მირონცხებული პოეტობის ნიშანსვეტი ეცხო... საშუალოზე მაღალი, მკვრივი, ათლეტური ტანით... ჰქონდა წაბლისფერი თმა, თითქმის

ასეთივე ფერის სახე. ლამაზი და მოძრავი თვალები ამშვენებდნენ და კიდევ უფრო ალამაზებდნენ პოეტის სახეს. იცოდა დინჯი და ტკბილი საუბარი” (ცისფერი სიმღრე, გვ. 419).

ძალზე არსებითი დაინახა ალ. სიგუამ ტერენტის სახეში: “მხატვრების ყურადღება მინდა წამიერად ისევ მივაპყრო ღვთის-მშობლის ალერსიანი მზერით განსპეტაკებულ პოეტის ნათელ სახეს, სადაც ფარული სიმშევიდის ფონზე აღბეჭდილია ჭეშმარიტი პოეტისა და ძლევამოსილი მუზის ერთიანობა და უსასრულო ჭიდილი. პოეტის სახეს და მის სპეტაკ სულს მუდამ თან სდევს სამშობლოს ბედუულმართობით გამოწვეული სევდა”... (იქვე, გვ. 420).

ალ. სიგუა ტერენტის მხატვრებიდან გამოარჩევდა ირაკლი თოიძეს, „რომელსაც ფანქრის ერთი მოსმით შეეძლო პოეტის ჭეშმარიტი და ღრმაშინაარსიანი სახე შეექმნა” (იქვე).

აქვე არ შეიძლება არ გავიხსნოთ სერგეი ესენინის სიტყვები, რომელიც მან 1925 წელს უთხრა ტერენტი გრანელს გაცნობისთანავე: “თქვენ ისეთი სახე გაქვთ, შეიძლება გაუცნობლადაც მეფიქრა, რომ თქვენ პოეტი ხართ !”

გალაკტიონმა, როგორც ტერენტის „მარადიულმა მეგობარმა”, განსაკუთრებით ძლიერად იგრძნო პოეტის თვალების გაზუმეორებელი ხიბლი: „ტერენტის ნამდვილი მზით განათებული ცისფერი თვალები ჰქონდა. ამ მზის თვალებით უყურებდა დედამინას და მის ცოდვილ შვილებს და ამბობდა: “ო, დედამინავ, როგორ მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ, წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია”. ტერენტის პოეტური, პოეტის ქრისტესმიერი წმინდა, წმინდა თვალები ჰქონდა. ზეცა ხომ ცისფერია, ზეციური თვალებია ცოდვილი დედამინის შვილთა მაცქერალი; იმ ცისფერი ზეციდან, მარად წმინდა და მარად უკვდავი, — და ლექსი წარმოთქვა: “ახლა რა ვენა, არ ვიცი, მე როდესაც ასე ვარ, როცა სულს ეპარება აჩრდილები სიბერის. მე, ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება, ჩემი ნაზი სამშობლო, ლაუგარდები ცისფერი”.

“ჩემო კარგებო, ასეთი სტრიქონების თქმა გენიოსს შეუძლია. ტერენტი საფლავიდან გაუნათებს კაცობრიობას, ყველას, ვინც კი დაბადებულა და საფლავში წავა”... (სერგი უვანია, მოგონება ტერენტი გრანელზე, ხელნაწერი, გაგვაცნო ტერენტის დის — ზოზიას შვილიშვილმა მამანტი როგავამ).

“ტერენტის ცისფერი თვალებით” უცვნია გალაკტიონს პოეტის და — მაში.

სერგი ჭილაია იგონებს, როგორ გაკიცხეს ტერენტის წიგნი რელიგიური გრძნობებისათვის მწერალთა კავშირში, მიზანმიმართულად გაკრიტიკებული პოეტი “მთლად გაფითრებული... ჩვენს ფრესკებზე დაზატულ ქრისტეს მიაგავდაო”, წერს და ამით მის

ლვთიურ ბუნებაზეა მინიშნებული (სერგი ჭილაია, იყო ერთი პოეტი, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 243).

ლერი ალიმონაკმა ასე წარმოიდგინა წმინდანი პოეტის პორტრეტი: “ეკლესიაში ღმერთის, ანგელოზების, წმინდა გიორგის ფრესკებს მიჩერებული ტერენტი თავადაც ფრესკას მოჰვავს, ოქროსფერი კულულებითა და ცისფერი თვალებით, საიდანაც შეფარული სევდა გამოკრთის. ანთებულ სახეს სანთლებიდან დაფრქვეული სინათლე უცისკროვნებს, აკვირდება ჩაფერფლილ სანთლებს... და ფითრდება, ფითრდება... ეკლესიდან მობრუნებულს, თოვლის სითეთრე უფრო უცისფერებს თვალებს და ეს თვალები მეტყველებენ, მათ პატრონს ცისმილმიერ სამყაროს ხილვა რომ სწადია” (ლერი ალიმონაკი, კვირის ნირვები, თბ. 1984, გვ. 33).

თვით პოეტმა, დეტალიზაციის გარეშე შექმნა თავისი უბინო სულის და გრძნობიერი სახის პორტრეტი: “საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება, გაბრწყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია”. ან რად ლირს თვით ტერენტის მიერ შორიდან ხილული თავისი უებრო სახე: “მე მივდივარ და მიცქერის ხალხი, ჩემი სახე გუმბათივით ელავს”...

მერე კი, დეპრესიამოძალებულს ალმოხდა: “ჩემი სახე რომ ყვითლდება, ვხედავ, შორეული ყვავილებიც ხმებიან, სამარისკენ აცილებენ ცხედარს და მუსიკის მგლოვიარე ხმებია”...

თვითვე ხედავდა თავის დაისს და საკუთარი სულის რექვიემს წერდა: “მიდის ჩემი სინაზე, როგორც ნისლი დილების და თბილისის წინაშე სანთელივით ვილევი”...

ქართველმა მხატვრებმა: ლადო გუდიაშვილმა, კორნელი სანაძემ, ირაკლი თოიძემ, რეზო ადამიამ საკადრისი მიაგეს ტერენტის მწუხარე მუზას და სახეს, მაგრამ თანამედროვე ფერწერის ოსტატები ისევ ვალში არიან ჩვენი ტერენტის წინაშე...

ცოცხალი ლეგენდა

ტერენტი გრანელმა პირველივე კრებულებით მიიქცია მკითხველის ყურადღება, მაგრამ მისი პოპულარობის ზენიტი მაინც “მემენტო მორი” იყო. თაყვანისმცემლებმა პოეტს დიდი სალიტერატურო სალამი გაუმართეს, გამოსცეს გაზეთი “ტერენტი გრანელი” (1924 წ.), სადაც ივანე გომართელი, გიორგი ნადირაძე, კონსტანტინე კაპანელი, ვასილ ბარნოვი, ვანღორ დაისელი, ვლადიმერ ნორაკიძე მაღალ შეფასებას აძლევდნენ ტერენტის პოეზიას, როგორც სიახლეს შინაარსისა და ფორმის მხრივ.

აფიშები თბილისში, წითელარმიელთა კლუბში ტერენტი გრანელის პოეზის საღამოს შესახებ იუწყებოდნენ. საღამის რვა საა-

თისთვის კლუბი ხალხით გაიჭედა. უცბად დარბაზში და სცენაზე შუქი ჩაქრა. ხალხი მაინც არ იშლებოდა. როცა პოეტმა ჩაბნელებულ დარბაზში წაიკითხა “გულიდან სისხლის წვეთები”, დარბაზში კვნესა, ოხვრა და ქვითინი ისმოდა... პოეტის ლოცვისებურმა ინტონაციამ მონუსხა მსმენელი და ჩაბნელებულ დარბაზში განსაკუთრებული იყო ეფექტი (ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსა, გვ. 45).

პოეტის პირვენება და შემოქმედება იმდენად განუცდია მხატვარ კორნელი სანაძეს, რომ ხუთმოქმედებიანი ტრაგედია “ტერენტი გრანელი” დაუწერია და სცენაზე მისი დადგმა უცდია (იქვე, გვ. 65).

ტერენტის ლიტერატურულმა საღამომ მონუსხა ზუგდიდელები, მას ოვაციები გაუმართეს, საღამოს კონცერტში მონაწილეობდნენ ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, სოსო გრიშაშვილი და თბილისელი არტისტები (იქვე, გვ. 102).

1922 წ. თბილისში ერთ-ერთი აფიშა იუწყებოდა პოეტის ლიტერატურული საღამოს მოწყობას და ამ ფაქტს ჰქონდა პატარა ორბელიანის ასეთი კომენტარი: “ხუთშაბათს ტ. გრანელი კიდევ ერთხელ გამოვა ჩვენს წინ თავისი ახალი შემოქმედებით და ეს საღამო უთუოდ იქნება კიდევ ერთი ზედმეტი გამართლება ტერენტი გრანელის” (იქვე, გვ. 79).

ტ. გრანელის პოეზიას თავიანთ ლექციებში უდიდესი პატივისცემით მოიხსენებდნენ პროფესორები შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, მიხეილ ზანდუკალი, კონსტანტინე კაპანელი, იუსტინე აბულაძე, რაც პოეტს დიდ შემოქმედებით სტიმულს აძლევდა.

ვლადიმერ ნორაკიძე წერდა: “ტერენტი გრანელს ჭეშმარიტ პოეტად თვლიდა უკალებლივ ყველა, თვით ქუთაისელი ფუტურისტებიც. მე ჯერ კიდევ პირადად უცნობი პოეტის დიდი პატივისცემა და მოკრძალება მქონდა” (იქვე, გვ. 130).

ტერენტი იცნობდა ქართულ, რუსულ, უცხოურ პოეზიას, აღმერთებდა ბლოკს. საათობით შეეძლო ზეპირად ესაუბრა თავის საღამოზე.

მიუხედავად იმისა, რომ არ იყო “დეკლამაციის ხელოვანი, ჰქონდა ლექსის კითხვის თავისი მანერა, რაც შეესატყვისებოდა მის ლირიკულ სევდიან პოეზიას. ლექსს კითხულობდა თითქოს “შინაგანი ხმით”, ღრმა განცდით, ათრთოლებული ხმის ამაღლებით.

“მსმენელს იტაცებდა ლოცვის მანერით წარმოთქმული მისი მშვენიერი სტრიქონები, მაგრამ... პოეტი თავისთვის იყო, არ ახარებდა აუდიტორიის მონინება, ოვაციები”, თავის გამოსვლებს საერთოდ “პოეზიის უთუო გამარჯვებად” თვლიდა, აღნიშნავდა ვლ. ნორაკიძე (იქვე, გვ. 133).

ტერენტი გრანელს “ხალხში ჰქონდა დიდი პოპულარობა, სიყვარული. ბევრი თაყვანისმცემელი და თანამგრძნობი ჰყავდა პოეზიაში”, ამტკიცებს თ. როინიშვილი (იქვე, გვ. 148).

ტერენტის პიროვნებით და შემოქმედებით დაინტერესდნენ ესენინი და მაიაკოვსკი. ესენინი მას რესტორანში ეპატიურებოდა, დანახარჯს თვითონ იხდიდა და ეკონომიურადაც ემარებოდა.

მაიაკოვსკის სურდა ეთარგმნა მისი ლექსები რუსულად, მაგრამ ტერენტი მიიჩნევდა, რომ ათეისტურ ეპოქაში მისი რელიგიური ლექსები არ იყო სათანადოდ გაგებული, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მომავალში უთუოდ სხვა თვალით წაიკითხავდნენ და მისი დაფასების დროც დადგებოდა.

“ტერენტი აშკარად გამოირჩეოდა თავისი განსაკუთრებული ნიჭით. მას ყველანი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ყველანი მოხიბლულნი, განაბულნი ვუსმენდით მას”, იგონებდა ალექსანდრე კუპრეიშვილი (იქვე, გვ. 160).

“ის ძლიერ პოპულარული პოეტი იყო”, ამონშებს იოსებ ბჟალავა (იქვე).

ნიკოლოზ წერეთელი აღნიშნავს: ტ. გრანელი იყო “არაჩვეულებრივი და თავისებური ინტელექტუალური ძლიერება... მას საათობით შეეძლო საუბარი მატერიებზე გასაოცრად თავისებური წარმოდგენით შეღამაზებული სიმბოლიკით. ჩვენ გვაკვირვებდა მისი მსჯელობის სიღრმე და დამაჯერებლობა. ტ. გრანელი ეკუთვნოდა ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელთა თვითმყოფადი კულტურა განსაკუთრებული ძლიერებით არის წარმოდგენილი. მისი დროის ახალგაზრდობისათვის საამაყო იყო ტ. გრანელთან მეგობრობა” (იქვე, გვ. 174).

1925 წ. პოეტს ჭიათურაში დიდი ლიტერატურული საღამო მოუწყეს.

“მას ისევე ვერ დაივიწყებენ ჩვენში, როგორც რუსეთში სერგე ესენინს”, ასკვნის 6. წერეთელი (იქვე, გვ. 176).

“ხალხი ტერენტის ტალანტს პატივს სცემდა”, აცხადებს გიორგი კაჭახიძე და იგონებს მწერალთა კავშირში დიდ ლიტერატურულ საღამოს, რომელზედაც შემთხვევით გამოჩენილა ტერენტი გრანელი, როცა საღამო დაწყებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას არავინ ელოდა და პროგრამაშიც არ იყო, მის დანახვაზე დარბაზში შეუწყვეტელი ტაში ატყდა და ხალხი ერთსულოვნად მოითხოვდა ტერენტის გამოსვლას. ტერენტი ყოყმანობდა, დაღლილი იყო, მაგრამ იძულებული გახდა ხალხისთვის ანგარიში გაეწია, დადგა ტრიბუნასთან, “თვალები ხატზე მლოცველივით აღაპყრო, ... კითხულობდა უჟესტიკულაციოდ, თავისი ბუნებრივი ხმით. მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა. კითხვა რომ დაამთავრა, სალონში დაბრუნდა. დარბაზში კი გამაყრუებელი ტაში გრიალებდა. — ბის! ბის! გაისმოდა განუწყვეტლივ. ბევრი ტაშს არ სჯერდებოდა, ფეხებს იატაკს სცემდა. დარბაზისელი მწერლების თხოვნის მიუხედავად, ტერენტი უარზე იყო, კვლავ გასულიყო დარბაზში და წაეკითხა

ლექსი. კონსტანტინე გამსახურდიაც მივიდა მასთან, მკლავში მკლავი გაუყარა, გაატარ-გამოატარა, ურჩევდა, ხალხისთვის ანგარიში გაეწია და კიდევ წარითხა ლექსი, მაგრამ ჩანდა, ტერენტი არ თან-ხმდებოდა” (იქვე, გვ. 189).

იმ დროს იოსებ გრიშაშვილის პოპულარობა ზენიტში იყო. მის გამოსვლებს ხალხი გამაყრუებელი ტაშით ხვდებოდა. რახან ტერენტი მეორედ არ გამოდიოდა, საღამოს თავმჯდომარებ ხალხის და-შოშინება იმით სცადა, რომ გამოაცხადა, ახლა ლექსს წაიკითხავს გრიშაშვილი, მაგრამ მოხდა საკვირველება: დარბაზმა იგრიალა: — არა ! გრანელი გამოვიდეს, გრანელიო... ტერენტი კი ალარსად ჩანდა, იგი მწერალთა სასახლიდან გაპარულიყო (იქვე).

ელიზბარ ზედგენიძე ადასტურებს, რომ ტ. გრანელს “20-იანი წლების ინტელიგენციაში და პოეზიით გატაცებული ახალგაზრდობის ერთ ნაწილში საკმაოდ სიმპათიური სახელი ჰქონდა მოპოვებული” (იქვე, გვ. 197).

1926 წ. ტერენტის დიდი ლიტერატურული საღამო ჩატარდა ზესტაფონის თეატრში. პოეტის შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდნენ დავით ზვიადაძე და გენო ქელბაქიანი. ტერენტიმ წაიკითხა ლექსები (იქვე, გვ. 204).

აპოლონ ქელბაქიანი იგონებდა: — “ტ. გრანელის გამოჩენა ქართულ პოეზიაში ასეთი პროფილით: “ტერენტი გრანელი მოდის სისხლიან სამარიდან” — დაუვიწყარია. ეხმაურებოდნენ ქართული შურნალ-გაზეთები, ყველანი ერთხმად იმეორებდნენ, რომ ტ. გრანელს უსათუოდ აქვს მომავალი. გამოიცა მისი ლექსთა მეორე კრებული და გრანელის გამარჯვებას დაესვა უკანასკნელი და საპატიო ნერტილი (იქვე, გვ. 209).

გრანელის სევდას ბაირონისა და ბარათაშვილის პოეზიასთან ახსენებს აპოლონ ქელბაქიანი და ამბობს: “ტ. გრანელმა დაიმსახურა სრული სიყვარული ქართველ ახალგაზრდებში. აქ სიძულვილი არ არსებობს და თუ არსებობს, უსათუოდ შურით” (იქვე, გვ. 21).

პოეტების მეფე გალაკტიონი განსაკუთრებით აფასებდა ტერენტის ნიჭის, მასთან მეგობრობას: “ტერენტი ჩემი მეგობარია, მაგრამ არა უბრალო მეგობარი, არამედ სულიერი და უდიდესი მეგობარი. იგი ხალასი ნიჭი და გენიაა, ბუნებით პოეტი, ჭეშმარიტი პოეტი” (იქვე, გვ. 214).

შალვა ნუცუბიძემ სპინოზაზე ლექსის კითხვისას ახსენა ტერენტი გრანელი: “მე არ მეგულება მეორე უფრო დიდი მისტიკოსი პოეტი, ვიდრე ტერენტი გრანელი და ზეპირად წარმოოქვა გრანელის სიტყვები: “მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაცდელიგან...”

“არცერთ მისტიკოსს ამაზე თამამი სიტყვა არ უთქვამს, დაუმატა თავის მხრივ პროფესორმა” (სერგი ჭილაია, იყო ერთი პოეტი, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 222).

კონსტანტინე კაპანელმა რომანტიზმში ფერების საკითხი რომ გააშუქა თავის ლექციაზე, ტერენტი გრანელის ცისფერი ნოვალისის, ბარათაშვილის, მეტერლინგის, ბლოკისა და გალაკტიონის გვერდით ახსენა: “და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან, მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე, და მოვა მწუხარება — ჩემი ლურჯი ფრინველი” (იქვე, გვ. 227).

გრიგოლ ცეცხლაძე იგონებდა: “ტერენტის სალამოები ხშირად იმართებოდა როგორც თბილისში, ისე პროვინციებში” (იქვე, გვ. 250).

ალიო მირცხულავა ადასტურებდა: “ხშირად ჩაგვიტარებია ლიტერატურული სალამოები გორში, სენაკში, ხორგაში” (იქვე, გვ. 251).

ლადო გუდიაშვილი ფიროსმანთან ახსენებს ტ. გრანელს და მათ გამორჩეულობას უსვამს საზა: “...ფიროსმანივით... საკუთარი ხელწერითა და სტილით გამორჩევა ტ. გრანელი ქართულ პოეზიაში. მისი გამეორება შეუძლებელია” (იქვე, გვ. 254).

ანა ნიკოლაძეს ასე დამახსოვრებია პოეტი: “ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს გვიყვარდა, ზეპირად ვიცოდით მისი ლექსები. ხშირად გარს ეხვეოდნენ მას სტუდენტები ქუჩაში. 1926 თუ 1927 ნ. ქუთაისის თეატრში ლიტერატურული სალამი მოუწყვეს, დიდალი ხალხი დაესწრო, იყო გულითადობა, სიყვარულის ოვაციები გაუმართეს. ტერენტი გაბრწყინებული იდგა სცენაზე” (იქვე, გვ. 255).

შალვა კეკელია აცხადებდა: “მაშინ ტერენტი უფრო იყო ცნობილი, ვიდრე გიორგი ლეონიძე და ბევრი სხვა პოეტი. განსაკუთრებით ახალგაზრდებს უყვარდათ ტერენტი. იგი ჩვენი დროის ახალგაზრდებს ჩვენი გულის მესაიდუმლედ მიგვაჩნდა...”

მისი ლექსები ევროპის რომელიმე დიდი ქვეყნის ხალხთა ენაზე რომ ითარგმნოს, მსოფლიო სახელს მოიხვეჭს. ტერენტის ძალიან სჯეროდა ამის” (მეც გრანელივით დავიწვებოდი, გივი ცქიტიმვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 12-13).

1926 ნ. ივნისში “ახალგაზრდა კომუნისტის” ზედიზედ სამ ნომერში დაიბეჭდა ტერენტის ფოტო და განცხადება მისი პოეზიის სალამოს გამო (იქვე, გვ. 34).

იურისტი იროდი ხარჩილავა ამბობს: “არც ჩვენში და არც სხვაგან... ახალგაზრდულ ასაკში არავის ღირსებია ისეთი დიდი დაფასება და საყვაელთაო აღარება, როგორიც ტერენტი გრანელს ერგო. ტერენტი გრანელის გულში ჩამწვდომი სიტყვებით კმაყოფილმა, მისი პოეზიით მოხიბლულმა საზოგადოებაშ თბილისის მო-

წინავე ინტელიგენციამ, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწების (ივანე გომართელი, კონსტანტინე კაპანელი და სხვათა) მონაწილეობით 1924 წელს მოაწყვეს ტერენტი გრანელის პოეზიის საღამო და გამოსცეს ოთხგვერდიანი გაზეთი “ტერენტი გრანელი”, რაც უნიკალური მოვლენაა პოეზიის ისტორიაში” (იქვე, გვ. 44-45).

პროფესორი მიხეილ კვესელავა აღნიშნავდა, ტერენტი გრანელის ლექსები ძალიან ცოტა, ან სულ არ იძეჭდებოდა, მაგრამ მისი ლექსი ზეპირად ვიცოდიო (იქვე, გვ. 183).

ტელევიზიისა და რადიომაუნიკებლობის სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ბუღალტერი სონია ოძელაშვილი ამონშებდა, რომ “ტერენტი გრანელი მოარულ ლეგენდასავით დადიოდა, ყველასგან გამორჩეული” (იქვე, გვ. 204).

სკოლაში მასწავლებლები მოსწავლეებში დიდ აგიტაციას უწევდნენ ტერენტის პოეზიას, უნიჭიერესი პოეტია, ეს ვანო სარაჯიშვილზე დანერილი ლექსითაც დაამტკიცა, უკეთესი ვერავინ შექმნაო (გვ. 221).

თუ როგორ ეთავყანებოდა ახალგაზრდობა ტერენტის პოეზიას, ეს იქიდანაც გამოჩენდა, რომ აბიტურიენტმა დარეჯან მეტრეველმა გამოცდაზე ქართულ პოეზიაზე საუბრისას შეუსვენებლად გააშუქა ტერენტის პოეზია და იქით შეუტია გამომცდელი პროფესორების დრომოქმულ აზროვნებას, რომლებიც ტერენტის ისევ მწერალებისა და სევდის პოეტად ნათლავდნენ (იქვე, გვ. 235).

საკანცელარიო ნივთებისა და წიგნების მაღაზიის გამგე ბეჭან სირბილაძე უდიდეს პატივს სცემდა ტერენტის და თავის კაბინეტში უმართავდა სუფრას (ცისფერი სიშორე, გვ. 418).

მუმტაიდის ბალის კლუბში ტერენტი გრანელის საღამოზე დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ტერენტიმ 10 თუ 15 დაუბეჭდავი ლექსი წაიკითხა. “ტერენტი ლექსებს დიდი გრძნობით კითხულობდა. მთელი ტანით ირხეოდა, თითქოს ილენებოდდა, სანთელივით იწვოდა... განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა ლექსმა “მიმართვა ხისადმი”.

ტერენტის ყოველ ლექსს, მის სიტყვებს დამსწრე საზოგადოება ხანგძლივი, მქუჩარე ოვაციებით ხვდებოდა...

საღამოს შემდეგ ყველას უნდოდა ტერენტისთან ახლოს მისვლა, გასაუბრება, მაგრამ ის სადღაც გაუჩინარდა (იქვე, გვ. 67).

ახალგაზრდობა, სტუდენტობა, ინტელიგენცია დად ინტერესს იჩენდა გრანელის პოეზიისადმი... ყველას აინტერესებდა ამ ლექსების ავტორის ცხოვრება, იგონებდნენ მას, კამათობდნენ მის პოეზიაზე და მიზეზიც ჰქონდათ (იქვე, გვ. 69).

კორნელი სანაძე წერს, “ტერენტი გრანელი ძალიან პოპულარული, ცნობილი პიროვნება იყო, მისი სახელი ყველას პირზე ეკერა. ბევრი მისი ლექსი ზეპირად ვიცოდით” (იქვე, გვ. 79).

ტერენტის დისმვილი უჩა კვარაცხელია იგონებდა, ბიძაჩემი თბილისიდან რომ ჩამოვიდოდა, ზუგდიდში საღამოებს უმართავდნენო (იქვე, გვ. 82).

თუმცა პოეტის ნეშტი დღეს დიდუბის პანთეონში განისვენებს, ვიდრე ეს მოხდებოდა, სანდრო შანმიაშვილს განუცხადებია: “სადაც ბარათაშვილია, ვაჟაა, ილია და აკაკი, სადაც გალაკტიონია და სიმონ ჩიქოვანი, რატომ არ უნდა იყოს იქ ტერენტი გრანელი? ეს აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ მომავალმა თაობებმა ნახონ და იფიქრონ, რა იყო მათ შორის საერთო, რით განსხვავდებოდა მათგან ტერენტი გრანელი” (იქვე, გვ. 93).

ტერენტი გრანელისთვის პოეზიის საღამო გაუმართავთ სოფელ პატარძეულშიც (იქვე, გვ. 112).

ლიტერატორ დარეჯან ვეკუას განცხადებით, 30-იანი წლების სტუდენტურ საზოგადოებაში ტერენტი გრანელი არ იყო ყურადღებას მოკლებული პოეტი და ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა მის პოეზიას (იქვე, გვ. 127).

უურნალისტი და პოეტი შალვა შაველაშვილი ერთად ახსენებს “იმ პერიოდის ორი ჭეშმარიტი პოეტის” — გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის სახელს (იქვე, გვ. 132).

ტერენტის უახლოესი მეგობარი, პროფესორი დავით კობიძე იყო მოწმე და თვითმხილველი ტერენტის აღიარების: “ტერენტი იმდროინდელ ახალგაზრდებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მისი ყოველი ლექსი ხელიდან ხელში გადადიოდა და დიდი მოწონებით სარგებლობდა” (იქვე, გვ. 178).

სილატაკე — პატარა ჯვარცმა

ტერენტი გრანელს იმთავითვე აემზავრა სილარიბე. ეს მის წინაშე ძნელად გადასალახავ ბარიერებს ქმნიდა, მაგრამ პოეტმა გაუძლო მძიმე ყოფით პირობებს, მიზანმიმართულმა, გაუტეხელმა ნებისყოფამ, ტიტანურმა შრომამ გონებრივი სრულყოფისა და შემოქმედებითი წინსვლისათვის ისეთი ნაყოფი გამოიღო, რომ უბრალო ოჯახის შვილი მსოფლიოს გენიოსებს გაუტოლდა. და თუ ამ ფაქტს (სილარიბეს) ხაზს უსვამენ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარები, იმიტომ, რომ ეს მთავარი გზამკვლევია იმათვის, ვისაც აინტერესებს შემოქმედის ფსიქოლოგია, შემოქმედებითი ტანჯვა, როგორც გარდაუვალი, მოუცილებელი ატრიბუტი ჩვეულებრიობაზე ამაღლებისა.

უბრალო გლეხის ოჯახში დაბადებულს, სახლი დაეწვა, მერე მამამ ფეხი მოიტეხა და სოფლის მეურნეობის გაძლოლა გაუჭირდა დაკოჭლებულს. ამიტომ აირჩია მეწალეობა. პოეზიის პრინცად შო-

ბილი ტერენტი იძულებული გახდა, მამას დახმარებოდა პროზაულ საქმეებში და ოჯახის ეკონომიურ პრობლემებში ხელი შეეშველებინა, განგება კი პოეზიის პარნასისკენ ეძახდა ოცნების შვილს.

18 წლის ჭაბუკი თბილისში ჩავიდა სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ გაჭირვების გამო სტუდენტი ვერ გახდა. ლექციებს კი ხშირად ესწრებოდა თბილისის უნივერსიტეტში.

ერთხანს რკინიგზის სადგურზე იმსახურა ვაფონების გადამბელად, ავტობუსზე — კონდუქტორად, გაზეთ “ახალი ნაკადის” რედაქციაში — შიკრიკად, გაზეთების მეცავად, თუმცა სამსახური არ იყო მისი მოწოდება, გამუდმებით პოეტურ ინსპირაციაში ჩართულს, თავისი მუზა ეძახდა...

მაგრამ ჰაერი ვერ გამოკვებავდა და საარსებო სახსარი უნდა ეძია, რაც იოლი როდი იყო. ლექსებიდან მიღებული შემოსავალი კაპიკები იყო, გაზეთებსაც ვერ ყიდულობდა.

ტერენტი თავიდან დასთან — მაშოსთან ცხოვრობდა. და კერავდა და იქიდან აღებული ფულით ტერენტისაც ეხმარებოდა.

როცა არჩილ კორინთელმა მისამართი სთხოვა ტერენტის, რომ დაგვჭირდე, სად მოგძებნოთო, პოეტმა უთხრა, რომ მუდმივი ბინა არა მაქეს, ხან ერთ ნაცნობთან ვარ, ხან მეორესთან, ზოგჯერ ნათესავთან ან თანასოფლელთან (არჩილ კორინთელი, ტერენტი გრანელი და უურნალი “კონოსის სარკე”, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984, გვ. 92).

ერთხანს ზაქარია ჭიჭინაძესთან იყო შეკედლებული, ორი წელი პოეტ დარია ახვლედიანთან.

მდიდრებისაგან ფულის სესხებას არ იკადრებდა, ისევ თავისიანებს მიმართავდა, როცა გაუჭირდებოდა.

“ტერენტი მეტად ამაყი, გოროზი და სიტყვაძუნწი იყო. სულ უჭირდა, სადილის ფული არ გააჩნდა, მაგრამ იშვიათად იცოდა ფულის თხოვნა. და თუ გთხოვდა, სულ მცირეს, რომ ერთი კერძი ეჭამა ნასესხები ფულით. როცა ფულს მიიღებდა (პონორარს), ხელგაშლით ხარჯავდა. უყვარდა მეგობრების გამასპინძლება, მაგრამ ასეთი შესაძლებლობანი... იშვიათად იყო”, იგონებდა ხარიტონ ვარდოშვილი (იქვე, გვ. 144).

მისი ნაცნობ-მეგობრები მიუთითებენ, რომ ტერენტის არ უყვარდა თავის მდგომარეობაზე წუნუნი.

ანა ლვინიაშვილი იგონებს, რომ ტერენტი “სახელგამის” ბუფეტში ანას ანგარიშზე “ვერაშკებს” ჭამდა, მაგრამ “საუზმის ხარჯში” ყოველთვის ლექსებს უტოვებდა (იქვე, გვ. 72-173).

ერთხანს პლეხანოვის ქუჩასთან ახლო, მთავარი ფოსტის პირდაპირ, ერთ პატარა დარაბაში ცხოვრობდა.

მისი ნაცნობები იხსენებენ აგრეთვე, სხვა ბინასაც, ბესიკის აღმართზე, პატარა ეზოში, აივნის ქვეშ საქათმისხელა ფიცრულ ოთახს, ერთი ხის ტახტით, ერთი სკამით.

ტერენტის მეგობარი, დრამატურგი გენო ქელბაქიანი ადას-ტურებს, რომ “ის იყო ნამდვილად ქუჩის შვილი. სადაც დაუდამდებოდა, იქ გაუთენდებოდა. არსად არ მსახურობდა, ფული არ ჰქონდა. დილით არ იცოდა, ისადილებდა თუ არა, შეუდღისას არ იცოდა, სად გაათევდა ლამეს” (იქვე, გვ. 24).

“მემენტო მორის” გამოცემაში საზოგადოებაში ფურორი გამოიწვია, მაგრამ ამას პოეტის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ წიგნის გაყიდვაში აღებულ ფულს უანგარიშოდ ხარჯავდა, თანაც დიდი რაოდენობით არ იყიდებოდა წიგნები. გამომცემელი თომა ჩიქვანაია კიცხავდა საზოგადოებას ამ გენიალური წიგნისადმი გამოჩენილი გულგრილობის გამო და ინტელიგენციას მოუწოდებდა, პოეტისადმი თანაგრძნობა ამ კრებულის ყიდვით მაინც გამოეხატათ. იგი იხსენებდა ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის მაგალითებს და საზოგადოებას ბრალს სდებდა საერთოდ მწერლებისადმი, კერძოდ კი გრანელისადმი გამოჩენილი უსულგულობის გამო (თომა ჩიქვანაია, მწარე სინამდვილე, იქვე, გვ. 148-150).

ტერენტი იძულებული იყო “შრომის ბირჟის” დახმარება მიეღლო (იქვე, გვ. 13).

ტერენტის და მაშო სამკერვალო ატელიეში მუშაობდა და უმუშევარ ძმას ფულით, ტანსაცმლით ეხმარებოდა. ტერენტი ჰონორარით წიგნს ყიდულობდა, ხან დალევდა, რაც გადარჩებოდა, ან მეეტლეს მისცემდა, ან უაზროდ დახარჯავდა. ზოგჯერ ახალ-ახალი ტანსაცმელი გადაუყრია წყალში, თითქოს ამძიმებდა... ვერ ურიგდებოდა სიყალბეს, ჭირის დღესავით სძულდა სიცრუე. თვრებოდა და ნერვებს იფუჭებდა, ამ დროს არც ჩხუბს ერიდებოდა ხოლმე, იგონებდა ზოზია (იქვე, გვ. 21).

განათლების მუშაკთა სახლში (შემდგომ მასწავლებლის სახლში) გაზეთებს კითხულობდა, შემდეგ ერთ-ერთ თავისუფალ საწოლზე წამოწვებოდა და დაიძინებდა. მას ხომ ბინა არ ჰქონდა და ხან სად ათევდა ლამეს, ხან სად... (იქვე, გვ. 61).

როცა სოფლიდან ჩამოსულმა დამ ტერენტის ბინის დალაგება-დასუფთავება შესთავაზა, ტერენტიმ უთხრა, შენი შემდეგი ჩამოსვლისთვის გადავდოთო, მერე კი გაირკვა, რომ იმხანად ბინა საერთოდ არ ჰქონია.

ერთხელ ზუგდიდში ჩასულს ცუდად ეცვა თურმე, ზოზიას გვარიანად გამოუწყვია. ბავშვივით გაიხარა, უყვარდა ჩაცმა, რა პატარა ყოფნიდაო, იგონებდა ზოზია.

“ტერენტი იყო თავაზიანი, ნამეტნავად გულუბრყვილო, მაგრამ უცარიბესი. ამიტომ ეცოდებოდათ მეგობრებს, პოეზიის მოყვარულებს და პირველად თავისით ეხმარებოდნენ. მერე კი თვითონ ტერენტიც არ ერიდებოდა მათვის კაპიკების გამორთმევას. თუკი საჭიროზე მეტს მისცემდნენ, უკან უბრუნებდა... ყოველთვის ცდილობდა პატივისცემის გადახდას. აიღებდა თუ არა ლექსის პონორარს, იქვე ხარჯავდა. მეტიც: ერთხელ როცა წიგნის პონორარი აულია, იქვე დაუტოვებია, გამოიყენეთო. სიამაყე კი თავისი გონების საკადრისი ჰქონდა” (ზოზია კვირკველია, საუბარი ძმაზე, ცისფერი სიშორე, თბ. 1998, გვ. 384-385).

ალ. სიგუა ხაზს უსვამს ტერენტის სიკოხტავეს, სისუფთავეს: “ჩემს ნაცნობ-მეგობრებში გამოიჩინდა არა მარტო თავისი პოეტური სახით, არამედ ჩაცმითაც. პოეტს ყოველთვის სუფთად და ლაზათიანად ეცვა, მის ფეხსაცმელს ჭუჭყი და ტალახი არ ეკარებოდა, მიუხედავად უამინდობისა” (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, იქვე, გვ. 402).

ალ. სიგუა გაკვირვებული კითხულობდა: “განა ვინმეს შეუძლია თქვას, რომ პოეტი თავის თავს უპატივცემლოდ ეპყრობოდა და არ იცვამდა ისე, როგორც პოეტს, საზოგადო მოღვაწეს შეეფერებოდა... ისეთი ბრწყინვალე კალიგრაფია ჰქონდა, რომ ყველა ჩვენს ცნობილ კალიგრაფისტს შეშურდებოდა” (იქვე, გვ. 417).

როცა ბინა გამოუყვეს, ისევ ძველებურად გააგრძელა ცხოვრება, გარეთ ყოფნა და თავისუფლად ხეტიალი ერჩია. ერთ ლექსში წერს ამაზე: “ახლა ბინა მაქვს საუკეთესო და მაინც მინდა მე ხეტიალი”.

ტერენტი არაპრაქტიკული, არაეკონომიური იყო. მისი “მემენტო მორი” კარგად იყოდებოდა, მაგრამ ტერენტის ყოველდღე მიჰქონდა ფული მაღაზიდან და უცბად ხარჯავდა, ვერაფერში ისარგებლა (იქვე, გვ. 124).

თანამედროვენი ტერენტის იგონებენ ზამთარ-ზაფხულ სატინის ხალათით, ფეხზე დახეული ჩუსტებით, საიდანაც თითები უჩანდა (იქვე, გვ. 129).

ხშირად მიუთითებენ მის მეტისმეტად უბრალო, ღარიბულ ჩაცმულობაზე, ნერენ, რომ “ის მეტისმეტად ღარიბულად ცხოვრობდა” (იქვე, გვ. 132).

აღნიშნავენ, “ხელმოკლე იყო და გაზეთის შესაძენი ფული არ ჰქონდაო” (იქვე, გვ. 147).

“ტერენტის თბილისში არაფერი გააჩნდა. ავადმყოფობისას დის ბინაზე მიდიოდა”, იგონებდა ალ. ჯაფარიძე (იქვე, გვ. 148).

“ტერენტი გრანელი პოეზიისთვის ნამებული დადიოდა, პოეზიას ემსხვერპლა და მათხოვარივით დაიღუპა”, განუცხადებია ლევან გოთუას სინანულით (იქვე, გვ. 156).

ტერენტიმ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები საბჭოს მოედანთან, მერკვილაძის ქუჩის 31-ში, კიბისქვემა საკანში გაატარა (იქვე, გვ. 173).

ბინა, სადაც ტერენტის და ცხოვრობდა, იყო “პატარა, საშინ-ლად ნესტიანი, ბნელი” (იქვე, გვ. 183).

ალექსანდრე გაბესკირია იგონებდა: “იმ დროს, როცა თბილი-სის ქუჩებში დენდივით ჩაცმულები დადიოდნენ უმაღლესი ინტე-ლექტის ევროპელები — ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ რობაქიძე, კონ-სტანტინე გამსახურდია, ლეო ქაჩელი, გერონტი ქიქოძე, როცა ყვე-ლას აოცებდა თბილისის ქუჩებში ისეთი პიროვნების გამოჩენა, რო-გორიც ხალხთა წარმოდგენით, ფრესკიდან გადმოსული ვასილ ბარ-ნოვი იყო, ანდა მხცოვანი მწერალი დავით კლდიაშვილი და ზოგიერ-თი სხვა,... მთის სოფლიდან ჩამოსული, სევდისა და მარტოობის რა-ინდი ტერენტი გრანელი თავისი აშკარად კონტრასტული ჩაცმულო-ბით, ხაზგასმული გარეგნული დაუდევრობითა და ახირებით თავად იპყრობდა ყველას ყურადღებას” (იქვე, გვ. 211-212).

მოგვიანებით, როცა ტერენტი აღარ იყო ცოცხალი, მის დას — მაშოს, რომელიც სენაკში იყო გათხოვილი, მდგმურისთვის ფული არ გამოურთმევია, საუზმითაც უმასპინძლდებოდა თურმე და ამ-ბობდა: “მე და ჩემს უბედურ ძმას, ტერენტის, ბინის გამო თბილისში იმდენი ტანჯვა, იმდენი დამცირება შეგვხვედრია, თუ არა მე, ვინ იცის, რა ძნელია მდგმურის ხვედრი, ბინის ქირას როგორ გამოგარ-თმევო!...” (იქვე, გვ. 228).

თვითონ ტერენტის პოეზიაში მრავალგზის არის დაფიქსირე-ბული სილატაკის ფაქტები, უბინაობა, ბოქემური ცხოვრების რეა-ლიები. ერთგან იტყვის: “წუხელ მეძინა სანაგვე ყუთშიო”.

მისი თანამედროვენი ადასტურებენ, რომ ღამეები გაუთევია ბალებში, სასაფლაოებზე, ეკლესიების სამრეკლოზე...

“რატომ ჩემი ცხოვრება დღეს არავის უკვირსო”, გულისტკი-ვილს ვერ ფარავდა.

ისიც ცნობილია, რომ პოეტს არ ჰქონდა განსაკუთრებილი ინ-ტერესი ჩაცმისადმი, მატერიალური ყოფისადმი.

ისტორიამ შემოინახა ერთი საგულისხმო ფაქტი.

პოეტი დაინტერესებული ყოფილა შალვა დადიანის ძმისშვი-ლით — ნინოთი და ხშირად იჯდა მისი სახლის გვერდზე, ეკლესიის ეზოში, ლექსიც უძლვნა თავისი ოცნების დედოფალს: “ქალი, რომე-ლიც ცხოვრობს ეკლესიის ეზოში”. ეს ფაქტი არ გამოპეარვია შალვა დადიანს და პოეტისათვის, რომელსაც მუდამ სატინის ხალათით ხე-დავდა, მეტად გულსატკენი შენიშვნა უკადრებია: “ჩაიცვით ყმანვი-ლო, ჩაიცვითო”.

ტერენტის წყენა ლექსის სტრიქონებში გამოუხატავს: “ბატონი შალვა, არათუ კაცმა, ბავშვმაც კი იცის ჭამა და ჩაცმა. შენ სიღა-ტაკეს არ იცნობ, ალბათ, რომელიც არის პატარა ჯვარცმა”.

ნისლშემოსილი (ტერენტი გრანელის ერთი თავისებურების შესახებ)

ტერენტი გრანელი 1918 წელს ჩამოვიდა თბილისში დაბა წალენჯიხიდან. ამ დროს მას გამოქვეყნებული ჰქონდა პუბლიცისტური წერილები, კორესპონდენციები, საიდანაც ჩანდა, რომ არ მოსწონდა სოციალ-დემოკრატები, რევოლუციონერთა სახელით მოვლენილი ბაზდების თარეში, მათი ურწმუნოება, ეროვნული დამოუკიდებლობის უგულებელყოფა. თვითონ სოციალ-ფედერალისტებს ემხრობოდა და გულის ფიცარზე ენერა “ენა, მამული, სარწმუნოება”, მამული კი მხოლოდ თავისუფალი, დამოუკიდებელი ეოცნებებოდა.

ახალგაზრდა ჭაბუკმა თბილისში იმთავითვე მოიხვეჭა დიდი სახელი. 1920 წელს პირველი პოეტური კრებული გამოსცა “პანაშვიდების” სახელწოდებით. დედაქალაქსა თუ რაიონებში გამართული ლიტერატურული საღამოებით ნამდვილი ფურორი მოახდინა, მრავალი თაყვანისმცემელი გაიჩინა. პოეზიის ქურუმად მონათლულს, გალაკტიონს ადარებდნენ და თვითონაც მხოლოდ გალაკტიონს თვლიდა თავის ერთადერთ მეტოქედ, სხვას არავის გაუყადრებდა თავს.

ტერენტი გრანელმა არა მარტო ორიგინალური ლექსებით აალაპარაკა საზოგადოება, მისი ჩაცმულობა, ცხოვრების წესი, გარემოსთან და ადამიანებთან ურთიერთობის სტილი აშკარად უპირის-პირდებოდა დოგმატურს, რუტინას, სტერეოტიპებს. თუ მისი არა-ორდინარულობა აღიზიანებდა მედროვეთ, მეშჩანთ, კარიერისტებს, თავისუფალი სულის ახალგაზრდობას, რომელიც შაბლონს ებრძოდა, მონური მორჩილების არტახების მსხვერევს ცდილობდა, ბუნებრივია, დისიდენტურად მოაზროვნე ჭაბუკი ეხმარებოდა პიროვნული თვითდამკვიდრების რთულ გზაზე, სულის ზრდის, ზნეობრივი განწმენდის იდეალს ხედავდა იმ დროს სნობებთან, ნიღბიან ინტელიგენციასთან დაპირისპირებულ პოეტში. აშკარა იყო, რომ ტერენტი გრანელის პოეზია და პიროვნება, მისი მორალური უპირატესობის გრძნობა, რომელსაც ის აშკარად ავლენდა, არავის სტოვებდა გულგრილს. ხალხის თვალით, ტერენტი გრანელი იყო უცნაური, საოცარი, პირდაპირი, თამამი, სულიერი გნომების მქონდავი და სულ სხვა ზნეობის, სულ სხვა სიმაღლის ადეპტი. მომხრე, თაყვანისმცემელი, ტაშის დამკვრელი მრავალი ჟყავდა, არანაკლებ შურიანნი, მი-

სი სიდიადით ძილგამფრთხალნი და გაღიზიანებულნი... თბილისს და პროვინციას ახსოვდა და ახსოვს მისი გარეგნობა, ჩაცმულობა, ქცევის მანერა, მიხვრა-მოხვრა, ხმა, ინტონაცია, კონფლიქტები კოლეგებთან, ხელისუფლებასთან, მისი სკანდალური ისტორიები, ციხეში, საავადმყოფოში გატარებული წლები, შეუსვენებელი ხეტიალი ბალებში, ქუჩებში, სასაფლაოებზე, უდაბურ, უადამიანო ადგილებში.

ტერენტი გრანელი იყო დიდებით, ნათელით, მზითშემოსილი პოეტი. ამავე დროს, „შემენტო მორის“ ავტორს ებურა გაუცხოების ნისლი, ლეგენდების რიდე, ჭორების ტალახი. სიცოცხლეშივე გაიდუმალებულს, თვით მეგობრებიც უცხოდ აღიქვამდნენ,... იგი “უცნობის, ფარულის”, “უცნობი სფინქსის” ნიღბებით ევლინებოდა თანამედროვეობას.

დიდების ზენიტიდან, პოეზიის ოლიმპოდან დაქანებული და გიუის ეპითეტით მონათლული, ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტად ქცეული და იძულებით მეურნალობას დაქვემდებარებული, საშინელებით მოწამლული, დევნილი, შერისხული, გაძარცული, უჩუმრად, უპროცესიოდ დასაფლავებული, დავიწყების მტვერნაყრილი ტერენტი გრანელი მაინც ამარცხებს სიკვდილს. თავისი ეპოქის მიერ უგულებელყოფილი პოეტის დრო დგება და სიცოცხლეში მათხოვრად, გლახაკად სახელდებული, უბინაო, უთავსასოუმლო, გვიან, მაგრამ მაინც გაბრძყინდება ნათლის სვეტივით და უკვდავთა თანავარსკვლავედში დაიდებს ბინას, დიდუბის პანთეონის მკვიდრი ხდება (ზოგიერთები მისთვის უფრო შესაფერისად მთანმინდის პანთეონს მიიჩნევენ), იხსნება მისი სახლმუზეუმი წალენჯიხაში, მისი სახელით ინათლება თბილისის, მშობლიური დაბის ერთ-ერთი ქუჩა, არსდება ტერენტი გრანელის საზოგადოება, იწყება ფიქრი მისი ძეგლის შექმნაზე, რასაც ხორცი ესხმება კიდეც, იწერება წერილები, მონოგრაფიები, დისერტაციები, მოგონებები, ინგლისურად, ფრანგულად ითარგმნება მისი ლექსები და მყარ ნიადაგზე დგება მეცნიერების ახალი დარგი — გრანელოლოგია.

და, მიუხედავად ასეთი ინტერესისა, ძალისხმევისა, მაინც კითხვის ნიშნებით არის დასერილი მისი ცხოვრების მრავალი ფაქტი, მრავალი მოვლენა, მისი ფსიქოლოგია, ხასიათი, ქცევები. მაგრამ, რაც მთავარია, იგი არასოდეს არის ყალბი, მანერული, მისთვის უცხოა თვალთმაქცობა, მედროვეობა, კომპრომისი ამა ქვეყნის ძლიერებთან, დროის მიერ აღზევებულ ყვარყვარეებთან დათმობა, პირიქით, მუდამ შეურიგებელი, უკეთურებთან დაპირისპირებული, გამბედავი და მართალია ყოველთვის, რითაც იმრავლებს მტრებს. “დამფასებლის სამოსელში” გახვეულ მტრებს უტყუარად ცნობს და ჯალათთა მახვილისთვის უშიშრად მკერდის შეშვერას უდრის ბევრჯერ მისი სულიერი ამბოხი და პროტესტის მრავალნაირი გამოვლენა.

მოკლედ, ტერენტი გრანელმა სულით ხორცამდე შეძრა და ააფორიაქა მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული სინამდვილე. მისი გავლენა იმ დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე განუზომელია, ვინაიდან იგი იყო მებრძოლის, უშიშარი რაინდის, ზნეობრივი გმირის, ქვეყნის ჭირისუფლის, სულის გადამრჩენის, ჭეშმარიტი ფასეულობების მცველის იდეალი.

რამდენი რამ არის მის ცხოვრებაში დაფიქრების, განსჯის, გათვალისწინების ღირსი, პოეტის სულიერ სამყაროში შესვლისათვის გზამკვლევი და ამაფორიაქებელი.

გამოჩენილ ადამიანთა თავისებურებები... რომ არსებობდეს ჩვენში (უცხოეთში, ცხადია, ბევრია) ასეთი წიგნი და აღნუსხული რომ იყოს ტერენტი გრანელის პიროვნული “უცნაურობები”, იგი გინესის წიგნში იპოვიდა ალბათ ადგილს, თანაც უკეთესად შეგვაცნობინებდა “უცნობი სფინქსის” განუმეორებელ პოეტურ სამყაროს.

ვფიქრობთ, ამ უცნაურობებს წითელ ზოლად გასდევს უბოდიშობამდე მისული პირდაპირობა, სიმართლე, რაც ვლინდება ნაცნობ-უცნობებთან ურთიერთობაში, ხოლო მისი ცხოვრების წესში გამოვლენილი არაჩვეულებრიობა ბუნების, ადამიანების, სამყაროს ღრმად შეცნობის მიზანს ემსახურება.

გავბედავთ და ვეცდებით სხვათა მოგონებების გამოყენებით კიდევ ერთხელ სპეციალურად შევეხოთ ამ პრობლემას.

ტერენტის ერთ-ერთი უცნაურობათაგანი იყო მისი ხეტიალი სასაფლაოზე.

“აედევნებოდა სამგლოვიარო პროცესიას, განმარტოებით, მეკრდზე ხელებდაკრეფილი, დაღონებული... მას შეეძლო ასე გაეცილებინა დღეში თუნდაც რამდენიმე ასეთი სამგლოვიარო პროცესია, თუკი საღმე წააწყდებოდა, უთუოდ ბოლომდე გაჰყვებოდა, დადგებოდა უკვე მიწით ამოვსებულ მიტოვებულ სამარესთან, ჩასცექროდა მიწას და იტანჯებოდა” (გენო ქელაშვილი, “ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა”, კრებული, “ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია”, თბ. „ნაკადული”, 1984 წ. გვ. 22-23).

ზაქარია ჭიჭინაძე ტერენტი გრანელს “სასაფლაოების ყეინს” ეძახდა (იქვე, გვ. 26).

პოეტის მეგობარი დავით კობიძე იგონებდა: “თბილისა და მის გარეუბნებში არ არის დარჩენილი არც ერთი სასაფლაო, არც ერთი ტაძარი, სადაც მას არ შეევლოს. მის ლექსებში პეტრე-პავლეს სასაფლაოც იხსენება. რა იცოდა მან, რომ მისი სამარე სწორედ ამ სასაფლაოზე გაითხრებოდა” (იქვე, დავით კობიძე, მოგონებები ტერენტი გრანელზე, გვ. 115).

სასაფლაოებისადმი პოეტის ინტერესზე მიუთითებს ვლადიმერ ნორაკიძე: “იგი ხშირი სტუმარი იყო ბალების, სასაფლაოების.

პეტრე-პავლეს ეკლესის ეზოში ზარების რეკვას უსმენდა. ხშირად აქ, ლია ცის ქვეშ იძინებდა” (იქვე, გვ. 136).

ვლ. ნორაკიძე საუბრობს იმის შესახებ, რომ გრანელის პოეზია “ამხედრებაა მელანქოლიით, პოეტის სისხლით, ცრემლით, მიცვა-ლებულებით, კუბოთი, კვირეების ზარების რეკვით” (იქვე, გვ. 138).

როგორც ჩანს, პოეტი თავის „მესამე გზაზე”, სიკვდილის იდუ-მალებაზე სასაფლაოებთან მდგარი უკეთ ფიქრობდა.

“ალბათ კუბოები ლამობდნენ ამოსვლას სამარიდან, რომ ეხი-ლათ ტერენტი გრანელი, როცა ის წერდა „გულიდან სისხლის წვე-თებს”, წერდა გიორგი რუხაძე (იქვე, გვ. 141).

გრიგოლ შავიშვილი მიუთითებს, რომ ტერენტი გრანელს ახა-სიათებდა “ლტოლვა სამგლოვიარო პროცესისადმი. იმ დროს და-მარხვა ხდებოდა სამხედრო ორკესტრის თანხლებით. ერთხელ ვი-ლაც უცნობი მიაცილა ნიკოლოზის სასაფლაოზე” (იქვე, გვ. 153).

პოეტმა ვარლამ რუხაძემ ტერენტისადმი მიძღვნილ ლექსში მის ამ თვისებას გაუსვა ხაზი: “შენს ღრმა თვალებში სიკვდილი ზის ჩინჩხად ქცეული და მღერი მუდამ საფლავების ბნელ მისტერიას” (იქვე, გვ. 182).

ტერენტი გრანელი ფიქრობდა სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმ-ლოებაზე და ზიზღს ჰევრიდა ზერელე ადამიანების უსაგნო აღტა-ცება: “ადამიანს, რომელიც სულ გახარებულია და ხბოს აღტაცებით შერცყურებს ქვეყანას, რაღაც დიდი რამ აკლია. ყველა ნორმალურ ადამიანს მეტნაკლებად სევდის გრძნობა აქვს. ვის არ ჰგვრის წუ-ხილს სიკვდილის გახსენება, იმედების განბილება, დამსხვრეული ოცნებანი?” (იქვე, გიორგი კაჭახიძე, ვისაც უნდოდა გაფრენა (ცის-კენ, გვ. 188).

პოეტის ყველა თანამედროვე აქცენტი აკეთებდა მის აკვიატე-ბულ ინტერესზე სასაფლაოს, უცნობი მიცვალებულებისადმი: “უყ-ვარს სასაფლაოზე სიარული, საფლავთა შორის ხეტიალი, დასაფლა-ვებაზე დასწრება. ხშირად აედევნება მგლოვიარეთა მდუმარე პრო-ცესიას. არ კითხულობს, ვის ან სად ასაფლავებენ. თვითონაც ამ გლოვის ჩუმი მონანილე ხდება. უყვარს სამგლოვიარო მარში და სა-ეკლესიო გალობა...” (ზემოხსენებული კრებული, თამაზ ბორელი, ტერენტი გრანელი ცხოვრებაში, გვ. 194).

ტერენტი გრანელი სერგი ჭილაიას ურჩევდა თურმე: “ვისაც სიკვდილი სიცოცხლეში არ უგრძვნია, იმან ცხოვრებისა არა იცის რა. მე შენ გირჩევ, ხშირად იარო პანაშვიდებზე, გასვენებაზე, სა-საფლაოზე...” (იქვე, სერგი ჭილაია, იყო ერთი პოეტი, გვ. 239).

ფრიდონ ნაროუშვილი, პროლეტარული პოეზიის გნომი, დას-ცინოდა ტერენტის რელიგიური სახეების გამო, ხარაჩოებზე დგო-მას, ხვნასა და მკაში გლეხის გამნევებას ურჩევდა და კიცხავდა:

“...შენ კი ეკლესიებში და სასაფლაოზე დაბორიალობ, დედაბერივით ლოცულობ და მოთქვამ” (იქვე, გვ. 245).

ტერენტის ამ “უცნაურობას” სწორად ვერ იგებდნენ მისი თანამედროვე, პროლეტარული პოეზიის წარმომადგენლები, რევოლუციისა და სოციალისტური აღმშენებლობის მეხოტბენი. ალიო მირცხულავამ ტერენტი სამი წლით შეიფარა, ადამიანური სითბო და ყურადღება არ მოაკლო, მაგრამ მათი მსოფლმხედველობის სხვაობამ მაინც იჩინა თავი შემოქმედებაში. ალიო პოეტი გააკრიტიკა სასაფლაოს, სიკვდილის თემის აკვიატების გამო: “გულამოსკვნილი ტირის გრანელი, ჩვენში მეორედ მოსული ქრისტე, უძნო, უღონო, დაუბანელი მათხოვარივით საფლავებს მისდევს” (მე და ბარათაშვილი).

ტერენტი გრანელი არად აგდებდა სხვათა ქირდვას.

იგი ისევ დაეხეტებოდა სასაფლაოებზე, გლოვობდა “მკვდარ” (თავისუფლებადაკარგულ) საქართველოს: “და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია”. ეს სტრიქონები იმდროინდელი შემზარავი ვითარების ანარეკლია, ქვეყნის მტარვალები სამშობლოსთვის დაცემულ რაინდებს, რომლებიც ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიჭრნენ, ცოცხლად მარხავდნენ...

ასევე, ტერენტის მოუნახულებია წყაროს ქუჩა, სადაც 1924 წ. გამოსვლების მონაწილეთა დიდი ჯგუფი დახოცეს. იმ ადგილზე მაშინ გაძლიერებული დაცვა იდგა, რომ ახლოს არავინ მისულიყო. ტერენტის მაინც გაურღვევია დაცვა და აკანკალებული უყვებოდა ალექსანდრე გაბესკირიას: “იქ ვიყავი წუხელ! დაცვას დავუსხლტი ხელიდან! იცი, საკუთარი თავი შემჯავრდა. ისეთი რბილი იყო მინა, ფეხები შიგ მეფლობოდა. ფეხქვეშ ადამიანის სისხლის სუნი მცემდა. მეგონა, მეც იმ სისხლიან მინაში ვეფლობოდი... გამოვაღნიე!... მაგრამ, ხომ ხედავ, მთელი ღამე არ მიძინა” (გივი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბ. 1990 წ. გვ. 213-214).

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ შთააგონა თავისი ახალი წიგნის სათაური: “მემენტო მორი!” (გახსოვდეს სიკვდილი!), რომელიც იყო მტარვალთა გაფრთხილება. პოეტი შეახსენებდა სისხლიან ტირანებს სიკვდილის გარდუვალობას.

ტერენტიმ წითელარმიელთა სახლში დაბნელებულ დარბაზში, სუსტი სანთლით განათებულ მაგიდაზე თავისი მინიატურა “სიკვდილის შემდეგ” წაიკითხა, რომელიც იყო წინასწარი ჭვრეტა თავისი მომავალი სიკვდილისა, უცრემლო გასვენებისა, უცერემონიო დასაფლავებისა და უკვდავებისა, მსმენელმა ვერ გაუძლო მოზღვავებულ ემოციას და ყვიროდა: “გააჩუმეთ! გააჩუმეთ!” (გენო ქელბაქიანი, ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა).

მედროვენ და ზერელენი ლიზიანდებოდნენ ტერენტის პიროვნებით, პოეზიით, ვერ ისვენებდნენ, მის გენიალურ წიგნს, “შავ

წიგნად” სახელდებულს, მწერალთა კავშირში სახალხოდ აფრიალებ-დნენ, უშვერად კიცხავდნენ მის ავტორს.

ტერენტი გრანელი კი მიღმურს “ლია თვალებით” ხედავდა, სიკვდილისათვის მზადებას გვასწავლიდა, სიცოცხლეში სწორი გზების გაგნებას შთაგვაგონებდა... მისი მგლოვიარე ლექსები, სიკვდილის სიმღერა აღაფრთოვანებდა მკითხველს და წარმავალი სიცოცხლის გონიერი გამოყენების, სიკვდილის დამარცხების იდეით მსჯვალავდა.

მან შექმნა ახალი “მიცვალებულის დღიური”, ახალი გარდაცვალების სახელმძღვანელო, სიცოცხლისა და სიკვდილის საზოგადოებრივი განვითარება, მაგრამ ფუჭად მოზეიმე საზოგადოებამ, რომელიც ხელისუფლების ტერორს აფეტიშებდა, სისხლზე, ცხედრებზე დააბიჯებდა და ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს სამოთხეს არქმევდა, ვერაფერი გაუგო ტ. გრანელის გენიალურ ხილვებს...

პოეტმა დალანდა სიცოცხლის ბოლო, სიკვდილის ყვითელი მანტია, ბედის მწვერვალი, იგრძნო, რაც იქნებოდა სიკვდილის შემდეგ, ინამა სულის უკვდავება, სულის ზრდა და გონის მარადიულ ღვიძილს უწოდა “გამოღვიძება გარდაცვალების შემდეგ”...

შემთხვევითი ალბათ არც ის იყო, რომ მან საქართველოს სახალხო მხატვარს კორნელი სანაძეს ასეთი უცნაური სურვილი გაუმნილა: “მინდა დამხატო უჩვეულოდ. სურათს დავარქმევთ “აგონიას”, რომელზედაც გამოხატული იქნება სასაფლაო მთვარიან ღამეში, სადაც ჯვართან უფსკრულისკენ მიმათრევს სიკვდილის ჩონჩხი, მე არ ვემორჩილები და ძალით მიმათრევს” (ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 260).

მხატვარმა მეგობარ პოეტს თხოვნა შეუსრულა.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ტერენტი გრანელის შემოქმედებაში თვითმკვლელობის მოტივიც გვხვდება. ბუნებრივია, ამ პრობლემების თანმხლებია გლოვა, ცრემლი. პოეტს სიკვდილს ანატრებინებდა ბნელი დრო: “მე ვტირი ქვეყნის უკულმართობას და ჩემს დაღუპვას აუცილებელს, ველი უცემ გამოსროლილ ტყვიას, ეს დრო სიკვდილს მავალებს, ო, ეს დროა ჩემი მკვლელი, ვიყავი დროს წინ, ვიყავი მსხვერპლი...”

ტერენტი გრანელმა დაამარცხა სიკვდილის ტრაგიზმი, რადგან დარწმუნებული იყო სულის მარადიულობაში. იგი იზიარებდა გარდასხეულების თეორიას და სიკვდილშიც ნუგეშს პოულობდა.

ტერენტი გრანელის ჰადესთან დაკავშირებული ხილვები მაინც ამშვიდებს სულს, უფრო მეტიც, იგი ერთგვარი ფსიქოთერაპიის როლსაც ასრულებს, თრგუნავს ამ პრობლემით გამოწვეულ შიშს და საბოლოოდ მაინც ამქვეყნიური ცხოვრების აზრიანად გატარების მიზანს ემსახურება...

ასე რომ, პოეტის გაბედული განაცხადი: “ტერენტი გრანელი მოდის სისხლიან სამარიდან”, მაინც გაითავისა მკითხველმა და მიხ-ვდა, რომ ამ ფიქრს, ამ თემას ტაბუს დადება კი არა, გაცნობიერება სჭირდება.

“მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქ-რდება”, ამბობდა პოეტი. მართლაც, მისი საფლავი დასტურია პოე-ტის მარადიულობის, სავანეა აზრი, ღრმა განცდების.

ცნობილია, პოეტმა იწინასწარმეტყველა საკუთარი სიკვდილის თვე, რიცხვის განსაზღვრაში კი ხუთი დღით შეცდა (გივი ცქიტიშვი-ლი, ტერენტი გრანელმა საკუთარი სიკვდილი თითქმის ზუსტად იწი-ნასწარმეტყველა, გაზ. „ვერსია”, 2001, 5-11 ნოემბერი, გვ. 27).

“და საფლავები მე წინ მიმიდლვის, ნუხელ სიზმარში მიმიძლო-და ჩემი ცხედარი” — ასეთი ღრმააზროვანი განცხადების გაკეთება მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. მართლაც, მისთვის საფლავი და ცხედარი გახდა უკვდავების გზაზე წინამძღვარი...

ტერენტიმ ძალზე განიცადა ბელა დადეშქელიანის ტრაგიკუ-ლი სიკვდილი, მგლოვიარემ გააცილა სასაფლაომდე, ხალხი რომ და-იფანტა, საფლავზე ერთი ბოთლი ღვინო დაასხა და თქვა: “აი, ეს არის ჩვენი ბოლო და ამ ქვეყნის სიმბოლო” (იქვე, გვ. 263).

“ნებისმიერ პროცესის გაჰყვებოდა. ყველა რომ წავიდოდა, 15-20 წუთს თავდახრილი იდგა უცნობის საფლავთან და ცხარე ცრემლებით ტიროდა”, იგონებდა ლეო ხომერიკი” (გივი ცქიტიშვი-ლი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 129).

ტერენტის ლექსი “ალლიდი ოტო” დაწერილია ერთ გარდაც-ვლილ გერმანელ, პოეტისთვის უცნობ ქალზე. გერმანელთა სასაფ-ლაოზე, რომელიც ამჟამად გაუქმებულია, შენიშნა ერთი ლამაზი ქა-ლის მარმარილოს ძეგლი, რომელიც პოეტს ძალიან მოეწონა და ამას აღნიშნული ლექსიც უძლვნა (დავით კობიძე, მოგონებები ტერენტი გრანელზე, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 123).

ნიკოლოზ კევლიშვილი იგონებს, რომ ტერენტიმ კუკიის სა-საფლაოზე ალლიდი ოტოს საფლავთან ლექსი თქვა და ატირდა, თითქოს მლოცველი ღალადებდა. ამ დროს ზარების რეკვა გაისმა (იქვე, გვ. 178).

ხშირად ნახულობდა კლავდია ზელინსაკაიას მიტოვებულ საფლავს.

ნოე კობახიძე (დაფნარელი) იგონებდა, 1927 წ. როგორ დადი-ოდა ტერენტი გრანელი დიდუბის პანთეონში საფლავებს შორის, როგორ შეჩერდა ბარათაშვილის, არაგვისპირელის საფლავებთან (იქვე, გვ. 75).

სხვა დროსაც უნახავთ პოეტი შუადლის სიცხეში “საფლავებს შორის ეულად მოხეტიალე” (იქვე, გვ. 125).

მოგვიანებით, 90-იან წლებში, როცა ტერენტის სახელმა ისევ გამოაღწია დავიწყების ბურუსიდან, მისი საფლავი პოეტის მარადი-ულობის საბუთად იქცა. ექიმმა თამარ აბულაძემ მისი საფლავი რომ მოინახულა, ასეთი სიტყვებით დაიტირა ცხოვრებაში გაუხარელი ტერენტი: “შენს საფლავს შემოვევლე, ერის საამაყო შვილო, ჩვენი მასახელებელო პოეტო !” იქვე თქვა პოეტის დაუბეჭდავი ლექსი; “ჩუმი ლანდივით დავდივარ, პერანგად დარდი მაცვია, სიცოცხლე ჩვენი სცენაა, ცხოვრება დეკორაცია” (იქვე, გვ. 206).

როცა ტერენტის ცხედარი პეტრე-პავლეს ეკლესის ეზოდან დიდუბის პანთეონში გადაასვენეს, ორივეგან აკურთხებინეს საფლავის მიწა ამ ღონისძიების მესვეურებმა, ხელები დაუკაცნეს მღვდელს, მესაფლავებს, ფულიც შეაძლიეს, მაგრამ მათ უთხრეს: “ტერენტი წმინდანი იყო, განსაკუთრებით ჩვენი (პეტრე-პავლეს) ეკლესისთვის და ფულს როგორ ავიღებთო” (იქვე, გვ. 266).

ტერენტი გრანელის საფლავი დღეს გონიერაგახსნილთა, პოეზიის თაყვანისმცემელთა შესაკრები ადგილია, რომელიც აზრს უნათებს ყველა მაძიებელ ადამიანს.

წინასწარმეტყველური გამოდგა გალაკტიონის განაცხადი: “ტერენტი საფლავიდან გაუნათებს კაცობრიობას, ყველას, ვინც კი დაბადებულა და საფლავში წავა, ”სცდების და სცდების სიკვდილსა, ვინ არ მოელის წამისად” (სერგო უვანია, მოგონება ტერენტი გრანელზე, ხელნაწერი გაგვაცნო მამანტი როგავამ).

ტერენტის ლოზუნგი იყო: “არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ არამედ რაღაც სხვა,... მესამე გზა...” იმ დროს, როცა რევოლუციურ იდეებს მსახურებდა ხელისუფლება და მისი დამქაში მნერლების არმია, “ეს ლოზუნგი რევოლუციური საქართველოს რომანტიკული წლებისთვის უცნაურიც იყო და მოულოდნელიც” (იქვე, სერგი ჭილაძა, გვ. 226).

კორნელი სანაძემ “პოეტის გარდაცვალების გამო ლექსი დაწერა: “სანთელი, რომელიც არ ჩამქრალა”.

რუსთაველზე გენო ქელბაქიანმა, დავით კობიძემ, მხატვარმა ვლადიმერ ლემონჯავამ გაიხსენეს ტერენტი, მერე სასაფლაოზე წავიდნენ ორი ბოთლი ლვინით, მიხაკებით. საფლავი განმინდეს, თითო ჭიქა დალიეს და დაღონებული დაბრუნდნენ (იქვე, გვ. 263).

ტერენტის საფლავს, მეუფე შიოს თქმით, უვლიდა კონსტანტინე გაჩეჩილაძე, ტერენტის მეგობარი, რომელიც სონეტში მოიხსენია. იგი ეხმარებოდა უურნალ “კრონისის სარკისა” და გაზეთ “იას” გამოცემაში.

ტერენტი გრანელმა გამოარღვია დავიწყების უფსკრული, 1961 წელს მისი კრებული წინასიტყვაობით გამოსცა ელიზბარ უბილავამ, 1972 წელს ლერი ალიმონაკის რედაქტორობით გამოვიდა ტერენტის წიგნი, 1979 წელს უფრო სრულ, ისევ ალიმონაკის რედაქ-

ტორობით დაბეჭდილ წიგნს და მისი ავტორის ტრაგიკულ ცხოვრებას რომ გაეცნო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, აღტაცება ვერ დაფარა ერის სულიერმა მამამ და განაცხადა: “ეს მართლაც წმინდანი ყოფილა”, დალოცა ტერენტისთვის დამაშვრალი მკვლევარი, რედაქტორ-გამომცემელი და უთხრა: “დალოცვილი იყავ, შვილო, კეთილი საქმე გიქმნია ქვეყნის-თვისაც და შენთვისაც” (ლერი ალმონხავი, გრანელის ლანდი, თბ. 1998, გვ. 85).

ტერენტის წმინდანად აცხადებდნენ პეტრე-პავლეს ეკლესის მღვდელი და მესაფლავები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს პოეტის დიდუბის პანთეონში გადასვენების საქმეში (იქვე, გვ. 266).

გაბეჭული, პირდაპირი

“უცნაურობათა” სერიალში, ტერენტის სახელს რომ დაუკავშირდა, ეტლისადმი პოეტის სიყვარულსაც უსვამენ ხაზს.

გენო ქელბაქიანი გვამცნობს: “თუ ფული ჩაუვარდებოდა, ეტლს იქირავებდა, ოპერის თატრთან ფეხზე წამოდგებოდა და მაღალი ხმით გადასძახებდა იქ შეკრებილ პოეტებს: მე გახლავართ ტერენტი გრანელი!

ისინი მუშტებს მოუღერებდნენ: უყურეთ ამ თავხედს, რამდენს ბედავს, გასალახავია!“ (გენო ქელბაქიანი, ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა, მოთხოვნები სინამდვილიდან, თბ. 1975 წ.).

ერთ ლექსში ტ. გრანელი ამბობს: “შსურს გაქანება და მინდა ეტლი”...

ამ გამომწვევი პოზით საკუთარ თვითდაჯერებას ავლენდა პოეტი. სხვაგან აცხადებდა: “გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით” ... კარეტა, ეტლი, გემი ალბათ უფრო სიმბოლური სახეებია, წარმოსახვებთან, სულის ქროლვასთან დაკავშირებული. მეტლე, ეტლით ქროლვა ხომ გალაკტიონისთვისაც ორგანული იყო (გურიის მთები). “დააჯდებოდა ზემელზე ეტლს, უკანასკნელ გროშებს გადაუხდიდა, სასადილოში კი უფასოდ სადილობდა” (გრიგოლ კოპაძე, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 250).

იმ დროს, როცა ხელისუფლებამ გულში ჩაიხუტა თავისი დაქირავებული, დამქაში პროლეტარული მწერლები და კაბინეტებში სავარძლებზე მოაკალათა, ტერენტი გრანელი, უბინაო, უთავშესაფრო, ეკლესიების სამრეკლოებსა და ბალებში, ზოგჯერ სანაგვე ყუთშიც იძინებდა (წუხელ მემნა სანაგვე ყუთში)...

განსაკუთრებით კონფლიქტური დამოკიდებულება ჰქონდა ტერენტის მთავრობის ფავორიტ მწერლებთან. იგი თვლიდა, რომ

მათი უურნალის სახელწოდება — “პროლეტარული მწერლობა” აშ-კარად მცდარი იყო, მას უნდა ერქვას “მწერლობა”, უკმაყოფილოდ ამბობდა (გივი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 46).

იგივეს ადასტურებს საქართველოს სახალხო მხატვარი კორნელი სანაძე: “პროლეტკულტელები არ მოსწონდა. ფიზიკურად ვერ იტანდა მათ და ხშირად მარტო იყო” (იქვე, გვ. 79).

ასევე, არ უყვარდა კომიკაშირლები, მათში მედროვე ადამიანებს ხედავდა. გიორგი კომახიძე იგონებს: “ერთხელ საყვედურით მითხრა, რაც კომიკაშირლები გაჩნდით, ჩემი საქმე დაიღუპაო” (იქვე, გვ. 188).

ცდებიან ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ტერენტი მთლიანად აპოლიტიკური იყო. საპირისპიროს მეტყველებს მისი პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც აკრიტიკებს რევოლუციონერთა ყაჩაღურ ბაზდებს, სოციალ-დემოკრატებს და ემხრობა სოციალ-ფედერალისტებს.

პროლეტარული პოეზიის ნარმომადგენლები მის ლექსებში მისაღებს ვერაფერს ხედავდნენ. ნიკა აგიაშვილი, რომელიც აფასებდა ტ. გრინელს, აღნიშნავს: “მხოლოდ პროლეტმწერალთა წრიდან იყვნენ ტერენტიზე მეტისმეტად უკიდურესი შეხედულების. მას-სოვს, ერთხელ, საუბარში, ქართველ პროლეტმწერალთა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა: “ტერენტი გრანელის პოეზიას მტვერი უნდა წავაყაროთ, მისი ლექსები მოკლებულია ყოველგვარ ჯანსაღსა და საიმედო პერსპექტივას, ახალგაზრდობას დაცემისაკენ მოუწოდებს და ამდენად ძირფესვიანად უნდა ამოვძირკვით მისი ცრემლიანი ლექსებით” (ნიკა აგიაშვილი, “ჩვენი ტერენტი”, გივი ცქიტიშვილი, “ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების”, გვ. 99-100).

ბიძინა ბარათაშვილის თქმით, “საოცრად ამაყი კაცი იყო ტერენტი გრანელი, მიუდგომელი, ზოგჯერ უკადრისიც. არავის უდებდა ტოლს, — თქვენ რა პოეტი ხართო, ეუბნებოდა ყველას. ან ვიღაცის ეპიგონი ხართ, ანდა უსუსურები. ორიგინალობის არაფერი გაცხიათ. თავსაც იტყუებთ და სხვებსაც ატყუებთო, ამბობდა. თავის თავზე, საკუთარ შემოქმედებაზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა: პოეტური მსოფლმხედველობით, სტილით, თვითმყოფადობით მოვლენა ვარო, იძახდა (იქვე).

იგივეს აღნიშნავს გენო ქელბაქიანი: “თავის თავზე უფრო დიდი პოეტი მას არ ეგულებოდა, მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძეს თვლიდა თავის მეტოქედ, სხვას არავის” (გენო ქელბაქიანი, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 30).

ტერენტის აღიზიანებდა ეპოქასთან ფეხშეწყობილი პოეტები, აღიზიანებდა სიტყვა “საბჭოთა”. როცა ირაკლი აბაშიძემ თავის ერთ ლექსს “პირველი საბჭოთა თოვლის სიმღერა” უწოდა (პირველი სათაური ასეთი იყო), ტერენტი აღმფოთდა: “პირველი თოვლის სიმღე-

რა” მესმის, მაგრამ, პირველი საბჭოთა თოვლის სიმღერა რამ მოგაფიქრებინა? — მაგრად გაარტყა თურმე.

“ძალლონით სავსე ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც კარგად იცოდა ტერენტი გრანელის შემოქმედებაც და ტანჯული ცხოვრებაც, არ იკადრა ხელის შებრუნება”, აცხადებს გივი ცქიტიშვილი (იქ- ვე, გვ. 107).

ტერენტი არც სიმონ ჩიქოვანს შეპუებია, “ღამენათევს, ჩამოძენილს, თმააბურძგნილს”, სიმონი წინ გადადგომია ხელგაწვდილი გამარჯობის სათქმელად. ტერენტიმ არც შეხედა თურმე, მარჯვენა წინ გამოუმვირა, შეატრიალ-შემოატრიალა და უთხრა: “ხომ უყურებ, სიმონ, რა ჭუჭყიანი მაქვს... მაგრამ მაინც არ გავისვრი შენი ხელის ჩამოსართმევად!... ” ...ჰაერში შეატოვა, კაცო, ხელი სიმონს, ჰაერში, წარმოგიდგენიათ, ეს როგორ გაძედა, თფუ !” — ყვებოდა თურმე აღშფოთებული კოლაუ ნალირაძე (ლერი ალიმონაკი, გრანელის ლანდი, თბ. 1998 წ. გვ. 28).

ტერენტი გრანელის პოეზიის დღის გამო 1924 წელს გაზეთი “ტერენტი გრანელი” გამოვიდა, რაც მის განსაკუთრებულ პოპულარობაზე მეტყველებდა. ამაზე პაოლო იაშვილმა იხუმრა თურმე, ტერენტი, შენ თურმე ჩემზე დიდი პოეტი ყოფილხარო. ტერენტი ამან ძალიან გააბრაზა: როგორ თუ შენ, როგორც პოეტი, მე მედრებიო. არც პაოლომ დაუთმო და მაგარი ჩხუბი ატყდა — იგონებდა ბონდო კეშელავა (გივი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 165).

ამ ფაქტზე ცოტათი განსხვავებულად საუბრობს გენო ქელბაქიანი.

ტერენტისადმი მიძლვნილი გაზეთის გამოცემის შემდეგ ერთმანეთს ქუჩაში შეხვედრიან ტერენტი და პაოლო იაშვილი: “რუსთაველის პროსპექტზე პაოლომ მარცხენა ხელი სწრაფად სტაცა ტერენტი გრანელს საყელოში, მარჯვენა ხელი მომუშტა და კედლისაკენ უბიძგა გაოგნებულ ტერენტის.

— შენ უფრო დიდი პოეტი ხარ თუ მე? — ჰკიოთხა მან ტერენტის და მუშტი ცხვირთან მიუტანა.

ტერენტის მუშტით კი არა, ზარბაზნითაც ვერ ათქმევინებდი, ჩემზე დიდი პოეტი ხარო (მაშინ დავრწმუნდი, რომ პოეტთა შორის მარტო ტერენტის როდი ეგონა თავი ყველაზე დიდი პოეტი).

შეკითხვაზე ტერენტიმ პასუხი არ დაუგვიანა: — შენ მუშტით მოდიხარ პოეზიაში, მე კი გულით, მე შენზე დიდი პოეტი ვარ!
და პაოლომ გაარტყა”.

მერე ერთმანეთს დარევიან პოეტები და მათი გულშემატკივრები. ახალგაზრდები გაქცეულან, დაუკავებიათ ოთხი პოეტი, მათ შორის — ტერენტი, რაზედაც ზაქარია ჭიჭინაძემ უსაყვედურა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს

— მიხა ცხაკაიას. ტერენტი 7-8 დღე მჯდარა ციხეში (გენო ქელბაქიანი, ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა).

ტერენტის თუ ვინმეს ლექსი არ მოეწონებოდა, უამეხად მიახლიდა პირში თავის გესლიან შენიშვნას.

როცა ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა, მასზე რამდენიმე ლექსი დაიწერა. ტერენტის არც ერთი არ მოსწონდა. აღმფოთებული იყო, რომ ყველა პოეტმა ვანო შაშვს, ბულბულს, იადონს შეადარა. არ მოეწონა თავისი მეგობრის — გიორგი ქუჩიშვილის ლექსი.

“ასეთი ლექსებით ვანო სარაჯიშვილის შემკობა?! ტრაფარეტულად, საზიზლარ შტამპად ქცეული შედარება, ვანო-ბულბული, ვანო-იადონი, შაშვი, თფუი!”

ტერენტიმ თავისი წყენა ვერ დაფარა გიორგისთან შეხვედრისას: “გაჯავრებული ვარ შენზე,... ვანო სარაჯიშვილს ჩიტს ადარებ! რა არის ეს: საქართველოს მინდორ-ველებს ბულბული ჰყავს მკვდარი. მაშ, ჩვენ ბულბულს ვასაფლავებთ? შაშვს, ბელურას, იადონს?”

ტერენტის ირონიას დიდი ჩხუბი მოჰყვა, გიორგი ცემით ემუქრებოდა მას (გენო ქელბაქიანი, ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა).

“ხარხარებდა სხვათა მართლაც სასაცილო ლექსწყობაზე”.

“თვით მას ლექსები მეტად სპეტაკი, ფაქიზი, პოეტურ გზნებით ანთებული ჰქონდა”, შენიშნავს გენო ქელბაქიანი.

გიორგი ქუჩიშვილის გაქილიკების მეორე სალამოს ოპერის თეატრის ნინ ხალხი შეგროვილიყი ვანოს ხსოვნის პატივსაცემად. უბილეთო მაყურებლები გარეთ იყვნენ. ტერენტი უეცრად შენობის ნინ კიბეზე აიჭრა. სამარისებურ სიჩუმეში გაისმა მისი ურუანტელისმომგვრელი ხმა და მონუსხა მსმენელი. წაიკითხა ლექსი და გაიქცა თურმე (იქვე).

ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი ლექსით გამოწვეული აქიოტაჟის შესახებ ინფორმაცია მისწვდა ლავრენტი ბერიასაც, რომელმაც თავისი ინიციატივით სცადა პოეტის დახლოება, რაც ბერიას რისხვით დასრულდა, როცა ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების მეუფე დარწმუნდა ტერენტის მოუთვინიერებლობაში (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, „ცისფერი სიშორე“, თბ. 1998 წ. გვ. 410-414).

ტერენტი გრანელს ძალიან ჰყვარებია კორნელი სანაძე, მაგრამ როცა მისკან სუსტი ლექსი მოუსმენია, კარებისკენ წასულა პროტესტის ნიშნად: “მე აქ ვერ დავრჩები, შენ კი ჭკვიანი, ნიჭიერი ბიჭი მეგონე... ეს რა დაგინერიაო!” (ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 64).

სილოვან ხუნდაძის თაოსნობით ტერენტი გრანელი ქუთაისში მიინვიეს და დიდი ლიტერატურული სალამი გაუმართეს. მისი მასპინძელი იყო სილოვან ხუნდაძე, რომელმაც პოეტს ბაირონის ლექსების თარგმანები წაუკითხა. ტერენტის თარგმანები არ მოეწონა

და მიუხედავად იმისა, რომ სილოვანის სახლში სტუმრად იყო, პირ-დაპირ მიახალა მთარგმნელს მწარე სიმართლე: “თქვენ ხომ შესა-ნიშნავი ლიტერატორი და პედაგოგი ბრძანდებით, პირადად არ გიც-ნობდით, მაგრამ მიყვარდით, როგორც ქართული ენის მოამაგე. ბაი-რონის თარგმნა კი თქვენ არ უნდა გეკისრათ, რომ გითხრათ, კარგია მეტქი, ტყუილი იქნება, ბაირონი — ძნელი სათარგმნია, ძალიან ძნელი”.

სილოვანი გაფითრდა, ტერენტიმ მაინც უკან არ დაიხია თარ-გმანებთან დაკავშირებით, მერე მისი ლექსი ზეპირად წაიკითხა, მასპინძელმა დაცინვადაც კი მიიღო უბრალო ლექსის პათოსით კითხვა. იგი გაეცალა სტუმრებს და რამდენიმე წუთში ოჯახის დია-სახლისმა მათ ამცნო, სილოვანი შეუძლოდ არის, უკვე სძინავსო (ჩე-მი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 51-53).

ტერენტი ყოველთვის დიდი აზრის იყო თავის პოეზიაზე და არცერტი კრიტიკოსის შენიშვნას არ იზიარებდა.

ერთხელ ბათუმში ტერენტი გრანელის დიდი ლიტერატურუ-ლი საღამო იმართებოდა. ტერენტიმ გაიგო, რომ მომხსენებელს სურდა ტერენტის გაკრიტიკება პესიმისტობის, ბოპეტურობის გამო. ტერენტი აღშფოთდა და გენო ქელბაქიანს უთხრა: “მაშ, ასეთ დარ-ტყმას მიმზადებს ჩემი მომხსენებელი? ეგრე იყოს. მე მას სამაგიე-როდ ისეთს დავარტყამ, რომ... და მიჩვენა მაგრად შეკრული მუშტი. მერე გენოს სთხოვა, თუ გინდა არ დავარტყა და დიდი სკანდალი მოხდეს, აქედან გემით ახლავე წავიდეთო. გემი ფოთში მიდიოდა და ისინი იქაურობას გაეცალნენ, ბათუმის კლუბში კი ხალხი ამაოდ უც-დიდა პოეტს (იქვე, გვ. 55).

ტერენტი გრანელს სწყუროდა გაგება, შეცნობა, მაგრამ ამას ვერ ხედავდა და წუხდა, “მივდივარ ასე შეუცნობელიო”.

“ჩემი გული და სისხლი ეს “მემენტო მორიაო”, აცხადებდა, მაგრამ როცა მოეჩვენა, რომ სათანადოდ არ დააფასეს ეს ორიგინა-ლური კრებული, მტკვარში გადაყარა თურმე ერთი იღლია წიგნები, “სულერთია, არავის ესმის ჩემი პოეზია, არავინ არის მისი კითხვის ღირსიო” (იქვე, აკაკი ანდრიაშვილი, გვ. 54).

პოეტს უდიდეს სიხარულს განაცდევინებდა დაინტერესება მისი ლექსებით. ერთხელ ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაში შე-იარა და დაინახა ერთი ახალგაზრდის მაგიდაზე გადაშლილი “მემენ-ტო მორი”. კითხველი საშუალო სკოლის მოსწავლე გიორგი კალან-დაძე აღმოჩნდა. ტერენტიმ მას თრთოლვით მოჰყვია ხელი, დაიხარა და ჩურჩულით უთხრა: “შენ ჩემი ხარ, ჩემი”. გიორგიც აღაფრთოვა-ნა პოპულარული პოეტის თანაგრძნობამ, წიგნი ჩააბარა და ტერენ-ტის გაეკიდა, მაგრამ იგი არსად ჩანდა (იქვე, გვ. 208).

ტერენტი გრანელისთვის პოეზია იყო ყველაფერი, ამ გზაზე წარმატება მას ყოფით პრობლემებს საერთოდ ავიწყებდა.

როცა ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი ლექსის კითხვით ოვაციები გამოიწვია, მეცხრე ცაზე იყო სიხარულით და მხოლოდ სულად ქცეულს, ჭამა არც გახსენებია სამი დღე, არც ახსოვდა, ამ ხნის მანძილზე ჭამა რამე თუ არა, შიმშილის გრძნობა არც აწუხებდა (იქვე, გვ. 330).

1924 წ. ჟურნალ “თეატრსა და ცხოვრებაში” დაიბეჭდა წერილი პოეტზე ირაკლი თონიძის სურათით. ტერენტის მოენონა წერილი და გადმობეჭდა გაზეთში “ტერენტი გრანელი”. პოეტი დახარბეჭული იყო გაგებას, სითბოს და ისე ააფორიაქა ამ წერილმა, რომ ვლადიმერ ნორაკიძეს სთხოვა, მასთან ერთად ეხეტიალა თბილისის ქუჩებში, რესტორანში მიპატიუებაზეც უარი თქვა, მას ლვინო არ უნდოდა, მთვრალი იყო თავისი პოეზიით და გათენებამდე აღტაცებული ხეტიალობდა საყვარელი ქალაქის მიდამოებში (იქვე, გვ. 133).

ალიო მირცხულავა აცხადებდა, რომ ტერენტის ცხოვრებისეული არაფერი სწამდა. ამიტომ პაოლო იაშვილს არ უყვარდა ტერენტი. ერთხელ უთხრა, გცემო. ტერენტიმ კალოში გაიხადა და სახეში სთხლიშა. ასეთი კინკლაობის გამო ზოგჯერ ციხეშიც ჩაუსვამთ.

1924 წ. ალიო მირცხულავამ ლენინის გარდაცვალებაზე ლექსი დაწერა. ტერენტიმ წაიკითხა დაბეჭდილი ლექსი და როცა მის ავტორს შეხვდა, ნეტავი, ერთი ასეთი ლექსი მეც დამაწერინაო, ირონიულად უთხრა (გივი ცეიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 75).

ხარიტონ ვარდოშვილი აფასებდა ტერენტის პოეზიას, აღნიშნავდა მის ახირებულობას და გამართლებასაც უძებნიდა; “ტერენტი გრანელს ჭეშმარიტ პოეტად ვთვლი... იგი საყვარელ პოეტად დარჩება ყველასთვის, ვისაც ინტიმური პოეზია ესმის. შეიძლება მიუღებელი იყოს მისი პირადი “მანიაკობა”, დიდი წარმოდგენა თავის თავზე და ბევრი სხვა რამ, სამწუხაროა, რომ იგი თავად გახდა თავისი ახირებულობის მსხვერპლი. მაგრამ ეს ეპატიება ტერენტი გრანელს. ასეთი უწნაურობანი ბევრი ჭეშმარიტი პოეტისთვის იყო და არის დამახასიათებელი” (იქვე, გვ. 160).

პროფესორი დავით კობიძე, როგორც ტერენტი გრანელის მეგობარი, მოწმე იყო პოეტის აღიარების: “ტერენტი იმდროინდელ ახალგაზრდებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მისი ყოველი ლექსი ხელიდან ხელში გადადიოდა და დიდი მოწონებით სარგებლობდა.

პოეტს აღიზიანებდა კმაყოფილი, მხიარული ადამიანები.

ერთხელ რუსთაველის თეატრთან ნიკოლოზ კევლიშვილს ხელთათმანი გამოგლიჯა და გადაუგდო. მერე შერცხვა, აიღო და გაუწოდა (ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 178).

აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლი

ტერენტი გრანელი იყო აშეარა ოპოზიცია ათეიისტური, სატანისტური ხელისუფლებისა.

პოეტის პუბლიცისტური წერილები, ბოლშევიზმის სატანური ქმედებების მხილება, მოლვანებისა ფედერალისტთა პარტიაში, აჭარასთან თურქების აგრესის წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლა 1918 წელს, პოეტის ეროვნული პოზიცია, უკომპრომისო დაპირისპირება ანტიხალხურ, არაპატრიოტულ ხელისუფლებასთან, გაბედული ბრძოლა აპოკალიფსურ მხეცთა ნაშერებთან მტარვალ-უკეთურთა რისხევის ღრუბლებს აგროვებდა სათუთი სულის შემოქმედის თავზე.

20-იანი წლების ქართულ ლირიკაში ისეთსავე ფურორს ახდენდა პოეტი, როგორც არტურ რემბო თავის თანამედროვე საფრანგეთში. გალაკტიონის გვერდით, რუსთაველის ქვეყანაში, მან დაიმკვიდრა უბირველესი პოეტის სახელი. მის შესახებ ინფორმაცია ბერიასაც მისწვდა.

ვანო სარაჯიშვილზე დაწერილი ტერენტი გრანელის ლექსით დაინტერესდა ლავრენტი ბერია, რომელიც ცყველანაირი გზით ცდილობდა პოეტთან კონტაქტის დამყარებას. ერთხელ თავისი დამქაშების მეშვეობით კაბინეტში დაიბარა, კარგად მიიღო, შეუქრ ვანო სარაჯიშვილზე დაწერილი ლექსი, მწვანე გზა მისცა მისი ლექსთა კრებულის გამოცემას.

უბინაო, თითქმის ქუჩაში მცხოვრები, უპოვარი ტერენტი გრანელი ბერიას მხრიდან ხელის გამოწოდებას აღტაცებით არ შეხვედრია. თავისი უტყუარი ინტუიციით იგრძნო პოეტმა, ხომ ხელისუფლება იშინაურებდა, მის მოთვინიერებას იწყებდა, ქამანდს ესროდა და მიზანმიმართულად ეპატიურებოდა ხელმწიფის ეკიპაჟში – მისი განსაკუთრებული ნიჭის სამართავად, პარტიული დოქტრინის ყმად, ამა ქვეყნის ძლიერთა პოლიტიკის სამსახურში ჩასაყენებლად.

ტერენტი გრანელი არ აჰყვა დიდმცყობელთა ხრიეს, თავისი პრინციპული პოზიცია არ დათმო და “ღამესთან” დადგა, “როგორც ქანდაკება”. მან კარგად ამოიცნო სიტყვის რჩეულთა ნიჭზე მონადირე მიწიერი სამყაროს თავადნი, რომელთაც სურდათ პოეტის ავტორიტეტული მხატვრული სიტყვა თავიანთი სატანისტური საქმიანობის შეხოტბედ ექციათ.

“...მიდის ჩემი გზა სწორი”, აცხადებდა გულმართალი ლირიკოსი და კარგად არჩევდა ამა სოფლის დროებით მოვლენილ ფეოდალთ და ზეციურ თავადს, ნარმავალს და მარადიულს.

ოპოზიციურობას იმითაც ავლენდა, რომ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას კი არ მიესალმებოდა, დამოუკიდებლობის იდეებს ერთგულებდა და ყინულოვანი მონსტრის მიერ გამეფებულ სიბნელეს,

ღრუბლებს ებრძოდა, ფინიად სახელდებულ უკეთურთ უპირისპირ-დებოდა: “და ჩართ შუქი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფე-ნილია, ნელა მიღიან ღრუბლები ცისკენ, გარეთ ვიღაცას უყეფს ფი-ნია”.

პოეტი ამხელდა ეპოქის საძულველ კერპებს, მარქსიზმ-ლენი-ნიზმის შხამით მოწამლულ აპოკალიფსურ ტირანთა ნაშიერებს, ეთაყვანებოდა რწმენას, ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობელს, ანგელო-ზებს და უზენაეს, მარადიულ არსებათა თანამგზავრად მიირჩევდა თავს.

ეს უკვე იყო ბოკოტი.

იმ პერიოდში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ტერენტი გრანელის ლექსი, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, პოეტის მაღალ გულისთქმას ავლენდა და მთლიანად უპირისპირდებოდა “ძლევამოსილი სოციალიზმის” მეხოტებთა დოქტრინას. შეუძლებე-ლია ამის შესახებ თავის დამსმენთა მეშვეობით ხელისუფლებასაც არ ჰქონდა სიგნალი. აი ეს ლექსიც: “ფიქრი გადადის შორეულ ხე-ზე, როგორც სისწრაფე და შენელება, აქ სხვები წერენ ქალის ფეხებ-ზე, როცა მე ვუმზერ საშინელებას! ვფიქრობ, ეს ქალი როგორ ვინა-მე, ვფიქრობ, ეს ქალი ჩემთვის მკვდარია. აქ სხვები წერენ მხოლოდ მინაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას”.

როგორც ვხედავთ, აქ მთლიანად უარყოფილია ტრაფარეტუ-ლი ესთეტიკის კლიშეები და უმაღლესი პოეზიის საგნად ქცეულია “შორეული ხე” (საღმრთო სახელია), ზეცა, კოსმოსი, სულიერება, რწმენა, მხილებულია ცოდვილი მინის საშინელებები.

და, ამავე დროს, ლექსი არ არის დროისგან გაქცევა, პირიქით, მასში არის ცდა ეპოქის გამრუდებული ორიენტირების გასწორების.

პოეტის განსხვავებული აზროვნების ნარმოჩენასთან ერთად, ნაჩვენებია თანადროულობის ხასიათი, სოციალიზმის დიქტატორუ-ლი მესვეურნი. წითელ დროშასთან, ნამგალთან ირონიული დამკი-დებულება ვლინდება.

მარადიულად მიჩნეულია არა ეფემერული საბჭოთა წყობილე-ბა, რომლის ნგრევა-წარმავლობას იოანე ღვთისმეტყველების აპო-კალიფი გვამცნობს, არამედ “შორეული ალი” /ცეცხლი – ღმერთის სიმბოლო/, მარადისობა, ღვთაებრივი სამსჯავრო. უაზრო ხმაური, უნიჭოთა მიეთ-მოეთი, წითელი დროშის “მშვენიერება”, ნამგლის შეგნებული გაფეტიშება მარადისობის ძალით დაიფარება, ასეთია პოეტის აზრი: “ფიქრის ტრიალი ისევ მოშალეს, ისევ ხმაურის დადგა დროება, აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე, როცა მე ვუმზერ უსაზღვროებას. ჩნდება ფიქრები შორეულ ალზე, ვიცი, ეს გრძნობა არ მოისპობა, აქ სხვები წერენ მხოლოდ ნამგალზე, როცა მე ვუმზერ მარადისობას”.

ნამგალი და ურო სატანისტური ბოლშევიზმის იარაღებია, ნამგალი მოცელავს, ურო – ანგრევს.

ამ ლექსით ტერენტი გრანელმა საბოლოოდ ახადა რიდე თავის სულს და შავბელი ხელისუფლებისთვის გახდა შავსიელი.

უფრო და უფრო აძლიერებდა პოეტი თავის ოპოზიციურ იერიშებს წყობილების წინააღმდეგ. აშკარად ნეგატიურად აფასებდა ხალხის სახელით მოსულ სისხლიან პროვოკატორებს და ალექსანდრე სიგუას (პატრიოტს, შემდგომში პოლიტიკატორლელს – ლ. ს.) ეუბნებოდა: “ჩემო საშა, შენ რა, ეს წყობა გვონია? ესენი დამხვრეტელები არიან, დამხვრეტელები” (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, „ცისფერი სიშორე“, თბ., 1998, გვ. 414).

პოეტი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ არ გაეკენლა სოციალიზმის ფალავნები.

ტერენტის სტულდა ანტიეროვნული ვაიპოლიტიკოსები, ერის გადაგვარების მოსურნე დამურები. სასტიკად უპირისისირდებოდა უბირ ტირანს – სერგო ორჯონიკიძეს, რომელსაც “ლუდაედს” ეძახდა, სპეციალურად უდარაჯებდა, რომ შეერცხვინა მის მიერ გადაბირებული ახალგაზრდები. სერგოს შეგირდები თავიანთი მოძღვრის მსგავს ძაბრისმაგვარ ქუდებს იხურავდნენ, რომელიც სინდის-ნამუსის, კაცურ-კაცობის კი არა, მოღალატეობის სიმბოლოდ აღიქმებოდა მამულიშვილთა თვალში. ტერენტი დაუდარაჯებდა ასეთ არარაობებს და ჯოხით გადაუგდებდა თავიდან ამ “ძაბრებს”, რომლითაც ისინი ამაყობდნენ.

ერთხელ ტერენტის დაუნახავს ორჯონიკიძისნაირი ქუდით მომავალი კაცუნები და ალექსანდრე სიგუასთვის უთქვამს: “შეხე ამ უთვისტომოებს, ეს რა ძაბრები ჩამოუმხიათ თავზე. საშა, ხომ იცი, მე როგორ გამიგებენ. თანაც, ესენი ყმანვილები არიან. ხალხმა არ ითქმიროს, რომ მე ამ ბალდებს ვჩაგრავ. ჩამოუგდე ამ გოგრებიდან ეს წითელი ძაბრები და თუ ამ ღლაპებმა რამე გაბედეს, აქა ვარ!” ამ საუპარში ისინიც მოგვიახლოვდნენ, ყვება ალ. სიგუა. – ფუი, თქვენს ყმანვილკაცობას! – შესძახა ტერენტიმ. წითელი “ძაბრები” მინაზე ეგდო. მორიგი შეტევისთვის მოვემზადე... ტერენტიმ ერთხელ კიდევ შეუკურთხა და ისინიც ადგილს მოწყდნენ”...

ტერენტი აღმფოთებას ვერ ფარავდა თურმე: “ასე როგორ უნდა გადავგვარდეთ, სამშობლო რომ დაგვავინყდეს, ხომ ხედავ, ჩემო საშა, როგორ ამაყად მოაბიჯებენ ეს კაცუნები პროსპექტზე. ყოჩალ! – უცებ ხელი მაგრად ჩამომართვა და ძმურად გადამეხვია – მაგრად უნდა იდგე, მაგრად! მძიმე ხვედრი ერგო ჩვენს ტანკულ სამშობლოს. უფრო მძიმე გზაც გაუვლიათ ჩვენს წინაპრებს, ჩვენც უნდა გავუძლოთ” (ალექსანდრე სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, ცისფერი სიშორე, თბ., 1998 წ., გვ. 415-416).

პოეტი კიცხავდა “ავადსახსენებელ” ლევან ლოლობერიძეს, ხშირად ამბობდა, რომ ამ გიენამ ქართველ თავადაზნაურთა და მოაზროვნე ინტელიგენციის სისხლი ბოლომდე დალიაო. “ავადსახსენებელთა” რიგებში ტერენტი სერგო ორჯონიკიძეს, ლევან ლოლობერიძეს, 1924 წლის “შემოქმედთ” გულისხმობდა და ამბობდა: “ესენი უცხო თესლები არიან ქართველებისთვის, ჩემო საშა! და რბილად რომ ვთქვათ, მათ უზნეო დედათა ნაშიერად მიიჩნევდა. – ჩემო საშა, ესენი საქართველოს ვერ დააჩოქებენ, მოვა ჩვენი დროც და საქართველო ისევ თავისუფალი იქნება! – თვალგაბრწყინებული მეტყოდა ხოლმე ტერენტი”, იგონებდა სამშობლოს სიყვარულისთვის ჯვარცმული, ყოფილი პოლიტკატორლელი ალ. სიგუა.

მდგრონდელ ცხოვრებას ტ. გრანელი ჯოჯოხეთს უწოდებდა (როგორც გალაკტიონი, კ. გამსახურდია). თურმე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში ტერენტის ლექსი, რომელიც თავის არქივში შეუნახავს ალ. სიგუას: “დავდივარ მარტო ლანდივით, დარღის პერანგი მაცვია, ცხოვრება ჯოჯოხეთია, სიცოცხლე – დეკორაცია” (იქვე, გვ. 407).

ტერენტის ლექსი “სულის ცეცხლი” ზოგიერთებმა “წითელი საუკუნის” ხოტბად გამოაცხადეს. იგი ასე იწყება: “შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი, ქალაქის ცეცხლი, დაისრული დროშა წითელი, ბეჭედ შუალამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე, ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი”.

შალვა დადიანი ამ სტრიქონებზე დამყარებით ლექსში საბჭოთა სინამდვილის თანაგრძობას ხედავდა, მაგრამ ტერენტი აღაშფოთა ასეთმა გაგებამ და ხაზგასმა დანარჩენ ორ სტროპზე გააკეთა. მართლაც, აშეარაა, რომ მასში ნახსენები სისხლის მდინარე, ბურუსი, ტყვიები, განსაცდელი, კვამლი, მღელვარება, შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება და ეშაფოტი ვერაფრით ვერ იქნებოდა ჯოჯოხეთური სინამდვილისადმი პოეტის მხარდაჭერის სტიმული: “სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა; დამწვარ ტყვიების სურნელება და განსაცდელი, ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა, კრთის ნაგრევებზე აღმაფრენა, როგორც სანთელი. ქალაქის კვამლი, მღელვარება, ლამის ალები და შორეული რაინდების უმწეო შფოთი. სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების და ჩემი სული ამართული, ვით ეშაპოტი”.

„შორეული რაინდების უმწეო შფოთი“ ქვეყნის თავისუფლებისათვის ამაო შემართებაზე მიგვანიშნებს.

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ ტერენტი გრანელის შემოქმედებას ტრაგიკული ელფერი კიდევ უფრო გაუმძაფრა.

“ორთაჭალა-კრწანისში ჯერ კიდევ უფრო გაუმძაფრა. კვნესა, ტერენტი გრანელს მებალე ანდრია ძიძიგური უამბობდა იმ დღეებზე”, - იგონებდა ალ. სიგუა.

“სწორედ ამ საშინელ დღეებს მიუძღვნა პოეტმა თავისი ცნობილი წიგნი “მემენტო მორი”. სწორედ ამ სიტყვებით მიმართავდნენ გამარჯვებულ ტრიუმფატორებს ძელ რომში – “გახსოვდეთ სიკვდილი”, თქვენც ხომ მისი შვილები ხართო” (ალ. სიგუას მოგონება, ცისფერი სიშორე, გვ. 397).

ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების კიდევ ერთ, ძალზე მნიშვნელოვან საკითხში გვახედებს ალ. სიგუა, რომელიც გვამცნობს: “საქართველოს თავს დატეხილი ამ დიდი ტრაგედიის “შემოქმედებს”, ითხებ სტალინს მიმართავს პოეტი, რომლის ერთი სტროფი დღესაც შიშის ურუანტელს მგვრის: “იმპერატორო, შენ დიქტატორო, მძვინვარებ სისხლის კორიანტელით, მამის საფლავზე რად დაგავიწყდა, აგენტო თუნდაც ერთი სანთელი” (იქვე, გვ. 398).

1924 წ. აჯანყების დამარცხებამ და კომუნისტების მიერ გავრცელებულმა ჭორმა ამ აჯანყების მეთაურის – ქაქუცა ჩილოყაშვილის დაღუპვის შესახებ ტერენტი გრანელს დააწერინა ასეთი ლექსი: “კვდება ის მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია. დილაზე მდელოს ვუმზერ სპეტაკი და საქართველოს ციდან ვუძახი: მათ საქმრთველო დღეს გულში დაჭრეს, ახლა ძნელია სულის მიგნება. ირგვლივ ლამეა, არ ჩანს მესია და საშინელი ეს გაციგნება. მაგრამ... ლაზარე აღსდგება მკვდრეთით, აღსდგება, როგორც ლვთის სიყვარული... მას ვამბობა, - როგორც ვამბობდი, კმარა!!! მზეო, ამოდი, ამოდი ჩქარა!!!”

ლექსს ჰქონია მინანერი: “მადლობა ლმერთს, ეს მათ მიერ გავრცელებული ჭორი ყოფილა” (იქვე, გვ. 400). იგულისხმება ცნობა ქაქუცას სიკვდილის შესახებ.

1924 წლის ტრაგედიამ სტიმული მისცა თავისუფლებანართმეული საქართველოს შვილთა განსაკუთრებული ნიჭიერების გამოვლენას ახალი, გენიალური ნაწარმოებით, ესენია: გრიგოლ რობაქიძის “ლამარა”, კონსტანტინე გამსახურდისა “დიონისეს ლიმილი” (ჯოჯოხეთის სცენები, სატანისტური წითელი კირიპა, წითელი გველი ბოლშევიზმის ტრიუმფითა და აჯანყების დამარცხებითაა შთაგონებული), ტერენტი გრანელის “მემენტო მორი”, გალაკტიონ ტაბიძის პოემა “მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა”, მისივე დემონების, სატანების, მეფისტოფელ-ლუციფერებისა და ბელზებელის თარეშის ამსახველი ლექსები.

1924 წ. უბედურებას გალაკტიონი “მიმავალ საქართველოში” სასაფლაოს სიმბოლიკით გვიჩვენებდა, მიხეილ ჯავახიშვილი სასაფლაოზე ხედავდა პროგრესული ინტელიგენციის ადგილს, ტერენტი გრანელისთვის “მკვდარი” საქართველო იყო იერემიასებური გოდების მიზეზი.

1921 წლის 25 თებერვლის კატასტროფა აუსახავს ტერენტი გრანელს ლექსში “1921”, რომლის ეპიგრაფია: “დახოცილებთან ერ-

თად დაჭრილი იუნკრებიც დაუმარხავთ". ისევ სამარის, ულმობელი ქარის, ცოცხლად დამარხული პატრიოტების ჩვენებით მხილებულია რეალურად მომხდარი შემზარავი ფაქტი: "ახლა ეს ლექსი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია. ციხეში ვზივარ, გარეთ მთვარეა, შორს გაუსხლავი ლურჯი ბალი. და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი" ("ცისფერი სიშორე", თბ. 1998, გვ. 18)..

ცნობილია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ნოე უორდანისა სამშობლოდან გაძევების შემდეგ წალეჯიხის რაიკომისა და ჩეკას დადგენილებით კომუნისტებს სოფელ ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესია დაუნგრევიათ. ამ ვანდალური აქტით აღშფოთებულ ტერენტი გრანელს თავისი პროტესტი ასე ქრისტიანულად გამოუხატავს: "რას შვრებიან ეს ცოდვილი შვილები, ღმერთი შეუნდე, ღმერთო, უშველე ამ ცოდვილებს. ეს ტაძარი ჩვენი მამაპაპათა ოფლით ნაგები სიწმინდეა, ღმერთო, შეუნდე, ამ ცოდვილებს" (სერგო უვანია, მოგონება ტერენტი გრანელზე, ხელნაწერი, მოგვაწოდა ტერენტის დის – ზოზიას შვილიშვილმა, ექიმმა მამანტი როგავამ).

ტერენტი გრანელი არც თანამოკალმე პოეტებს ერიდებოდა, თუ მათში მედროვეობის ნიშნებს აღმოაჩენდა. ერთ ცნობილ პოეტს აღშფოთებულმა ტერენტიმ სილა გააწნა თურმე იმის გამო, რომ მან თავის ლექსს პირველდელ სათაურად მისცა "პირველი საბჭოთა თოვლის სიმღერა". ცხადია, "საბჭოთა" შემდეგ პუბლიკაციებში ამოილო მისმა ავტორმა (გივი ცქიტიშვილი, „ვიცი დრო მოვა ჩემი გაგების, თბ. 1990, გვ. 107).

ტერენტი გრანელი ალიქმებოდა, როგორც "ცოცხალი ლეგენდა, ფეხზე მოსიარულე ლექსი" (ალ. სიგუა), მის ყოველ სიტყვას ინტერესით უსმენდა ერთ და ადვილი წარმოსადგენია, რა რეზონანსი ექნებოდა პოეტის პოზიციას, ყოველ გაბეჭდულ განაცხადს.

რას ფიქრობდა ყოველივე ამაზე ლავრენტი ბერია, ეშმაკის ხელდასხმული, სატანისტთა მოძღვარი და მართალი სიტყვის ნამდვილი სულთამბუთავი? ის ხომ ადრე "აღტაცებული" იყო ტერენტის ნიჭით, ვიდრე პოეტი ქვეყნის მესვეურთა დამღუპველი პოლიტიკის მხილებას დაინტებდა.

თუ როგორ შეცვალა ლავრენტი ბერიამ ხელისუფლებით უკმაყოფილო პოეტისადმი დამოკიდებულება, ამის შესახებ ისევ ალ. სიგუას მოვუსმინოთ: "ერთ დღეს ტერენტის და ჩემს გვერდზე მანქანამ დაამუხრუჭა, კარი გამოილო, გამოჩნდა ბერიას სახე და გაისმა ხაზგასმული გამყინავი ხმა: "ბატონო ტერენტი! "ცივი და გამყინავი ხმა" მკაფიოდ ისმოდა: "ტერენტი! ტერენტი! წერე... წერე! და კარების დახურვის ხმა ისე მკაფიოდ ჩამესმა, თითქოს ვიღაცას ჩემ-

თვის ძლიერი სილა გაელაწუნებინოს. მანქანა ადგილიდან მოწყდა და სწრაფად გაუჩინარდა.”

ცხადია, ბერიას “ცივი და გამყინვავი ხმა” არა ძველებულ სიმპათიას, არამედ რისხვას, დატუქსვას ავლენდა მოუსყიდველი და გადაუბირებელი პოეტისადმი.

ამ ფაქტით ყოფილა შთაგონებული ტერენტი გრანელის ლექსი, რომელშიც კარგად ჩანს მართალი პოეტის აზრი “მზრუნველ” ხელისუფლებაზე: “ამ ხალხის ქება არ მიხარია, ეს ხალხი ჩემს სულს როგორ ექცევა? ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მინას ეცემა. რომელი იგრძნობს შორეულ საგანს, რომელმა იგრძნო ეს ატირება. და მე ამნაირ ცხოვრებისაგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცირებას”.

ტერენტი გრანელი შეუცდომლად გრძნობდა მისდამი ბერიას ინტერესის შორსმიმავალ მიზანს, მაგრამ იგი არ გატყდა, არ “გაინვრთნა” და ამის გამო დაუნდობლად გაუსწორდნენ ციხით, დევნით, ცილისნამებით, ბოლოს კი გიუს დიაგნოზი დაუსვეს და იძულებით მკურნალობას დაუქვემდებარეს.

ბერიამ და მისმა დამქაშებმა მოშურნე, ხელმოცარულ პოეტებთან ერთად, საბედისნერო როლი შეასრულეს ტერენტი გრანელის ცხოვრებაში.

და ბოლოს, როცა შეშლილად მონათლული, ნანამები პოეტი ფიზიკურად წავა ამ ქვეყნიდან, კიდევ ერთხელ გამოჩნდება პილატესავით ხელდაბანილი ბერია და ცდილობს, მისი რეჟისორობით ჯვარცმულ პიროვნებას ნამდვილ თაყვანისმცემლებზე უფრო მეტი “პატივი” მიაგოს.

იქნებ ეს იყო სისხლიანი ტირანის ერთგვარი მონანიება და სინდისის ქენჯანი იმის გამო, რომ მის ხელებს ერის საამაყო შვილების ბევრი სისხლი ეცხო?

შალვა დადიანს ბერიასთვის უკითხავს, ტერენტი გრანელს თუ იცნობდითო. ბერიას უპასუხნია: „ტერენტი დიდებული პოეტი გახლდათ, ბატონო შალვა”. შალვა დადიანს გულისტკივილით შეუნიშნავს: “კი, დიდებული პოეტი იყო ის ცხოვნებული..., მაგრამ ცხოვრებას მან ვერ გაუგო და დამარცხდა, თავი დაიღუპა”.

ტერენტისადმი შალვას ამ “ბრალდების” პასუხად ბერიას პათეტიკურად უთქვამს: “ცხოვრებას კი არა, ბატონო შალვა, თვით ცხოვრებამ ვერ გაუგო მას”.

ბერიას ასეთი აზრით გაოცება ვერ დაუფარავს შალვა დადიანს: “ეს ისე იყო ნათქვამი, ტანში გამცრა, დავიბენი, ამისთანა პასუხს არ ველოდი და ვერც წარმოვიდგენდი. გულმა ბაგა-ბუგი დაინყო, თვალწინი ტერენტი წარმომიდგა თავისი განუმეორებელი ღიმილით: “ქართველმა ხალხმა გიუ მიწოდა, მზე მიდის გალმა, ცის ხმა

ისმოდა” (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, “ცისფერი სიშორე”, გვ. 441).

ტერენტი გრანელის ინტერესი რელიგიური თემებისადმი, დუმილი საბჭოთა წყობილების “სიკეთებზე” და რაინდული დაპირისპირება აპოკალიფსურ ტრიუმფატორებთან, ხალხის მტრების გაბედული მხილება, საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წ. აჯანყების ასახვა ნათელ პასუხს იძლევა იმზე, ვინ და როგორ ცდილობდა პოეტის ზეშთაგონებული ფიზიკური სახის ნაშლას, მისი შედევრების “პესიმისტურად, უიდეოდ, შავ წიგნად” გამოცხადებას.

ტერენტის “დიქტატორი იმპერატორის”, “ლუდაედების”, “გინას” გვერდით “ავი თვალის, ულირსი თვალის, პატარა მტრების, „ყაჩალი ქარების”, კაენის, გველის სახეებიც იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ნიღაბი აეხადა საქვეყნო-სახელისუფლო ბოროტებისთვის.

უეჭველია, რომ “მემენტო მორის” ავტორის იდეოლოგიამ კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის მხატვრულ ნააზრევთან ერთად, დიდი როლი შეასრულა ბოროტების იმპერიის თიხის საძირკვლის შერყევაში.

ტერენტი გრანელი ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა ჩვენს ლიტერატურასა და ცხოვრებაში სიყალბეს, კერპორმსახურებას. მისი ლექსებიდან მონაბერი წმინდა ჰაერი სულს აჯანსაღებდა სიკეთის, სათნოების ფლუიდებით, აპოკალიპსურ მხეცთა ნაშიერებს აფრთხობდა. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ჭეშმარიტი პოეტი არასდროს არ დგას განზე ცხოვრებისეული პრობლემებისგან, პოლიტიკისგან.

შერისხული

სოციალიზმის აპოლოგეტები და ხელისუფლების დაქირავებული კალმოსნები საბჭოთა სამოთხის იდეას ქადაგებდნენ, ღმერთს გმობდნენ და მის ადგილს ტირან დიქტატორებს უმკვიდრებდნენ. “ბედნიერ ეპოქაში” სევდა, წუხილი, ტირილი ყოვლად გაუმართლებლად მიიჩნეოდა, პესიმიზმად ინათლებოდა, პესიმიზმი კი არსებულით უკმაყოფილების გამოხატულებად და პოლიტიკურ ბრალდებად იქცეოდა. საბჭოთა ადამიანებს მხოლოდ ლენინის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების გამოხატვის ნება ეძლეოდათ, ტირილის უფლება მხოლოდ სასაფლაოზე შეეძლოთ გამოეყენებინათ, მათი “ტრიბუნა”, შეკრების “თავისუფალი ადგილი” იყო მხოლოდ “მკვდრების განსასვენებელი ბინა”, ხმის ამოღების, ტირილის შემთხვევის დრო დგებოდა მაშინ, როცა წინ ედოთ “გაცივებული გვამი” (გალაკტიონ ტაბიძე, მიმავალი საქართველო).

“ჯოჯოხეთურ სამოთხეში” შემთხვევით როდი ელანდებოდა სასაფლაო ჩვენს რჩეულ ინტელიგენციას, მწერლობას. მიხეილ ჯავახიშვილი სასაფლაოს ბინადარს უწოდებდა თავის თავს, ირგვლივ მხოლოდ ვაება და კაეშანი იყო გამეფებული. ტერენტი გრანელი გლოვობდა მკვდარ (თავისუფლებადაკარგულ) სამშობლოს, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაჭრილებს, რომლებიც ცოცლად დაემარხათ.

ლენინისადმი მიწერილ წერილში კონსტანტინე გამსახურდია ამხელდა რუსეთის იმპერიულ ამბიციებს. მკვლელებს, ერთი დედის საშოდან გამოსულებს უწოდებდა დოსტოევსკის რასკოლნიკოვს და რევოლუციის მესაჭეს. აპოკალიფსურ მხეცებთან ბრძოლის შედეგი იყო ლუბლიანასა და ბუტირკის ციხეები მოსკოვში, მერე სოლოვკის კუნძულებზე მწერლის გადასახლება, საიდანაც ცოცხალი ვერ ბრუნდებოდნენ.

მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტაბიძე “ხალხის მტრების” იარლიყმიკერებულები გაანადგურეს, პაოლო იაშვილმა ვერ გაუძლო მის წინააღმდეგ მიმართულ ცილისმწამებლურ პოლიტიკურ კამპანიას და პროტესტის ნიშანად მწერალთა კავშირში მოკლა თავი.

გალაკტიონ ტაბიძე დააპატიმირეს პოემა “მოგონებების” გამო, მეუღლე ორჯერ გადაუსახლეს, მუდმივი გულგრილობით, დევნით ხსნა ლვინოში ადებნინეს, საბოლოოდ კი თვითმკვლელობამდე მიყყანეს, რაც მკვლელობის ტოლფასი იყო.

გრიგოლ რობაქიძე გარდაუვალ რეპრესიას უცხოეთში გაექცა.

არაპრესტიულულ თემად ითვლებოდა სამშობლოზე წერა, პოლიტიკურ დეზერტირობად — ფილოსოფიური პრობლემებით გატაცება, სიმართლის სიყვარული და დიდი ნიჭი — რეპრესიების საბაბად.

“უკეთესია ყაჩაღი იყვე, ვიდრე პოეტი... სიღარიბე — ლიტერატურული კატორლა” — აღმოხდა გალაკტიონს.

“და ყაჩაღივით სადმე დავიმალები ტყეში”, “სიღატაკე... პატარა ჯვარცმა” — აფიქსირებდა გაუძლის ყოფას ტერენტი გრანელი.

“მემენტო მორის” ავტორს კარგა ხანს იუდას ამბორით ხვდებოდა ლავრენტი ბერია, მოსათვინიერებელ ქამანდს ესროდა, მაგრამ რაკი ვერ გადაიბირეს, დევნა-შევინროებით, რისხვით, ციხით აშინებდნენ, საბოლოოდ კი მის თაყვანისმცემლებს გიჟის ხალათგადაცმული მოუვლინეს, რათა ჭეშმარიტი პოეტის სიტყვას მკითხველზე ზემოქმედების ძალა დაეკარგა.

შემოქმედებით ტკივილებთან ერთად, ტერენტი გრანელის ცხოვრებას გაუძლისს ხდიდა პოეტის თანამედროვეობა: “გული წამებას მისდევს და უიმედო დღეა, ო, ეს დროა ჩემი მკვლელი, ცხოვრება ისევ წამება გახდა, რა ვქნა, დროა ამნაირი წვალების, თანამედროვე ცხოვრება მებრძვის, სამინელია ეს ატმოსფერო, ვიყავი დროს წინ, ვიყავი მსხვერპლი”...

შიში აწამებდა ნამდვილი მტრებით გარშემორტყმულს: “შუაღამეა, მტერს ველოდები და ჩემს ოთახში შიშით კვანკალებ, მტერია ირგვლივ და ისევ მტრობა, მას შემდეგ მტერმა სისხლი დალია, თითქოს ქვეყანა ჩემი მტერია, შორს მაფასებენ, ახლო მტერია, უფრო შურია და უფრო მტრობა, გარშემო დგანან ურიხვი მტრები”...

ბოროტებამოძალებულ საუკუნეში კაენი ზეობდა და პოეტს აბელის სისხლი არ ასვენებდა: “სისხლი აბელის, გლოვა დანებთან, ისევ წამება და ავი სახე, წამიღებს ზარით მე ნოებბერი”.

პოეტი იყო “დამეების მიერ გადამწვარი”, “შავი დროების” ბინადარი, უამინდობით დამძიმებული და დალუპვის მომლოდინე. მისი გზა იყო “ეკლის გზა, ქარის გზა”...

“ვიღაცას უნდა დამასამაროს, მე ვიღაც მებრძვის და ვიღაც მჩაგრავს” — ეს სიტყვები იყო რეალური ვითარების ანარეკლი და “ვიღაც” იყო ხელისუფლება, რომელიც მებრძოლი პოეტის წინააღმდეგ გეშავდა შურიან, ხელმოცარულ კალმოსნებს.

სატანისტები ტერენტი გრანელს სასიკვდილოდ იმეტებდნენ: “მომკლეს და მეტი არ შემიძლია, მგონია, ეს დრო სიკვდილს მავალებს, ალბათ დამექებს ბოროტი ხელი, ღამე სწოვს, როგორც აფთარი სულს, ღერძებში დამარცულს, ეს დღე არყოფნას უდრის, სული ვერ უძლებს დამის ნაპრალებს, ო, სიბნელეა და გულგრილობა”...

არც ეს სტრიქონებია ჰალუცინაციების შედეგი: “ველოდები მე დალუპვას მალე, ველი უცებ გამოსროლილ ტყვიას”, “და შემეშინდა მოკვლის მე წუხელ, შუაღამეზე”...

მტერი, ღალატი, შური ასაზრდოებდა შიშს, შიში მარტობის, ადამიანების, სოფლის, დედამიწის — ძალზე ორგანული გამხდარიყო პოეტისთვის.

უმწერ, დაუცველი, ფაქიზი სულის ადამიანთან ბრძოლის მრავალ ხერხს ფლობდა იარაღით, ბოროტება-შეუბრალებლობით აღჭურვილი ხელისუფლება, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ჭორები, ტალახის სროლასავით მძიმე: “ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად, მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება, და მე ცხოვრება სახელს მიფუჭებს, სანამღავია ჩემთვის ეს ხანა”.

უადამიანო სივრცეში ეძებდნენ ხსნას გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი, გაურბოდნენ “ნიღბიან” ინტელიგენციას.

სამივეს ერთნაირად ყვარებიათ ადამიანებზე ერთგული ძალები.

გალაკტიონმა რესტორანში შემოხეტებული ძალი “მეგობრად” მოიხსენია და მისი სადლეგრძელო დალია, კონსტანტინე გამსახურდია დაჭერის შიშით ღამე ტყვეში დაეხეტებოდა თავის ერთგულ ძალლთან — გერისთან და მისი საიხლოვით იქარვებდა განსაცდელის მოლოდინს, მარტობის სევდას.

საზოგადოებისგან გარიყული ტერენტი გრანელი ძალისგან უფრო მეტ სითბოს გრძნობდა, ვიდრე ადამიანებისგან: "...როს დალამდება, მოხუცი ჯერ მეგობარივით დაწვება ახლოს. ეს ძალი ხშირად კაცი მგონია, ალბათ, მას ტანჯავს ფიქრების წყება. ჯეკი ძლიერი ხმის პატრონია, სდუმს, უმიზეზოდ არ იცის ყეფა... ბედნიერ დღეებს იგი არ ელის, ალბათ სიხარულს გრძნობს გიტარაში. ახლა ჯეკია ჩემი მფარველი, ახლა ჯეკია ჩემი დარაჯი..."

კონსტანტინეს ჰყვარებია იადონები, კანარის ჩიტი, მიმინო, გალაკტიონს — მტრედი, მიმინო, ტერენტის — ხიდან ხეზე გადაფრენილი ჩიტი, ზვიად გამსახურდიას გროზნოში ფანჯარასთან შემოჩვეული ჩიტი, რომელსაც საკენკს უყრიდა და ეკითხებოდა — ჩიტო, საქართველოდან რა ამბავი მომიტანეო... .

ტერენტისთვის ორგანული იყო ყარაის ველზე შენიშნულ მწვანე ფრინველებთან „მეგობრული და სულიერი კაშირი“. ყვავთან სიახლოესაც არ გაურბოდა: „ახლა ეს ყვავი ჩემთან ახლოა, ახლა ეს ყვავი კაცივით დადის“.

აღსარებას ეუბნებოდა „ძვირფას ხეს“, ოთახის კედლებს, ლოდებს, რადგან იყო დევნილი: „შორს ელავს მთვარე, მე ვარ დევნილი. თბილისო, გარეთ ვარ დარჩენილი“.

თვითონვე გაურბოდა კორიანტელს, დამამცირებელ გარემოს, მეშჩანობას: „...აპა, მოვშორდი იმ ატმოსფეროს, ძვირფასო, საბაც მე მამცირებდნენ... აპა, მოვშორდი იმ მეშჩანობას, რომლის გარშემო მე მოვემზყვდი“.

უკეთურებთან დაპირისპირებულს, სკანდალიც მოუხდენია და პატიმრობაც უწევნევია, თუმცა ისედაც გალიად, საპყრობილებდ, ციხედ აღიქვამდა მინიერ ცხოვრებას: „ეს ციხე ჩემთვის რა საჭიროა, როცა ეს მინა ჩემთვის ციხეა“.

უდაბნოს, ჯოჯოხეთის ბინადრად ნარმოიდგენდა თაგა. ციხე, სხვისი ნესტიანი ოთახი, ბალებში, მთებში, სასაფლაოებზე, ტყეში ხეტიალი, სანაგვე ყუთში ძილი არგუნა ბედმა ტ. გრანელს, „მკვდარი საქართველოს“ (თავისუფლებადაკარგული სამშობლოს) ჭირისუფლობა, ქრისტეს სისხლიანი ბედი, ბოროტ თანამდევთა, დამსმენ-მოლალატეთა, უსახურთა ხროვის გარემოცვაში ყოფნა, ავი თვალი, ულირსი თვალი, ჯაშუშთა თვალთვალი, გველის, იუდას, ყაჩა-დების, კაენის, მხეცთა ნაშიერების რისხვა.

მთელი ეპოქის რჩეულ ინტელექტუალთა სატკივარია გამოხატული ამ სტრიქონებში: „...ეს ხალხი ჩემს სულს როგორ ექცევა, ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მინას ეცემა და მე ამნაირ ცხოვრებისგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცირებას“.

ეს ლექსი შთაუგონებია ბერიას რისხვას.

პოეტის თანამედროვეობის სულიერ მედროშეთა სათქმელს იტევს ეს განაცხადი: “ვნატრობ სხვა სივრცეს და უცხო ქალაქს, სანამლავია ჩემთვის ეს ხან.”

პოეტ კალე ბობოხიძის მოგონებით, “ამა ქვეყნის ძლიერნი... დამქაშთა და დამსმენთა რაზმებით გაბედულად და აქტიურად მოქმედებდნენ”...

“ჩეენს გარშემო მძიმე რკინის კედლები სამეთვალყურეო კოშკებითურთ, თანდათან წრეს კრავდა, თავისუფალი სუნთქვისა და აზროვნების მძიმე პირობებს ქმნიდა... შიში და უნდობლობა ჩვენი მუდმივი თანამგზავრი გახდა... მწერალთა კავშირი სამეთვალყურეო ციტადელად იქცა... მთავრობა უკვე ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა და დირექტივების რელსებზე გადაჰყავდა მოელი კავშირის მუშაობა”.

“ტერენტი გრანელსაც ჰყავდა შეჩენილი დამსმენთა “კოპორტა”, რომლების ჭორების გავრცელებით, ყოველდღიური დაცინითა და ქილიკობით, აყალ-მაყალითა და ჩხუბით ყოველმხრივ აკინროებდნენ და გასაძანს არ აძლევდნენ ყველასაგან მიუსაფარ, სიცოცხლე-გამნარებულ, უნაზესი სულის პოეტს” (კალე ბობოხიძე, ტერენტი გრანელი, ხელნაწერი, მოვანოლა ტერენტის დის — ზოზიას შვილიშვილმა, ექმმა მამანტი როგავამ).

ტერენტის ნინააღმდეგ დაჯარდნენ ხელისუფლება და შურიანი პოეტები. თუ როგორი ბოროტი აგენტურა მუშაობდა მწერალთა კავშირში, ამის მაგალითია ის საშინელი ჭორი, რომელიც მწერლებისგან გავრცელდა ზემდგომი ორგანოების დავალებით. კალე ბობოხიძე იგონებდა: “მწერალთა კავშირში გავრცელდა ხმა, ტერენტი გაგიუდა და “სამკურნალოდ” ფსიქიატრიულში გაამნესესო... ყველაფერი ნათელი იყო. ამ ცნობამ ჩემზე ძლიერ იმოქმედა” (იქვე).

იმხანად გამეფებულ მლიქენელობას, დაუნდობლობა-დასმენებს აღუშფოთებია პეტრე სამსონიძე და საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიის ერთ-ერთ შეკრებაზე თამამად განუცხადები: “შევარცხვინე თქვენისთანა ბოლშევიკები! თქვენ ხართ მლიქენელები, კარიერისტები და ანგარიშიანი ადამიანები... მე კარგად ვიცი, რომ არცერთ თქვენგანს არ უყვარს ჩვენს პარტიაში შეპარული საეჭვო ადამიანი, დაუნდობელი და ჯალათი, როგორიც ბერიაა... ბერია დაღუპავს სტალინს. მიმიფურთხებია ისეთი ხელმძღვანელისათვის, რომორც ბერიაა!”

სანდრო ეულს უცდია ამ ფაქტის მიფურჩება, პოეტების გაჩუმება, მაგრამ დამქაშების მეშვეობით ინფორმაციას მაინც გაუჟონავს და პეტრე სამსონიძე საგიუვეთში გაუგზავნიათ, იქ ცემით სიკვდილის პირას მიყვანილი შინ დაუბრუნებიათ და ცოლ-შვილის ხელში დაულევია სული (კალე ბობოხიძის ზემოთმითობული მოგონება).

დემონურ ხელისუფლებას ემალებოდნენ, ნილბებს ირგებდნენ საქვეყნო ინტერესებით მცხოვრები სიტყვის ოსტატები.

“ათასი შიფრით ნაწერს, მრავალი ალეგორიების ჩამტევს, ალ-გებრულ ფორმულებს” ჰგავდა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება.

ტერენტი გრანელი გრძნობდა ბოროტების სიახლოვეს (“ალბათ, დამეძებს ბოროტი ხელი”) და ცვლიდა თავისი ცხოვრების სტილს, მაღავდა თავის უსპეტაკეს სულს, იმაღებოდა ფიზიკურად: “დღესაც ბაღში ვიმაღები, როგორც თეთრი მდუმარება, წვიმის ლანდებში ვიმაღები ღამის ოცნებით, და ყაჩაღივით სადმე დავიმაღები ტყეში”...

ტერენტი გრანელის ცხოვრებას ხან ყორნის, ხან ულირსი თვალის, მხეცისა და ყვავის სახით აედევნებოდა ბოროტება: “ბოროტება მიცქერის, როგორც შავი ყორანი, ხშირად მიცქერის ულირსი თვალი, მიმზერს გულიდან მხეცი, სასახლეს ავად დასჩხავის ყვავი”.

ამ სახეებს თავიანთი ოდიოზური ადრესატები ჰყავდათ, როგორც კ. გამსახურდიას წითელ მამალს, წითელ კირიპას, წითელ ქვენარმავალს, შავიზნიან წითელს, ყვითელებოლეტებიან მონგოლს.

თავისუფლად მოაზროვნე პირვნების განიარაღებაში დაისტატებული წითელი დიქტატორები ყველაფერს ისე აკეთებდნენ, რომ დისკრედიტირებულ პირვნებას წართმეული ჰქონდა თავის გამართლების უფლება: “ეს წამი გამართლების ასე დაფარულია, ეს წამი გამართლების — ასე დაუნახავი”, “და სიჩუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათხოება”.

ასე იქცა პოეტი უდანაშაულო დამნაშავედ, ციხის ბინადრად, საავადმყოფოს ჯანმრთელ პაციენტად.

“მოყურადეთ” ტერენტი გრანელის “ანტობა” არ გამორჩენიათ...

1921 წელს ჩეკამ დაამთავრა ურჩი პოეტის “ნელ ცეცხლზე დაწვის ოპერაცია” და სულით ავადმყოფის დიაგნოზიც დაუსვა.

“ასე აჯილდოებდნენ” ხშირად ძნელად აღსაზრდელ შემოქმედთ ბოლშევიკური იდეოლოგიის სამსახურის მუშაკები” (რევაზ მიშველაძე, ტერენტი გრანელი, თბილისი, 2004, გვ. 11).

ცისფერყანელი პოეტი კოლაუ ნადირაძე აცხადებდა: “ტერენტი გრანელისადმი არსებობდა კრიტიკის თითქმის მტრული დამოკიდებულება. გრანელი დადიოდა, როგორც განნირული და შერისხული. ტერენტის უდროოდ დაღუპვა, რასაკვირველია, მისდამი ასეთი დამოკიდებულების შედეგიც იყო” (გივი ცქიტიშვილის წიგნიდან “ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების”, თბ. 1990 წ. გვ. 89).

იგივეს ადასტურებდა დემნა შენგელაია: “კრიტიკამ ცუდი სამსახური გაუწია. მაშინ პროლეტკულტურები ბატონობდნენ. ისინი ყველაფერს, რასაც პირვნული განცდების მხატვრულ გამოვლინებასთან იყო დაკავშირებული, წვრილბურუჟუაზიულ-ფეოდალურ გად-

მონაშთად ასალებდნენ და სოციალისტური რეალიზმისთვის მიუღებლად თვლიდნენ” (იქვე, გვ. 142).

ლავრენტი ჭიჭინაძე აღნიშნავდა: “მაშინ ასეთი მიმართულება იყო, თუ მუშაზე ან გლეხზე არ დაწერდი, უურნალ-გაზეთები არა-ფერს არ დაგიბეჭდავდნენ. ტერენტი გრანელი ხშირად იყო ამ მეთოდის მსხვერპლი” (იქვე, გვ. 194).

ჩაუშალეს საღამო რუსთაველის თეატრში.

ნითელარმიელთა (ოფიცერთა) კლუბში ტერენტის თაყვანის-მცემლებმა პოეზიის საღამო დაგეგმეს. საღამოს რვა საათზე მაყურებლით გაჭედილ დარბაზში და სცენაზე სინათლე ჩაქრა. სანთლის შუქზე მაინც მოახერხა პოეტმა თავისი ლოცვისებური ინტონაციით ფურორის მოხდენა, მსმენელები კვნესა-ცრემლებით გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას (გენო ქელბაჟანი, “ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა”, კრტული “ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია”).

ტერენტი გრანელს კაინივით გმობდნენ, იობივით ანამებდნენ, მსხვერპლად აქცევდნენ და დევნიდნენ: “და ვარ კაინივით გმობილი, არ თავდება ვარამი და იობის ნამება, ვიყავი დროს ნინ, ვიყავი მსხვერპლი”.

შერისხული, იდეალის ზვარაკად ქცეული, ბნედიანივით მოხეტიალე, გაძარცული პოეტი ალსასრულს ნატრობდა: “დავალ ქვეყანაზე, როგორც შერისხული, შენი ზვარაკაია, ღმერთო, ჩემი სული. დავალ ქვეყანაზე, როგორც ბნედიანი, ღმერთო! მაპატიე უქმად ხეტიალი. დავალ ქვეყანაზე, როგორც გაძარცული, ღმერთო! დააჩქარე ჩემი აღსასრული”.

მედროვე, უნიგნური პროლეტარული ხელოვნების ნარმომად-გენლები ხელისუფლების ნაქეზებით თითს უქნევდნენ ქეშმარიტ ოსტატებს. ამ ლიტერატურული ჭაობის ბინადრებმა ჯაშუშის ალლოთი იცოდნენ, ვის სწყალობდნენ ზედა ეშელონებში, ან ვინ უნდა ჩანერილიყო შერისხულთა სიაში. ისინიც არ აყოვნებდნენ, დროულად ავლენდნენ საკუთარ ინიციატივას, რათა ეამებინათ ხელისუფლებისათვის.

უბირი პროლეტარული პოეზიის კარიკატურა ფრიდონ ნაროუშვილითავისი რდიოზური პოემით ჯერ ილია ჭავჭავაძის ნმინდა სახელს გადასწვდა, რაკი ხედავდა, რომ ლაშქრობა სწორედ ერის მამების ნინაალმდევ ხდებოდა, მერე თანამედროვეებსაც შევტბედა ფილიპე მახარაძის ლეგიონერებისგან გათამამებულმა და როცა ეგონა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის გაქილიკებით მამაცი მეომრის სახელს მოიხვეჭდა, ერის უპირველესმა პროზაიკოსმა შიგ გულში მოარტყა, როცა ურჩია, ჯერ წერა-კითხვა ისწავლე და მერე მეკამათეო.

ფრიდონ ნაროუშვილი გულისტყვივილს კი არ გამოხატავდა იმის გამო, რომ ამა ქვეყნის ძლიერებმა საბედისწერო ავადმყოფობა მოუგონეს, მერე კი ფიზიკურადაც გააუსახურეს გენიალური ტერენ-

ტი გრანელი, იგი თითქოს ხარობდა დროებით მიზანმიღწეულ ხელი-სუფლებასთან ერთად და ოპერის წინ, პაპანაქება სიცხეში საბანმო-ხურულ ტერენტი გრანელს, უკვე ძალად ავადმყოფს და პოეზიის სცენიდან გასულს, სილა გააწნა, გვარცხვენო პოეტებს. ეს იყო ბედის გაუგონარი ირონია.

სამწუხაროდ, ეპოქის დინების მხარეს სვლით ნიჭიერებმაც გაი-ტეხს სახელი. ალიო მირცხულავამ ასეთი ცინიკური სტრიქონები აკადრა ზეციური ნიჭით ცხებულ ტერენტის: “გულამოსკენილი ტი-რის გრანელი, ჩვენში მეორედ მოსული ქრისტე, უშნო, უღონო, დაუ-ბანელი მათხოვარივით საფლავებს მისდევს. მათი ცხოვრება მოჰვას პანთეონს, სადაც ლანდია მხოლოდ ჩონჩხების, ტირიან ბედზე და სა-ქართველო გამოიტირეს შავი ჩოხებით”.

ნინასწარმეტყველური გამოდგა ტერენტის პასუხი, რომელშიც განჭვრეტილი იყო ეულ-მაშაშვილების პოეზიის დავიწყებისთვის გა-ნირვა ბედისწერის ძალით: “თუ პოეზია მოიკრებს ძალას, მთამომავ-ლობა რამდენს იცინებს, როცა დახედავს ეულის კალამს და მაშაშვი-ლის ლექსის წინილებს”.

ტრაგიკული ხედორის პოეტის დაკრძალვაც ჩუმიად ჩატარდა. ექიმ თამარ აბულაძის მოგონებით, ექიმებს გადაუწყვეტიათ ტერენ-ტის დაკრძალვის პროცესის დასწრებოდნენ, მაგრამ “სამწუხაროდ, არავითარი პროცესია არ შემდგარა. სად იყო ბალდახინი ან გვირგვი-ნები! სულ რამდენიმე კაცი მიაცილებდა ცხედარს... პეტრე-პავლეს სასაფლაოზე იმ დროს ლარიბებს და პოლიტიკურად არასამედო პი-რებს ასაფლავებდნენ” (გვიცი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გა-გების, თბ. 1990 წ. გვ. 209).

ტერენტის გარდაცვალების ზუსტი თარიღი ალბათ, არც არსებობს, რადგან მაშინდელ არც ერთ გაზითხ, არც ერთ უურნალს ეს ფაქტი არ დაუფიქსირებია. ამიტომ ეს საკითხი ზეპირი გადმოცემების დონეზეა. არ არსებობს არც ქ. თბილისის და არც საქართველოს საისტორიო არქივის ცნობა, არც სამედიცინო ექსპერტიზის ჩანაწერი, აღნიშნავს გივი ცქიტიშვილი.

ტერენტი გრანელის ნაადრევი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისი იყო მთელი ერისთვის.

კიდევ უფრო დიდი ტრაგედია მისი ხელნაწერი ლექსებისა და პოემების დაკარგვა. პოეტის გარდაცვალება გვიან გაუგია მის დასზობიას, რომელიც ამ დროს ტიფით ყოფილა ავად. მეორე და მაშო კი პოეტის დასაფლავების მესამე დღეს მისულა მის “ბინაში — ჯურ-ლმულში” და როცა ხელნაწერები მოუძიებია, მეზობლებს უთქვამთ, რომ “ვილაცეებს” ნაგვის მომგროვებლებთან ერთად წაუღიათ ტე-რენტის ხელნაწერებით სავსე ტომარა. მენაგვეს მაშოსთვის უთქვამს: “ხომ იცით, ქალბატონო, განსაკუთრებით ავადმყოფი და ახლადმიც-

ვალებული ადამიანის ბინიდან ყველანაირ ნივთებს ვწვავთ, ქალაქში ჭლექიაო”.

მაში წუხდა, რომ ტერენტის ნაწარმოებებიდან მხოლოდ მესამედი თუ იყო დარჩენილი და ის რვეულები, რომლებსაც დას აძლევდა. ტომარაში ყოფილა ტერენტის საუკეთესო პოემები და ლექსები: “სანთლის ცრემლები”, “ცისფერი მირაჟები”, “უფლის ნათელი” და სხვა (სერგი უვანია, მოგონება ტერენტი გრანელზე, ხელნაწერი, მოგვანოდა ტერენტის დის შვილიშვილმა, ექიმმა მამანტი როგავამ).

ამავე მოგონებაში მაში ამბობდა: “ტერენტის, როგორც პოეტს, კრძალავს დღევანდელი საქართველოს მთავრობა, პესიმისტია, ფუტურისტია, ანტისაბჭოთა პოეტია, გიუია და სულელი და რა ვიცით, რას არ აპრალებენ”.

ასევე, ნაგვისთვის გაუყოლებიათ, ერთი ნალენჯიხელი ქალბატონის მოგონებით, ტერენტის ხელნაწერების რამდენიმე რვეული, როცა გაუგიათ მისი ავტორის ავადმყოფობის ამბავი (გივი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 236).

პოეტის არაერთთა ლექსი დაკარგულა რედაქცია-გამომცემლობებში, მათ შორის უკვალოდ გამქრალია კრებული “პოეზია პლანეტების”.

ტ. გრანელის დიდალი ხელნაწერი ლექსების ნახვის ფაქტს აღნიშნავდა მ. კვესელავა (გ. ცქიტიშვილის წიგნი, გვ. 182-1840).

1937 წ. “სახელგამის” დირექტორს ბარონ ბიბილეიშვილს ჰქონია ტერენტის ხელნაწერები გამოსაცემად გამზადებული, მაგრამ ისიც დაკარგულია (ლერი ალიმონაკი, ტერენტის ლანდი, გვ. 69).

ტერენტის სიკვდილის შემდეგაც ემზერებოდნენ მოშურნენი, საფლავის ქვის ფილა გადატეხეს, სურათიც დაიკარგა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე (გ. ცქიტიშვილის წიგნიდან, გვ. 23).

გივი ცქიტიშვილის მრავალგზის ძალისხმევის შედეგად მოგროვდა მწერლების ხელმოწერები და დადგინდა პოეტის გადასვენება პეტრე-პავლეს სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში, მაგრამ ეს მოხდა ჩუმად, 1987 წ. 20 დეკემბერს.

1979 წ. 13 ივლისს 22 საათსა და 40 წუთზე საქართველოს ტელევიზიაში გადაიცა ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი ერთსაათიანი სიუჟეტი, რომელსაც ერთსულოვნად გამოეხმაურა მაყურებელი და ამ გადაცემის გამეორების სურვილიც დაიბადა, მაგრამ გამოიკვა, რომ ფირი “შემთხვევით” ნაუშლიათ. დარჩენილა მხოლოდ გივი ცქიტიშვილის სცენარი.

ასევე დაიკარგა ამ სტრიქონების ავტორის მონოგრაფია “უცნობი სფინქსი” 1987 წელს, ტ. გრანელის საიუბილეო კომისიაში. იგი ვერ დაიძებნა ვერც მწერალთა კავშირში, ვერც საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის ბინაში, მიუხედავად მწერალ ელიზბარ უბილავას გულწრფელი მცდელობისა. მხოლოდ მოგვიანებით აღვადგინეთ

იგი და დავბეჭდეთ სოხუმში, გამომცემლობა “ალაშარაში” 1992 წელს.

მშვენიერებისა სამსხვერპლოსთან შენირულ მეოსანს “საშინელ ეპოქალურ უზნეობასთან და კაციფამიების დროში მოუხდა უთანას-ნორო ჭიდილი და სასტიკად ემსხვერპლა. მარქსისტული ფანატიზ-მით შეპყრობილმა ათეიისტურმა ბრძომ გასრისა უმანკო სულის მგო-სანი... მაგრამ მოხდა სასწაული, პოეზიის ანგელოზმა ტერენტი გრა-ნელს უკვდავების პანთეონში უბოძა ღირსეული ადგილი. ისინი კი და-აკმაყოფილა დროებითი განცხრომით და თავიანთი სატანისეული ზნეობიდან გამომდინარე, გადაშენების ბნელი მდვიმებით არარაო-ბისკენ გაატარა...”

“...მიწიერებმა, სატანისეულებმა... დედამიწის შვილებმა იმ-სხვერპლეს უფალი, მოციქულები, წმინდანები და გენიები...”

“ტერენტი მთავარანგელოზთა ყველა თვისებით იყო ალქურვი-ლი და ამიტომაც გაუჭირდა ამ მოკლე დროითაც ცხოვრება ჩვენს ცოდვილიან მინაზე” (რეზო ადამია, ტერენტი გრანელის ლექსად მოქცევა და ტკივილად წასვლა), ტერენტი გრანელი, სისხლიდან ცრემლი, თბ. 2008.

ტერენტი გრანელის “პრინციპულობაზ ბრძოლაში და მამაცურ-მა პოზიციამ ჩემს ახალგაზრდობასაც დააჩინია კვალი, აღმაფრთვა-ნა და დიდნილად განაპირობა ჩემი არჩევანი — შემესწავლა ყველა დროის საქართველოს ყველაზე წარმოსაჩენი შემოქმედება”, წერს საფრანგეთში მოღვაწე ქართველი დათო თოთიბაძე, რომელიც ფრანგულად თარგმნის ტერენტი გრანელის ლექსებს (ხელნაწერი, მოგვაწოდა მამანტი როგავამ).

დამარცხდნენ ტერენტის მოშურნენი, ჰეროსტატესებური დი-დების მაძიებელნი, პოეტი კი ამაღლდა ცაში სამარადისოდ, ერის თა-ნამდევ, უკვდავ სულად იქცა. „ტერენტი გრანელი შურზე მაღლა დგას ნებისმიერ “პლანეტასავით” (მხატვარი რეზო ადამია).

ფაქტია, “შემენტო მორის” ავტორს არასოდეს უწერია პარტიუ-ლი დიქტატით, არასოდეს შეუქია წარმავალი ღირებულებები, სოცია-ლისტური ქვეყნის არარსებული წარმატებები. მას გამუდმებით ახ-სოვდა “საქართველოს ისტორიული მისია”, ენა, მამული, სარწმუნოე-ბა.

მიუხედავად იმისა, რომ იობივით წამებული, ქრისტესავით ჯვარცმული იყო, მანც სიხლიანი ბოლშევიზმის ტერორითაც დაუ-მარცხებელი, მოუსყიდველი და მარადიული პოეტია ტერენტი გრანე-ლი.

სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას

ტერენტი გრანელის განსაკუთრებული ჰობი იყო მუსიკა. როიალით, გიტარით, სკრიპკით, არღნით (მაგრამ ებრძოდა “ყალბ არლებს”) გატაცებული პოეტი თითქოს მუსიკით ცდილობდა სამყაროს გადასხვაფერებას, სიკვდილის გაადვილებას: “სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას და ასე სიკვდილი ახლა ადვილია”.

ტოტალურია მის პოეზიაში “მუსიკის გრიგალი”.

პოეტისთვის უცხო არც სინესთეზიური წარმოდგენები იყო: “და თვალებში გაისმის ლამეების ხმაური”, „ფიქრში უიმედო ხმები გადადიან, როცა სიშორეზე ტირის როიალი”.

მეგობრობდა აკაკი ანდრიაშვილთან, მასთან მიჰყავდა გალაკტიონი და სთხოვდნენ, რამე დაეკრა.

ტერენტის ახასიათებდა ლტოლვა სამგლოვიარო პროცესი-სადმი, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ იმ დროს დამარხვა ხდებოდა სამხედრო ორკესტრის თანხლებით.

კვირაობით კათოლიკურ ეკლესიაში დადიოდა, რათა მოესმინა ორღანის შესანიშნავი ხმები. იმ დროს ორღანზე ზაქარია ფალიაშვილი უკრავდა. ხშირად ესწრებოდა კონცერტებს (აკაკი ანდრიაშვილი, ტერენტი გრანელი, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984, გვ. 153-156).

პოეტის თანამედროვე თამაზ ბორელი ადასტურებს, რომ ტერენტის “უყვარს სამგლოვიარო მარში და საეკლესიო გალობა,... ხშირად იქ დადის, სადაც გალობა მოეწონება, არანაკლებ იზიდავს კათოლიკეთა ეკლესიის ორღანი” (იქვე, გვ. 194).

როიალის ხმა მისთვის იყო “სიყვარულის სიმბოლო” (კორნელი სანაძე, იქვე, გვ. 80).

ალ. ჯაფარიძე იკონებდა: “ღამით ხშირად დავდიოდით სოლო-ლაკში. სოლოლაკი მყუდრო იყო და ხშირად ისმოდა როიალის ხმა. ტერენტი შეჩერდებოდა და დიდხანს უსმენდა ამ ხმას ქუჩიდან. მერე, უცებ აღეგზნებოდა და ჩქარი ნაბიჯით ტოვებდა ქუჩას. ტერენტი “როიალების სამეფოს” ეძახდა სოლოლაკს. რა თქმა უნდა, არ იცოდა, ვინ უკრავდა. მაგრამ დამკვრელი არ იყო მისთვის მთავარი. ტერენტისათვის მთავარი იყო როიალი, ხმის განცდა. ამ განცდის გამოძახილია მისი სტრიქონები: “ისევ სიშორეზე ტირის როიალი”, ანდა: “შორს სარკესთან უცხობი თითები დაუკრავს როიალს, როიალი ახმაურდა სადღაც” (გივი ცქიტიშვილი, “ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების”, თბ. 1990, გვ. 147).

“წუხს როიალი ბაღის მახლობლად”, “და ახლა როიალს გული მაღლა მაქქე” — ასეთი საყვარელი იყო პოეტისთვის როიალის ხმები. ერთ-ერთი მოგონების მიხედვით, ტერენტი გრანელი დგებოდა იმ ოთახის ფანჯრის წინ, საიდანაც “მთვარის სონატის” მომაჯადო-

ებელი ჰანგები ისმოდა, ფანჯრებს შუა გაჩერილ დაგრეხილ ხეს ეფარებოდა, ზედ ეხვეოდა, თვალები კი ცაში აღეპყრო. ქრისტეს ჸევდა, მლოცველსა თუ მოღალადეს...” ეს მეორდებოდა ყოველ-დღე, იხსენებდა ინტელიგენტი ოთარ ეგაძე.

როცა მისი მუსიკოსი და მოულოდნელად გარდაიცვალა, იმ ტრაგიკულ დღეს “ქრისტეს მოციქული” პოეტი შავი ბაფთიოთ გა-მოცხადებულა დამწუხებულ ოჯახში, მნარედ დაღვრემილს მიუ-სამძიმრებია, ხოლო ჭირისუფლებს და მეზობლებს იგი მაშინვე უც-ვნიათ. სამარისებურ სიჩუმეში მუსიკოსი ქალიშვილის ცხედართან უხმოდ ატირებულა გულმოკლული პოეტი (იქვე, გვ. 198).

შემთხვევით როდი მიუთითებენ, რომ გრანელის ლექსები “თა-ვიდან ბოლომდე სახეა და მუსიკა” (ირ. ხარჩილავა, იქვე, გვ. 42).

უურნალისტი თენგიზ გელაშვილი აღნიშნავს: “ტერენტი გრა-ნელის პოეზია — ეს არის მუსიკა, მუსიკა და კიდევ მუსიკა!” (იქვე, გვ. 200).

“...ეს არ არის პოეზია! ... ეს არის მუსიკა პროზად, ტერენტი გრანელის სევდიანი სულის საგალობელი! ” განუცხადებია მისაღებ გამოცდებზე ტერენტის მინიატურის — “გულიდან სისხლის წვეთე-ბის” გამო აბიტურიენტ დარეჯან მეტრეველს (იქვე, გვ. 231).

ტერენტი გრანელის პოეზიაში მუსიკის შესახებ საუბრობს საფრანგეთში მცხოვრები ქართველი, პოეტის ფრანგულად მთარ-გმნელი დავით თოთიბაძე, ტერენტის ლექსებში იგი ხედავს “ლოთა-ებრივ ნათელს” და ისმენს “ზეციიურ მუსიკას, მიღმა სამყაროს ძა-ხილს” (დავით თოთიბაძე, ტ. გრანელი, ხელნაწერი, მოგვანდა ტე-რენტის დის შვილიშვილმა, ექიმმა მამანტი როგავამ).

ჰლანეტების მუსიკას, კოსმიურ ხეებს, მთავარანგელოზის ფრთათა რხევას ისმენს მისი ლექსებიდან მხატვარი რეზო ადამია (რეზო ადამია, ტერენტი გრანელი, სისხლიდან ცრემლი, თბ. 2008).

ტერენტი გრანელის პატარა მტრები

ხალხს უთქვამს, უმტრო კაცი არ ვარგაო. და თუ რატომ, ამას ვაჟა-ფშაველა განმარტავდა უცდომლად: “ცუდას რად უნდა მტე-რობა, კარგია მუდამ მტრიანი”.

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: “და თუ ვინმეს ჩემ-თვის უმართებულოდ უსვრია ქვა და ტალახი, მე მას ჩემი ტაძრის-თვის ვიყენებდიო”.

მტერზე, მტრობაზე ყოველ გონებაგახსნილ ადამიანს უფიქ-რია. პოლ ვალერი ასეთ პარადოქსულ, მაგრამ მაინც ჭეშმარიტებას-თან მიახლოებულ აზრს გვთავაზობს: “უნდა გიყვარდეს შენი მტრე-

ბი... ჩვენი მტრები ჩვენ გვასულდგმულებენ” (პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ. 1983, გვ. 137).

და თუ რატომ, ახსნილია ისე, როგორც ხალხურში, ვაჟასთან: “ჩვენი მტრების რიცხვი ჩვენი გავლენის ზრდასთან ერთად იზრდება. იგივე ითქმის ჩვენი მეგობრების შესახებ” (იქვე, გვ. 172).

პოლ ვალერი მოგვიწოდებს: “ავუგოთ პატარა მონუმენტი ყოველ სიძნელეს; პატარა ტაძარი — თვითეულ კოთხვას.

თავისი სტელა — ყოველ ენიგმას” (იქვე, გვ. 83).

და ყველაზე დიდია საქრესტომათიო ჭეშმარიტება, ძე ღმერთის მიერ წარმოოქმული: “გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მანქევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათვის, ვინც თქვენ გავიწიროებთ და გდევნით” (მათე, 6, 44).

მტრის შენდობის ქრისტიანული მოტივი ხომ საკაცობრიო ჰუმანიზმის გვირგვინია.

ტერენტი გრანელს, როგორც ერის სულის მზრდელი წიგნების ავტორს, მრავალი თაყვანისმცემელი, გულშემატკივარი და მეგობარი არგუნა განგებამ, ამასთან, მრავალი მოშურნე, ხელმოცარულ ბოროტგანმზრახველთა ისრები და უნებლიერ მოწინააღმდეგენიც, რომელნიც, საპირისპირო იდეოლოგიის გამო, სულ სხვა წაპირზე აღმოჩნდნენ და თავიანთ უმწიფარ, უდღეული ხელისუფლების მიერ ჩაგონებულ მიეთ-მოეთს, გულისამრევ ხოტბას სახავდნენ ერთადერთ ჭეშმარიტებად. ისინი ტერენტის წყობილების მტრად წარმოაჩენდნენ.

როგორც ყოველ ღირსეულს, ტერენტი გრანელსაც ბევრჯერ უწვევია ულირსთა, ჩასაფრებულთა, მოშურნეთა ქირქილი, გაჭორვა, დაუნდობლობა, ბოროტი ხრიკები. ისინი მტრობდნენ “მემენტო მორის” ავტორის პოეზიას, პოეტის პიროვნებას, გაგების ნაცვლად არაკეთილმოსურნეობას, ღვარძლს, შხამს აგებებდნენ.

ტერენტი გრანელის უპირველესი მტერი მისი თანამედროვეობა, ბოლშვევიკური, სატანისტური იდეოლოგია იყო, რომლის მოთხოვნებს ვერ მოერგო პოეტის წრეშეუწერელი სული. ამიტომ, უპირველესად, ათეისტური ეპოქაა მისი ტკივილების წყარო: “გული წამებას მისდევს და უიმედო დღეა, ო, ეს დროა ჩემი მკვლელი, ვიყავი დროს წინ, ვიყავი მსხვერპლი, ცხოვრება ისევ წამება გახდა, რა ვქნა, დროა ამნაირი წვალების, თანამედროვე ცხოვრება მებრძვის, საშინელია ეს ატმოსფერო, ეს დრო სიკვდილს მავალებს, საწამლავია ჩემთვის ეს ხანა”.

“შავი დრო”, “ეკლის გზა”, “ქარის გზა”, არგუნა განგებამ.

დაუნდობელი მტრებით გარშემორტყმული, ნამდვილ სახელს არქმევდა მოვლენებს: “შუალამეა, მტერს ველოდები და ჩემს ოთახში შიძით ვკანკალებ, მტერია ახლო, მტერია უფრო, შურია და უფრო

მტრობა, გარშემო დგანან ურიცხვი მტრები, ალბათ, ხარობენ სადღაც ჩემი პატარა მტრები”...

რეალური ვითარების ანარეკლია ეს სტრიქონები: “ვიღაცას უნდა დამასამაროს, მე ვიღაც მებრძვის და ვიღაც მჩაგრავს, მომკლეს და მეტი არ შემიძლია, ალბათ დამეძებს ბოროტი ხელი, ეს დღე არყოფნას უდრის, სული ვერ უძლებს ღამის ნაპრალებს, ო, სიბნელეა და გულგრილობა”...

დაღუპვის, მოკვლის, ტყვიის შიშს ვერ იცილებდა პოეტი: “ველოდები მე დაღუპვას მალე, ველი უცებ გამოსროლილ ტყვიას, და შემეშინდა მოკვლის მე წუხელ, შუალამეზე”.

მტერი, ლალატი, შური ასაზრდოებდა შიშს, ტანჯავდა შიში ადამიანების, მარტობის, სოფლის, დედამიწის...

ბოროტი ჭორების სამიზნედ ქცეული, გარიყული პოეტი გამართლებასაც კი უქებნიდა უკეთურთა საქციელს, როგორც ქრისტიანი: “ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად, მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება, ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა, ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპატიება”.

მაინც ვინ იყვნენ ტერენტი გრანელის დიდი და პატარა მტრები, ხომ უნდა დაერქვას თავისა სახელი მოვლენებს, რომ ისევ არ გადაპრუნდეს ურემი, ისევ არ გამეორდეს მსგავსი ტრაგედია.

ტერენტი გრანელი, უპირველესად, წყობილების, ხელისუფლების სამიზნე იყო, რომელიც, მოჩენებითად გულში იხუტებდა ნიჭიერთ, რომ მერე თავის მეხოტებედ, ერთგულ მსახურად ექცია. ბერიას ფამილარობაზე, მის სატანისეულ ხრიკებზე, შექებაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი (ქრისტიანი და პროტესტანტი). თუ როგორი რისხვა დაიმსახურა ბერიასგან მოუთვინიერებელმა, პრინციპულმა ტ. გრანელმა, ესეც ცნობილია,... და როცა “ზევიდან” დავალებით იგი გიჟად გამოაცხადეს, ძალად მკურნალობით იზოლირება გაუკეთეს ინტელიგენციისგან და ბოლოს, ნაწარმები პოეტი გოლგოთისა და ჯვარცმის გზას გაუყენეს, პილატესავით “ხელდაბანილი” ბერია წარმოჩნდა მისი ყველაზე დიდი “დამფასებელი”.

ტერენტი საკადრისს მიაგებდა ყველას, სტალინს, ბერიას, ორჯონიქიძეს, ღოლობერიძეს, მახარაძეს... ტერენტის პირველი მტერი იყო ხელისუფლებისაგან დაგეშილი პროლეტარული მწერლობა და კრიტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ ტ. გრანელს მთელი საქართველო იცნობდა და მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა, პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები ცდილობდნენ მის დასამარებას.

ნიკა აგიაშვილი იგონებს: “ერთხელ, საუბარში, ქართველ პროლეტმნერალთა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა: ტერენტი გრანელის პოეზიას მტვერი უნდა წავაყაროთ, მისი ლექსები მოკლებულია ყოველგვარ ჯანსაღსა და საიმედო პერსპექტივას, ახალგაზ-

რდობას დაცემისაკენ მოუწოდებს და ამდენად ძირფესვიანად უნდა ამოვძირკვოთ მისი ცრემლიანი ლექსები” (ნიკა აგიაშვილი, ჩვენი ტერენტი, გივი ცქიტიშვილის წიგნიდან — ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1990, გვ. 99-100).

პროლეტარული მწერლობის ნაფიცი კრიტიკოსი შალვა რადიანი წერდა: “გრანელ-გამსახურდიები წარმოადგენ ქართული ლიტერატურის მკვდარ ადამიანებს, რომლებსაც ვერავითარი სული ვერ აღადგენს” (უურნალი “პროლემაფი”, 1925 წ. 1).

კოლაუ ნადირაძე ადასტურებს: “ტერენტი გრანელისადმი არ-სებობდა კრიტიკის თითქმის მტრული დამოკიდებულება. გრანელი დადიოდა როგორც განნიორული და შერისხული. ტერენტის უდროო დალუპვა, რასაკვირველია, მისდამი ასეთი დამოკიდებულების შედეგიც იყო” (იქვე, გვ. 89).

მართალია, ალიო მირცხულავამ პოემაში “მე და ბარათაშვილი” ძლიერ გაკენწლა, ცრემლისა და სასაფლაოების პოეტად, მათხოვრად, ირონიით მეორედ მოსულ ქრისტედ მოიხსენია, მაგრამ იგი მაინც არ ჩაითვლება ტ. გრანელის მტრად, ეს იყო იდეურად სხვა პოზიციაზე მდგომი პოეტის კრიტიკა, ალიო მაინც კეთილისმყოფელი იყო ტერენტის და ამბობდა: “ტერენტის ჩემთან მეგობრობა არც ამის შემდეგ შეუწყვეტია” (იქვე, გვ. 75). თუმცა ამ ლექსში ტერენტისადმი არაჯანსალ, “უდიერ დამოკიდებულებას”, “უხეშ პოლემიკას” ხედავს გეგე იაკობის ძე შანავა (იქვე). ზოგიერთებს იგი კიცხავს შურის, ცილისწამების გამო.

სიმართლეს ამბობს ალიო მირცხულავა, რომ “ცხოვრებიდან გაქცევის ყოველგვარი ცდა პოლიტიკანობაა” (იქვე, გვ. 70).

თვითონ ტერენტის არ მოსწონდა პროლეტარული მწერლები, არც მათი უურნალი “პროლეტარული მწერლობა”. უურნალს უნდა ერქვას “მწერლობაო”, ამბობდა თურმე. მას ეუცნაურებოდა “პროლეტარული პოეტი”, ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, თვითონ პოეტი გვეუცნაურებოდა თავისი მსოფლმხედველობით და მოტივებით, ნერსელიზბარ ზედგენიდე (იქვე, გვ. 198).

არც მედროვე კომკავშირელები უყვარდა. გიორგი კაჭახიძეს უთხრა თურმე, “რაც კომკავშირლები გაჩნდით, ჩემი საქმე დაიღუპაო” (იქვე, გვ. 198).

რაკი ზემდგომი ორგანოები არ სწყალობდნენ, “ტერენტი გრანელს არ ჰქონია ბედნიერება ესარგებლა შემოქმედებითი მივლინებებით, ხელშეკრულებებითა და გამომცემლობების ავანსებით. მიუხედავად ამისა, ტერენტის პოეტური გენია ახერხებდა ქალალდის ნაგლეჯზე ენერა შესანიშნავი სტრიქონები, დამე ეთია სასაფლაოებსა და შემთხვევით ბინებში. მის ადგილას ბევრი ვერ შეძლებდა არ ეღალატა პოეტური მოწოდებისთვის და ბოლომდე მისი ერთგული დარჩენილიყო”, შენიშნავს გეგე იაკობის ძე შანავა (იქვე, გვ. 33-34).

ასეთივე სიმართლეა ტერენტის დის — ზოზიას განაცხადში: “მასაც შეეძლო მთავრობის საამებელი ლექსები ეწერა და კარგად ეცხოვრა, მაგრამ ეს არ გააკეთა... ვერ ურიგებოდა სიყალბეს, ჭირის დღესავით სძულდა სიცრუე” (იქვე, გვ. 21-22).

ტერენტი 20-იანი წლებიდანვე დაუპირისპირდა სატანისტურ ბოლშევიზმს, ტოტალიტარულ რეჟიმს, რის გამოც დევნა, შერისხვა, ჭორები, ცილისნამება და ფსიქიატრიულ სავადმყოფოში ძალად მკურნალობა იწვნია. ხელისუფლება, ახალი რეჟიმი ტერენტის მიიჩნევდა მტრად.

“მას მტრობდა არა მხოლოდ ტოტალიტარული რეჟიმი და იდეოლოგია, არამედ უნიჭო ბივატელთა მთელი პლეადა. ამისათვის მარტო ბესო უდენტის დასახელება იქმარებდა” (ლერი ალიმონაკი, გრანელის ლანდი, თბ. 1998, გვ. 49).

ტერენტის სიცოცხლეში მხოლოდ 120 ლექსი გამოქვეყნდა, დაიკარგა ნაწერების დიდი ნაწილი.

70-იან წლებშიც კი ჭირდა ტერენტის შესახებ თბილისში ბეჭდვა, ამიტომ ლერი ალიმონაკი ბეჭდავდა სოხუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის გაზეთებში.

1968 წ. “მნათობბი” (რედაქტორი ელ. მაღრაძე, პასუხისმგებელი მდივანი — ე. ყიფიანი) ლერი ალიმონაკის წერილზე ტერენტის შესახებ იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების იდეოლოგმა ბესარიონ ულენტმა უარყოფითი დასკვნა დაწერა, წერილის ნაკლად მიიჩნია ტერენტის პოეზიის “გადაჭარბებული და აბსოლუტური აპოლოგია”, ტერენტის შემოქმედება კი “უიდეო და აპოლიტიკური პოეზიის ნიმუშად” მოიხსენია, მითითებული იყო წერილის ავტორის “მცდარ იდეოლოგიურ პოზიციაზე” (გრანელის ლანდი, გვ. 75).

ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი მურმან ლებანიძის ლექსის დასასრული ასეთია:

“რკინის ეპოქების იყო თქარათქური
და გველებრ სისინი დამსმენი ცვედების.
მე “მნათობს” მოვპარე წერილი ჯალათური
ვთქვი” ხალხს წაუკითხავ, როცა გათენდების...
კაი დრო გავაო, პოეზიის უღრანში სანამ გათენდებაო! —
— ქალბატონმა თქვა, ერთხელ, ანამ” (იქვე, გვ. 78).

გამომცემლობა “საბჭოთა საქართველოში” 1968 წ. წარდგენილი ტერენტის ლექსების წიგნი 1972 წ. გამოიცა და ამ “ანტისაბჭოურ გამოცემაზე” მრავალი საჩივარი დაიწერა, მაგრამ ვახტანგ ჭელიძის ავტორიტეტის გამო ამ დასაბეზღებელ წერილებს მწვანე გზა არ მიეცა (იქვე, გვ. 80).

ჯ. ღვინჯილიამ ეს წიგნი აღიქვა, როგორც “კიდევ ერთი გაბედული ცდა ტოტალიტარული რუტინის მოჯადოებული წრის გარღვევის, ზნეობრივ კიბეზე კიდევ ერთი საფეხურით ამაღლებისა”.

ბესარიონ უღენტი იდეური პოზიციებიდან, მიზანმიმართულად მტრობდა ტერენტი გრანელს.

60-იანი წლების მეორე ნახევარში გივი ცქიტიშვილმა გადაწყვიტა დისერტაცია დაენერა ტერენტი გრანელზე, მაგრამ ამ ამბის გამგონე ბესარიონ უღენტი აყვირდა, თურმე: “ — არა! არა!... ტერენტი გრანელი არ გინდა. ტერენტი გრანელზე არაფერი არ დაწერო! ის ხომ მავნებელი იყო! ის ხომ ტროცკისტი იყო, მენშევიკი! სოციალ-ფედერალისტი იყო!...” (გივი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვაჩემი გაგების, თბ. 1990, გვ. 6-7).

პროფესორ სერგი ჭილაძის წახალისებით, კონსულტაციებით ბრწყინვალე დისერტაცია დაწერა და წარმატებით დაიცვა გივი ცქიტიშვილმა.

თსუ უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე მაძიებელმა დისერტაციის გაშლილი გეგმა და რეფერატი წარადგინა.

კათედრის გამგეს, პროფესორ სერგი ჭილაძის ძალიან ენადა თემა დამტკიცებულიყო, მაგრამ მონინააღმდეგები იქაც იყვნენ.

— ჯერ ტიციან ტაბიძეზე, არც სხვა “ცისფერყანწელზე” არ დაწერილა დისერტაციები. ტერენტი გრანელი რა გახდა ასეთი? — ეჭვი გამოოქვა ერთმა პროფესორმა, რომელიც სხვადასხვა თანამდებობებზე მოღვაწეობით უფრო იყო ცნობილი, ვიდრე მეცნიერული კვლევა-ძიებით (იქვე, გვ. 9).

ტიციანზე და სხვა “ცისფერყანწელებზე” ალბათ სხვები დაწერენ, — არ დაეთანხმა მას მწერალი და მკვლევარი თემურაზ მალაფერიძე.

— ტერენტი გრანელი სიცოცხლეშივე იყო რეპრესირებული, — გაიხსენ მესამემ (იქვე).

გამოსავალი გამოხახა პროფესორმა აკაკი თოფურიამ, რომელმაც თემის სათაურად შეარჩია “ოციანი წლების ქართული საბჭოთა პოეზიის ტენდენციები და ტერენტი გრანელი”.

სერგი ჭილაძიმ ისარგებლა ამ მომენტით და ხელმძღვანელად შეარჩია აკაკი თოფურია. ასე დაიძრა საკითხი.

ორ ფრონტზე ხდებოდა ტერენტის უკვდავყოფისთვის ბრძოლა, რომლის ფალავნები იყვნენ ლერი ალიმონაკი და გივი ცქიტიშვილი. მათ საკითხის ობიექტური ისტორია დაგვიტოვეს.

1968 წ. გადაწყდა გრანელის დაბადების 70 წლისთავის აღნიშვნა ჯერ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში, მერე მასზავლებელთა სახლში (დირექტორი ვასო გოგოლაძე), მაგრამ ჯაშის წერილმა ლიტერატურის, ხელოვნების პარტიულობაზე და ამ გადასახედიდან ტ. გრანელის ლანდღვა-გინებამ, პოეტის საღამოს გამარ-

თვაზე გადაკრულმა სიტყვამ ღონისძიება ჩაშალა. დიდი წყენა შეხვდა ვასო გოგოლაძეს (გრანელის ლანდი, გვ. 92). ამბობდნენ, რომ ეს ჯაში იყო ილიას მკვლელობის მონაწილე ჯაშის შთამომავალი.

ტერენტისადმი არაკეთილმოსურნეობით სახელი გაითქვა პოეტმა კარლო კალაძემ, რომელიც გამომცემლობა “მერანის” დირექტორი იყო. ლერი ალიმონავმა განიზრახა “მერანში” წიგნის გამოცემა ტ. გრანელის შესახებ, მაგრამ წიგნი არ შეიტანეს გეგმაში (მთავარი რედაქტორი გრ. ჩიქოვანი).

“საქწიგნში” მუშაობის პერიოდში ლერი ალიმონაკს ნანახი ჰქონდა ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის ჩანოლილი წიგნები.

ლერი მიხვდა “ბოლშევიკური იდეოლოგიის” შირმას ამოფარებული კარლო კალაძის არაკეთილმოსურნეობას, მის “მტრულ განწყობილებას” ტერენტისადმი, რომელსაც “არათუ ტერენტის, გალაკტიონის სახელსაც ვერ გაავონებდი”... ათეული წლების შემდეგაც კი კალაძის სახით “საწყალ ტერენტის” ებრძოდა თითქმის ყავლგასული ეპოქა” (იქვე, გვ. 104).

კარლოს უარით აღმფოთებულმა ლერი ალიმონავმა ალიო მირცხულავაზე ახლად გამოსული წიგნი ახსენა. კარლომ პათეტიკურად შეჰვეირა: “მე და ალიო იმ ტანკში ვიჯეექით, ტერენტის რომ გადაუარაო”.

კარლო კატეგორიულად იმეორებდა, ეგ წიგნი არ გამოვაო.

ლერი ალიმონაკი მუქარაზე გადავიდა: “საქწიგნში ვმუშაობ, შენი რუსულ-ქართული წიგნებით საწყობები გამოტენილია, მაღაზიებშიც ტევა არ არის... დავიქირავებ “გრუზავიკს”, დავტვირთავ იმ წიგნებით და აგერ, გამომცემლობაში მოგიყრიო” (იქვე, გვ. 109).

კარლომ კაბინეტში შეივყანა ლერი: “ეგ არა, ეგ არ გამაგონო, სხვას რასაც გინდა, იმას გამოგიცემო” (იქვე, გვ. 105).

საქმეში მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე ჩაერია, ლერი დაიბარა, კარლოც იქ იყო, როგორც გამომცემლობის დირექტორი. წერილების წიგნის გამოცემას დაპირდნენ, გრანელი გადავდოთო. ლერი დაეთანხმა.

ტ. გრანელის 1961 წ. ელიზბარ უბილავას რედაქტორობით გამოსული რჩეული იმთავითვე იშვიათობად იყო ქცეული და, სულოცოდვილო, ცოცხალი პოეტები ტერენტი გრანელში იქნებ ისევ მეტოქეს ხედავდნენ? გვაპატიოს პატივცემული თანამდებობიანი პოეტების აჩრდილებმა, თუ ეს უსაფუძვლო ეჭვია...

ლერის სიჯიუტემ თითქმის უკან დაახვინა კარლო კალაძეს და ექსპრომტით მიმართა: “გრანელის ლექსის ალით მონაკიდს, მე ვესალმები ალიმონაკის” (იქვე, გვ. 105).

ლერი ალიმონაკის 1974 წ. გამოსულ კრიტიკულ წიგნს “დანოსჩიკმა” “კონტრრევოლუციური” უწოდა, 1979 წ. წერილების მეორე წიგნსაც აედევნა “დანოსჩიკის” აჩრდილი.

ლერი ალიმონაკის წერილის აზრი ის იყო, რომ “პროლეტარულმა მწერლობამ, ბოლშევიკური იდეოლოგიის ნაშიერმა 20-30-იან წლებში ქართული მწერლობა დევრადაციის გზაზე დააყენა” (იქ-ვე, გვ. 107).

მოგვიანებით, ბესო ქლენტი თავს იმართლებდა: “ის წერილი მე არ დავუბეჭდე, იმ წერილის დაბეჭდვა არ შეიძლებოდა, უურნალ-საც დახურავდნენ და ჩვენც დაგვიჭრდნენ...”

გვახსებდება მიხ. ჯავახიშვილის რეპრესირების ისტორია. მაშინ ბერიას შეკვეთით ბესომ მიხეილზე საშინელი ცილისნამებლური წერილი დააწერა — “მოლალატური სიტყვა და საქმე”. როცა რეპრესიების გრიგალმა გადაიარა, ბესო თურმე თავს იმართლებდა, თუ არ დავწერდი, მეც დაჭერით მემუქრებოდაო ბერია...

ასე, რომ, ყოველთვის იყვნენ ხელისუფლების შიშით შეპყრობილნი, უფრო სწორად, ამა ქვეყნის ძლიერთათვის არასასურველი პირების წინააღმდეგ ბრძოლით სახელგანთქმული მედროვენი, რომლებიც ამით ზემდგომთა ხელშეუხებლობის გარანტიას ინალდებდნენ.

ტერენტი გრანელის მეგობრებად ვერ ჩაითვლებიან ის ადამიანები, რომლებიც 1978 წელს ორჯერ ჩამალეს ტერენტის დაბადების 70 წლისათვავი.

არავითარი გამართლება არა აქვს პოეტის გასვენების პროცესიაზე უარის თქმას, პოეტის გარდაცვალებაზე უბრალო ქრონიკის, ნეკროლოგის დამადლებას, მის დაკრძალვას პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, სადაც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედოებს ასაფლავებდნენ, საფლავი ისეთ ადგილზე შეირჩა, რომ მისასვლელი ბილიკიც არ ყოფილიყო.

ტერენტის მოშურნე და მტერი იყო ის, ვინც წითელარმიელთა კლუბში პოეზიის საღამოზე შუქი გამორთო, მაგრამ სანთლის შუქზე უფრო დიდი იყო მისი გენიალური სტრიქონებით გამოწვეული ეფექტი.

იმ დროს მწერალთა კავშირში ორატორმა თურმე ტერენტი გრანელის წიგნი ააფრიალა და გამყივანი ხმით იყვირა: “აი, ამ წიგნს, ლექსების ამ შავ წიგნს თუ იცნობთ თქვენ?” დარბაზში რეპლიკა გაისმა: “ეს როგორ? შავი კი არა, თეთრი წიგნი გიჭირავთ ხელში, ქათქათა, თეთრყდანი. — ჰო, თეთრი და არა წითელი” — უპასუხა მომხსენებელმა. დარბაზში ხარხარი ატყდა. ორატორი აგრძელებდა: “დიახ, თეთრი, ვიცით ჩვენ, რას ნიშნავს ეს თეთრი, თეთრი გიორგი, თეთრი რაში, თეთრი ანგელოზი. ეს წიგნი კი ამ თეთრ ანგელოზებზე ლოცვაა, მათხოვარი ქრისტეს ლოცვაა. ამიტომ ვუწოდებ მე ამ წიგნს შავ წიგნს, რეაქციულ წიგნს, რევოლუციის მიერ დამარცხებული კლასების ნაბოდვარსა და ნაცოდვილარს” (სერგი ჭილაია, იყო ერთი პოეტი, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 243).

ასე ებრძოდა ტოტალიტარული რეჟიმი რწმენას, სიკეთეს, ჭეშმარიტ პოეზიას.

პროლეტარული პოეზიის კარიკატურა ფრიდონ ნაროუშვილი ტერენტის მოძღვრავდა: “არა, ტერენტი, ბიჭო, რა დროს წმინდა გი-ორგი, ქალწული მარიამი და იესო ქრისტეა, შე კაცო... პოეტი ახლა ხარაჩიებზე უნდა იდგეს, გლეხს უნდა ამხნევებდეს ხვნასა და მკა-ში. შენ კი ისევ ეკლესიებში და სასაფლაოზე დაბორიალობ, დედაბე-რივით ლოცულობ და მოთქვამ” (იქვე, გვ. 245).

ტერენტის კი თავისი პრინციპები ჰქონდა, თავისი შეუცვლე-ლი მოსაზრება, რომლის სისწორე დღეს უფრო ნათელია. “თანამედ-როვეობას... მეც ვეხმაურები. აიღეთ ჩემი “ვანო სარაჯიშვილი”, “ექ-სპედიცია იტალია”, ოლონდ საკითხავია — ვის როგორ ესმის თანა-მედროვეობა. ზოგიერთისათვის ის მხოლოდ ვაშაა!... ვაშას უზომოდ მოტრიფიალეებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს ბოროტება, რომ არსებობს სიკვდილი. დიახ! საქართველო, გლეხი, მუშა, ქარხანა — ამაზე წერა საჭიროა და მეც ვიტყოდი, ზოგი იოლადაც ახერხებს ამას... ზოგს ლექსი მარტო ის ჰგონია, რაც ფიზიკურ არსებას გამო-ხატავს, ყოველდღიურობას აღწერს. არა, ნამდვილმა პოეტმა ამის იქით უნდა გადაიხედოს. მე პოეზიად ის მიმაჩნია, რაც მოულოდ-ნელს, ჩვეულებრივი ადამიანის თვალისათვის აღმოუჩენელს აღმო-აჩენს, სულის საიდუმლოებას ახსნის, მიუწვდომელს — მისანვდო-მად დაგვისახავს. მუშას, გლეხს თუ ინტელიგენტს ერთი საიდუმლო აქვთ, ჯერაც ამოუცნობი და ამოუხსნელი. პოეზია უნდა დაეხმაროს ყველას, ამ საიდუმლოებისა და მარადიულობის ამოცნობის შეგნება უნდა გაუღვიძოს პოეზიამ ყველას... აბა, მუშამ და გლეხმა შენზე და ჩემზე უკეთ იცის, როგორ ურტყას ურ გრდემლს ან მიწას თოხი. ნამდვილი პოეზია ამ პროზაული ამბების შემდეგ იწყება” (იქვე, გვ. 248-249).

ფრიდონ ნაროუშვილს ეკუთვნის დიდი ილიას სალანძღავი პო-ემა, მისი ტერმინებია: “ჩვენი ეგნატე, თქვენი ილია!” იგი არ ევებო-და ტერენტი გრანელს, ლანძღავდა, ხელის გარტყმასაც არ ერიდე-ბოდა (იქვე, გვ. 250).

არც ტერენტი ინდობდა იდეურ მტრებს. იგი ქილიკობდა ლე-ნინის გარდაცვალებაზე დაწერილი ალიო მირცხულავას ლექსის გა-მო, ალიოს ცნობილ პოემაში “მე და ბარათაშვილი” კი, მისი ავტორი დასკინის მეორედ მოსულ ქრისტეს — ტერენტის, მათხოვარს, საფ-ლავებზე მოხეტიალეს უწოდებს.

ტერენტის მტრი იყო ის, ვინც საფლავის ქვის ფილა გადატე-ხა, სურათი დაკარგა.

პოეტს არ ასვენებდნენ მოშურნენი, ცილისნამებით, ჭორებით სულს უწამლავდნენ: “ის მღვრიე წყალი, ტერენტი გრანელის ბიოგ-რაფიას რომ შეუდგა, პოეტის ახლო “მეგობრებისგან” მოდის. ეს

იმათი მოგონილია, ვისაც ტერენტი გრანელის მაღალი პოეტური ნიჭი და დიდი ერუდიცია ჩრდილავდა. ეს უბრალოდ შურის შედეგი იყო” (ირ. ხარჩილავა, დიოგენის სანთლით ხელში, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 40).

კრიტიკაც ტერენტი გრანელისადმი “მტრული დამოკიდებულებით” გამოირჩეოდა. გრანელი დადიოდა, როგორც განწირული და შერისხული (კოლაუნადირაძე, გვ. 89).

როცა ტ. გრანელის ნეშტის დიდუბის პანთეონში გადმოსვენების საკითხზე გვივი ცქიტიშვილი მწერლების ხელმოწერებს აგროვებდა, ირაკლი აბაშიძემ ხელი არ მოუწერა, მაგრამ დაპირდა, ქალაქის საბჭოში დავრეკავ და მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში პირადი განცხადებით შევალო, მაგრამ საეჭვო იყო ეს თავგამოდება, რადგან საქმე დიდხანს გაჭიანურდა (იქვე, გვ. 108).

ტერენტის მოყვრად ვერ ჩაითვლება სერგო კლდიაშვილი, რომელმაც ამ შუამდგომლობას ხელი არ მოაწერა, მწერლის გადასვენებას მხარი არ დაუჭირა იმ მოსაზრებით, რომ, ჯერ ერთი საფლავის ადგილმდებარეობას აზრი არა აქვს და თანაც დიდუბის სასაფლაო დიდხანს არ შემორჩება, ალათ მაღლ იმასაც გააუქმებენ.

უფრო მეტი: მას ცუდად ენიშნა გრანელით დაინტერესება: “...ერთი რამ მაინც არ მესმის: რატომ დაინტერესდით ტერენტი გრანელით. ჯერ ტიციან ტაბიძეზე არ თქმულა საკადრისი სიტყვა, არც პაოლო იაშვილზე, არც ვალერიან გაფრინდაშვილზე. თქვენ კიდევ დაგიჩემებიათ გალაკტიონ ტაბიძე, ახლა აგერ ტერენტი გრანელი”.

საინტერესო მისი აგრესია გალაკტიონ ტაბიძეზე: “რა პოეტური სახეა ეს — „ნაწვიმარ სილაში ვარდი“... სილაში ვარდს რა უნდა? სიყალბეა სრული! მაგრამ ხალხს მოსწონს სიტყვების ეს უაზრო თამაში...” (იქვე, გვ. 140-141).

აშკარა იყო, ამ ორ დიდ პოეტს სერგო კლდიაშვილი არ სწალობდა.

არც პროლეტარული პოეზის ადეპტი — კონსტანტინე ლორთქიფანიძე იქნებოდა ტერენტის პატივისმცემელი, მან მწერალთა კავშირის მიმართვას ყასიდად, წითელი ფერის კალმით მოაწერა ხელი, რამაც აღაშფოთა ლევან გოთუა: — მაგას ბატონი, სისხლში აქვს ხელი გასვრილი! მასთან როგორ მიხვედი?! აი, ხედავ, წითელი მელნით მოუწერია სახელი და გვარი!... ის, რაც არის, სახეზე ეტყობა!” (იქვე, გვ. 155).

ტერენტის მოშურნენი არც შემდგომ თაობებში ჰკულებია.

1979 წ. 13 ივლისს ტერენტის შესახებ ბრწყინვალე გადაცემა მოაწყო საქართველოს ტელევიზიამ და როცა მისი გამეორება განიზრახეს მაყურებლის თხოვნით, აღმოჩნდა, რომ კინოფირი “შემთხვევით” წაუშლიათ.

ეჭვობდნენ, რომ მისი მოწინააღმდეგე მოშურნე საქართველოში კი არა, საბჭოთა კავშირში ცნობილი პირი იყო და არც კინოფირის „შემთხვევით“ წამლის ვერსია სჯეროდათ (იქვე, გვ. 190).

ტერენტის მტრობდა ის, ვინც ის უცერემონიოდ, უგვირგვინოდ, უნეკროლოგოდ დაასაფლავებინა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ისე, რომ საფლავთან მისასვლელიც არ დაუტოვა.

ტერენტის დაუძინებელი მტერი იყო ის, ვისი ბრძანებითაც პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისი ხელნაწერები ნაგვის შემგროვებელს გაატანა და ცეცხლში ჩაფერფლა, ვინც მისი ოთხი კრებული: „პოეზია პლანეტების“, „ცისფერი სიშორე“, „მარადისობის ლაჟვარდები“ და რჩეული დაკარგა ან სპეციალურად გაანადგურა. ვინც არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პოეტის საფლავი დაკარგვისთვის გადაერჩინა, ვინც ფამილარულად ეთანხმებოდა დიდუბის პანთეონში პოეტის გადმოსვენებას, მაგრამ სინამდვილეში ბიუროკრატიულ ბარიერებს ქმნიდა, ინტრიგებს ხლართავდა და თავს ისულელებდა, თითქოს არ იცოდა, რომ ეს საქმე დასრულებული არ იყო.

შურიან-ბოლმიანთა პლეადის წარმომადგენლებმა, რაკი ნახეს, რომ ხალხის სურვილის შეჩერება შეუძლებელი იყო, ის მანც მოახერხეს, რომ გადასვენება ჯერ გააჭიახურეს (ორ თავლია სამარეს აწვიმდა და ათოვდა), მერე კი სრულიად მოულოდნელად, დათქმულ 9 დეკემბერს კი არა, 20 დეკემბერს გააკეთეს, მწერლების, საიუბილეო კომისიის, ოჯახისგან მალულად, ტერენტის მშობლიური წალენჯიხიდან წამოღებული დედ-მამის საფლავის მიწის ჩაუტანებლად.

ტერენტის გულშემატკიცირები იყვნენ კ. გაჩეჩილაძე (ვინც ტერენტის საფლავი გააკეთებინა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე), მღვდელი, რომელმაც ტერენტის საფლავის მიწა აკურთხა უანგაროდ, რადგან ტერენტი წმინდანად მიაჩნდა.

როცა წალენჯიხის სახლ-მუზეუმისთვის 1924 წ. გამოცემული ტერენტისადმი მიძღვნილი გაზეთის გამრავლება გადაწყვიტა გივი ცქიტიშვილმა, ეს პროვინციალიზმად მონათლა კომისიის თავმჯდომარემ, ვითომ თვითონ იკისრა ეს საქმე, მაგრამ მოიმიზება, გაზეთი ძველი ყოფილა, ვერ აღვადგინეთო და ასე „ჩაიშალა კარგად დაწყებული, ფრიად საჭირო საქმე“ (გ. ცქიტიშვილი).

ზოგ კეთილმოსურნეს საპირისპიროდ გამოუვიდა. ტერენტი რვა თვე ცხოვრობდა იოსებ იმედაშვილის სახლში და ბევრი პატივისცემაც მიულია, მაგრამ გაიოზმა 1986 წ. აღმანას „ლიახვეში“ მიწასთან გაასწორა უიღბლო პოეტი.

საყოველთაოდ ცნობილია მეგობრობის ის კულტი, რაც „ცისფერყანელებმა“, კერძოდ კი, პაოლო იაშვილმა დაამკვიდრა.

როცა ტერენტი ციხეში ხვდებოდა, პაოლოს ამცნობდა ამის შესახებ ტერენტი გრანებით და ისიც ყველაფერს აკეთებდა საპატიმ-როდან მისი გათავისუფლებისთვის.

დიდი თავგამოდების და კეთილმოსურნეობის დასტურია პაოლოს მიერ ერთ ყინვიან ზამთარში ხალვათად ჩაცმული ტერენტის-თვის ფულის შოვნა საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან და მისი თბილი ტანისამოსით შემოსვა.

მაგრამ იყო ისეთი რაღაც ტერენტის ხასიათში, რაც პაოლოს აღიზიანებდა და ასეთ დროს პოეტს სასტიკად უპირისპირდებოდა.

1924 წ. ტერენტის თაყვანისმცემლებმა მისაღმი მიძღვნილი გაზეთის სპეციალური ნომერი გამოსცეს. ეს იყო “მემენტო მორით” გამოწვეული აღტაცების ოფიციალური დადასტურება.

ამ ფაქტს ტერენტის ბევრი მოშურნე გაულიზიანებია. როგორც ჩანს, პაოლო იაშვილმაც დაინახა ამაში პოეტის გადაჭარბებული ამბიცია და საკმაოდ მყაცრი რეაქცია გამოხატა. თითქოს გაუწონასწორებელი იმპულსები და გაუაზრებელი ემოცია მართავდა პაოლოს იმ დროს. გენო ქელბაქიანი იგონებს: “რუსთაველის პროსპექტზე პაოლომ მარცხენა ხელი სწრაფად სტაცა ტერენტი გრანელს საყელოში, მარჯვენა ხელი მომუშტა და კედლისკენ უბიძგა მოულოდნელობისგან გაოგნებულ ტერენტის.

— შენ უფრო დიდი პოეტი ხარ თუ მე? — ჰკითხა მან ტერენტის და მუშტი ცხვირთან მიუტანა.

ტერენტის მუშტით კი არა, ზარბაზნითაც ვერ ათქმევინებდი, ჩემზე დიდი პოეტი ხარო (მაშინ დავრწმუნდი, რომ პოეტთა შორის მარტო ტერენტის როდი ეგონა თავი ყველაზე დიდი პოეტი).

შეკითხვაზე ტერენტიმ პასუხი არ დაუგვიანა:

— შენ მუშტით მოდიხარ პოეზიაში, მე კი გულით, მე შენზე დიდი პოეტი ვარ.

და პაოლომ გაარტყა. მაგრა გარტყმა იცოდა, მაგრამ ტერენტიმ გარტყმითვე უპასუხა.

ჩეუბში მათი გულშემატკივრებიც ჩაერივნენ, პაოლოს შერცხვა ქუჩაში ხმაურის და წავიდა, მაგრამ მონინააღმდეგე მხარეები აგრძელებდნენ ბრძოლას, ტერენტის ბევრი მოხვდა პაოლოს მომხრებისგან, მაგრამ თვითონაც არ დარჩენილა ვალში. ხმაურზე მილიცია მოვიდა და ოთხი პოეტი დააკავეს, მათ შორის ტერენტი. ამჯერად მისი განთავისუფლება ზაქარია ჭიჭინაძემ იკისრა, რომელმაც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე — მიხა ცხაკაია ჩარია საქმეში და 7-8 დღის შემდეგ ტერენტი გაათავისუფლეს (გენო ქელბაქიანი, ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984, გვ. 43).

ამავე ფაქტს ოდნავ განსხვავებით იხსენებს ბონდო კეშელავა: “ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი გაზეთის გამოცემის შემდეგ

პაოლომ თურმე ხუმრობით უთხრა ტერენტის: შენ თურმე ჩემზე დიდი პოვტი ყოფილხარო. ტერენტი ამან ძალიან გააბრაზა: როგორ თუ შენ, როგორც პოვტი, მე მედრებიო. არც პაოლომ დაუთმო და მაგარი ჩხუბი ატყდა” (ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 165).

ალიო მირცხულავა ასე იგონებდა პაოლოს და ტერენტის დამკაიდებულებას: ტერენტის “ცხოვრებისული არაფერი სწამდა. ამიტომ პაოლო იაშვილს არ უყვარდა ტერენტი. ერთხელ უთხრა, გცემო. ტერენტიმ კალოში გაიხადა და სახეში სთხლიშა/ ასეთი კინკლაობის გამო ზოგჯერ ციხეშიც ჩაუსვამთ. ეს იყო გვიან, როცა დაავადდა და ნერვებს ვერ იმორჩილებდა” (ალიო მირცხულავა, ის ძალიან ახალგაზრდა დაიღუპა, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბ. 1990, გვ. 75).

ტერენტი გრანელის მეგობრები

სულთა სიახლოვე. გალაქტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი.

“ტერენტი ჩემი მეგობარია... სულიერი და უდიდესი მეგობარი. იგი ხალასი გენია და ნიჭია”...

გალაქტიონ ტაბიძე

“შემხვდა ჩემი მარადიული მეგობარი და ძვირფასი პოვტი გალაქტიონ ტაბიძე. უცბად ვივრძენით ერთმანეთი”

ტერენტი გრანელი

ცნობილია, რომ გენია ცარიელ ნიადაგზე არ ყალიბდება. ნიჭთან, ერუდიციასთან, შრომისმოყვარეობასთან ერთად, წარსულის ტრადიციების გათავისება და თანამედროვეობის აქტუალური, თან მარადიული პრობლემების გაგება ხდება მომავალში გადახედვის საწინდარი.

ხელოვნების, პოეზიის სარბიელი დოლს ჰგავს და გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი მაშინ ედება, როცა მასში ლირსეულნი მონაწილეობენ.

ვფიქრობთ, გალაქტიონი და გრანელი თავიანთი სულიერი ინდივიდუალობით სულ განცალკევებით დგანან მეოცე საუკუნეში. მათი განსაკუთრებული სიახლოვე ღრმა შინაგან კანონზომიერებას ემყარებოდა. გრანელისთვის დიდი ბედნიერება და სტიმული იყო პოეტების მეფის შემოქმედება და პიროვნული სიწმინდე. გალაქტიონი საუკუნის პოეტთაგან განსაკუთრებულ პატივს ტერენტის ადამიანო-

ბას და პოეზიას მიაგებდა. მათი სულიერი სიახლოვე ურთიერთმონატრებასა და განსაკუთრებულ მეგობრობაში ვლინდებოდა. ისინი გულშემატკიცრობდნენ ერთმანეთს, ფრთხებს ატოლებდნენ და ერთმანეთით ზომავდნენ თავიანთ სიმაღლეს, წინსვლის, ახალ-ახალი წარმატებების იმპულსებს გადასცემდნენ და უცდომელი ურთიერთ არპიტრებიც იყვნენ.

ტერენტი გრანელს რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნილი გალაკტიონისადმი, რომლებშიც ჩანს პოეტების მეფისადმი დიდი მოწინებაც, მასთან გაჯიბრება-გაპაექრებაც და პირველობის პრეტენზიაც. აშკარაა, გალაკტიონი ტერენტისთვის პოეზიის მეტრი იყო და მასთან მიმართებით ცდილობდა გაეზომა თავისი სიდიდადე.

გრენელის ერთ ლექსში ისინი განსხვავებული დიდების პოეტებად წარმოგვიდგებიან, ხალხს ჭეშმარიტი პოეტის ტიტული უბოძებია გალაკტიონისთვის, ტერენტი გრანელი კი “უსახელოდ” დაუტოვებია: “ერთად ვხეტიალობდით თბილისის ბულვარებში, რესტორნებში, ბაღებში, — მე არსად არ გტოვებდი. შენ პოეტად შეგიცნეს, როს ჩაგხედეს თვალებში, მე კი დავრჩი მტკვრის პირად — უსახელო პოეტი” (გალაკტიონს).

შედევრებით მდიდარი გალაკტიონისადმი მოწინებაა გრანელის მეორე ლექსშიც: “გალაკტიონი ხომ მდიდარია. ზარი სიონის კივის, დარია. გალაკტიონი ხომ პოეტია. ზარი სიონის გულზე მეტია. გალაკტიონი ხომ ძვირფასია. გალაკტიონი მუდამ ასეა”.

თუ როგორ განიცდიდა გრანელი გალაკტიონისგან ფიზიკურ სიშორეს, თუ როგორ ადვენებდა თვალს მისი ცხოვრების კორრდინატებს და რა მოუთმენლად მოელოდა მის გამოჩენას, კარგად ჩანს შემდეგი სტრიქონებიდან: “და სადმე წასვლა მეც მინდა ეხლა და ისევ კივის ზარი სიონის, დაიგვიანა, რატომ ამდენხანს არ ჩამოვიდა გალაკტიონი”.

ცნობილია, რომ ქართველმა მკითხველმა კარგად იცოდა ტერენტი გრანელის ფასი, მას გულწრფელ ოვაციებს უმართავდნენ, ანებივრებდნენ გემოვნებიანი კოლეგები და სპეციალისტები (კ. გამსახურდია, კ. კაპანელი, ტიციან ტაბიძე, შ. ნუცუბიძე, მხატვარი მ. თოიძე, ლ. გუდიაშვილი) და ეს ფურორი, რომელსაც, პოეტის ნიჭიერებასთან ერთად, განაპირობებდა მისი ზემთაგონებული სახე, ლოცვისმიერი ინტონაცია, ტერენტის გალაკტიონთან გაჯიბრების გამბედაობას სძენდა, უფრო მეტი, მომენტებში ეჩვენებოდა, რომ “პოეტების მეფეს” ამეტებდა: “ახლა ერთია ლოცვა თუ ზარი, ფიქრი მერთალია: რომ გალაკტიონს მე გავუსწარი, ეს მართალია”.

ეს რწმენა ფიქსირდება სხვა ლექსებშიც: “და შორს დავტოვე გალაკტიონი” (თუ ხარ წვიმისთვის).

ეს შეხედულება იმდენად გასჯდომია ტერენტი გრანელის მთელ არსებას, რომ პოეტების მეფის ტიტულსაც “წაჰპოტინებია”: “არ უნდა ფიქრი, რომ გალაკტიონს მე ჩამოვართვი მეფის სახელი”.

პოეტში ამ მოსაზრების განმტკიცებას ხელს უწყობდა იმდრო-ინდელი სალიტერატურო კრიტიკა, როცა “მემენტო მორის” ჩვენი პო-ეზის უმაღლეს მიღწევად აღიარებდა: “მემენტო მორი”, საქართვე-ლოში პოეზია ჯერ არ გასცილება ამაზე მეტს... “მემენტო მორი”, ეს არის მგლოვიარე სიმღერა სათუთი გულის” (ვანლერ დაისელი, “Memento mori”, გაზ. „ახალი ნაკადი”, 1920, 4).

ალასანიშნავია, რომ ტერენტი გრანელისადმი მკითხველ-სპეცი-ალისტების თაყვანისცემის კიდევ ერთი გამოხატულება იყო 1924 წელს პოეტისადმი მიძღვნილი სპეციალური გაზეთის “ტერენტი გრა-ნელის” (1924, 21, XII) გამოცემა.

ასეთი პატივი გალაკტიონს 1927 წელს ერგო, როცა მასზე გა-მოვიდა სპეციალური სალიტერატურო ბიულეტენი, რომელშიც ქარ-თველი ერის მოაზროვნე წანილი ქედს იხრიდა პოეტების მეფის გენი-ის წინაშე.

ტერენტი გრანელის მეგობარი გენო ქელბაქიანი თავის მოგო-ნებაში აფიქსირებს, როგორ წამოცდა გალაკტიონთან ტერენტის ის, რაც, როგორც ჩანს, მუდმივად აწვალებდა და რაც თავის ლექსებსაც გაანდო: “გალაკტიონ! — მე შენზე დიდი პოეტი ვარ!” და ამით ერ-თვევარი გამოცდა მოუწყო მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მეტრს. “კი, ძამიკო, ხარ! ” ირონიანარევი იყო გალაკტიონის პასუხი (გენო ქელბაქიანი, ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა, ჩემი ცხოვრე-ბა მხოლოდ ლექსია, თბ. 1984, გვ. 35).

გალაკტიონი, თბილისი, პოეზია ტ. გრანელის ფიქრის მუდმივი საგანი იყო. წერილში “პოეზია ქარისა და ლამერბის”, რომელიც ძალ-ზე საინტერესოა პოეტის ესთეტიკური მრწამსის გასარკვევად, გა-ლაკტიონს მოიხსენებს ცისფერყანელების, ბლოკის, სტეფან მალარ-მეს გვერდით, როგორც ქარის, ლამის, მთვარის ტრუბადურს და “პო-ეტების მეფეს” “ლამის მერცხალს” უწოდებს.

გაზეთ “ახალ ნაკადში” (1924 წ. 4) ტერენტი გრანელმა გამოაქ-ვეყნა წერილი “გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გამო”, რომელსაც “არ-ტისტული ყვავილების” შთაბეჭდილებები ასაზრდოებდა.

ტერენტი გრანელის განაცხადი: “საქართველოს პოეზიის რენე-სანსში გალაკტიონმა თავისი წვლილი შეიტანა”, მოწმობს მის ობიექ-ტურობას.

ეს წერილი გალაკტიონის პოეზიის თავისებურებების ძალზე მიგნებული დახასიათების ნიმუშია: “გალაკტიონი სიმბოლისტია, გა-ლაკტიონის შემოქმედებაში არის თავისებური სამყარო, რომელიც ხილული ქვეყნის ანარეკლია. იგი ყოველთვის საგნების გადალმა ეძი-

ებს მსოფლიოში გაბნეულ ფერებს და აქ არის გალაკტიონის გამართლება”.

აქევ აღნიშნულია განცდის და მუსიკის სინთეზირება გალაკტიონის შედევრებში, “ლურჯა ცხენების” დინამიკა: “გ. ტაბიძეს უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება, რომლის სინთეზში ადამიანს ძალუძს ემოციონალურ და ესთეტიკურ გრძნობის დაკამაყოფილება. გალაკტიონმა ნახა თავისი სახე, სახე მეტად ძლიერი და პოეტური ბუნებით აღჭურვილი. სხვა ლექსებს რომ თავი დავანებოთ, “ლურჯა ცხენები” შედევრია, რომლის ვრცელი დინამიკა უმაღლეს წერტილს აღწევს. აგრეთვე ასონანსებს მის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, რომელსაც უმაღლესი პრეროგატივა ეძლევა ახალ პოეზიაში”.

გალაკტიონის შემოქმედებითი სიახლების სერიოზული წვდომაა წერილის შემდეგ სტრიქონებშიც: “გალაკტიონი ვაწრო ყალიბებში არ თავსდება, იგი თავის შეუკავებელ სულით ლიცენციისკენ მიისწრაფვის და აქ იშლება მისი პოეტური სახის უზენაესი ატრიბუტები”.

“უცნობი სფინქსი” ნინასწარმეტყველებს მომავალში გალაკტიონის “აბსოლუტურ გამრჯვებას”: “გალაკტიონმა დაიმსახურა წმინდა პოეტის სახელი. მან იცის თავისი დანიშნულება და ჩვენ ვფიქრობთ, მომავალში იგი სავსებით დაიკავებს ამ ხაზს, რომლის წიაღმი პოეზის აბსოლუტური გამარჯვება აუცილებელი იქნება” (იქვე).

ძალზე პოპულარულია ტერენტი გრანელის “მე და გალაკტიონი”, რომელზედაც დავით კობიძე გვაუწყებს: “ამ ლექსის დაწერა იმითადა გამოწვეული, რომ ზოგჯერ გალაკტიონისა და გრანელის პოეზიას ერთმანეთს უპიროსპირებდნენ... გალაკტიონი და გრანელი სულ სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა სიდიდისა და გაქანების პოეტები გახლავთ და მათი ერთმანეთთან დაპირისპირება უსაფუძვლოა. ტერენტი გრანელს სურდა ამ ლექსით მკითხველისათვის ეთქვა, რომ მისი პოეზია და განწყობილება სხვაა, ვიდრე გალაკტიონისა, რომ იგი გალაკტიონის გადამმდერი, მისი ეპიგონი კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი, საკუთარი ხმის მქონე პოეტია” (დავით კობიძე, როცა ახალი ცხოვრება იწყებოდა, თბ. 1977 წ. გვ. 55-56).

თუ რამდენს ნიშნავდა ტერენტი გრანელისთვის “მარადიული მეგობარი” და “ძვირფასი პოეტი” — გალაკტიონი, ამაზე “მემენტო მორის” ავტორის დღიურებიც დალადებენ: “დილით ვიყავი ბევრჯერ დაწერილ, და ბევრჯერ ნახულ ადგილებში. საღამოს შემხვდა ჩემი მარადიული მეგობარი და ძვირფასი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. ექვსი თვე არ მენახა. შემხვდა დღეს. უცებ ვიგრძენით ერთმანეთი. ბევრი ვისაუბრეთ ალექსანდროვის ბაღში. ბაღში ჩვენს გარდა სხვებიც იყვნენ. უცებ გავჩეუმდით. მოვდივართ და ქვეყანას იპყრობს საღამოს ცისფერი ბინდი” (წიგნში “ცისფერი სიმორე”, თბ. 1998, გვ. 339).

მუსიკის მოსმენა და გალაკტიონთან შეხვედრა აფერადებდა მის მწუხარე დღეებს სიხარულით: “მთელი დღე ქუჩაში ვარ და მესმის მუსიკის ხმა, ვგრძნობ სიხარულს, მუსიკის ხმებიდან მოვარდნილს. ვხვდები გალაკტიონს”. (იქვე, გვ. 340).

20-30-იან წლებში ორთაჭალა-კრწანისის ბალებში იმართებოდა ცხარე კამათი ცისფერყანნელებსა და პროლეტარულ მწერლებს შორის. ამ უკანასკნელთა ერთ-ერთ წარმომადგენელს აუგად უხსესნებია ილია ჭავჭავაძე, რასაც გალაკტიონის განრისტება გამოუწვევია: “ძამიკო, შენ ჯერ შეუგნებელი ბავშვი ხარ და არ იცი, თუ ვინ იყო ილია ჭავჭავაძე, მემამულე, მებატონე თუ მშრომელი ხალხის დამცველი და ქომაგი. ჩვენ გვჯერა რევოლუციის, მაგრამ თქვენი არ გვჯერა. თქვენ დალატობთ და აბუჩად იგდებთ რევოლუციას !” — იგონებს გალაკტიონის სიტყვებს ალექსანდრე სიგუა და ხაზს უსვამს, რომ “მაყურებლებმა, ყარაბილელებმა პოეტს ტაში დაუკრეს. ტერენტი გრანელი, რომელიც იქვე იდგა, გალაკტიონს გადაეხვია და გადაკოცნა. ამის შემდეგ გალაკტიონმა ყვავილების თაიგული აიღო და ორივე პოეტმა დატოვა დავა-კამათის ადგილი” (იქვე, გვ. 391).

“ორთაჭალაში, პოეტ გედეონ გუგუნავასთან თითქმის ყოველ-დღე მოდიოდნენ პოეტები: გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, გიორგი ქუჩიშვილი, ლადო მაჭავარიანი, გობრონ ციცქიშვილი (მწერლობაში აგარელი), შალვა კარმელი და სხვები”, გვიყვება ალ. სიგუა (იქვე, გვ. 391).

ქ. თბილისში, მე-14 შრომის სკოლაში, სადაც სწავლობდა ალ. სიგუა, “ხშირად მოდიოდა ტერენტი გრანელი, რომელსაც ზოგჯერ გალაკტიონ ტაბიძეც მოჰყვებოდა ხოლმე”, ასე ერთმანეთის გვერდზე მყოფი დაამახსოვრდა ეს ორი პოეტი ხალხს (იქვე, გვ. 401).

გალაკტიონის მეუღლეს ოლია ოყველი და იდი სურვილი პქონია ტერენტის გაცნობის და იგი მასთან წარუდგენია ალ. სიგუას.

ამ პოეტების ადამიანურ სახლოვეს მოწმობს დავით კობიძის ნაამბობი. ტერენტი გრანელს ქუჩაში ამოურჩევია კეთილი შესახედა-ობის მდიდარი უცნობი და ფულს დასესხებია, სინამდვილეში უთხოვია. ორნი ელოდებოდნენ. მეორე თვითონ დავითი იყო, მესამე — გალაკტიონი. ასე უსადილიათ 1923 წ. ერთ მშვენიერ დღეს და, როგორც ჩანს, გალაკტიონის პოეტური მოღვაწეობის 15 წლისთავი აღუნიშნავთ, რადგან ასეთი საიუბილეო ტრაპეზის შემდეგ იუბილარს დაუკვეხნია: კიდევ 15 წელი და მთელი საქართველი ჩემი იქნებაო (ვ. ჯავახაძე, “უცნობი”, გვ. 246).

გალაკტიონს სხვათა მიერ მოძღვნილ ლექსებთან ერთად ტერენტი გრანელის სტროფებიც ამოუწერია — ერთი მოძღვნილი (იქვე, გვ. 100).

1943 წ. 3 აგვისტოს გალაკტიონს დღიურში აღუნიშნავს ორი მომენტი:

“აი ქვაფენილზე მიდის ფეხშიშველა ადამიანი. იგი გამოხვეულია ძონძებში და აგვისტოს მზე დაუნდობლად აჭერს შიშველ თავს. ეს ტიუტჩევის თემაა.

ის ადამიანი ფეხით დადის.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხეს.

— გრანელია, პოეტი, — იყო პასუხი.

იმავე ქვაფენილზე მიდის იგივე ფეხშიშველა ადამიანი. ახლა კი იმას თბილი ძონძები არა აქვს. თოვს. ზამთარია. ის კი თეთრეულის ამარა მიდის.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხეს.

— გრანელია, პოეტი, — იყო პასუხი” (“უცნობი”, გვ. 138-139).

ერთხელ “სახელგამის” რედაქციაში ტერენტის მოუთხოვია ქალალდი და კალამი. იქვე დაუწერია: “ნისლია, სიცივე. იციან, ვიცი მე. იციან, ვიცი მე, ნისლია, სიცივე”. დაუტოვებია ლექსი და წასულა. ამ დროს გალაკტიონი შემოსულა და რომ წაუკითხავს ტერენტის სტრიქონები, უთქვამს: “დახეთ, რა მშვენიერი ლექსი დაუწერია ჩვენს ტერენტის!...” (გივი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბ. 1990, გვ. 50).

მათი ყველა ნაცნობი ადასტურებს, რომ ამ პოეტებს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ, რომ ტერენტი ყოველთვის გამოარჩევდა გალაკტიონს: “ტერენტი თანამედროვე ქართველი პოეტებიდან მხოლოდ გალაკტიონს აფასებდა. ტებილად საუბრობდნენ ხოლმე. გალაკტიონი ზოგჯერ უსიტყვილ წამოხტებოდა და წავიდოდა.

— სატანაა, მაგრამ მაინც კარგიაო! — იტყოდა ტერენტი გრანელი”, იგონებდა ალექსი ჯაფარიძე (იქვე, გვ. 148).

თავის თანამედროვეთაგან გალაკტიონ ტაბიძე განსაკუთრებით გამოარჩევდა ტერენტი გრანელს. როცა პოეტების მეფეს ეკითხებოდნენ ამა თუ იმ პოეტზე, იგი თავს იკავებდა მათი შეფასებისაგან ან ირონიულად ქირქილებდა, ტერენტი გრანელზე კი არ იშურებდა საქებარ სიტყვებს.

გენო ქელბაქიანის გადმოცემით, გალაკტიონი აღიარებდა ტერენტი გრანელის ნიჭს: “გალაკტიონს ბევრჯერ უთქვამს, რომ მოსწონს ტ. გრანელის ლექსების სითბო, მშვენიერი ქართული, მდიდარი რითმები. სად ისწავლა ტ. გრანელმა ასეთი საამო ქართული?” (გენო ქელბაქიანი, ტერენტი გრანელი, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 35).

1924 წ. გამოცემულ ტ. გრანელის კრებულზე — “Memento mori” — გალაკტიონს ასეთი წარწერა გაუკეთებია: “გაუმარჯოს ტ. გრანელის პოეზია! გალაკტიონი”.

როცა გალაკტიონს ტერენტი გრანელის და, ცისფერთვალება მაში უნახავს, მაშინვე, ტერენტის ასოციაცია გასჩენია და ვიდრე გააცნობდნენ, თვითონ მიმხვდარა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. ტერენტის

პოეზიით მოხიბლულს, მისი დისადმი თაყვანისცემა ვერ დაუფარავს. ასევე, მეორე ცისფერთვალება ქალბატონი, კვირკველიების ნათესავი, ზოზიასთვის მიუმსგავსებია: “ო, ამას ვის ვხედავ, ჩემი ტერენტის დაიკო, ტერენტის ცისფერი თვალები, ამ ქალბატონს არ ვიცნობ, მაგრამ ვხედავ, რომ მოშოს და ქალბატონს ორივეს ერთნაირი, ცისფერი, ზღვისფერი თვალები აქვთ და თავად გვანან ზღვას. ალბათ მოშოს დაა, ზოზია, ტერენტისგან ბევრჯერ გამიგია”.

მაშოს და უცნობი ქალბატონის ცისფერ თვალებს გალაკტიონისთვის ბარათაშვილის სტრიქონები გაუხსენებია: “ბარათაშვილს კი არა, მე უნდა დამეწერა: “ცისა ფერს, ლურჯასა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს და არამეცეყუნიურს სიყრმიდან ვეტრფოდი”.

მერე ტერენტის თვალების ხიბლი გაუხსენებია: “ტერენტისაც ნამდვილი მზით განათებული თვალები ჰქონდა. ამ მზის თვალებით უყურებდა დედამინას და მის ცოდვილ შვილებს და ამბობდა: “ო, დედამინავ, როგორ მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ, წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხვია”. ტერენტის პოეტური, პოეტის ქრისტესმიერი წმინდა, წმინდანის თვალები ჰქონდა. ზეცა ხომ ცისფერია, ზეციური თვალები ცოდვილი დედამინის შვილთა მაცქერალი; იმ ცისფერი ზეციდან, მარად წმინდა და მარად უკვდავი, — და ლექსი წარმოთქვა: “ახლა რა ვქნა, არ ვიცი, მე როდესაც ასე ვარ, როცა სულს ეპარება აჩრდილები სიბერის. მე, ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება, ჩემი ნაზი სამშობლო, ლაუგარდები ცისფერი”.

“ჩემო კარგებო, ასეთი სტრიქონების თქმა გენიოსს შეუძლია. ტერენტი საფლავიდან გაუწათებს კაცობრობას, ყველას, ვინც კი დაბადებულა და საფლავში წავა, “სცდების და სცდების სიკვდილსა, ვინ არ მოელის წამისად”.

მერე თავისი “მერის” სტრიქონები წაუკითხავს გალაკტიონს და მასპინძლებს გამომშვიდობები.

“— რა ეშველება ამ საოცარ, ნიჭიერ ადამიანებს ისეთ საქართველოში, როგორიც ამჟამად გვაქვს? ” წუხდა ტერენტის და მაშო (სერგო უვანია, მოგონება ტერენტი გრანელზე, ხელნახერი, მოგვანოდა ტერენტის დის შვილიშვილმა მამანტი როგავამ).

გენო ქელბაჯიანი, რომელიც ორივე პოეტს ახლოს იცნობდა, ადასტურებს მათ უანგარო მეგობრობას: “გალაკტიონ ტაბიძეს უყვარდა ტერენტი გრანელი. ტკბილი საუბარი იცოდნენ. მათი საუბარი არასოდეს გასცილებია პოეზიის თემას.

გალაკტიონს მოსწყინდებოდა ხოლმე, როცა ტერენტის დიდხანს ვერ ნახავდა. ტერენტის ნახვა არც ისე ადვილი იყო, მისამართს მალ-მალე იცვლიდა.

გალაკტიონს ჰქონდა ბინა, მაგრამ მასთან ტერენტი არასოდეს ყოფილა. სამაგიეროდ გალაკტიონი ეძებდა, მიაგნებდა, ნახავდა, ესა-

უბრებოდა”. (გენო ქელბაქიანი, ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984, გვ. 34).

1919 წ. ვასო გორგაძეს და ტერენტი გრანელს გამოუციათ ალ-მანახი “სმარაგდი”, რომელშიც დაუბეჭდავთ გალაკტიონის ლექსი “ხიდი რიალტო მთის მდინარეზე”. იქვე დაბეჭდილი იყო ტერენტის “მკრთალი სილუეტი” და ბიბლიოგრაფია გალაკტიონის ახალ წიგნზე (იქვე, გვ. 109).

ერთხელ ერთმანეთს შეხვედრიან გალაკტიონი, მიხა ბოჭორიშვილი, ტერენტი გრანელი და ხარიტონ ვარდოშვილი. სურათი გადაულიათ კომუნარების ბაღში, შემდეგ ნასულან მეტეხისკენ, სარდაფში, რომ ესადილათ იეთიმ გურჯათან ერთად. იეთიმ გურჯი აღარ მოსულა, გალაკტიონი და ტერენტი შემთვრალან (ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 144).

იგანე გომართელი მიუთითებდა ტერენტის “სულიერ კავშირზე” გალაკტიონთან, რაც განაპირობებდა მათ სიახლოვეს ცხოვრებაში.

არჩილ კორინთელი აღნიშნავს, რომ ტერენტის “ყველაზე მეტად უყვარს წიკოლოზ ბარათაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი” (ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984, გვ. 92).

ერთხელ ბაზარში არჩილ კორინთელი და ტერენტი გრანელი გალაკტიონ ტაბიძეს შეხვედრიან. მერე არჩილის ბინაზე პურობისას გალაკტიონს გაუგია, რომ ტერენტის და არჩილს საღამო-კონცერტის მოწყობა ჩაშლიათ იმ მიზეზით, რომ ბილეთი არ გაყიდულა. გალაკტიონი დაუკავშირდა გიორგი ქუჩიშვილს და ზუბალაშვილის თეატრი დაიქირავეს საღამოსოვის. ბილეთები გაიყიდა. მსმენელი ოვაციებით შეხვდა გალაკტიონს, გიორგი ქუჩიშვილს. ტერენტიმ სამი ლექსი წაიკითხა. მისი ლექსწყობა მოეწონა დამსწრე საზოგადოებას, ისევ გამოიძახეს და ერთი ლექსი კიდევ ათქმევინეს (იქვე, გვ. 99).

ერთხელ გალაკტიონმა უთხრა ტერენტის: “არ ვიცი, დედას თუ მამას, კარგი სახელი დაურქმევია, ალბათ გვარიც კარგი გექნება, მაგრამ ფსევდონიმად წალენჯიხელზე უკეთესი ვერაფერი შეარჩიე?

ტერენტიმ უპასუხა თურმე: გალაკტიონ, არც მე მომწონს, მაგრამ რა ვწნა, სადაურიც ვარ, ის დავირქვიო” (იქვე, გვ. 98).

მათი მეგობრობა “არტისტული ყვავილების” გამოსვლის შემდეგ დაინყო და ბოლომდე გაგრძელდა.

1919 წელს გამოიცა “თავის ქალა არტისტული ყვავილებით”. ტერენტი დაინტერესდა წიგნით, მაგრამ საყიდლად ვერ იშოვა, ამიტომ ვასო გორგაძისგან ითხოვა. ტერენტი მოიხიბლა. განსაკუთრებით მოსწონდა “როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები”, “მამული”. მრავალი ლექსი ზეპირად ისწავლა. მალე გალაკტიონს პირადად გაეცნო და მათ შორის მეგობრული კავშირი დამყარდა. “ხშირად მინახავს ხოლმე ტ. გრანელი გალაკტიონთან და სეზმან ერთაწმინდელთან მო-

სეირნე, ერთხელ სურათიც გადაიღეს ერთად”, იგონებს ვასო გორგაძე (იქვე, გვ. 108).

ტერენტი გრანელი გალაკტიონთან და გობრონ აგარელთან ერთად ხმირად მიდიოდა იმ სკოლაში, სადაც დავით კობიძე სწავლობდა (იქვე, გვ. 113).

დავით კობიძე გაუფრთხილებია ტ. გრანელს, გალაკტიონის პოეზიაში არსებულ სევდა-მწუხარების შესახებ არაფერი წამოგცდეს პოეტთან, თორემ ძალიან აღელდება და ყვირილს დაიწყებსო (იქვე, გვ. 127).

გალაკტიონის ძალიან ჰყვარებია ტერენტი გრანელი, დიდ ანგარიშსაც უწევდა ხოლმე. 1923 წლის 17 ივნისს რუსთაველის თეატრში დიდი საზეიმო საღამო ჩატარდა გალაკტიონის ასპარეზზე გამოსვლის 15 წლისთავის შესრულების აღსანიშნავად. გალაკტიონის საღამოზე დაუპატიუებია ტერენტი გრანელი და დავით კობიძე, პირველი რიგის ბილეთები მიუცია. შეთანხმებულან, რომ საღამოს დამთავრების შემდეგ ერთმანეთს შეხვდებოდნენ გარეთ, თეატრის მახლობლად მდგარ ჭადრის ძირას იმ განზრახვით, რომ საღმე წავიდოდნენ და პურ-მარილით აღნიშნავდნენ ამ დღეს, თან ერთმანეთს შთაბეჭდილებებს გაუზიარებდნენ.

საღამოს დამთავრების შემდეგ მეგობრები გალაკტიონის დათქმულ ადგილზე ელოდებოდნენ. დაინახეს, რომ თეატრიდან კმაყოფილი გამოვიდა გალაკტიონი ერთი ულამაზესი გოგონას თანხლებით, რომელსაც ხელში გალაკტიონის “არტისტული ყვავილები” ეჭირა და პოეტს გატაცებით ესაუბრებოდა. გალაკტიონი მას ყურადღებით უსმენდა და დინჯი ნაბიჯით მიაცილებდა. ტერენტი გრანელმა და დავით კობიძემ პირობა ჩაშლილად ჩათვალეს, წარმოუდგენლად მიიჩნიეს, რომ გალაკტიონის ის “ვარსკვლავივით მოელვარე და გაზაფხულივით აყვავებული გოგონა” მიეტოვებინა და თავისიანებთან მოსულიყო.

გალაკტიონის შენიშნა მომლოდინე მეგობრები და ისევ გზა განაგრძო. ტერენტიმ დაასკვნა, ამაღამ ჩვენი საქმე გათავებულია, გალაკტიონი ევამ მოიტაცა, ჩვენც ჩვენს გზას ვენიოთო. გალაკტიონი კი იქვე მახლობლად შედგა, გოგონას მოუბიძიშა, თავაზიანად დაემშვიდობა და შეპირებულ ახლობლებთან მოიჭრა. გახარებულები წავიდნენ რესტორანში, პურ-ლვინოს შეექცეოდნენ და ისე დიდხანს საუბრობდნენ, რომ დაათენდათ კიდეც (დავით კობიძე, მოვონებები ტერენტი გრანელზე, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 128-129).

მიუხედავდ იმისა, რომ ტერენტისთან მეგობრობა ძალზე ძნელი იყო, მისი თავისებური ხასიათის გამო, გალაკტიონის კარგად ეწყობოდა. უყვარდა მუსიკა და როცა აკაკი ანდრიაშვილთან მიდიოდა მუსიკის მოსასმენად, გალაკტიონიც მიჰყავდა. ითხოვდნენ, რამე დაეკრა აკაკის, მაგრამ დაკვრის დროს სულ ლაპარაკობდნენ. “საერთოდ, კარგი სანახავი იყო გალაკტიონისა და ტერენტის ერთად ყოფნა, მა-

თი საუბარი, ერთადერთი პოეტი, ვისაც ტერენტი პატივს სცემდა საქართველოში, იყო გალაკტიონი. გალაკტიონიც ასე უყურებდა ტერენტის”, იგონებდა ა. ანდრიაშვილი (იქვე, გვ. 153).

ლ. კუპრაშვილი აღნიშნავს, რომ “ტერენტი დიდად აფასებდა და თაყვანს სცემდა გ. ტაბიძის პოეტურ ნიჭს. როცა მას ახსენებდა, თვალები სიხარულით აუკიაფდებოდა და მისი პოეზია ცამდე აჰყავდა” (იქვე, გვ. 161).

ტ. გრანელი და გალაკტიონი გამუდმებით ერთმანეთის მიმართ ყურადღებას იჩინდნენ, მუდამ იმას ცდილობდნენ, ხალხისაგან განმარტოებულიყვნენ და სული გადაექალათ ერთმანეთისთვის.

ერთხელ რუსთაველზე თავის თანამებამულე იოსებ ბჟალავასათან ერთად მოსეირნე ტერენტი გრანელს ოპერის ბალის მარცხენა კუთხეში შეუმჩნევია მარტო მდგომი გალაკტიონი და მაშინვე მისკენ გაუწევია. გულითადად მოკითხავთ ერთმანეთი. ტერენტი გამომშვიდობებია თავის თანამგზავრს და გალაკტიონთან დარჩენილა (იოსებ ბჟალავა, ზოგიერთი ეპიზოდი ტ. გრანელის ცხოვრებიდან, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984, გვ. 164).

“ტერენტი ხშირად ახსენებდა გალაკტიონს, გრძნობდა და აფასებდა მის სიდიადეს, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ თვითონ უფრო უშუალო და გულწრფელი პოეტი იყო. თავის ლექსებს პოეზიის უმაღლეს ქმნილებად თვლიდა”, იხსენებს იოსებ ბჟალავა (იქვე).

ტერენტი ერთ დროს პლეხანოვის ქუჩასთან ახლოს, მთავარი ფოსტის პირდაპირ, ერთ პატარა დარაბაში ცხოვრობდა. მასთან მისულ გრიგოლ თრახელაშვილს შესჩივლა თურმე პოეტმა: “ჩემი ხის ტახტი კეკეტილებით არის სავსე, ამიტომაც დავშალუ და ავაყუდე კედელზე, წუხელ მთელი ღამე არ მინინდია, ავად ვარ, არავის იმედი არ მაქს. სოფელში დებს წერილი მივწერე, არ ვიცი, მიიღეს თუ არა, გალაკტიონი ხშირად მნახულობს. ეს კასრული გალაკტიონის არის, გუშინ იმან სახლიდან კერძი მომიტანაო” (ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 206).

იურისტი იროდი ხარჩილავა იგონებს, ერთხელ უცნობი სტუდენტები როგორ გამოეკიდნენ, გამოეცნაურნენ და შეკითხვები დააყარეს გალაკტიონს. პოეტმა ისინი რესტორანში დაპატიჟა, ახალგაზრდებმა ნასვამი გალაკტიონი სახლში მიაცილეს. პოეტმა მეორე დღისთვის ისინი თავისთან დაიბარა. საუბარში იროდი ხარჩილავამ ტერენტის შესახებ ნამოინყო საუბარი: “როგორც კი ტერენტი ვახსენე, ნემსნაჩევლეტივით ნამოვარდა, თითქოს გადაეწმინდა ნაღვლიანი იერი, ნისლივით რომ გადაჰვენოდა სახეზე”, იგონებს იროდი ხარჩილავა.

— იცით ყანვილებო! მოგვმართა ჩვენ, — ტერენტი ჩემი მეგობარია, მაგრამ არა უბრალო მეგობარი, არამედ სულიერი და უდიდესი მეგობარი. იგი ხალასი გენია და ნიჭია, ბუნებით პოეტი, ჭეშმარიტი

პოეტი. მე ვნანობ, მე ვდარდობ, რომ იგი განუკურნებლად ავადაა". ეს იყო 1932 წელს (იქვე, გვ. 214).

ერთხელ ტერენტი გრანელი ალექსანდროვის ბალში გალაკტიონს უცდიდა, ახალი ლექსი უნდა წავაკითხოო. მალე ისიც გამოჩნდა. ტერენტი გამოცოცხლდა, სახეზე სიამაყე აღებეჭდა. ტერენტიმ ლექსი წაუკითხა — "წუხს როიალი ბალის მახლობლად", გალაკტიონმა უცნაურად გაიღიმა და სოხოვა მეორედაც წაეკითხა, ტერენტი გაჯავრდა და გაიქცა. "უყურე ახლა შენ ამას?" — წარმოთქვა გალაკტიონმა, თვითონაც ადგა და ბალიდან გავიდა" (სერგი ჭილაია, იყო ერთი პოეტი, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 234-235).

"რატომ მოექცა გალაკტიონი ასე სასტიკად თავის ძველ მეგობარს? — სვამს კითხვას სერგი ჭილაია.

მერე ტერენტი ათი დღე დაიკარგა. როცა გამოჩნდა, სერგიმ ჰკითხა, გალაკტიონი თუ წახეო, როგორ არაო, გახალისდა გალაკტიონის ხსენებაზე და უამბო, სოფლიდან ჩამოტანილ პურ-მარილზე რომ დაპატიჟა გალაკტიონი და გენო ქელბაქიანი (მთაწმინდის ქუჩაზე, ბესიკის აღმართზე, პატარა ეზოში, აივნის ქვეშ საქათმისხელა პატარა ფიცრული ოთახი ჰქონდა ერთი ხის ტახტით და ერთი სკამით). გალაკტიონს "მემენტო მორიდან" ერთი ლექსი წაუკითხავს: "ახლა უფრო ხშირია შეცდომების დაშვება".

ტერენტიმ სერგის უთხრა: "იცი, გუშინ გალაკტიონმა თავიდან ბოლომდე წაიკითხა ეს წიგნი, მერე, როცა დავლიერ, კიდევ გადაშალა წიგნი და ეს ლექსი ხმამაღლა წაიკითხა. წაიკითხა, ადგა და წავიდა, ისე წავიდა, რომ არაფერი მითხრა. დავიბენი, ვერაფერი გავიგე, მოენოხა თუ არა. გავჯავრდი, კინაღამ ვიტირე. დღეს შემხვდა და სწორედ ეს ლექსი, გუშინ რომ მეორედ წაიკითხა, ზეპირად მითხრა. ზეპირად კი მითხრა, მაგრამ მოწონების სიტყვები ვერა და ვერ დავაცდევინე. მე კი მგონია, რომ ეს ლექსი გალაკტიონის ლექსებს არაფრით ჩამოუვარდება" (იქვე, გვ. 238).

ალიო მირცხულავა იგონებდა: "ხშირად შევსულვართ მე, ტერენტი და გალაკტიონი ლვინის დასალევად. მე არ ვსვამდი, უფრო მათი ხათრით შევდიოდი. ტერენტის განსაკუთრებით უყვარდა გალაკტიონი" (იქვე, გვ. 251).

პოლიკარპე კაკაბაძე ადასტურებს, ტერენტი გალაკტიონის დიდი მეგობარი იყო (იქვე, გვ. 254).

ტერენტი და გალაკტიონი ხშირად იკრიბებოდნენ საქართველოს სახალხო მხატვარ კორნელი სანაძის ბინაში. ერთხელ მხატვარს თავისი ლექსები წაუკითხავს ამ გამოჩენილი პოეტებისთვის. ტერენტი აღმფოთებულა სასაფლაოს თემით და მხატვრისთვის შეუტევია: "ასეთი ლექსი შენ არ შეგფერის, ეყოფა საქართველოს ჩემი გოდება და გვემა, გინდა ჩემსავით გადაიჩეო საშინელების მორევში? შენ

რომ აგონიაში დამხატე, ისე ხომ არ გინდა შენი თავი გამოხატო? არა, არ გირჩევ ჩემი ბედის კვალზე სიარულს, არ მომყვეო”.

გალაკტიონს მხატვრის ნაცვლად მიუცია პოეტისთვის პირობა, რომ იგი ასეთ ლექსს არ დაწერდა, ტერენტი დაწყნარებულა და კორნელის სადღეგრძელო დაულევია (იქვე, გვ. 262).

ლერი ალიმონაკი აღნიშნავს, რომ ამ პოეტების მეგობრობა “განსაკუთრებულ ელფერს ატარებდა. ტერენტიზე ყველაზე ძლიერ იმოქმედა გალაკტიონის პოეზია. „არტისტული ყვავილების“ მრავალი ლექსი ზეპირად იცოდა. მერე პირადად გაეცნო გალაკტიონს.

მიუხედავად იმისა, რომ ტერენტის თავის ერთადერთ მეტოქედ გალაკტიონი მიაჩნდა, ეყო დიდსულოვნება, რომ იგი ახალი პოეზიის მამამთავრად ეღიარებინა. გალაკტიონს არც ერთი სხვა ქართული პოეტისგან არ უგრძენია ამოდენა სითბო და სიყვარული.

ტერენტიმ გალაკტიონის პოეზია განახლების გზად მიიჩნია და გაჰყვა მას... მან შექმნა ინდივიდუალური პოეტური სამყარო, რომელიც რადიკალურად განსხვავდება გ. ტაბიძის პოეტური სამყაროს-გან.

ჯერ კიდევ ტერენტის სიცოცხლეში არსებობდა მეტად უსაფუძვლო, მცდარი აზრი, რომ თითქოს გრანელის პოეზია გალაკტიონის პოეზიის გადამდერება ყოფილიყოს... ამ გარემოებამ დააწერინა “მე და გალაკტიონი”.

მოწინააღმდეგებისგან განაპირებული ტერენტი გალაკტიონთან მეგობრობაში პოულობდა შვებას. გალაკტიონი ხომ მას თავის სულის მოზიარედ თვლიდა. ტერენტის არ შეეძლო უგალაკტიონოდ...

რით შეეძლო გალაკტიონს ეპასუხნა მისდამი ტერენტის ასეთ უსაზღვრო სიყვარულზე, თუ არა სიყვარულით.

აი, ტერენტის დღიურის ერთი ჩანაწერი: “შემხვდა ჩემი მარადიული მეგობარი და ძვირფასი პოეტი გ. ტაბიძე. ექვსი თვე არ მენახა. შემხვდა დღეს, უცებ ვიგრძენით ერთმანეთი. ბევრი ვისაუბრეთ ალექსანდროვის ბალში (ლერი ალიმონაკი, ორი პოეტის მეგობრობა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1971 წ. 9 ოქტომბერი).

გალაკტიონმა თურმე ტერენტის დაუძახა: “ტაბიძეების მეტობა არ თქვა, ჩვენს შემდეგ კი ყველაზე დიდი პოეტი შენა ხარო!”.

1920-25 წნ. თბილისში ტერენტის პოეზიის საღამოებს თავისი გამოსვლებით გალაკტიონი ამშვენებდა.

როცა ტერენტი უკურნებელმა სენმა შეიპყრო, გალაკტიონი ხშირად ნახულობდა, ხელს უმართავდა. როცა ტერენტი გარდაიცვალა, რამდენიმე კაცისგან შემდგარ პროცესიას, რომელმაც პოეტის ცხედარი პეტრე-პავლეს სასაფლაოს მიაბარა, ღრმად დამწუხრებული გალაკტიონიც მიჰყებოდა (ლერი ალიმონაკი, იქვე).

ერთ-ერთ სურათზე ერთად მოჩანან მიხეილ ბოჭორიშვილი, ტერენტი გრანელი, გალაკტიონი, ხარიტონ ვარდოშვილი.

ლიდია მეგრელიძე იგონებდა: ტერენტი ძალიან აფასებდა გალაკტიონს. ასევე, გალაკტიონიც. ისინი ახლო მეგობრები იყვნენ. ხშირად ნახავდით ერთად თბილისის ქუჩებსა და ბაღებში, დარია ახვლედიანთან ჩაიზე. ჩვენი საუბრები ძირითადად პოეზიას შეეხებოდა. ტერენტიმ კარგად იცოდა რუსული, ფრანგული სიმბოლიზმი, ქართული პოეზია, განსაკუთრებით ბარათაშვილი და გალაკტიონი.

ერთხელ ოთხივენი ერთად იყვნენ მუშტადის ბაღში, ერთ სკამზე ისხდნენ. მოულოდნელად ტერენტი და გალაკტიონი ადგნენ თურმე და მოშორებით ბაღახებში ჩაჯდნენ. რაღაცას ესაუბრებოდნენ ერთმანეთს და თან ქალებისკენ იყურებოდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ მათ დალევა უნდოდათ. დაუძახეს, მისცა თურმე ლიდიამ ერთი მანეთიანი და გახარებული წავიდნენ (ლიდია მეგრელიძე, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, 256-257).

გალაკტიონს იროდი ხარჩილაგასათან უთქვამს: “ო, ტერენტი! თქვენ იცით ვინ არის ტერენტი? — მე ძლიერ მიყვარს მისი ლექსები”, უპასუხია იროდის. “სიყვარული ცოტას ნიშნავს, ტერენტი დაიდი პოეტია, ძამიკო. ტერენტის ქურდავენ, ქურდავენ, ქურდავენ!” — სამჯერ წარმოუთქვამს გალაკტიონს და დაუყოლებია: დღევანდელი პოეზია მისი რითმებით სულდგმულობს” (ლერი ალიმონაკი, გრანელის ლანდი, თბ. 1998, გვ. 112).

როგორც ვხედავთ, გალაკტიონისა და ტერენტის მეგობრობა, ურთიერთსიყვარული და დაფასება გამონაგონი კი არა, რეალური ფაქტია.

ამ ორი გამორჩეული სახელის დაწყვილება რომ შემთხვევითი არ არის, ამაზე პასუხს მათი შემოქმედებითი შეხვედრები გაგვცემს.

დაფასება, ალიარება

ტერენტი გრანელის პირველ გზამკვლევად, მეგობრად ჩაითვლება ცნობილი მეცნიერი სიმონ ყაუბჩიშვილი, რომელმაც ტერენტის პირველი ლექსი დაუბეჭდა ნაციონალ-ფედერალისტების ორგანოში — ”სახალხო გაზეთში”, სადაც იგი მდივნად მუშაობდა. იმ ხანებში ტერენტი გაზეთში კურიერად მუშაობდა, საქმიანი ქალალდები დაპქონდა სტამბაში. ერთხელ ტერენტიმ სიმონს მაგიდაზე შუაზე გადაკეცილი ქალალდი დაუდო თურმე, თვითონ კი გარეთ გავარდა. ქალალდზე ლექსი აღმოჩნდა, რომელიც ძალიან მოეწონა სიმონს, თუმცა ტერენტის ლექსით გატაცებაზე არაფერი გაეგონა. გაბედა და სხვების უკითხავად დაბეჭდა. ლექსიც მოეწონათ და სიმონის სითამამეც, ორივე შეაქეს. ამის შემდეგ ტერენტიმ სხვა უურნალ-გაზეთებშიც დაიწყო ბეჭდვა. მერქ სიმონი სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ წავიდა სამი წლით და როგა სამშობლოში დაბრუნდა, ტერენტი იმ გაზეთში აღარ მუშაობდა, მაგრამ პოპულარული პოეტის

სახელი ჰქონდა. სიმონს, როგორც პოეტის გზის პირველ დამლოცველს, ტერენტის წარმატებები ძალიან გაეხარდა.

სიმონი მერეც გატაცებით საუბრობდა ამ “დიდებულ პიროვნებაზე და ბრწყინვალე პოეტზე”, “მან სრულიად ახალი მიმართულება შექმნა ქართულ მწერლობაშიო”, ამტკიცებდა და იხსენებდა პროფესორ მიხეილ ზანდუკელის ლექციებს, რომელიც მას “ნეორომანტიზმის” წარმომადგენლად აცხადებდა (ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგებას, გვ. 56).

ტერენტის ნიჭის უდიდესი თაყვანისმცემელი იყო პორფილე თოფურია, რომელიც იმ გაჭირვებულ დროში პოეტს “მემენტო მორის” გამოცემაში დაეხმარა.

ასევე თომა ჩიქვანაიამ ხელი შეუწყო ტერენტის “მემენტო მორის” გამოცემაში და საზოგადოებას მოუწოდა წიგნის შექნისკენ. მან გაკიცხა ქართველი ინტელიგენცია იმ გულგრილობისათვის, რასაც ის იჩენდა სიტყვის ოსტატების მიმართ.

ტერენტის უპირველესი მეგობრები იყვნენ მაში და ზოზია, მათ შემოგვინახეს ფასდაუდებელი მოგონებები პოეტზე, მათ უპატრონეს ტერენტის მემკვიდრეობას, რაც მტარვალთა მიერ განადგურებას გადაურჩა.

ტერენტის მეგობარი იყო ზოზიას ქალიშვილის — უჩას მეულე ბორი როგავა, რომელიც წლობით პატრონობდა ტერენტის საფლავს.

ტერენტის დის შვილიშვილებმა — გაიოზ და მამანტი როგავებმა ლირსეულად დააფასეს თავიანთი გენიალური ბიძა.

გაიოზ როგავამ შეადგინა და საკუთარი ხარჯებით გამოსცა ტერენტისადმი მიძღვნილი ბრწყინვალე წიგნი — “ცისფერი სიშორე” (თბ. 1998 წ.), რომელშიც შევიდა გრანელის პოეზის რუსული თარგმანები, შესრულებული ბექა ლაშია-ხიბლელის მიერ. კრებულში დაიბეჭდა ტერენტის დღიურები, პუბლიცისტური და ლიტერატურული ნაკვევები, პირადი წერილები.

ფასდაუდებელია წიგნში შესული მოგონება, რომლის ავტორია ტერენტი მეგობარი, ყოფილი პოლიტკატორლელი ალ. სიგუა. მასში წარმოჩენილია ტერენტის მსოფლმხედველობის არსებითი მომენტები, ხაზგასმულია პროტესტანტული იდეები.

აქვეა მნიშვნელოვანი გამონათქვამები გრანელზე.

წიგნი პოლიგრაფიულად შესრულებულია მაღალ დონეზე. მასში დაბეჭდილია მხატვარ მანანა ბობობიძის მიერ შექმნილი ტერენტის ფერნერული ტილო, ცნობილი პორტრეტები ქართველი მხატვრების: ლადო გუდიშვილის (ორი პორტრეტი), კორნელი სანაძის, ირაკლი თონიძის, აგრეთვე სხვა ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ფოტოები.

ნიგზი ბრწყინვალედ არის გაფორმებული ია და დიმა ლვინჯი-ლიების შიერ.

ექიმმა მამანტი როგავამ მოიპოვა ბრწყინვალე მოგონება ტერენტი გრანელის შესახებ (კ. ბობოხიძის, ს. უვანიასი), ახლებური თვალით დანახული გამოკვლევები “მემენტო მორის” ავტორის შემოქმედებაზე (საფრანგეთში მოღვაწე ქართველის დათო თოთიბაძის, გამოჩენილი მსატვრისა და ესეისტის რეზო ადამიასი).

დათო თოთიბაძემ შეასრულა ფრანგული თარგმანები ტერენტის ლექსებისა.

მამანტი როგავას თაოსნობით მომზადდა გამოსაცემად კრებულები “მარადისობის ლაჟვარდები” და “ამობრწყინება”, რომლებშიც შევა პოეტის ფრანგული თარგმანების ნიმუშები, მეცნიერული გამოკვლევები, ახალი მოგონებები.

ისევ და ისევ იბადება კითხვა, ვინ იყენებ ის ადამიანები, რომლებმაც შერისხულ და განნირულ პოეტს ბოლო დღეს პატივი მიაგეს, უკანასკნელ განსასვენებლამდე მიაცილეს ?

სახელდებიან ი. გრიშაშვილი, გალაკტიონი, პაოლო იაშვილი, მ. ჯავახიშვილი, ლ. მეტრეველი, გ. ქიქოძე, ტიციან ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ჭიჭინაძე, ი. ქავუარაძე, პ. კეშელავა, ალ. წერეთელი, ლ. ქიაჩელი, ა. ონელი, ს. ერთაშმინდელი, ს. ცაიშვილი, ა. განერელია, ს. ჭილაძა.

ნაცნობების, ამხანაგების, მეგობრების, ნათესავებისგან შედგება სრულფასოვანი საზოგადოება და ის ასულდგმულებს ადამიანს ბედნიერების თუ მწუხარების მომენტებში. სხვათათვის სიკეთის მიგების, თანადგომის, გაგების უნარი მხოლოდ მორწმუნე, სულით სპეტაკ ადამიანებს მიემადლებათ და განსაკუთრებული ნიჭია.

ამ გრძნობებისგან მოედინება სიკეთის ფლუიდები, რაც სულის მაცოცხლებელი ფერმენტია.

ასებობს მეტოქეობაში, ურთიერთშეჯიბრებაში გადაზრდილი გრძნობა ამხანაგებს და მეგობრებს შორისაც, რომელნიც, თუ სულიერად ახლობელნი, მაღალი ზნეობრივი განვითარების არიან, არამც და არამც არ გადადის ეგოიზმსა და შურში, ბოროტებასა და დაუნდობლობაში. ასეთ დროს ჯანსაღი მეტოქეობა მხოლოდ და მხოლოდ სტუმულია წინსვლის, ზრდის და ორი მხარე არასოდეს კარგავს თვითკრიტიკულობის უნარს, უცდომელი არბიტრის ფუნქციას.

ასეთი იყო ილიასა და აკაკის, გალაკტიონისა და გრანელის ურთიერთობა.

სულით ამაღლებული არათუ უცნობებთან, მტრებთანაც კი ავლენენ დიდსულოვნებას, ობიექტურობას, ალიარებენ მონინააღმდეგის ღირსებებს.

მაგრამ უღირსნი, ხელმოცარულნი, სამწუხაროდ, ვერასოდეს დააფასებენ ღირსეულს და მათგან მოედინება შურის მდინარე, ქრის

სიავის ქარი, როგორც მოცარტის და სალიერის ურთიერთობაში, როცა მოცარტის ნიჭით გაბოროტებულმა სალიერმა, რაკი მიხვდა, რომ ვერსაოდეს შესწოდებოდა გენიალური მუსიკოსის სიმაღლეს, მონამლა იგი, მაგრამ გვიან მიხვდა, რომ “გენიოსობა და ბოროტება თურმე ერთად ვერ თავისდებიან”...

ლიტერატურის ისტორიაში სანიმუშო დიდსულოვნების, უცნობებისა და მეტოქეებისადმი გამოვლენილ ობიექტურობის, კეთილმოსურნების დაუკინებარი მაგალითებიც არის საბედნიეროდ. ხშირად ასეთებს აღმოუჩენიათ ხოლმე შეუცნობლივის ბურუსით მოსილნი, სულგაყიდულთა მიერ უგულებელყოფილი.

დიდი ილია ჭავჭავაძის ხელში იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ბედი და ერის სულიერმა მამამ პირველმა დიდსულოვნად აღიარა ნაადრევად, ტრაგიკულად გარდაცვლილი რომანტიკოსი პოეტის ტალანტი.

ილიამ გააკეთა გასაოცარი განაცხადი ჯერ კიდევ უსახელო ვაჟა-ფშაველას მისამართით, როცა ძველებს, თავისი თავის ჩათვლით, კალმის დადებისა და ვაჟასთვის გზის დათმობისკენ მოუწოდა. “ახლად გამოხავარდებულ ლომის ბოკვერში იგი დიდ, ძლიერ ლომს ჭვრეტდა და არც ამჯერად შემცდარა. ილია თანაბრად ობიექტური და უცდომელი გამოდგა როგორც წინაპრის, ისე თანამედროვის შეფასებაში.

ასეთივე დიდი პატივი მიაგო ილიამ თავის თანამებრძოლს — აკაკი წერეთელს და იგი სხვებისგან გამორჩეულად, “ერთადერთ აკაკიდ” მოიხსენია, როცა გაზრდა “ივერიის” თანამშრომლად მოიწვია, როგორც სახელმოხევჭილი პოეტი და მოღვაწე.

“საქართველოს ბულბულიც” ვალში არ ჩჩებოდა ერის სულიერ მამას. საკადრის პატივს მიაგებდა და ქართველობის სულიერ წინამძღოლად მოიხსენებდა.

მათი ურთიერთობა მართლაც სამაგალითო, ერთ ულელში შებმული ღირსეული მეტოქეების მაღალზნებრივი შეჯიბრი იყო, რაც არასოდეს დაუკინებია ღვარძლს, შურს, მტრობას.

“მართლა იყვნენ ისინი რაყიფნი?” — სვამის კითხვას ქართველი მწერლების დიდი მეგობარი, გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი და პასუხიბის: “დიას, ეს ასე იყო, აკაკი და ილია ახლო მეგობრები არ ყოფილან, მაგრამ წინააღმდეგობის მიზეზებს აშკარად როდი ამჟღავნებდნენ. ამიტომ არიან ორთავენი პატივსაცემნი. ორთავეს კარგად ვიცნობდი და ვიცი, რომ ისინი მაღავდნენ თავიანთ გრძნობებს. უნდა ითქვას, ორივე, როგორც ნამდვილი ფილოსოფიოსები, ისე ეპყრობოდნენ ერთმანეთს” (არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963, გვ. 69).

მეოცე საუკუნეშიც გვხვდება ჭეშმარიტი დიდსულოვნების და რაინდობის მაგალითები. ტიციან ტაბიძემ წერილში “მარტოობის ორ-

დენის კავალერი” გალაკტიონის ღირსებები მასშტაბურად წარმოაჩინა და მის შემოქმედებაში პოეტური განთიადის მიმანიშნებელი მომენტები დაინახა.

თვით გალაკტიონმა ტერენტი გრანელი გამოაცხადა როგორც “ხალასი გენია და ნიჭი, ბუნებით პოეტი, ჭეშმარიტი პოეტი”. პოეტების მეფესვე უკუთვნის წინასწარმეტყველური განაცხადი “მემენტო მორის” ავტორის მომავალ პოეტურ დიდებაზე: “ტერენტი გრანელი საფლავიდან გაუნათებს კაცობრიობას”.

თვით ტერენტი გრანელმა გალაკტიონის “არტისტული ყვავილები” მოიხსენია, როგორც პოეზიის აბსოლუტური გამარჯვება, ქართული პოეზიის რენესანსის მაუნყებელი წიგნი. ასევე, უმურველად განაცხადა: “გალაკტიონი ყოველთვის დიდი, გალაკტიონი ზეცისკენ მიდის”.

გარდა გალაკტიონისა, ტერენტი გრანელს მრავალი გულშემატკიცარი, თანამგრძნობი და ხელისშემწყობი გამოუჩნდა როგორც ეკონომიურად, ისე სულიერად, რაც მისი შემოქმედებითი პოტენციის გამოვლენის სტიმული იყო. იმ ადამიანების სახელთა კიდევ ერთხელ გახმოვნება საჭიროა იმსათვის, რომ მომდევნო თაობებმა შეიმეცნონ თავითი მოქალაქეობრივი, ადამიანური ვალდებულება შემოქმედთა წინაშე.

ტერენტი გრანელი არამარტო ნიჭის, არამედ სულიერი სიწმინდის და ადამიანობის გამოც იმსახურებდა პატივისცემას: “მეტისმეტად კეთილი იყო ტერენტი. თავდავიწყებამდე უყვარდა ადამიანები, უყვარდა ყველა”, იგონებდა ზოზია (გ. ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვაჩემი გაეცის, თბ. 1990, გვ. 24).

სოფელში ტერენტის მეცენატები იყვნენ მწიგნობარი იაკობ შანავა. მისი ოჯახის მდიდარ ბიბლიოთეკაში ენაფებოდა ტერენტი თვითგანვითარებას. იაკობის ძმა პავლე შანავა, შვიდწლიანი სკოლის გამგე, ტერენტის “მონაფეთა მეფეს” ეძახდა, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას ავლენდა პოეტისადმი იაკობის შვილი გეგე შანავა (იქვე, გვ. 18).

იაკობის ოჯახში იმართებოდა ლიტერატურული სალამოები, მოხსენება-რეფერატების კითხვა, ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვა, ლიტერატურული გმირების გასამართლება. იაკობს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილიასთან, აკაკისთან, ი. გოგებაშვილთან, იონა მეუნარვიასთან, ალექსანდრე და მიხაკო წერეთლებთან, შალვა ნუცუბიძესთან, ნინო და ილია ნაკაშიძეებთან, ივანე გომართელთან, მიხა ცხაკაიასთან, ფილიპე მახარაძესთან. იაკობი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მისი თანამებრძოლი იყო ეკატერინე გვასალია, რომელიც წალენჯიხელ ახალგაზრდებს უფასოდ ასწავლიდა წერა-კითხვას, მუსიკას, ჰქონდა პოლიტიკური, ლიტერატურული, საზოგადოებრივი ინტერესები. იაკობ-

მა მისცა ტერენტის სარეკომენდაციო წერილი ალექსანდრე წერეთლის სახელზე. ის თავის მოვალეობად თვლიდა ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის ხელი შეეწყო. იაკობის მეუღლე და შვილი გეგე თბილისში ყოფნისას ყოველთვის ნახულობდნენ ტერენტის.

1924 წ. როცა “მემენტო მორი” უკვე დაბეჭდილი იყო, ტერენტი შეხვედრია ეკატერინეს და მისთვის ეს წიგნი უჩუქებია წარწერით: “ძვირფას მეგობარს კატო შანავას. ტერენტი გრანელი. თბილის. გლეხთა სასახლე, ივნისის 21”.

ტერენტი ხშირად იყო შანავებთან, ბევრჯერ უსადილია მათ-თან.

თბილისში ტერენტის მეცენატები იყვნენ ზაქარია ჭიჭინაძე, სოლომონ ცაიშვილი, დარია ახვლედავანი.

როცა ტერენტი ნაადრევად გარდაიცვალა, შანავების ოჯახში ეს მწარედ განუცდიათ და ეკატერინეს უთქვამს იაკობისთვის: “შეიძლება მართალი იყო ტერენტის მამა სამსონი, როცა ის საყვედლურს გამოთქამდა შეს მიმართ. შენ რომ არ გერჩია ტერენტისთვის და არ შეგენყო ხელი მისთვის თბილისს ნასვლაში, ვინ იცის, ტერენტი ახლა ცოცხალი იქნებოდა, გააგრძელებდა მამის გზას და კერას არ მოშლიდაო”.

იაკობი გაუბრაზებია მეუღლის აზრს: კატო, ნუთუ ძნელია შენ-თვის იმის მიხვედრა, რომ ცოცხალ ტერენტი კვირკველია-ხარაბს მკვდარი პოეტი ტერენტი გრანელი სჯობია.

კატო უსიტყვოდ დასთანხმდებია იაკობს (ტერენტის პირველი მეცენატები, გივი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბ. 1990, გვ. 25-34).

ტერენტის დაფასების, სიყვარულის, თაყვანისცემის გამოხატულება 1924 წ. პოეტის საღამო და ოთხგვერდიანი გაზეთის — “ტერენტი გრანელის” გამოცემა, რაც უნიკალური მოვლენაა პრესის ისტორიაში (იქვე, გვ. 44-45). ეს არ იყო შემთხვევითი, ამაში საზოგადოების, მონინავე ინტელიგენციის ნება-სურვილი იყო ჩაქსოვილი.

ტერენტი გრანელის პოეზიას დღესაც მრავლად ჰყავს თაყვანისმცემელი. პოეტის სევდიანი სტრიქონები “სადღაც” და “ვიღაცის” გულებს დღესაც აყუჩებს, ტკივილს უშუშებს უჭრებად (იროდი ხარჩილავა, დიოგენის სინათლით ხელში) (იქვე, გვ. 38-45).

ტერენტი იოსებ იმედაშვილის ყურადღებით იყო გარემოსილი. იგი უურნალ “თეატრსა და ცხოვრებაში” უბეჭდავდა ლექსებს.

სოლომონ ცაიშვილის თაოსნობით პატარძეულში ტერენტის ლიტერატურული საღამო გაუმართეს, ფულიც შეუგროვეს. ტერენტი კმაყოფილი იყო (მთვარე სულში, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 62).

1922 წელს ალიო მირცხულავამ გაიცნო ტერენტი გრანელი. ალიო კომკავშირის ცეკაში მუშაობდა და რუსთაველის პროსპექტზე

პატარა ოთახში ცხოვრობდა. ტერენტი ორი წელი ალიოს ბინაში იყო შეფარებული, მას ცუდად ეცვა, საჭირო ფული არასოდეს ჰქონია. ალიო ჰონორარებს უყოფდა.

1924 წელს ტერენტიმ ალიო ლენინის გარდაცვალებაზე დაწერილი ლექსის გამო გააქილიკა, ნეტავი, ასეთი ლექსი მეც დამაწერინაო, ირონიულად უთქვამს (იქვე, გვ. 74-75).

ისინი მსოფლმხედველობრივად სხვადასხვა პოზიციებზე იყვნენ. 21 წლის ასაქში ალიომ დაწერა პოემა “მე და ბარათაშვილი”. ავტორის აზრით, ეს იყო ორი ეპოქის დაპირისპირება, ორგვარი შეხედულების, პესიმიზმის და ოპტიმიზმის დაპირისპირება.

ალიოს მიერ ტერენტი ასე იყო გაქილიკებული: “გულამოსკვნილი ტირის გრანელი, ჩვენში მეორედ მოსული ქრისტინე, უშნო, უღონო, დაუბანელი, მათხოვარივით საფლავებს მისდევს”.

მართალია, ეს ტერენტის ენცინა, მაგრამ ალიოსთან ურთიერთობა მაინც არ გაუწყეტია, ისე კი უსაყვედურა, ასე რად გამნირეო. ალიო დაპირდა, რომ შემდეგ გამოცემაში ამოილებდა ამ სტრიქონებს, მაგრამ ტერენტი არ დაეთანხმა. იქვე იყო გაკრიტიკებული გალაკტიონი, რის გამოც, სხვებთან ერთად ისიც გაებუტა.

ტერენტი იყო მზრუნველი პიროვნება. 1924 წ. ალიო ტიფით გამხდარა ავად. ტერენტის სასწავალოდ წაუყვანია საავადმყოფოში და გამოჯანმრთელებამდე თავზე ადგა. შემდეგაც ერთად ცხოვრობდნენ. მერე ერთი ინციდენტის გამო ალიო სხვაგან გადავიდა მარქსის მოედანზე. ტერენტისთან ურთიერთობას ისევ აგრძელებდა, ერთად დადიოდნენ რესტორნებში “ნად კუროი”, “ქოსების სარდაფი”, “წითელი ღვიზო” (იქვე, გვ. 76).

ტერენტი გრანელი და კოტე მარჯანიშვილი

ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე ალ. სიგუას და ტერენტი გრანელს შეხვედრია კოტე მარჯანიშვილი თავისი ამაღით. კოტე თურმე საკმაოდ შორიდან მხურვალედ მიესალმა პოეტს, მოახლოებულმა კი შუბლზე აკოცა და ძმურად გადაეხვია.

კოტეს უთქვამს ტერენტისთვის: ტერენტი, მე გადავწყვიტე დავწერო სცენარი, რომლის ქვაუთხედი შენი ლექსი იქნება. ჩვენს სიამაყეზე, ვანო სარაჯიშვილზე ასეთი ლექსი ჯერ არავის დაუწერია. შენ უნდა მენვიო ბინაზე, ჩვენ ამის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ. მართალია, მე ხშირად მოსკოვში ვარ, ახლაც მივემგზავრები. რომ ჩამოვალ, უსათუოდ უნდა მნახო.

კოტეს მხლებლებმა პოეტს ოვაცია გაუმართეს.

დიდი რეჟისორი აგრძელებდა: ჩემო ტერენტი, მე შენს შემოქმედებას ვიცნობ, თვალს ვადევნებ შენს მიღწევებს და მხურვალედ ვესალმები. ტერენტი, აუცილებლად უნდა ვნახოთ ერთმანეთი. ეს დადგმა აუცილებლად უნდა განვახორციელოთ.

პოეტს აქებდნენ და ყოველგვარ სიკეთეს უსურვებდნენ სხვებიც.

“ტერენტის სახე უბრნყინავდა, ფერი ხშირად ეცვლებოდა. სახეს მადლობის, სიყვარულის გამომხატველი მორცხვი ღიმიღი უმშვენებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, სახეს მირონცხებული პოეტობის ნიშანსვეტი ეცხო. ამ დროს ტერენტი საუცხოო შესახედავი იყო... უცილოდ ბედნიერი ჩანდა.

მიუხედავად თავისი ახალგაზრდული ასაკისა, პოეტი დიდი ავტორიტეტით და პოპულარობით სარგებლობდა როგორც მოსწავლე ახალგაზრდობაში, ისე თავისი ქვეყნის უფროსი თაობის ინტელიგენტთა წრეებში”, წერს ალ. სიგუა (ცისფერი სიშორე, გვ. 419).

ტერენტი გრანელი და ქართველი მხატვრები

ალექსანდრე სიგუა იგონებს, რომ კრწანისის ბალებში, უფრო მეტად შემოდგომით, ხშირად ხვდებოდნენ ტერენტი გრანელი და ლადო გუდიაშვილი. ისინი საუბრობდნენ, კამათობდნენ კიდეც, მათი ინტერესები იყო მრავალფეროვანი, ღრმა. მათ ირგვლივ გროვდებოდნენ დაინტერესებული მსმენელები, რომლებიც ვერ ფარავდნენ მოზონებას.

ლადო გუდიაშვილთან ერთ-ერთი კამათით იყო შთაგონებული ტერენტი გრანელის ასეთი სტროფი, რომელიც მეგობარ მხატვარს წაუკითხა პოეტმა:

“ისევ სიცოცხლე, სიკვდილი არ მსურს
და წმინდა გული მე შენთან მომაქვს.
ეს დღე მაგონებს შორეულ წარსულს,
ეს დღე, რომელიც ჰგავს შემოდგომას”.

ლადოს მოეწონა ეს ოპტიმისტური სტრიქონები და ძმური სიყვარულით გადაეხვია ტერენტის (ცისფერი სიშორე, თბ. 1998, გვ. 393).

1924 წელა ტერენტი გრანელის “მემენტო მორის” გამოსვლამ გასაოცარი ფურორი გამოიწვია.

ამას მოჰყვა პოეტისადმი მიძღვნილი სპეციალური გაზეთის გამოცემა, რომელსაც ირაკლი თოიძის მიერ შესრულებული ტერენტი გრანელის პორტრეტი ამშვენებდა (ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 419).

კორნელი სანაძესთან დაახლოების ინიციატორი ტერენტი გრანელი იყო. პოეტი დაესწრო ამ მხატვრის გამოფენას, განსაკუთრებით მოქმნა მისი სურათი “სევდა”, რომელშიც საქართველოს სიმბოლოდ ჩაფიქრებული იყო ტანზე გველებშემოხვეული ქალი.

“ყოჩალ, მხატვარო, შენ კარგი სურათი დაგიხატავსო” — შეაქმ კორნელი უცნობმა ახალგაზრდამ, ხელი ჩამოართვა და გაეცნო, როგორც პოეტი ტერენტი გრანელი. მანამდე კორნელი თურმე წიგნებით იცნობდა “შემენტო მორის” ავტორს.

საგამოფენო დარბაზი ნახანდრალი იყო, უკარო და უფანჯრო. ქარიშხალმა დარბაზში მიმოფანტა ნახატები და მას აგროვებდნენ მოსე და ორაკლი თოიძები.

პოეტმა მხატვარს ახლოს აგრძნობინა ტერენტი გრანელი, როგორც ადამიანი, როგორც შემოქმედი, სხვისი შრომის დამფასებელი. იგი მიუახლოვდა კორნელის, მოვროვილი ნახატები გაუწიდა და უთხრა: ნუ გეშინია, კორნელი, ეს სურათები ისევ აღსდგება და შენ ამის გამო არ ინერვიულო (იქვე, გვ. 180, 184).

რამდენიმე ხნის შემდეგ კორნელის ბინაში მისულან გალაკტიონი, ტერენტი და გენო ქელბაქიანი. მასპინძელს გახარებია ძვირფასი ადამიანების სტუმრობა და გამასპინძლებია.

მერე დაუწყიათ პოეზიაზე კამათი, ლექსების კითხვა. კორნელის, რომელიც ლექსებს წერდა, ძალიან აინტერესებდა სხვათა მსჯავრი თავის პოეზიაზე. კორნელის წაუკითხავს სევდიანი, სასაფლაოზე დაწერილი პესიმისტური ლექსი. ტერენტი კარებისკენ წასულა პროტესტის ნიშნად: “ეს რა საშინელება დაგინერია, ასეთი ლექსი შენ არ შეგვერის, ეყოფა საქართველოს ჩემი გოდება და გვემა, გინდა ჩემსავით გადაიჩეხო საშინელების მორევში? შენ ხომ აგონიაში დამხატე, ისე ხომ არ გინდა შენი თავი გამოხატო, არა, არ გირჩევ ჩემი ბედის კვალზე სიარულს, არ მომყვეო” (იქვე, გვ. 262).

გენო ქელბაქიანს და გალაკტიონს გამოუბრუნებიათ ტერენტი. გალაკტიონს კორნელის მაგივრად მიუცია მისთვის პირობა, რომ ამის შემდეგ ასეთ სევდიან ლექსს არ დაწერდა.

სალამო კარგი განწყობით დამთავრებულა. პოეტის გულწრფელი მეგობრობა კორნელი სანაძესთან ტერენტის სიკვდილამდე გაგრძელებულა (იქვე, გვ. 181-182).

შემდეგ, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ სადმე, ტერენტი კორნელის მიაძახებდა თურმე, კიდევ ხარ სიკვდილის პოეტიო?

კორნელის დაუწერია ხუთმოქმედებიანი ტრაგედია “ტერენტი გრანელი” და თვითვე დაუდგამს რომელილაც კლუბის სცენაზე (იქვე).

მხატვრისთვის პოეტს უთხოვია, დაეხატა უჩვეულოდ, სასაფლაოს ფონზე, ჯვართან. თითქოს სიკვდილის ჩინჩხი უფსკრულისკენ

მიაქანებდა, ხოლო პოეტი უძალიანდებოდა. სურათს უნდა რქმეოდა “აგონია”. მხატვარმა პოეტს თხოვნა შეუსრულა.

კორნელიმ ტერენტის უძღვნა ლექსი: “სანთელი, რომელიც არ ჩამქრალა”. იგი ტერენტის სასაფლაოზე დადიოდა ვანლერ დაისელ-თან ერთად.

„და საქართველო ასე მაღმერთებს“

პოეტის სამუდამო განსასვენებელს ხშირად აკითხავდნენ გენო ქელბაქიანი, დავით კობიძე, მხატვარი ვლადიმერ ლემონჯავა. მის საფლავს ასუფთავებდნენ, მიხაკებს აწყობდნენ, ღვინოს მოასხურებდნენ და დალონებული ბრუნდებოდნენ უკან.

ტერენტის მატერიალურად ეხმარებოდა სოლომონ ცაიშვილი (იქვე, გვ. 115).

სანდრო შანშიაშვილი თუმცა არ მეგობრობდა ტერენტი გრა-ნელთან, როცა დადგა მისი მთაწმინდაზე გადასვენების საკითხი, უთ-ქვამს: “სადაც ბარათაშვილია, ვაჟაა, ილია და აკაკია, უნდა იყოს იქ ტერენტი გრანელი” (იქვე, გვ. 93).

ტერენტის სულიერ მეგობრად უნდა მივიჩნიოთ ლადო ასათია-ნი, რომელმაც პირველმა უძღვნა უნახავ პოეტს გულითადი ლექსი (იქვე, გვ. 100).

აკაკი განერელია მოიხიბლა ვანო სარაჯიშვილზე დაწერილი ტერენტის ლექსით. პოეტისგან ორი წიგნი მიიღო საჩუქრად. მონაფე-ობისას მასზე დაწერა პატარა წერილი, შემდეგ ხელით ატარა ტერენ-ტის კუბო სასაფლაომდე (იქვე, გვ. 111).

სოლომონ ცაიშვილი ესწრებოდა ტერენტის გასვენებას. შე-მოდგმომის ღრუბლიანი დღე იყო თურმე და განუწყვეტლივ სცრიდა. კუბო ისე ჩაუშვიათ მიწაში, რომ ცხედარი სულმთლად დასველებულა. უპრეტენზიო ყოფილა პროცესიაც და ამანაგების მცირე ჯგუფს უხმაუროდ, ჩუმად თავდახრილს წაულია კუბო სასაფლაომდე (სო-ლომონის მეუღლის — ფატის მოგონება) (იქვე, გვ. 116).

ს. ცაიშვილის ოჯახმა შემოინახა გაზ. “ტერენტი გრანელის” ერთადერთი ნომრის უნიკალური ეგზემპლარი და აჩუქა გივი ცქი-ტიშვილს, რომელმაც იგი 1987 წლის 11 დეკემბერს გადასცა ქ. წა-ლენჯიხაში ტერენტის სახლმუზეუმს (იქვე, გვ. 117).

ბიძინა ბარათაშვილის მოგონებით, 1928 წელს ტ. გრანელი “ახალი სოფლის” რედაქციაში მიუღიათ ლიტმუშაკად, ხელის გამარ-თვის მიზნით (იქვე, გვ. 118).

“უცნაური ადამიანი იყო ტ. გრანელი. მიუდგომელი, ზოგჯერ უკადრისი. არავის უდებდა ტოლს. თქვენ რა პოეტები ხართო, უებნე-ბოდა ყველას. ან ვიღაცის ეპიგონები ხართ, ანდა უსუსურები, ორიგი-ნალობის არაფერი გცხიათ, თავსაც იტყუებთ და სხვებსაც.

თავის თავზე, საკუთარ შემოქმედებაზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა: “პოეტური მსოფლმხედველობით, სტილით, თვითმყოფადობით მოვლენა ვარო, იძახდა”, იგონებს ბ. ბარათაშვილი (იქვე, გვ. 118-119).

ტერენტი გრანელის შესახებ დადებით ინფორმაციას ავრცელებდნენ სტუდენტურ აუდიტორიებში კ. კაპანელი (ჭანტურია), შ. ნუცუბიძე, მიხ. ზანდუკელი, ი. აბულაძე, მიხეილ კვესელავა.

ჩვენს დროში ლექციებზე პატივისცემით ახსენებს და სტუდენტებს ტერენტი გრანელის პატივისცემას უნერგავს გამოჩენილი ენათმეცნიერი, პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს სსრ სოციალური და კომუნალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარს — კონსტანტინე ხომერიკს თხოვნით მიმართა გიორგი მუშიშვილმა (ხოფერიამ) და წარუდგინა მას ტერენტი გრანელი, კარგი პოეტია, ბინა არა აქვს და დაეხმარეო. მან კი, თავის მხრივ გლეხთა სახლის დირექტორს იოსებ ხარაბაძეს მიმართა და მართლაც მოუგვარეს პოეტს ბინის საკითხი (იქვე, გვ. 129).

1924 წ. როცა ტერენტი გრანელის პოეზიის დღე მოეწყო და მისი სახელობის გაზეთი გამოვიდა, ამაში მონაწილეობას დებულობდა დემნა შენგელაა. იგი მთელი გულით ეთანხმებოდა პოეტის გადმოსვენებას დიდუბის პანთეონში (იქვე, გვ. 142-143).

ტერენტისადმი დიდი სიყვარული გამოუხატავს სტუდენტ ალექსანდრე ჯაფარიძეს თავის ამხანაგებთან ერთად. ისინი პოეტის ლექსებს კითხულობდნენ. ეს გაიგონა ტერენტიმ და მათთან მივიდა. ახალგაზრდები გაუმასპინძლდნენ, ღამე იქ გაათევინეს და დიდ პოეტან შეხვედრები სხვა დროსაც გაგრძელდა (იქვე, გვ. 146-147).

ტერენტის პოეზიის თაყვანისმცემელი იყო კლავდია დევდარიანი, ასევე მისი ბიძა — სეიდ დევდარიანი (იქვე, გვ. 150-151).

დიდი ქართველი მწერალი ლევან გოთუა იყო ტერენტის კეთილმოსურნე, მისი პოეზიით გატაცებული (იქვე, გვ. 155).

ტერენტის დიდუბის პანთეონში გადასვენების შუამდგომლობას ხელს აწერდნენ ალიო მირცხულავა, კარლო კალაძე. კ. ლორთქიფანიძე (იქვე, გვ. 155).

პოეტი ბონდო კეშელავა იყო კეთილგანწყობილი და გულისხმიერი ტერენტის პიროვნებისა და პოეზიისადმი.

ტერენტის პოეზიის გულწრფელი დამფასებელი პეტრე შამათავა წერს: “პირნათელი დგას ტერენტი გრანელი ქართველი კლასიკოსების თანავარსკვლავებში და სრულიად დამსახურებულად, ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში... იქნებ დადგა დრო, რომ მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოში ვიხილოთ მისი შედევრები: “გაზაფხულის საღამო”, “დაბრუნება ცხოვრებასთან”, “მე და გალაკტიონი”, “ვანო სარაჯიშვილი” და სხვები (იქვე, გვ. 172).

ტერენტის შემოქმედების მკვლევარმა გივი ცქიტიშვილმა და-იცვა დისერტაცია თემაზე: “ოციანი წლების ლირიკა და ტერენტი გრანელი” ასევე, მან შექმნა შეუდარებელი წიგნი “ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების” (თბ. 1990).

გივი ცქიტიშვილმა მიზნად დაისახა ტერენტი გრანელის პოპულარიზაცია და დაწერა სცენარი პოეტის შესახებ.

ფილმის ეკრანიზაციას დიდ ღვაწლი დასდეს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მაშინდელი ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა: ივლიტა მესხმა, პეტრე შამათავამ, მთავარმა რედაქტორმა სოსო პაიჭაძემ.

ტელეგადაცემის რეჟისორი იყო ნინო ბუგიანაშვილი, ასისტენტი — თემურ კვირკველია, ოპერატორი — გენადი შენიორული, რედაქტორი ჟანეტა ქორიძე.

გადაღებები ხდებოდა წალენჯიხაში. ფილმში ჩართული იყო ეკატერინე შანაგას მოგონება.

ტელეგადაცემაში მონაწილეობდნენ მსახიობები: ნანა ჩიქვინიძე, მურმან ჯინორია, თამილა ლასხიმვილი, გურამ ხურცილავა.

გადაცემაში მონაწილეობდნენ ტერენტი გრანელზე შექმნილი წიგნის — “იყო ერთი პოეტი” — ავტორი სერგი ჭილაძა, დავით კობიძე, კორნელი სანაძე, მიხეილ კვესელავა, როდიონ ქორქია, ანა ღვინიაშვილი. მიხეილ კვესელავამ გრანელი გოეთეს გაუტოლა, გახსნა მისი მსოფლმხედველობის თავისებურებები.

პოეტს გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდა დავით კობიძეს-თან, მას უძღვნა ლექსი, რომელშიც არის ასეთი სტრიქონები: “...ისევ სდუმს დილა, ისევ სდუმს გრძნობა და ჩემთან არის დავით კობიძე” (იქვე, გვ. 180).

მას დღიურებში სიყვარულით ახსენებდა: “...მივდივარ ქუჩაში, ვხვდები მეტად მგრძნობიარე მეგობარს დავით კობიძეს (ცისფერი სიშორე, გვ. 337).

აღდგომის წინა ღამეს ჩაუწერია პოეტს: “ველი დათიკო კობიძეს და ვაპირებ ეკლესიაში წასვლას” (იქვე, გვ. 338).

დავით კობიძე დანვრილებით საუბრობს ტერენტის პოეტურ ლირსებებზე, გალაკტიონთან ურთიერთობებზე, უცნაურობებზე, მის რომანზე თამარ ჯაფარიძესთან. ტერენტი კვირაობით რჩებოდა დავითთან, ალ. შანიძესთან, კ. სანაძესთან.

დავით კობიძე ძალზე განიცდიდა ტერენტის ავადმყოფობას, დარდიბდა, რომ ვერაფრით შველოდა.

მწერალი როდიონ ქორქია ერთ დროს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში მუშაობდა, ცალკე კაბინეტი ჰქონდა. იქ იყო პაოლო იაშვილიც. ერთ ზამთარს ტერენტი როდიონთან შესულა, მცივა, შენთან უნდა გავთბეო.

როდიონ ქორქია ადასტურებს: “ტერენტი გრანელს კარგად ვიცნობდი, ხალასი ნიჭის პოეტი იყო, რატომძაც ცხოვრებაზე გულ-გატეხილი. მე და პაოლოს ხშირად გვითქვამს მისთვის: გახალისდი, გაიღმიე, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირისო. გაიღიმებდა და განაგრძობდა თავისასო.

ტერენტის ძლიერი ნიჭი გვნამდა მის მეგობრებს, მწერლებს და ვეხმარებოდით, რითაც შეგვეძლო, ანიკო ლვინიაშვილს, პაოლო იაშვილს, გრიგოლ ცეცხლაძეს, რაუდენ გვეტაძეს და მე ხშირად გაგვიმართავს მისთვის ხელი (ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 186).

პაოლო იაშვილი აღმასკომის თავმჯდომარესთან, ლადო სუხიშვილთან შესულა, აუხსნია ტერენტის მდგომარეობა და უთხოვია დახმარება. თხოვნა გულთან მიუტანია ლადო სუხიშვილს, დამხმარეფონდიდან გამოუწერია ათასი მანეთი. გახარებულ პაოლოს უთქვამს ტერენტისთვის, მთავრობა, სუხიშვილი დაგეხმარაო და მალაზიაში ნაუყვანია, თბილი პალტო უყიდია, რამაც ტერენტი ზამთარში გაცივებისაგან გადაარჩინა (იქვე, გვ. 187).

გვახსენდება ვაჟა-ფშაველას მაგალითი, რომელსაც პალტო არ ჰქონდა, რომ ქუთაისში ილია ჭავჭავაძის საღამოზე გამოცხადებულიყო, მაგრამ ქველმოქმედმა ადამიანებმა იზრუნეს, რომ გენიოსი პოეტი დაფლეთილი ჩოხით კი არა, ნორმალურად შემოსილი ნამდგარიყო საზოგადოების ნინაშე.

ტერენტი გრანელს კარგად იცნობდა ანა ლვინიაშვილი, რომელსაც პოეტი ხშირად უტოვებდა ლექსებს. ანა აცხადებდა, რომ მასთან იყო ტერენტის რამდენიმე ლექსი, მაგრამ სანამ მონახავდა მათ, იგი გარდაიცვალა, მისი წიგნები და არქივი სხვადასხვა პირების ხელში მიმოიფანტა და ის ნანარმოებები დღემდე არაა მიკვლეული.

ლავრენტი ჭიჭინაზე იგონებს, ტერენტის ახლოს ვიცნობდი, ხშირად ფული არ ჰქონდა და ბევრჯერ გაგვიყვიაო ლუკმა.

ერთხელ ტერენტიმ ლავრენტის შეკვეთით საბავშვო ლექსი “ცხენი” დაწერა, მაგრამ მამინ ამის დაბეჭდვა ვერ მოხერხდეა, რადგან ტერენტი ფსიქიურად ძლიერ დაავადებული იყო. ეს ლექსი ძალიან მოეწონა პოეტ სანდრო ულენტს, უურნალ “ოქტომბრის” თანამშრომელს და დასაბეჭდად წაილო, მაგრამ სანდრო ფრონტზე დაიღუპა და ლექსიც დაიკარგა (იქვე, გვ. 195).

ტერენტის პოეზიის მოყვარული ყოფილა გიგა მარტაშვილი, რომელმაც ლექსი უძლვნა (იქვე, გვ. 191).

ტერენტი გრანელის შემოქმედება მსოფლიო პოეტების კონტექსტში შეისწავლა მიხეილ კვესელავამ. იგი ერთ-ერთი პირველი ჩასწვდა პოეტის ორიგინალობას, მისი ლექსების ფილოსოფიურ სიღრმეს (იქვე, გვ. 182).

“ფაუსტური პარადიგმებისა” და “ას ერგასის დღის” ავტორი თაყვანს სცემდა ტერენტის, ქუჩაში გამოეკიდებოდა ხოლმე, ყურად-

ლებით უსმენდა პოეტის საუბარს შემხვედრებთან. ზეპირად იცოდა მისი ლექსები.

მიხეილ კვესელაგას ეკუთვნის ძალზე ფასეული მოგონება ტერენტის ხელნაწერებზე, რომელიც მას საკუთარი თვალით უნახავს. იყო იყო კომისიაში, რომელიც შექმნა განათლების მაშინდელმა მინისტრმა თათარაშვილმა და დაავალა, გაერჩია პოეტის არქივი, დაწვრილებით აეწერა ყველაფერი. ტერენტის ბინა ყოფილა პატარა, სამინლად ნესტიანი, ბნელი. მაშინ ტერენტის ერთი და ცხოვრობდა იქ. მიხეილს უნახავს სიგრძით მეტრნახევარი, სიგანით ერთი მეტრი ტომარა, ხელნაწერი ლექსებით სავსე. ლექსებს უდიდესი მთაბეჭდილება დაუტოვებია (იქვე, გვ. 182, 183, 184).

ტერენტი გრანელი სკოლებშიც დადიოდა, ბავშვებთან, რადგან გულით უყვარდა ისინი, ბავშვებიც ხარობდნენ მისი ნახვით (იქვე, გვ. 204-205).

უთუოდ ტერენტის კეთილმოსურნე იყო ექიმი თამარ აბულაძე, რომელმაც ზეპირად იცოდა ტერენტის ლექსები, მის საფლავს აკითხავდა და ამბობდა: შენს საფლავს შემოვევლე, ერის საამაყო შვილო, ჩვენო მასახელებელო პოეტო!... იგი ცახარე ცრემლებით ტიროდა და კიდევ რაღაც სიტყვებს ლოცვასავით წარმოთქამდა.

სწორედ ამ ქალბატონს უთქვამს გივი ცეიტიშვილისთვის პოეტის მანამდე უცნობი სტრიქონები: “ჩუმი ლანდივით დავდივარ, პერანგად დარდი მაცვია, სიცოცხლე ჩვენი სცენაა, ცხოვრება — დეკორაცია” (იქვე, გვ. 206).

სკოლაში, სადაც თამარი სწავლობდა, პოეტს ბავშვებმა რაღაც მიაწოდეს. თამარს უნდოდა პოეტისთვის რამე საჩუქარი მიეტანა.

ტერენტის თაყვანისმცემლებს რომ გაუგიათ მისი გარდაცვალება, გადაუწყვეტიათ, დაკრძალვას დასწრებოდნენ, მაგრამ გაოცებული დარჩენილან, რომ არავითარი პროცესია არ შემდგარა (იქვე, გვ. 208-209).

თამარ აბულაძემ თავისი ბედი ასევე ტერენტის პოეზიით გატაცებულ ფილოლოგს — ნიკო ეგნატაშვილს დაუკავშირა.

ტერენტის მეგობარი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, პოეტი ილია სიხარულიძე. მან ბავშვები რომ დაინახა ტერენტისთან, დაუცაცხანა, ახლავე წადით სახლში, რატომ აგვიანებთო, ტერენტის კი ხელი გამოსდო, განზე გაიყვანა და უთხრა: შენი ვალის დაბრუნება შემაგვიანდა, დღეს ხელფასი ავილე, აჲა, გამომართვიო და ფული გაუწოდა.

ამის მთხოვბელი თამარ აბულაძე ასკვნის, ილია მასწავლებელი იმიტომ გვერეკებოდა იქიდან, რომ ეშინოდა, რომელიმე მოსწავლეს საწყები სიტყვა არ ეკადრებინა ბედისგან განწირული პოეტისთვის. ისიც ვიცი, მას ტერენტი გრანელის ვალი არ ემართა, უბრალოდ ხელის გამართვა სურდაო (იქვე, გვ. 210).

ტერენტი გრანელის მეგობრად ჩაითვლება მისი პოეზიის თაყვანის მცემელი აღ. გაბისკირია, რომელთან ერთად იპრძოდა პოეტი 1918 წ. თურქი ასკერების წინააღმდეგ (იქვე, გვ. 212).

ტერენტი 1924 წ. ალექსანდრე უფეხოდა, როგორ დაუსხლტა დაცვას და მოინახულა წყაროს ქუჩა, სადაც 1924 წ. გამოსვლების მონაწილეთა დიდი ჯგუფი ჩახოცეს. იმ ადგილებს მაშინ გაძლიერებული დაცვა იცავდა (იქვე, გვ. 213-214).

ტერენტი ალექსანდრეს მინვევით ყოფილა ქუთაისის მშრომელებთან 1922 წელს, ოთხი დღე გაუტარებია მის სახლში. საღამოზე შემოსული ფულით ტერენტისთვის ტანსაცმელი უყიდიათ, გაუხარებიათ და კმაყოფილი გაუსტუმრებიათ თბილისში.

ამ შთაბეჭდილებით დაუწერია ტერენტის ლექსი “აღსარება ქუთაისს” (იქვე, გვ. 215).

ტერენტის გულშემატკივარი და პოეზიის თაყვანის მცემელი იყო დარეჯან მეტრეველი, რომელმაც ზეპირად იცოდა “მემენტო მორის” ავტორის პოეზია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდაზე როგორც მასალის ცოდნით, ისე ორიგინალური მსჯელობით გააოცა გამომცდელები (იქვე).

ტერენტის სულიერი მეგობრები არიან ისინი, რომლებმაც 1987 წლის 13 ნოემბერს ნალენჯიხაში პოეტის სახლმუზეუმის გახსნისთვის იღვანეს: ლევან მილორავა, ნელი ბერაშვილი, ნინო ხოფერია, აივენგო ჭელიძე, ელიზბარ უბილავა, ბადრი ქუთათელაძე, ლერი ალიმონაკი, გივი ცქიტიშვილი (იქვე, გვ. 200).

დაფასების ლირსნი არიან, ვინც გამოკვლევები, წიგნები დაწერეს, დისერტაციები დაიცვეს პოეტზე: გ. ცეკიტიშვილი, ლ. ალიმონაკი, რ. მიშველაძე, გ. მამთორია, თ. ფიფია, დ. ფიფია, დ. ივარდავა, მ. გვეტაძე, ა. სიგუა, პოეტის და ზოზია, დისტვილი უჩა კვარაცხელია, პოეტის რუსულად მთარგმნელი ბექა ლაშხია-ხიბლელი.

ტ. გრანელს პატივს სცემდნენ ს. ყაუხჩიშვილი, კ. კაპანელი, შ. ნუცუბიძე, შ. დადიანი.

პოეტის თაყვანის მცემლები იყვნენ გ. ნადირაძე, ვ. ბარნოვი, ვლ. ნორაკიძე.

ვასო გორგაძე გრანელს “პოეზიის ნამდვილ ქურუმს” უწოდებდა.

აკაკი ნემსაძე საუბრობდა პოეტის “ნათელმოსილ შინაგან ბუნებაზე” და ადარებდა მას “ფრთებდალენილ ანგელოზს”.

ტერენტის განსაკუთრებით ჰყვარებია ვ. გაფრინდაშვილი, რომელმაც ბრწყინვალე რეცეზია უძღვნა კრებულს “სული და საფლავები” და მრავალი ორიგინალური მომენტი დაინახა მასში.

“მემენტო მორის” ავტორის დამფასებელი იყვნენ მოსე კვარაცხელია, ვლადიმერ სალია, ლეო ჭედია, შოთა ფიფია, ზაურ მოლაშხია, გივი მოლაშხია.

ტერენტის შემოქმედებას მიესალმებოდა პაატა ორბელიანი და მის პოეზიაში მრავალ საგულისხმო მხარეზე აკეთებდა აქცენტს.

ტერენტის მეგობარი იყო ივანე გომართელი, რომელიც ერთ-ერთი ინიციატორი იყო პოეტისადმი მიძღვნილი გაზეთის გამოცემის და კარგი წერილიც დაწერა მასზე.

ტერენტის ჭეშმარიტი მეგობრები იყვნენ მისი დები — მაშო და ზოზია, რომლებიც ყურადღებას არ აკლებდნენ ძმას, მათ შემოვინახეს პოეტის ხელნაწერების დიდი ნაწილი.

ტერენტისთვის განსაკუთრებული სტიმული იყო შეფასება კეთილმოსურნე მწერლის — დიდი კონსტანტინე გამსახურდიასი, რომელმაც მაღალი გადმოსახედიდან შეაქო მისი კრებული “სული და საფლავები”, “ცოდვილი ქერუბიმების ფრთების შრიალი” და “მიმანქრის სტრიქონები” დაინახა ამ ჭეშმარიტი ლირიკოსის პოეტურ ნააზრევში.

ცალკე განსაკუთრებული აღნიშვნის ლირსია მეგობრობა ტერენტი გრანელისა და დრამატურგ გენო ქელბაქიანისა, რომელმაც ძალზე ლირებული მოგონებები დაგვიტოვა პოეტზე, მის უცნაურობებზე, პოპულარობაზე, პირდაპირობაზე, გულკეთილობაზე, გალაკტიონისა და ტერენტის ურთიერთობაზე. მოგვითხრო ტერენტის ლექსის “ვანო სარაჯიშვილის” შექმნის ისტორიაზე, ლექსის გახმიანებით გამოწვეულ ფურორზე, გალაკტიონთან ინციდენტზე, როცა პირდაპირ მიახალა: “მე შენზე დიდი პოეტი ვარო”, რასაც გალაკტიონი დიდსულოვნად შეხვდა და პოლემიკა არ გაუმართავს.

საინტერესოდ არის გადმოცემული ტერენტის რომანი თამარ ჯაფარიძესთან, რომელიც პოეტს არ ენახა და მიწერ-მოწერა არსებობდა მათ შორის. ქალი კიევში ცხოვრობდა მეუღლესთან. ტერენტის პოეზიაზე შეყვარებულმა, ოჯახი დაანგრია და თბილისში ჩამოსვლის შესახებ აცნობა ტერენტის. იგი გენოს თანხლებით წავიდა სადგურზე უცნობი მიჯნურის შესახვედრად, მაგრამ პირველი ნახვისთანავე არ მოეწონა ეს ჩემოდნიანი ქალი, სადგურზევე მიატოვა იგი და მისი უყურადღებობის გამოსწორება მოუზია გენო ქელბაქიანს, რომელმაც ტაქსით გააცილა შეურაცხყოფილი ადამიანი.

გენო ქელბაქიანი იყო გაზეთ “ტერენტი გრანელის” გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი. ამ გაზეთმა მოშურნენი მოუმრავლა პოეტს.

მოგონებაში მოთხოვობილა იმ ფურორზე, რაც ტერენტიმ მოახდინა წითელარმიელთა კლუბში, სადაც მოშურნეებმა სპეციალურად ჩაუქნელეს დარბაზი, გადაჭრეს ელექტროსადენები, მაგრამ პოეტმა სანთლის შუეზე შესძლო მსმენელთა დაელექტრონება თავისი გამორჩეული ლირიკით, გულშიჩამწვდომი ინტონაციით.

გენო ქელბაქიანი გვიყვება დიდ რუს პოეტთან — ესენინთან შემთხვევით შეხვედრაზე, რუსი პოეტის უტყუარ ინტუიციაზე, რომ-

ლითაც მან ტერენტის მირონცხებულ სახეში უცბად შეიგრძნო დიდი შემოქმედი.

დრამატურგი იგონებს ქუთაისში ტერენტის მიწვევას, სილოვან ხუნდაძესთან პოეტის მიერ გამოჩენილ პირდაპირობას, როცა არ მოენონა მასპინძლის მიერ ბაირონის ლექსების თარგმნა. აღნიშნულია ჭიათურაში მოწყობილი საღამოს ოვაციების შესახებ, ბათუმში დანიშნულ ლიტერატურულ საღამოზე, მომხსენებლის განზრახვაზე, გაეკილა პოეტის პესიმიზმი, ტერენტის მუქარაზე და ინციდენტის თავიდან აცილების მიზნით, გენოს რჩევით, საღამოს დატოვებაზე, კორნელი სანაძესთან გაღაკტიონის თანხლებით გამოცხადებაზე და მხატვრის ლექსების გაეკილვაზე, რითაც შეურაცხყოფილი და გულნატკენი დარჩა მხატვარი.

პოეტს აფასებდა და მის კოსმიურ იდეალებზე ამახვილებდა ყურადღებას გრიგოლ შავიშვილი.

აკაკი ანდრიაშვილი საუბრობდა ტერენტის ცხოვრების სტილზე, მუსიკის სიყვარულზე, სასაფლაოზე ხეტიალის შესახებ, ესენინთან შეხვედრაზე, მათ ურთიერთმზრუნველობაზე, პოეტის სკანდალებზე, “ციხის ელეგიის” შექმნის ისტორიაზე, ავადმყოფობაზე და ასკვნიდა: ტერენტისთან მეგობრობა ძალზე ძნელი იყო, ამიტომ მას თითქმის არ ჰყავდა მეგობარი.

ვანლერ დაისელმა ტერენტის “მწუხარებით სავსე პოეზიის ყანნის მფლობელი” უწოდა.

ალ. კუპრაშვილი, იოსებ ბჟალავა, ანა ლვინიაშვილი, ნიკოლოზ წერეთელი, ნიკოლოზ კევლაშვილი, ვლადიმერ სალომეშვილი საუბრობენ ტერენტის გამორჩეულ ნიჭზე, მის უცნაურობებზე, საღამოებზე, ავადმყოფობაზე. ნიკოლოზ კევლიშვილი იგონებს, როგორ იცინოდა პოეტი უნიჭო, თეთრხელთათმინან პოეტებზე.

გუგული გვათუა ყურადღებას ამახვილებს ტერენტის პორტრეტზე, მის თვალებში ზეცის სხივის არსებობაზე.

ნინო დადიანმა (შალვა დადიანის ძმისშვილმა) არ თანაუგრძნო პოეტის სიყვარულს, თუმცა მისი პოეზიის სიდიადეს აღიარებდა. ამ ადამიანს უძღვნა გამიჯნურებულმა პოეტმა ლექსი “ქალი, რომელიც ცხოვრობს ეკლესიის ეზოში”.

თამაზ ბორელი ცდილობს მოგვცეს წარმოდგენა პოეტის შემოქმედებით და პიროვნულ თავისებურებებზე.

ელიზბარ ზედგენიძე ხაზს უსვამს ტერენტის ნიჭს, პოპულარობას, ნინასნარმეტყველურ განჭვრეტას, რითაც მან ნინასნარ იხილა თავისი აღსასრული.

გრიგოლ ორახელაშვილი იხსენებს ზესტაფონის თეატრში გამართულ ტერენტის საღამოს, გულისტყვილით აღნიშნავს მის უმნეობას ცხოვრებაში, ყვება, რომ პოეტს ხშირად ნახულობდნენ ახალ-

გაზრდა პოეტები: ლევან ანანიაშვილი, შალვა კაშმაძე, გიორგი შატ-ბერაშვილი, ვანღლერ დაისელი.

გიორგი კალანდაძე წერს, რომ პოეტს მრავლად ჰყავდა თაყვანისმცემელი.

აპოლონ ქელბაქიანი მომსწრე ყოფილა “მემენტო მორით” გა-მოწვეული ფურორის. იგი დარწმუნებული იყო ტერენტის პოეზიის მსოფლიო მნიშვნელობაში.

ნალენჯიხელმა იროდი ხარჩილავამ დაგვიტოვა საინტერესო მოგონებები ტერენტის შესახებ. განსაკუთრებით ღირებულია მის მი-ერ ხაზგასმა გალაკტიონის მიმართებაზე ტერენტის პოეზიასთან, პო-ეტების მეფის განაცხადი, რომელშიც ის აღნიშნავდა, “ტერენტი ხა-ლასი გენია და ნიჭია”, რომ იგი “საფლავიდანაც გაუნათებს კაცობრი-ობას”.

გიორგი კაჭახიძის ძალზე მნიშვნელოვან მოვონებაში იხატება ტერენტის პრინციპულობა, განსაკუთრებული პოპულარობა, მოთ-ხობილია, თუ როგორ გამოჩნდა ერთ-ერთ პოეზიის საღამოზე ტე-რენტი გრანელი, რამაც აჟიოტაჟი გამოიწვია, მისგან ითხოვდა დარ-ბაზი ლექსს კითხვას და კონფერანსიერ იმით მონიდომა აუდიტორი-ის დამვიდება, რომ მას შესთავაზა იოსებ გრიშაშვილის გამოსვლა, მაგრამ ხალხი დაუინებით მხოლოდ ტერენტის გამოჩენაზე აპირებდა გაჩუქრებას. მაგრამ ტერენტის მიერ “სასიკვდილო მწუხარების” წა-კითხვით არ დაკმაყოფილდა მსმენელი და ისევ და ისევ შეძახილებით, ფეხების ბრახუნით მოელოდა ტერენტისგან სხვა ლექსებსაც, მაგრამ პოეტი კ. გამსახურდიას თხოვნის მიუხედავად, უცბად გაუჩინარდა.

ნება აგიაშვილი იხსენებდა, ტერენტის შესახებ მისი ნაამბობის მიხედვით როგორ დანერა ლადო ასათიანმა უნახავ პოეტზე ლექსი.

მოსე გვასალია გულისტკივილით საუბროდა ტერენტის ავად-მყოფობაზე. სერგი ჭილაძია იყო ერთ-ერთი იმ პროცესიდან, რომელ-მაც სასაფლაომდე მიაცილა ტერენტის ცხედარი. შეცნიერა და მწე-რალი საუბროდა ტერენტის დაბადებისას არაჩვეულებრივ ამინდზე, კაპანელის ლექციებზე, სადაც გამუდმებით პოზიტიურ ჭრილში იხსე-ნებოდა პოეტი. ბ-ნი სერგი მომსწრე ყოფილა გალაკტიონისა და ტე-რენტის განსაკუთრებული ურთიერთობის. ხაზი ესმება ტერენტის მიერ პოეზიის დანიშნულების განსხვავებულ გაგებას, აბსოლუტის ძიებას, ინტერესს მარადიულისა და შორეულისადმი, აღმოუჩენელის აღმოჩენის, ამოუხსნელის ამოხსნის აუცილებლობას.

აქვე მოიხსენება კარიკატურა, მედროვე, მჯდაბნელი, ოდიო-ზური ფრიდონ ნაროუშვილი, რომელიც ტერენტის დასცინოდა რე-ლიგიურობის გამო და სილაც გააწნა დიდ პოეტს, იმდენად გათავსედ-და, რომ ისიც კი იკადრა ეთქვა “მემენტო მორის” ავტორისათვის, გვარცხვენს პოეტებსო.

გრიგოლ ცეცხლაძის მოგონებაში ხაზგასმულია ტერენტის დიდი ეროვნულობა, მისი მონაწილეობა თურქი ასკერების წინააღმდეგ ომში 1918 წელს. საუბარია ტერენტის სალამოებზე, ეტლით გატაცებაზე, ტანსაცმლის ჩუქებაზე, რომელიც მერე სხვას მისცა, ფრიდონ ნაროუშვილის მიერ ტერენტის მიმართ გამოჩენილ თავხედობაზე.

დავით გაჩეჩილაძე იხსენებდა პოეტის ერთ რომანს.

დიდი ლადონ გუდიაშვილი ყურადღებას ამახვილებდა ტერენტის პიროვნების და პოეზიის განსაკუთრებულობაზე, ფიროსმანს ადარებდა მას. მხატვარი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩინდა პოეტის საფლავისადმი.

ლადონ გუდიაშვილმა შექმნა სურათების სერია ტერენტი გრანელის შესახებ.

პოლიკარპე კაკაბაძე ხაზს უსვამდა პოეტის დიდ ინტუიციას, ანალიტიკური აზროვნების უნარს.

გუგული გვათუა მოხიბლული იყო ტერენტის ზეშთაგონებული სახით.

ანა ნიკოლაძე აღნიშნავდა ტერენტის განსაკუთრებულ პოპულარობას, ქუთაისის თეატრში ლიტერატურულ სალამოზე გამართულ სიყვარულის ოვაციებს.

ტერენტი გრანელი უყვარდა ბონდონ კეშელავას.

ლიდია მეგრელიძესთან მეგობრობა ცხოვრების სატკივრებს უმსუბუქებდა განამებულ პოეტს. მან ერთხელ დასალევი ფული მისცა ტერენტის და გალაკტიონს.

მოქანდაკე ვალერიან მიზანდარი წუხდა პოეტის განუკურნებელ ავადმყოფობაზე.

ნიკოლოზ ჩაჩავა ერთ-ერთი მონაწილე იყო ტერენტის უცრემლო და უცერემონიო გასვენების.

თინა როინიშვილმა, (რომელსაც პოეტმა უძღვნა “ქალის აგონია”) “მემენტო მორი” გაუყიდა, ფულს უგროვებდა, მაგრამ ტერენტის ნაწილ-ნაწილ მიჰქონდა და უაზროდ გაფლანგა.

თომა ჩიქვანაია კიცხავდა საზოგადოებას გულგრილობის გამო და მოუწოდებდა შეეძინათ ტერენტის წიგნი, მოჰქონდა ეგ. ნინოშვილის, ას. ყაზბეგის მაგალითები და აფრთხილებდა პოეტის ნაცნობუცნობებს მოსალოდნელი უბედურების შესახებ.

ტერენტი გრანელს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა კონსტანტინე გაჩეჩილაძესთან, რომელიც კონე სპერელის ფსევდონიმით წერდა. მათ ერთად დაუარსებიათ შურნალი “კრონისის სარკე”, გაზეთი “ია”.

კონსტანტინე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი. იქ გაეცნენ ერთმანეთს ეს პოეტები და ხუთი წელი მეგობრობდნენ.

“მასთან დაახლოება არ იყო ძნელი, თუ გულს უჩვენებდა ადამიანი, მაგრამ ნამეტანი მწყინარიც იყო, მქირდავი ენის პატრონს ვერ ითმენდა”, წერდა კ. გაჩეჩილაძე (სპეტაკი გულის მესაიდუმლე, “მნათობი”, 1991 წ. 9-10, გვ. 190). იგი აქებდა ტერენტის “გრძნობის ემბაზში ამოვლებულ” სტრიქონებს.

“არაა საკვირველი, რომ პოეტმა იცოდა რიონივით მოულოდნელი გახელება და აზვირთება გრძნობების, მაგრამ თუ გულს გადაუშლიდი, ალორთქილ ყანასავით დამშვიდებოდა, დარბილდებოდა”, წერდა კ. გაჩეჩილაძე.

ისინი დაახლოვა უურნალმა “კრონოსის სარკემ”. სახელნოდება გრანელს აულია კ. გაჩეჩილაძის ლექსიდან “თეთრი გვირგვინისანი”, რომლის ქვესათაური იყო “კრონოსის სარკე”, რაც გრანელს მოსწონებია და შეთანხმებია ავტორს. უურნალის წინათქმა დაწერილი იყო ტერენტის მიერ და ერთგვარ “მანიფესტად” ალიქმებოდა.

უურნალის მომდევნო ნომერში მიძღვნილი ლექსის ბოლო ტაეპი — “მიხვალ, გიცნობენ შორეულნი დაწმენდილ ხმაზე”, წინასწარმეტყველება გამოდგა ტ. გრანელზე.

ამავე ნომერში კ. გაჩეჩილაძისადმი მიძღვნილი ტერენტის ლექსში რითმად გამოყენებულია კონნე სპერელი: “თავის ლექსებში იხედება კონნე სპერელი” (ფანტასტიკური დამე).

“ჩვენ დიდხანს, დიდხანს ვოცნებობდით ერთად უკეთეს მერმისზე. ხშირად უსიტყვოდაც ვმასლაათობდით და გამოთხვებისას ისე ენერგიულად ვართმევდით ერთმანეთს ხელს, თითქოს დაშორებისათვის საყვედლურს ვუთვლიდით შუალამეს”, წერდა კ. გაჩეჩილაძე.

ტერენტის რჩევა უკითხავს მეგობრისთვის, ორი ფსევდონიმიდან — წალენჯიხელი და გრანელი — რომელი აერჩია. კონსტანტინეს ურჩევია გრანელი, ბგერათა კომპლექსის სასიამოვნო ულერადობის გამო.

კ. გაჩეჩილაძის არქივში მოიპოვება ფურცლები სათაურით “გრანელის ფიზიონომია”, რომელშიც საუბარია პოეტის პორტრეტზე, დარბასისლობაზე, თითების მოძრაობაზე, თმაზე.

ჩანანერებში ნათქვამია: “გრანელის ერთ თავისებურებას შეადგენს წრეგადასული გულწრფელობა. ენდე ნამდვილად, რასაც გეუბნება, მართალია. ის არ ტყუის. მაგრამ თუ შეგატყო, რომ მის გულწრფელობაში ეჭვი შეიტანე, მყისვე გაგშორდებოდა, უცებ დაეკარგებოდა ღიმი მის სახეს, წყენინების წისლში გაეხვეოდა და რაც არ უნდა გეთქვა, ... გრანელის გულს ვერ მოიგებდი. იგი საშინლად შეურაცხყოფილი გაგცილდებოდა”.

“გრანელთან უხილავი კონტაქტის დამყარება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც პოეზიისთვის კოსმიური წვა განუცდია.

“იგი პოეტი იყო არა მარტო შინაგანი ხილვით, ქცევითაც”.

“ფიქრნაცემი თვალები”.

“დასიცხული სახე”.

“ნახევრად გაპობილი ბაგის სევდიანი ღიმილი და დაუდევრად ახვეტილი წაბლისფერი თმა”

“...აი, ნაბიჯი წელა შეანელა. მახვილმა სმენამ მოხეტიალე მუ-სიკისის ვიოლინოს ხმა დაიჭირა, კვნესის ქუჩის მელოდია. ახლა მისი ყურადღება ცის უჩვეულო სილურჯემ მოიტაცა”

“ადამიანში ღვთიურ საწყისებს დაექებდა მუდამ”.

კონსტანტინე გაჩეჩილაძე მოუწოდებდა საზოგადოებას ტე-რენტი გრანელისადმი ყურადღების გამოჩენას. იგი თვლიდა, რომ ტე-რენტის გაგებას სჭირდებოდა “შინაგანი ჭვრეტა”.

ტერენტის დაკრძალვას 1934 წლის 10 ოქტომბერს კ. გაჩეჩილაძეც ესწრებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ საძირკეელი და რკინის მოაჯირი ადგილობრივი ეკლესიის მრევლმა გაუკეთა მივიწყებულ პოეტს ჩვენი მითითებითო და კითხულობდა: “ნუთუ ქართველ მოღვაწეთა პანთეონში მისთვის ადგილი არ მოინახა?”

1961 წელს ტერენტის “რჩეულზე” დაწერა წერილი: “ტერენტი გრანელს ჰქონდა სული ენძელასავით ნაზი და მიმოზასავით უკარებელი. მას აწვალებდა არსის აზრის ამოხსნის სურვილი.

ჯვარზე გაკრულის განცდებით გვევლინებოდა... არავის უცდია პოეტის იქიდან ჩამოხსნა და ეჭვის ეკლის გულიდან ამოღება. იგი თავისი ტკივილებით უყურადღებოდ დარჩა მიტოვებული” (მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები,... გვ. 23-24).

“მეტენტო მორი” — ეს მთელი ფილოსოფიაა, რომელსაც ორი ათასი წლის ისტორია აქვს და არ დაბადებულა ადამიანი, რომ მწუხარებით არ გაეცილებინოს ცხედარი.

“ტერენტი გრანელმა გაიზიარა ბედი იმ პოეტების, რომელთაც ძებნას დაუწყებენ ხოლმე მას შემდეგ, რაც ისინი თვალს მიეფარებიან” (იქვე, გვ. 25).

1959 წლის ჩანახერში კონსტანტინე გაჩეჩილაძე წუხდა, რომ ტერენტი გრანელის საფლავი დაიკარგებოდა. პოეტის 70 წლისთავზე დაწერა წერილი “ძიების მოუსვენარი სული” და მისი ლექსების დიდ ნანილში ჰამლეტისებური განწყობილება დაინახა.

“ის ებრძვის არა ხილულეთს, არამედ მის ხილულ მანკიერებას. წამების ემბაზშია ამოვლებული” (იქვე, გვ. 32).

კონსტანტინემ შეადარა გალაკტიონი და გრანელი: “საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება” და “საქართველოში შენ ერთი მაინც” (იქვე, გვ. 36).

1922 წელს გამოცემულ ტერენტის წიგნს “სული და საფლავები” აქვს წარწერა: “ჩემს ძვირფას მეგობარსა და პოეტს კონნე სპერელს ავტორისაგან”.

კონსტანტინე გაჩეჩილაძემ შეისწავლა ტერენტი გრანელის არქივი, დაწერა მისი ბიოგრაფია, განიხილა პოეტის შემოქმედება, მაგ-

რამ არსად უბეჭდავდნენ. გამუდმებით თვალყურს ადევნებდა მეგობრის საფლავს, რომ არ დაკარგულიყო (იქვე, გვ. 37).

იგი წერდა, რომ “პეტრე-პავლეს სასაფლაოს გაუქმება ემუქრება და აუცილებელია მისი გადასვენება ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში”.

წალენჯიხის ადგილობრივ მმართველობას აცნობებდა, რომ რომელიმე ქუჩისთვის მანც დაერქმიათ ტერენტის სახელი.

ითხოვდა, დაეყენებინათ საკითხი პოეტის ნეშტის გადასვენების შესახებ.

კონსტანტინე გაჩერილაძე წუხდა, ასეთი პოეტი ისე მიაპარეს სამარეს, რომ საფლავთან მისასვლელი გზაც კი არ დაუტოვებიათო (იქვე, გვ. 39).

სუ დაიკარგა უყურადღებობით ნიკო ფიროსმანის საფლავი და დღეს ცრემლებით დავექტოთ მას.

“ჩვენმა გულგრილობამ ეს შესანიშნავი შემოქმედი ფსიქიატრიულ საავადმყოფომდე მიიყვანა.

ჩვენმა დაუდევრობამ ამ უნიჭიერესი პოეტის ხელნაწერთა დიდი ნანილი სამუდამოდ დაუკარგა შთამომავლობასო” (იქვე, გვ. 41).

როდესაც შიო თურქაძემ ლერი ალიმონაკს მივიწყებული საფლავი უჩვენა, უთქვამს, მხოლოდ კოტე გაჩერილაძე დადის გრანელის საფლავზე (ლერი ალიმონაკი, გრანელის ლანდი, თბ. 1998, გვ. 23,33).

როცა ტერენტის პირველი საიუბილეო საღამო ჩატარდა 1987 წლის 21 დეკემბერს, კონსტანტინე გაჩერილაძე ცოცხალი აღარ იყო.

1987 წლის 12 დეკემბერს წალენჯიხის ტერენტის სახლ-მუზეუმი გაიხსნა. ერთ ქუჩას პოეტის სახელი ეწოდა, რაც კონსტანტინე გაჩერილაძის ოცნების ახდენა იყო.

“ლია სამარეს ჰეგავს ჩემი საკანი” — წერდა პოეტი და მართლაც, იგი ხომ სარდაფუში ცხოვრობდა მერკვილაძის ქუჩაზე, ორსართულიანი სახლის კიბის ქვეშ”, აღმოჩენილი აღნიშნავდა კ. გაჩერილაძე (მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები, გვ. 44).

ტერენტი გრანელი და შალვა დადიანი

ალექსანდრე სიგუამ შემოგვინახა მოგონება ტერენტი გრანელისა და შალვა დადიანის ურთიერთობის შესახებ. შალვა დადიანი მთანმინდაზე, კოტე მესხის ქუჩაზე ცხოვრობდა. მისი ხშირი სტუმარი იყო ტერენტი გრანელი.

შალვა დადიანი ტერენტის არწმუნებდა, ხელოვანი, მწერალი თავის სამშობლოს, ხალხს უნდა ემსახურებოდესო და პოეტის დანიშნულებას ილია ჭავჭავაძის “პოეტზე” დაყრდნობით განუმარტავ-

და: “დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ლვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში”.

ასევე, იმოწმებდა ილიას სხვა სტრიქონებსაც: “მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ, მოვწმენდ ერსა ტანჯვის ცრემლსა”.

ამის საპასუხოდ ტერენტის სიჩუმეში საგალობელივით წარმოუთქვამს: “ამ ხატის ცრემლი და მინა ჩემი ცრემლია მხოლოდ და ჩემი ბოლო”.

შალვა დადიანი აგრძელებდა საუბარს: “ჩვენი გენიოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება არ ყოფილა ვარდ-ყვავილებით მოფენილი, ჭაბუკო!... ის ყაჩალებს დასდევდა ნახიჩევანში... მაგრამ ხომ გახსოვთ მისი ლექსის სტრიქონები: “არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლის-თვის არა იზრუნოს”. ვაჟა!... ვაჟა ხომ ჩარგალში ჭრაქის ქვეშ წერდა სტრიქონებს: “ჩემს ტურფა მხარეს მკერდს დაგაკერე სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი”.

ტერენტიმ მშვიდად უპასუხა თურმე: “მე თქვენ სავსებით გე-თანხმებით... პოეტი უნდა ემსახურებოდეს სამშობლოს, ხალხს”...

ბატონი შალვა დარწმუნდა, რომ თავისი შეგონებით მიზანს მიაღწია და ხარობდა, მან დაიმოწმა ტერენტის შემდეგი სტრიქონები: “შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი, ქალაქის ცეცხლი, დაისრული დროშა წითელი, ბნელ შუალამეს აკრთობს შუქი მოხეტი-ალე, ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი”.

შალვამ მხარზე ხელი დაადო თურმე ტერენტის და უთხრა: “აი, ასე უნდა წეროთ! და თქვენ, ჭაბუკო, ერის ნამდვილი შვილი გახდებით, ცხოვრების მსვლელობას გაჰყევით, ჭაბუკო, ცხოვრების მიმდინარეობას და გამოჩენილი პოეტი გახდებით”.

ტერენტიმ სევდანარევი ღიმილით, უცხო ხმით მიმართა შალვას: “ბატონო შალვა, “სულის ცეცხლი” ხომ შემდეგი ორი სტროფით გრძელდება: “სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა, დამწვარ ტყვიერის სურნელება და განსაცდელი. ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა, კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა, როგორც სანთელი. ქალაქის კვამლი, მღელვარება, ლამის ალები და შორეული რაინდების უმწეო შფოთი. სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფოტი”.

ტერენტიმ ლექსის კითხვა დაამთავრა და წავიდა თურმე.

შალვა დადიანი ხშირად საუბრობდა ტერენტის შემოქმედებაზე და სიყვარულით, პატივით ეპყრობოდა მას.

ალ. სიგუა შალვას უმტკიცებდა, რომ გრანელი ორიგინალური და თავისებური პოეტია, შალვა კი პასუხობდა: მაგრამ ორიგინალობა ხომ არ ნიშნავს, ცრემლი ვღვაროთ და ვიტიროთ. პოეზია ხელოვნებაა, ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის, უკეთესი მომავლისათ-

ვის. ამას უნდა ემსახურებოდეს ყველა პოეტი, ყველა ხელოვანი” (ცისფერი სიშორე, გვ. 409-410).

გროხელ ბერიასთვის დაუსვამს შეკითხვა შალვა დადიანს, პოეტ ტერენტი გრანელს თუ იცნობდით, ან თუ გსმენიათ მის შესახებ რამეო. ბერია ფეხზე წამომდგარა და რიხით უთქვამს: “ტერენტი დიდებული პოეტი გახლდათ, ბატონო შალვა. “კი, დიდებული პოეტი იყო ის ცხონებული, მაგრამ... ცხოვრებას მან ვერ გაუგო და დამარცხდა, თავი დაიღუპაო”. ბერიას პათეტიკურად უთქვამს: “ცხოვრებას კი არა, ბატონო შალვა, თვით ცხოვრებამ ვერ გაუგო მას”.

“ეს ისე იყო ნათქვამი, ტანში გამცრა, დავიძენი, ამისთანა პასუხს არ ველოდი და ვერც წარმოვიდგენდი. გულმა ბაგა-ბუგი და-მინყო, თვალწინ ტერენტი წარმომიდგა თავისი განუმეორებელი ღიმილით: “ქართველმა ხალხმა გიჟი მიწოდა, მზე მიდის გაღმა, ცის ხმა ისმოდა” (ცისფერი სიშორე, გვ. 441).

ტერენტი გრანელი და ესენინი

სერგეი ესენინი 1925 წელს ექვსი თვით იმყოფებოდა თბილისში. მისი მასპინძლები იყვნენ ცისფერყანწელები, კერძოდ, პალო და ტიციანი. ამ შეხვედრებმა გამოხატულება ჰპოვა გიორგი ლეონიძის მოგონებებში, ნინო მაყაშვილის წიგნში — “ტიციანი და მისი მე-გობრები”.

თავისი თანამედროვე პოეტებისგან განაპირებული ტერენტი გრანელი არც ამ შემთხვევაში მოუწევებიათ ოფიციალურად. არც გა-ლაკტიონი იყო მათ ვაკხანალიაში ჩართული, ესენინმა ვერ მოასწრო მისი ნახვა.

მოხდა ისე, რომ ტერენტი შემთხვევით გადაეყარა ესენინს ვერის ხიდთან და ქართველმა პოეტმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა, თვითონ გამოეცნაურა სტუმარს ისე, როგორც საერთოდ ჩვეოდა, მე ვარ ტერენტი გრანელიო. ესენინმა სალამს სალმით უპასუხა. ტე-რენტიმ დააზუსტა: მე ვარ პოეტი ტერენტი გრანელიო. ო, ეს ორმა-გად სასიამოვნოა, თქვენ ისეთი სახე გაქვთ, შეიძლება გაუცნობლა-დაც მეფიქრა, რომ თქვენ პოეტი ხართ.

ესენინმა გაოცება გამოთქვა, რომ იმ დღემდე არ ენახა ეს ჭეშ-მარიტი პოეტური გარეგნობას ადამიანი. ტერენტიმ უთხრა, თქვენ უფრო დიდი პოეტების გარემოცვაში იყავითო, რასაც არ დაეთანხმა სტუმარი, პოეტის ცნება თავისთავად დიდია.

ესენინი ეკითხებოდა ტერენტის, რუსულად ხომ არ არის შენი ლექსები თარგმნილიო. ტერენტის მაგივრად გენო ქელბაქიანმა გას-ცა პასუხი (რომელიც შორიახლოს მიჰყვებოდა მათ), შალვა კაშმა-

ძეს ჰქონდა 2-3- ლექსი რუსულად ნათარგმნიო და “უმიზნო ხეტიალი” წაიკითხა.

ამჟამად რაზე მუშაობთო, ეკითხებოდა ესენინი, რაზედაც ტერენტიმ უპასუხა, მე არასოდეს არ ვიცი, რას დავწერო ერთი საათის შემდეგ. სტუმარს მოეწონა ეს განაცხადი, რაც ლექსის ირაციონალურ-ინტუიციურ საწყისს უსვამს ხაზს (გენო ქელბაქიანი, ის მხოლოდ პოეზიით ცხოვრობდა, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 58).

ამ ორი პოეტის შეხვედრა ამით არ დამთავრებულა. ისინი დაუხლოვდნენ ერთმანეთს და საინტერესო თავგადასავლებიც ჰქონდათ.

“ტერენტი თავისი პოეზიით, სულით, სევდით ჰგავდა ესენინს” (გ. ქელბაქიანი).

“მემენტო მორის” ავტორმა ზეპირად იცოდა რუსი პოეტის ლექსები.

სერგეი ესენინს “ზარია ვოსტოკაში” დაბეჭდილი ლექსების ჰქონორარი არ მისცეს. ტერენტი გრანელმა და ესენინმა თავისებურად გამოხატეს პროტესტი. ისინი რედაქციის წინ ხელში შლიაბებით იდგნენ და შემწეობას თხოულობდნენ გამვლელებისგან. თურმე ესენინმა ათი მანეთით მეტი მოაგროვა, ვიდრე გრანელმა. სერგეის უნდოდა ძმურად გაეყო ეს ფული, მაგრამ ტერენტი უარზე იყო. ესენინი დაემუქრა ტერენტის, თუ არ დამთანხმდები, შენს ლექსებს რუსულ ენაზე არ გადავთარგმნიო და ამ არგუმენტით დაიყოლია ტერენტი.

ამ ფულით პოეტები შესულან რესტორანში და მოხვედრილან ჩხებში, რისთვისაც მილიციას ორივე დაუპატიმრებია. ესენინი, როგორც ჩამოსული სტუმარი, იმ დღესვე გაუთავისუფლებიათ, ტერენტი კი დამნაშავედ უცვნიათ და ციხეში მიუბრძანებიათ. ასე დაისაჯა სტუმრისადმი სოლიდარობის და თანაგრძნობის გამო ქართველი პოეტი.

ამ შემთხვევას, რომელიც გამოწვეული იყო მატერიალური გაჭირვებით, გამოხატულება უპოვია მათ შემოქმედებაში.

ლექსში “Заря Востока” ესენინმა ირონიულად ასახა ეს ამბავი: “ირონია! გამაქანე — ქვეყნად ბევრი გზებია, რიაზანელ გლეხივით მოჭუტული თვალებით, სადაც არ უნდ მოუხვიო, გზები შეიყრებიან და “ზარია ვისტოკას” ეედელს დაეტაკები... ეს ფულები, მგოსანო, სთქვი, გჭირდება რისთვის? შლიაპა გაცვეთილია, ტუფლიც სკდება ხშირ-ხშირად, ცოტა ფული, თუნდ ათასი, რომ მოეცათ წიგნისთვის, მაგრამ განა ათას მანეთს ვინმე წაგლეჯს ვირაპს?”

ტერენტი გრანელი იგივე ფაქტს შეეხო თავის ერთ ლექსში და აჩვენა უკიდურესი გაჭირვება, რაც აიძულებდა მათხოვრულად ეცხოვა: “არ ვესალმები ამგვარ დროებას, გრიგალი არხევს სულის

მიმოზებს, ახლაც ვგრძნობ ცისფერ უსაზღვროებას და თანაც ვფიქრობ ნითელ ლვინოზე. ეს ხმა, ეს ბედი ისევ ჩემია, სადღაც შორს ღმერთის აჩრდილი ცხოვრობს და მხოლოდ ერთი გზა დამრჩენია, დავდგე ქუჩაში და ვიმათხოვრო” (ბექა ლაშხია-ხიბლელის მოგონების მიხედვით, ნიგნი — “ცისფერი სიმორე”, გვ. 381).

ისიც ცნობილია, რომ ესენინი ფულით ეხმარებოდა თავისზე უფრო უპოვარ ტერენტის.

ჯერ ესენინმა მოიკლა თავი, მერე მაიაკოვსკიმ. ეს საკითხი საზოგადოებაში განსჯის თემად იქცა, ზოგი ამართლებდა მაიაკოვსკის თვითმკვლელობას, ზოგი კიცხავდა. ეს ხდებოდა ტრამვაის მგზავრებს შორის. ტერენტი ჩარეულა კამათში და უთქვამს: “ესენინმა თავი რომ მოიკლა, ეს შეიძლება გაამართლოს კაცმა, მაგრამ მაიაკოვსკის თვითმკვლელობას არავითარი გამართლება არა აქვს” (ვიცი, დრო მოვა ჩემი გაეგბის, გვ. 131).

ამ ტრაგედიამ ტერენტის პოეზიაშიც გამოჟონა. მუდმივად სიკვდილზე, თვითმკვლელობაზე მოფიქრალ პოეტს კიდევ უფრო გაუმძაფრდა ამქვეყნიურობიდან ნასვლის სურვილი, შექსპირული ყოფნა-არყოფნის პრობლემის ჭიდილი: “მოდის ცისფერი და რაღაც შავი და სადღაც გაღმა გაისმის სროლა. ესენინივით მოვიკლა თავი, თუ სიცოცხლისთვის განვაგრძო ბრძოლა?”

კონსტანტინე გაჩეჩილაძემ ტ. გრანელს “ჩვენი ესენინი” უწოდა (მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები, კონნე სპერელლი, კონსტანტინე გაჩეჩილაძე ტერენტი გრანელის შესახებ, თბ. 2003, გვ. 45).

ბევრი მკვლევარი მიუთითებს ამ ორი პოეტის სულიერ ნათე-საობაზე, შემოქმედებით კავშირებზე. ეს პრობლემა სერიოზულ კვლევას მოითხოვს.

მთავარია ის, რომ შემთხვევითი არ არის მათი ერთად ხსენება.

ტერენტი გრანელი და ვლადიმერ მაიაკოვსკი

ტერენტი გრანელმა კარგად იცოდა, რომ ათეისტურ ეპოქაში მისი პოეზია არ დაფასდებოდა, მაგრამ მას არ უცდია დროს მორგებოდა, საბჭოთა პოეტის მანტიია მოესხა და ხელისუფლებას შერიგებოდა. ამ პრინციპულობის გამო გახდა ის დევნილი, შერისხული და პოპულარული, ამავე დროს.

სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული პოეტის დიდების ამბავი ვლადიმერ მაიაკოვსკისაც მისწვდა და რუსმა პოეტმა გადაწყვიტა, თავის ენაზე აემტყველებინა „მგლოვიარე სერაფიმის” ლექსები. უცხოელი მკითხველის აღიარებას ტერენტი გრანელი სიმშვიდით, ღირსების გრძნობით შეხვდა.

მათ შორის ასეთი დიალოგი გამართულა:

— მე თქვენს პოეზიაზე, — უთხრა ტერენტის ვლადიმერ მაიაკოვსკი, — ბევრი საინტერესო მიამბეს ქართველმა პოეტებმა: ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კოლაუ ნადირაძემ და სხვებმა. ამიტომ გადავწყვიტე თქვენი ნახვა, როგორც პოეტის. ხომ არ მომცემთ ლექსებს, რომ გადავთარგმნო და დავბეჭდო რუსულ პრესაში.

— ლექსებს კი მოგცემთ, ბატონო ვლადიმერ, მაგრამ ჩემს ლექსებში არ ჩანს წითელი აგიტაცია-პროპაგანდა, ანუ უკაცრავად, ცხოველური აღტყინება, ბიოლოგიური პათოსი, არც და ვერც იქნება, გამორიცხულია. ჩემს ლექსებში სულინმინდის მადლია განვითნილი, სტრიქონებში ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებია ჩანნული, მისტიკური ხედვითაა გაცნობიერებული ღვთისმშობლის წილხვედრი ქეყნის წარსული და მომავალი, ღვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განლმრთობის საფეხურები... არამცუ მთარგმნელი, არამედ ქართველი წამკითხველიც (შემ-გრძნობი, გამგები) მისტი უნდა იყოს; უფრო მეტიც, განდობილი... ასე რომ... მარადისობას — პოეზიას არ ეჩქარება... პოეტებიც წუ ავ-ჩქარდებით. ოდესალაც, როცა ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის და სულიერება აღორძინდება, „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“.

“ეს სიტყვები ისეთი ხმით წარმოთქვა, გეგონებოდათ, საკურთხეველთან იდგა და ლოცულობდა. როცა მონოლოგი დაამთავრა, გაეღიმა: ასე რომ, შენუხებად არ ღირს, მადლობას მოგახსენებთ...”

“მაიაკოვსკი ააფორიაქა ასეთმა პასუხმა. ეტყობა, არ ელოდა ასეთ ფინალს. უცებ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ მაიაკოვსკიმ მოხსნა ეს დაძაბულობა::

— პოეტო, არც მე მოვსულვარ სააგიტაციოდ” (ალ სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, “ცისფერი სიშორე”, თბ. 1998, გვ. 412).

“პოეტის სახელს ბრძო არ ითმენდა”

ტერენტი გრანელი კარგად ხედავდა, რომ საზოგადოების უმრავლესობა მასად, ბრძოლ იყო გადაქცეული. ამიტომაც უპირის-პირდებოდა მათ სიმდაბლეს, სიჩლუნებეს, სიბეცეს, ურნმუნოებას.

“მე-20 საუკუნის კაცობრიობის მასის ტოტალური გადაგვარება და განურჩევლობა ერთი მხარეა სასწორისა, რომელსაც უპირის-პირდება მაღალი მორალური შეგნება დღევანდელი კაცობრიობის რჩეულთა” (ზვიად გამსახურდია, დილემა კაცობრიობის წინაშე, თბ. 1995, გვ. 30).

“ისტორიაში მუდამ მცირენი იყვნენ უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტებისათვის თავდადებულნი, მაგრამ მათი სულიერი ძალა და შემართება მარად სძლევდა ბნელეთის მოციქულთა მრავალრიცხოვან ლეგიონებს, მრავალრიცხოვნების წყვდიადს” (იქვე, გვ. 32-33).

“სოციალისტურმა ტოტალიტარიზმა კირკესეული ჯადოქ-რობით ღორებად აქცია მასა, მაგრამ მან ვერ შეძლო გამორჩეულ, ერთგულ პიროვნებათა ამგვარი ტრანსფორმაცია” (იქვე, გვ. 61-62), ნერს ზ. გამსახურდია.

ასეთი გამორჩეული პიროვნება იყო ტერენტი გრანელი, რომელმაც, ზ. გამსახურდიას რომ დავესესხოთ, “აირჩია გზა მარტვილობის, თვითდათმობისა, უთანასწორო ბრძოლისა ციხეებსა და ფსიქიატრიული საავადმყოფოების ჭანგებით აღჭურვილ ურჩხულ-თან” (იქვე, გვ. 65).

მსასა, ბრძოსა და პიროვნებების ურთიერთობა ყოველთვის მწვავე იყო. მასას ხშირად არა ჭეშმარიტი, არამედ კრიმინალური ინ-ტელიგენცია მართავდა და უფსესოულისკენ მიჰყავდა საზოგადოება.

დიდი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე “ლამიას უწოდებდა ბრძოს აზრს, ლამიას, ანუ ყრმათ საფრთხობელას” (მარკუს ავრე-ლიუსის, ფიქრები, თბ. 1972, გვ. 270).

მარკუს ავრელიუსი იმოწმებს პლატონის სიტყვებს: “მას, ვინც თავისი კვლევის საგნად კაცს სახავს, მართებს თითქოსდა მაღალი მთის მწვერვალიდან მოიხილოს ყოველივე მიწიური: ბრძოთა სიმ-რავლე, რაზმთა წყობანი, მინდვრის სამუშაონი, ქორწინებანი, გან-ქორწინებანი, გარდაცვალებანი, მოყაყანე სამსჯავრონი, უდაბნონი, ბარბაროსთა სხვადასხვა ტომნი, დღე-ღღამენი, გლოვის მეოსანთა გალობანი, თავყრილობანი, ერთმანეთში უთავბოლოდ ალუფხულ საგანთა ნაზავით თუ დაპირისპირებულთა პარმონიული მთლიანობანი” (იქვე, გვ. 181).

მარკუს ავრელიუსი თვით ბრძოსა და მონებშიც ხედავდა სხვაობას: “საგანთა უმრავლესობა, რომელიც სასურველად უჩანს ბრძოს, უსულო თუ მცენარეულ სამყაროს განეკუთვნება, როგორც მაგალითად, ქვები, ხეები, ლეღვი, ვაზი ან ზეთისხილი.

ასეთი ბრძოსგან ოდნავ განსხვავებულნიც არსებობენ და მათი ოცნების საგნებიც ცოტა სხვაგვარია: “ბრძოსგან მცირედ გა-მორჩეულნი სულდგმულ არსებათა სიმრავლეს არჩევენ, როგორც მაგალითად, ცხვრის ფარას თუ ცხენების რემას”.

არის სხვა რამით დაინტერესებული კატეგორია ადამიანებისა: “განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგარნი-გონიერნი, თუმცა არა ყოვლად სულთან წილუყრელნი, მაგრამ მაინც ქმედითნი, მონების სიმრავლეზე” არან ორიენტირებულნი.

სრულყოფილებასთან ახლის მყოფი კი სიყვარულს და სიკეთეს ემსახურებია: “ხოლო კაცი, რომელიც აღმერთებს და თაყვანს

სცემს ყოვლად გონიერსა და მოქალაქეობრივ სულს, სხვას არაფერს ისახავს მიზნად, თუა არა სიყვარულს და ერთგულებას სამოქალაქო სიკეთის მიმართ, იგი მოყვასსაც ეხმარება ამავე მიზნის მიღწევასა და მისკენ სწრაფვაში” (მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თბ. 1972, გვ. 151-152).

“მოწონების ნიშნად ბრძოლავის მხოლოდ” (გვ. 151).

სულიერად ამაღლებული პატივს სცემენ კაცთ და თაყვანს სცემენ ღმერთებს, ამიტომ მიზანი ისაა, “კეთილმოსურნეობით ემ-სჭვალვოდე კაცთ და თაყვანს სცემდე ღმერთებს” (იქვე, გვ. 152).

“გიყვარდეს კაცთა მოლგმა. მისდიე ღმერთს” (იქვე, გვ. 177), ასეთია მარკუს ავრელიუსის მრწამისი.

მოწებს არა აქვთ სულის სიდიადე, სიმაღლე, ამიტომ ისინი ხდებიან არა შემოქმედნი, არამედ მხოლოდ “დიდი ქვემეთრევი, დიდი პირმოთხე” (ფსევდო-ლონგინე, ამაღლებულისათვის, თბ. 1975, გვ. 201).

“მონა ვერასოდეს ვერ გახდება ორატორი ან მწერალი. თავი-სუფალი სიტყვის შიში, როგორც დილეგის მარად ფხიზელი მცველი — თავის უმწეო ტყვეს ხელად შეიძყრობს, ხელ-ფეხს შეუკრავს და ფრთებს შეაჭრის მას, მოწობის მძიმე კირთების ქვეშ გამუდმებულ გვემასა და გოდებას ნაჩვევს” (იქვე).

“...ჯუჯების, პიგმეების... თვით ყველაზე მსუბუქი მოწობაც კი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ იმ კუბოსავით ვიწრო კიდობნებს, რომლებშიც სიყრმითგან წვანან ისინი, რათა მეტად აღარ იზარდონ... არტახები ბოჭავენ და ჭყლეტენ ამ ჯუჯების სხეულს, ამახინჯებენ და ასახიჩრებენ მათ. ნებისმიერი მოწობაც კაცისთვის ის კიდობანია, რომელშიც, როგორც დილეგში, გამომწყვდეულია მისი სული, ხოლო დილეგში ყოფნა ამახინჯებს, ამდაბლებს და ასაპყრებს სულს” (ფსევ-დო-ლონგინე, ამაღლებულთათვის, თბ. 1975, გვ. 202).

პოლ ვალერი საუბრობდა პროგრესის სახელით მომავლებზე, როგორც ცხოველებზე, ჭიანჭველებზე, ძალაუფლების მცყრობელ-თა მიერ დამონებულ ჯოგზე, ნახირზე, ბრძოზე, სახელმწიფო-ურ-ჩეულზე (რჩეული პროზა).

გასეტი განასხვავებს არა მარტო სულიერი ინდივიდუალობის მქონე ინტელიგენციას და ბრძოს, არამედ მასასაც ბრძოსგან: “საზოგადოება ყოველთვის ორი ფაქტორის — უმცირესობისა და მასების დინამიური ერთობაა. უმცირესობა ინდივიდუმთა ჯგუფია, თვისებრივად რომ განსხვავდება ბრძოსაგან. მასა კი ადამიანების ბრძოა, ადამიანებისა, რომლებსაც არავითარი სპეციფიკურად განსხვავებული თვისებები არ გააჩნიათ. მასა ადამიანთა თავმოყრაა. მასას არსებობის მოწოდონური ნიადაგი განსაცდელში არ აგდებს, ის, შეიძლება ითქვას, არც კი განსხვავდება (გამოხაკლისის გარდა)

ბრძოსაგან, რომლის ნება მხოლოდ ინსტინქტებზეა დამყარებული” (ხოსე ორტეგო ი გასეტი, მასების ამბობი, თბ. 1993, გვ. 8).

ნიცშეს ზიზლი ბრძოსადმი განპირობებული იყო იმით, რომ მასში ვერ პოულობდა სისპეტაკეს: “სიცოცხლე წყაროა სიხარულისა, ხოლო სად ბრძო სვამს, მოშეამულია იქ ყოველი წყარო.

“ხშირად მემძიმებოდა ჩემი სული, ოდეს ბრძოს შორისაც სულს აღმოვაჩენდა!

“ავი სუნი ასდის მყრალი ბრძოს ყოველ გუშინსა და დღესა! და ბრძანებულთ ვაქციე ზურგი, ოდეს ვიხილე ან რასაც ბრძანებლობას უწოდებენ: ბრძოსთან ვაჭრობა და ჩარჩობა ხელმწიფობისათვის” (ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ. 1993, გვ. 75-76).

ტერენტი გრანელის ტკივილებს ამძაფრებდა ციხე, როგორც “საშინელება, დამძიმებული და კეთოროვანი”. აქ იგი ხედავდა ორიენტირებდაკარგულ ადამიანებს: “გულის ტკივილი უფრო ღრმავდება, როდესაც ვუმზერ ჯიბგირს და ბანდიტს” (ისმის ხმაური, არის ცხელება).

ქალაქშიც გაუსახურებული ბრძოს ცქერა გამხდარიყო უსა-თუთესი სული ადამიანის ხევდრი: “ო, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები”...

“პატარა მტრებისგან” ციხეში გამომწყვდეული პოეტი შფო-თავდა, წუხდა, იტანჯებოდა: “დამწვა საკუთარ ალმა, ვატყობ, თან-დათან ვკრები, ალბათ ხარობენ სადლაც ჩემი პატარა მტრები” (დამ-წვა საკუთარ ალმა).

პოეტი მაღლა გაფრენაზე ოცნებობდა, მაგრამ ცოდვილ მიწი-ერთა მზერით იტანჯებოდა, სისხლს უშრობდა მათხოვრების, “პროს-ტიტუტკების” ხევდრი: “მრება სისხლისგან გული — აუზი! და მიპ-ყრობს ქუჩა, ვით თაფლი ფუტკარს, თითქმის ყოველდღე სასაფლაო-ზე ვხვდები მათხოვარს და პროსტიტუტკას” (უმიზნო ხეტიალი).

“ქუჩაში მცხოვრებს და სახლიდან გაქცეულს” დიდი შანსი ჰქონდა, რომ ენახა მასები, ბრძო, მაგრამ ვერც მოღალატე ინტელი-გენცია და ვერც ბრძო მის სულს წამლად ვერ მოეცხებოდა.

არისტოკრატის პოზით მოვლენილი ავაზაკები სულს უმ-ლვრევდნენ, პროლეტარული მწერლები ხომ დაბადებითვე “სულიერი საჭურისები” (მ. ჯავახიშვილი) იყვნენ, ამიტომ ქუჩებს, ბაღებს, სასაფლაოებს, მთებს ეტანებოდა.

მეორდებოდა მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ვერც მასაა, ბრძო ითმენდა თავის არამსგავსს, სულიერი სიბეცის გამო: “პოეტის სახელს ბრძო არ ითმენდა”...

იტანჯებოდა “უღირსი თვალის” ცქერით (სადლაც და ვილაც) და ენატრებოდა “ამ სანამლავი ხანისგან” გარიდება, უადამიანო სივრცე...

ინტელიგენცია არასოდეს ისე ჭრელი არ იყო, როგორც ათეისტურ ეპოქაში. ხელმწიფის კარისინტელიგენცია, კრიმინალურნი, პუტჩისტები, ორსახოვანნი ხელისუფლებაში მოკალათებულიყვნენ და ებრძოდნენ მართალ სიტყვას, სიკეთეს, სამართლიანობას, ასპარეზს ართმევდნენ ჭეშმარიტებას, დასცინოდნენ “ხალხოსნურ ქველმოქმედებას” (რ. მიშველაძე). ხელისუფლების წარმომადგენლები ცხოვრებიდან აძევებდნენ უურნალებს, წიგნებს, კეტავდნენ მუზეუმებს, ასპარეზს უხშობდნენ ხელოვნებას, მუსიკას. ცენზურას უწესებდნენ ტელევიზიას, პრესას სიყალის, სიცრუის აპოლოგეტები. ხელისუფლების მიზანი იყო ნამდვილი ინტელიგენციის გამათხოვრება. დედამინა თითქოს დაყრუებულიყო უზენაესი ჰანგებისადმი, უფლის ხმისადმი, ცოდვილი ქვეყანა თითქოს დაპრმავებულიყო და ვერ გაერჩია ბნელი და ნათელი....

უფრო სწორად, ხელისუფლება განვეძებ იყრუებდა თაგვახელოვნურად იბრმავებდა თვალს, რომ გულგრილობით, დანაშაულებრივი დუმილით საბოლოოდ გაენადგურებინა ინტელიგენცია სულიერადაც, ფიზიკურადაც, რათა შეექმნა უსახო, გონებაბრჯვები, რომ უფრო ეფექტურად, უპრობლემოდ ემართა.

ასპარეზი მხოლოდ ისეთ ინტელიგენციას ეძლეოდა, ვინც ურნმუნოებით, ბოროტებით, დაუნდობლობა-დასმენით სათავეში მოსული აპოკალიფსური მხეცების პოლიტიკის უსიტყვო გამტარებლად იქცეოდა, ვინც “ფსიქიატრიულ რეპრესიებს” გაატარებდა და ამაში პროფესორობის, აკადემიკოსობის განაღებასაც აღწევდნენ.

სწორედ ასეთებს არ აწყობდათ ტერენტი გრანელის უნაზესი ხმის ზეიმი, სიკეთის ფლუიდების გავრცელება.

ვაჟა-ფშაველას “ბუნების მგოსნებში” არწივმა ბულბული სულინმიდისგან ბოძებული საღვთო სიკეთის მთესველი გალობის გამო ამოიჩემა, რადგან მტაცებელს, სისხლისმღვრელს აღიზიანებდა ის, რაც ბულბულის სათონ ხმით მსმენელთა გულზე ინერებოდა: “ნუ მოკლავ, სისხლს ნუ დაღვრი”. ბულბულის დანაშაულად ის გამოცხადდა, რომ ის არ იყო მეომარი, სისხლისმღვრელი.

მეოცე საუკუნეშიც საღვთო გალობის ნიჭით მომადლებული პოეტები სისხლმოწყურებული მტაცებლების (აპოკალიფსური მხეცების) ტერორისა და საფრთხის ქვეშ იღწვიოდნენ...

“მარქსისტული ფანატიზმით შეცყრობილმა ბრძომ გასრისა უმანკო სულის მგოსანი... მაგრამ... პოეზიის ანგელოზმა ტერენტი გრანელს უკვდავების პანთეონში უბოძა ღირსეული ადგილი” (რეზო ადამია, ტერენტი გრანელის ლექსად მოქცევა და ტკივილად წასვლა, ტერენტი გრანელი, სისხლიდან ცრემლი, თბ. 2008).

“მე ვადიდებდი ქუჩას, ხეტიალს”

პოეზია, მწერლობა მოგზაურობაა, დაუსრულებელი მოხილვა სულის, გულის, დაფარული სიხარულისა თუ ტკივილების, ცნობიერ თუ ქვეცნობიერ სივრცეთა საიდუმლოებებში დაუსრულებელი ხეტიალი.

ამიტომაც პოეტი არის მოგზაური, მეზღაური, მარადი მგზავრი, ბედუინი.

ბოდლერის “მიპატიუება სამოგზაუროდ” იდუმალი ოცნების სამყაროს შესაცნობად გამიზნული სულა სულის უხილავ ლაბირინთებში.

გალაკტიონის ბედისწერაა “უგზო ხეტიალი”, მოგზაურობა ადამიანის სულსა, წარმოსახვასა და ოცნებებში: “გული კი გზაა და მეზღვაური”.

პოეტი მყუდრო ლამეში მოხეტიალე ბედუინია და მის ხილვებშია მარადიული სილამაზე: “მყუდრო ლამეში მოხეტიალე ბედუინს სიზმრად მინახავს მხარე, სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზეა და სინარნარე” (ცად აზიდული, ვით მარმარილო).

გალაკტიონის პოეზიაში მთელი ციკლია რეალური თუ ფანტასტიკური გემების, ნავების, ხომალდების, კრეისერების, ჩვენთვის საინტერესო ჭრილში კი ფანტასტიკური გემი, ზღაპრული ნავი, გასაოცარი და იდუმალი კრეისერები, ფერიული ნავი, აგასფერის ხომალდი, სწრაფვათა ნავი, ოცნების ნავი, ფიქრთა ნავი, ცეცხლის ნავი, ნიავთა ნავი, ლაჟვარდის სიმთა ოქროს ნავები, ოცნებათა ლურჯი იალქნები, ოცნების აფრა, ოქროს ნავები, თვალებდალურჯებული იალქნები მიგვანიშნებს, რომ რწმენით, სულით მოგზაურობს პოეტი ისეთ სფეროებში, სადაც გაღწევა მხოლოდ ერთეულთ ხელენიფებათ.

პოეტთა შეჯიბრზე გალაქტიონი “ლურჯა ცხენებით” ცხადდება, პარნასზე — მერნით: “არ დაქანცულა ჩემი მერანი, პარნასისაკენ წავა ტივტივით”, “უკვდავებისკენ ნავით მივქრივარ ისე, ვით წინათ მივქროდი მერნით” — ასე ენაცვლება ერთმანეთს სულის სხვადასხვა “ტრანსპორტი”.

ეს ფერიული ნავები მოგზაურობენ ოცნების ზღვაში, განახლების ზღვაში, ახალ დელვათა ზღვაში, ვედრების ზღვაში, აღტაცების ზღვაში, სხვა ზღვაში, სიბრძნის ზღვაში, ფიქრთა ოკენეში ანუ საკუთარ უკიდეგანო სულში ჩამალულ ოქრო-მარგალიტთა მოსახელთებლად.

გალაკტიონის სული უსახლოა: “სულს არ სჩევევია ნავთსაყუდარი”, მისი გზა არსთაგანმრიგეს განუსაზღვრავს: “მოვიარე მინის კალთა, თანა მსდევდა ბედისწერა ჩემთა უგზო ხეტიალთა”.

პოეტის სული დაპქრის აგასფერის ხომალდივით, კიდობნის (კიდობაზე მარიამის სიმბოლოა) თანხლებით, უამინდობაში, ქარში (მეოცნებე აფრებით).

ტერენტი გრანელი და გალაკტიონი ხეტიალითაც ჰგავდნენ ერთმანეთს. “ერთად ვხეტიალობდით თბილისის ბულვარებში, რესტორნებში, ბაღებში” — ხაზს უსვამდა “მემენტო მორის” ავტორი ამ ერთნაირ თვისებას.

გალაკტიონი იყო “სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი”, ტერენტი გრანელი კი — “მოღლილი მგზავრი”. მას თავისებური “ტრანსპორტი” ჰქონდა: “მსურს გაქანება და მინდა ეტლი”, “გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა”.

ხშირად კი “ხომალდით” მოგზაურობდა, გრიგალის თანხლებით: “გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს” (ეს დღე), ხან ფიქრის ნავები მიათრენდა ცაში: “ისევ გამოჩნდენ ფიქრის ნავები”... ხან ცას უვლიდა მისი სული “ცრემლიან რაშით”, რომელიც ვერ იგუებდა ნალებს: “წითელი რაში ანიავებს მენამულ ნალებს” (სონეტი).

ტერენტი გრანელის ბედისწერა იყო ხეტიალი: “მე ვადიდებდი ქუჩას, ხეტიალს, მიყვას მე ხეტიალა შეშლილივით ქალაქში, ეს შემოდგომა და ეს მინდორი მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის, მაღლა გაფრენა მე მოვინდომე, რადგან მიწაზე სული არ იცდის, შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ, ახლა ბინა მაქვს საუკეთესო და მაინც მინდა მე ხეტიალი, ღმერთო, მაპატიე უქმად ხეტიალი”.

პოეტის სული მიწაზე მაღლდებოდა, შორ და წმინდა გზას უახლოვდებოდა, ღმერთის ხილვის სურვილით: “ეს წმინდა შარა, ეს წმინდა ქვები, ეს ცრემლი კმარა, — რისთვის არ ვქრები” (შარა).

მისი გზა დაიწყო პროვინციიდან, მერე კი შორ გზებს, შორ პლანეტებს გასცეკროდა და ეს იყო პოეტის სულის გზა, სწორი და წმინდა გზა: “ნახევარია ორის, მიდის ჩემი გზა სწორი, ნახევარია ორის, მიპყრობს პლანეტა შორი, ნახევარია ორის, მიდის ჩემი გზა სწორი”.

“სხვებიც ფიქრობდნენ შორეულ გზაზე”, ტ. გრანელი კი შორეულ გზას, სწორ გზას სულის თვალით ხედავდა.

მის პოეზიაში გვხვდება აგრეთვე “სამზადისი” შორეული მგზავრობისთვის, როგორც გალაკტიონთან “მზადება გასამგზავრებლად”, მათ, როგორც პოეტმა ფილოსოფოსებმა, კარგად იცოდნენ, რომ ცხოვრება მზადებაა იმ სამყაროში გასამგზავრებლად და უწყოდნენ ისიც, თუ როგორ უნდა მომზადებულიყვნენ იმ მარადიულ, მიღმურ სამყაროში დამკვიდრებისთვის. “სხვა ზარები” “მიუსავლეთში” გამგზავრების სამზადისის გარდაუვალობას ამცნობდნენ ტ. გრანელს.

გალაკტიონს ამ მგზავრობაში მფარველი ანგელოზი ჰყავდა (მფარველი იალქები), ტერენტი გრანელს — ქერუბიმები, სერაფი-მები.

„გრანელი მოხეტიალე პოეტია. ის მოივლის მთელ საქართველოს, არც დედაქალაქს სტოვებს. ხეტიალისას ხვდება ადამიანებს. მოხეტიალე პოეტი მუდმივ ჭიდღლშია ადამიანებთან ...დადის მოხეტიალე პოეტი ქალაქის ქუჩებში, მოინახულებს ეკლესიებს, კულტურულ წრეებს, სასაფლაოებს...“

...აგროვებს ამ უსასრულო ხეტიალში ხატებს, შეგრძნებებს, ემოციებს და ხეტიალში გამუდმებით თავის პოეტურ მოწოდებაზე ფიქრობს.

მაშინაც, როცა დამის გასათევს სთავაზობენ, მას მაინც ხეტიალი უნდა.

გამოცდილი აქვს უფულობა, მეობრის განდგომა, საკუთარი თავის განირვებისასა და სიცივეში.

მიჰყება სამგლოვიარო პროცესიებს და ალბათ რამდენჯერ უნატრია ხორციელი საბურველისგან გათავისუფლება“ (დავით თო-თიბაძე, ტერენტი გრანელი, ხელნაწერი, გვ. 11, 14, 15, 18).

ანტიკურ ეპოქაში, შუასაუკუნეებში ხეტიალი აუცილებელი იყო ინიციაციის მისაღწევად: „მოგზაურობა, ხეტიალი ანტიურ და შუასაუკუნეობრივ პოემებში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონისა, ოდისევისა, ენეასისა, შუა საუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა“, წერს ზვიად გამსახურდია (“ვეფხისტყაოსნის” სახის-მეტყველება, თბ. 1991, გვ. 304).

„ჰერიო მოგზაურობა“ იწვევს აზრის შეცვლას, გონებისმიერი განწყობის შეცვლას, პროგრესიორებას მენტალურ უნართა განვითარების გზით“ (იქვე).

ტ. გრანელი და გალაკტიონი ცაში ფრენდნენ სულით, ჰერიო მოგზაურობდნენ, მათი ასტრალური ორეული ცის სივრცეებს, დედამიწის კიდეებს, პოლუსებს, პლანეტებს ზერავდა....

მხატვარ რეზო ადამიას აზრით, ტ. გრანელს ახასიათებდა “საოცარი და ჩვენთვის ჩაურვდომელი კოსმიური წრიალი და სივრცეში ურთულესი მოგზაურობა. მგოსანმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება საკუთარ აბობიქრებულ სულში კოსმიური მოგზაურობით განვლო... ცეცხლმოკიდებული მეტეორივით გადაუქროლა სიკვდილ-სიცოცხლის პლანეტას და სივრცის და დროის უსასრულობას გაუმთლიანდა, ძალიან მოკლე იყო პოეტის მნარე და ტანკული სტუმრიანობა დედამიწაზე“ (რეზო ადამია, ტერენტი გრანელის ლექსად მოქცევა და ტკივილად წასვლა).

რეზო ადამიას რწმენით, პოეტის საფლავზეც მისი სულის „უსასრულო ძიებითი ხეტიალია, და თუ იგი, დამსახურებისამებრ,

ამაღლდა მთანმინდაზე, უფრო დიდ კავშირს დაამყარებს თავის მა-მა კოსმოსთან და დაინტეგრა კოსმიურ სივრცეში დიდი მგოსნის ვარ-სკვლავებშუა, განონასწორებული თანამგზავრობა და ლექსით მო-ფენა” (რეზო ადამია, ტერენტი გრანელი, სისხლიდან ცრემლი, თბ. 2008, გვ. 8,9).

“რა ძვირფასია თავისუფლება”

თავისუფლება უმაღლესი იდეალი იყო ტერენტი გრანელის-თვის. ამ ცნებას პოეტი გაიაზრებდა ეროვნულ და პოეტურ ასპექ-ტებში.

პიროვნულ თავისუფლებაზეა ნათქვამი: “ეს ფიქრი მიპყრობს, მე შენ მღუპავდი, დღეს მინდა ვიყო თავისუფალი”.

როცა “თავისუფლების შუქი” ქრება, ირგვლივ სიბნელე და ლრუბლები ისადგურებს: “და ჩაქრა შუქი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფენილია, ნელა მიდიან ლრუბლები ცისკენ, გარეთ ვი-ლაცას უყეფს ფინია”.

პოეტს ენატრებოდა “ლია კარები”, მაგრამ “დაკეტილ კარებს” უმზერდა: “კარები ირგვლივ დაკეტილია და ვურიგდები მდგომარე-ობას”.

მინასაც, ცასაც საპყრობილებ აღიქვამდა პოეტი: “დგას ისე, როგორც ლურჯი გალია, ეს მოლი, ცა და დედამინა”.

ტ. გრანელის პოეზიის ლირიკული გმირისთვის ქვეყანა “აბოს გული” იყო და, მარტოსული, მხოლოდ ლმერთზე ამყარებდა თავი-სუფლების იმედებს: “ანდა ვინ მოვა, არა მყავს კაცი, მე თუ დამიხ-სნის, მხოლოდ უფალი, როდის იქნება ის დღე ძვირფასი, როცა ვიქ-ნები თავისუფალი. ჩემთვის ქვეყანა აბოს გულია და მენატრება ლია კარები”.

ჭეშმარიტ თავისუფლებას ისევ პოეზიას უკავშირებდა ტ. გრა-ნელი. მისი მიზანი იყო შემეცნების ახალი საფეხურის მიღწევა, ახა-ლი ესთეტიკური კულტურის შექმნა და ახალ, უვალ გზებზე ხედავ-და თავისუფლების ასპარეზს: “თითქოს მესმოდა ყორნის ჩხავილი, წინ იშლებოდა გზები უვალი, ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივ-დიოდი თავისუფალი”.

თავისუფლება კი მიიღწევა სულიერი სიმდიდრით, ზნეობრივი სიწმინდით, “მეშჩანობისა” და ცხოვრებისეული “კორიანტელისა-გან” განრიდებით. ტ. გრანელის ხანმოკლე სიცოცხლე თავისუფლე-ბისკენ, ეროვნული სულის წვდომისკენ სწრაფვაა, რასაც აღწევს კი-დევაც ჭეშმარიტი პოეზიით, თანაც მისთვის პოეტური თავისუფლე-ბაც ვერ მოიაზრება ეროვნულთან კავშირის გარეშე: “ქარის სუფევა იყო ისეთი, თავისუფლებას არ ვაფასებდი. გული ღონდება, დგება

ივნისი და მაგონდება ახლა თბილისი. ბედმა ასწია შენი სუფევა, რა ძვირფასია თავისუფლება”.

“უცნობი სფინქსი”

ტერენტი გრანელის პოეზიის ლირიკული გმირის სულიერი პორტრეტი გაუნელებელ ინტერესს აღძრავს ფსიქოლოგიურ-სოცი-ოლოგიური ასპექტით, ყოფიერების თავისებურებით, არსისა და არ-სებობის დაცილებით, გაუცხოებით.

გაუცხოების გრძნობა ჯერ კიდევ ბიბლიაში ვლინდება: “უცხო ვექმენ მე ძმათა ჩემთა და სტუმარ-ძეთა დედისა ჩემისა”.

“მყავ სამოსლად ჩემდა ძაძა და ვექმენი მე მათ იგავ” (დავითი, 204, 9, 12). ბიბლიაშივე მშობლიური ქალაქი განცდილია უდაბნოდ: “რამეთუ ქალაქი იგი და სახლი მამათა ჩუენთა უდაბნო არს” (II ნებ-ტა, 5-6, 375-3).

იერემია წინასწარმეტყველი ჰელიოდებდა: “სამკვიდრებელი ჩუ-ენი გარდაიქა სხუათად, სახლი ჩუენნი უცხოთად” (ლოცვა წმინდი-სა იერემიასი, 270-2).

უცხოურ თუ ქართულ ლიტერატურაში მრავალი მაგალითია სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, თუ ურბანიზმით გამოწვეუ-ლი გაუცხოებისა, ეგზისტენციალური მარტობისა.

გაუცხოების პრობლემა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაში (დიკენსი, ჰიუგო, ბალზაკი, დოსტოევსკი) შეიმჩნეოდა, თანამედროვე ლიტერატურაში კი ტოტალური მასშტაბი შეიძინა ადამიანის ეგზისტენციალური გაუცხოების ტკივილმა.

ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა მარტოსული დეკადენტების, გაუცხოებული ადამიანების ჩვენებას.

კ. გამსახურდას, დ. შენგელიას შემოქმედებაში გაუცხოებუ-ლი ადამიანების არსებობა ახსნილია გარდატეხის ეპოქის რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, ძველისა და ახლის ბრძო-ლით.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში გაუცხოების პრობლემა დასმულია მთელ რიგ მწერლებთან. ამის მაგალითებია ნოდარ დუმ-ბაძის “მზიანი ლამე”, გურამ გეგეშიძის “ცოდვილი”, ოთარ ჭილაძის “ყოველმან ჩემშან მპოვნელმან”, მისი ლირიკა კი ურბანიზმით გა-მოწვეულ გაუცხოებას ულრმავდება.

ადამიანის გაუცხოებას განაპირობებს სოციალური თუ ფსი-ქოლოგიური ფაქტორი, ცოდვის განცდა, ურბანიზმი, ტექნიკის ფე-ტიშიზმი, ადამიანის ცალმხრივი, არაპარმონიული განვითარება.

ტერენტი გრანელის ლირიკაში გაუცხოება აშკარად მღაღადებელია. მისი მარტოსული “არა მე” გაუცხოებულ პიროვნებათა ძალზე თავისებური სახეა.

პოეტი იტანჯება, რომ მისი ნამდვილი არსი და ხალხის შეხედულება არ ემთხვევა ერთმანეთს: “მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობს და ჩუმად ვიტან წამებას ამდენს. სხვა ვინ მიხვდება, მხოლოდ მე ვიგრძნობ ჩემს დაფიქრებას გაქვავებამდე”.

აյ შესამჩნევია გაუცხოების მრავალგვარი ასპექტი. ადამიანური გაუცხოება: “ახლა მარტო ვარ, არავინ არ მყავს”, “ეს უდაბნოა და მარტო მე ვარ”, “უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი”, უსიყვარულობით გაუცხოება: “არა მყავს ტოლი”, “ვარ ყოველთვის ერთი”, “ვარ ყოველთვის კენტი”, შემოქმედებითი გაუცხოება: “რატომ მე არ მაფასებს თარსი ჰერიფერია”, გარემოს გაუცხოება: “უცხოა ეზო, უცხოა ბინა”.

ბუნების, ქარისა და ნისლის სამეფოში, უადამიანო სივრცეშია თითქოს პოეტი დაბინადრებული: “ადამიანი არ ჩანს სრულიად, გარშემო სუფევს ქარი და ნისლი”, “სხვა მეგობარი მე არ მყოლია, მხოლოდ ქარია ჩემი მხლებელი”, “მხოლოდ მარტონბის დღეებს ვეგებები, მხოლოდ სიჩუმეა ჩემი კავალერი”, და ამ უმეგობრო და უნათესავო ადამიანის სევდა მზის სიდიდის ცეცხლად ანთია: “დღეს ჩემი სევდა ელავს მზესავით, დიდი ხანია, რომ ვცხოვრობ ქარში. არც მეგობარი, არც ნათესავი, არავინ არის, სულ მარტო დავრჩი”.

გაუცხოების გრძნობას ამძაფრებს ამ კონტექსტში ქვის შემოტანა. “კაცი არა ჩანს, ხეების გარდა” იტყვის პოეტი და მერე კი არაორგანული ბუნების სამყაროში გადაასახლებს თავის ლირიკულ გმირს: “ჩანს სამიღებელი ჯირკა”, “თითქოს ვარ სიზმარში და ირგვლივ ქვებია”, “და ისევ მარტო ვზიგარ ლოდებთან”, “ფიქრი და შავი დღეთა კრებული და ვარ ქვასავით გარინდებული”.

უადამიანო სივრცეში ქვების უაზრო სიჩუმეა მხოლოდ: “ირგვლივ ქვებია და ჩუმი მხარე, ირგვლივ ქვებია და მდუმარება”. და გულიც ქვავდება: “გულო... გაქვავდი, როგორც მუმია”.

თოვლი, სასაფლაოს ლოდები და გვირგვინებია პოეტის წინ: “თოვლია ირგვლივ და ლოდებია და გვირგვინები აწყვია საფლავს”.

ლოდი თავისითავადაა ტკივილი, მაგრამ მივიწყებული საფლავის ლოდი უფრო ამძაფრებს სევდას: “ლოდი ადევს მივიწყებულ საფლავს”.

განშორების თანმხლებიც თოვლიანი ლოდებია: “მძიმეა განშორების თოვლიანი ლოდები”.

ლამის დადგომაც ქვის დაცემას ჰგავს: “და ვარსკვლავების მზიდველი ლამე მძიმე ქვასავით ეცემა ქალაქს”.

ლამე საერთოდ არის ლოდივით მძიმე: “ყოველი ლამე ეს ხომ ჩემი ლოდია”.

თბილისის მძიმე ლამეებიც ლოდივით აწევს თვალებს: “გაქრა თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ლამეები მძიმე ლოდები-ვით” (სიკვდილის შემდეგ).

დროც ლოდია: “და ეს დროა უმძიმესი ლოდი”.

მოგონებაც ლოდივით ამძიმებს გულს: “მოგონება-ჩემი მძიმე ლოდი”.

სიკვდილის ლოდი, კუბოს ლოდი — ასე ექცა პოეტს მარტოობა განუშორებელი ლოდის ასოციაციად...

პოეტი გაუცხოებულია თვით მახლობლებისთვისაც: “სულს მეგობარი ხშირად არ იცნობს !!!... და იქმნება ობობას სევდა, სიბნე-ლე, მელანქოლია: “ბელია სივრცე, ქსელავს ობობა და ირგვლივ ვიგრძენ უშეგობრობა. სუფევს ფოთლები, მელანქოლია და მეგობ-რები მე არ მყოლია”.

აქ სიახლოვე არ უდრის გაერბას, არაა მარტოობის წამალი: “შენ ხარ ჩემს სულთან ახლო და სული მუდამ მარტოა”.

პოეტი ექცებს მეგობრულ თანაგრძნობას, მაგრამ ვერ პოუ-ლობს და კომუნიკაციის სურვილს ოთახთან და სიბნელესთან საუბ-რით იოკებს: “ვეძებ თანამგრძნობ მეგობრის ხელებს, ჩემს გულის-წყრომას, ჩემს აღსარებას მე ვეუბნები ოთახს, სიბნელეს”.

ხოლო ლექსი “მიმართვა ხისადმი” უფსკრულის პირისპირ მყოფი ადამიანის მონოლოგია, რომელიც თავისთავად გამორიც-ხავს პასუხს და მხოლოდ და მხოლოდ აღსარებით ტკივილების გა-ქარვების გზა.

ტოტალურ ხასიათს იღებს ობლობა, მარტოობა: “მე ვერ ვიპო-ვი ნამდვილ მეგობარს”, “მარტოობით მე ვიფერფლები”, “ობოლი ვარ მინაზე” და ჩნდება გაუნელებელი დარდი: “ფიქრების გროვა და დარდი ახლო, არავინ მოვა, არავინ მნახავს”.

მარტოობიდან ჩნდება ეჭვები, დალატის და მტრების მოლან-დება: “ვიცი, ეს კაცი მე შემეჩვია და ეჭვის თვალით მიმზერს”, “მე ახლა ვამჩნევ, მღლალატობს ცველა”, “გარშემო დგანან ურიცხვი მტრები”, “ო, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები”.

პოეტი “თვრება ჯავრით”, (შდრ. “განამძლო მე სიმწარითა, და-მათოო მე ნალვლითა”, გოდება იერემიასი, 263, 15).

“ანდა ვინ მოვა, არა მყავს კაცი, მე თუ დამიხსნის მხოლოდ უფალი”, ამბობს ტ. გრანელი და ეს განცდა ეხმაურება დ. გურამიშ-ვილის სტრიქონებს: “მარტო ვიყავ, არვინ მყავდა მე ლვთის მეტი სხვა პატრონი”.

და მარტოობა გაუცხოების დაუძლეველ შიშად წარმოგვიდგე-ბა ტ. გრანელის პოეზიაში: “ტყეა, მარტო ვარ და მეშინია”, “და შიშმა ისევ ამაკანკალა”, “სოფლის მეშინია”.

მერე ეს შიში უზარმაზარ მასშტაბებს იძენს: “შენ, დედამინავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ”.

კონკრეტულიდან აბსტრაქტულისკენ მიმსრაფი პოეტის აზ-როვნება პირად გაუცხოებას ტოტალურ ხასიათს აძლევს: “ცას აპარია სულის ობლობა, ხომ ზღაპარია დღეს მეგობრობა”.

ადამიანთა გულგრილობამ ყველგან მოსპო შუქის ნასახი და ლამე გააბატონა: “სული ვერ უძლებს ლამის ნაპრალებს, ო, სიბნელეა და გულგრილობა”.

თითქოს ადამიანებს არ ყოფნით ინტერესი, სიკეთე, რომ სიბნელისა და უფსკრულის საუფლოში მოხვედრილებით დაინტერესდნენ: “სადაც მე ვდგევარ, იქ სიბნელეა, იქეთ არავინ არ იხედგა...”

და პოეტის ხედვის არეალში ექცევა “მფარველი ძალლი”, ყვავი, რომელიც “კაცივით დადის”, ხეები, “კაცებივით” რომ დგანან, ოთახის კედლები, “გაბზარული ჭერი”. სანაგვე ყუთში, ბალებში, სასაფლაოებზე ლამის თავშესაფრის ძიება თავისთავად მეტყველებს გაუცხოებულ, არაბუნებრივ ყოფიერებაზე.

“ვიყო ასე დარჩენილი გარეთ, ქუჩა იყოს სამუდამო ბინა”, — ასე გაიზიარა ქუჩის ადამიანის ხვედრი ფიროსმანივით განწირულმა პოეტმა.

და გაოცებული შესძახებს: “რატომ ჩემი ცხოვრება დღეს არავის არ უკვირს”.

რაკი ადამიანებისგან ყოველგვარი ნუგეში მოისპო, რაკი მის-თვის ქვეყანა “აბოს გულს” დაემსგავსა, პოეტს მხოლოდ ლმერთი ეიმედება, “ლია კარებისა” და თავისუფლების ნატვრას მხოლოდ მისკენ მიმართავს.

უნებურად გიჩნდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ასოციაცია სათქმელის აქტუალობის, ტრაგიზმის თუ განუმეორებელი სისადავის გამო და თითქოს ჩვენს თანამედროვეობაში გადმოსახლებული დიდი რომანტიკოსის დაღადისი გესმის: “ის იღუპება, მას არ უვლიან, ქვეყნის სიმძიმე მის გულს მოება და სიჩუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათნოება” (ციხის ელეგია).

აქ უმეტესად სევდის ძაფებისაგან იქსოვება ესთეტიკური ფენომენი და აშკარად იკვეთება მარადიული თემა: პიროვნება და საზოგადოება, რომელსაც პოეტი ბრალს სდებს გულგრილობაში: “მე ცას მივმართავ, როგორც ლრუბელი და ვიცი, მართლა რომ ვიღუპები. მეუცხოება, რომ ვნახავ ქუჩებს და მე ცხოვრება სახელს მიფუჭებს. შენ ქარს დანებდი, მტკვარია ახლოს, ნუთუ გრანელი არავის ახსოვს ?”

და პოეტს ებადება გაუგებარი ადამიანებისაგან, მშობლიური-საგან გაქცევის სურვილი: “ზალხს მოვშორდე და ვიცხოვრო მარტომ”, “ვნატრობ სხვა სივრცეს და უცხო ქალაქს, სანამლავია ჩემთვის ეს ხანა”.

აშკარად უპირისპირდება საზოგადოება პიროვნების ინტერესებსა და პიროვნების მეობა დამდაბლებული და აბუჩად აგდებულია:

“ეს ხალხი ჩემს სულს როგორ ექცევა ? ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მიწას ეცემა... და მე ამნაირ ცხოვრებისაგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცირებას”.

და იცვლება მისი ცხოვრების სტილი, იგი თავისი ტკივილებით ემალება ხალხს: “დღესაც ბალში ვიმალები, როგორც თეთრი მდუმარება”, “წვიმის ლანდებში ვიმალები ლამის ოცნებით”, “და ყაჩალივით სადმე დავიმალები ტყეში”, “რამდენ წვალებას მალავს ეს ოთახი”.

გაუგებრობა გამხდარა პოეტის თანამდევი სიყვარულშიაც: “ვნანობ, ამდენ ხანს რომ ვერ გამიგე, რომ შენ ამდენ ხანს ვერ გამიცანი”.

და ტ. გრანელის შემოქმედებაში საერთოდ ჩნდება დაფარულის, გაუგებრობის, დაუნახაობის, შეუცნობლობის სევდა: “ეს ჩემი სევდა და მწუხარება დარჩება მარად შეუცნობელი”, “მარტო მივდივარ, ჩუმი ღამეა, მივდივარ ასე შეუცნობელი”.

ანალოგიური განცდა წინაპარ კლასიკოსებსაც ჰქონიათ, რადგან გენიალობა არ არსებობს შემოქმედებითი მარტოობის, ტანჯვის გარეშე: “მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში” (ილია ჭავჭავაძე), “ჩემი ჩანგო, ობოლ-მწირო” (აკაკი წერეთელი).

გალაკტიონსაც ხომ ასე ანამებდა თავისი “გენია... გაუგებარი”.

ვერგაგების შიში ფატალურ ხასიათს იღებს და სევდის მეუფებზეც ვრცელდება: “რომ იყოს ახლა, ჩემს სევდას, ვიცი, ბარათაშვილიც ვერ გაიგებდა”.

შერე ეს შიში კოსმიური ხდება: “მე ახლა ისეთ რამეზე ვფიქრობ, რაზედაც არვის არ უფიქრია”.

აქედან მოდის “ფარულის” გადაქცევა შეუცვლელ ეპითეტად: “ფარული ტკივილი”, “ფარული გამწარება”, “ფარული ფიქრი”.

შეცლია მოიძებნოს გაუცხოებული ადამიანის ასეთი შთამბეჭდავი პორტრეტი: “ცხოვრობდა იგი მთრთოლვარე, ცივი და ბედისაგან შეწუხებული, თითქოს საეჭვო ქურდი კაცივით უყვარდა ლამის შავი ხვეული, ის დადიოდა უცნობი სფინქსი და მწუხარების სნეული ლანდი. უნდოდა შველა და სწუხდა დღისით, სწამდა თბილისი-უდაბნო დარდის, ასეთი იყო იღბალი მისი, დღესაც ასეთი მოკლული დადის”... (უცნობი ლანდი).

საყურადღებოა გაუცხოების მიზეზების პოეტისეული ახსნა სპეციფიკური მდგომარეობით (ავადმყოფობა, ჭორები, ლეგენდები): “იქნებ ახლა ჭორებიც მომედება ტალახად: მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება, ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა, ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპატიება”, “და ჩემზე ბევრი ლეგენდა ითქვა”.

გაუცხოებას, საზოგადოების გულგრილობას უკავშირდება დაღუპვის შიში. გაუცხოებულ პიროვნებას წართმეული აქვს გამართლების უფლება: “ეს წამი გამართლების ასე დაფარულია, ეს წამი გამართლების — ასე დაუნახავი”.

ასე იქცა ეს ლირიკული გმირი უდანაშაულო დამნაშავედ, ასე დაიფარა მისი “სიმართლე და სათხოება” სიჩუმით.

გაუცხოების ძირების ძიებას ბუნებრივად მივყავართ ცოდვის განცდასთან, “სინანულის, შეცოდების, შეცდომების” ცნებებთან: “ცოდვილი პოეტი”, “ცოდვილი ქვეყანა”, “ცოდვილი ქალაქი”, “ცოდვილი ბედი”, “ცოდვილი ტაძარი”.

ცოდვის მოჭარბებული განცდა ქრისტიანული მსოფლშეგრძნებით აიხსნება, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანი ცოდვილია. ცოდვის შეგრძნება კი ზნეობრივი განწმენდის, თვითსრულყოფის სანინდარია, რამაც სრულყოფილების განსახიერებას — დავით აღმაშენებელსაც კი ამოაკვნესა შეუდარებელი აღსარება “გალობანი სინანულისანი”.

ტ. გრანელის ლირიკულ გმირს გათავისებული აქვს ბიბლიური ძმისმკვლელი კაენის მდგომარეობა: “სისხლი აბელის, ქვითინი დებთან”, კაენის ხვედრი: “და ვარ კაენივით გმობილი”, ამასთან, იობის წამება: “არ თავდება ვარამი და იობის წამება”, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს მხოლოდ ორგანული ნიღბებია, ისევე, როგორც ანგელოზის, ქრისტეს, საერთოდ ღმერთის ნიღაბი (“შავი ნიღაბი”, “ანგელოზის ნიღაბი”, გრიგალებგადატანილი ნიღაბი) სინამდვილის ორივე მხარის წარმოსახვისათვის. ამის გამო ტერენტი გრანელი და მისი პოეზიის ლირიკული გმირი არ გაიგივდება ერთმანეთთან. იქნებ ეს მრავალნაირი ნიღბები იყო ყოველგვარი გაუგებრობის სათავე. და, საერთოდ, იდუმალება ტ. გრანელის შინაგანი სამყაროს თავისებურება იყო, ცხოვრების ნესი, მისი პოეზიისა თუ პიროვნების ამოუცნობლობის მიზეზი. მის პოეზიაში სიმარტოვე სიდიადესთან, ხილული უხილავთანაა შერწყმული, გასაგები გასაიდუმლოებულია, ყველაფერში “იდუმალების ქარია”, მაგრამ ესაა არა გაორება, არამედ ეს “კონფლიქტურობა მისი ერთიანი მსოფლმხევდველობის შინაგანი თვისებაა” (ლ. ალიმონაკი).

ტ. გრანელის განდგომა-გაუცხოებას კიდევ ჰქონდა სხვა ასპექტები.

ზოგჯერ იყო თავისი თავისაგან განმდგარი იმიტომ იყო, რომ შორიდან შეეცნო საკუთარი პიროვნება სხვისი თავლით: “გაიუცხოვა და გაისხვისა საკუთარი თავი, გაიხადა იგი ამოხსნის და შეცნობის საგნად” (ლ. ალიმონაკი).

ტ. გრანელს დავით წინასწარმეტყველივით შეეძლო ეთქვა: “მოვიძულე კრებული უკეთურთა და უღმრთოთა თანა მე არა დავ-

ჯდე” (ფს, 169,5) “...ხოლო მე უმანკოებითა ჩემითა ვიდოდე” (ფს, 169,11).

პოეტის განდგომა მეშჩანობისაგან გაქცევა იყო, სინმინდის შენარჩუნებაც, თვითშეცნობის, შემეცნების გზაც და მისი “სხვათა-გან გამორჩეული” ცხოვრება, განდგომა “ქრისტიანის განდგონა იყო, განდგომა სათნოებისა და სიკეთის სახსნელად და არა გაქცევა უძლურისა” (ლერი ალიმონაკი, კვირის წირვები, თბ. 1984, გვ. 78).

პოეტის ხომ იმის შიშიც ჰქონდა, არ გათქვეფილიყო უსახო მა-საში, არ დაეკარგა სულიერი ინდივიდუალობა: “ო, ჩემი სული უერ-თდება ქალაქს მტვრიანს, დავიკარგები, როგორც მამის ძველი ნი-სია, როცა იელვებს კვირები და ისტერია”.

ტერენტი გრანელი შორიდან ხედავდა “საკუთარ აჩრდილს”, ხედავდა “უსაზღვროებას”, “სიცოცხლის ბოლოს”, “ბედის მწვერ-ვალს” და ამ ნათელმხილველობის წყალობით შეიცნობდა თავის დიდ აღიარებას. საკუთარი ნიჭის რწმენა აძლევდა ძალას, დაეძლია გაუცხოების გრძნობა: “ჩემი დუმილი გრძელდება დღემდე, ახლა ვი-გონებ ისევ იმ ყვავილს. და გაიგებენ დიდი ხნის მერე, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი. და უეჭველი ბედია დღემდე, უეჭველია ახლა ნიღაბი და გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი”.

პოეტმა თანდათან იგემა “ნუგეში, გაგება”, საზოგადოებასთან კომუნიკაცელურობის, მასთან სიახლოვის განცდა პოეზიის ძალით: “შენც ქარიშხალს დანებდი, ჩემთან იქნები ალბათ. სთქვა: ტერენტი გრანელი და ჩაიარა ქალმა, მე სიცოცხლეზე ვდარდობ, აპრილის თვეა, ცხელა, მივალ ქუჩაში მარტო და ნაცნობია ყველა”.

შეცნობის, აღიარების სიხარულიც ერგო, რადგან სხვათა გა-ბედნიერების უნარი აღმოაჩნდა მის პოეზიას: “და ჩუმი დღეა, ახლა მღერიან, ვინც მიცნობს, ყველა ბედნიერია”.

პაროვნული უკომპრომისობის, პოეტური მარტოობის, შემოქ-მედებითი ტკივილების საფასურში ლღვებოდა გაუცხოების ყინული და მოდიოდა პოეტური დიდება, “ნუგეში, გაგება”: “და საქართველო ასე მაღმერთებს პოეტს, წამოსულს მაღალ ზეციდან”.

ტ. გრანელის პოეზია შეუცნობლობის ბურუსს ფანტას და თითქოსდა მახლობელი, გაუანალიზებელი ლექსები ისევ რჩება ახალ-ახალ დაგიქრებისა და განსჯის საგნად.

ტ. გრანელი “არის და დარჩება სფინქსად პოეზიაში” (ვანლერ დაისელი).

თუ ედგარ პოს “სფინქსი” ერთი შეხედვით უჩვეული, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვეულებრივი, რეალური და გასაგები აღმოჩნდება (ედგარ პო, “სფინქსი”, 17 მოთხრობა”, თბილისი, 1982 წ. ზაფრ კი-ლაძის თარგმანი და მისივე ბოლოსიტყვა, გვ. 65-70), ა. ბლოკის ფა-

რული, შეუცნობელი ოცნებები იძენს სფინქსის შემაძრწუნებელ თვისებებს, მისათვის „რუსეთი სფინქსია“.

ა. ბლოკისათვის საოცარი და ბოლომდე გაუხსნელი პოეტური სულია, ტ. გრანელისათვის — სულიც და ამ სულის მატარებელი პი-როვნების ცხოვრების წესიც.

შ. ბოდლერიც „სფინქსი შეუცნობელი“: “ვმეფობ ლაჟვარდში, როგორც სფინქსი შეუცნობელი, ჩემში შერწყმია თოვლის გული გე-დის სითეთრეს” (მშვენიერება).

გალაკტიონისათვის ქალაქია “იდუმალი სფინქსი” (ქალაქი წყალქვეშ). ამასთან, პოეტს უჩნდება სფინქსის “გამკლავების” სურ-ვილი (ცაზე ლეგიონი ცურავს ვარსკვლავების).

და თუ სფინქსი მარადიული, ამოუხსნელი, უცნაური, იდუმა-ლი გამოცანაა, ტერენტი გრანელი უთუოდ სფინქსია პიროვნული თუ პოეტური იდუმალების გამო, აკი ჭეშმარიტი პოეტი გამოუცნო-ბი უნდა იყოსო, ამბობენ სხვებიც: “მაგრამ რადგან პოეტი ხარ, უნდა იყო გამოცანა” (აკაკი წერეთელი).

“აუხსნელად მშვენიერი ქმნილებები” ხიბლავდა პოლ ვალერს.

გალაკტიონის წიგნი არის “ჩუმი, გრძნეული, ფარული”.

თვით ტერენტი გრანელი არის “გრძნეული ლანდი”.

“ახლა სიგიჟე გრძნობის ბრალია”

ტერენტი გრანელი, როგორც ჭეშმარიტი პოეტი, დაინტერესე-ბული იყო ხილული თუ მიღმური სამყაროთ, მიწით თუ ზეცით, სუ-ლით და ხორცით, სიკეთით და ბოროტებით. ის ეძებდა არა ეფემე-რულ, არამედ მარადიულ სიბრძნეს, აღნევდა ჩვეულებრივ მოკვდავ-თათავის დაწესებული საზღვრის გადალახვას, გადიოდა საგნის მიღმა, ოცნების მიღმა, ბედს იქით. წარუვალი სიბრძნის და მხატ-ვრული ინდივიდუალობის მიგნება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვდა, გულისა და გონების შესაძლებლობათა გამძაფრებას, “გულის სისხლს”, მსხვერპლს. ამიტომაც შემოქმედებითი ტანჯვა, ჯვარცმის ტოლფარდი ტკივილი და ცრემლი ილვრებოდა მისი სტრიქონებიდან.

“პიროვნების განვითარებაში დათქმული და დაწესებული ერ-თგვარი სამანის” გადალახვას კონსტანტინე გამსახურდია “ზეკაცო-ბას, ღმერთკაცობას” უწოდებდა.

არის სხვა ცნებებიც, ანალოგიური პრობლემებისთვის მისა-დაგებული.

კონსტანტინე გამსახურდია ალნიშნავს, რომ ინგლისში ბაი-რონს დემონად აღიქვამდნენ, გალაკტიონი გოეთეს სატანასთან აი-

გივებს (დადებით ჭრილში, რა თქმა უნდა) და პოეტობას დემონური, გენიალური ნიჭის გამოვლინებად აცხადებს.

სატანა „მშვენიერი ეშმაკი“ აღმატებული ნიჭის სინონიმია შარლ ბოდლერისათვის, ამიტომაც საუბრობს მასთან წილნაყარობასა და გალმერთებაზე „ბოროტების ყვავილების“ წინასიტყვაობაში.

ასეთ შემთხვევაში დემონურობა გაიაზრება გენიალობის იდენტურად.

ანალოგიურ კონტექსტში ახსენებენ ცნებებს: გიუი, შეშლილი, გადარეული, ზოგჯერ აწყვილებენ კიდეც დემონს და შეშლილს.

გოეთე გენიალობასთან აკავშირებდა შეშლილობის ცნებას და შეშლილ დემონს უნიდებდა ბეთხოვენს: „საჭიროა მოკრძალება იმის ნინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და ვერც კი მიგმევდარვართ, საიდან ამბობრწყინდება მზე“ (ალ. ალმანგი, ბეთხოვენი, ა. გელოვანის თარგმანი, თბ. 1958, გვ. 102).

ხელოვნების ფსიქოლოგიაში არსებობს მიმართულება, რომელიც გენიალობასა და სიგიურს შორის შეხვედრას პოულობს და სიგიურს ნიჭიერების აუცილებელ პირობად გაიაზრებს. ამ კუთხით ძალზე გახმაურებულია ჩეზარ ლომბბროზოს ნიგნი “გენიალობა და შეშლილობა” (მოსკოვი, 1895 წ. რუსულ ენაზე).. მასში სპეციალურად არის მოძიებული გენიალურ მოაზროვნეთა გადახრები, რაც დევნის მანიაში, შიშში, მტრების მოლანდებაში, არყოფილის ნამდვილივით განცდაში, ჰალუცინაციების მოქარბებაში გამოიხატება. ამ კუთხით „არანორმალურად“ მიიჩნევიან კაცობრიულ აზრთა საჭეთ-მპყრობელები: დიკენსი, დოსტოევსკი, რუსო, ნიცემე, გოგოლი, ტოლსტოი...

ლომბბროზოს გარდა, არსებობენ სხვა მოაზროვნეები, რომლებიც ჩერეკენ ნიჭიერთა „ავადმყოფობის“, პათოლოგიური გამოვლინებების ფაქტებს და კატეგორიულ ტონს ანიჭებენ თავიანთ ნააზრევს, თითქოს შეშლილობის გარეშე არ არსებობს გენიალობა (ბლეზ პასკალი, ერნსტ კრეჩმერი, მაქს ნორდუ).

გამოჩენილ ადამიანთა დეპრესიების, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილების, თვითმკვლელობების, შიზოფრენიკობის მაგალითები მართლაც მრავლად არსებობს...

შემოქმედება ზიგმუნდ ფროიდის, კარლ გუსტავ იუნგის, მიხაილ ზოშჩენკოს და სხვა ანალოგიურად მოაზროვნეთა მიერ გაგებულია, როგორც ფსიქოთერაპია, სუბლიმირება, შინაგანი წუხილის, ტკივილების, ნევროზების გადატანა და განმუხტვა მხატვრულ სახეებში, სიმბოლურ ხილვებში.

შეშლილს, გიუს, გადარეულს, მთელ რიგ შემთხვევებში, აღმატებული გრძნობების სინონიმად გაიაზრებდნენ გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი, რაღაც უჩვეულოს, დიადის, აუცილებლის ალეგორიად სახავდნენ.

გალაკტიონი აცხადებდა, რომ მის წიგნში “მარხია მოჩვენება სიზმარეული, სული შეშლილი და ბედნიერი”. როგორც ვხედავთ, დაწყილებულია კონტრასტული ცნებები. ასეთივეა: “ტიროდა მისი მუსიკალური და გადარევის ეფექტები”.

ეპითეტი “შეშლილი” დადებითი ენერგიის მატარებელ ცნებად მიუსადაგა გალაკტიონმა თავის საყვარელ მხატვრებს, პოეტებს: შეშლილი ვერლენი, შეშლილი ბეთხოვენი, შეშლილი ყაზბეგი, შეშლილი ფიროსმანი, ხალხური შემოქმედების გიუი — ფიროსმანი, ძეგლი... შეშლილი თუ წინასწარის მთქმელი?

“ოცნებასაც” გიუის რიდეს მოარებს გალაკტიონი: “...გაჰქრა გიუი ოცნება, წყარო ხევში ვალალებს, გაჰქრა გიუი ოცნება...”

პოზიტიური გაგებისაა შემდეგი ფრაზებიც: “მუსიკალური და გადარევის ეფექტები”, პოეტი... გრიგალი, შერყევა, მოგონების შეშლილი ბოდვა”.

უსაზღვრო გრძნობების, შემოქმედებითი ფანტაზიის, ძიების, მოუსვენრობის გამომხატველია ფრაზა: “მშვენიერია ზღვა მთვარეული, ზღვაზე ზვირთები მიდის ლივლივით, მე კი რისთვის ვარ გადარეული, რად ვიყურები შორს შეშლილივით ?”

გალაკტიონის პოზიაში შეშლილი ჰქვია ყოველივე აღმატებულს, უჩვეულოს: “შეშლილი სახით ჰკიოდა ქუჩა, ბალში შეშლილივით კვდება თებერვალი, სიყიუემორეული ზღვა, შეშლილი ფერი”.

დაუძლეველი ტყივილიც შეშლილივით აფორიაქებს ლექსს: “მე სიმღერას შევჩივლებ დარდებს შებორკილივით, ჩემი არდაფარული მწუხარების საგანი, შეშლილივით დააღებს კარებს წივილ-კივილით, რომ უგულოდ ჩააქროს რამე გრძნობათაგანი” (შეშლილივით დააღებს კარებს).

უნაპირო, გულში დაუტეველი სიყვარულის გამოვლენაც შეშლილობად ინათლება: “საყვარელ ხელებს შეშლილივით დავენაფები!” (“ხელები”). “კიდეებიც შეშლილია” (“ეფექტები”).

სხვაგან სიყვარული (ლერტი) გვალვისა და გაგიუების წამალი: “ეს სიყვარული დააცხრობს გოლვას და გაგიუებას უფრო უარესს” (დადგა აგვისტო).

გალაკტიონის “სიგიუე” რეალურად იმაში გამოიხატებოდა, რომ ფანჯრიდან შემოსულ სხივს კოცნიდა, ერთდროულად ესმოდა რამდენიმე მუსიკოსის, რამდენიმე მუსიკალური ინსტრუმენტის და კოლოს წივილის ხმა: “ყურებში ხმაურობა მესმოდა: შუმანი, ბეთხოვენი, ჭიანური, როიალი — სულ ერთად იყვნენ არეული! ხან კი თითქოს კოლო დამწივოდა ყურთან. როდესაც ყოველივე ეს ვუთხარი

ექიმ პონდოევს, მან თვალები ფართოდ გააღო გაოცებისაგან, მის სახეზე წავიკითხე: “შეშლილაო საწყალი გაღაკტიონი” (გაღაკტიონის ხუთომეული, ტ. 5, გვ. 338).

პოეტი ყოველთვის ფხიზლად აკონტროლებდა თავის თავს, კარგად ავლებდა ზღვარს სიგიჟეს, როგორც კლინიკურ ავადმყოფობასა და შემოქმედისთვის აუცილებელ “სიგიჟეს” შორის და ნიშნისმოგებით მიმართავდა სხვისი ნიჭით, წარმატებით გაგიჟებულებს: “სხვა გიჟებს სხვისი სისპეტაკულ ეფრო აგიჟებს”...

მაგრამ გაღაკტიონმა ასევე კარგად იცოდა, რომ ბოლშევიკური იდეოლოგიის მოწინააღმდეგეთა ხვედრი იყო ციხე, გადასახლება, სახრჩობელა, საგიჟეთი.

მართალია, გაღაკტიონი ხშირად ირგებდა შეგუებულის, მოთვინიერებულის ნიღაბს, მაგრამ პოემა “მოგონებების” ავტორს, საუკუნის მეფისტოფელად მომნათვლელს, დემონ-ლუციფერთა თარეშის მხილების დიდოსტატს, ხელისუფლების ნდობა ვერ ექნებოდა.

თავისუფალ მოაზროვნეთა იდეური დამუშავების, “ექიმობის” შიში გასჩენია გაღაკტიონს 1949 წელს კარდიოლოგიის ინსტიტუტში გატარებული მკურნალობისას, როცა იქიდან გამოსვლისას ხელი მოაწერინეს “შრომისუნარიანობის დაკარგვაზე”; პოეტი ასკვნის: “ალბათ, ასე ანერინებენ ხელს ყველას, ვისაც ექიმობენ..., ეს დოკუმენტი სჭირდება მას, ვინც ჩემი ლიტერატურული მტერია, არ სურს, რომ მე მნერალთა კავშირში ვმუშაობდე. აი, სად იხელთეს დრო! აი, სად დამიგეს ხაფანგი!!!” (ვ, ჯავახაძის წიგნიდან — უცნობი, გვ. 566-567).

პოეტს გამუდმებით აწვალებდა მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის, გიყის იარლიყის მიერების და ამით სულიერი განიარაღების შიში. ეს აპრობირებული მეთოდი იყო ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

ბოროტების იმპერიის ამ ხერხს ასეთ კვალიფიკაციას აძლევდა ამერიკის რადიო “თავისუფლება”: “საბჭოთა კავშირში საღად მოაზროვნებს გიჟებად აცხადებენ და ფსიქიატრიულ საავადმყოში ათავსებენ”.

დისიდენტ მოაზროვნეთა ძალად მკურნალობისთვის განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენდნენ საბჭოთა აკადემიკოსები, ამასთან დაკავშირებით, სიმართლისთვის მებრძოლი უურნალისტის — ნაზი შამანაურის მაგალითიც კმარა.

გაღაკტიონის თვალინი იყო შემაშფოთებელი მაგალითები, პეტრე სამსონაძის მიერ ბერიას აუგად მოხსენიება, ამის შედეგად მისი ფსიქიატრიულში მოთავსება, ცემით სიკვდილამდე მიყვანა და საბედისწერო აღსასრული (კალე ბობოხიძე, ტერენტი გრანელი, ხელნაწერი, გაგვაცნო ტერენტის დის — ზოზიას შვილიშვილმა მამანტი როგავამ).

იქნებ შემთხვევით არ უთარგმნია პოეტების მეფეს ედგარ პოს “გული მამხილებელი”, სადაც არის ასეთი ადგილი: “დიახ! მე ძალიან ნერვებაშლილი ვარ, მაგრამ რად გინდათ თქვენ დამტკიცოთ, რომ მე შეშლილი ვარ? ავადმყოფობამ გაამწვავა ჩემი გრძნობები, მაგრამ სრულიადაც არ დაუსუსტებია იგი, სრულიადაც არ დაუჩლუნგებია, უპირველეს ყოვლისა, გრძნობა სმენისა” (ვ. ჯავახაძის წიგნიდან — უცნობი, გვ. 502).

იცოდა რა ხელისუფალთა, ბოროტეულთა ერთი მთავარი მეთოდი, თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ გამოყენებული, გალაკტიონს ბუნებრივად გასჩენია შიში, რომ მისთვისაც არ მოედოთ საგიუჟეთში შესატყუბელი ქამანდი: “რაც თვით არ სჯერათ, მე იმაში სურთ დამაჯერონ... არა, მე მდგმური არ მსურს ვიყო ამ საგიუჟეთის” (უცნობიდან, გვ. 459).

გალაკტიონს აწამებდა თავისი მეგობრის — ტერენტი გრანელის ხვედრი და გულწრფელ წუხილს გამოხატავდა: “მე ვნანობ, მე ვდარდობ, რომ ის (ტერენტი გრანელი — ლ.ს.) განუკურნებლად ავადაა” (იროდი ხარჩილავა, ტერენტი გრანელი, კრებული — ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსი, თბ. 1984, გვ. 214).

ალბათ, ამიტომ ფრთხილობდა, გაურბოდა ხელისუფლების ჭანგებს, ნებაყოფლობით განდეგილად იქცა, რომ მის სენაკში არ შემოელნია უცნობ-ნაცნობს და არ “დაევადებინა” საუკუნის ჭირით: “ჰმ... ავად გაგხდიან, თუ მაგრად არ დაიჭირე თავი”, აღნიშნავდა დღიურში.

ამიტომ ჰქონდა 1928, 1929, 1939 წლების შიში...

ამიტომ საუბრობდა გადარჩენაზე, ვინ იცის, რა ქვეტექსტების მატარებელია მის ენიგმურ პოეზიაში “ალვის ხის გადარჩენა”, “გადარჩენის ბედნიერება”, “გადარჩენის ჰიმნი”.

გიუის იარღიყით მონათვლა არ გამოუვიდათ, მაგრამ ლოთად მონათვლისთვის თვითონ იძლეოდა საბაბს, თუმცა მის სულს “ცისფერი ლვინო” (საღვთო სახელია) უფრო სწყუროდა, ვიდრე ლოთების სათაყვანო ჭკუისამრევი სითხე: “სტიროდა სული ცისფერ ლვინოებს, ლვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით”...

ძნელია ითქვას, იყო თუ არა გადარჩენა მის მდგომერეობაში ყოფნა, იქნებ გადარჩენის ალიბი იყო ლოთის ნიღაბი, რათა “მხეცის” ბრჭყალებში არ აღმოჩენილიყო?

ტერენტი გრანელის ცხოვრება და პოეზია შეშლილის, გიუის, გადარეულის ცნებებით დაიდალა.

მაგრამ პოეტისთვის, უპირველესად, ეს ტერმინები ისეთი გაგებისაა, როგორც გალაკტიონთან, ანუ იგი აღმატებული გრძნობის, ქვეცნობიერსა თუ ზეცნობიერში მოარული სულის მდგომარეობაა, არაჩვეულებრიობის (კარგი გაგებით) ხაზგასასმელი ეპითეტია, ვინაიდან თვით შემოქმედება, პოეტური პროცესია ჩვეულებრივი

მდგომარეობისგან განსხვავებული, მიწიდან მოწყვეტის განცდა რომ ახლავს: “ეს გაგიუება უცნაურია, ქარიშახალვით მოდის ოცნება, შეშლილ ხელებით ვითამაშებ ბოქსის საპირებს, ეს გრძნობა ისევ საზღვარს გასცილდა, იმ პლანეტაზე ფიქრი მიმდიმდა და გაგიუებას ველოდი ისევ, მიყვარს მე ხეტიალი შეშლილივით ქალაქში, ღმერთო, ნუ შემშლი, ძალა მომეცი, ღმერთო, მე უკვე გავცილდი საზღვარს, ღამე, ვწებით შეშლილი, ყელზე გადამეხვია, შეშლილი ცრემლი, შეშლილივით სიცილი”...

“უცნობი სფინქსი” თვითვე განმარტავს ამ უჩვეულო მდგომარეობის მიზეზს: “თუ ვტოვებ გიუის შთაბეჭდილებას, დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალია”.

ეს “სიგიუე” პოეტური განცდის და ხილვის უმაღლესი ხარისხი იყო, წამიერი და სავალდებულო თითქოს: “თეთრი ოცნება იდუმალია, ქარიშხალვით მოდის ოცნება, ახლა სიგიუე უფრო ვალია, ახლა მწყურია გამოცოცხლება”.

ერთგან ღმერთს ევედრება, დაიცვას ადამის ცოდვისა და გაგიუებისგან: “ხელს მაღლა აგიშვებს ცოდვა ადამისა, ღმერთო, გამაგიუე და შენვე დამიცავ” (“ლოცვა გაფრენისოვის”).

პროფესორი სოსო სიგუა წერს: “თითქოს ტერენტი გრანელზე ეთქვას გალაკტიონს: “მჯერა მე შენი ძმობა, შენი შეშლილი ფერი” (სოსო სიგუა, “ქართული მოდერნიზმი”, თბ. 2002, გვ. 177).

ალბათ, ეს შეშლილად მონათლული ტ. გრანელთან დამეგობრების წინათგრძნობაა. გალაკტიონს თავისი რჩეული პოეტის განსაკუთრებულობის მახასიათებლად “შეშლილი” ესახებოდა, თუმცა, მთავარია არა ლექსის ადრესატი, არამედ შეშლილობის გაგება დადებით კონტექსტში.

მაგრამ ეს არის შემოქმედთა გადასახედიდან გაგებული “შეშლილობა”.

გიუე, შეშლილი თავის ოდიოზურ შინაარსს იძენდა ტოტალიტარულ საბჭოთა სახელმწიფოში და ამ სახელით ინათლებოდნენ თავისუფლად მოაზროვნენი, სიმართლის მსახურნი, ამ ავადმყოფობით “ავადდებოდნენ” ხელისუფლებისათვის საშიში პიროვნებები და ამისთვის გამოიყენებოდნენ უპრინციპო მეცნიერები, ხშირად, ამაქვეყნის ძლიერთა ბოროტი სურვილების მსახურთ, პროფესორობა და აკადემიკოსობაც ებოძებოდათ ხოლმე.

ტერენტი გრანელი იმთავითვე გამოკვეთილ ოპოზიციონერად მოევლინა ჭრელ დედაქალაქს, იგი სახალხოდ გამოხატავდა თავის პროტესტს მედროვე-ჯალათებისადმი მომაკვდინებელი სიტყვით, მუშტით, ჯოხით, არ ეპუებოდა უმაღლესი ინსტანციის წარმომადგენლებსაც.

არა მარტო ლიტერატურულ წრეებში მოიხვეჭა სახელი, მისი შემოქმედებითა და პიროვნებით დაინტერესდა ლავრენტი ბერია,

რომელმაც პოეტს მოწონებით დაჰკრა მხარზე ხელი, მაგრამ ტერენტი “ქანდაკებასავით” იდგა „ლამესთან”, გული არ ატოკებია, მიხვდა, რომ ხელისუფლება მის მოშინაურებას, თავისი პოლიტიკის მხარდამჭერად ქცევას ცდილობდა. გულგრილობა ბოროტეულთადმი, სატანისტების მხილება პოეტისთვის საპედისწეროდ დასრულდა.

რატომლაც ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ტერენტი გრანელის ლექსებში გამოვლენილი ეჭვება, მტრის შიში, სიკვდილისკენ მოწოდება, შავი აჩრდილის მოლაზდება ჰალუცინაციებია და მეტი არაფერი. სამწუხაროდ, მის ნებატიურ სახეებს (უღირსი თვალი, ყორანი, გველი, ყვავი, ფინია) თავისი ადრესატები ჰყავდათ, რომლებიც საშინელ ხვედრს უმზადებდნენ მოუთვინიერებელ პოეტს.

მსხვერპლზე საუბარიც არ არის შემთხვევითი, გარდა იმისა, რომ იგი პოეზიის, რწმენის მსხვერპლიც იყო, ავბედითი დროის ზვარაკადაც იქნა ქცეული: “ვიყავი დროს წინ, ვიყავი მსხვერპლი”...

ჯერ ჭორები მოედო “ტალასად”, ბედმა გარიყა, შერისხეს, პროვოკაციები მოუწყვეს, არ უბეჭდავდნენ, მისი ლიტერატურული სალამოების ჩაშლას ცდილობდნენ, პოეტის გენიალურ წიგნებს “შავ წიგნებად” მოიხსენიებდნენ...

ციხე, დევნა, შევიზროება, სახელის გატეხა ერთ მიზანს ისახავდა: შენელებულიყო მის მიმართ ხალხის თაყვანისცემა, ყურადღება. ბოლოს “მემენტო მორის” ავტორი ურჩებისათვის აპრობირებული მეთოდის სამიზნე გახდა, ეს იყო ყველაზე საშინელი რამ, რაც კი შეეძლოთ მოეფიქრებინათ ანტიქრისტეებს: “ქართველმა ხალხმა გიუ მიწოდა, მზე მიდის გაღმა, ცის ხმა ისმოდა”...

პოეტი ხშირად საუბრობდა იმაზე, რომ მისთვის “ვამართლების წამი დაფარული” იყო, რომ მისი სევდა-მწუხარება მუდამ შეუცნობელი დარჩებოდა.

სამწუხაროდ, ამ და სხვა მსგავსი ეპითეტებით (გიუ, ავადმყოფი, ფსიქიურად დავავადებული, ფსიქიკაშერყეული, შეშლილი, გადარეული) მოიხსენებოდა ხოლმე გენიოსი პოეტი, ათეული წლებით ხდებოდა ასეთი “დიაგნოზის” გამეორება.

აუცილებელი იყო ამ საკითხის გადახედვა და ეს პროცესიც დაიწყო.

ბოლო ხანს გაჩნდა სრულიად მართებული და ანგარიშგასაწევი მოსაზრება, რომ “ტერენტი გრანელი დაკარგავს მძლავრი წინააღმდეგობის უნარს (საბჭოთა, “სამკურნალო” დაწესებულებებში ხელოვნურად გამოწვეული სენის მიერ), ის წავა... ცხოვრებიდან... ფიზიკურად”.

“ბედისწერამ არ დაინდო ინტელექტუალური მეგობრობით დაკავშირებული ორი დიდი პოეტი — სერგეი ესენინი და ტერენტი გრანელი. ერთმა თავი მოიკლა, მეორე დანებდა ხელოვნურად გაღ-

რმავებულ ავადმყოფობას” (ბექა ლაშხია-ხიბლელი, “ცისფერი სიშორე”, თბ. 1998, გვ. 10).

ამ პრობლემას სიღრმისეულად, დამაჯერებლობით აშუქებს მწერალი და მეცნიერი რევაზ მიშველაძე: “მოყურიადეთ” ტერენტი გრანელის “ანტობა” არ გამორჩენიათ და ხშირად უქმნიდნენ უსაგნო წინაღობებს. ერთხელ რუსთაველის თეატრში პოეზის საღამო ჩაუშალეს, ცენტურა ყველა მის სტრიქონს გაფაციცებული სიმკაცრით კითხულობდა.

...ოფიციალური კრიტიკა ხშირად თავს ესხმოდა, “უიდეო”, “ბნელეთის პოეტს” უწოდებდა.

...1928 წელს... ჩეკამ დაამთავრა ურჩი პოეტის “ნელ ცეცხლზე დაწვის” ოპერაცია და სულით ავადმყოფის დიაგნოზიც დაუსვა.

“ასე აჯილდოებდნენ” ხშირად ძნელად ალსაზრდელ შემოქმედთ ბოლშევიკური იდეოლოგიური სამსახურის მუშავები.

განა თბილისში არ იყო სულით დავრდომილთა საავადმყოფო (სადაც ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა), მაგრამ ტერენტი გრანელს სურამის სიგიჟის საგზური გამოუწერეს.

ჩანს, ჩეკას ჯურლმულებში მიიჩნიეს, რომ მეამბოხე სულის პოეტი დედაქალაქიდან რაც შეიძლება შორს უნდა ყოფილიყო.

მაინც ვერ დააოკეს. ექვსი წელი “მკურნალობდნენ” სურამში და თითქმის ყოველ სამ-ოთხ თვეში გამოიპარებოდა. რედაქციებში ლექსებს ჩამოარიგებდა, მეგობრებს ინახულებდა, მამადავითზე ავარდებოდა. თავის სულიერ სავანეს — სასაფლაოებს მოივლიდა, ამასობაში “ალმოაჩენდნენ” და მკაცრ სანიტართა ეტაპით უკან, სურამში აბრუნებდნენ.

შერისხული კალმოსნისგან თავმობეზრებული ზოგი რედაქტორი ემალებოდა, ხელნაწერს უკარგავდნენ, ყალბი დაპირებით ისტუმრებდნენ. მთავრობას არ სამოვნებს მისი გვარის ხსენებაო და თანამედროვე პოეტთა ყველაზე გრძელ სიაშიც კი გამოტოვებდნენ ხოლმე “იდეური კრიტიკოსები” (რევაზ მიშველაძე, ტერენტი გრანელი, თბ. 2004, გვ. 11-12).

სხვაგვარ მოაზროვნეთა “მკურნალობისათვის” საბჭოთა კავშირში ხელისუფლების დავალებით აკადემიკოსებიც ირჯებოდნენ, რასაც გვამცნობს რევაზ მიშველაძის ნოველები: “მკურნალი”, “მევარ”, “როდემდე?”.

უსამართლო სოციალურ საზოგადოებაში “თავისუფლებისკენ სწრაფვა, უკეთეს შემთხვევაში უცნაურობად, სიგიჟედ ითვლებოდა. ფსიქიატრიული რეპრესიები საქმით განამტკიცებდა მასაში მოარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის, სულით ავადმყოფია” (ზვიად გამ-სახურდია, “დილემა კაცობრიობის წინაშე”, თბ. 1995, გვ. 49).

ტერენტი გრანელის ამოჩემებისა და გიუად გამოცხადებისათვის მისი რელიგიურობა და პატრიოტიზმი იკმარებდა, რომ არაფერი ვთქვათ პოეტის პროტესტანტულ ბუნებაზე.

მოვიტანთ ერთ ძალზე დამახასიათებელ მაგალითს.

20-იან წლებში წალენჯიხის რაიკომს და ჩეკას დაუდგენია სოფელ ჯვარის ნმინდა გიორგის ეკლესის დანგრევა, რაც გაუგონარი, ბარბაროსული მეთოდებით მოუყვანიათ კიდეც სისრულეში. ამ ვანდალიზმის მაყურებელი, ხალხთან ერთად, ყოფილა ტერენტი გრანელი, რომელიც ეკლესის ეზოში, დიდი ცაცხვის ქვეშ მდგარი, ამბობდა: „რას შვრებიან ცოდვის შვილები, ღმერთო, შეუნდე, ღმერთო უშველე ამ ცოდვილებს. ეს ტაძარი ჩვენ მამაპაპათა ოფლით ნაგები სინმინდეა, ეს ხომ ჩვენი მამაპაპათა ძვლებით გაპოხილი მინაა. ღმერთო, შეუნდე, ღმერთო, უშველე ამ ცოდვილებს”.

ერთ მაუზერიანს უცვნია ტერენტი და მისკენ წასულა მუქარით, მაგრამ პოეტს სასწრაფოდ დაუტოვებია ეკლესის ეზო, ხოლო ვიდაც ჩეკისტს უთქვამს იქ მყოფთათვის: „გოგოებო, მაგ გიუ პოეტს ნუ უყურებთ, ეგ კაპიტალისტური გადმონაშთია და არანორმალურია, გიუს ხომ არაფერი მოეხოვება”.

ამაზე ტერენტის დას — მაშოს უპასუხნია „სალახანა ჩეკისტისთვის“: „ვინაა გიუ, ტერენტი გრანელი თუ თქვენ, რომლებმაც, თუ იცით, დღეს რა ჩაიდინეთ? ამ საქმეს ნორმალური ადამიანები ჩაიდენდნენ?“

ჩეკისტი პარტიის, ლენინის, სტალინის მოთხოვნით ამართლებდა ამ ვანდალიზმს.

მაშო აკრიტიკებდა ლენინის, სტალინის პოლიტიკას, ჩვენი ქვეყნის გადათელვას, ოკუპირებას მათი ნებართვით და ადგილობრივი მედროვეების მხარდაჭერით, ბოლოს ისევ ტერენტის სახელის გატეხვის მცდელობა ვერ მოითმინა და ვიგინდარებს შეუტია: „ტერენტი გიუ და თქვენ ნორმალურები ხართ?“

პოეტი ეკლესის გალავანთან, ნმინდა ნინოს ჯვართან იდგა და ხელაპყრობილი ლოცულობდა: „ღმერთო, შენ შეუნდე ცოდვილებს, ღმერთო შენ უშველე ამ ცოდვილებს, ღმერთო, მოაშორე მათ სატანა და დაუბრუნე სიკეთე!“.

როცა მაშოსთვის ერთ მეგობარ ქალს უკითხავს, ტერენტის ლექსები თუ გამოიცაო, მას უპასუხნია: „გამოიცა კი არა, როგორც პოეტს, ტერენტის კრძალავს დღვევანდელი საქართველოს მთავრობა, პესიმისტია, ფუტურისტია, ანტისაბჭოთა პოეტიაო, გიუია და სულელიაო და რა ვიცი, რას არ აბრალებენ“ (სერგო უვანია, ნითელი სატანა, მოგონება ტერენტი გრანელზე, ხელნაწერი გაგვაცნო ტერენტის დის — ზოზის შვილიშვილმა, ექიმმა მამანტი როგავამ).

ტერენტი გრანელის პოეზიის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი, შესანიშნავი დოკუმენტური მოთხოვების — „ვიცი,

დღო მოვა ჩემი გაგების” — ავტორი გივი ცქიტიშვილი ერთ-ერთი პირველი საუბრობდა ტერენტის “იძულებით მკურნალობაზე, რო- მელსაც საქართველოს საბჭოთა მწერლობის ფედერაციის თხოვნით თბილისის პოლიციის სამმართველო პერმანენტულად, თანაც მთე- ლი სიმკაცრით ახორციელებდა” (გივი ცქიტიშვილი, ტერენტი გრა- ნელმა საკუთარი სიკვდილი თითქმის ზუსტად ინინასარმეტყველა, გაზ. “ვერსია”, 5-11 ნოემბერი, 2001 წ.).

ტერნგი გრანელისთვის შეჩენილი “დამსმენთა კოპორტა... ჭორების გავრცელებით, ყოველდღიური დაცინვითა და ქილიკო- ბით, აყალ-მაყალითა და ჩხუბით, ყოველმხრივ ავიზროებდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ ყველასგან მიუსაფარ, სიცოცხლეგამნარე- ბულ, უნაზესი სულის პოეტს...

მწერალთა კავშირიდან ქალაქში გავრცელდა ხმა, ტერენტი გაგიუდა და ის სამკურნალოდ ფსიქიატრიულში გაამნესესო... ყველაფერი ნათელი იყო. ამ ცნობამ ჩემზე ძლიერ იმოქმედა... დიდხანს, დიდხანს დავდიოდი აფორიაქებული, საკუთარ თავში ჩაკეტილი”, ნათქვამია კალე ბობოხიძის მოგონებაში ტერენტი გრანელზე (ხელნაწერი, მოგვანდა მამანტი როგავამ).

ტერენზე გრანელის მისამართით “შეშლილის” ხსნება მხოლოდ გენიოსის გვერდით არის მართებული”. “გენიოსი და შეშლილი გრანელი”, წერს პოეტი მურმან ჯგუბურია (“მომავალი კოსმოდრომების პოეტი”, „ლიტერატურული გაზეთი“, 10-23 ივნისი, 2004 წ.)

ტერონტი გრანელის უდიდესი მოამაგე, პოეტი, მკვლევარი, მთარგმნელი და ტერენტის რამდენიმე კრებულის რედაქტორ-გა-მომცემელი ლერი ალიმონაკი ამხელს ამ ცრუ ეპითეტის ავტორების უდიდეს უკუღმართობას: “იმ კაცს, ვინც მთელი განამებული წუთი-სოფელი სულის ხსნასა და სიწმინდეს შესწირა, სულის სწეულება დასწამეს” (უკრნალი “სარკუ”, 2003, 26.II-IV).

ლერი ალიმონაკი სხვა დროსაც ნიღაბს ხდიდა ტ. გრანელის მთავარ მტერს – ბოლშევიკურ ტირანის: “ბოლშევიკური რუტინა შანთითა და მახვილით დევნიდა ყოველივე სულიერს... ტ. გრანელს საზარელი განაჩენი გამოუტანა: მას გიყის ხალათი ჩაცვა! სურამში იძულებით გადასახლებულმა სასატიკი შეჩვენებისა და ამაოების 4 წელი განვლო” (ლერი ალიმონაკი, გრანელის ლანდი, თბ. 1998, გვ. 119).

(უურნალ „სარკეში“; 2003, 26. III-ი. IV) ირინე მჭედლიძე საუბრობს იმაზე, რომ ტერენტი გრანელს, რომელსაც ღამის გასათევიც არ ჰქონდა, „მწერალთა კავშირში მოკალათებული პროლეტარი მწერლები სიცოცხლეს უმნარებდნენ, ცილს სწამებდნენ, დასცინდნენ, შეშლილს უნდოებდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მართლაც შეშლილისთვის დაგმსგავსებინათ“.

ახალოგიურ მოსაზრებას ავითარებს პოეტი თამაზ ფიფა: “ო, მოძალააღ, ტლანტი, უხეში, მიბნელებს დიდი განვრცხის რიცრანს.

ამრიგად, ჩავრჩი ბედის კუთხეში და გენიოსი მომნათლეს გიუად” (თამაზ ფიფა, არც სიცოცხლე მსურს და არც სიკვდილი, “მწერლის გაზეთი”, 10-16 სექტემბერი, 2002 წ.).

ტერენტი გრანელისადმი უდიდეს მონიქებას გამოხატავდნენ თავიანთ ლექსებში ზვიად გამსახურდია (“მარტოობა”), მერაბ კოსტავა (“გალაკტიონი”).

თითქოს წინასარმეტყველური გამოდგა “ცისფერყანნელი” ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ მართალი პოეტის კარიერად სიგიუსის, ჭლექის, ალკოჰოლის და თვითმკვლელობის გამოცხადება: “მე მეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა. მისთვის ვიწამე სამუდამოდ ეს კარიერა: სიგიუს, ჭლექი, ალკოჰოლი და თვითმკვლელობა! სიკვდილი იყოს ამ დუელში შავ ბარიერად!” (“ბოპემის მონოლოგი”, ერთომეული, 1990, გვ. 117-118).

საოცარი, წინასარმეტყველური სიტყვები დაწერა ტერენტის მეგობარმა კონე სპერელმა (კონსტანტინე გაჩეჩილაძემ): “პარადექსები ამოგინვავს განანამებ ტვინს, — კითხვა კითხვაზე დაგირჩება და მოქანცული ბოლოს დაიდგამ მედიდურად გიუს თეთრ გვირგვინს” (“თეთრი გვირგვინოსანი”, მარინე ქადაგიძის წიგნიდან “სივრცეში დარჩენილი ფრაზები”, თბ. 2003, გვ. 57).

სამწუხაროდ, ბევრს წერენ ნაძალადევი მკურნალობით გაუსახურებული პოეტის პორტრეტზე, ჩაცმულობაზე, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა მისი ზემთაგონებული სახის მოგონებას. აი, როგორ დამახსოვრებია ტერენტი გრანელი მის მეგობარს ალექსანდრე სიგუას: “მხატვრების ყურადღება მინდა წამიერად ისევ მივაპყრო ღვთისმშობლის ალერსიანი მზერით განსაკუთაკებული პოეტის ნათელ სახეს, სადაც ფარული სიმშვიდის ფონზე აღბეჭდილია ჭეშმარიტი პოეტისა და ძლევამოსილი მუზის ერთიანობა და უსასრულო ჭიდილი. პოეტის სახეს და მის სპეტაკ სულს მუდამ თან სდევს სამშობლის ბედუკულმართობით გამოწვეული სევდა”... (“ცისფერი სიშორე”, თბ. 1998, გვ.).

ან რა საოცრად მიგნებულია თვით ტერენტის მიერ საკუთარი სახის გაბრწყინებულ ეკლესიასთან, მისი გუმბათის ელვარებასთან შედარება: “საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია”, “მე მივდივარ და მიცქერის ხალხი, ჩემი სახე გუმბათივით ელავს”.

ყურადღებას ამახვილებენ მის “საოცარ, ზეციურ ემბაზით განელებულ ღიმილზე” (ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 204).

ან რად ღირს ლერი ალიმონაკის მიერ წარმოსახული ტერენტი გრანელის — არამინიერი წმინდანის პორტრეტი: “ეკლესიაში ღმერთის, ანგელოზების, წმინდა გიორგის ფრესკებს მიჩრებული ტერენტი თავადაც ფრესკას მოჰვავს, ოქროსფერი კულულებითა და ცისფერი თვალებით, საიდანაც შეფარული სევდა გამოკრთის. ან-

თებულ სახეს სანთლებიდან დაფრქვეული სინათლე უცისკროვნებს, აკვირდება ჩაფერფლილ სანთლებს... და ფითრდება, ფითრდება... ეპლესიდან მობრუნებულს, თოვლის სითეთრე უფრო უცისფერებს თვალებს და ეს თვალები მეტყველებენ, მათ პატრონს ცისმიღმიერი სამყაროს ხილვა რომ სწადია” (ლერი ალიმონაკი, “კვირის წირვები”, თბ. 1984, გვ. 33).

ეს სახე, მის არსებაში ჩაბუდებული ამაყი და მართალი სული უკარგავდა მოსვენებას ჯალათებს და ყველაფერი გააკეთეს მისი გაუსახურებისათვის, მაგრამ გადაიარეს ეპოქის ღრუბელ-ქარებმა და მაინც გადარჩა მთავარი, მაინც განათდა ნისლითა და დარდით დაბინდული ლვთაებრივი მზერა, ლვთაებრივი სული.

“გადარჩება?” — ექიმებს ეკითხება „ზოზია...” ტერენტის ამ სიკვდილისწინა განცდების გამომხატველი ლექსის მთავარი კითხვის პასუხი დადგებითა.

დიახ! გადარჩა უნიჭიერესი პოეტის სული, მისი პირველხარისხოვანი ლირიკა: “სული გაფრინდა ცისკენ, სხეული დარჩა მინას”...

თავი II

ესთეტიკის ზოგიერთი საკითხი

“პოეტი არის ყოველთვის ერთი”

ტერენტი გრანელი ჩვენი დროის ერთ-ერთი ურთულესი პოეტია აზრთა წყობითაც და მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებებითაც. მის შემოქმედებაში უბრალოება სიდიადეს, გასაგები შეუცნობელს ერწყმის და ისიც კი, რაც ერთი შეხედვით ადვილად მოსახელთებელი ჩანს, შემეცნებისა და ფსიქიკის ჯურლმულებიდან არის ამოტანილი და ზედაპირზე ვერ მოიძიება. ამიტომ არის ძნელი იდუმალების ესთეტიკასთან წილნაყარი პოეტის ლექსების გადატანა ლოგიკის ენაზე, “ფარული” აზრის მიგნება, ის უფრო “საგრძნობელია”, ვიდრე “საცნობელი”. ასეთივეა მისი პოეტური კრედოც, სიმბოლურ-მეტაფორულ სახეებში გახვეული, რელიგიურობით შეფერილი, საიდუმლოების ქარდაკრული, რაც მისი ჭეშმარიტი სიღრმის გამოვლინებაა და არა საეჭვო ეფექტის მოხდენის სურვილი.

ტ. გრანელის პოეტური კრედო თავისთავად, ორიგინალურ სახეებშია გამუღავნებული და რომანტიზმის, სიმბოლიზმისა და იმპრესიონიზმისგან უფროა დავალებული, ვიდრე რეალიზმისგან.

ტ. გრანელის მიმართება სიტყვისადმი უტოლდებოდა მორნმუნის გრძნობას უზენაესისადმი: “ჩემთვის ერთია ზეცა და ლექ-სი”, “პოეზია ფიცია”, “პოეზია ლოცვა”.

პოეზის განუსაზღვრელი სიყვარული, ლიტერატურული ცხოვრების გაიდეალება, მის საკურთხეველთან ადამიანური ბედნიერების უგულებელყოფის უნარი ათქმევინებდა ტ. გრანელს: “მე პოეზის უმანკო მსხვერპლი”.

ცხოვრების “უარყოფაც” პოეზიას უკავშირდებოდა: “გაზაფხულია, მივდივარ ნელა და მიკავია ხელში ეს ია, მე უარყყავი მთელი ცხოვრება, ვინამე ზეცა და პოეზია”.

ცხადია, გაზაფხულისა და ის სიყვარული ცხოვრების უარყოფა კი არა, მშვენიერებასთან, სიცოცხლესთან წილნაყარობაა.

ამ კონტექსტის ფარული აზრი სხვა სტრიქონებში იხსნება: “ყოფნა არ მიხდა, რაღაც მსურს მეტი” — იმეორებდა პოეტი და ცხოვრების უარყოფაში ამქვეყნიურ სიკეთეთა, მიწიერი, წარმავალი ბედნიერების უგულებელყოფა, ზეციური სიწმინდისა და ამაღლებულობის ძიება იგულისხმება.

“რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი” — არსებულით დაუკამაყოფილებლობაა, ჩვეულებრივ ყოფიერებაზე ამაღლება და უკიდეგანო ძიების სურვილი.

ზემოხსენებულ ცნებებთან არის ახლოს დევიზი: “სიცოცხლე სხეულის გარეშე”, რაც რელიგიური აზრის საფარველში გახვეული პოეტური სულის უკვდავების რწმენის გამოხატულებაა: “მე პოეზია ამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული” (“გულიდან სისხლის წვეთები”).

“არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ სხვა”, “რაღაც სხვა”, “მესამე გზა”, “იდუმალების გზა”, ლერთად ყოფნის სურვილი პოეტურ მარადიულობაზე ოცნებაა, დროის უღმობელობასთან პოეზიით დაპირისპირება. ფიზიკური სიცოცხლე თავისთავად უარყოფა, რასაც ურიგდება პოეტი — “არა სიცოცხლე”... მაგრამ არც სიკვდილი სურს, “რაღაც სხვა” კი მარადიულობის სურვილია, “მესამე გზა” — “იდუმალების გზა” — პოეზიაა, პოეზია კი ცხოვრების გარეშე არ არსებობს და ტ. გრანელს წარმავლობის დამარცხება ისევ აზრიანი სიცოცხლით, არსებობის უზენაესი ღირებულებით — პოეზიით ესახება შესაძლებლად.

თუ გალაკტიონი “არტისტული ყვავილებით” (პოეზიით) უპირისპირდება “თავის ქალას” (სიკვდილს), ტ. გრანელის ფილოსოფიური სევდით აღბეჭდილი “გახსოვდეს სიკვდილი” სიკვდილისთვის თვალის გასწორებასთან ერთად, მოწოდება ძიებისკენ, შემოქმედებითი სიფხიზლისკენ, სევდა კათარსისის წყაროა და რწმენა, იმედის

შუქი საფლავთან დაპირისპირებული სულით მიიკვლევა (“სული და საფლავები”).

ეს პრობლემა ყველა მოკვდავს თუ შემოქმედს აწვალებს.

გოეთეს ერთი ლექსი სწორედ სიკვდილის შეხსენებით იწყება: “მემენტო მორი!” მაგრამ სიცოცხლეს სიკვდილის ზღვარი არა აქვს დადებული, რადგან მათ შორის არსებული დრო ცხოველმყოფელი აღმაფრენით არის შევსებული: “მემენტო მორი! საკმაოდ თქმულა, არაფერს გვარგებს კვლავ მისი გაბმა, განა რად მინდა შენს ცხოველმყოფელ აღმაფრენაში გტანჯო საზღვრებით... ძვირფასო ჩემო, სულ შენებურად და მარტომდენ ვივერ მემენტო!”.

ტ. გრანელი კი სიკვდილზე ხაზგასმით გვაფიქრებინებს სიცოცხლის ხანმოკლეობაზე. საბოლოოდ ორივე პოეტს ერთი სათქმელი აქვს, ოღონდ ტ. გრანელის აზრი პესიმიზმითაა შეფერილი. მაგრამ იმავე ლექსში ავლენს ტ. გრანელი თავისი პოეზიის მარადიულობის რწმენას: “ჩემი გვარი — გრანელი პოეზიას დარჩება, ჩემი გული და სისხლი ეს მემენტო მორია”.

სიკვდილზე გამუდმებული ფიქრის მიუხედავად (ტ. გრანელის ოთხსავე კრებულს სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებდა თავზე), იგი არ არის სიკვდილის აპოლოგეტი.

ტ. გრანელს პოეზიის დანიშნულებად სულის საიდუმლოების ძიება, სხვათაგან დაუნახავის აღმოჩენა, უხილავის გამოვლინება მიაჩნია: “მე პოეზიად ის მიმაჩნია, რაც მოულოდნელს, ჩვეულებრივი თვალისათვის აღმოჩენელს აღმოაჩენს, სულის საიდუმლოებებს ახსნის, მიუწვდომელს მისაწვდომად დასახავს”.

ტ. გრანელში უთუოდ მეტია “ხილვა ხელშეუხებისა და შეუცნობის” (ს. ჭილააიას წერილიდან “იყო ერთი პოეტი”, კრებული “ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია”, თბ. 1984 წ. გვ. 23).

ტ. გრანელის პოეზიასაც და წერილებსაც გასდევს უხილავის ძიების მოტივი, ამ ასპექტშია მისი “უხილავი მხარე”, “უნახავი ბალების წყურვილი”.

პოეზიის მისი ასეთი გაგებიდან მოდის ტ. გრანელის მეტაფორული “სხვა პლანეტა”, “სხვა ზეცა”, “სხვა მხარე”.

პოეზია ტ. გრანელისათვის არის “უსაზღვროება, იდუმალება, მარადისობა”.

“და ის ყოველთვის იდუმალია, რაც ჩემში იწვევს აღფრთვანებას”, “იდუმალია ის გზა მესამე”, “სული ტყვევა იდუმალ ძალის”, “სადღაც სუფევს იდუმალი ძალა”, “მესმის შრიალი იდუმალ ძალთა” “და იდუმალი წამები ქრიან”, “იდუმალ მხარეების გრიგალი” — ამბობს პოეტი და ყველა ეს თქმა უზენაესს მიემართება.

ტ. გრანელის პოეზიაში დიდია დაინტერესება საიდუმლოთი: მის ლექსებში გვხვდება “საიდუმლო ოცნება”, “საიდუმლო ქნარი”,

“საიდუმლო მისალმება”, “საიდუმლო ფიქრი”, “საოცრება”, “შეუცნობელი”, “ფარული”.

ჩევეულებრივი მზერისათვის მიუწვდომელის ძიება აქცევს მის პოეზიას საიდუმლოებად.

ღმერთია საოცრების ადრესატი, და ეს ინტერესეები რომანტიკულ-სიმბოლისტური არსენალიდან მომდინარეობს: “ვდგვაარ საოცრების კარებთან”, “ჩუბად გენგვია საოცრების რუხი ხაზები”, “და ვუცდი ისევ სხვა საოცრებას”, “საოცრების ლანდები შენს წინ გლოვას ანთებენ”, “წამებულ სულში საოცრებას სძინავს” (შდრ. ა. ბლოკის “საიდუმლო განძი”).

“შორი მირაჟების სერია” პოეტური ხილვებია. ასევეა ლანდებიც: “მივსდევ ქარიშხალს და უფრო ლანდებს და სული ტყვევა იდუმალ ძალის”, “ბრილიანტებით შემოსული ლანდები”, “ლამის ლანდები”.

უხილავი სივრცე ხან პოეზიაა, ხან არყოფნის მხარე.

პოეტურ ხილვებს ზოგჯერ ჰალუცინაციები ცვლის: “რაღაც მოდის ფარდებით, რაღაც მოდის კივილით”, “სადღაც იმალება უცნობი სიმკრთალე”...

ტ. გრანელისათვის პოეზია სულის ისტორიაა: “მემენტო მორი” — ჩემი დაფერფლილი სულის ისტორია” (“სიკვდილის შემდეგ”), “ჩემი ტანჯული სულის ტკივილი”, “გლოვა ჩემი და სხვისი” და სულის საიდუმლოებების ძიების გზაზე მას განსაკუთრებული მიგნებები აქვს.

ტ. გრანელი პოეზიას განიცდიდა, როგორც ბედისწერას, გარდუვალობას, საკუთარ გზას, როგორც კანონზომიერს და წინასწარგანსაზღვრულს: “იდუმალ მხარეების მოდიოდა გრიგალი და მკლავდნენ ლამები ბედის მძიმე გრიალით”.

ტ. გრანელი ხაზს უსვამს პოეტის ზეციურობას, თავის თავს ზეცის ბინადარს, ლაჟვარდების მკვიდრს უწოდებს. ზეცას, გაფრენას მრავალი ქვეტექსტი აქვს მის პოეზიაში. ერთ-ერთი გაგების მიხედვით კი, ზეცა ზეშთაგონებულობის, მარადიულობის, სინმინდის იდენტურია.

პოეტური შთაგონებით გამსჭვალვა უჩვეულო მდგომარეობაა, განსაკუთრებული რიტუალის მსგავსი, მოვლენათა გამოხმობა, სიტყვასთან ჭიდილი, “ლექსი მისტერია და სასიკვდილო განცდა”. ხელოვნება ტ. გრანელისათვის საერთოდ არის მისტერია. ვ. სარაჯიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში ამბობს: “შეწყდა მრიალი და მისტერია”.

ტ. გრანელი პოეზიას განიცდიდა, როგორც ლოცვას, ვედრებას: “ლოცვის ფარული სფერო, ლოცვა გაფრენისთვის”, “ლოცვა მთვარესთან”, “ფარული ვედრება”.

ტ. გრანელის შემოქმედებაში “შეიგრძნობა მლოცველი ადამიანის აღსარება, აღვლენილი სინათლისა და სინმინდისათვის” (ლერი ალიმონაკი, “ტერეზტი გრანელის პოეზია”, „ცისკარი”, 1971 წ. 7, გვ. 105).

ლოცვას უკავშირდება ბოდვა, რადგან შთაგონების მოვლინება ანგელოზის ფრთის შეხებას ჰგავს: “ო, ლოცვით მელის ბოდვები”. ასეთივე გაგებისაა ალ. ბლოკის ბოდვა „ნეред великоого ума“.

შთაგონებული მდგომარეობა ცხადი არსებობა კი არა, ექსტაზურია, ზემოინიერი: “რა ვქნა, მე განცდა მიმაფრენს ქარში, უწყვეტ ცხოვრებასთან ყოველგვარ კავშირს”.

აღმაფრენას, ემოციურ და ინტელექტუალურ დატვირთვას, კოლოსალურ სტიქიონურ მუზას უკავშირდება მის შემოქმედებაში ცნებები: სიგიურ, უცნაური გაგიუბა, საზღვარს გადაცდენა: “თეთრი ოცნება იდუმალია, ქარიშხალივით მოდის ოცნება, ახლა სიგიურ უფრო ვალია, ახლა მწყურია გამოცოცხლება” (შდრ. ა. ბლოკი: «Я безумец, безумная болшая душа»).

“საზღვარს გადაცდენა” ცნობიერი და არაცნობიერი ძალების უკიდურეს გამახაფრებას ნიშნავს, რასაც ბუნებრივად მოსდევს შთაგონების განსხვულება, მისგან დაცლა. ზეშთაგონების უკანასკნელ სტადიაზე აქვს პოეტს ნათქვამი: “შეირხა სიმწარის ფარდა, გაიხსნა ვედრების რკალი”.

“აღმაფრენა სანთელია”, მისი მოვლინება კი — ბნელის გასხივოსნება.

ჭეშმარიტების მოხელთებას, მის ინტუიციურ და ინტელექტუალურ წვდომას ტ. გრანელი “ანთების წამს” უწოდებს: “ესწამი ჩემთვის უდრის ანთებას”, “ახლა ანთების მძიმე წამია”, “ავენთები, როგორც კანდელი”, “იგი, რაც მწამდა, ჩემთან ციმციმებს”. მერე ეს ანთება პლანეტების ნათებას უტოლდება: “ავენთები, როგორც სიშორე და პლანეტები”.

შთაგონება, პოეტური ნიჭი ღვთიურია, თანდაყოლილი, მაგრამ იგი შემოქმედებითი შრომის, “გულის სისხლის” გარეშე ვერ აღნევს სრულყოფილებას: “და ზეციდან ეს ლექსი და გულიდან — ეს სისხლი და ვარ თითქმის ყოველთვის განწყობილი ლექსისთვის”. ლექსი “ნიჭია, თანაც ცოდნა”.

შთაგონების წყარო კი მინაც არის და ცაც: “მინა, ცა უმაღლესი, ხომ პოეტის გულია და მგონია მე ლექსი ყველგან გაბნეულია”. ტ. გრანელი თავის თავს უწოდებს “პოეტს, წამოსულს მაღალ ზეციდან”. მის შემოქმედებაში ცის პრიმატია, რაც ოცნებისადმი, მარადიული პრობლემებისადმი მოჭარბებული ინტერესის გამოხატულებაა (“მე და გალაკტიონი”).

პოეტი მისისწრაფვის ცისკენ შთაგონების ფრთით, “სხვა პლანეტას” მისდევს და ეს “სხვა პლანეტა” მისი თვითმყოფი პოეტური სამყაროს მეტაფორული სახელია. საკუთარი ძალების რწმენა ხდება საფუძველი, თავისი პოეზიის ბრწყინვალება პლანეტების ნათებას გაუთანაბროს: “სული ჩქარია მრავალ სირბილით და ვიცი, ისევ ავენთები, როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი, როგორც სიშორე და პლანეტები”.

პოეტური ნიჭით შობილი სითამამიდან მოდის ტ. გრანელის სურვილი, ერთ-ერთი კრებულისთვის დაერქმია “პოეზია პლანეტების”. ამ ცნებაში კი უთუოდ მარადიულობის რწმენაა ჩაქსოვილი, რაც საერთოდ თვალშისაცემია მის შემოქმედებაში.

ფიქრების, სევდის, სათქმელის გაუკვდავების სურვილით ამბობდა პოეტი: “ნისლივით მიმაქვს ცისკენ გლოვა ჩემი და სხვისი”, “და ცის ლაუგარდში ჰაერს ვაპობ ცრემლიან რაშით”. საერთოდ, ტ. გრანელის პოეზიაში გრძნობის, ინტუიციის პრიმატია, რაც არ ნიშნავს ინტელექტის, გონების კონტროლის გამორიცხვას: “შენ, ჩემო თავო, გრძნობ გულის ანთებას” (“წვიმიანი დღე”).

ტ. გრანელის პოეზიაში აშკარაა ანტიციპაციის უნარი, რაც დამახსასათებელია გოეთესთვის, გალაკტიონისთვის, გამსახურდიასთვის, ბლოკის და ყველა დიდი პოეტისათვის. ტ. გრანელი ხედავდა “სიცოცხლის ბოლოს, „ბედის მწვერვალს”, „საკუთარ აჩრდილს”, „უსაზღვრობას”, ცხოვრების ბოლოს, „განწმენდილ სულს”.

მის ლექსებში “გრძნობისმიერი ფიქრი და გონებისმიერი გრძნობაა, გრძნობათა ფიქრიანი მოძრაობაა” (ლერი ალიმონაკი, “კვირის წირვები”, თბილისი, 1984 წ. გვ. 106).

პოეზია გულია უპირველესად, გულწრფელი გრძნობების სამყარო და ეს გულწრფელობაა მისი მარადიულობის გარანტი: “მხოლოდ პოეტის ჩემი და სხვათა დარჩება ლექსი გულით ნაწერი”, “და ლექსი გულია და ლექსი სისხლია”, “გრძნობას ვეყრდნობი, როგორც პოეტი”, “ჩემი ყოველი ლექსი მხოლოდ გული და სისხლია”. გრძნობები ანიჭებს სათქმელს შთამბეჭდაობას: “ანთებული გრძნობით ავაკივლებ ცრემლებს თვალებში”, “ფარულ კოშმარებს ატირებდი სევდის მიწაში”.

ტ. გრანელის უსაზღვრო გრძნობები კოსმიურ ასპარეზს ეძებს, მისთვის გული “მსოფლიო ლერძია”, მსოფლიო ცენტრი, რადიუსი.

ემოციების, გრძნობების გაუკვდავების სურვილით ნაკარნახევი თქმებია: “არ მინდა გული სამარეს მივცე”, “მე ისევ ვეძებ გულისთვის საფლავს, მე ისევ ვეძებ მარადისობას”.

მაგრამ გამუდმებული წინააღმდეგობა გრძნობა-გონებას შორის პოეტს ტრაგიკულ პიროვნებად აქცევს: “ეს გრძნობა ისევ ებრძვის გონებას”, “გონება ისევ გრძნობას დანებდა”.

“მჭირდება სიტყვა, ვით წყალი თევზებს” ამბობდა პოეტი და იმ სიძნელეზეც მიუთითებდა, რაც ჭეშმარიტ შემოქმედებას სჭირდება: “ცრემლია სიტყვის იქით”.

პოეტი ცხოვრობდა სიტყვით, ფიქრით, (“ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ლექსია, “ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ფიქრია”) და ზოგჯერ შიში იპყრობდა უშინაარსო ყოფნის, პოეზიის გამო: “მაშინებს ყოფნა ყრუ ფიქრებში გამოხვეული” (“სონეტი”).

ტ. გრანელისთვის პოეზია სინამდვილის ნატურალისტური გადალება, რეალობის გამეორება კი არა, მისი გადასხვანაირება, ახალი სინამდვილე იყო, ფანტაზიით რეალურისმაგვარის გამოგონება, რის გამოც სიმბოლურად, პოეზიას სიზმარს, ზღაპარს უწოდებდა, წარმოსახვას კი — ზმანებას: “ჩემი შემოქმედება — დედამინის სიზმარი”, “თქვი: “პოეზია ეს ზღაპარია, თქვი: პოეზია, ეს სიზმრის ახსნა”.

“შემოქმედება — დედამინის სიზმარი — ეს განცდა, გააზრება და გაანალიზებაა მთელი ადამიანური სიცოცხლისა” (ა. უორდანია, “დრო და შემოქმედება”, თ. 1985, გვ. 120).

პოეტური გამონაგონის დაკავშირება სიზმართან, ზღაპართან ახასიათებთ ალ. ბლოკს, ბოდლერს, გალაკტიონს. ბლოკისათვის შემოქმედება “არამინიერი სიზმარია”, გალაკტიონისათვის “ოცნება-სიზმარი”.

პოეზიას მიემართება ტ. გრანელის “მოგონებების ცისფერი ქსელი”, “მოგონების მალლობი”, “მოგონების ლანდები”, “მოგონების თარეში”, “მოგონების ქარები”.

მხატვრული წარმოსახვის სახელია “ცისფერი ზმანება”, “საოცრების ლანდები”, “ლანდები ლურჯი სიზმარის”.

შთაგონება, პოეზია ეროსთან წილნაყარია: “შენ თვით ეროსი აგამღერებს ფერადი ჰანგებით”.

პოეზია დროის წარმავლობასთან დაპირისპირებაა, წამიერის გამარადიულება, უკვდავების გარანტია.

ტ. გრანელი პოეზიაში ეძებდა იდეალს, “უკვდავების ცისფერ მხარეში” ეგულებოდა თავისი ოცნება, “სხვა იმედები” აცოცხლებდა: “იქ მივალ, სადაც მუსიკა უკრავს, სადაც ცხოვრობენ სხვა იმედები” (მდრ. ბლოკის «Иная жизнь», «Надежды неземные»).

პოეტის ოცნების სიდიადე სიცოცხლეს მოითხოვს მსხვერპლად, მაგრამ ასეთი სიკვდილი მისთვის დასანანიც არაა: “მე ეს ოცნება ყოველთვის მსდევდა, არ ვეძებ სიკვდილს ასეთ ფიქრებთან”.

ტ. გრანელმა ასახა დროის წინააღმდეგობები, საერთოდ ცხოვრებისა და პოეზიის საბედისნერო გათიშულობა გვიჩვენა (“არ იქნება შველა ცხოვრების და პოეზიის შუა”, “ეს ცხოვრება ტალახია უფრო და ცხოვრება პოეზიას ებრძვის”).

ტ. გრანელის ლექსებში გამოხატულია გენიალობის სევდა, შემოქმედებითი სიხარული და ტანჯვა, ხელოვანის მარტოობა: “რიცხვი პოეტის წყნარი კენტია, ფიცი პოეტის — ცის ტრაგედია. დიდი პოეტი — ბედის მსურველი, ვარდი ყოველთვის — ბალის სურნელი”.

ხშირადაა მის ლექსებში მითითებული შემოქმედებითი წვის სიძნელე: “არის წამება და რაღაც მეტი”.

ტ. გრანელმა თვით მიგვიყვანა თავისი სევდის სოციალურ მიზეზებთან, როცა თქვა: “ახლა პოეტი თუ საწყალია, ბრალია ასეთ საშინელ დროის”.

ტ. გრანელი არ ეკუთვნის ლექსის მკეთებელთა, მხოლოდ ლექსის ტექნიკას დაუფლებულ პოეტთა კატეგორიას. მისი ლექსი “სისხლით და ცრემლით” იწერება, მისი წიგნი “სისხლის რვეულია”, ჭეშმარიტი შემოქმედება ხომ “სისხლის წვეთით ნაფერია” (გალაკტიონი), იგი ხომ “გულის სისხლს მოითხოვს საფასად” (კ. გამსახურდია).

ტ. გრანელის ინტერესი ნიცშესადმი ამ ასპექტში იხსნება. ნიცშე ამბობდა: “ყველა ნაწერებიდან მომზონს ის, რომელიც არის სისხლით დანერილი. და სწერე სისხლით, მაშინ გაიგებ, თუ რა არის სული” («Так говорил Заратустра», М. 1990 г. стр. 34).

ამიტომ ამბობს გრანელი: “ვკითხულობ ნიცშეს, სისხლით დაფერილს”.

ტ. გრანელის პოეზია “გულიდან სისხლის წვეთებით” ეხმაურება ნიცშეს, გალაკტიონს თუ კ. გამსახურდიას, საერთოდ, ყველა დროის დიდ პოეტს.

ტ. გრანელისათვის ჭეშმარიტი პოეტობა ნიშნავს ახლის დამკვიდრებას, “უვალი გზების” გაკვალვას, ახალი სიტყვის მიგნებას: “ნინ მიდის გზები უვალი” (“მწუხარე შუქი”), “ჩემი სიტყვა ძვირფასი, ჩემი სიტყვა ახალი”.

სიახლის შემოტანა კი სხვათაგან განმსგავსებაა: “გული სხვაგვარად უნდა ამღერდეს”, სხვებზე მეტის განცდა და დანახვაა: “ეს იყო მხოლოდ მეტის მოცემა, კორიანტელი ახალ დარდების”.

პოეტი ისწრაფოდა “ოცნების იქით”, “სულის გადაღმა”, “ლოცვის გადაღმა”, “საგნის გადაღმა” ანუ ჩვეულებრივ შესაძლებლობაზე ამაღლებისათვის, რასაც გოეთე “საკუთარ თავზე აღმატებას” უწოდებს, გალაკტიონი კი “ბედს იქით” გაღწევას.

ამიტომ არის გოეთეს, გალაკტიონის, კ. გამსახურდიასა და ტ. გრანელისათვის პოეტობა დემონურობა. “გალაკტიონში არის დემონი” — ამბობს ტ. გრანელი.

პოეტი მისთვის მისანიცაა: “ეს ფიქრი წავა ოცნების იქით და შენ გაჩნდები, როგორც მისანი”. (კ. გამსახურდიასთან კი გვხვდება “მენცარი”).

პოეტი მალარმეს, აკაკი წერეთლის, გალაკტიონისა და გრანელისათვის არის უნაზესი გედი.

გოეთესათვის პოეტი იყო “უზაკველ ბალლის მთრთლოვარე გულით”, გალაკტიონისათვის — “ზამბახივით უღრუბლო ბავშვი”, ა. ბლოკისათვის — «дитя добра и света», ტ. გრანელისათვის — “ბავშვი უფალი”.

ნიცშეს მიხედვით, ადამიანმა ჭეშმარიტ არსებობას რომ მიაღწიოს, უნდა იქცეს ბავშვად. ბავშვი ნიცშესთვის სიმბოლოა ახლის დასაწყისის, მოძრაობის, შემოქმედების, აღმშენებლობის, ყოფის დასაბამია. ბავშვი თამაშია, იგივე შემოქმედება. ღმერთის შემდეგ ადამიანი უნდა გახდეს შემოქმედი. მხოლოდ ასე მიიღწევა ჭეშმარიტი არსებობა. შემოქმედი აძლევს სამყაროს სახეს, შემოქმედება მარადიული ბრძოლაა, ომი სხვასთან და თავისთავთან. საბოლოოდ, ზეკაცი სძლევს ფათერაკებს და იღებს სიცოცხლეს (XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ. 1970. გვ. 36-37).

ნიცშე ინტელექტუალთა ერთად ცნობს სხეულის სასიცოცხლო ძალებს, დიონისურ მსოფლებანცდას.

ტ. გრანელის იდეალია ბოლომდე იყოს ბავშვივით უმანკო, წმინდა: “ანდა ცუდია განა — დავრჩჩ ბოლომდე ბავშვი?”

და, მართლაც, ბავშვია იგი, “უდროოდ მოკლული ბავშვი”, ბავშვივით უმნეოდ დარჩენილი ცოდვილი ქვეყნის პირისპირ: “ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე” (“გულიდან სისხლის წვეთები”); ქართან, ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებთან დაპირისპირებული ბავშვი: “ყოველთვის ბავშვი წამილო ქარმა”.

ტ. გრანელი “ბავშვი უფალი”, ანუ იგივე შემოქმედი ბავშვი: “თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი უფალი, არ ქროდა ქარი და უცხო ბალში მე მივდიოდი თავისუფალი” (“სიზმარი”).

ქრისტე შთააგონებდა მონაფეებს, რომ ცათა სასუფეველში შესვლა მხოლოდ ბავშვის უბინო სულით იქნებოდა შესაძლებელი (მათე, 315,2).

ტ. გრანელისათვის ბავშვი შემოქმედებაც არის და თავისუფლებაც.

ამასთან, ტ. გრანელი ბავშვია ზნეობრივი სიწმინდის, გულუბრყვილობის, არაპრაქტიკულობის, სათნოების, სულიერი სინათლისა და შეურყყნელი ბუნების გამო: “სული ნაზია და სული წმინდა, როგორც ქალალდი დაუნერელი”. იგი ამავე დროს არის “ადამის ძეც”: “შეიძლება მე ადამის ძე ვარ, ვგრძნობ საშინელ და უცნაურ ძალას”.

პოეტი მზეა, სიბნელეში ანთებული: “მე მაშინ მოველ — მზე ანთებული, როცა მოჰქმედნენ ხმები სხვა ზარის, როცა საღამო დამშვიდებული იდგა სივრცეში ლურჯი ზღვასავით”.

პოეტი ანგელოზია სწორედ პოეზიის, მშვენიერების, სიწმინდის ძალით: “და ანგელოზი ჩემს სულში ცხოვრობს”.

პოეტი ერთადერთია უზენაესივით: “პოეტი არის ყოველთვის ერთი, პოეტი არის ყოველთვის ღმერთი”, ამბობდა ტ. გრანელი და მთელი მისი ცხოვრება იყო გამუდმებული ძიება ღმერთის, პოეზიის ღმერთის, მიახლოება ღვთაებასთან.

ტ. გრანელთან პოეტური თეოზის უკავშირდება სიყვარულსაც: “შენ თვით ეროსი აგამღერებს მზიურ ჰანგებით”, მისი ძალის-ხმევა ღმერთამდე ამაღლებისათვის ისეთი შეუპოვარია, როგორც დანტეს, რუსთაველის, გოეთეს, გამსახურდიას, გალაკტიონის შემოქმედებაში.

სიმბოლურ-მეტაფორულია ტ. გრანელისეული პოეზიის გააზრების გზა.

პოეზიის სიმბოლოა მისი “სიმბოლიზმის მწვანე ყვავილები”, “სიჩუმის ყვავილები”.

“სევდის ბალში” აყვავებული ია, ვარდი და მიმოზებიც პოეზიის მშვენიერებაა: “და სევდის ბალში ისევ აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები”.

პოეზიის მშვენიერებასთან კავშირზე მიუთითებს ფრაზა: “მიმაქვს ეს ჩემი ძვირფასი წიგნი, მიმაქვს ეს გული და ხრიზანთემა”.

პოეზიის სიმბოლოა გემი: (“ზღვიდან იძახის გემი”), ნავი (“ფიქრის ნავი”), “ცრემლის რაში” — “და ცის სივრცეში ლაჟვარდს ვაპობ ცრემლიან რაშით” (“სონეტი”), “წითელი რაში”, “ჩქარი რენე-სანსი ხელოვნებისა და წითელი რაშების თეთრი ზმანება” (“ჩვენი მიზანი”).

ღვთაებრივი მშვენიერების ძიებაზე მიგვანიშნებს: “ცისფერი ქვეყანა, ცისფერი ბალი, ცისფერი სივრცე, ცისფერი სევდა, ცისფერი თოვლი, ცისფერი ყინვა”.

“უცხო ნაპირი” ახლებური პოეზიის ნავთსაყუდელია, საითკენაც ისხრაფვის მისი ოცნება”: “ლურჯი ოცნება თვალწინ მიშლის უცხო ნაპირებს” (“სონეტი”), “ფიქრი ჩადგა ქარივით შემოდგომის ნაპირთან”.

სხვაგან ხელოვნება “ბროლის არმაზია”: “სისხლიან მკერდით აიტანე ბროლის არმაზი” (“ფიროსმანაშვილს”), ან: “აკანკალდა არმაზი უნაზესი გამმაზე”.

პოეტის სიდიადე პირამიდის სიმაღლესთანაა ასოცირებული: “პოეტს გარინდებულს, როგორც პირამიდა, ზარების ტირილში გრიგალი გამაფრენს”.

ტ. გრანელის პოეზია ვერ წარმოიდგინება შორეული მხარის, სხვა მხარის, გამოუცნობის, დაუკამაყოფილებლობის, უსაზღვროების, ოცნების, თავისუფლების, ბედისწერის, ადამიანის შინაგანი არსებობისადმი მომეტებული ინტერესის გარეშე.

ტ. გრანელი ბოლომდე რჩება პოეზიაში რომანტიკის ერთგული, თანაც მისთვის უცხო არაა ფილოსოფიური მისტიციზმი, ასე რომ გვაქვს რომანტიზმის ნიშნებიც (იხ. ლ. ალიმონაკი, “ტ. გრანელის პოეზია”, “ცისკარი”, 1971 წ. 7, გვ. 105).

ტ. გრანელს იზიდავს შორეული ნიუანსები, შორეული იღბალი, შორეული მიზანი, სიშორის ცეცხლი; შორეული წერტილი, შორეული ვარსკვლავი, შორეული სამყარო, ცისფერი სიშორე, შორეული ალები, შორეული ფიქრი, ახლო და შორი.

“ისევ შორეულ საგანს ვითვისებ, შორს დაჰქრის სული დაუცხომელი”, “შორეულ და მარადიულ სამყროსთან ახლობელი კავშირი” — ასე იახლოვებს და ითავისებს შორეულ საგნებს ტ. გრანელი.

ტ. გრანელს ახასიათებს ცხოვრების კონტრასტების ხილვა: მინა და ცა, ცისფერი და შავი, შავი და თეთრი, ვარდისფერი და შავი, უდაბნო და ლავუარდები. ამასთან უცხო არაა მათი შეთავსება: სიჩუმის ქარი, სიჩუმის გრიგალი, უხილავი ქარი, მწუხარე შუქი, ელვარე სევდა, უდაბნოს ყვავილები.

მისი ლირიკის ნიმანდობლივია აბსტრაქტულობა, “რაღაც, სადღაც, ვიღაც”, იდეალისა და სინამდვილის დაცილება, ოცნება უხილავზე, მიუწვდომელზე, “გაფიქრება შეუძლებელის”.

“მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი”, “მინდა ვარსებობდე ყველგან”, “მსურს სამყარო მეკავოს”, “და მინდა ყოფნა იქაც და აქაც” — ასეთი უკიდეგანოა მისი სურვილები.

ტ. გრანელი მაღალი ეთიკის, ჭეშმარიტი ალტრუიზმის, “წმინდა წამების” მატარებელი პოეტი იყო, რომელიც ბოდლერივით, გალაკტიონივით მთვრალი იყო მარტოობით, მწუხარებით, “ჯავრით”, პოეზიით, ცრემლებით.

ტ. გრანელის სიმბოლიზმთან კავშირს ნათელყოფს მისი წერილები და მხატვრული სამყარო.

სიმბოლიზმი მისთვის, უპირველესად, ევროპული მოდერნიზმია, ახალი ხელოვნების გზები. ამასთან, არ წყვეტს პოზიტიურ ტრადიციებთან კავშირს და ყოველთვის რჩება “სილამაზის, სიმშვენიერისა და ჭეშმარიტების” მსახურად, მის უპირველეს მისიად რჩება “ბოროტების მორევში გადავარდნილი ადამიანების” გაკეთილშობლება.

თეორიულად ტ. გრანელი “წმინდა პოეზიას” ემხრობა, მაგრამ არასოდეს უგულებელყოფს რეალობას, მისი ლექსები “დროს მისდევს”.

პოეზიაში ახალი გზების ძიების, ცხოვრების წვრილმანებით დაკინებული ადამიანების ამაღლების სურვილმა, პოლიტიკური ცხოვრებით უკიდურესი გატაცების გამო მშვენიერების უგულებელყოფამ აქცია ტ. გრანელი “წმინდა ხელოვნების” მიმდევრად: “ამ ახლად დაარსებულ წრის უახლოესი მიზანია ძიება ახალი გზის და ახა-

ლი მიმართულებისა ხელოვნებაში, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში წმინდა ხელოვნების აღორძინებას. დღეს, როცა პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემა ეგრე მაგრათ სცემს და ყოველდღიურ წვრილმან საკითხებში ჩაფლულია ადამიანის გონება, სწორედ დღეს არის საჭირო, რომ ხელოვნების ცხოველმა შუქმა გაანათოს ჩვენი ცხოვრების ბრელი კუნძულები, აამოძრაოს ადამიანების შემოქმედება და თვალწინ გადაუმალოს საუცხოო სურათები სილამაზისა, სიმშვერიერისა და ჭეშმარიტებისა. უნდა მძლავრად ამეტყველდეს ჭეშმარიტი ხელოვნება, თორემ ლამის ადამიანი მხეცად იქცეს უმაღლეს განცდათ მოკლებული და ბოროტების მორევში სავსებით გადავარდნილი” (ტ. გრანელი, “ჩვენი მიზანი”, გაზეთი “ია”, 1919 წ. 1).

“წმინდა ხელოვნება” უფრო დააკონკრეტა შემდეგ ტ. გრანელმა და სიმბოლიზმი მიიჩნია შაბლონთან ბრძოლად, ქართული პოეზიის რენესანსის გზად, წითელ რაშების გაქანების ასპარეზად, უხილავი სახეების, ახალი ფერების ძიებად, მზისკენ, ცისკენ სავალ გზად, მარადისობასთან შერწყმად: “სიმბოლიზმის ჯადოსნური ცეცხლის ალი მოედო ძველ შაბლონურ პოეზიას. დაიწყო ჩქარი რენესანსი ხელოვნებისა, რომლის სწრაფი გაქანებით იბნევა ბრილიანტებით შემოსილი ლანდები და წითელი რაშების თეთრი ზმანება. ამიერიდან ჩვენ არ შეგვანუხებს ძველი დახავსებული პოეზიის მკრთალი ფერები. დღეს ალურ ფრთებით ვეშვებით ახალ სამყაროში, სადაც უხილავი სახეების ჩუმი თამაშია გამეფებული...

ჩვენ არ გვაშინებს სივრცის უსაზღვროება, არც პატარა კაცუნების პრიმიტიული იერიშები. ჩვენ უკვე თეთრი სამოსით დავიწყეთ ჯირითი იქ, სადაც იზრდება სიმბოლიზმის მწვანე ყვავილები. ჩვენ დავტოვეთ სინამდვილე, დავგმეთ შავი წარსული და ახალ ფერებთან დავიწყეთ ვრცელი საუბარი. დღეს ჩვენს წინაშე იშლება ახალი ქვეყნის მუქი სურათები, რომლის მშვენიერი სანახაობა მეტად გვაძრმავებს.

ფერად კრიალოსნებით და მზის ნათელ ელვარებით მოსება ჩვენი სავალი გზა. ოცნება ამაყია და ციურ ბგერებში იფერფლება ყვითელი აღმურით. არ გვანუხებს სიკვდილის შიში. ჩვენი უახლოესი მიზანია შევქმნათ მარადისობა და უტეხი სხეულით მივეგებოთ ყოველგვარ საშინელებას.

სული ჩვენი ჩქარია და შეუკავებელი.

გვიყვარს ქანაობა უმაღლეს ლიცენციაში” (ტ. გრანელი, “ჩვენი მიზანი”, გაზეთი “ია”, 1919 წ. 1).

წერილში “დაისები” ტ. გრანელი ხაზს უსვამს ვ. გაფრინდაშვილის ორიგინალობას, განსხვავებულ ტალანტს, სიახლეს. წერილის ავტორ გულისტკივილით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ “ბევრს არ ესმის სიმბოლისტური ლექსების მნიშვნელობა. დიდი გაუგებრობა და ყალბი წარმოდგენაა ჩვენში სიმბოლიზმზე. ორიგინალობა ახ-

ლა სიცილს იწვევს საქართველოში, მაგრამ ამას მომავალი გაამართლებს” (იქვე, გვ. 399).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისადმი მიძღვნილ წერილში ტ. გრანელი ემხრობა სახის სინთეტურობის პრინციპს, მოსწონს “ლურჯა ცხენების” დინამიკა, ასონასები: “გ. ტაბიძეს უყვარს მუსიკის და განცდის ერთმანეთთან შეხამება, რომლის სინთეზში ადამიანს ძალუდს ემოციონალურ და ესთეტიკურ გრძნობის დაკმაყოფილება. გალაკტიონმა ნახა თავისი სახე, სახე მეტად ძლიერი და პოეტური ბუნებით აღჭურვილი. სხვა ლექსებს თავი რომ დავანებოთ, “ლურჯა ცხენები” შედევრია, რომლის ვრცელი დინამიკა უმაღლეს წერტილს აღწევს. აგრეთვე, ასონანსებს მის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, რომელსაც უმაღლესი პრეროგატივა ეძლევა ახალ პოეზიაში”.

“გალაკტიონი ვიწრო ყალიბებში არ თავსდება, იგი თავის შეუკავებელ სულით ლიცენციისკენ მიისწრაფვის და აქ იშლება მისი პოეტური სახის უზენაესი ატრიბუტები.

...გალაკტიონმა დაიმსახურა წმინდა პოეტის სახელი. მან იცის თავისი დანიშნულება და ჩვენ ვფიქრობთ, მომავალში იგი სავსებით დაიკავებს იმ ხაზს, რომლის წიაღში პოეზიის აბსოლუტური გამარჯვება აუცილებელი იქნება” (ტ. გრანელი, გაზეთი “ახალი ნაკადი”, 1920 წ. 4).

ტ. გრანელს სიმბოლიზმთან აახლოებდა ყოფნის სიზმარეულობის განცდა: “ეს ცა, ეს ყოფნა ხომ სიზმარია”, “ყველამ თქვა, ყოფნა რომ სიზმარია”, “ეს ქვეყანა — სიზმარეთი”.

ნიღბების, ცისფერი პარიკების სიყვარულიც სიმბოლიზმის გავლენას მოწმობს: “უეჭველია ახლა ნიღაბი”, “მე ვატარებ ანგელოზის ნიღაბს”, “თითქოს მქონდა შავი ნიღაბი”, “როგორც ცისფერ პარიკებს, ღამე ფიქრებს არიგებს”.

სათქმელის ბოლომდე გაუმჟღავნებლობის, ბუნდოვანების პრინციპიც სიმბოლისტებთან სიახლოვეში გვარნზეუნებს: “...ჩემს დანისლულ ლექსებიდან სტრიქონები” (“სიკვდილის შემდეგ”).

სიმბოლიზმის კეთილისმყოფელი გავლენის შედეგია “სიჩუმის ყვავილები”, “უდაბნოს ყვავილები”, “სიჩუმის ქარი”, სიმბოლისტური ფერები.

მუსიკისადმი განსაკუთრებული სიყვარულიც არ ყოფილა შემთხვევითი. როიალით, გიტარით, სკრიპკით, არღნით (მაგრამ ებრძოდა “ყალბ არღნებს”) გატაცებული პოეტი თითქოს მუსიკით ცდილობდა სამყაროს გადასხაფერებას, სიკვდილის გაადვილებას: “სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას და ასე სიკვდილი ახლა ადვილია”. ტოტალურია მის პოეზიაში “მუსიკის გრიგალი”.

ტ. გრანელისათვის უცხო არც სინთესთეზიური წარმოდგენები იყო: “და თვალებში გაისმის ღამეების ხმაური”, “ფიქრში უიმედო ხმები გადადიან, როცა სიშორეზე ტირის როითალი”.

განსაკუთრებით საინტერესოა მის პოეზიაში სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპის გამოვლენა. ამ მხრივ, ძალზე დიდ მასალას მოგვცემს ქარის, ვარდის, ნისლის, ღამის, ყორნის სიმბოლიკა. ასევე თავისი გამოვლინდა მის პოეზიაში დუმილის პრინციპი, რომელსაც მრავალგვარი ქვეტექსტი აქვს და ამ ცნების შემოქმედებითი გაგების ნიმუშია.

“უვალი გზების” გაკვალვა პოეტური თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ ელტვის ტ. გრანელი ადამიანურ და პოეტურ თავისუფლებას, უკუაგდებს ტრაფარეტს, შაბლონს, ეძებს “ახალ ფერებს”, “ახალი ქვეყნის სურათებს”, ანიავებს დაკანონებულს: “წითელი რაში ანიავებს მენამულ ნალებს”.

ტ. გრანელი თითქოს გამუდმებულად უფლის თვალის წინაშე იმყოფება, ღმერთთან აღავლენს ლოცვებს, მართავს მასთან “დალოგს” და მისტიკური ექსტაზის გზით მის ხილვას ლამობს: “...ეს ცა მაშინ სხვა იყო, ამ მალლობზე ველოდი ქრისტეს გამოცხადებას, შემდეგ თეთრმა სიჩუმემ ის იმედი წაიღო”.

ღვთაებრივი ექსტაზით “საღმრთო ნისლში” შეღწევის, გამოცხადების სიბრძნის რნმენა დღიონისე არეოპაგელის მიხედვით, მიწიერი სურვილებისაგან განძარცვით, ზნეობრივი სიწმინდით მიიღწევა.

ტ. გრანელის მისტიკური ექსტაზი სხვა არაფერია, თუ არ მხატვრული სიტყვის, მშვენიერების საუფლოში შეღწევა საკუთარი ძალისხმევით, რაც მისი პოეტური თეოზისის პირობაა.

“ფარულის, საიდუმლოების, იდუმალის” ცნებების მომძლავრება სიმბოლიზმთან კავშირს მონაბეჭდს, რასაც პოეზიის განდობილთა საქმედ, ეზოტერულობად გამოცხადებისკენ მივყავართ (მდრ. ბლოკი — «ВО МНЕ ПОТАЕНОЕ ЗНАНИЕ»).

სიმბოლიზმისადმი ინტერესის გამოხატულებაა ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა სახელები ტ. გრანელის პოეზიაში: “სტეფან მალარმეს მაგონდება თეთრი წიგნები”, “ვიწყებ ლექსის წერას და ვხურავ ბლოკის წიგნს”, ბლოკის სტრიქონების ეპიგრაფებად გამოიყენება.

ტ. გრანელს ახასიათებდა “სიახლისკენ სწრაფვა”, არ ასვენებდა “კორიანტელი ახალ დარღების” და მისათვის დიდი სტიმული იყო ედგარ პოს იდუმალი პოეზია, მისი ყორანი: “თითქოს მესმოდა ყორნის ჩხავილი, წინ იშლებოდა გზები უვალი, ხელში მეჭირა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი”. ასევე ქართველი პოეტისთვის მახლობელი იყო სიკვდილსა და სიღამაზესთან დაკავშირებული ქალის — ლენორას სახე ედგარ პოს პოეზიიდან.

ასეთივე გატაცების საგანი იყო მისთვის შარლ ბოდლერის პოეზია, მისი „ალბატროსი“, რომელშიც ზეცაში მონავარდე პოეტისა და სინამდვილის შეუთავსებლობაა. გრანელის „უდაბნოს ყვავილები“ ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“ თავისებური ნერგია.

ბოდლერი თავის „ბოროტების ყვავილებს“ სატანასთან, ცოდვებთან წილნაყარი წერდა, ტ. გრანელი კი ტკივილით, ცრემლით განამებულებს მიმართავდა: „და ვესალმები იმ ადამიანს, ვისაც ცრემლები ღოყას უსველებს“ (შდრ. სტეფან მალარმე: „და დავითვრები სამუდამოდ სევდის სურნელით“ (სტეფან მალარმე, „მოჩვენება“, ლექსები და პროზა, თბ. 1979 წ. გვ 21).

შემოქმედებით მარტოობაზე, გენიალობის სევდაზე კველა დიდ პოეტს უწერია, ტ. გრანელთან პირდაპირ მღალადებელია ბედისწერით განჩინებული მარტოობა: „რიცხვი პოეტის წყნარი კენტია. ფიცი პოეტის — ცის ტრაგედია. ბედი ყოველთვის არის სპეტაკი, დიდი პოეტი გრიგალს ეძახის“.

აშკარაა ტ. გრანელის პოეზიაში სიმბოლიზმის წინამორბედებთან შეხმანებაც და გამოთხოვებაც. როცა ქართველმა პოეტმა საკუთარი გზები იპოვა, მასნავლებლებს განუდგა: „ერთ დროს მიყვარდა მხოლოდ ბოდლერი და მე ვეძებდი მაშინ სხვა ოთახს“, „მაგრამ ედგარი არ ჩერდება, მიდის ლანდებით“.

მაგრამ ტ. გრანელი მაშინ უკვე „შემოღამებას“ ჰგავდა, მის იშვიათ ნიჭს არ ეწერა სრულყოფილი გაშლა.

უნდა აღინიშნოს, რომ სიახლის მაძიებელი პოეტი გადაჭარბებულად აფასებდა ქართული ეპიგონური სიმბოლიზმის ესთეტიკურ მიღწევებს.

ამასთან, ტ. გრანელისთვის უცხო იყო ნიპილიზმი ტრადიციებისადმი. პირიქით, ილიას, აკაკის, ბარათაშვილის, ვაჟას, გალაკტიონის პატივისცემით ხსენება, დიდი სულიერი სიახლოვე „დ. გურამიშვილის დაქენძილ სულთან“ (ა. უორდანი) ნათელს ხდის, რა ძვირფასი იყო მისთვის ქართველ კლასიკოსთა სახელები.

წერილში „მაშვრალი მგოსანი“ ნათლად ჩანს მისი პოლიტიკური მრნამსი, სიყვარული მშობელი ხალხისადმი, დემოკრატიული პოეზიის მხარეზე დგომა (გაზ. „ახალი ნაკადი“, 1919 წ. 15).

ტ. გრანელისათვის მახლობელი იყო იმპრესიონისტული მსოფლგანცდაც, რაც გამოიხატება ფერებისადმი, შუქრიდილებისადმი, მინიშნებებისადმი ინტერესში. იმპრესიონისტული ხილვის სილამაზე, წუთიერების კულტი, არსებითი დეტალების აქცენტირება, თემის ვარიაციული დამუშავება, ფერწერული ტონის წინ წამონევა, ნისლოვანება ტ. გრანელის მრავალ ლექსს იმპრესიონიზმთან აკავშირებს ზის. ამაზე ლაურა სორდია, „უცნობი სფინქსი“, სოხუმი, 1992, გვ. 209-218).

მაგრამ რა პრინციპიც არ უნდა გამოვლენილიყო მის შემოქმედებაში, ყველაფერი გლოვით, სევდით იყო შეფერილი: “ნისლივით მიმაქვს ცისკენ გლოვა ჩემი და სხვისი”, “და ჩემი მწუხარე სული მსგავსია დათოვლილ სანთლის”, “დროა გრიგალმა მაღლა აგნიოს, როგორც ოცნება დიდი ნალველის”, “ჩემი ოცნება შეირჩევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით”, “ჩუმად სძინავს გულს ტყეში სევდის ლურჯი ოდებით”, “და ჩემი სული თეთრ ლოცვებში დატეხილი გლოვის ხაზებად”.

ტ. გრანელი მექანიკურად კი არ ითვისებდა რომანტიზმის, სიმბოლიზმის თუ იმპრესიონიზმის დოგმებს, არამედ მის არსებაში იმანერტურად არსებული შემოქმედებითი პოტენცია ბუნებრივად თანხვდებოდა ამა თუ იმ მიმდინარეობის მოთხოვნებს და მისი მიმართება ამ პრინციპებისადმი ყოველთვის შემოქმედებითი იყო, მისი სახეები ყოველთვის განუმეორებელი, ნიჭითა და ტკივილებით დაღდასმული და დაუვიწყარი.

ეკლესიასტე შეგვაგონებს: “ბრძენთა ფიქრები გლოვის სახლშია, უგუნურთა ფიქრები — მხიარულების სახლში” (7,4).

რაინერ მარია რილკე ამბობს: “არასოდეს დაივიწყოთ, რომ მე სიმარტოვეს ვეკუთვნი. მთელი ჩემი ძალაც ამ განდგომილებიდან იბადება. ვემუდარები ყველას, ვისაც ვუყვარვარ — უყვარდეს ჩემი მარტოობა” (“წერილები”).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ტირის ადამიანი, ტირის ირემი, შვლის ნუკრი, ტყე, ქუჩი, “ფიქრი მგლოვიარეა”, უშრეტ ღვარად დის ცრემლი სინანულის, განნებენდის და სწორედ ეს ღვთიური ტირილია ანგელოზად ქცევის საწინდარი: “ვისაც არ მოგწონთ ტირილი, ის ნუ დაჯდებით ჩემთანა. მტირალის სტკირის პატრონი ფეხს როგორ გავწვდი თქვენთანა, მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა” (“სიმღერა”).

ამ კონტექსტში უნდა გავიგოთ ტ. გრანელის გლოვა და ცრემლი.

ბიბლიური სიმბოლიზმის გზა

ტერენტი გრანელის ურთულესი შინაგანი მე დაკნინებულ რეალიზმს კი არა, “ზერეალიზმს”, “შეფარვით ნათქვამ სიტყვას”, ენიგმურ სახეებს, სიმბოლოს, მეტაფორტას, პარაბოლას, იდუმალს, საიდუმლოს, მრავალიშნადობას მოითხოვდა.

მისი სულიერი ინდივიდუალობისათვის ორგანული იდუმალი მეტაფორების, სიმბოლოების, იგავების წყაროების ძიებას არა მხოლოდ რუსულ და ევროპულ სიმბოლიზმთან, არამედ ბიბლიისათან, ანტიკურ და ადრეერისტიან მოაზროვნეებთან, აპოლოგეტების სიმ-

ბოლიზმთან, ეგვიპტელ ქურუმებთან მივყავართ, რადგან ეს პოეტი ყოველთვის მოვლენათა გულისგულს, ძირისძირს ეძებდა, ყოველ სიმბოლოს პირველწყაროში იცნობდა და, ამასთან, ყველა სახეს ახლებურ, თავისებურ ჭრილში გაიაზრებდა.

“მრავალსახედ დაბეჭდილი”, “ფარდის მიღმა განჭვრეტილი ჯეშმარიტება”, “შეფარვით ნათქვამი სიტყვა” ჯერ კიდევ ალეგორიზმისა (ფილონ ალექსანდრიელი) და ქრისტიანული სიმბოლიზმის წარმომადგენლებს (კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი ავგუსტინე, გრიგოლ ნოსელი) იზიდავდათ, რადგან იგი მისაწვდომია მხოლოდ ხელდასხმულთათვის და არა ბრძოსთვის.

ქართველი პოეტები — გალაკტიონი და ტერენტი გრანელი ამოდიოდნენ მითოლოგიდან, ბიბლიიდან და ბიბლიის შემქმნელებივთ, სულინმინდასთან ნაზიარებ სულს აუკვდავებდნენ.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი.

ეგვიპტური, ებრაული (წინასწარმეტყველთა) და პითაგორეული სიმბოლიზმი კლიმენტი ალექსანდრიელის მიერ აღიქმებოდა, როგორც შეგნებული გნოსეოლოგიური მიზანდასახულობა.

დიონისე არეოპაგელისათვის სიმბოლო იყო ზოგადფილოსოფიური, რელიგიურ-გნოსეოლოგიური კატეგორია.

არეოპაგელი გამოყოფდა ჭეშმარიტების მიწოდების ორ საშუალებას: ერთი გამოუთქმელი და საიდუმლო, მეორე — ცხადი და ადვილად შესამეცნებელი. პირველი სიმბოლური და მისტიკურია, მეორე — ფილოსოფიური და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი... ძველი დროის ბერძენი “იდუმალ და თამამ მარაგით — ზრახვას” მიმართავდნენ, ამ “მარაგით-ზრახვაში” ერთმანეთში მჭიდროდ იყო გადახლართული გამოუთქმელი და გამოსათქმელი...

სიმბოლო “ზეშთაარსობრივი სულიერი სინათლის” წვდომის გზა იყო, მას ახასიათებდა არაცნებითი ინფორმაცია, “სილამაზისა და სინათლის ფორმით” ჭეშმარიტების ძიება.

სიმბოლოსადმი, სიტყვისადმი ასეთი დამოკიდებულება (რომელიც შეივსო სხვა პრიციპებითაც) თავიანთ ესთეტიკას საფუძვლად დაუდეს მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპელმა და რუსმა სიმბოლისტებმა.

ბიბლიური ტექსტის კომენტატორები მასში სხვადასხვა აზრობრივ მნიშვნელობას გამოყოფდნენ (ორიგენი — სამს, ავგუსტინე — ოთხს, ტერტულიანე — მეტს).

ორიგენი ბიბლიაში სამგვარ მნიშვნელობას პოულობდა: “ზედაპირულს, პირდაპირი მნიშვნელობის, “სხეულებრივი” აღქმისათვის მისაწვდომის, “სამშვინველისათვის” (სულისთვის) გათვალისწინებულს და ყველაზე ღრმა სულისთვის განკუთვნილს. ტექსტების მეორე და მესამე ჯგუფის დამახასიათებლად მიჩნეულია სიბნელე, იდუმალება და მოჩევენებითი უაზრობა. ორიგენის აზრით, ტექსტში

საჭირო იყო “უცნაურობანი”, “დაბრკოლებათა ქვები,” რომ მკითხველი მათ ფარულ აზრზე დაიფიქრებულიყო.

სახისა და სიმბოლოს ახალ გაგებას ავითარებს გრიგოლ ნისელი, რომელიც აგრძელებს კლიმენტი ალექსანდრიელისა და ორიგენის ტრადიციებს.

IV-V საუკუნეებში ძლიერდება ნეოპლატონიკოსებისა და ქრისტიანების ინტერესი სიმბოლოსადმი.

ასეთი შორეულია რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის წყარო და უეჭველია, ტერენტი გრანელი ამ წყაროს რომელიმე უცხოელი წინამორბედის ან თანამედროვის გზით კი არ ეცნობა, არამედ მისი უმუალო მამამთავრებისგან.

“სიმბოლიკური ფორმა ოსტატურად ფარავს ჭეშმარიტებას, რომ ამ დაფარვით საჩინო ჰყოს და იდუმალებით გაამჟღავნოს იგი” (გრამატიკოსი დიდიმი).

ბუნების, სიტყვის იდუმალების გაფეტიშება იმპერატორ იულიანეს ჰიმნი “ღმერთების დედოფალს”: “ბუნებას უყვარს იდუმალყოფა. იგი არ გამოაჩინებს თავის არსებას უწმინდურ ყურთათვის გადაგდებული პირდაპირი სიტყვით. შეუცნობელი და იდუმალი ბუნება იმისთვის შეიქმნა, რომ იგი სიმბოლოთა მეშვეობით გამჟღავნდეს. რაც უფრო პარადოქსული და უცნაურია ენიგმა, მით უფრო გვიდასტურებს იმის აუცილებლობას, რომ ვირწმუნოთ არა ის, რაც სიტყვით არის გაცხადებული, არმედ ის, რაც იდუმალყოფილია”.

“სიტყვის განზრას დაბნელებას”, რაც ვალერი ბრიუსოვს სიმბოლისტური პოეტიკის არსებით ნიშნად მიაჩნია, გალაკტიონი და გრანელი სრულიად შეგნებულად მიმართავდნენ.

ისინი თავიანთი ლექსებიდან ყოველთვის უკუაგდებდნენ რიტორიკას, მჭევრმეტყველებას, უსაგნო პათეტიკას და სიმბოლურ-მეტაფორულ სახეებს ანდობდნენ ღრმააზროვანი ჩანაფიქრის გამოხატვას.

უეჭველია, მათი სიმბოლოებისა და მეტაფორების გნოსეოლოგიური ფუნქცია.

ტერენტის ყველა სახე მის მსოფლმხედველობას უკავშირდება. მისთვის პოეზია არის — “იდუმალება, უსაზღვროება, მარადისობა”.

მისი უმთავრესი ეპითეტებია “ჩუმი, ფარული, იდუმალი”. ზოგჯერ ბოლომდე გაიდუმალებული და გასაიდუომლოებულია მთელი რიგი ხილვები. სიმბოლო და საიდუმლოება მისი “იდუმალი ქვეყნის” უპირველესი ემბლემაა.

ნებისნიერი მკითხველი პოულობს მის პოეზიაში “მრავალნიშნად ადგილებს”, “დაბრკოლებათა ქვებს”.

აშკარაა, ბიბლია, მითოლოგია, ძველი და ახალი ქართული კლასიკური პოეზია იყო, უცხოურ მოდერნიზმთან ერთად, მისი “სულის მზრდელი”.

როგორც სულინმინდისგან ხელდასხმული პოეტი, ის ორიენტირებული იყო ზეციურ, მარადიულ სიბრძნეზე.

მისი სიმბოლოების, იგავების, მეტაფორების პირველწყაროების ძეგა სარწმუნოს ხდის, რომ ის ბიბლიურ წინასწარმეტყველებს უახლოვდება.

ქართული პოეზიის რენესანსი სიმბოლისტებმა იწინასწარმეტყველეს და მომავალი დიდი ხელოვნება რუსთაველისა და მალარმეს (ზოგადად ტრადიციებისა და მოდერნიზმის) სინთეზად დასახეს.

ამ იდეას ხორცი პრაქტიკულად გააღარიონმა და გრანელმა შეასხეს, ამასთან, ეს სინთეზი კლასიკური უნივერსალიზმის მიღწევაა უმაღლეს დონეზე.

სიმბოლიზმის პრინციპებიდან გრანელმა გაიზიარა სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელობის, სიტყვის მუსიკალობის, სახეთა სინთეზურობის, დუმილის პრინციპები. მისი სიმბოლიზმი “შაბლონის” უკუგდებას, სიტყვის მაღალი კულტურის მიღწევას ემსახურებოდა და შერს იყო დეკადენტობისაგან.

პოეტი ახსენებდა “წმინდა პოეზიას”, მაგრამ ეს არ წიშნავდა ხალხის ინტერესების იგნორირებას, რაზედაც მიგვანიშნებს მისი ლექსების დემოკრატიული ხასიათი, რეალისტური ტენდენციები.

ტ. გრანელის პოეტური ბუნების შესაფერი აღმოჩნდა სახის სინთეზურობის პრინციპი და იგი მრავალ საოცარ ფერს წვდა: გარდისფერი ოცნება, ცისფერი ოცნება, ცისფერი სიკვდილი, ცისფერი სინათლე, ცისფერი თოვლი, თეთრი სული, თეთრი იმედი, თეთრი ლოცვა, თეთრი საათი, ფერადი ცრემლი, ლურჯი სიზმარი, მწუხარების ლურჯი რკალები, ლურჯი სურნელი.

ტ. გრანელის ჯადოსნური თვალი თითქოს სულსაც ხედავდა: “მე თითქოს ვუმზერ და თითქოს ვხედავ შენს სულს, ტანჯვისიგან გასპეტაკებულს” (მდრ. მარკუს ავრელიუსი: “მიიქეც შენივე სულის ჭვრეტად” — მარკუს ავრელიუსი, “ფიქრები”, თბ. 1972. თავი VII, გვ. 185).

ტ. გრანელისთვის ძალზე მახლობელი იყო სიტყვის მუსიკალობის პრინციპი. ტოტალურია მის პოეზიაში როიალის ხმები, ბეთბოვენის გრძნობა, “მუსიკის გრიგალი”. მუსიკით სიკვდილის გაადვილებას ცდილობდა პოეტი: “სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას და ასე სიკვდილი ახლა ადვილია”.

პოეტს ესმოდა ცრემლის შრიალი, ფიქრის შრიალი, ფიქრის რხევა, ფიქრის კივილი, გულის ტირილი.

შემოქმედებითი იყო ტ. გრანელის დამოკიდებულება ეროვნულ-ევროპული სიმბოლიზმისადმი, ოლონდ, იგი უფრო არაკრიტიკულად ეკიდებოდა ქართულ სიმბოლიზმს, აფასებდა და შემოქმედებითად იყენებდა კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს.

ის სიზმარს, ზღაპარს უკავშირებდა პოეტურ გამონაგონს, ამასთან მას ახასიათებდა ყოფნის სიზმარეულობის განცდა.

მისი ძების მიზანია შემეცნების ახალი საფეხურის მიღწევა, ახალი ესთეტიკური კულტურის შექმნა.

არსებობს სიახლის სამგვარი გაგება: სიახლის სუბიექტური განცდა ანუ ფსიქოლოგიური სიახლე, სიახლე რომელიმე კულტურული რეგიონის მასშტაბით და ობიექტური სიახლე, მსოფლიო პოეტური კულტურის პირველმინალნევარი (ოთარ ტაბიძე, “შემოქმედების არსი”, თბ. 1981, გვ. 33).

სიახლისკენ სწრაფვაში დაუცხრომელია ტ. გრანელი: “ახალი გზები”, “ქეყყანა ახალ მზეს ელოდება”. მისთვის ორგანულია საკუთარი პოეტური ძლიერების ასეთი განცდა: “მე მაშინ მოველ, მზე ან-თებული, როცა მოჰქროდნენ ხმები სხვა ზარის”.

ტ. გრანელი მიელტვის პოეზიის შემოდგომას, მის მდიდარ ნაპირებს: “ფიქრი ჩადგა ქარივით შემოდგომის ხაპირთან”.

შტ. ცვაიგი ლაპარაკობს “სულიერი ცხოვრების ჯერაც მიუგნებელ ნაპირებზე”, პ. ვალერი — “საგნის ნაპირზე, ლანდების ნაპირზე”, ტ. ჭანტურია “გაღმა ნაპირზე”, მ. ლებანიძე ამბიბის: “შორს რიბირაბოდ მოჩანს ნაპირი”...

ყველა ეს ცნება ისეთი ლირებულებების შექმნას გულისხმობს, რაც მომავალში გაღწევის გარანტიას მისცემს შემოქმედს.

ტ. გრანელი გვარცებს ანტიციპაციის უნარით. წინაგრძნობას, წინასწარმეტყველებას ყოველთვის ხაზი ესმება.

სულიერი ცხოვრებისადმი, გრძნობებისადმი განსაკუთრებული ინტერესი განაპირობებს გულის, ფიქრის, ოცნების, სულის მრავალნაირი, ახლებური ნიუანსებით გაზრდებას.

რ. თვარაძე წერს: “დ. გურამიშვილის მსოფლმხედველობაში ფაქტიურად წერტილი დაესვა აზროვნების იმ მიმართულებას, რომელიც ფსევდო-დიონისე არებაგელის (პეტრე იბერის) მოძღვრებაში იღებდა სათავეს. ამ მიმართულებასთან ცოტად თუ ბევრად მიახლოებული მერმინდელი მოაზროვნენი (ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა) სხვა წყაროებით საზრდოობდნენ და აღნიშნულ ნაკადს უფრო ინტუიციურად ესწრაფვოდნენ, ვიდრე ცნობიერად” (რ, თვარაძე, “გურამიშვილთან მიახლოება”, წიგნში “თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა”, 1985, გვ. 287).

ვფიქრობთ, პირვანდელი შინაარსის გამომხატველი “არეპა-გელი” ცნებები და ნათლის ესთეტიკა არსებობას აგრძელებს გ. ტაბიძისა და ტ. გრანელის პოეზიაში და მათ შემოქმედებას განსაკუთ-

რებულ მიმზიდველობას ანიჭებს. შემდეგ ეს ტრადიციები ახლებუ-
რად ვლინდება ანა კალანდაძის პოეზიაში.

დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის და ვაჟა-ფშაველას იდუ-
მალების ესთეტიკასთან არ წყდება ნეოპლატონიზმისა და არეო-
პაგელთან დაკავშირებული ხაზი, იგი გრძელდება გ. ტაბიძისა და ტ.
გრანელის შემოქმედებაში.

ტ. გრანელსაც აქვს “წმინდა ნისლი”, “წმინდა კვირა”, ამ
“ნისლს იქით” გაღწევის და “ღვთაებრივი ნისლის” საიდუმლოების
გაგების სურვილი.

ამ საიდუმლოების ვერჩაწვდომის სიმბოლოა მიწიდან ცამდე
განფენილი ლამე: “მიწიდან ცამდე სივრცეა ირგვლივ, მიწიდან ცამ-
დე შავი ლამეა”.

“სიჩუმის ყვავილები”

“და მგონია ყველაფერი
სიჩუმე და სიმარტოვე”

ტერენტი გრანელი

უხილავის, ფარულის, ჩვეულებრივი მზერისათვის მიუწვდო-
მელის, სულის საიდუმლოების ძება ტ. გრანელის ესტეთიკის ქვა-
კუთხედია. საკუთარ სულში ჩაღრმავება, განსაკუთრებულის ხილ-
ვისათვის შინაგანი მზაობა დუმილს მოთხოვს და პოეტი შესანიშნა-
ვად ფლობდა დუმილისა და მეტყველების საიდუმლოებას.

ტ. გრანელი უპირისპირდებოდა რეალიზმის ეპიგონთა “პრი-
მიტივიზმს, შაბლონურ პოეზიას”, მიესალმებოდა სიმბოლიზმის
ზოგ ესთეტიკურ პრინციპს და, მათ შორის, დუმილს მოთხოვნასაც:
“სიმბოლიზმის ჯადოსნური ცეცხლის ალი მოედო შაბლონურ პოე-
ზიას. დაიწყო ჩქარი რენესანსი ხელოვნებისა. ამიერიდან ჩვენ აღარ
შეგვაწუხებს ძველი, დახავსებული პოეზიის მკრთალი ფერები. დღეს ალურ ფრთებით ვეშვებით ახალ სამყაროში, სადაც უხილავი
სახეების ჩუმი თამაშია გამეფებული”.

ამ ასპექტით ტ. გრანელს მრავალი უცხოელი თუ ქართველი
ნინაპარი და თანამედროვე ჰყავდა რელიგიაში, ფილოსოფიასა და
მწერლობაში. მაგრამ პოეტი თავისებური გზით მიდის და განუმეო-
რებელ მხატვრულ სახეებში უკვდავყოფს დუმილის ცნების შინა-
არსს.

ტ. გრანელი დუმილს გაიზიარებს სამყაროსთან, ადამიანებთან, პოეზიასთან მიმართებაში და სინონიმურ დუმილს განასხვავებს მკვდარი სიჩუმისაგან.

“ეს ჩუმი ზეცა და სიცისფრე იყოს მარადის ჩემი მხლებელი” — ინატრა პოეზიის მაღმერთებელმა ტ. გრანელმა, რადგან ზეცის ბინადარი მუზა “ჩუმ და ცისფერ ღამეში” ევლინებოდა...

მწარ ცხოვრებაა, ზეცა — იდეალი, ზეშთაგონებულობა: “ისევ სდუმს მიწა, ცა სუფევს დღემდე” — ჩვეულებრივი ადამიანური ინტერესების უგულებელყოფა და პირეტური ცხოვრებაა.

სხვა დროს კი თითქოს სდუმს პოეტის ნილხვედრი ზეცა და იდეალის ნაცვლად ქარიშხალს უგზავნის: “ახლა უფრო მდუმარეა ზეცა, ვინ მიხვდება ჩემს ამნაირ გლოვას, ისევ ციდან ველოდები მერცხალს, მაგრამ ციდან ქარიშხალი მოვა” (“შემოდგომის მოლოდინში”), ან: “სდუმს როგორც ლექსი, ცა უცნაური”, “სდუმდა ცისფერი მხარე”.

“ჩუმ წამებში” ხდება ლექსით “ცაზე გაფრენა”; “მე ვარ სოფელში, ჩუმი წამია და ცაზე მალე გამაფრენს ლექსი”.

“ოცნება-საოცრებაც” — პოეზია — დუმილის არმურითა გარემოცული: “დუმილი არის თეთრი ოცნების, ღამეა ქარის და საოცრების”.

“უხმო საათმა ფიქრი მოთოვა” — იტყვის პოეტი მრავალმნიშვნელოვნად. დუმილში მშვენიერების ხილვაზეა ნათქვამი: “მე ვარ და დუმილია და ცისფერი ქვეყანა”.

თუ სალექსო განწყობა ნათლისა და შუქისკენ ლტოლვაა, ალტაცება და ალმაფრენა, ნაღველი განწყდალება, დაბინდება ნათლის: “ჩემი სახელი უფრო დიდია, ჩუმი ნაღველის წამი ბინდია”. “ციფერი იმედის” გაუჩინარება ინვევს სიბნელეს, ბინდს და არა შთაგონებულობის სიჩუმეს: “ეს მხარე ღამდება, რადგან ცისფერი იმედი მიდის, როგორი სიბნელე დადგა, ო, როგორ ჩამოწვა ბინდი”.

“ჩუმი და გრძნეული ლანდიც” პოეტია: “დაბურულ ტყეში ჩუმად ივლის ლანდი გრძნეული”.

“წამი სხვა სიჩუმეთა” — ზეშთაგონებულობის წამია.
სიჩუმეში ფიქსირებული განცდა ასპარეზს მოითხოვს: “კმარა სიჩუმე, ქარიშხალს ველი, დღეს გულში ლექსი დავაპინავე. ღამეა ჩუმი, ღამეა ვრცელი და ვარსკვლავები ცაზე ბრწყინავენ”.

ანგელოზთან შეწყვილებულ ვარდისფერ ოცნებას მოაქვს შთაგონებულობის დუმილი და ნეტარება: “და ვარდისფერი ჩემი ოცნება ანგელოზივით კვლავ მოფრინდება, ანდა ვინ იცის, რას ვგრძნობდი გუშინ, თმა ამონენეს წუხელ ქარებმა. ახლა თოვლია, ახლა ჩემს სულში კვლავ დუმილია და ნეტარება”.

მზესა და მდუმარებაში მაღალი სურვილები იღვიძებენ: “მზიანი დღეა და სურვილები, მზიანი დღეა და მდუმარება”.

პოეტს გამუდმებით ეძახის თავისი ოცნება, პოეზია, ცა, სიჩუ-
მეში უხსლოვდება იგი ღვთაებას და სიდიადის კარიბჭესთან მის
სულში უფერულდება ადამიანური სიხარული და მწუხარება: “ნელა
მივდივარ და წინ ბალია, როგორც აქ, ისე ღამდება იქაც. სადლაც
მიხმობენ და მეძახიან, მგონია, ციდან მეძახის ვიღაც. დღეს ჩემი სუ-
ლი მართლაც ღმერთია და სიჩუმეა ასე ფარული. და ახლა ვატყობ,
ჩემთვის ერთია ეს მწუხარება და სიხარული”.

ხელოვნება საერთოდ “საოცრების” (ღმერთის) მადლია ტ.
გრანელთან, ჩუმის, გაუმხელელის, ფარულის გაუკვდავება: “ჩუმად
გეწვია საოცრების რუხი ხაზები, ფარულ კოშმარებს ატირებდი სევ-
დის მინაში” (“ნიკო ფიროსმაშვილს”).

ნარმოსახვის ლანდებსაც სიჩუმეში გაიცნობიერებს პოეტი:
“მე ჩუმად მივყვები ლანდების ასეულს”.

პოეზის ღმერთი, უზენაესი ქეშმარიტება, “ანთების წამი”
დუმილში ევლინება პოეტს. შემოქმედებითი პროცესი “სიჩუმის
გრიგალია”, “სიჩუმის ქარი”, პოეტი — “სიჩუმის კარავს”, “სიჩუმის
ფარდას” შეფარებული.

ტ. გრანელისთვის “სიჩუმე თეთრი და უწმინდესია”, წვა და
წვალება, “სულის დაღალვა” კი ქრისტეს სისხლიანი ბედის ტოლფა-
სი.

“ჩუმი ლამის” დუმილში ხდება “გრძნობის კოცონის” გაძლიე-
რება, პოეტური ექსტაზისა და ჯადოსნური წარმოსახვის ძალით. სი-
ჩუმე, დუმილი ცნობიერების მიძინება კი არა, უხილავ გრიგალთან
წილნაყარობაა, “თარეში მოგონების და ნისლის”, ცნობიერების მა-
რადიული სიფხიზლე, ნათელმხილველობა. სიჩუმე ქარს, დინამიუ-
რობას უწყვილდება: “გულში ცეცხლი ინთება და სიჩუმის ქარია. ეს
ბედია მხლებელი და სიჩუმე მძინარე, ფიქრი დაულეველი მოდის,
როგორც მდივარე” (“სიჩუმე და სიმარტოვე”).

სიჩუმეში ჩნდება “მოგონება”, “ცისფერი მოჩვენება”, “ცისფე-
რი ყვავილები”, “ოცნება ხშირი”. ასეთ დროს სულში “დუმილია და
ნეტარება”: “სიჩუმეა სულის და ოცნება ხშირი”.

შემოქმედებითი პროცესი არის “წამი სხვა სიჩუმეთა”, “წამი
სხვა გარინდების”, “სხვაგვარი მდუმარება”, ხოლო სიჩუმეში შექ-
მნილ სულიერ ფასეულობას “სიჩუმის ყვავილებს” უწოდებს.

აღმაფრენის წუთებში ფიქრი მდუმარეა, ღამე — ცისფერი:
“ჩემი მდუმარე ფიქრი ტყვეა ცისფერი ლამის”.

ზოგჯერ ჩუმი ძილის მდგომარეობაშია პოეტის სევდიანი ფიქ-
რები, მწუხარების პოეზია: “ჩუმად სძინავს გულს ტყეში სევდის
ლურჯი ოდებით”.

ტ. გრანელს სწამს თავისი პოეზიის უკვდავება, მაგრამ მაინც
ეწვევა ეჭვები, ენატრება გაგება, ანამებს მარადისობის დუმილი:
“სხვამ რა იცოდა და შენ იწოდი, ისევ სდუმს ზეცა მარადისობის”.

ჭეშმარიტების პოვნა, მშვენიერების მიგნება ტანჯვა-წვალებით, მძიმე მდუმარებაში ხდება: “და მძიმეა მდუმარება ღამის, ეს ოცნება ასეთია დღემდე და მოვიდა სიხარულის ნამი დიდი ტანჯვის და წვალების შემდეგ”. ამიტომ პოეტის დევიზია: “დუმილი და მოთმინება”.

ტ. გრანელი სიჩუმეში აღავლენს ლოცვებს პოეზის ღმერთისადმი, სიჩუმეში ეძლევა ამსოფლურ ჭმუნვას, აშფოთებს ფილოსოფიური პრობლემები, ანამებს შეუცნობის შეცნობის სურვილი, იპყრობს ფიქრი “ქვეყნის გაჩენაზე”: “როგორც საღამოს ლოცვა, დადგება მთაზე ნისლი, მიყვარს ღამეში როცა ფოთლის შრიალი ისმის, მაშინ ვეძლევი დუმილს, ქვეყნის გაჩენა მიკვირს”.

ტ. გრანელის შემოქმედებაში სიკეთისა და ცოდვის მოტივები უკავშირდება წარმართულ და ქრისტიანულ მითოლოგიას, კაენის, აბელის, იობის, ქრისტეს სახეებს. მდუმარებაში, ყრუ სასაფლაოს გარემოცვაში არ ასვენებს პოეტს კაენის ცოდვა, აბელის სისხლი, სინანული, მწუხარების დუმილი, ავი სახე: “თეთრი შუადღე ბრინჯაოს ჯვრებით, ყრუ სასაფლაო და მდუმარება, უცნობი თვალი, ო, ჯავრით ვთვრები, ირლვევა ფიქრი, სდუმს მწუხარება. კვირის წირვები ქრებიან შხამით, დღის ზიარება ხატებს დანებდა, მამის საფლავი, ტირილი ღამის, სისხლი აბელის, ქვითინი დებთან”.

პიროვნების ზნეობრივი განნებენდის, განლმრთობის გზაც დუმილია: “დღეს ჩემი სული მართლაც ღმერთია და სიჩუმეა ასე ფარული”.

დუმილით ხდება მუსიკის მოსმენა და სიკვდილთან შეგუება: “სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას და ახლა სიკვდილი ასე ადვილია”.

ზოგჯერ პარალელს ავლებს მთის დუმილთან: “სდუმან ეს მთები, მეც ვდუმვარ აგრე”.

ტ. გრანელს უყვარს მსოფლიო მნიშვნელობის სახეები: ბაბილონი, პირამიდა, მუმია.

თუ უდაბნოდ ქცეული ბაბილონი, სადაც სიჩუმეა და ყორნები რეკავენ, პოეტის დაღუპულ ოცნებებს ეხმაურება შორეული ასოციაციით, (“მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე”), მუმია აძლიერებს წარმავლობის ტკივილს: “მე ვსდუ, როგორც მუმია”.

ტ. გრანელი ანალოგიებს ეძებს წარსულის საოცრებებთან. იგი თავის უსიტყვო გარინდებას პირამიდების მრავლისმთქმელ გარინდებას ადარებს და, ამაე დროს, ხაზს უსვამს დაუმარცხებელ სტიქიონთან, გრიგალთან წილნაყარობას: “პოეტს გარინდებულს, როგორც პირამიდა, ზარების ტირილში გრიგალი გამაფრენს”.

ეს საოცარი პოეტური სითამამეა, რაც საერთოდ დამახასიათებელია მისი პოეზიისათვის. ერთგან აზიის მდუმარე ოცნებაზე შე-

აჩერებს ყურადღებას: “წითელ ოცნებას მდუმარებით ფანტავს აზია”.

ტ. გრანელის პოეზიას ბოლომდე გასდევს საიდუმლოების, საოცნების, დაფარულის მოტივი, შეუცნობლობის სევდა, სიჩუმის, დაუნახაობის ტკივილი, თავის სულიერ პორტრეტს იგი სიჩუმის გამოყენებითაც ანიჭებს შთამბეჭდაობას: “ის ილუპება, მას არ უვლიან, ქვეყნის სიმძმე მის გულს მოება და სიჩუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათხოება”.

საიდუმლოების დუმილი, ამოუხსნელობა მის პოეზიას იცავს ნატურალისტური პრიმიტიულობისაგან და სახეთა მოუბეზრებლობის, მიმზიდველობის პირობაა.

პოეტის რომანტიკული ოცნებებიც სიჩუმეში ფხიზლობენ: “რა ვქნა, ისევ სიცოცხლეზე ვდარდობ, ირგვლივ ისევ მდუმარება დადგა, იმ ოთახში კვლავ საათი რეკავს და ეს გული უცხაურად იზვის. ახლა მინდა ვარსებობდე ყველგან, მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი” (“ლამის სტრიქონები”).

“საგნების ჩუმი ძილი” კი ბოჭავს პოეტის შემართებას, ფრთას აკვეცავს მის ოცნებებს, თავისუფლებას: “სადღაც ქანაობს გემის აფრები, ირგვლივ საგნების ჩუმი ძილია, სხვას უკავია ფრთა გასაფრენი და ჩემი ფრთები შეკვეცილია” (“რა ვქნა”).

იმედის ნაპერნკალი, მოლოდინის გრძნობა მდუმარე დღეში იღვიძებს: “არ მომასვენეს ცივმა ქარებმა და შენ ცხოვრების იმედს მაძლევდი, იყო ლრუბლიან დღის მდუმარება და მოლოდინი მაღალ ნაძვების” (“ფიქრები ნაღვერში”).

პოეტი სასწაულის გამოცხადებას ელოდა ქრისტეს სახით, მაგრამ სიჩუმემ გაუცამტვერა იმედები: “ამ მაღლობზე ველოდი ქრისტეს გამოცხადებას, შემდეგ თეთრმა სიჩუმემ ის იმედი წაიღო” (“დაბრუნება სოფელში”).

მაშინაც, როცა ახალი ცხოვრებისთვის მზადყოფნა ახარებს, ჩუმი და მარტოა: “თითქოს სხვანაირ ცხოვრებას ვიწყებ, ვარ ჩუმად მარტო და მიხარია”.

პოეტმა ორიგინალურ ესთეტიკურ სახეში მოახდინა დუმილის პერსონიფიკაცია: “ოთახში თეთრი სიჩუმე დადის, სიჩუმე დადის, როგორც პრინცესა”.

პოეტიც “თეთრი მდუმარებაა”, ფარულ გრიგალებთან შეფიცული: “დღესაც ბალში ვიმალები, როგორც თეთრი მდუმარება და მიზიდავს გრიგალივით სიჩუმე და მწუხარება”.

სიჩუმე ზოგჯერ “ქალწულის მძიმე გოდებაა”, სიკვდილის სიახლოვის, გლოვის გამო: “ახლაც გარშემო სიჩუმე რეკავს, როგორც ქალწულის მძიმე გოდება, ო, სიყვითლეა, სიყვითლე ყველგან და მეც სიკვდილი მიახლოვდება” (“შემოდგომა მინდვრებში”). სიკვდილის მრეკავი სიჩუმისა და ქალწულის გოდების დაწყვილება განუმე-

ორებელი ძალის მხატვრული სახეა. ასეთივეა “ჩემი უნაზესი და — სიჩუმე”.

სხვაგანაც დუმილი სიკვდილის, არყოფნის შინაარსს იძენს იდეალის გაუჩინარებით: “ხომ ვდუმვარ ახლა, მე როგორც მკვდარი, კიდევ რამდენ ხანს იქნება ქარი?”

ტკივილებით წელმოხრილი პოეტი ჩუმად, უხმაუროდ დაატარებს თავის გამოუთქმელ ტკივილებს: “ჩუმად გავივლი სადმე ქუჩაზე მე მგლოვიარე და წელმოხრილი” (“ზამთრის მოახლოება”).

სასაფლაოზე წარმოშობილი მწუხარებაც მხოლოდ დუმილით შეიძლება გამოიხატოს: “თეთრი შუადღე ბრინჯაოს ჯვრებით, ყრუ სასაფლაო და მდუმარება, უცნობი თვალი, ო, ჯავრით ვთვრები, ირლვევა ფიქრი, სდუმს მწუხარება” (“კვირის შუადღე”).

ქაოსის ბინადარი პოეტი სიჩუმესა შეფარებული: “სულს ნისლიანი ქაოსი ფარავს, დგება სიჩუმე, როგორც კარავი” (“თეთრი ფიქრებიდან”).

“უხმო საათმა ფიქრი მოთოვა”, იტყვის პოეტი და უტრიალებს სამარის თემას, შეუცნობელ სიჩუმესა და ბინდს. იგი სულს განასახიერებს განუმეორებელ საზეში: “და ორგვლივ სამარეს უვლის ფარული სურვილის ლანდი და ჩემი მწუხარე სული მსგავსია დათოვლილ სანთლის. ეს მხარე დამდება, რადგან ცისფერი იმედი მიდის, როგორი სიჩუმე დადგა, ო, როგორ ჩამოწვა ბინდი”, “დათოვლილ სანთლის” მსგავსი სული საოცარი მიგნებაა, ხოლო დაპირისპირებული სახეები (სამარე და სული) კონტრასტების ჯადოქრად წარმოგვიდგენს ტ. გრანელს.

სიჩუმე ზოგჯერ ავისმომასწავებელია, უძრაობის, უპერსპექტივობის მაცნეა და პოეტს უჩინდება წინააღმდეგობათა დაძლევის, ბედისგან, სიკვდილისგან გაქცევის სურვილი: “გული ქარს უნდა მივცე, რა სიჩუმეა ორგვლივ, მსურს გადავლახო სივრცე, მინდა გავეცე სიკვდილს” (“მიდის წამება ჩემი”).

მარტოობას და სიჩუმეს განიცდის, როგორც მარადიულ მხლებელს: “მხოლოდ მარტოობის დღეებს ვეგებები”: “ჩემი ცხოვრების საგანი გახდა გლოვა, დუმილი და განვალება”.

არავის გამოუხატავს ასე ძლიერად სიჩუმისა და მარტოობის ტკივილი, არაკომუნიკაპელურობის საშინელება: “სიჩუმეა და ვსაუბრობ ჩემთვის, მე ვსაუბრობ და კედლები მისმენს”. ასეთივეა “მიმართვა ხისადმი”.

უადამიანო სივრცეში, მხოლოდ ქვების შეურყეველ მდუმარებაში ცხოვრობს თითქოს პოეტი: “ირგვლივ ქვებია და ჩუმი მხარე, ირგვლივ ქვებია და მდუმარება”.

უმეგობრო, ჩუმ პოეტს ქარი ჩასაფრებია: “მივდივარ ნელა გაჩუმებული და ქარი მინევს წინააღმდეგობას” (“მოდის ახალი ფიქრთა კრებული”).

დუმილით და მოთმინებით ებრძვის პოეტი გრიგალს, წვიმებს, უმზეობას: “და ის იმედი ისევ იქ არი და უმზეობა იგრძნეს მინებმა, იყოს წვიმები, იყოს გრიგალი, იყოს დუმილი და მოთმინება”.

მდუმარებაც ქარის სიმძიმეს იძენს: “ველიდან მოვლენ მძიმე ქარები, ახლა ველიდან ქრის მდუმარება”.

ტ. გრანელის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სასაფლაოს თემას, სასიკვდილო დუმილს: “ვგრძნობ მგლოვიარე საფლავს, ვგრძნობ სასიკვდილო დუმილს”.

სიკვდილის შემდეგაც სიჩუმე იქნება მისი თანამგზავრი: “მე და სიჩუმე დავრჩებით მარტო”... “ნათელივით დამადგება თავზე ჩემი განუყრელი და — სიჩუმე” (“სიკვდილის შემდეგ”).

სიკვდილის შემდეგ “ჩუმი ძილი”, “ჩუმი პროცესის” ხილვები განუშორებელია პოეტისაგან.

ნარსულის მოგონებებიც დუმილს და წუხილს აღძრავენ: “მე ახლა ვდუმვარ, ვიგონებ ნარსულს, მე ახლა ვდუმვარ და ვწუხვარ ასე”.

განცდის სიდიდე ტკივილებს გამოუთქმელობის ბურუსში ხვევს: “და შენს კალთებში ჩუმად იწვის კორიანტელი” (“სონეტი დედინაცვალს”).

პოეტი გარინდებულია, დადუმებულია ფიქრთა და ემოციათა მრვალაგვარობით”: “და უდიდესი გრძნობის ნიშანი არის დუმილი და გარინდება”, “არ არიან სიტყვები გრძნობისათვის”.

თითქოს სასიყვარულო გრძნობებსაც გამოუთქმელობა დაანათლა განგებამ: “გრძნობის კოცონზე ჩუმად ვიფერფლები”.

მოზღვავებული გრძნობებიც გარინდებას იწვევს: “ჩვენ შევვეძლო საუბარი უნინ, დაეს მოვიდა გარინდების წამი”.

სიყვარულის ძახილიც ჩუმია, სიწმინდის, დაღლილობის გამომხატველი: “მე დავდიოდი შენთან მარადის, მე დავდიოდი შენთან დალლილი. შენთან მომქონდა წმინდა ბარათი, შენთან მომქონდა ჩუმი ძახილი”.

მოლოდინის გრძნობაც დუმილით და განცვიფრებით უნდა დაგვირგვინდეს: “ალბათ შენ მელი დალლილ ფიქრებით, მოვალ დუმილით და განცვიფრებით”.

დუმილით უფრო მეტი ითქმის, ვიდრე სიტყვებით: “და საუბარზე უფრო დიდია ეს დაფიქრება და ეს დუმილი”. წრფელი გრძნობებიც დუმილით გახდება საცნაური: “ალბათ, ეს გრძნობა მაღე დამახრიობს, ვიგრძნობ ყველაფერს და გავჩუმდები”.

სულიერი გაგების, უმაღლესი ურთიერთწვდომის გამომხატველი დუმილია: “დუმილი და ერთმანეთის სწორი გაგება”.

მრავლისმეტყველი სახეა: “შენ სდუმხარ ახლა, როგორც სანთელი” — ამ დუმილს შუქის ელფერი აქვს გაგების გამო.

სხვაგან პოეტის უცნობი, ანგელოსური სული სხეულის ჩუმი ტყვეა: “სული სხეულის ჩუმი ტუსალია, სული უცნობი, სული ანგელოზი”.

ზოგჯერ სიჩუმე და შეუცნობლობა ერთია: “მარტო მივდივარ, ჩუმი ლამეა, მივდივარ ასე შეუცნობელი” (“ძვირფას დებს”).

პოეტი დაიარება “შავი ნიღბით”, “ანგელოზის ნიღბით”, რაც იწვევს შეუცნობლობის ჩუმ ტკივილს: “მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობს და ჩუმად ვიტან წამებას ამდენს”.

დალუპვის კარამდე მისული პოეტი თავის დაფარულ სიმართლეს და სათნოებას იფარებს ფარად და პირად ტრაგედიას საზოგადოებისა და პიროვნების გათიშულობამდე განაზოგადებს, მსჯავრს სდებს ხალხს გულცივობისთვის, სიკეთისა და სიმართლის დაუნახაობისათვის: “ის იღუპება, მას არ უვლიან, ქვეყნის სიმძიმე მის გულს მოება და სიჩუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათნოება” (“ციხის ელეგია”).

გაგებაზე ხელჩაქნეულ პოეტს დუმილთან დაკავშირებული გულწრფელი გამხელები აქვს. ტკივილი მის გამო, რომ უიღბლო ცხოვრებამ, ავადმყოფობამ უდღროოდ დაადუმა პოეტის სული: “შემეძლო მეტის მოცემა, მე დავსნეულდი უდღროოდ, მორს გამიტაცა ოცნებამ, სულში სიჩუმე მყუდრობს”.

დუმილი — გაოცება, დუმილი — გაწვალება, დუმილი — ნეტარება, დუმილი — გარინდება, ასეთ ცნებებთან დააკავშირა პოეტმა დუმილი.

მნუხარების დუმილი ტ. გრანელს მიგნებულად აქვს დაწყვილებული სილურჯესთან, ნისლთან: “იყო სილურჯე ჩემი მხლებელი და მნუხარება დუმილს ისვრიდა. მიჰქროდა ჩქარი მატარებელი და არ მოჩანდა მთები ნისლიდან” (შდრ. ბლოკის “მნვანე დუმილი”, “წითელი დუმილი”).

ბუნებასთან თანაზიარობის დუმილია: “ჩემი ტირილის ჩუმი მოწმეა ეს თეთრი მთვარე და ვარსკვლავები”.

სიჩუმით იზიდავს ქუთაისი: “ყრუ მდუმარებას ყოველმხრივ ისვრის შენი დღეები ამნვანებული” (“ალსარება ქუთაისს”).

პოეტმა დუმილი წარმოადგინა, როგორც სულიერი ინდივიდუალობის შენარჩუნების საშუალება, მთელი სამყაროს, სოფლის, ბალის მომცველი ძალა: “სოფელს სიჩუმის დემონი იცავს”, “ბალს მდუმარება იცავს”, “მდუმარება მთელ სამყაროს იცავს”.

ტ. გრანელის პოეზიაში ყველაფერი ჩუმია: ტირილი, სანთელი, ტაროსი, მთა, ნივთები, სოფელი, კლდე, ბალი, ძალი, ზარი, შეხვედრა, განმორება, სიმღერა, დარდი, დაცემა (“...ტირილი მინდება შენთან უხმოდ დავარდნილს”).

პოეტს ტკივა “მიტოვებული ბალის” სიჩუმე, დადუმებული ზარი, გაძარცული ხის დუმილი კი განიცდება ადამიანურ ტრაგედიასა-ვით: “და სადღაც სდუმდა ხე გაძარცული”.

ბუნების საიდუმლოებებში ინტუიციური ხედვითაა ნათქვამი: “მე კიდევ ძალა შემწევს, ვიგრძნო დუმილი ვარდის”.

ზოგჯერ სიჩუმე დაღუპვის წინამორბედად ესახებოდა: “ქალაქი ისე გაჩუმებულა, თითქოს ქალაქი დაღუპვის წინ დგას”.

უნიკალური სმენის პოეტს თითქოს ესმოდა “ფიქრების კივილი”, დუმილის რეკვა, “ცრემლის შრიალი”, “ფიქრის შრიალი”, “ფიქრის რხევა”, სულის ფარული თრთოლვა, იდუმალ ძალთა შრიალი, ჩუმი ტირილი, ქარების ჩუმი სიმღერა.

სინთეზიური სახეებია: “და თვალებში გაისმის ლამეების ხმაური”, “ფიქრში უიმედო ხმები გადადიან, როცა სიშორეზე ტირის როიალი”.

დუმილში ჩალრმაყებულმა პოეტმა არაჩეულებრივი მხატვრული სახეები შექმნა დუმილის უკვდავსაყოფად: “ფრინველივით ვზიგარ ღამის უბეში, სიჩუმე მუდამ ჩუმი და იყო, უხმო საათმა ფიქრი მოთოვა, სოფელს სიჩუმის დემონი იცავს, თავზე სიჩუმის ფარდა მახურია, დგება სიჩუმე, როგორც კარავი, სიჩუმე — ჩემი კავალერი, ჩუმად სძინავს გულს ტყეში სევდის ლურჯი ოდებით”.

“იყო სიჩუმე, სამი ნერტილი” — ამბობს ტ. გრანელი და ქვეტექსტის მიხედვით, ესაა არა ყველაფერის დამამთავრებელი, არა-მედ მრავლისჩამტევი სიჩუმე, რომლითაც პოეტმა დაამარცხა სამარის სამუდამო მდუმარება.

დუმილში ბობოქრობდა ტ. გრანელის დიონისური სული და ლირიკულ შედევრებში იღვრებოდა “გულიდან სისხლის წვეთები”.

ტ. გრანელმა შემოქმედებითად გამოიყენა სიმბოლისტების მიერ აღიარებული პრინციპი, მაგრამ არასოდეს მისულა სიტყვის უარყოფამდე, პირიქით, სიტყვაზე ფიცულობდა და ამბობდა: “მჭირდება სიტყვა, ვით წყალი თევზებს”, ამით გამოირჩევა ეს „სიჩუმის, სიშორისა და მარტოობის რაინდი“ (ელ. უბილავა), დეკადენტი სიმბოლისტებისაგან.

ამ ასპექტში მრავლისმთქმელია ტ. გრანელის ლირიკა. იგი მაძიებელი, პოეტური ვულკანით სავსე, ცხოვრებითა და ფილოსოფიური კითხვებით განაწარმები პიროვნების ალიარებაა, ნათელმხილველობაა სიჩუმეში, სიმარტოვები, სიბნელეში, პოეტური მისტერიაა, “უმანეო მსხვერპლად” შეწირვაა პოეზიისთვის.

დუმილის ნათელმხილველურ წამებში იწინასწარმეტყველა ალბათ პოეტმა თავისი გარდაცვალების თარიღი 1934 წლის 15 ოქტომბერი და რიცხვის განსაზღვრაში მხოლოდ ხუთი დღით შეცდა (გ. ცქიტიშვილი, “ტერენტი გრანელის ავტობიოგრაფია”, “ქართული მწერლობა”, 1990 წ. 1, გვ. 133-137).

დუმილში მიკვლეული შეუმცდარი წინასწარმეტყველება გა-
მოდგა ჩვენში ქვეყნის მომავლის გამრუდებული გზების ხილვა: “მი-
დის ეს ხანა, მიღის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიჰქოის”.

პოეზია — სულინმინდის მადლი

ტერენტი გრანელის მსოფლმხედველობა, სულიერი წყობა,
სამყაროს ათვისების ფორმა, ესთეტიკური იდეალი აბსოლუტურად
განსხვავდება რეალიზმის ეპიგონების, პრიმიტიული პროლეტარუ-
ლი ლიტერატურის წარმომადგენლების მდარე თვალსაწიერისაგან.

“მემენტო მორის” ავტორისთვის ზემთაგონება, ნიჭი ღვთის
მადლია, ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატის მისია — რწმენის, სულიერე-
ბის განმტკიცება-მსახურება, ეროვნული პრობლემების, სოციალუ-
რი სატკიცერების, სამართლიანობისათვის ზრუნვა-გადაწყვეტისათ-
ვის აქტიური მოღვაწეობა.

კომუნისტური პარტიის მიერ სოცშეჯიბრში გამოწვეულ, წე-
რა — კითხვის უცოდინარ გნომებს, “სულიერ საჭურისებს” (მ. ჯავა-
ხიშვილის ტერმინია), მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ქვეყ-
ნისა და რწმენის დამღუცველი პოლიტიკის პროპაგანდა-მხარდაჭე-
რა ევალებოდათ. ხელისუფლებისაგან ხელდასხმულები, მისი ნაბო-
ძები ხალათით გათავსედებულები, თავიანთი უნიჭო, სატანისტური
იდეებით წამლავდნენ ხალხს.

უფლის რჩეულებამ “რკინისებური ლექსის ღვარში”, “დაცინ-
ვა, წყრომა-ირონიის”, “ლელვა-მუქარის” (გალაკტიონი) პირობებში
გადაარჩინეს მართალი სიტყვა.

პოეტური ნიჭი განსხვალით, შრომისმოყვარეობით არ შეიძი-
ნება, ის ზეცით განპირობებული განსაკუთრებულობაა და, თუ რო-
გორ განვითარდება იგი, ეს დამოკიდებულია პიროვნების სულიერ
ინდივიდუალობაზე, ძალისხმევაზე, იდეოლოგიაზე, მორალზე,
ცხოვრების წესზე.

იშვიათზე იშვიათია მარადიულ სიბრძნეზე ორიენტირებულინი,
უმეტესად, ბევრს უმრუდდება გეზი და წუთისოფლის წარმავალ დი-
დებას აყოლილი, საბოლოოდ შორდება მარადისის გზას.

ტერენტი გრანელი რჩეული არის არა მხოლოდ ეროვნული გა-
დასახედიდან, არამედ საკაცობრიო ჭრილში. მან პირველმა განდევ-
ნა ჩვენი ლიტერატურიდან ყალბი პათოსი, კეროთმსახურება. ამ პო-
ეტის სტრიქონებიდან მონაბერი წმინდა სული სიკეთის, სათნოების
ფლუიდებს აფრქვევდა და აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერთ აფ-
რთხობდა.

მისი ესთეტიკა ისეთივე ენიგმური და რთულია, როგორც პოე-
ზია. ჩვენ ამჯერად ამ პრობლემის მხოლოდ ერთი ასპექტი გვაინტე-

რესეპტს, რაც, ვფიქრობთ, მიახლოებით წარმოდგენას მაინც მოგვცემს იმაზე, თუ რა განსხვავებული და ამაღლებული იყო საუკუნის პოეტის მხატვრული გადასახელი.

ტერენტი გრანელის შემოქმედებითი კრედო დაფუძნებულია არა მატერიალისტური ესთეტიკის, კომუნისტური ხელისუფლების მიერ გაფეტიშებული “უცდომელი” სოციალისტური რეალიზმის ტენდენციურ პრინციპებზე, არამედ ბიბლიურ ნააზრევზე, ცნობილ ღვთისმეტყველთა, იდეალისტ ფილოსოფოსთა შეხედულებებზე, ქართული და მსოფლიო კლასიკური პოეზიის უმთავრეს ტრადიციებზე.

ცნობილია, რომ ყოველგვარი ნიჭი სულინდის მადლია.

ეს პრობლემა ვრცლად არის განმარტებული პავლე მოციქულის წერილებში.

“სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,4).

“თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ” (I კორინთელთა, 12,7).

“ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს — ცოდნის სიტყვა იმავე სულით” (იქვე, 12,8).

“ზოგს რწმენა — იმავე სულით და ზოგს — განკურნებათა ნიჭი იმავე სულით” (იქვე, 12,9).

“ზოგს — სასწაულქმედება, ზოგს — ნინასწარმეტყველება, ზოგს — სულის გარჩევა, ზოგს — სხვადასხვა ენები, ზოგს — ენების განმარტება” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,10).

იგივეს ამტკიცებს იაკობ მოციქული: “ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან, რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა” (იაკობი, 1,17).

“ნიჭი არის საღმრთო სულისა მადლი”, აცხადებს ეფრემ მცირე (ეფრემ მცირეს იამბიკოები, თბ. 1988, გვ. 104).

სულინმინდის მოვლინებას ღვთისმეტყველებაში “საღმრთო მობერვა”, “საღმრთო ნიავი” ენოდება.

ტერმინები: “ბერვა, შთაბერვა, მობერვა” ტრადიციულად იხმარება ღვთისმეტყველებაში სულინმიდასთან დაკავშირებით.

“სულინმიდა — ეს არის სული, რომელიც უბერავს ყველგან და ყოველი მიმართულებით, ყოველივეს აძლევს ნათელს და ცხოვრებას” (გრიგოლ ნაზიანელი).

“მოციქულთა საქმეში” სულინმიდის მოსვლა შედარებულია ქარის დაბერვასთან”, ალნიმნავს ზვიად გამსახურდია (“თამარიანი” და “ვეფხისტყაოსანი”, “მაცნე”, 1987 წ. 4, გვ. 64).

“მობერვის” ცნებით დაინტერესდა პროფ. ა. განერელია ჩახ-რუხაძის “თამარიანთან” დაკავშირებით (“ცისკარი”, 1970 წ. 8, გვ. 116).

თვალი გავადევნოთ ანალოგიური გაგების სხვა წყაროებსაც.

“ორფიკულ არგონავტიკაში” უფალს “მომბერავი” ენოდება, ხოლო “მობერვა” შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ საგალობლებში (“ორფიკული საგალობლები”, პროკლე დია-დოხოსის საგალობლები”, ლ. კვირიკაშვილის თარგმანი და კომენ-ტარები, თბ. 1989, გვ. 39).

გრიგოლ ნოსელის მიხედვით, “საღმრთო სულითაა გაპირობე-ბული ლვთიური მობერვა, ზეშთაგონება”. მას გაიგივებული აქვს “სული-მობერვა, შთაგონება” (ნმინდა გრიგოლ ნოსელი, “პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის”, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენ-ტარები და ლექსიკონი დაურთო ედიშერ ჭელიძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989, გვ. 363).

ნეტარი ავგუსტინე ევედრებოდა უზენაესს, მოთმინებით ელოდა საღვთო ქარის მოვლინებას და ასეთ წუთებში სიხარულს ვერ ფარავდა: “აი, როგორც იქნა, შევისუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა” (ნეტარი ავგუსტინე, “აღსარება”, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985, გვ 278).

დავით ნინასნარმეტყველი ამ საღვთო ქარის დაფარულ აზრს უსმენდა: “ღმერთო, მესმა შენი დაფარული შინა ნიავქარისათა”(ფს. 218,8).

ლვთიური სულის მობერვაზე ლოცულობდა დავით გურამიშ-ვილი: “ან მომფინე სულია, მამით გამოსულია”.

ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე ქართული ჰიმნოგრაფიის “საღმრთო ნიავის მადლმა”, მისმა დაკავშირებამ სულინმიდასთან: “ლამპრითა ბრწყინვალითა სათნოებითაითა განპბრწყინდი შენ, სა-ნატრელო, ბრწყინვალებითა სულისა წმიდასაითა და მომბერენ ჩუ-ენ ნიავითა საღმრთოისა მადლისაითა სწავლანი სულიერნი და შეს-ცვალენ ცნობანი სულიერნი სიბრძნედ, ნეტარო, და უმეცრებისა ბნელი განაქარვე” (ბასილი, გალობანი ეფთვიმი მთაწმიდელისანი, “ჩვენი საუნჯე”, ტ. I, 1960, გვ. 508).

სულინმიდის ქნარი ენოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფს — სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს, სულინმიდის კარნახით იქ-მნებოდა ბასილი დიდის ჰომილიიბი, სულინმიდის შთაგონებულად ითვლება ახალი აღთქმა, ქრისტიან ლვთისმეტყველთა წიგნები.

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის საგალობლებს სულინ-მიდის ნაკარნახევად აცხადებდა.

სულინმიდის მადლით ჭვრეტდნენ ლვთაებრივ საიდუმლოს ნი-ნასნარმეტყველები, რადგან ნიჭთა და მადლთა გამნანილებელი სუ-ლინმიდა.

წმიდა თომა აქვინელის სიტყვით “ის, რაც ღვთისგან გამოდის, როგორც სიყვარული, შობილი ძე როდია, არამედ მონაბერი სული”.

ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს “ნიავი-სულინმიდა” (“ქებათა-ქება”), “ციური ნიავი” (“სვავი”).

მის “ბუნების მგოსნებში” სულინმიდის მადლით გალოპს ბულ-ბული და ამ ღვთიურ ჰანგებს მიდამოც სულინმიდად უქცევია.

სულინმიდის მოფენაზეა საუბარი ვაჟას მოთხრობაში “ფშაველი და მისი წუთისოფელი”.

ძალზე საინტერესო სურათს იძლევა ამ ასპექტით ტერენტი გრანელის პოეზიაზე დაკვირვება.

ნიავი, ქარი, გრიგალი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა ტერენტი გრანელის პოეზიაში, ასევე, ბევრგან ვხვდებით შთაგონების მომ-ნიჭებელი სულინმიდის მოვლინებაზე მიმანიშნებელ სახეებს: იდუ-მალ მხარეების გრიგალი, უხილავი ქარი, სხვა გრიგალი, სიჩუმის ქა-რი, განახლების ქარიშხალი, იდუმალი ქარი, გამარჯვების ქარი, გა-მარჯვების მომტანი გრიგალი, ცადამწევი ქარი...

სახარებაში სულინმიდა პერსონიფიცირებულია მტრედის სა-ხეში: “და გარდამოხდა მასზედ სულინმიდა ხორციელი სახით, რო-გორც მტრედი, და გაისმა ზეცით ხმა: “შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე” (ლუკა, 3,22).

ტერენტი გრანელის “თოვლში” სულინმიდის მახასიათებელია “ცისფერი”: “მოდის წუგეში ჩემი, როგორც ცისფერი მტრედი”.

სხვაგან ამ ტრადიციულ სახეს “თეთრის” ეპითეტს ამატებს: “სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა (კოდვილ მი-ნაზე)” (“მარადისობის ლაუგარდები”). (ამ პრობლემას დაწვრილებით ვეხებით ჩვენს წიგნში “უცნობი სფინქსი”, სოხუმი, “ალაშარა”, 1992, გვ. 34-41).

ტერმინი “წმინდა პოეზია” სოციალისტური რეალიზმის წარ-მომადგენლებმა ოდიოზური ელფერით შემოსეს, რათა თავიანთი სულიერი სიბეცე და უსახურობა დაეფარათ, მაგრამ ამ საკითხზე განსხვავებული აზრის იყო ტერენტი გრანელი.

მის რელიგიურ პოეზიაში კარგად ჩანს, რა მისია უნდა ეკისრე-ბოდეს მხატვრულ სიტყვას, “წმინდა პოეტს”, წმინდა სიტყვას”, ჩა-გონებულს უზენაესისან.

“მემენტო მორის” ავტორს ზედმინევნით ჰქონდა გააზრებუ-ლი თავისი უზენაესი მისია. სულინმიდისაგან ხელდასხმულმა კარ-გად იცოდა, რა უნდა ყოფილიყო მისი ერთგული, განუხრელი მსახუ-რების საგანი, მაგრამ აშკარა იყო ისიც, რომ ხელისუფლება სულ სხვას მოითხოვდა (ერთგან წერს: “ეს დრო სიკვდილს მავალებსო”). ტერენტი გრანელმა გაუძლო ყოველგვარ ზენოლას, არაფერი უწე-რია შეკვეთით, მშვიდად ხვდებოდა ამა ქვეყნის ძლიერთა რისხვას,

კრიტიკის უსამართლო თავდასხმებს და მხოლოდ უზენაესის უცდომელი მსჯავრის, მომავლის იმედით ცხოვრობდა.

ტირანული მთავრობის მიერ იგნორირებული, შერისხული და დევნილი, არ ჩქარობდა, რადგან სულის თვალით ნინასნარ ჭვრეტ-და თავის მომავალ დიდებას და დარწმუნებული იყო, დადგებოდა ის დრო, როცა მისი მართალი სიტყვა გააღწევდა უშორეს დროშიც და არც არასოდეს გადაფასდებოდა „პლანეტების პოეზიის“ ავტორი: „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“.

სოცრეალიზმის ვაიკალმოსნები დაოსტატებული იყვნენ „წმინდა ხელოვნების“ გაკიცხვაში, ხოლო ტერენტი გრანელთან იგი სინონიმია ზნეობრიობის, სულიერების, ამაღლებულობის, დემოკრატიულის: „ამ ახლად დაარსებული წრის (სიმბოლიზმის — ლ.ს.) უახლოესი მიზანია ძიება ახალი გზის და ახალი მიმართულებისა ხელოვნებაში, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში წმინდა ხელოვნების ალორძინებას. დღეს, როცა პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემა ეგრე მაგრათ სცემს და ყოველდღიურ წვრილმან საკითხებში ჩაფლულია ადამიანის გონება, სწორედ დღეს არის საჭირო, რომ ხელოვნების ცხოველმა შუქმა გაანათოს ჩვენი ცხოვრების ბნელი კუნჭულები, აამოძრაოს ადამიანის შემოქმედება და თვალწინ გადაუშალოს საუცხოო სურათები სილამაზისა, სიმშვენიერისა და ჭეშმარიტებისა. უნდა მძლავრად ამეტყველდეს ჭეშმარიტი ხელოვნება, თორემ ლამის ადამიანი მხეცად იქცეს უმაღლეს განცდათ მოკლებული და ბოროტების მორევში სავსებით გადავარდნილი“.

შაბლონთან ბრძოლა, სითამამე, უხილავის ძიება, სიახლის წყურვილი, ღმერთთან ხიდის გადების სურვილი, ბოროტების დაგმობა, შიშის დაძლევა, „ციური ბეგერების“ სიყვარული, მოკლედ, ზეცა და მინა ერთიანობაშია მოაზრებული ტერენტის ზემოთდამოწმებულ წერილში — „ჩვენი მიზანი“ (გაზეთი „ია“, 1919, 1).

ტ. გრანელი ბოლომდე დარჩა „წმინდა ხელოვნების“ მიმდევარი, როგორც გალაკტიონი, სიმბოლისტები, რაც არამც და არამც არ ნიშნავდა გულგრილობას ადამიანთა სოციალური და ეროვნული პრობლემებისადმი.

„წმინდა პოეტი“ ტ. გრანელისთვის სინონიმი იყო გამორჩეულის და ამ ეპითეტით იხსენიებდა გალაკტიონ ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს.

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ნათლად ჩანს, რა მისია უნდა ეკისრებოდეს „წმინდა პოეტს“, „წმინდა სიტყვას“, მომდინარეს ზეციდან, უზენაესისგან და ბოლომდე უცვლელი იყო მისი პრინციპული პოზიცია. იგი იყო ერთგული მსახური მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ტრიადის — „ენა, მამული, სარწმუნება“ და ამიტომაც ამბობდა: „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ, ასეა ნება განგების“...

თუ როგორ ესმოდა ტერენტი გრანელს პოეზიის არსი და დანიშნულება, რა განსხავებული, ამაღლებული იყო მისი ფუნქცია, კარგად ჩანს ლექსში “პოეზია”, რომელიც თავიდან ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, შემდეგ კი დაიბეჭდა პოეტისადმი მიძღვნილი მოგონებებისა და თარგმანების კრებულში — “ცისფერი სიმორე” (თბ. 1998).

ტერენტი გრანელის დოქტრინა მთლიანად უპიროსპირდებოდა ტირანული ეპოქის მეხოტებთა პანეგირიკებს, უარყოფდა ტრაფარეტული პოეზიის კლიშეებს და ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მისიას რნმენის, სულიერების გაღვივება-განმტკიცებაში, ეპოქალური, საკაცობრიო პრობლემების მსახურებაში ხედავდა: “ფიქრი გადადის შორეულ ხეზე, როგორც სისწრავე და შენელება, აქ სხვები წერენ „ქალის ფეხებზე“, როცა მე ვუმზერ საშინელებას! ვფიქრობ, ეს ქალი როგორ ვინაზე, ვფიქრობ, ეს ქალი ჩემთვის მკვდარია. აქ სხვები წერენ მხოლოდ მინაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას”.

“შორეული ხე” საღმრთო სახელია, პოეტი ხომ განუშორებელი იყო რნმენისგან, ზეცისგან, რადგან “მხოლოდ მინა” და საერთოდ, ფიზიკური ყოფიერება ეპატარავებოდა, სამყაროს უცქეროდა “ლია თვალებით” და მუდმივად ორ განზომილებაში, მინის და ზეცის, ხილულისა და უხილავის ზღვარზე იმზირებოდა.

ლექსი “პოეზია” დროისაგან გაქცევა კი არ არის, არამედ მინიერ უკეთურობათა მხილებაა, მარადიულისა და წარმავალის დაპირისპირება.

ტერენტი გრანელმა ზედმინევნით კარგად იცოდა ბიბლია, ეფემერულად მიიჩნევდა საბჭოთა იმპერიას, რომლის ნერევა-წარმომავლობა ნაწინასწარმეტყველებია იოანეს გამოცხადებაში. მარადიულობად ესახებოდა პოეტს “შორეული ალი”, მარადისობა (ღმერთი), გარდუვალობად — ღვთაებრივი სამსჯავრო. უაზრო ხმაური, უნიჭოთა მიეთ-მოეთი, წითელი დროშა, ნამგალი (სატანისტური სიმბოლო), მიმანიშნებელი სიკვდილისმთხვეველ იმპერიაზე, რომელიც იყო თავისუფალი სულისა და მართალი სიტყვის მტერი, პოეტს უფსკრულის, არარაობის წილხვედრად ესახებოდა, ღმერთის, სამართლიანობის რნმენა ასულდებულებდა: “ფიქრის ტრიალი ისევ მოშალეს, ისევ ხმაურის დადგა დროება, აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე, როცა მე ვუმზერ უსაზღვროებას. ჩნდება ფიქრები შორეულ ალზე, ვიცი, ეს გრძნობა არ მოისპობა, აქ სხვები წერენ მხოლოდ ნამგალზე, როცა მე ვუმზერ მარადისობას”.

სატანისტური ბოლშევიზმის სიმბოლოებია ნამგალი და ურო, ნამგალი ცელავს ყოველივეს, ურო — ანგრევს.

უცხო იყო ტერენტი გრანელისთვის მთავრობის შეკეთები, წითელი დროშა, ნამგალი, მას აძრნუნებდა დროის “საშინელება”, “ხმაურის დროება”, სულის ჩაკვლის მცდელობა, მან მზერა მიაპყრო

“შორეულ ხეს”, “შორეულ ალს”, უსაზღვროებას, მარადისობას (ღმერთს), პლანეტარიას.

აშკარად იკვეთება, ერთი მხრივ, ხელისუფლების დაქირავებული პოეტების, ჭეშმარიტებისგან გაუცხოებული კალმოსნების უსახური სახე და სახე ღვთიური პოეტისა, რომელიც დარწმუნებულია, რომ მხოლოდ უზენაესი და მასზე ორიენტირებული სტრიქონებია მარადიული: “ვიცი, ეს გრძნობა არ მოსპობა”.

ასეთი გაბედული იყო ტერენტი გრანელის პროტესტი წითელი საუკუნის შეკვეთებისადმი, რამაც მისი პიროვნული ტრაგიზმი განაპირობა.

“ღვთიური სულის სუნთქვა ავსებს პოეტის სულს და იგი ხდება ღვთის მგალობელი...”

“პოეტი აცნობიერებს თავის თითქმის ღვთიურ ფუნქციას”.

“წმინდა პოეზია ისაა, რომელიც იტყვის, როგორაა შექმნილი სული და სამყარო და გაუმხელს ადამიანს სამყაროს იდეალურ სტრუქტურას”...

“პოეტი ღვთის ჰარმონიული შემოქმედების მომღერალია და, ამავე დროს, ღვთის მიერვეა წარმოგზავნილი, რომ მისი შემოქმედება სრულყოს და გააგრძელოს”.

“პოეტი..., რომელმაც მთელი ცხოვრება ზიდა თავისი ჯვარი, არის მოციქული, მისიონერი.... არის ნიშანი, შეტყობინება რჩეული არხების, გამორჩეული ბედისწერის”, ნერს საფრანგეთში მოღვაწე ქართველი დათო თოთიბაძე, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ტერენტი გრანელის ლექსები (ხელნაწერი, გვ 39,40,41), გაგვაცნო ტერენტის დის — ზოზის შევილიშვილმა, ექიმმა მამანტი როგავამ).

ტერენტი გრანელმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ათეისტურ ეპოქაში მისი პოეზია არ დაფასდებოდა, მაგრამ მას არც უცდია დროს მორგებოდა, საბჭოთა პოეტის მანტია მოესხა და ხელისუფლებას შერიგებოდა. ამ პრინციპულობის გამო გახდა იგი დევნილი, შერისხული და პოპულარული, ამავე დროს.

სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული პოეტის დიდების ამბავი ვლადიმერ მაიაკოვსკისაც მისწვდა და რუსმა პოეტმა გადაწყიტა, თავის ენაზე აემეტყველებინა “მგლოვიარე სერაფიმის” ლექსები. უცხოელი მკითხველის ალიარებას ტერენტი გრანელი სიმშვიდით, ღირსების გრძნობით შეხვდა.

გავიხსენებთ მაიაკოვსკისა და ტერენტი გრანელის ვრცელ დიალოგს.

— მე თქვენს პოეზიაზე, — უთხრა ტერენტის ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, — ბევრი საინტერესო მიამბეს ქართველმა პოეტებმა: ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კოლაუ ნადირაძემ და სხვებმა. ამიტომ გადავწყვიტე თქვენი ნახვა,

როგორც პოეტის. ხომ არ მომცემთ ლექსებს, რომ გადავთარგმნო და დავბეჭდო რუსულ პრესაში?

— ლექსებს კი მოგცემთ, ბატონოვ ვლადიმერ, მაგრამ ჩემს ლექსბში არ ჩანს წითელი აგიტაცია-პროპაგანდა, ანუ უკაცრავად, ცხოველური ალტყინება, ბიოლოგიური პათოსი; არც და ვერც იქნება... გამორიცხულია. ჩემს ლექსებში სულინმიდის მადლია განფენილი. სტრიქონებში ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებია ჩაწერილი, მისტიური ხედვითა გაცნობიერებული ღვთისმშობლის წილ-ხვედრი ქვეყნის ნარსული და მომავალი, ღვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განლმრთობის საფეხურები... არამცუუ მთარგმნელი, არამედ ქართველი წამკითხველიც (შემ-გრძნობი, გამგები) მისტი უნდა იყოს; უფრო მეტიც, განდობილი... ასე რომ... მარადისობას — პოეზიას არ ეჩქარება... პოეტებიც ნუ ავჩქარდებით. ოდესალაც, როცა ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეული რიცხვის და სულიერება აღორძინდება, “ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების”.

“ეს სიტყვები ისეთი ხმით წარმოთქვა, გეგონებოდათ, საკურთხეველთან იდგა და ლოკულობდა. როცა მონოლოგი დაამთავრა, გაეღიმა: “ასე რომ, შეწუხებად არ ღირს, მადლობას მოგახსებებათ”...

“მაიაკოვსკი ააფორიაქა ასეთმა პასუხმა. ეტყობა, არ ელოდა ასეთ ფინალს. უცებ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ მაიაკოვსკიმ მოხსნა ეს დაძაბულობა:

— პოეტო, არც მე მოვსულვარ საავიტაციოდ” (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, “ცისფერი სიშორე”, თბ. 1998, გვ. 412).

ტერენტი გრანელს პოეზია ეზოთერიკულად, განდობილთა საქმედ ესახებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ხალხისგან განდგომას. “მწამს მხოლოდ ერთი, მშრომელი ხალხი, მეც მშრომელ ხალხის რიცხვში ვითვლები”, გულწრფელად იყო ნათქვამი.

წმინდა პოეტის შემოქმედება “სიბრძნის სიტყვაა”, რომელსაც გადაფასება არ უწერია. ამაში არ დაეჭვდება, ვინც შეისუნთქა მისი სამყაროდან მონაბერი უზენაესი ჰაერი...

ტერენტი გრანელი ყოველთვის უპირისპირდებოდა ცხოვრების ზერელე ჭვრეტას, აგიტაცია-პროპაგანდას და პოეზიის უმთავრეს დანიშნულებად “აპსოლუტის” ძიებას მიიჩნევდა. კიცხავდა “ხბოსებურ აღფრთოვანება-აკუნტრუშებას”...

მნერალთა კავშირში კი მის გენიალურ კრებულებს “შავ წიგნად, რეაქციულ, რევოლუციის მიერ დამარცხებული კლასების ნაბოდვარად და ნაცოდვილარად” აცხადებდნენ. ისინი იცინოდნენ “თეთრ გიორგიზე, თეთორ რაშზე, თეთორ ანგელოზებსა და ლოკვებზე”.

პოეზიის გნომი ფრიდონ ნაროუშვილი ჭკუას არიგებდა ტერენტის, ტირანებისგან შეგულიანებული: “არა, ტერენტი, ახლა მაინც ამას არ მოველოდი შენგან, ეს რა წიგნი გამოგიცია, ბიჭო, რა დროს წმინდა გიორგი, ქალწული მარიამი და იესო ქრისტეა, შე კაცო... პოეტი ახლა ხარაჩოებზე უნდა იდგეს, გლეხს უნდა ამხნევებდეს ხვნასა და მკაში. შენ კი ისევ ეკლესიებში და სასაფლაოებზე დაბორიალობ, დედაბერივთ ლოცულობ და მოთქამ”.

ტერენტი ჯიუტად აკონკრეტებდა თავის მისიას: “მე ის შორეული, ის მარადიული მიტაცებს, რომელსაც ჩვენი გონება ასე ადვილად ვერ წვდება და ჩემი ლექსების ნამდვილი სამსჯავროც იქ მეგულება”.

თანამედროვეობის ასახვად პოეტს მონური ტაშის დაკვრა და ვაშას ძახილი როდი მიაჩნდა, ის უფრო მოულოდნელზე, საიდუმლოებაზე, მიუწვდომელზე, ძნელად ამოსაცნობზე, მარადიულზე იყო ორიენტირებული: “თანამედროვეობას... მეც ვეხმაურები. აიღოთ ჩემი “ვანო სარაჯიშვილი”, “ექსპედიცია იტალია”. საკითხავია — ვის როგორ ესმის თანამედროვეობა. ზოგიერთისთვის ის მხოლოდ ვაშა!... ვაშას უზომოდ მოტრფიალეებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს ბოროტება, რომ არსებობს სიკვდილი. დიახ, საქართველო, გლეხი, მუშა, ქარხანა — ამაზე წერა საჭიროა და მეც ვიტყოდი, ზოგი იოლად ახერხებს ამას... ზოგს ლექსი მარტო ის ჰგონია, რაც ფიზიკურ არსებას გამოხატავს, ყოველდღიურობას აღწერს... ნამდვილმა პოეტმა ამას იქით უნდა გადაიხედოს. მე პოეზიად ის მიმაჩნია, რაც მოულოდნელს, ჩვეულებრივი ადამიანის თვალისთვის აღმოუჩენელს აღმოაჩენს, სულის საიდუმლოებას ახსნის, მიუწვდომელს მისაწვდომად დაგვისახავს.

მუშას, გლეხს თუ ინტელიგენტს ერთი საიდუმლო აქვს, ჯერაც ამოუცნობი და ამოუხსნელი, პოეზია უნდა დაეხმაროს ყველას, ამ საიდუმლოებისა და მარადიულობის ამოცნობის შეგნება უნდა გაულვიძოს პოეზიამ ყველას... ნამდვილი პოეზია... პროზაული ამბების შემდეგ იწყება” (სერგი ჭილაია, იყო ერთი პოეტი, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 243,245,247,248,249).

ლოცვა ვედრება, გალობა ახალი

ტერენტი გრანელი ციური ეროსის ციურ ჰანგებს გვასმენინებდა, როგორც “სიცოცხლის შუქის, ცისფერი სულის, წმინდა გზის, მარადისობის” (ლმერთის) მიჯნური.

იგი პოეზიას სულინმიდით მონიჭებულ მადლად სახავდა და მხატვრული სიტყვის უპირველეს მისიას იმაში ხედავდა, რომ ხალხი წაეყვანა რწმენის, ტაძრის გზით.

ის იყო ეროვნული ტრიადის — ენა, მამული, სარწმუნოება — მსახური, უფლის ხეხილის მებაღე, ზეციური ვაზის მევენახე.

დღეს ეჭვს არ იწვევს, რომ “კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია. არარელიგიური კულტურა ფსევდოკულტურაა, კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალურია და ამდენად, საკაცობრიო. ცივილიზაცია არარელიგიურია, ინტერნაციონალური” (აკაკი მინდიაშვილი, ხელოვნების რელიგიურობის და თანამედროვე სინამდვილის შესახებ).

ათეიისტური ბოლშევკიზმის სავალალო შედეგებზე დაკვირვებით, გამოტანილ იქნა დასკვნა: “უნაყოფო, კულტურის სანინაალმდეგო ნიჰილისტური მორალიზმიდან პირი უნდა ვიზრუნოთ შემოქმედი, კულტურისმექმნელი რელიგიური ჰუმანიზმისკენ” (სემიონ ფრანკი, ნიჰილიზმის ესთეტიკა, რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე, თბ. 1994, გვ. 66).

პავლე მოციქული მოუწოდებდა რწმენის ერთგულებს: “ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში” (პავლე მოციქული, ეფესელთა, 5, 19).

ჭეშმარიტი მორჩმუნეობის გამო გვხვდება ტერენტი გრანელის ლექსებში ტაძრები, ჯვრები, სამრეკლო, ლოცვები: “ტაძარში შევდივარ მწუხარე ლოცვებით, ჯვარებთან გაივლის ფარული ვეძრება, ლოცვით სული აქაც აიგვსო, იელვებს ძველი ლოცვების გროვა, დადგა დროფარული და წმინდა ვეძრების, ჩემს ფიქრებს თან სდევდა ლოცვები სინმინდის, მე ეს შუადღე გამაოცებს თავის ლოცვებით, შუალამის ვეძრება სამრეკლოსთან ბერდება”.

ტ. გრანელი ეძებდა ოცნების იქით, სინათლის იქით, სულის გადაღმა, სიტყვის იქით, ლოცვების გაღმა, ეძებდა ღმერთს, ჭეშმარიტებას, სილამაზეს და ამაო ძებნა ტკივილით ავსებდა: “...უმანკო ლოცვები კვირის ფრთებზე ატირდა, ზამთრის ვეძრება მნარე ჩამქრალ ვარდებთან გმინავს, ო, გაქრა ლოცვის ფარული სფერო, და გაფრინდა ლოცვა ციდან მონაბერი...”

ვეძრება საღმრთო ნისლში შეღწევის სურვილს უღვიძებდა: “ვეძრება და ნისლი მოედო ჩემს თვალებს, ფოთლებზე ჩამოწვა სინათლე ღამისა, სადღაც იმალება უცნობი სიმკრთალე, ამნაირ ფიქრისგან, უფალო, დამიცავ!” (“კვირის ნისლები”).

ლოცვას ხშირად ნისლი მოჰყვებოდა: “როგორც საღამოს ლოცვა, დადგება მთაზე ნისლი” (“ღამე, მთვარე და ქარი”).

ლოცვა მთვარესთან, ღამის ვეძრება, ლოცვა გაფრენისათვის — ასეთია პოეტის ლოცვის არეალი.

ლოცვის მიზანია “შორეული ნიუანსების” მიგნება, რისთვისაც საჭიროა მთელი ძალისხმევა: “იელვებს ძველი ლოცვების გროვა,

აპრილის დამდეგს მოვიქანცები, იქნება ისევ უცნობი გლოვა და შორეული ნიუანსები”.

ლოცვასთან მოიხსენებენ ბოდვას.

პლატონი ბოდვას პოეზიას უკავშირებდა და ამბობდა, ბოდვის გარეშე პოეზია შეუძლებლად მიმაჩნიაო. პოეზის თანმხლებ ბოდვას პუშკინი “ლვთაებრივ ბოდვას” უწოდებდა, ალ. ბლოკი — “დიადი ჭკუს ბოდვას”.

ტ. გრანელის ლოცვის თანამდევია ბოდვა: “თავზე დამტირის ბებერი მზის მნუხარე სხივი, ო, ლოცვით მელის ბოდვები” (“შენს გაქცევას”).

ვედრებით მაღლდება პოეტის სული, ხოლო ლოცვით სევდის ბალში იზრდება პოეზის ყვავილები: “ეს ჩემი ბედი ახლა ამაღლდა, ვით შუალამის თეთრი ლოცვები და სევდის ბალში ისევ აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები” (“ჩემზე”).

“ლოცვების გაღმა” იპოვა პოეტმა თავისი იდეალი — ცისფერი თოვლი, სიზმრების სამყარო — პოეზია: “არის ცისფერი თოვლი თეთრი ლოცვების გაღმა. სული ფარული თრთოლვით მისდევს სიზმრების დაღმართს” (“ლოდინ ბედის”).

ქრისტეს ჯვართან იწყება ფარული ვედრება წამებით, წირვებით, რადგან ამაღლება ჯვარცმის ტოლფასი ტანჯვის გარეშე წარმოუდგენელია: “ჯვარებთან გაივლის ფარული ვედრება, წირვებით წამიღებს წამების მწვერვალი”.

ქრისტიანული ღვთისმეტყველების, ჰიმნოგრაფიის მიხედვით, ღვთაებრივი სული ლოცვის ნაყოფია: “ნაყოფად ლოცვისა აღმოცენდი, ღირსო ეფთვემი, ღმერთშემოსილო” (ი. მინჩხი).

თეთრ ლოცვებს ჰგავს ტკივილიდან, გლოვიდან აღმოცენებული ტ. გრანელის “მინანქრის სტრიქონები”: “და ჩემი სული თეთრ ლოცვებში დატეხილი გლოვის ხაზებად”.

ასეთ სულს კი თეთრი კარეტა და სამოთხე ელოდება (“ლოცვა მთვარესთან”).

პოეტის წმინდა ლოცვებით გაბრწყინებული სახე წმინდათა სავანეს — ეკლესიას ჰგავდა: “საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია” (“საიდუმლო მისალმება ჭლექიან სამრეკლოს”).

ამაღლებული, წმინდა სული ბრწყინავს, როგორც ეკლესიის გუმბათი: “მე მივდივარ და მიცექრის ხალხი, ჩემი სახე გუმბათივით ელავს”. ამ არაჩვეულებრივი სახეების წყარო, აღბათ, სახარების ის ადგილია, სადაც იქსომ პეტრე, იაკობი და იოანე წაიყვანა მთაზე და ლოცვისას გაბრწყინდა მზესავით: “და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და გაბრწყინდა პარი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი” (მათე, 17,2).

სამოსლის სისპეტაკეც პოეტის სიწმინდეზე მიუთითებს: “რა ვქნა, ცხოვრებას ვერ ვუღალატე, მივალ, მაცვია თეთრი ხალათი”.

წერის პროცესი ლიცვასავით წმინდაა და სახეც უსხვაფერდება: “დავიწყე წერა, სხვა სახეს ვიღებ... სხვა მხარეს ვეძებ” (“მზის დაბნელება”).

ტ. გრანელისთვის ძალზე ორგანული იყო ლოცვა უღმერთო დროში, რადგან იგი სხვაგვარი დროის იმედით ცხოვრობდა: “ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც მღლოცველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი”.

სულის განმაახლებელი ლოცვა-ვედრების, საღვთო ინტონაციების შესწავლა იმანეს აპოკალიფსში მხოლოდ თეთრად შემოსილი წმინდანების ხვედრია.

თავი III

ტერაცი გრანელის ლირიკის რამდენიმე პროგლემა

ბიბლიური პარადიგმები ტერენტი გრანელის პოეზიაში

ტერენტი გრანელის ლირიკა მორწმუნე პოეტის ღალადისია, ლოცვა-ვედრობაა ზნეობრივ სიწმინდეზე, სამშობლოსა და ადამიანის ხსნაზე, ჭრეტაა “გონიერი ზეცის”, მიღმური სამყაროს საიდუმლოებების.

“რა ბრწყინვალეა ცა იქაური”, “ახლა ვგრძნობ ცისფერ უსაზღვროებას”, ამბობდა პოეტი და ამ “სულიერი ცის”, ანუ “ცანი ცათანის”, უზენაესის, სულინმიდის ხელდასხმული პოეტის შემოქმედებაში მოიძიება არა მიწიერი სიბრძნე, არამედ ღვთის სიბრძნე, უმაღლესი ჭეშმარიტებები.

ორგვარ სიბრძნეს განარჩევენ ბიბლიაში: მიწიერს, ხორციელს და ღვთის სიბრძნეს (ბარუქი, III, 2,3), ეშმაკეულ სიბრძნეს და მადლით გარდმოვლენილს (პეტრე მოციქულის წერილი ებრაელთა მიმართ, 1,15).

პავლე მოციქული აცხადებდა: “წუთისოთვის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე” (I კორინთელთა, თ. 3,19). იგი მოგვიწოდებდა, შეგვეცნო “ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული” (I კორინთელთა, თ. 2,6).

“გამაგებინე სიბრძნე ფარული” — ევედრებოდა დავით წინას-ნარმეტყველი ღმერთს.

დაფარულს, უხილავს, შორეულს ეძებდა მთელი ცხოვრება ტერენტი გრანელი. იგი ბოლომდე დარჩა ღვთიური სიბრძნის მაძიებელი.

“მემენტო მორის” ავტორის შემოქმედება, რომელიც იგავური, სიმბოლური ფორმით მოწოდებული ჭეშმარიტებებით გვიზიდავს, იმ მარადიული სიბრძნის წყაროს დაწაფების შედეგია, რაც ბიძლიაშია დაუნჯებული უზენაესის სახით: “წყარო სიბრძნისა უფალი” (ბარუქ წინასწარმეტყველი, III, 12)

ადამიანები დასაბამიდან მიისწრაფოდნენ ღვთისკენ, მაგრამ მასთან მისასვლელ რთულ გზებს ვერ აგნებდნენ და კერპების, ცრულმერთების მოთაცვანე ხდებოდნენ. ყოვლისშემძლე კი ყოველთვის სამარცხვინო ალსასრულს უმზადებდა კერპებს და მის მსახურო.

მეოცე საუკუნემ ჭეშმარიტი ღმერთის უარყოფასა და კერპების გამოგონებაში გადააჭარბა ყველა წინა ეპოქას. ხელისუფლებაში მოსულ სიცრუის მოციქულებს, ანტიქრისტეებს უნიჭო, უპრინციპო, პრიმიტიული კალმოსნები სჭირდებოდათ ყალბი დიდებით, ნარმავალი აპლოდისმენტებით თავის მოსატყუებლად. სულინმიდის მადლით ცხებული შემოქმედნ კი დევნილი, ტერორიზებული და რეპრესირებული იყვნენ თავის დროზე.

მაგრამ როცა გაიფანტა „ძილქუშის სული“, გამოირკვა, რომ ულმერთონი და უნიჭონი „ბზეს ნააგვანან, ქარისგან აღვილს“ (ფსალმუნი, 1,4), ხოლო მართალი, რჯულის მიმდევარი არიან „წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს“ (ფს. 1,3).

გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წელი გაუცხოების ნისლი ებურა ტერენტი გრანელს, საღვთო სიბრძნით სავსე პოეტის შემოქმედებას საგანგებოდ უგულებელყოფნენ და მკითხველს უმაღლავდნენ მედროვეები, პრიმიტივები, მაგრამ პოეტისათვის აფარებული ნისლისა და ღრუბლის ფენა ვერ აბნელებდა ზეციურ ბრნებინვალებას, ასე უხვად რომ გადმოეფრქვია არსთაგანმრიგეს „მემენტო მორის“ ავტორისათვის.

დღეს ტერენტი გრანელის აზრი მეუფებს ყველგან, აზრთან კი, როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, არტილერიაც უძლურია.

აშკარაა მისი პოეზიის „მსოფლიო სევდის ცეცხლი“, ქრისტიანული მსოფლგანცდა, უზენაესის ძიება და სიმბოლური ფორმით გამოხატვა სამყაროს შემოქმედისა და ძე ღმერთის სახეების, რომელთა წყაროების მიკვლევას ბიბლიისათან მივყვართ.

ტერენტი გრანელს პროლეტარული პოეზიის პრიმიტივთაგან გამოარჩევდა რთული სიმბოლურ-მეტაფორული სახეები, ხილვები, რომლებიც დაკავშირებულია პოეტის ურთულეს მსოფლმხედველობასთან და საგანგებო ჩაღრმავება-გაცნობიერებას მოითხოვს, როგორც მის უიდუმალეს სამყაროში შესასვლელი უპირველესი კარი.

მორწმუნე პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სალვოთო და სალვოთოსმშობლო სახისმეტყველება.

გარდა იმისა, რომ მის ლექსებში ხშირია ღმერთის ძიება, ღმერთისადმი მიმართვა, უფრო მეტად მაინც სიმბოლურ-მეტაფორულ სახეებშია გაცხადებული უზენაესის სიყვარული, ასევე, მარიამ ღვთისმშობლის პირდაპირი დასახელების პარალელურად, მაცხოვრის დედა უკვდავყოფილია განუმეორებელი ხილვა-მინიშნებებით. ამასთან, ტერენტი გრანელის შემოქმედებაში მოიძიება აბელის, კაენის, ობის, ადამის სახეები გარკვეული მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობით.

ძველი აღთქმის სახეები

ტერენტი გრანელი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ძველი და ახალი აღთქმის პრობლემებს, სახეებს, მის იდუმალ პასაჟებში ნაგულისხმევი აზრი და საღმრთო წერილის მარადიული ჭეშმარიტებები მრავალი რამით ხდებოდა პოეტის სულთან შემხები.

“მემენტო მორის” ავტორის უაღრესად ინტიმურ, პირველი პირით დაწერილი ლექსებით მეტყველი ლირიკული პერსონაჟი სცილდება პირადული ტრაგედიის სამანს და ცხოვრებისეულ მოვლენებს სიკეთისა და ბოროტების მარადიულ დაპირისპირებად, კაენისა და აბელის მიმართებად ალიქვამს. არსებობა აღქმულია, როგორც გამუდმებული სისხლისღვრა, კაენის სულით დაღდასმული.

ლექსი “კვირის შუადღე” იდუმალებით სავსე ლექსია. მდუმარე სასაფლაოზე (თითქოს სპეციალურად არის შერჩეული ეს ადგილი) მყოფ ლექსის ლირიკულ გმირს არა მარტო მწუხარების ჯავრი ასდევებია მამის საფლავთან, არამედ “უცნობი თვალი”, “შხამი”, რაც ანელებს “კვირის წირვებით” დამშვიდებას, ირგვლივ ილანდება “სისხლი აბელის”, “გლოვა დაწებთან”, ანუ უდანაშაულოთა სისხლი ძმისგამნირველი კაენის ეპოქაში. ნოემბრის ზარებს, სიყვითლის სევდას “ავი სახით” გამოწეული განსაცდელის მოლოდინი აძლიერებს.

სატანისეულ დროში თითქოს სასაფლაოს სიჩუმე უნდა იყოს დამამშვიდებელი, მაგრამ ბოროტების “უცნობი თვალი” არღვევს ფიქრს და უფრო აძლიერებს მწუხარებას:

“თეთრი შუადღე ბრინჯაოს ჯვრებით,
ყრუ სასაფლაო და მდუმარება.
უცნობი თვალი, ო, ჯავრით ვთვრები,
ირღვევა ფიქრი, სდუმს მწუხარება”.

ცხოვრების შხამი ანელებს კვირის წირვების მადლს, მამის საფლავის სევდას ემატება კაენის მიერ დაღვრილი ძმის სისხლი, დანების მუქარა:

“კვირის წირვები ქრებიან შხამით,
დღის ზიარება ხატებს დანებდა.
მამის საფლავი, ტირილი ღამით,
სისხლი აპელის, გლოვა დანებთან”.

დამსხვრეული კუბოს, კვდომის ყვითელ ფერებს, უბედურების ტოტალურ გაბატონებას, უსასრულო წამებას ჰყავს საბედისწერო რეჟისორი — “ავი სახე” და ნოემბრის ზარის რექვიემია ირგვლივ:

“კვირის აისი ლანდებში ახვევს
დამსხვრეულ კუბოს ყვითელი ფერით,
ისევ წამება და ავი სახე,
წამილებს ზარით მე ნოემბერი”.

სამრეკლოს, პანაშვიდების, კვირის ხმაურის ფონზე მხოლოდ მოჩვენებითი სიმშვიდის ილუზია იქმნება, რადგან ხვალ ისე გლოვის შიში იქნება ლირიკული მეს თანამდევი:

“სამრეკლო ანთებს ღრმა პანაშვიდებს,
კვირის ხმაურში კვდება ქუჩები.
ო, ეს სალამო თითქოს მამშვიდებს,
მაგრამ ხვალ გლოვას ვერ გადვურჩები”.

ლექსის ფინალში ისევ მოუცილებელია სასაფლაოს სევდა, “უცნობი თვალის” ბოროტი მზერი, ჯავრი, მწუხარება, დარღვეული ფიქრის ტკივილი, მიუხედავად “ბრინჯაოს ჯვრებისა”, იგრძნობა, რომ ეპოქას ასდევნებია ტოტალური უბედურების მომტანი ეშმაკეული სული...

ვფიქრობთ, ლექსის შექმნის იმპულსი ჩვენი საუკუნის ოციანი წლების სინამდვილე იყო, რომელიც განსაკუთრებული კატაკლიზმებით გამოირჩა ჩვენი ერისთვის. ამიტომაც ორგანულად მოერგო პოეტურ სტრიქონებს სასაფლაოს, გლოვის, მწუხარების, კუბოს, უცნობი თვალის, ავი სახის, კაენის, სისხლის ასოციაციები, დაპირისპირებული რწმენასთან (ჯვრებთან), აბელის სიწმინდესთან.

ღმერთზე ოცნებას, მისი ძვირფასი სახელის ერთგულებას “შიში” და “საფრთხე” მოსდევს სატანისეული ბოლშევიზმის აღზევებისას, როცა ქარებისაგან ყაჩაღივით აკლებულია “ძველი ბაღები”,

როცა ტირის “ბებერი მზის მწუხარე სხივი” და ძმისმკვლელი კაენი-ვით გმობილია სიკეთე.

გამარჯვებული ბოროტების ზეობისას მხოლოდ ტირილსა და ლოცვებია ნუგში და ლექსის “შენს გაქცევას” სათქმელი მთლიანად სიმბოლური ხილვებით არის გაცხადებული.

პირველივე სტრიქონები სიავით განადგურებული ბალების სევდას გვიზიარებს, როცა ეზენაესის “ძვირფასი სახელის” ხსენებაც კი აკრძალულია, კეთილისათვის კი კაენის ხვედრია გამზადებული:

“ძელ ბალებს დაეცნენ ქარები ყაჩალივით
და აიკლეს ფოთლები.
თავზე დამტირის ბებერი მზის მწუხარე სხივი,
ო, ლოცვით მელის ბოდები.
შენს ძვირფას სახელს ამ ტირილში მე არ ვეხები,
და ვარ კაენივით გმობილი”.

ლექსის სათქმელი მთლიანად იდუმალების ბურუსშია გახვეული (რაც სიმართლის დაუნდობელი დევნით და პოეტის სულიერი ინდივიდუალობით აიხსნება), იდეის სიმბოლური ფორმით მოწოდების ხელოვნება გაუთავისებია პოეტის.

ბალი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის განმარტებით, ბიბლიაში ბალი და ვენახი ორგვარი გაგებით იხმარება. ერთ შემთხვევაში მინიერი ბალი და ვენახი ისრაელის ხალხის სიმბოლოა: “ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი” (ესაია, 5,1).

“ზეციური ბალი” და სულიერი თუ გონიერი ვენახი კი საღმრთო მნიშვნელობისაა, ხან ძე ღმერთის, ხან მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

ბიბლიაში, სასულიერო მნერლობაში ღვთის მეტაფორული სახელია მზე.

ტ. გრანელის ლექსის საღმრთო მზის თანმხლებია “ბებერი”, ალბათ მისი უძველესობის და უპირველესობის მისანიშნებლად.

საღმრთო მზის წყაროებად შეიძლება მივიჩნიოთ ფსალმუნის მზე: “მზე და ფარია უფალი ღმერთი” (ფს. 83/84, 13).

ასევე მალაქია წინასწარმეტყველის “მზე სიმართლისა”: “ამოგიბრწყინდებათ ჩემი სახელის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე” (მალაქია, თ. 3,20).

სხივი, შუქი ძე ღმერთის სიმბოლოდ ფიგურირებს ფსალმუნში, ესაია წინასწარმეტყველთან.

მივმართოთ მაგალითებს: “უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი — ვის შევუშინდე?” (ფს. 26/27, 1).

“ხალხები მოვლენ შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე” (ესაა, 60,3).

ექ დეთაების სიმბოლოდ ფიგურირებს დავით გურამიშვილის “დავითიანში” — “მზეთა მზის სხივი”.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ტერენტი გრანელის ლექსში “შენს გაქცევას” ისახება ღვთისმგმობელი ეპოქა, როცა ყაჩალივით გახელებული ბოროტება — ქარი იკლებს “ძველ ბალებს” ანუ აჩანაგებს ადამიანურ სულს (ბალი კაცური ბუნებაა), რითაც შეძრწუნებულია ღმერთი. ლექსის ლირიკული გმირი “ძვირფას სახელს” (ქრისტეს) არ ახსენებს, მაგრამ გამუდმებით ლოცულობს მასზე. სათონება კი კაენივით გმობილია, რადგან სატანის მიზანი სიკეთის დამარცხებაა.

ასე იხატება ლექსში ღმერთისუარმყოფელი საუკუნე.

ღმერთზე ოცნებას “შიში” და “საფრთხე” ახლავს, მისი “ძვირფასი სახელის” ხსენებაც შეუძლებელია, როგორც გვამცნო პოეტმა უკვე წინა სტრიქონებში:

“ვოცნებობ შენზე, როგორც ბავშვი შიშით დაღლილი,
თან მდუმარებაც მიზიდავს ტყეში.
ო, ეს საღამო ჩემს ნაზ სულში რჩება დალივით,
მაგრამ ვიქნები მაინც საფრთხეში”.

ასეთი უმწეოა ბავშვური სიწმინდე და ნაზი სული, ასე ზეობს ბოროტება და გმობილია სიკეთე.

ერთ ლექსში “მე მარწმუნებდნენ” გალაკტიონ ტაბიძე აცხადებდა:

“მე მარწმუნებდნენ, რომ არ იქნება,
შენ დაუსჯელად გიყვარდეს იგი,
მარწმუნებდნენ, რომ არ გარდიქმნება,
მკაცრი დლეების ყოფა და რიგი” (გალაკტიონი, თბ. 1977, გვ. 267)

დაუსჯელად სატანური ბოლშევიზმის ბატონობისას ღმერთის სიყვარული და მისი სამსახური არ შეიძლებოდა, ასე რომ ანალოგიურ პრობლემასთან გვაქვს საქმე ამ ორი პოეტის შემოქმედებაში.

უცოდველი და ცოდვილი ადამიანების მრავლისმეტყველ სახეებს ვხვდებით დაბადების წიგნში.

უცოდველი ადამიანი ღმერთის ერთგული იყო და მას ნათლის სამოსი ემოსა ევასთან ერთად.

გველისაგან შეცდენილი ევასა და ადამის სამოსი გახდა ბინძური ტყავი, მათ დაკარგეს უკვდავება და სამოთხე ცნობადის ხის

ნაყოფის ჭამის გამო, რის შემდეგაც პირველ ადამიანთა შთამომა-ვალნიც გამუდმებით ცოდვის ტყვე ხდებიან.

აღმაფრენის წამებში ქრისტეს ხილვას მიელტვის ტერენტი გრანელი:

“წამი აღმაფრენის და ფიქრი ნაჩვევი,
ღმერთო, გამაფრინე და ქრისტე მაჩვენე”.

მაგრამ გაფრენისას ბარიერად ადამის ცოდვა იქცევა:

“ხელს მაღლა აგიშვერს ცოდვა ადამისა,
ღმერთო! გამაგიუე და შენვე დამიცავ”.

პოეტს ეძახის ზღვა — ცოდვილი ცხოვრების სიმბოლო: “ვაი ხმაურს დიდალი ხალხისას, ხმაურობენ ზღვის ხმაურით, ვაი ხალ-ხების ღრიალს, ღრიალებენ ადიდებული წყლის ღრიალით” (ესაია, 14,4), ბოროტეულნი “აღლვებულ ზღვას ჰეგანან,... და მისი ტალ-ლები ისვრიან ლაფსა და ტალახს” (ესაია, 57,20).

ამიტომაც ნატრობს “სხვა პლანეტაზე” (სულის სავანეში) გალ-ვიძებას:

“ნეტავ ზღვის ძახილზე, გრიგალს გავეტაცე,
ღმერთო! გამაღვიძე მე სხვა პლანეტაზე”.

მიწიერი ბალის მკვიდრს, მგლოვიარეს, რომელსაც პანაშვიდე-ბის მოსმენა დაპედებია ამ მწუხარე საუკუნეში, ენატრება სამუდა-მო სიმშვიდე და ძილი, ზეცაში გაფრენა (გარდაცვალება), რომ ამ გზით მაინც იხილოს ქრისტე:

“მიმაქვს პანაშვიდი, ვარ ღია ბალისებრ,
ღმერთო! დამამშვიდე და ძილი მალირსე” (“ლოცვა გაფ-რენისათვის”).

პოეტი, როგორც “ადამის ძე”, “საშინელ” და “უცნაურ ძალას” გრძნობს საკუთარ არსებაში: “შეიძლება მე ადამის ძე ვარ, ვგრძნობ საშინელ და უცნაურ ძალას”.

გაუხარელი იყო ტერენტი გრანელი ცხოვრებაში, რომელსაც ამქვეყნიური, მიწიერი ბედნიერების ნამუსრევებიც არ არგუნა ბედ-მა. ალბათ, ამიტომაც იყო ბიბლიური მრავალტანჯული იობის სახე პოეტისათვის მახლობელი.

“დაბრუნება სოფელში” არის ბავშვობის აუხდენელი სურვი-ლის — ქრისტეს გამოცხადების ამაო მოლოდინის მოგონება. მერე

დედის აჩრდილის მოვლინებაა, რომელიც დებსა და მამაზე ზრუნვას ავალებს. დარდს და უძილობას აძლიერებს „ველზე გათხრილი სამარე“, რომელიც „მიწის ჭრილობას“ აგონებს. მზერისაგან განუშორებელია საყდარი.

ტკივილს აძლიერებს პირადი უიღბლობა, ტალახად მოდებული ჭორები, სხვათა გაკილვისათვის მოწოდებული მოლაყბები, ავადმყოფობა (ციება), მისი ნიჭის დაუნახაობა და გენიალობის შეუცნობლობა:

“ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად:
მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტრნჯავს ციება.
ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა,
ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპატიება”.

თვალები თუმცა ცეცხლიანია, სახე — შემოდგომასავით გაფითრებული, ვერც ნიჭი და მაღალი ზეცა შველის პოეტს, რომელ-საც ბედმა თითქოს იობის ტანჯვა დაანათლა:

“თუმცა თვალებს ცეცხლიანს არ ეტყობათ დაღალვა,
ვიცი, გაფითრებული ვგავარ შემოღამებას.
ნიჭმა ვეღარ მიშველა, როგორც ზეცამ მაღალმა, —
არ თავდება ვარამი და იობის წამება”.

იმედებს ეძებს პოეტი, თუმც იგი წამიერი ფარია, სოფელში, ოცნების სამყაროში მშვიდლება, მაგრამ სიკვდილის მოლახდებაა ფაქტი:

“ახლა მინდა ამ მზეში იმედები გახშირდეს,
(თუმცა რა იმედა? — წამიერი ფარ-ხმალი).
მელაზდება სიკვდილი და სოფელი მამშვიდებს,
ჩემი ტკილი ოცნების ლურჯი წამოსახლარი”.

ლექსის აქცენტი იობის წამებაზე მოდის. მართლაც ბიბლიური იობს ჰეგვდა ტერენტი გრანელი. იობივით ყველაფერი და ყველა წაჲვარა მას ბედმა. თუ ბოლოს იობი ღმერთმა მაინც უხვად დაასაჩუქრა სულვრძელობის, მოთმინებისა და რწმენის ერთგულების გამო, ტ. გრანელის ტანჯვის საზღაური მხოლოდ პოეტური სიხარული იყო.

ეპოქის, თავისი თანამედროვეობის უტყუარ დახასიათებას ქართველი პოეტი ბიბლიური სახეების საშუალებით აღწევს. ეს სახეებია გველი, მკვდარი დღეები, ძველი დღე, მხეცი.

ღმერთის დაგმობა ტოლფასია სიკეთის ჯვარცმის. ლექსში “MABCURITE” ნისლიანია გზა, მკვდარია დღეები, გველია ცხოვ-რების თანამგზავრი და კანკალებს გაზის რტოები:

“შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე
და კანკალებდა რტოები ვაზის.
გველივით გდევდა ცრემლების ზღვაზე
მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი”

რტო, ვაზი სალმრთო სახელებია.

სალმრთო სახელებია ახალი დღე, გრძელი დღე, ძველი დღე. ლექსში გველის, სატანის გაბატონებით იდევნება ღმერთი — დღე. უარყოფილი ღმერთის ეპითეტია “მკვდარი”.

ღმერთისუარმყოფელ ეპოქაში ისევ ჯვარცმულია, ანუ სისხლიანია ქრისტე:

“ეს იყო დარდი, სულის დაღალვა
და სისხლიანი ბედი ქრისტესი.
ცოდვილ დასავით მოგაჩნდა ალბათ,
სიჩუმე თეთრი და უწმინდესი”.

ცხოვრების უდაბნოში საბედისწერო ზარი ხმიანობს, თოვლი და ქარი ბატონობს, ხსოვნაში კი ლურჯი სიზმრის ლანდებივით ჩნდება “ძველი დღეები” — შემოქმედი ღმერთის რწმენა:

“გესმოდა ზარის ხმა უდაბნოდან
და განვალებდა თოვლი და ქარი.
ძველი დღეები შენ წინ ჩნდებოდა,
როგორც ლანდები ლურჯი სიზმარის”.

“ბიბლიურ-ქრისტიანულ სამყაროში “ძველი დღე” ფართოდ დამკვიდრებული სახეა. იგი ღმერთის სიმბოლოა, კერძოდ, მამალმერთის სახელადაა ფიგურირებული: ...” ძველი იგი დღეთაი დაუსაბამოი დღეს იშვების ყრმად”, “დანიელ იხილა ძველი იგი დღეთაი ესე ჩუენებაი მამისაი” (სინური, მრავალთავი, გვ. 33). დავით გურა-მიშვილსაც გამოუყენებია იგი: “მიუწვდომელო ნათელო... ძველო დღეო” (ტიტე მოსია, სალვონ სახისმეტყველება, გვ. 115).

მივმართოთ “ძველი დღის” უმუალო წყაროს: “კაცის ძის მსგავსი ძველ დღეთასთან მივიდა და წარდგენილ იქნა მის წინაშე” (დანიელი, 7, 13).

“ძველი დღე” მამალმერთის სიმბოლოა, “ახალი დღე” (გვხვდება მხოლოდ “დავითიანში”) — ქრისტესი (იქვე, გვ. 116).

ტერენტი გრანელის ლექსის ლირიკულ გმირს არ ასვენებს სისხლიანი ქრისტე და მამაღმერთის — “ძველი დღეების” სახება რწმენის წინააღმდეგ ცეცხლითა და მახვილით ბრძოლის ეპოქაშიც.

გველთან ერთად, მხეცის ნიშნით წარიმართა გალაკტიონისა და ტერენტი გრანელის ეპოქა.

“მიმზერს გულიდან მხეცი” — ამბობს “მემენო მორის” ავტორი და ბიბლიური თუ აპოკალიფსური მხეცების ასოციაცია გვიჩნდება. თვით პოეტი კი უზენაეს საწყისებთან არ წყვეტს კავშირს: “მოვედი შენთან, მე ანგელოზი ზეცის” (“ვარ ახლაც კენტად”).

ამ ჭეშმარიტი ლირიკოსის საღმრთო სახისმეტყველებიდან განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩინია შუქისა და სხივის ვარიაციები: სიცოცხლის შუქი, ცისფერი შუქი მარადისობის, სულის შუქი, უმანკო შუქი, ნუგეშის შუქი, თავისუფლების შუქი (დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ).

ტ. გრანელის უპირველესი თავისებურებაა არა საგნობრივის, ემპირიულის გამოხატვა, არამედ უხილავის, მიღმურის, იდუმალისადმი ინტერესი, ამიტომაც, როგორც თვითონ აცხადებს, “ეს მხარე უფრო სულის მხარეა” (“გუშინ ამ ხესთან”).

“მორეული და უხილავი მზე, შორეული ღრუბელი, შორეული ზეცა, სიშორის ცეცხლი, ცისფერი სიშორე, შორეული გზა, შორეული ხე, შორეული ყვავილები” იქცევს ყურადღებას ტ. გრანელის შემოქმედებაში, ამასთან “ექსკურსია ცისკენ”, “ბარათი ცისკენ”, “უმაღლესი ცის” სიყვარული.

ბაბლიური საღმრთო სახელებიდან ტერენტი გრანელის პოეზიაში ფიგურირებს სასწაული, იმედი, წვემა, ნუგეში, ზაფხული, ცეცხლი, მზე, შუქი, წიგნი, ყვავილი, მარადიული ყოფა, ძველი დღე, სული, საოცრება, დღე, გზა, ალვა, დიდი დღე, ერთი, უსაზღვროება, იდუმალი, იდუმალი ძალა, ლოდი, რომელთა წყაროს წარმოადგენს ძველი აღთქმა. (იხ. ჩვენი „უცნობი სფინქსი“, გვ. 9-34).

განსაკუთრებული ძალისხმევით მიმართავდა ტერენტი გრანელი იესო ქრისტეს, ქმნიდა მის ორიგინალურ სახე-სიმბოლოებს და სულის, სიწმინდის, სიკეთის გადარჩენის ერთადერთ გზად ესახებოდა ჯვარცმული ლმერთი. “მემენტო მორის” ავტორის შემოქმედებაში ერთი მხრივ გვხვდება პირდაპირი სახელით მიმართვა ძე ლმერთისადმი, ამასთან საყოველთაოდ ცნობილი კანონიკური სახების გამოყენება და მათი გამრავალფეროვნება ახალი ნიუანსებით.

პოეტი გამუდმებით ღმერთის თანამგზავრად განიცდის თავს, ევედრება, მიმართავს, დაეძებს და ელის მის გამოცხადებას: “და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან” (“პოეტი პატიმარი”), “ამ მაღლობზე ველოდი ქრისტეს გამოცხადებას” (“დაბრუნება სოფელში”), “მიმასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძლოდა” (“მიცვალებულის დღიურიდან”), “მე ვგავარ უთუოდ ქრისტეს”.

ახლა ვნახოთ რამდენად თავისებური შტრიხები შეაქვს პოეტს საღვთო სიმბოლიკაში.

“მოვა ცისფერი სული” (“უცნობ საფლავთან”). ახალ აღთქმაში ღმერთი სულია: “ხოლო უფალი სულ არს” (პავლე მოციქული, კორინთელთა მიმართ, 3,4,521,17).

“ისევ მოვა იდუმალი ღამე, ისევ მოვა იმედების გროვა” (“ეს სტრიქონი”).

“მზიანი ღამე” ღმერთის სიმბოლოა. ღამეს გრანელმა ახალი ნიუანსი შესძინა. ასეთივე გაგებისაა მისი “ცისფერი ღამე”: “მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა მივალ ცისფერ ღამისკენ” (“მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა”). ამ კატეგორიის სახეა “ნისლიანი ღამე”: “გულში ნისლიანი ღამეა, სულში ცისფერი სინათლე”.

ნათელი, სინათლე საღვთო სახელია: “მე უფალმა... დაგადგინე აღთქმად ერისთვის, სინათლედ ხალხებისათვის” (ესაია, 42,6). ნათელის ნაცვლად ტ. გრანელმა ცისფერს მიაგნო.

ვარსკვლავი ქრისტეს სიმბოლოდ ფიგურირებს აპოკალიფსში: “მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისა და ვარსკვლავი ბრნყინვალე განთიადისა” (იოანე, გამოცხადება, 20,16).

ტ. გრანელი მიმართავს ამ სახეს: “და ვხედავ ცაზე უდიდეს ვარსკვლავს” (“ვარ სხვასთან ასე”). “უდიდესი” გრანელისული ეპითეტია. ან: “ცაზე ანთებულია ვარსკვლავები, სიმბოლო თეთრი მარადისობის” (“მემენტო მორი”). ასეთივე აზრისაა “ვარსკვლავი ერთი”: “ღამეა, გულში ვარსკვლავი ერთი მიღვიძებს გულში სხვანაირ იმედს” (“ციხის ელეგია”).

საოცრება ღმერთის სახელია ფსალმუნში: “გაიხსნეთ მისი სასწაულები, საოცრებანი” (ფს. 104/105, 5).

შდრ: გრანელი: “საოცრების ლანდები შენს წინ გლოვას ანთებენ, როგორც ბრილიანტები საიდუმლო ოცნებით” (“მწუხარე მელოდია”). ან: “ღამეა ქარის და საოცრების” (“დღეა წვალების”), “ჩუმად გენვია საოცრების რუხი ხაზები” (“ფიროსმანაშვილს”), “და ვუცდი ისევ სხვა საოცრებას” (“მოვიდა დღე”).

საღვთი სახელებია “წმიდა გზა, ცოცხალი გზა, უცნობი გზა”: “შარაგზა იქნება იქ და წმიდა გზა დაერქმევა მას”... (ესაია, 35,8).

“ნავიყვან ბრმებს მათთვის უცნობი გზებით და მათთვის უცნობ ბილიკზე გავატარებ” (ესაია, 42,16).

ტ. გრანელის ღმერთს ეწოდება “სხვა გზა”, “წმიდა შარა”, “შორი გზა”: “ეს წმინდა შარა, ეს წმინდა ქვები” (გზაც და ლოდიც საღვთო სახელია), “მიდის ჩემი გზა შორი” (“ნახევარია ორის”), “ყვავილს ვფანტავდი და იყო სხვა გზა” (“ვაკიდან”).

შუქი საღვთო სახელია. ტ. გრანელთან გვხვდება “ცისფერი შუქი მარადისობის” (“ნარადისობის ლაჟვარდები”), “უმანკო შუქი, ნუგეშის შუქი, თეთრი შუქი...”

ღმერთი არის სასწაული: “მოავლინე სასწაული და საოცრებანი ჩვენს შორის” (ფს. 134/135, 9). შდრ. გრანელი: “ახლა სასწაულს მხოლოდ მე ველი” (“ვერ გიღალატე”).

იმედი ღმერთის სახელია: “შენა ხარ ჩემი იმედი, უფალო, ღმერთო ჩემო, ჩემი სასო ყრმობიდანვე” (ფს. 70/71, 5).

მივმართოთ ტ. გრანელს: “და იმედს მაძლევს ახლაც შორი ცა მარად მუქი” (“მორჩა, არავის ველი”), “და იმედებიც ახლოს არიან”, “ვგრძნობ წამებას და შორეულ იმედს”, “შენსკენ გამაფრინეს ფიქ-რებმა რაღაც შორეულ იმედით”.

ღმერთი არის ნუგეში: “მე ვარ, მე, თქვენი ნუგეშისმცემელი” (ესაია, 52, 12). შდრ. ტ. გრანელი: “მოდის ნუგეში ჩემი, როგორც ცის-ფერი მტრედი” (“თოვლი”). “ჩამქრალი თვალებით ნუგეშს ვეძებდი, ვეძებდი ნუგეშს და მიხაროდა”.

ცეცხლი საღმრთო სახელია თავისი მრავალგვარი ეპითეტებით (უცნაური, საცნაური, შეუწველი, განმანათლებელი, მარადიული...).

ტ. გრანელის ღმერთს “სიშორის ცეცხლი” ენოდება: “ისევ სი-შორის ცეცხლი მიზიდავს, ისევ ცეცხლი ეკიდება თვალებს”. “შორეულ ალებშიც” ასეთივე აზრია: “და იწვევს გაოცებას შორეული ალები” (“მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე”).

ღმერთის სახელია უსაზღვროება (ი. დამასკელი, ჰიმნოგრაფია).

მივმართოთ ტ. გრანელს: “ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი” (“სამშობლოს”, ჩემს სულს სწყურია თეთრი სავანე, ჩემს სულს სწყურია უსაზღვროება”, “ახლა ვგრძნობ ცისფერ უსაზღვროებას” (“არ ვესალმები ამგვარ დროებას”), “შორიდან ვხედავ უსაზღვროებას”...

ღმერთის სახელია “შორეული” (ნეტარი ავგუსტინე).

“შორეულს მივსდევ და შენთან არ ვარ” (“კვლავ ვსდუმევარ ახლა”).

“შორეულს ელი, ისმენ ამ არიას” (“წვიმიანი დღე”), წერს ტ. გრანელი.

“ღრუბელი, “სულმცირე ღრუბელი”... მარიამის სიმბოლოებია (ტ. მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, გვ. 124).

ტ. გრანელის “ღრუბლის ბავშვი” ქრისტეა: “და ღრუბლის ბავშვი ჩაივლის მზესთან” (“დადგება მაისი”).

ყვავილი საღმრთო სახელად ისახება ძველი აღთქმიდანვე: “ყვავილები დაჩნდნენ მინის პირზე, უამი გაღობისა მოინია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში” (ქებათა ქება სოლომონისა, II, 12).

ტ. გრანელის “ცისფერი ყვავილი” სულშია: “და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან” (“შორეული ყვავილები”). მისი “შორეული ყვავილებიც” ქრისტეს სიმბოლოა.

“სიტყვა” ქრისტეს სახელია: “თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი” (იოანე, I, 1).

“სიტყვა” ტ. გრანელის არსებობის არსია: “მჭირდება სიტყვა, ვით წყალი თევზებს” (“მოვა სალამო”).

ნათელი ქრისტეს სახელია: “მე ვარ ნათელი სოფლისაი” (იოანე, 576,12).

ტ. გრანელთან ფიგურირებს “ზენარის ნათელი”: “დგება ნათელი ისევ ზენარის” (“მე რა ვქნა”).

გაზაფხული, ზაფხული საღმრთო სახელად მიიჩნევა და მომდინარეობს ფსალმუნიდან: “გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე” (ფს. 64/65, 12).

ტ. გრანელი შეკარის “სხვა ზაფხულს”: “სხვა ზაფხულია, მღერის მერცხალი” (“დღე მზიანი”), “სხვა იმედები გაქრნენ, მხოლოდ გაზაფხულს ვნატრობ” (“სიმარტოვე”), “ვნატრობდი ზაფხულს ბალით, მდელოთი” (“ფიქრები წაღვერში”).

ლუკას სახარების მიხედვით, ქრისტე არის “სიხარული ყოვლისა ერისა” (ლუკა, 2,10).

სიხარულის დღეს — ანუ ღმერთს ელის ტ. გრანელი: “აქ მტრებია ორგვლივ, იქ შორეული ხე, მოვა თეთრი ფიქრი და სიხარულის დღე” (“ვიწყებ ლექსის ნერას”), “გავიდა ხანი და მომაგონდა დღე სიხარულის რომ კრთოდა წინათ”.

მზე საღმრთო სახელია: “მზე და ფარია უფალი ღმერთი” (ფს. 84,12).

ტ. გრანელის ღმერთს ეწოდება “სხვანაირი მზე”: “დღეს სხვანაირი მზის ამინდია” (“გაზაფხულია”). “შორეული მზე”, “უხილავი მზე”: “მე ქვეყნის გაჩინიდან ნელა მივდიოდი სინათლისკენ, რომ მეზილა მზე. ალბათ მიზიდავდა შორეული და უხილავი” (“გულიდან სისხლის წვეთები”).

“მაცხოვრის სახელად ცვართან ერთად წვიმაც გვხვდება სასულიერო მნერლობასა და “დავითიანში” და ეს სახე მომდინარეობს მსაჯულთა წიგნიდან (ტ. მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995, გვ. 122).

უფალზე მიგვანიშნებს ტ. გრანელის “შორეულ ღრუბლის სანაპიროდან მოვლენილი წვიმა: “და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან”.

ღრუბელი მარიამის სიმბოლოა (ტ. მოსია, საღვთოსმშობლო სახისმეტყველება, გვ. 118).

“წყალი, წყარო, „სულიერი წყარო”... იგივე მაცხოვარია.

“წყარო ცხოვრებისა” ქრისტეს სიმბოლოდ წინასწარმეტყველთა წიგნებში გვხვდება: “რამეთუ შენგან არს წყარო ცხოვრებისა (ფს. 35,10). “აღმივსეთ წყალი მხიარულებითა წყაროთაგან ცხოვ-

რებისათა” (ესაია, 12,3). “დაუტევეს წყარო ცხოვრებისა უფალი” (იერემია, 17,13).

ტ. გრანელის ღმერთს ეწოდება “ბედის წყარო”: “ახლოს არ დარჩა ვარდი არც ერთი და გლოვა კრთოდა და ბედის წყაროდან, ჩამქრალ თვალებით ნუგეშს ვეძებდი, ვეძებდი ნუგეშს და მიხაროდა” (“ხსოვნის სიმაღლე”). საღმრთო სახელებია ვარდი, ბედის წყარო, ნუგეში.

ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, სასულიერო პოეზიაში ხე ცხოვრებისა ღვთაების მეტაფორული სახელია (დაბ. 2,9) (გამოცხად. იოანესი, 22, 1-2).

სიცოცხლის ხედ სახელდებულია ალვა, პალმა, კიპარისი, ჩინარი, ვერხვი (ზ. გამსახურდია), ნაძვი (ა. ბაქრაძე), ვაზი (რ. სირაძე, ე. მეტრეველი, გ. მურლულია).

ტ. გრანელის ღმერთს ეწოდება “შორეული ხე”: “აქ მტრებია ირგვლივ, იქ შორეული ხე. მოვა თეთრი ფიქრი და სიხარულის დღე”.

“შორეული ხის” ადრესატი ქრისტეა სხვა ლექსებშიც: “ხე შორეული ისევ იქ იცდის და ჩემს გარშემო სხვები არიან. ეს დღე მაღვიძებს სიხარულისთვის, დღეს ისევ მზეა და დღეს დარია”.

ალვა, კიპარისი, ნაძვი, ვაზი სიმბოლურ კონტექსტში მოიაზრება ტ. გრანელის ლექსებში: “ლუნავს ქარები ალვას, ელავს მუსიკის ხმები”, “თავზე მადგას კიპარისის ტოტი და საღამოს ვარდისფერი ზეცა”, “შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე და კანკალებდა რტოები ვაზის” (“MABCUPERITE”), “იყო ღრუბლიან დღის მდუმარება და მოლოდინი მაღალ ნაძვების”, “და ნაძვის ტოტებს ვხედავდი იქით და მოელიდე ყოველთვის სიკვდილს”, “ეს მაღალი ჩინარი აქ ნამებას განიცდის”...

ამ ვატეგორიის სახეა “ძეირფასო ხე”: “ძეირფასო ხეო, შენ მოგეყრდნობი, ძეირფასო ხეო, რამე მირჩიე, შენ გევედრები მწუხარე სახით, ეს ტკივილები შენ მომირჩინე”.

ამ სახეებს აგვირგვინებს “შორეული ბალი” (“სდუმს სადღაც ბაგე შორეულ ბალში”), “ცისფერი ბალი”, “დილის ცისფერი ბალი”, “ლამის ცისფერი ბალი”, “უხილავი ბალების წყურვილი”...

სიცოცხლის შუქის ძიება

ტერენტი გრანელის შემოქმედება, რომელიც იგავური, სიმბოლური ფორმით მოწოდებული ჭეშმარიტებებით გვიზიდავს, იმ მარადიული სიბრძნის წყაროს დანაფების შედეგია, რაც ბიბლიაში არის დაუნჯებული უზენაესის სახით: “წყარო სიბრძნისა უფალი” (ბარუქ წინასწარმეტყველი, III, 12).

ორგვარ სიბრძნეს განარჩევენ ბიბლიაში: მიწიერს, ხორციელს და ღვთის სიბრძნეს (ბარუქი, III, 23), ეშმაკეულ სიბრძნეს და მაღლით გარდმოვლენილს (პეტრე მოციქულის წერილი ებრაელთა მიმართ, I, 15), პავლე მოციქული აცხადებდა: “წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე” (I კორინთელთა, თ. 3,19), იგი მოგვიწოდებდა შეგვეცნო “ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული” (I კორინთელთა, თ. 2,6).

“გამაგებინე სიბრძნე ფარული”, — ევედრებოდა დავით წინასწარმეტყველი ღმერთს.

დაფარულს, უხილავს, შორეულს ეძებდა მთელი ცხოვრება ტერენტი გრანელი.

ადამიანები დასაბამიდან მიისწრაფოდნენ ღვთისაკენ, მაგრამ მასთან მისასვლელ რთულ გზებს ვერ აგნებდნენ და კერპების, ცრუ ღმერთების მოთაყვანე ხდებოდნენ. ყოვლისშემძლე კი ყოველთვის სამარცხვინო აღსასრულს უმზადებდა კერპებსა და მის მსახურთ.

მეოცე საუკუნემ ჭეშმარიტი ღმერთის უარყოფასა და კერპების გამოგონებაში გადააჭარბა ყველა წინა ეპოქას. ხელისუფლებაში მოსულ სიცრუის მოციქულებს, ანტიქრისტებს უნიჭო, უპრინციპო, პრიმიტიული კალმოსნები სჭირდებოდათ ყალბი დიდებით, წარმავალი აპლოდისმენტებით თავის მოსატყუფებლად. სულინმიდის მადლით ცხებული შემოქმედნი კი დევნილი, ტერორიზებული და რეპრესირებული იყვნენ თავის დროზე.

მაგრამ როცა გაითანხტა “ძილქუშის სული”, გამოირკვა, რომ უღმერთო და უნიჭონი “ბზეს წააგვანან, ქარისგან ალგვილს” (ფს. I, 4). ხოლო მართალი, რჯულის მიმდევარნი არიან “წყლის ნაკადებთან დანერგილ ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს” (ფს. 1,3).

გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წელი გაუცხოების ნისლი ებურა ტერენტი გრანელს, საღვთო სიბრძნით სავსე მის შემოქმედებას საგანგებოდ უგულებელყოფდნენ და მკითხველს უმალავდნენ მედროვეები, პრიმიტივები, მაგრამ პოეტისათვის აფარებული ნისლისა და ღრუბლის ფენა ავერ აბნელებდა ზეციურ ბრწყინვალებას, ასე უხვად რომ გადმოეფრქვია არსთაგანმრიგეს “მემეტო მორის” ავტორისათვის.

დღეს ტერენტი გრანელის აზრი მეუფებს ყველგან, აზრთან კი, როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, არტილერიაც უძლურია.

აშკარაა ტერენტი გრანელის პოეზიის “მსოფლიო სევდის ცეცხლი”, ქრისტიანული მსოფლგანცდა, უზენაესის ძიება და სიმბოლური ფორმით გამოხატვა სამყაროს შემოქმედის, ძე ღმერთის სახეებისა, რომელთა წყაროების მოკვლევას ბიბლიასთან მიყვავართ.

ტ. გრანელს პროლეტარული პოეზიის პრიმიტივთაგან გამოარჩევდა რთული სიმბოლურ-მეტაფორული სახეები, ხილვები, რომლებიც დაკავშირებულია პოეტის ურთულეს მსოფლმხედველობასთან და საგანგებო ჩაღრმავება-გაცნობიერებას მოითხოვს, როგორც მის უიდუმალეს სამყაროში შესასვლელი უპირველესი კარი.

ამ ჭეშმარიტი ლირიკოსის საღმრთო სახისმეტყველებიდან განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია შუქისა და სხივის ვარიაციები. მათი წყაროების გათვალისწინებისათვის კი წინასწარმეტყველთა წიგნებს უნდა მივმართოთ.

ტ. გრანელის უპირველესი თავისებურებაა არა საგნობრივის, ემპირიულის გამოხატვა, არამედ უხილავის, მიღმურის, იდუმალისადმი ინტერესი, ამიტომაც, როგორც თვითონ აცხადებს, “ეს მხარე უფრო სულის მხარეა” (“გუშინ ამ ხესთან”).

ტ. გრანელის პოეზიაში ყურადღებას იქცევს “შორეული და უხილავი მზე, შორეული ღრუბელი, შორეული ზეცა, სიშორის ცეცხლი, ცისფერი სიშორე, შორეული გზა, შორეული ხე, შორეული ყვავილები, „ექსკურსია ცისკენ”, „ბარათი ცისკენ”, „უმაღლესი ცის” სიყვარული.

იმ მცირერიცხოვან პოეტთა რიცხვს ამშვენებს ტ. გრანელი, რომელთაც გაუთავისებიათ საღვთო სიბრძნე, ჩვეულებრივთათვის დაფარული ჭეშმარიტები.

სიმბოლურ შუქთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოდ გვესახება ერთი უსათაურო ლექსი, რომელშიც ფიგურირებს “სიცოცხლის შუქი”, ცისფერი ბალი, ყვავილები, სიცოცხლე, ძვირფასი წიგნი და ქრიზანთემა:

“ღმერთო, სოცოცხლის შუქი მაღირსე,
დღეს ასეთია ჩემი პროფილი.
და მივალ ასე ცისფერ ბალისკენ
და მივალ ასე გამოწყობილი.”

“შუქი, სხივი” ძე ღმერთის სახელია ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიურ მწერლობაში (ი. დამასკელი, პ. იბერი, გრ. ნაზიანელი, ი. პეტრინი).

“სამებისა და ღვთისმშობლის მისტერიაში” ლუდვიგ ფოიერბახი შუქს უწოდებს მამას, ამასთან, შუქს მიიჩნევს “ძის პრედიკა-ტად” 9 „ქრისტიანობის არსება,“ თბ. 1956, გვ. 109).

დ. გურამიშვილის მიერ სამება მოაზრებულია მზის, სხივისა და ნათლის ასპექტში. “მზეთა მზის სხივი” ქრისტეს სიმბოლოა.

ტ. გრანელის “სიცოცხლის შუქის” წყაროს, ჩვენის აზრით, დავით წინასწარმეტყველის “ფსალმუნი” წარმოადგენს: “შენ ხარ ღმერთი ჩემი სიმაგრისა” (ფს. 42/43, 2).

“გამოავლინე შუქი შენი და ჭეშმარიტება შენი. ისინი წამიძღვებიან მე და მიმიყვანენ შენს წმინდა მთასთან” (ფს. 42/43, 3).

“რადგან იხსენი ჩემი სული სიკვდილისაგან, აგერ, ჩემი ფეხი წაბორწიკებისაგან, რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით” (ფს. 55/56, 14).

ფსალმუნში მრავალგზის შევხვდებით საღვთო შუქის ბრწყინვალებას: “მცნება უფლისა სპეტაკია, შუქს აძლევს თვალებს” (ფს. 18/19, 9).

“ჩვენი დანაშაულებანი წინ დაიდე, ჩვენი საიდუმლო შენი სახის შუქის წინ” (ფს. 89/90, 18).

“შუქი იღვრება წმიდისათვის და გულმართალთათვის მხიარულება” (ფს. 96/97, 11).

ღვთის შუქით ასპეტაკებს სულს ფსალმუნის სხვა სტრიქონებიც: “ამოაბრწყინებს სიბბელეში შუქს... მოწყალე, შემბრალე, მართალი” ს. 111/112, 4).

“რადგან შენთან არს წყარო სიცოცხლისა, შენი შუქით ვხედავთ სინათლეს” (ფს. 35/35, 10).

“უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი — ვის შევუშინდე?” (ფს. 26/27, 1).

“გადღმოვაფინე შუქი შენი სახისა, უფალო!” (ფს. 4, 7).

ტ. გრანელის “სიცოცხლის შუქი” პირდაპირ ნასაზრდოებია “ფსალმუნით”.

გამოთქმა: “დღეს ასეთია ჩემი პროფილი” ხაზს უსვამს, რომ მისი სულიერი სახე ღვთიურია.

“ცისფერი ბალისაკენ” “გამოწყობილი” სვლის გაგებაში, ვფიქრობთ, იქიდან უნდა ამოვიდეთ, რომ იპოლიტე რომაელის მიხედვით, ბალი არის კაცური ბუნება.

ბიბლიაში მრავალგზის უწოდებს უფალი ისრაელს, მის ხალხს თავის ბალს, ვენახს. დავიმოწმებთ ორიოდე მაგალითს: “მოვლენ და გაეშურებიან უფლის დოვლათისაკენ... თავად მორწყულ ბალს დაემსგავსებიან და არ დაჭენებიან არასოდეს” (იერემია, თ. 31,11).

“ანუგეშებს უფალი სიონს, სამოთხედ გადააქცევს უდაბნოს და უფლის ბალად მის ტრამალს, სიხარული და შვება გაჩნდება იქ, სამადლოპელი და გალობის ხმები” (ესაია, ნ1,3).

უდაბნო და ტრამალი უფლის ბალად იქცევა მაშინ, როცა მამა ღმერთი ადამიანებს მოუვლენს ქრისტეს — “სიხარულს”.

ტ. გრანელი “სიცოცხლის შუქით” (ღმერთის ნათელით) მიდის ზეცის — “ცისფერი ბალისაკენ”.

ირგვლივ “მწუხარე არია” ისმის, ყვავილები არეულია, პოეტს კი სიცოცხლე სწყურია და მას უმღერის:

“და შენ მწუხარე არიას ისმენ,
ეს ყვავილები ვინ აურია.
და მე სიცოცხლეს ვუმლერი ისევ
და მე სიცოცხლე ისევ მწყურია.”

ყვავილი სალმრთო სახელია: “ყვავილები დაჩნდნენ მიწის
პირზე, უამი გალობრისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარე-
ში” (“ქებათა ქება სოლომონისა”, თ. 2, 12).

“ყვავილი... ყვავილი აბრაამისა, ყვავილი სოლომონისა, ყვა-
ვილი სალმრთო, ყვავილი ცხოვრების ქრისტიანული ღმერთის,
ღვთისმშობლის სიმბოლოებია” (ტ. მოსია, საღვთო სახისმეტყველე-
ბა, 1995, გვ. 122).

ყვავილების არევა, რწმენის შერყევა განაპირობებს “მწუხა-
რე არიას” ტ. გრანელის ლექსში.

საანალიზო ლექსის “სიცოცხლე”, რომელიც სწყურია პო-
ეტს, რომელსაც იგი უმდერის, ქრისტიანული ღმერთია: “სიონის
მთებზე... იქ დაადგინა უფალმა კურთხევა სიცოცხლე უკუნისამდე”
(ფს. 132/133, 3).

ახლა მივმართოთ სახარებას: “მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმა-
რიტება” (იოანე, 602,6).

საგულისხმოა ნეტარი ავგუსტინეს განაცხადი: “ღმერთი...
იგია სიცოცხლე ჩემი სიცოცხლისა” (“ალსარება”, გვ. 307).

სალმრთო სიმღერა, უფლისაკენ მიმართული გალობის ხმა
ისმის უპირველესად წინასწარმეტყველთა წიგნებში: “უფალია ჩემი
ძალა და სიმღერა” (ესაია, 12,3).

“ვუგალობებ ჩენს ღმერთს, ვიდრე ვარსებობ” (ფს. 1465,2).

“ვუგალობოთ უფალს გალობა ახალი” (ფს. 149,1).

ტ. გრანელის ლექსის ბოლო სტრიქონები დალამებას გვამ-
ცნობს, რაშიც ისევ სიმბოლური აზრია და ურწმუნოების ბაცილების
გავრცელება იგულისხმება.

არა ხილული მზის, არამედ “სიცოცხლის შუქის”, შორეული
მზის მოიმდე, რწმენის ერთგული პოეტი “ძვირფასი წიგნის”, გუ-
ლის და “ხრიზანტემის” თანხლებით გვეცხადება:

“წისლია მხოლოდ ლაჟვარდის იქით,
ეს დღე წავიდა, აწი ლამდება,
მიმაქვს ეს ჩემი ძვირფასი წიგნი,
მიმაქვს ეს გული და ხრიზანტემა”.

ნისლიანი ლაჟვარდი ღმერთისაგან გაუცხოებას მოასწავებს,
როგორც დღის წასვლა და დაღამება.

დღე საღმრთო სახელია.

“ძველი დღე” დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან მომდინარეობს: “...კაცის ძის მსგავსი ძველ დღეთასთან მივიდა და წარდგენილ იქნა მის წინაშე” (დანიელ წინასწარმეტყველი, 7, 13).

“ძველი დღე” მამალმერთის სიმბოლოა, “ახალი დღე” (გვხვდება მხოლოდ “დავითიანში”) — ქრისტე.

ტ. გრანელის საღვთო “დღის” პირველწაროდ შეიძლება ფსალმუნი მივიჩნიოთ: “ესარის დღე, რომელიც ქმნა უფალმა, ვიღ-სინოთ და ვიმხიარულოთ მასში” (ფს. 117/118, 24).

“დღის” სხვა ვარაიაციებიც გვხვდება ტ. გრანელის ლირიკაში, “დაღამების” ანალოგიური კონტექსტებიც...

საანალიზო ლექსის “ძვირფასი წიგნის” სახეში ქრისტიანული ღმერთი გვეცნაურება და მისი შექმნის სტიმული შეიძლებოდა ისევ ბიბლია ყოფილიყო: “იქნება თქვენთვის მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები” (ესაია, 29, 11).

“გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნეთიდან გამოიხედავენ” (ესაია, 29, 12).

წიგნის სახეში ღმერთი ამოიცნო ნეტარმა ავგუსტინემ: “არა-სოდეს არ დაიხევა მათი წიგნი, არასოდეს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე” (“აღსარება”, გვ. 217).

დანტეს “ღვთაებრივ კომედიაში” ძე ღმერთს ეწოდება “სანუკველი წიგნი”, “დიადი წიგნი” 9გვ. 383).

ტ. გრანელისათვის ღმერთი “ძვირფასი წიგნია”, ყვავილია (“ხრიზანთემა”) და მის სიყვარულს დაატარებს გულით.

ლექსი “ღმერთო, სიცოცხლის შუქი მაღირსე” მისი ავტორის რწმენით სავსე სულში გვახედებს, ამავე დროს, ყვავილების არევით, დღის წასვლით, დაღამებით, მწუხარე არის ჰპანგებით მიგვანიშნებს, როგორ იდევნება ღმერთი კომუნისტურ ეპოქაში.

ჩვენს მიერ შერჩეული ასპექტით განსაკუთრებით საყურადღებოდ გვესახება ტ. გრანელის “მარადისობის ლაჟვარდები”:

“ცრემლი არ მოდის, მაინც მე ვტირი
და შორეული სივრცე მიტაცებს.
სული გაფრინდა თეთრი მტრედივით,
სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე.”

ამაღლებული, უსხეულო არსებობის, ასტრალური მოგზაურობის უნარი უახლოებდა ტ. გრანელის უბინო სულს მარადისობის ცისფერ შუქს:

“ალბათ იქ ჩემზე ვიღაც ნაღვლობდა,
მაშინ როდესაც მე არ ვიცოდი.

ასე მგონია, სულთან ახლოა
ცისფერი სუქი მარადისობის.”

უზენაესის ორიგინალური სიმბოლოა “ცისფერი შუქი მარა-დისობის”, რომლის პირველწყაროებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიერ.

პოეტი იფერფლებოდა “მსოფლიო სევდის ცეცხლით”, “უხილავი, შორეული სივრცის” სიყვარულით. ხედავდა “სიკვდილის ყვითელ მანგიას”, მაგრამ “მარადისობის ცოსფერი შუქი” ეიმედებოდა, “მარადისობის ლაუვარდები” იტაცებდა, რაც “ცანი ცათანის”, “გონიერი ზეცის” შესატყვისია ტ. გრანელის შემოქმედებაში, როგორც ნათელია, აქაც ორიგინალური სახე მოიძია საყოველთაოდ მიღებული ცნების გამოსახატვად.

ტ. გრანელის სულში მარადისობის შუქი ენთო, ვარდისა და სულის თეთრი შუქი ბრნყინავდა:

“თეთრი შუქი ინთება,
ჩემი სულის და ვარდის”.
(“შეშლილი ცრემლები”).

სული ხომ ღმერთია: “ხოლო უფალი სულ არს” (პავლე მოციქული, კორინთელთა მიმართ, 3,4).

ტ. გრანელის “თეთრი შუქი” არის როგორც სულის, ისე ვარდის მახასიათებელი, ვარდი და სული საღმრთო სახელებია. საყურადღებოა ამ სახესთან კუთვნილებითი ნაცვალსახელის ხმარება — “ჩემი სული” (სხვაგან იყო “ჩემი ძვირფასი წიგნი”, რაც უფლის სიახლოვეს უკეთებს აქცენტს).

ვედრება, ტირილი, წამება, “სევდის ლურჯ ოდებად” იქცევა სულინმიდის მადლით.

უზენაესის შუქის მოლოდინი იყო გამუდმებით ტ. გრანელის ლექსებში:

“ველოდი, შუქმა იელვა ადრე,
მზე მაღლა იწევს და ნისლში ცურავს”.

ყოველი თვითმყოფადი შემოქმედი ტრადიციების, საზღვრების განევას მიეღწვის.

შუქის ახალი ვარიაციებია “უმანკო შუქი” და “ნუგეშის შუქი”:

“ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის,
მე ქვეყნის წინაშე ვდგავარ მგლოვიარე.

გული ასვენია მაღალ სიჩუმეში,
ისევ სიშორეზე ტირის როიალი.”
 (“ისევ სიშორეზე”).

ნუგეშის ადრესატი ღმერთია: “ეს არის ჩემი ნუგეში ცხოვრებაში” (ფს. 118/119, 50).

“ნუგეშის შუქისა” და “უმანკო შუქის” ქრობა, იმედების გაბზარვა, უფლის სიშორე მოასწავებს ანტიქრისტიანული პროცესიების მომრავლებას, რაც იწვევს ტ. გრანელის შფოთვას.

ეპოქალური კატაკლიზმების მიუხედავად, პოეტი მუდამ საღვთო ცეცხლისა და შუქის სიყვარულით ცხოვრობდა, ღამეშიც მის ათინათს შეიგრძნობდა:

“ცეცხლია ირგვლივ, შორს ვხედავ მიზანს,
ღამეა ისევ, ირხევა შუქი”.
 (“გლეხთა სასახლე”).

ტ. გრანელმა საღვთო შუქის ეპითეტად აქცია “მწუხარე,” რაც შეიძლება ღმერთის ჯვარცმით აიხსნას: “ჩნდება წარსულის შუქი მწუხარე” (“ფერისცვალება”).

ამ ფრაზაში იქნებ იმის გაცხადებაცაა, რომ შუქი (ღმერთი) წარსულს ეკუთვნის და არა ტოტალური უარყოფის მეოცე საუკუნეს.

“მწუხარე შუქი” ერთ უსათაურო ლექსშიც შემოგვანათებს. ციხის საკანში გამომწვდეული პოეტი უაილდის წამებას, საბედისნერო 23 რიცხვს იხსენება, უზენაესი ევლინება და

“ციდან ფიქრები ცვივა,
ნინ მიდის გზები უვალი.”

აქაც ვლინდება პოეტის თავისებურება: წამიერში მარადიულს მიაგნოს, ციხის შემზარვ გარემოშიც ღმერთი ახსოვდეს და “უვალ გზებს” გააწვდინოს მზერა...”

იქნებ რაღაც საერთო აზრია იმაში, რომ გ. ტაბიძეს “მჭმუნვარებით” ეცხადება “მომავლის ჩრდილი” — ქრისტე (“მიმღერე რამე”), ტ. გრანელს კი — მწუხარებით.

ორივე პოეტმა სიძბოლური სახეებით დააფიქსირა ღმერთის დაგმობის საბედისნერო ფაქტი.

ტ. გრანელისათვის ნიშანდობლივია იმედის ქრობა, შუქის ქრობა:

“კვლავ სიჩუმეა, დგება საღამო,
ეს შორეული იმედიც ჩაქრა.

მოჩანს ფიქრიდან თეთრი სამყარო,
მოვიდა დილა და შუქი ჩაქრა.”

ქრება ლვთაების შუქი (ურნმუნოთათვის) და არა ხილული
მზის ან ელექტრონის, ქრება დილით.

იმედის შუქიც ანალოგიურად უნდა გავიზიაროთ, ვინაიდან
ქრისტე იმედის ღმერთია: “იქ მივცემ მსა თავის ვენახს და ყაქორის
(მწუხარების) ხეობას იმედის კართან” (ოსია, I, 17).

ტ. გრანელის “თბილისში” ღამის ჩრდილი — ურნმუნოება
ენაცვლება, სპობს დღის შუქს:

“ქარია, ეს ხე ბაღთან თავს იხრის
და ღამის ჩრდილმა დღის შუქი მოსპო.”

სევდას განაპირობებდა რწმენის სიკვდილი, სატანის მეუფე-
ბა, შუქის შენაცვლება სიბძელით.

ლექსში “ახლაც ვიგონებ” შავი ღრუბლებისა და აყეფებული
ფინიების მიგნებული სახეებითა დახასიათებული უღმერთო ხპოქა.

სალოცავად ხელაპყრობილი და მუხლმოდრეკილი პოეტისათ-
ვის ცხოვრების უდაბნოში სულის მოსაოხებელია სანთელივით და
ღამის შუქივით (ღმერთი) მოვლენილი “მწუხარე დის ცისფერი ლან-
დი”: “შუა ღამე ჩამორშვა... ხატების წინ ხელაპყრობილი ვდგავართ
მე და გაფითრება. სადღაც შორს სიბძელეში ვამჩნევ: თეთრ უდაბ-
ნოში სანთელივით რომ კრთის ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი.
არ ვიცი: შეიძლება ჩემი მწუხარების მიზეზი უხილავი ბალების სი-
ლურჯე იყოს... ღამის უფსერული გაიხსნა. უნდა გათენდეს. ხატების
წინ ისევ ხელაპყრობილი ვართ მე და გაფითრება. და ჩემი მწუხარე
დის ცისფერი ლანდი ისევ ღამის შუქივით ელავს თეთრ უდაბნოში”
 (“მე და გაფითრება”).

სანთელივით და შუქივით (ღმერთი) მოვლენილი “მწუხარე
და” უსათუოდ არის მარიამი (თუმცა თავისი ხორციელი დებიც არა-
ერთგზის უკვდავყო ტერენტიმ ლექსებით), ზეციური დის სახის წყა-
რო კი, ვფიქრობთ, სოლომონის “ქებათა ქება” უნდა იყოს: “ბალი ხარ
დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი”
 (“ქებათა ქება”, 4,12).

“აპა, მესმის ხმა მეტრფისა, რომელიც რეკავს: გამიღე კარი,
დაო ჩემო, სატრფოვ ჩემო, მტრედო ჩემო, უბინოვ ჩემო” (“ქებათა
ქება”, 5,2).

ქალაქის შფოთის, გრიგალების, ცხოვრებისეული ტალახის,
მტრობის, ჩამქრალი შუქის სევდაა სტრიქონებში:

“მე ისევ მღალავს შფოთი ქალაქის

და გრიგალები მიწას უვლიან. მესმის ცხოვრება, როგორც ტალახი და პოეზია სიხარულია.

მე ჩემი მტრები ახლა ვიცანი, ახლა ეს შუქი აღარ ინთება და უდიდესი გრძნობის ნიშანი არის დუმილი და გარიზდება.”

ამავე პრობლემის მძაფრი განცდით დაიწერა გალაკტიონის ფრაზა: “შუქი არ ინთება ჩამქრალ იაგუნდის” (“შენ და შემოდგომა”).

შუქთან ერთად, ზეცის სხივის ციმციმით გვაგრძნობინებს ტ. გრანელი თავის სხივოსან სულს: “ჩემში ზეცის სხივია”, “იგი, რაც მწამდა, ჩემთან ციმციმებს”, “ჩემი სიცოცხლე ხომ ციმციმებდა”.

“სხივის” სახის შთამაგონებელი ისევ ბიბლია უნდა იყოს: “ხალხები მოვლენ შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე” (ესა-ია, 60,3).

ტ. გრანელის ერთ ლექსში “შენს გაქცევას” “ძველ ბალებს” და მის ფოთლებს ყაჩაღივით ანიავებენ და იკლებენ ქარები და ტი-რის “ბებერი მზის მწუხარე სხივი”:

“ძველ ბალებს დაეცნენ ქარები ყაჩაღივით
და აიკლეს ფოთლები.
თავზე დამტირის ბებერი მზის მწუხარე სხივი,
ო, ლოცვით მელის ბოდვები.”

ლექსის “ბებერი მზი” — მამალმერთია, “მწუხარე სხივი” (სხვაგან “მწუხარე შუქი” იყო) — ქრისტე.

“კაინივით გმობილი პოეტი” ლოცვით და პოეზიით იმშვი-დებს სულს.

“შენს გაქცევას” ირეკლავს როგორც ეროვნულ, ისე სარწმუნოებრივ პრობლემებს. ყაჩაღებისაგან, (მტრებისგან) აკლებული ძველი ბალები და ფოთლები თავისუფლებადაკარგული ჩვენი სამშობლოა, მზისა და სხივის ტირილი კი აბუჩად აგდებულ ღმერთზე მიანიშნებს, რაც ნიშანდობლივი იყო ბოლშევიკური ეპოქისათვის.

ტ. გრანელის შემოქმედებაში გამოჩნდა “წითელი საუკუნე” წითელი დროშით, ბენელი შუალამე, “სისხლის მდინარე, დაბიზდული გზები და შარა”, ტყვიები, ქარხნების კვამლი, მღელვარება, “შორეული რაინდების უმწეო შფოთი” (ამაო შემართება თავისუფლებისათვის), “სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების”, მაგრამ გამარჯვებულ ძალმომრეობას ბედისწერასავით აედევნა ქრისტეს ლანდი, როგორც ბლოკის პოემაში “თორმეტნი”.

“სულის ცეცხლში” “ბნელ შუაღამეს აკრთობს შუქი მოხეტია-
ლე”, ...ღამის ალები”. “შუქი მოხეტიალე” და “ღამის ალები” (ცეც-
ხლი) ღმერთის სიმბოლური სახეებია. მისი გამოჩენა ლექსში იმ მო-
მავალ განკითხვაზე მიგვანიშნებს, ალბათ, როცა აიწონება ადამია-
ნის ცოდვა და მადლი...

ღმერთის, “ცისფერი ქვეყნის”, “მესამე გზის” ძიება, უკვდა-
ვების ცისფერი მხარის, ზესთასოფლის, მაღალი ცის სიყვარული
 (“რა ბრწყინვალეა ცა იქაური”) ინვევდა ტ. გრანელის გაუცხოებას
 ერთუჯრედიან პრიმიტივთაგან, პროლეტარული პოეზიის მჯდაბ-
 ნელთაგან, ანტიქართული ანტიქრისტებისაგან, მედროვეთაგან.
 გამუდმებული ჭიდილი არსებულსა, რეალურსა და იდეალს შორის
 პოეტს ხალხის თვალში “უცნობ სფინქსად” აქცევდა...

მარიამ ლვისმშობელი — პოეტის “ცისფერი და”

უდავოა ტერენტი გრანელის ქრისტიანული მსოფლგანცდა,
 მკაფიოდ გამოხატულ რელიგიური იდეალები. პოეტი ზეციური სი-
 მაღლიდან აფასებს მიწას, მონუსხულია სულიერი, გონიერი, შორე-
 ული ცის სიდიადით (“რა ბრწყინვალეა ცა იქაური”), ეოცნებება შე-
 უბლალავი სინმინდის დამკვიდრება დედამიწაზე, მაგრამ ამის მიუღ-
 ნევლობა სევდით ავსებს, ისევ ლაშვარდების წმინდა სავანეს უბ-
 რუნდება, უზენაესთან მართავს მონოლოგ-დიალოგს (“მონოლოგი
 უდაბნოს ყვავილებზე”), გამუდმებით ქრისტესა და მარიამის გვერ-
 დით წარმოიდგენს თაქს მიწაზე თუ ზეცაში წასვლის (გარდაცვალე-
 ბის) შემდეგ.

დაუინებული, გაუნელებელი ინტერესი დედა-ძის მარადიული
 სახეებისადმი განაპირობებს, ერთი მხრივ, რელიგიური სიმბოლიკის
 ორგანულ გათავისებას და, ამასთან, ორიგინალური, ახალი, თავისე-
 ბური ნიუანსებით გამდიდრებული მხატვრული ხატების მიგნებას
 პოეტის მიერ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც თითქმის და-
 ივიწყეს მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების პრიმიტივებმა, ტერენ-
 ტი გრანელის ხსოვნამ უზადოდ შემოინახა, რათა ტრადიციები ახ-
 ლებურად შეეგრძნო და მათზე დამყარებით გაქანების სასწაულებ-
 რივი ველისოთვის მიეღწია.

ტერენტი გრანელის ლირიკაში თვალში გვეცემა მრავალგზისი
 მიმართვა მარიამისადმი: “შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ!”
 (“ფარული ვედრება”), “და შენ მიმველე ახლა, მარიამ!” (“მიყვარდა
 ერთი”), “კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ლვისმშობელი ჩემზე
 ტიროდა” (“მიცვალებულის დღიურიდან”).

გარდა ასეთი პირდაპირი სახელდებისა, მარიამის კანონიკური და ინდივიდუალური ელფერით შემოსილი ხატებაც მრავალგზის შემოგვანათებს მისი პოეზიიდან.

მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ მიგვაჩნია ტერენტი გრანელის “დიადი ცა, ცა ლაჟვარდი, ცა უმაღლესი, მარადისობის ლაჟვარდები, შორეული ზეცა, მაღალი ცა, ზეცის ყვავილი”. მარიამზე მიმანიშნებელია მისსივე “ქალწული, და, მწუხარე და, პრინცესა, გადამწვარი მთა, ღრუბელი, შორეული ღრუბელი, ფერადი ღრუბელი, იაგუნდი, საიდუმლო ქნარი, მთვარე”. (იხ. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ. 2009, გვ. 193-201).

როგორც პროფესორი ტიტე მოსია მიუთითებს, “ნევმირებული ძლისპირნის” თანახმად (იგი გამოქვეყნდა 1982 წელს X საუკუნის დამლევისა და XI საუკუნის დასაწყისის ხელნაწერის მიხედვით), მარიამ ღვთისმშობელი არის სულიერი ცა (ტიტე მოსია, “საღვთისმშობლო სახისმეტყველება”, ზუგდიდი, 1996, გვ. 43).

სინურ მრვალთავში (864 წლისა, 1959 წ.) ყოვლადწმინდა დედოფალი წოდებული... ცად,... ქერობინის ცად (“ცაო ქერობინო”), საცნაურ ცად (201),... ზეცის საყდრად, ზეცის ქერობინად.

“უძველესი იადგარის” მიხედვით (გამოიცა 1980 წ. X ს. რამდენიმე ხელნაწერის საფუძველზე), მარიამ ღვთისმშობელი... არის ცათა და ქვეყნის კარავი (7),... ზეცისა სძალი (184), ცა ცათა, ღვთის ცა,... საცნაური ცა.

VII საუკუნის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შედევრში “აკათისტო” (ქართულ თარგმანში მას “დაუჯდომელი” ეწოდება) მარიამი “სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია: “გიხაროდენ, ქნარო სიტყვიერ ცხოვართაო” (“დაუჯდომელი”): “სიტყვიერთა ცხოვართა ქნარო...” (“დავითიანი”), (ტიტე მოსია, “საღვთისმშობლო სახისმეტყველება”, გვ. 113).

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში მრავალგვარი ეპითეტით ფიგურირებს მარიამზე მიმანიშნებელი ცა: “ისევ შორეულ ცას გავენდობი” (“დგას სასაფლაო”), “და ცა ლაჟვარდი ჩემს გულს მოება” (“ახლა ღამეა”), “ისევ მიცქერის მაღალი ზეცა”, “გული იგრძნობს მარადიულ ლაჟვარდს”, “ახლა ღამეა და შორეული ზეცა მიტაცებს” (“ახლა ღამეა”), “ცა დიადია, ცა ლურჯი არი” (“მტკვრის შრიალი განთიადზე”), “ისევ მიზიდავს ცა უმაღლესი” (“ცას დაემუქრა”), “და ზეცა უფრო ახლოა გულთან” (“გაზაფხულია”).

მარიამზე მიგვანიშნებს ტ. გრანელის “სხვა ზეცა”: “სხვა ზეცა მპირდება ამინდს” (“მივყვები გაყინულ რიყეს”), “ტისფერი ზეცა”: “ეს არის ცისფერი ზეცის ყვავილი — მიმოზ” (“სარკე”).

ამ სახის ორგანულ განცდაზე მეტყველებს სტრიქონები: “ზეცა ჩემთვის გულია” (“კელაპტრებივით დგანან”), “და ზეცა უფრო ახლოა გულთან” (“გაზაფხულია”).

სიკვდილის წინ, უცხო მხარეში გადასვლის მოლოდინით გათანგულს, ისევ “მაღალი ცა” ანუ მარიამი და ქრისტე (გზა) ელანდება: “მაღალო ცაო, ისევ შენ გიმზერ, იქ, უცხო მხარეში, ალბათ მიმელიან. ძვირფასო, ვდგავარ გზაჯვარედინზე და ვიცი, ჩემი გზა ახლა რომელია” (“მაღალო ცაო”).

ლექსში “მორჩა, არავის ველი” — მარიამი ისახება, როგორც “შორი ცა”, ქრისტე — როგორც “იმედი”: “და იმედს მაძლევს ახლაც შორი ცა, მარად მუქი”.

არანაკლებ საინტერესო და ორიგინალურია ზეცის სახეში მოაზრებულ მარიამთან “ცისფერი ლამის” ასოცირება, რაც, ვფიქრობთ, ძე ლმერთის სიმბოლური შიფრია საყოველთაოდ ცნობილი “მზიანი ლამის” კვალდაკვალ შექმნილი: “სიცოცხლე ისევ არ შეიძლება. და ზეცა ცისფერ ლამეს იძლევა” (“ელვარებს ისევ”). “მზიანი ლამის” პრობლემები დაწვრილებით არის შესწავლილი ტიტე მოსიას მონოგრაფიაში “ოქსიმორონი “მზიანი ლამის” პრობლემატიკა, თბილისი, გამომცემლობა “ცოტნე”, 1999 წ.

ტ. გრანელის ლექსში “ზეცამი” მარიამია ნაგულისხმევი, “ცისფერ ლამეში” — ქრისტე. ეს სახეები მოაზრებულია “მდუმარე სარკის” (სულის) ელვარების, “ცისფერ სამყაროსკენ” (ზეპუნებრივისკენ) ლტოლვის ფონზე.

ღრუბელს მარიამის სიმბოლოდ მიიჩნევენ მათეს სახარებაში (“ღრუბელი ნათლისაი”, მათე, 17, 5), “უძევლეს იადგარში” (“ღრუბელი ნათლისა”, გვ. 90), “სინურ მრავალთავში” (“ღრუბელი ნათლისა”, გვ. 200).

“ყოვლადწმინდა ხშირად ინოდება სასულიერო მწერლობაში “სულმცირე ღრუბლად”. ”სულმცირე ნიშნავს “მსუბუქს, მჩატეს”. სულმცირე ღრუბელი (მარიამი) არის სიმართლის მზის შემწყნარებელი: “დედაო ღმრთისაო, ვითარცა ღრუბელმან სულმცირემან დაჰფარა მზე სიმართლისაი (წევმირებული ძლისპირნი, 501), “მოვიდა (ღმერთი — ტ.მ.) ღრუბლითა სულმცირითა, რომელ არს ქალწული გამოუცდელი” (ძლისპირნი, III, 210) ტიტე მოსია, “საღვთისმშობლო სახისმეტყველება”, გვ. 115-116).

ტერენტი გრანელის მიერ მარიამი განიცდება, როგორც წვიმის მომყვანი შორეული ღრუბელი: “და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაბიროდან” (“მიცვალებულის დღიურიდან”).

წვიმა ქრისტეს სიმბოლოა ბიბლიაში: “იქნება იაკობის ნატამალი, როგორც უფლის ცვარი, როგორც შხაპუნა წვიმა ბალახზე” (მალაქია წინასწარმეტყველი, 5, 6).

ქრისტეს მოვლინება ფსალმუნშიც მდელოს გამაცოცხლებელ წვიმად წარმოიდგინება: “იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ” (ფს. 71/72, 6).

ცისა და წვიმის ასოცირებაში ტ. გრანელის ლექსში მარიამისა და ქრისტეს სახე ამოიცნობა: “თუ ხარ წვიმისთვის — ცაო ცისფერო. მივალ იმისთვის, რომ დავისვენო” (“თუ ხარ წვიმისთვის”). წარმოებში მეტყველებს სამყაროს ფართო თვალებით მხილველი პოეტი: “გაჩნდა საღამო ისევ წვალების. ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით”.

ესაიას წინასწარმეტყველებაში მარიამი მოხსენებულია, როგორც ღრუბლები, რომელიც ასხურებს სიმართლეს: “იწვეთოს მაღლიდან ზეცამ და ღრუბლებმა ასხურონ სიმართლე” (ესაია, 15,8).

ტ. გრანელის ლექსში “დადგა მაისი” ყურადღებას იქცევს “ღრუბლის ბავშვის” სახე, რომელიც ევლინება პოეტს დიდი ტკივილების, მარტობის, წვალების, დაცემის გზაზე, როგორც უმაღლესი ნუგეში: “და ღრუბლის ბავშვი ჩაივლის მზესთან. მე ვზივარ ბაღში და ვუმზერ ზეცას”.

ამ კონტექსტის მზე, ვფიქრობთ, მამაღმერთია, ღრუბელი — მარიამის, ბავშვი — ქრისტეს სიმბოლო, ზეცა — ცანი ცათანი ანუ გონიერი ცა. “ღრუბლის ბავშვს” წყარო არ ეძებნება.

ასეთი სპირიტუალიზმი შეინიშნება ტერენტი გრანელის პოეზიაში, ასეთი ორგანულია მისი კავშირი უზენაეს საწყისებთან.

საღვთო ქვეტექსტის შემცველ სახედ მიგვაჩნია აგრეთვე ფარული ღრუბლიანი დღე: “ეს ღრუბლიანი დღე ფარულია”. აქ “დღე ფარული” ქრისტეს სიმბოლოა (დღე საღმრთო სახელია), ღრუბელი — მარიამის.

დანიელის წინასწარმეტყველებაში, სასულიერო პოეზიაში მარიამის სიმბოლოდ მიჩნეულია მთა, რომლისგანაც გამოიკვეთა ლოდი — ქრისტე (დანიელი, 2,34).

ტ. გრანელის ლექსში “ოცნება ისევ მაღლა წავიდა” “გადამწვარი მთის” სახე გვეცნაურება, რაშიც ულმერთო ეპოქის მიერ უარყოფილი მარიამი იგულისხმება: “ისევ მიცქერის მაღალი ზეცა, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი”.

მთვარის სახესაც მარიამს უკავშირებენ. პროფ. ტ. მოსია აღნიშნავს: “მზესთან, მზისთვალთან ერთად, მარიამის სიმბოლურალეგორიული სახელია მთვარეც: “მთოვარე დადგა წმიდასა ზედა თვისისა, ქალწული უბიწოი” (უძველესი იადგარი, გვ. 439). “წყობილ-სიტყვაობის” ავტორი წერს: “საყდრად, მზედ, ვითა წინაშე ღმრთისა ქმნილად, ხოლო მთვარე გამტკიცებული სავსედ” (“საღვთისმშობლო სახისმეტყველება”, გვ. 98).

ტ. გრანელის ლექსში “აწენილი ბედი” საუბარია ავ ბედისწერასა და დემონზე, რომელიც მთვარეს შესჩენია: “დადის დემონი

მთვარის და ავი ბედისწერა. მიპყრობს იისფერ თვალის ასე უღონო მზერა”.

დემონი ღმერთდაკარგული ეპოქის რეჟისორია, რომელიც რწმენას შენაცვლებია. “იისფერ თვალის უღონო მზერა” ჯვარცმული ქრისტეს წამებას შეგვაგრძნობინებს. პოეტის თანამედროვე ეპოქამ ისევ აცვა ჯვარს ღმერთი და ამით თვით განიმზადა ჯოჯო-ხეთური ყოფა.

პროფ. ტ. მოსიას დაკვირვებით, დავით გურამიშვილს ღვთის დედის სახელად გამოუყენებია “ანთრაკ-ალმას-საფირონი”, “იაგუნ-დი-ლალი” (იქვე, გვ. 99).

გ. ტაბიძის ლექსში ყურადღებას იქცევს სიმბოლური “იაგუნ-დის დღე”: “დღე გაფითრდა იაგუნდის, დგას ღრუბლების ჯგუფები” (“დღე გაფითრდა იაგუნდის”).

ვფიქრობთ, ამ კონტექსტის იაგუნდი მარიამის სიმბოლოა, დღე — ქრისტესი.

ტ. გრანელის ერთ ლექსში “დაბრუნება ნავთლულიდან” პოეტის ტკივილიანი, იარებით სავსე სახე შემოგვანათებს, რომელიც შველას მარიამისგან მოელის, ღვთის დედა კი ფიგურირებს იაგუნ-დის სახით: “გულს რად უღირდა იაგუნდები”.

მარიამი ინოდება ქალწულად. ეს სახე მომდინარეობს ძველი აღთქმიდან: “აპა, მუცლადილებს ქალწული და შობს ძეს და უნდებს სახელად ემანუილს” (ჩვენთან არს ღმერთი) — ესაია, 7,14).

ტ. გრანელი ჩივის “თეთრი იმედის” (ლერთის) უარყოფაზე, რამაც უფსკრულის პირას მიიყვანა ლექსის ლირიკული გმირი: “მე უფსკრულთან მივედი, ყოფნა ისე მომბეზრდა. ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესალაც”.

ლექსში ზარებთან ერთად ატირებული ქალწული გვხვდება, რომელიც შეილის (ქრისტეს) ჯვარცმით შეძრუნებულ მარიამად გვესახება: “ჩამორეკეს ზარები და ქალწული ატირდა, ფიქრი ჩადგა ქარიგით შემოდგომის ნაპირთან” (“მე უფსკრულთან მივედი”).

მარიამი მოიხსენიება, როგორც “მეფის ასული, ასული დავითისა, ასული სიონეველი, ასული ადამისა” (ტ. მოსია, “საღვთის-მშობლო სახისმეტყველება”, გვ. 74,75,76).

ეს სახე მომდინარეობს ფსალმუნიდან: “მთელი დიდება მეფის ასულისა შიგნითაა. მოოქროვილია მისი სამოსი” (ფს. 44/45, 14).

ე.ი. მარიამი არის მეფის ასული, ანუ პრინცესა (ფრანგულად).

ტ. გრანელს გაუთავისებია ეს სიმბოლო.

შავ, დარდიან, კვნესით სავსე ღამეში თითქოს პოეტის ოთახში “თეთრი სიჩუმე” და “პრინცესა” (მარიამი) დადის ნუგემად: “ღამეა შავი და ჩნდება დარდი, გულიდან ისევ ამოდის კვნესა. ოთახში თეთრი სიჩუმე დადის, სიჩუმე დადის, როგორც პრინცესა” (“ღამე ვაკე-ში”).

დედოფალთან, სძალთან, მეფის ასულთან ერთად მარიამის სიმბოლოდ მიჩნეულია “და”. ეს სახე მომდინარეობს სოლომონის “ქებათა ქებიდან”: “ბალი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი” (ქებათა ქება სოლომონისა, 4, 12).

ტ. გრანელის “მე და გაფითრების” ლირიკული გმირი, ანუ თვით პოეტი ხატების წინ ხელაპყრობილი გვევლინება. იგი შორს, თეთრ უდაბნოში შუქივით, სანთელივით გაელვებულ მწუხარე დის ცისფერ ლანდს ხედავს: “სადღაც შორს ბნელი თვალებით ვამჩნევ: თეთრ უდაბნოში სანთელივით რომ კრთის ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი”.

“ხატების წინ ხელაპყრობილ” პოეტს მწუხარე დის ცისფერი ლანდი დამის შუქივით” ენუგეშება ცხოვრების უდაბნოში: “ლამის” უფსკრული გაიხსნა. უნდა გათენდეს. ხატების წინ ისევ ხელაპყრობილი ვართ მე და გაფითრება. და ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი ისევ დამის შუქივით ელავს თეთრ უდაბნოში”.

ვფიქრობთ, “თეთრი სანთელივით” გაელვებული “და” მხოლოდდამხოლოდ მარიამია და არა ტ. გრანელის ფიზიკური დები, რომლებიც ასევე მრავალგზის უკვდავყო პოეტმა თავის შემოქმედებაში.

“ლამის შუქი” კი ქრისტეს მოასწავებს. “შუქი” ძე ლმერთის აღიარებული სახელია ბიბლიაში (ფსალმუნში), ესაიას წინასწარმეტყველებაში, სასულიერო ლიტერატურაში, დავით გურამიშვილის “დავითიანში”).

მარიამი მეფე ჰეროდესგან გადარჩენის მიზნით გაიქცა უდაბნოში ყრმა ქრისტესთან ერთად, ამასთან, ტ. გრანელისთვის ცხოვრება უდაბნო იყო, სადაც მხოლოდ დედა-ძის სახეები ენუგეშებოდა. ასე რომ, შემთხვევით როდი ფიგურირებს “და”, შუქსა და სანთელთან ერთად თეთრ უდაბნოში.

ლექსში “მიყვარდა ერთი” მარიამის იდენტურია მისი სიმბოლური სახელი “და”. დასაწყისში ლვთისმშობელი მოხსენებულია თავისი პირვანდელი სახელით:

“მიყვარდა ერთი, დავტოვე იგიც
და შენ მიშველე ახლა, მარიამ!
ნელა მივდივარ და ბალის იქით
სივრცეა თეთრი და მდუმარია.”

“ერთი” ლმერთის სახელია. “ერთია ბრძენი,... თავის ტახტზე დაბრძანებული” (სიბრძნე ზირაქისა, 1, 8).

შემდეგი სტრიქონები ისევ მარიამს — დას მიემართება ძე ლმერთთან ერთად, რომელიც წარმოიდგინება, როგორც “დაძველებული სახლი”, დაქცევაზე მისული:

“დაო, მე შენთან მალე მოვალ,
დაძველებული სახლი იქცევა.
რაღაც სხვაგვარი ყრუ საღამოა.
ან რანაირი ჩუმი სივრცეა”.
(“მიყვარდა ერთი”).

სახლი, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია, განადგურებულ რწმენაზე მიგვანიშნებს.

VII საუკუნის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შედევრის “აკათისტოს” (ქართულ თარგმანში “დაუჯდომელი”) თანახმად, მარიამი “სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია”: “გიხაროდენ ქნარო სიტყვიერთა ცხოვართაო”.

ტ. გრანელის ლექსში “მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე” უხეშ ბრძოსთან დაპირისპირებულ პოეტს უმძიმეს წუთებში მარიამი და ქრისტე ევლინება ქალის ნუგეშისა (ძე ლმერთი, ქრისტე ხომ “ნუგეშისმცემელია ცხოვრებისა” (იერმია, I, 16). (ქალის, მარიამის ხორციელი ძე) და “საიდუმლო ქნარებთან” — ლვთისმშობელთან ერთად: “მოვა ქალის ნუგეში საიდუმლო ქნარებით”.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ქნარს ორგვარი მნიშვნელობა აქვს, ერთი გაგებით იგი ჩანგია, მეორე გაგებით — ვარსკვლავი (სიტყვის კონა, 1949 წ. ს. იორდანაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, გვ. 373). ასეა ეს სახე გაგებული ს. ცაიშვილის მიერ “ქართული პოეზიის” | ტომის წინასიტყვაობაშიც.

თუ ქნარის მეორე გაგება გავიზიარეთ, მაშინ “საიდუმლო ქნარი” საიდუმლო ვარსკვლავს ნიშნავს, ვარსკვლავი კი ქრისტეს სინონიმია.

მაშ, ქრისტე ლექსში წარმოიდგინება, როგორც “მარიამის მოვლენილი ნუგეში”, “საიდუმლო ქნარი”, ანუ საიდუმლო ვარსკვლავი.

ლმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიის ასახვა ტერენტი გრანელისშემოქმედებაში

ტერენტი გრანელმა გაუძლო კომუნისტური დიქტატის ძალმომრეობას, იმთავითვე გაემიჯვნა პროლეტარული პოეზიის უნიჭოლეგიონებს, რომლებიც “წითელ სიზმრებში” თვლემდნენ იმპერიის უკეთურობებთან შერიგებულნი. “მემენტო მორის” ავტორს სატანის მეუფების პერიოდშიც არ გაუწყვეტია კავშირი ქართული პოეზის მაგისტრალურ ხაზთან, უზენაეს ჭეშმარიტებებთან. ლმერთან, რწმენასთან ცეცხლითა და მახვილით ბრძოლის ეპოქაშიც მისი შე-

მოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იყო რწმენის, უფლის ერთგულება, სულიერების ღალატით გამოწვეული კატაკლიზმების მხილება, რაზედაც ხან პირდაპირ გვესაუბრება, ხან — სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით.

საუკუნის ტრაგედიებს, მატერიალურ თუ სულიერ სფეროში მომხდარ ნგრევებს პოეტი ხსნის ღმერთის უარყოფით, რაც სიკეთის, სათნოების, ამაღლებული საწყისების იგნორირებას გვაუწყებს. პარალელურად, ღმერთს ენაცვლება საყოველთაო უბედურების მომტანთა — ანტიქრისტეს, სატანის, აპოკალიფსურ მხეცთა სიმბოლური სახეები.

ტერენტი გრანელი “ლია თვალებით” აფიქსირებს მეფისტოფელის საუკუნის სიკეთისმომსპობ ბაცილებს და დაშიფრული მეტყველებით, ეზოპეს ენით გვიცნობირებს საქმის არსს, რადგან ბოლშევიკური ტირანით იხშობოდა სიმართლის ოდნავი გამოვლინების მცდელობაც კი.

ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატები მაინც ახერხებდნენ დასხლტომოდნენ ჯანსაღი აზრის მომცელავი ცენზურის მარწუხებს და ნართაული გზით მიგვანიშნებდნენ საქვეყნო უბედურებაზე.

გრიგოლ რობაქიძემ, რომელიც დევნილი იყო სატანური ხელისუფლებისა და მისგან დაქირავებული პრიმიტიული პროლეტარული კრიტიკოსებისაგან, უცხოეთში გააღნია და იქიდან შეძლო პირუთვნელად, უშიშრად ემხილებინა ულმერთობის, ადამიანის გადაგვარების საშინელება (“ჩაკლული სული”).

კონსტანტინე გამასახურდია მითს ამოეფარა და “წითელი სატანის სახით” გვანიშნა ღმერთისმგმობელი ბოლშევიზმის ყოვლისმშეამავ ძალაზე (“ტაბუ”).

მიხეილ ჯავახიშვილმა “გულისა და სიყვარულის” იავარმქნელ “რკინის საუკუნის” შემზარავ ლაბირინთებში შეგვიყვანა სისხლიანი ტირანიის ზეობის ჟამს (“ჯაყოს ხიზნები”).

გალაკტიონ ტაბიძემ “ძველისძველი წიგნის” (ღმერთის სიმბოლოდ მოიაზრება ეს სახე) “არეულ გვერდებზე” შეაჩერა ყურადღება, რასაც უნდა მოჰყოლოდა მხოლოდ “წყევლა და შეჩვენება” (დომინო).

პოეტების მეფემ დამსხვრეული ხომალდების, გათელილი, გაყინული, გაუჩინარებული ვარდების, დამშრალი წყაროს, გამხმარივაზების, ჩამქრალი მზის, დალენილი ცის სახეებით შეგვაგრძობინა არარსებობას მიმსგავსებული ყოფის საშინელებები...

გალაკტიონი წუხდა, „ქარი ყვავილებს ურევსო“, რაშიც შერყეული რწმენა იგულისხმებოდა.

ტერენტი გრანელი ანალოგიურ სახეს მიმართავს თავისი თანადროული პროცესების შესაცნობად: “ეს ყვავილები ვინ აურია”. ყვავილი აქაც საღმრთო შინაარსისაა.

ბიბლიაში, ქართულ სასულიერო მწერლობაში ყვავილი გამოყენებულია მაცხოვრის და ღვთისმშობლის სიმბოლოდ: ყვავილები დარჩენენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში” (ქებათა-ქება სოლომონისა, 2, 12).

იგივე სიმბოლოს ვპოულობთ სოლომონის “ქებათა ქებაში”: “ყვავილები დაჩინდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში” (“ქებათა ქება”, 4, 12).

რწმენისა და ურწმუნოების ბრძოლას ტ. გრანელი ქარიშხლისა და ვარდის დაპირისპირებითაც გვიჩვენებს: “ეს ქარიშხალი და ეს წამება და ქარიშხალთან ვარდის რტოები, დავიღუპები, ვიცი, ამაღამ, დავიღუპები, როგორც პოეტი”.

მსგავსი შინაარსის მატარებელია შორეული ყვავილების ხმობა: “შორეული ყვავილებიც ხმებიან” (“სიცოცხლის გრადაცია”).

ასეთივე ჩანაფიქრისაა გრიგალისა და სულის მიმოზების სახე: “არ ვესალმები ამგვარ დროებას, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს”. ორიგინალურია “სულის მიმოზები”, რომელსაც წყაროები, ჯერჯერობით, არ ეძებნება.

გრიგალი ურწმუნოებაა, ბოროტება, შორეული ყვავილები და სულის მიმოზები — საღვთო იდეალი.

ეპოქის ტენდენციების კვალდაკვალ, უსასრულოდ იზრდება ანალოგიური სახეები ტ. გრანელის შემოქმედებაში: “არ ვხედავ იას, არ ვხედავ ყვავილს”, “და მიკავია დამჭკრარი ია”, “ახლოს არ დარჩავარდი არც ერთი და გლოვა კრტოდა ბედის წყაროდან”, “ზამთრის ვარდები დაიმსხვრევა ბალის კარებთან”.

ულმერთობაზე მიმანიშნებელი სტრიქონებია: “ლუნავს ქარები ალვას, ელავს მუსიკის ხმები, დამწვა საკუთარ ალმა, ვატყობ, თანდათან ვერები” (“დამწვა საკუთარ ალმა”).

ალვა სიცოცხლის ხეა. ძველი და ახალი ალთქმის წიგნებში, სასულიერო პოეზიაში ხე ცხოვრებისა ღვთაების მეტაფორული სახელია (დაბ. 2,9), (გამოცხ. ოთანე, 22, 1-2).

სიცოცხლის ხედ, ქრისტეს სიმბოლოდ მოაზრებული ალვის სახეს ვპოულობთ ოსია წინასწარმეტყველთან: “მე ამწვანებული ალვა ვარ, ჩემგან გექნება შენ ნაყოფი” (ოსია, 1319).

ასეთივე გაგებისაა ესაიას ალვა: “ლიბანის დიდება შენთან მოვა, ალვა, ნეკერჩალი და ბზა ერთიან, ჩემი საწმინდარის ადგილის გასამშვენებლად, რომ ჩემი კვარცხლბეკი განვადიდო” (ესაია, 60, 13).

ბალის კვიპაროსთან დაპირისპირებული ქარიც პოეტის ტკივილს და ულმერთობის საშინელებას გვაგრძნობინებს: “ბალში ქარია ისევ და კვიპაროსის რხევა, გული წამებას მისდევს და უიმედო დღეა” (“ბალში ქარია ისევ”).

ვფიქრობთ, ტ. გრანელისათვის დამახასიათებელი სიმბოლური აზროვნების წესი ვლინდება ფრაზაშიც: “ახლა ვხედავ ხის გაძარცულ შტოებს”...

ტოტი საღმერთო სახელია. სასულიერო პოეზიაში, “დავითიანში ქრისტე დასახულია იესეს, დავითის ძირიდან ამოსულ ტოტად (ტიტე მოსია, „სალვოო სახისმეტყველება”, გვ. 200).

ზემოხსენებული მთავარი თემა ტ. გრანელის პოეზიისა, ლექსში “ცისფერი ბალი” — ასეთნაირად ფიგურირებს: “გული მინუსს და სულია ვრცელი, ქარისაგან იღუპება ტოტი”.

გრიგალი, როგორც ტოტალური ბოროტება — ურნმუნოება, ოცნების ხომალდს ასდევნებია ლექსში “ეს დღე”: “...გრიგალი მის-დევს ოცნების ხომალდს” (“ეს დღე”).

გემი, ხომალდი, ძელი, ჯვარი, ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით, ქრისტეს, რწმენის სიმბოლოა. მზე სალვოო სახლია.

ბიბლიიდან დავიმონჩებთ ერთ მაგალითს: “ალმოგიბრწყინდებათ, ღვთის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე” (მალაქია წინასწარმეტყველი, 3, 20).

ტერენტი გრანელი საუბრობს ქვეყნის გაჩენიდან ადამიანის სწრაფვაზე სინათლისა და შორეული მზისაკენ, რაც ვფიქრობთ, მარადიული ღმერთის ძიების მეტაფორაა.

გამქრალი და ჩამქრალი მზის სახეებს აკისრებს პოეტი თავისი თანადროულობის უდიდესი ტრაგედიის გადმოცემას: “მზე თითქოს გაქრა, მზემ (ცა დატოვა, ხალხია, მაგრამ მაინც მარტო ვარ)”, “შენ-თვის მზე ჩაქრა, შენთვის ქარია, არ გადარჩენას როგორ ეცდები”...

სიმბოლური ჩრდილისა და მზის შუქის სახეებს ანალოგიური ფუნქცია ეკისრება: “და ლამის ჩრდილმა დღის შუქი მოსპო”, “ქრება ის უმანკო და შუქი ნუგების”, “ლამე თანდათან შუქს იპარავდა”, “ახლა ეს შუქი აღარ ინთება” (შდრ. გალაკტიონი: “შუქი არ ინთება ჩამქრალი იაგუნდის”).

სხივი, შუქი ძე ღმერთის სახელად მოიაზრება ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიურ მწერლობაში (ი. დამასკელი, პ. იბერი, ი. პეტრინი, გრ. ნაზიანელი).

მივმართოთ ბიბლიას: “ხალხები მოვლენს შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე” (ესაია, 60,3).

“ფსალმუნში” მრავლად არის სიმბოლური შუქის მაგალითები: “...უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი — ვის შევუშინდე?” (ფს. 26/27, 1). “რადგან იხსენი სული ჩემი სიკვდილისაგან, აგერ, ჩემი ფეხი წაბორძიკებისაგან, რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით” (ფს. 55/56, 14).

“დავით გურამიშვილის მიერ სამება მოაზრებულია მზის, სხივისა და ნათლის ასპექტში” (ტიტე მოსია, “დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა”, თბ. 1986, გვ. 70).

“დღე, ახალი დღე” მიჩნეულია ქრისტეს სიმბოლოდ (ტიტე მოსია, “საღვთო სახისმეტყველება”, გვ. 120).

ტერენტი გრანელის ლექსში “MARCUEBITE” დღე მკვდარია (უარყოფილი ღმერთი), რომელსაც გველი ასდევნებია, რაც უარყოფილი ღმერთის სატანით შენაცვლებაზე მიგვანიშნება: “შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე და კანკალებდა რტოები ვაზის, გველივით გდევდა ცხოვრების გზაზე მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი”.

ქრისტე იმედის ღმერთია: “იმედის ღმერთმა აგავსოთ ყოველ-გვარი სიხარულითა და მშვიდობით რწმენაში” (პავლე მოციქული რომაელთა მიმართ, ტ. 15, 13). მიგმართოთ ფსალმუნს: “შენა ხარ ჩემი იმედი, უფალო, ღმერთო ჩემო, ჩემი სასო ყრმობიდანვე” (ფს. 70/71, 5).

იმედის გაქრობა, იმედის დაკარგვა ისევ დროისმიერი სიმპტომის აქცენტირებაა: “ის იმედები გაქრნენ სრულიად”, “ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესლაც”, “ეს შორეული იმედიც ჩაქრა”, “და იმედები ისევ ტირიან”, “იმედი არ ჩანს, ზარმა დარეკა”...

ლექსში “მიყვარდა ერთი” პოეტი ასე მიმართავს მარიამ ლვის ლექსში: “მიყვარდა ერთი, დავტოვე ისიც და შენ მიშველე ახლა, მარიამ!”

ერთია, ერთადერთია ღმერთი: “ერთი ბრძენი, ფრიად საშიში, თავის ტახტზე დაბრძანებული (სიბრძნე ზირაქისა, 1, 8).

ლექსის ლირიკული გმირი შესჩივის მარიამს, რომელიც ამჯერად დის სახით ფიგურირებს: “დაო, მე შენთან მალე ამოვალ, დაძველებული სახლი იქცევა. რაღაც სხვაგვარი ყრუ სალამოა, ან რანაირი ჩუმი სივრცეა” (“მიყვარდა ერთი”). სოლომონის “ქებათა ქებაში” მარიამის სახედ მოაზრებულია “სძალი”, “და”: “ბალი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო...” (თ. II, 12).

დაქცეული, “დაძველებული სახლი” ადამიანთა გულებიდან განდევნილი ღმერთია, “ყრუ სალამო” უზენაესი ხმებისადმი დახშულ სმენაზე აქცენტირებაა, ისე, როგორც “ჩუმი სივრცე” გაუგონარი ბოროტების მიმართ დამუნჯებულ ადამიანებზე მიგვანიშნებს.

სხვაგან “გადამწვარი მთის” სახეში კივის პოეტის ტკივილი, რითიც ზეციური დედის შარავანდედის მგბობელი სატანების მეუფება შეიცნობა: “ისევ მიცქერის მაღალი ზეცა, ისევ მიცქერის ცა გადამწვარი” (“ოცნება ისევ მაღლა წავიდა”). მთა მარიამზე მიმანიშნებელი (ანიელ წინასწარმეტყველი, 2, 3, 4).

“აწენილ ბედში” მთვარეს დემონი შესჩენია, ის არის ბედისწერის რეჟისორი და იისფერის (იისფერი მწუხარების ფერია “ვეფხის-

ტყაოსანში”) დამკვიდრების მოთავე: “დადის დემონი მთვარის და ავი ბედისწერა, მიპყრობს ისფერ თვალის ასე უღონო მზერა”.

მთვარე მარიამის მეტაფორად მიიჩნევა.

ქრისტესთან ერთად, მარიამსაც დემონი შეენაცვლა და მწუხა-რებით დაბინდა ხედვა. “ისფერ თვალის უღონო მზერას” ჯვარცმუ-ლი ქრისტეს უმწეობასთან მივყავართ.

ფრაზაში “და გლოვა კრთოდა ბედის წყაროსთან” — იმ ტკივი-ლის ახარეულია, სიცოცხლის წყლის, წმინდა წყაროს, ცოცხალი წყა-როს — რწმენის დაშრეტას რომ მოჰყევა.

წყარო, წყალი ხომ ძე ღმერთის ხატია.

“ის დღე წავიდა და ხსოვნა დარჩა”, “ეს დღე ძვირფასო, სხვა სიზმარია”, წერს პოეტი და წასული, სიზმრადეცეული დღის სახით დაკარგული რწმენის ტკივილს უღრმავდება, რადგან დღე საღმრთო სახელია.

გამქრალი გაზაფხულის სევდაშიც დაკარგული და დაგმობილი ღმერთი იგრძნობა (“მგონი გარშემო მტრები არიან”), რადგან გა-ზაფხულს, ზაფხულს საღმრთო სახელად მიიჩნევენ. მისი წყარო მომდინარეობს ფსალმუნიდან: “გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე” (ფსალმუნი, 64/65, 12).

იგნორირებული ღმერთის ადგილს მხეცი იმკვიდრებს და ადა-მიანის სულში იბუდებს: “ვარ ეხლაც კენტად, მიმზერს გულიდან მხეცი. მოვედი შენთან, მე ანგელოზი ზეცის”.

ირგვლივ სიბნელე, ნაპრალი, უფსკრული გვაშინებს ავი თვა-ლებით.

ღმერთს მოცილებული ადამიანის სული ყოველთვის უდაბუ-რია: “უღმერთოდ ჩვენ არარა ვართ. უღმერთოდ ჩვენი სული გაბზა-რულ ზარივით უღრიალებს” (კ. გამსახურდია, “დიონისოს ღიმილი”).

ტ. გრანელის “მიტოვებული ბალის”, ქარისგან ყაჩალივით აკ-ლებული ბალების სევდაში უღმერთო ადამიანის უნუგეშობა ამოიც-ნობა, ვინაიდან, იპოლიტე რომაელის მიხედვით, ბალი არის კაცური ბუნება: “ძველ ბალებს დაეცნენ ქარები ყაჩალივით და აიკლეს ფოთ-ლები. თავზე დამტირის ბებერი მზის მწუხარე სხივი, ო, ლოცვით მე-ლის ბოდვები”.

სანთელი ქრისტეს ხატია, ჩამქრალი სანთელი — ადამიანთა ყოფიდან განდევნილი, იგნორირებული ღმერთი, რაც განუზომელ წამებას უმზადებს პოეტს: “მე ამდენ წამებას ვითმენ და ჩემი სანთე-ლიც ჩაქრა”.

ღმერთისაგან გაუცხოება ტოტალურ მოვლენად იქცეოდა, მთელი პლანეტის ტკივილს ითავისებდა ტერენტი გრანელი და სა-ყოველთაო ავდარს წინასწარმეტყველებდა: “ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის”.

პოეტი იზიარებდა წინასწარმეტყველთა ნააზრევს უფლის “დიდი დღის” ანუ განკითხვის დადგომის შესახებ, მას ელანდებოდა “უფლის დიდი დღე, ძალზე საშინელი” (იოველი, 2,11).

ტ. გრანელი გლობალურ მოვლენებს ჭვრეტდა სულის თვალით: “დაწვებოდა კვლავ ბინდი, გულში მეწყო ლოდები, მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი”.

ლმერთი წარმოიდგინება, როგორც მარად ღია თვალებით მზირალი, რომელიც დამსახურებისამებრ მიუზღავს თითოეულს: “დიდგანმზრაცველო და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და ნამოქმედარის მიხედვით” (იერემია, 32,13).

ტერენტი გრანელის უნიკალური ხედვა სამყაროს მასშტაბურ პროცესებს აფიქსირებდა: “ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით”. ადამიანებზე გულგატეხილი ლმერთზე ამყარებდა იმედებს: “მე ისევ ციდან ველი ტაროსებს”.

პოეტს ეზმანებოდა სიავის აღსასრული. ბოროტების იმპერიის დანგრევა ასოცირდებოდა ბაბილონის დაცემასთან, მის ნანგრევებზე ყორნების ჩხავილთან: “და ყორნებმა დარეკეს ბაბილონის ნაპირთან” (“მონოლოგი ყდაბნოს ყვავილებზე”).

ასევე სჯეროდა ლმერთის ძალით ადამიანთა სულების გასპეტაკება, “სიხარულის დღის” (ლმერთის) მოვლინება: “მოვა თეთრი ფიქრი და სიხარულის დღე” (“ვინწყებ ლექსის წერას”).

“შერიგების” ცნებას ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში რელიგიური ქვეტექსტები აქვს.

ადამიანის ზნეობრივი განნმენდის, ლმერთთან შერიგების, უზენაესისკენ მიბრუნების იდეა ჯერ კიდევ ძველ ალთქმაში გვხვდება: “აპა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტყველს უფლის დღის, დიდის და საშინელის დადგომამდე”.

ის შეარიგებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან, რომ ჩემი მოსვლისას ქვეყანა შეჩვენებით არ შევმუსრო” (მალაქია, 3,23,24), აცხადებდა წინასწარმეტყველის პირით უზენაესი.

პავლე მოციქული გვამცნობდა: “ყოველივე ღვთისგან არის, რომელმაც შეგვირიგა იესო ქრისტეს მეშვეობით და მოგვცა შერიგების მსახურება.

იმიტომ, რომ ლმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი და არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულებანი და გვიბოძა შერიგების სიტყვა.

ამგვარად, ჩვენ ქრისტეს სახელით ვართ მოვლენილი და თავად ლმერთი შეგაგონებთ ჩვენი მეშვეობით, ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ლმერთს” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 5,18,19,20).

შერიგების დღეს ელოდებოდა გალაკტიონი.

ტერენტი გრანელს ალაშთოთებდა ადამიანის განშორება ლვთისაგან და ბიბლიური წინასწარმეტყველებივით ურჩევდა მოძმეთ, შერიგებოდნენ ღმერთს.

პოეტს სწამდა, რომ ოდესმე ისევ იქნებოდა “სურნელი ნისლის” (ანუ საღვთო ნისლი), თეთრი ფიქრები და ღმერთისკენ მიბრუნების სიხარული: “და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების. ვიცი, ამ კლდეზე ვინმე დაჯდება მაშინ, როდესაც მე არ ვიქნები” (“ისევ დადგება სურნელი კვირის”).

თავი IV

პოეზია პლანეტების

და ვიცი უსათუოდ ვარ მსოფლიო პოეტი
(ტერენტი გრანელი)

ტერენტი გრანელის უკიდეგანო თვალსაწიერი ვერ იგუებდა ჩარჩოებს, დოგმებს, ბორკილს. ის გამუდმებით ლოკალურიდან გლობალურისკენ, საზღვრის, მიჯნის მიღმა მიისწრაფოდა. მისი დაუდეგარი სული არა მხილოდ დედამიწას, არამედ ცას, კოსმოსს, სხვა პლანეტებს ზვერავდა და სამყაროს ცენტრში ყოფნის განცდა უეფლებოდა. უხილავის ხილვის უნარით მომადლებული, სხვათათვის განუჭვრეტელს უღრმავდებოდა და “მსოფლიო რადიუსით” ქართული ლექსის გამართვის, დასავლურ-აღმოსავლურის შემოქმედებითი სინთეზირების მიზანი (რაც “ცისფერყანწელთა” დევიზიც იყო), რეალობად აქცია.

მის პოეზიაში ბუნებრივად დაისვა მსოფლიოს შემოქმედებით ტრადიციებთან, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთან მიმართების, საერთაშორისო არენაზე ქართული მხატვრული სიტყვის ადგილის და მნიშვნელობის გააზრების საკითხა.

გალაკტიონს “ქვეყნის ყველა პოლუსების” ხილვა ეწადა, რომ თავისი ღრმააზროვანი სიტყვით მიემართა მსოფლიოსთვის: “მინდა გადმიშვას ნისლმოხვეულმა მთებმა, რომ დავინახო ქვეყნის ყველა პოლუსები: მე მოვითხოვ სიტყვას, მე გადავხედავ ქვეყნებს და ხმამალლა ვაბბობ: უარყყოფ, მიყვარხა! ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, 1923 წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!” (“ეს იყო ოქტომბრის დამლევს”).

პოეტის სურვილი იყო “ცის კაბადონზე... მსოფლიოს შესახე-დავად” დაეწერა “გიყვარდეთ !” (“ფანტაზია”).

საოცარი გაბედულება ვლინდებოდა ყოველ განაცხადში: “სული დაეძებს უმორეს ხაზებს”, მის მშფოთვარე გულში “ეჯახებიან პლანეტები ერთიმეორეს”, “უუდიდებულეს რითმებში” უნდა ის-მოდეს “ომი ვარსკვლავეთის რაზმის...”

“უკანასკნელ საზღვართან” მისული ვრძნობდა პლანეტათა შეჯახების” შეკავებულ “ქვითინს” (“უკანასკნელი საზღვარი”).

გალაკტიონს გათავისებული ჰქონდა “უზარმაზარი მსოფლიო ქნარის” მოთხოვნები, “მსოფლიო ორკესტრის”, “მსოფლიოს ყველა ხმათა ხევულის” თავისებურებები, იწყებდა “ბაის ბერი-დან”, ეძებდა “ბერა-ბერა, საგან-საგან” და ესმოდა კოსმიური რიტმი, საღვთო მუსიკა,

ტერენტი გრანელი უეჭველად გალაკტიონის ჯუფთი გენიაა. ამას თვით გალაკტიონი აღიარებდა: “ტერენტი გრანელი ხალასი გენია და ნიჭია. საიდან ისწავლა ტერენტი გრანელმა ასეთი საამო ქართული?”

“მემენტო მორის” ავტორის მიხედვით, „გული მსოფლიო ლერძია”, „გულის გარშემო მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია” (“მარადისობის ლაჟვარდები”).

გულთან, განცდასთან, მოვლენათა ინტუიციურ აღქმასთან ერთად, პოეტის მომადლებული ჰქონდა ყოვლისმხედველი, სამყაროს საიდუმლოებათა განჭვრეტის უნარით გამორჩეული უტყუარი თვალი: “ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით”.

ამავე დროს, ის იყო “ღია ბალისებრ”, ანუ ალალი, მართალი, ბუნებასავით შეუნიბლავი.

“ღია თვალებით” მზერა უფლის პრეროგატივაა: “დიდგან-მზრახველო და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და ნამოქმედარის მიხედვით” (იერემია წინასწარმეტყველია, 32,19).

“ღია თვალებით” მიიცვალა მზე (ქრისტე) გალაკტიონის ლექსში “მას გახელილი დარჩა თვალები”.

ტერენტი გრანელი ამჩნევდა არა მხოლოდ ლოკალური ჭრილის მოვლენებს, არამედ მსოფლიოს, პლანეტებს, მთელ სამყაროს, უსაზღვროებას და მომავლის კატაკლიზმებს აფიქსირებდა მისი სულის თვალი: “მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიქრის”.

და ის ლოცულობდა მთელი ქვეყნის სახელით: “ვდგევარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი”. პოეტი დაატარებდა საკაციობრიო სევდას და შიში იპყრობდა ჭაობის, გალიის, ყუთის, საპყრობილის სახით მოზმანებული ქვეყნის

გამო: “შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ”...

ტერენტი გრანელი ხედავდა გონიერ, სულიერ ზეცას (“რა ბრწყინვალეა ცა იქაური”) და საქვეყნო ვედრებას აღავლენდა მარადიული ცისადმი: “ნისლივით მიმაქვს ცისკენ გლოვა ჩემი და სხვისი”.

ცისკენ ლტოლვა სამყაროს მოუწესრიგებლობით იყო ნაკარნახევი და პოეტის სული ცას უვლიდა: “ექსკურსია ცისკენ”, “ბარათი ცისკენ”.

ეიმედებოდა ცასავით მარადიული პოეზია: “ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით”.

მთელი ძალისხმევა სულისა მარადიულს, მსოფლიოს, უსაზღვროს უტრიალებდა: “ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი”, “გულია ისევ მსოფლიო დერძი, თანამედროვე ცხოვრება მებრძვის” (“ვდგავარ ქვეყნის ნინ როგორც მლოცველი”), “მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო, მე ისევ ვეძებ მარადისობას, და მინდა ყოფნა აქაც და იქაც, შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელი კავშირი გამოარჩევდა.

რაკი დედამიწა ეპატარავებოდა, სხვა პლანეტებისკენ მიიღონდა სულით: “აქ სხვები წერენ მხოლოდ მინაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას”, “მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის”, “მიპყრობს პლანეტა შორი”...

განსაკუთრებით მარსი აინტერესებდა: “მარსის ნიაღში შემიყვარდა მე გაქანება” (“სონეტი”), “მთელი ღამე ვსაუბრობ ვიღაც მარსიანელთან”.

მერე უფრო იზრდებოდა მასშტაბები და სულის უკიდეგანობას გვაუწყებდა ეს სურვილი: “მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი”, “მინდა ვარსებობდე ყველგან”, “მსურს სამყარო მეკავოს”, “...ავენთები..., როგორც სიმორე და პლანეტები”...

პოეტმა მართლაც მისნური უნარით, გასაოცარი ძალისხმევით შეძლო მოკვდავთათვის დაწესებული საზვრების გადაღახვა, მოსალოდნელი მოვლენების განჭვრეტა, მაგრამ ამან ნუგეში ვერ აპოვნინა, მსოფლიოს პრობლემებისათვის თვალის გადევნებამ მის მოუწყობლობაში, დისპარმონიაში დაარწმუნა, მთელი კაცობრიობის ავდარი შეიგრძნო, რამაც თანდაყოლილი დარდი კიდევ უფრო გაულრმავა: “ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის”, “მოწყენა მოსდევს ამნაირ ავდარს, მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო” (“ჩემი ბედი”).

რა იყო ასეთი მასშტაბურობის, გამბედაობის საფუძველი?

ამის პასუხი თვით ტერენტი გრანელის პოეზიაშია: “ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი”. რწმენის, უსაზღვროების

(ღმერთის) გულწრფელი სიყვარულით ეზრდებოდა ფრთები და ასტრალებში ნავარდის უნარი ენიჭებოდა: “ვუმზერ პლანეტარიას... უსაზღვროებას, მარადისობას...”

მაგრამ მსოფლიოს, უსაზღვროს, პლანეტების სიყვარული, მარსით დაინტერესება არამც და არამც არ ნიშნავდა გულგრილობას სამშობლოსადმი. პოეტი განიცდიდა როგორც ფიზიკურ სამშობლოს, ისე მის სულიერ ზეცას, “უხილავ საქართველოს”.

ტერენტი გრანელის ყოვლისმხილველი თვალი უფლის “დიდი დღის” დადგომას, ანუ ცოდვებისათვის განკითხვასაც აფიქსირებდა: “მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი”.

“პოეზია პლანეტების” — გენიალური პოეტის ეს უნიკალური წიგნი (უსათუოდ უნიკალური იქნებოდა, როგორც სხვა კრებულები) ავტედობით დაკარგულია და არის უდიდესი დანაკლისი როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე მსოფლიოსათვის, რადგან ასეთი მსოფლგანცდის და ასეთი არაჩვეულებრივი აზროვნების პოეტი საერთოდ იშვიათია, თუ არა ერთადერთი.

ტერენტი უთუოდ არ ცდებოდა, როცა თავის შემოქმედებას პლანეტის, მსოფლიოს ყურადღების ღირსად აცხადებდა.

ტერენტი გრანელი დაბეჯითებით უსვამს ხაზს არა მარტო თავის დაინტერესებას მსოფლიო პრობლემებით, არამედ საკუთარი ლექსების საკაცობრიო მნიშვნელობასაც და თვითშეცნობილი პოეტური გენის ეს განაცხადი არ უნდა მოგვეჩვენოს უსაფუძვლო ქადილად: “და ვიცი, უსათუოდ ვარ მსოფლიო პოეტი”, “მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი”.

ჩვენმა დრომ ხელახლა აღმოაჩინა სულინმიდის მიერ გაბრძნობილი შემოქმედის პოეტური პლანეტა, უფრო დიდი ძალით ინამა ეს “პოეტი ბავშვი” და ლამის ჩვენი დროის სახარებად შერაცხა მისი განუმეორებელი კრებულები. მან უკვე ჩააპარა დროს გამოცდა და ერის რჩეულთა თანავარსკვლავედში ჩაინირა.

ტერენტი გრანელი თავის სამშობლოდ ზეცას იგულვებდა: “ჩემი ნაზი სამშობლო ლავავარდები ცისფერი”. თავის მარადიულ სავანედ ესახებოდა “ზეციური სახლი, ცისფერი სახლი, ცისფერი ქვეყანა”. ამავე დროს, თავისი მიწიერი სამშობლოდან, როგორც მთავარი მაგისტრალიდან, მიერთვოდა მსოფლიოს, უსაზღვროს და ნატრობდა: “ღმერთო, გამალვიძე მე სხვა პლანეტაზე”.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, სამყარო დაყოფილია დაბალ, მაღალ და შუა პლანეტარულ სისტემებად. დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია. სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

ტერენტი გრანელი გამუდმებით ეძებდა “სხვა პლანეტას”, “მესამე გზას”, იზიარებდა სულის უკვდავების და ყოვლისშემძლეობის თეორიას, ჯეროდა “სიცოცხლე სხეულის გარეშე”. მისი “უვალი გზა” ხორცისაგან გასაღწევი, სულის გამარადისების გზა იყო, რაც სიკვდილის შემდეგ უნდა დაწყებულიყო სულიერი ნათელდების პირობების ერთგული დაცვის შემდეგ.

პოეტის სულის გზები სათავეს იღებს კაცობაში “ადამის ძის” სახით და სრულდება უმაღლეს სავანეში. დაღლილი მგზავრის მიერ განვლილი გზა მთელი გონიერი, მორწმუნე კაცობრიობის სულიერი გზაა და ამიტომაც არის იგი მსოფლიო პოეტი.

“უცნობი სფინქსის” მწუხარე მუზა ხვალ თუ ზეგ მოაზროვნე მსოფლიოს მართლაც შეძრავს.

ტერენტი გრანელის აღიარება, მისი მსოფლიო მასშტაბების დანახვა უკვე დაიწყო.

მნერალი და მეცნიერი რევაზ მიშველაქ საუბრობს მის “ცადამაღლებულ სულზე”, მის მიერ გაკვალულ “ახალ ბილიკზე”, “პრიმიტიულობისა და გენიალობის ზღვარზე შექმნილ მის ლიტერატურულ ცოხე-კოშკზე” (“მწერლის გაზეთი”, 10-23 ივნისი, 2004 წ.).

მურმან ჯგუბურია წერს, რომ “მომავალი კოსმოდრომების პოეტის სტრიქონებში “მთელი კოსმოსი იკითხება”.

ადარებს რა ყალმისა და სიტყვის მხატვრებს — ნიკო ფიროსმანს და ტერენტი გრანელს, მურმან ჯგუბურიას აღაფრთოვანებს “გენიოსი და შეშლილი გრანელის” გენიალური პრიმიტიულობიდან გენიალურ მისტიურობამდე ამაღლებული სტრიქონები და დარქმუნებულია ამ ორი შემოქმედის (ფიროსმანისა და გრანელის) მარადიულობაში: “ასე ივლიან მხარდამხარ მხატვრისა და პოეტის ნახელავნი საუკუნეების განმავლობაში (მურმან ჯგუბურია, “მომავალი კოსმოდრომების პოეტი”, “ლიტერატურული გაზეთი”, 10-23 ივნისი, 2004 წ.).

პოეტი დილარ ივარდავა ტერენტის პოეზიაში ხედავს “საღმრთო ფერებს”, ზეციურ განზომილებებში მოარულ სულს: “მას სხეულის სიმძიმე აიძულებს ამ ქვეყანაზე დროებით ყოფნას, თორემ სული ზეციური განზომილებების ლურჯ ფრინველად ჰყავს მიმინოსავით განვრთნილი”.

აკეთებს რა შედარებას უცხოელ ავტორებთან, დილარ ივარდავა მიკიბ-მოკიბვის გარეშე აღნიშნავს ტერენტის უპირატესობას: “ვერც როლინა, ვერც რემბო, ვერც ვიოონი და მით უმეტეს ნადსონი — ბოჰემისა და მელანქოლიის თავგადაკლული რაინდები, დღენიადაგ ქალებივით ატირებულნი, თავიანთ ლექსებში ვერ ედრებიან ინფანტას ცრემლივით მონკანნკარე გრანელის სტრიქონებს” (“მწერლის გაზეთი”, 22-28 ნოემბერი, 2001 წელი).

პოეტი თამაზ ფიფია ასე ალაპარაკებს ტერენტი გრანელს: “მწამს ლაუგვარდები მარადისობის და პლანეტების მწე პოეზია... მე კი ვიწერ ფრთხებზე გრიგალის — განედებს ვანდე უკვდავი სული... გული, სამყაროს ნამდვილი ღერძი მე მაგრძნობინებს მსოფლიო სევდა... მინდა შორეულ პლანეტის მწამდეს — სული დაეძებს ოცნების ყურეს... სივრცენი მიხმობს მე გასაკვირი”.

და უმთავრესია აზრი, რომ ტერენტი გრანელი მარადისობის და ღმერთის რჩეულია: “მარადიული გიცავს სამყარო, ახლოს გეგულვის თვითონ უფალი” (თამაზ ფიფია, “ფრაგმენტი გრანელის ფიქრებიდან”, “მწერლის გაზეთი”, 10-16/X, 2002 წ.).

ტერენტი გრანელის დიდი მოამაგე ლერი ალიმონაკი წერს: “ტერენტი გრანელის შემოქმედებას როცა მთლიანად წაიკითხავ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მიწაზე დაბადებული კი არ არის, არამედ სხვა სამყაროდანაა მოსული. თითქოს მისტირის სხვა, უხილავ სამყაროს, სადაც რაღაც აქვს დატოვებული. ბავშვს რომ გადმოსვად უცხო სამყაროში და არ იცის, სად მიდის, ასე გადმოსულს ჰგავს ამ პლანეტაზე” (ჟურნალი “სარკე”, 2003 წ. 26/III-1/IV).

იგი “განუწყეტელ პოეტურ ინსპირაციაში ჩართული დუმილით იძნდა კოსმიურ ძალებს” (ლერი ალიმონაკი, “გრანელის ლანდი”, თბ. 1998, გვ. 32).

ვლადიმერ ნორაკიძის აზრით, “ყოველდღიური მოვლენა ვერ იწვევს პოეტში პოეზიის ცეცხლს, — პოეტს ანუხებს მსოფლიო რაობს, ფართო ფორმით. მისი პესიმიზმი თუ პატიმიზმი არ არის რუტინის, მიერთ-მოეთის, არამედ საერთოა, მსოფლიო.

...მისი რკალი ინტუიციური ცდაა მსოფლიო რეინის რკალის გარღვევის” (ვლ. ნორაკიძე, ტერენტი გრანელის პოეზია, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 138).

გრიგოლ შავიშვილი საუბრობს ტერენტი გრანელის პოეზიის “კოსმიურ ელემენტზე, პოეტის “კოსმიურ იდეალებზე” (იქვე, გვ. 151).

აპოლონ ქელბაქიანის დაკვირვებით, “ტერენტი გრანელის პოეზია “ყოფნა-არყოფნის” საკითხია, სიკვდილ-სიცოცხლის” პრობლემაა. ესარის მსოფლიო სევდა, რომლითაც შეპყრობილი იყვნენ ისეთი ბუმბერაზი პოეტები, როგორიც იყვნენ ბაირონი და ბარათაშვილი... გრანელის სევდა უფრო უიმედოა. ინტუიციური ხედვა ტ. გრანელში უმაღლეს ნერტილამდე აღწევს” (იქვე, გვ. 21).

მხატვარ რეზო ადამიას წიგნები “სისხლიდან ცრემლი” (2008) და “უკვდავებაა სიკვდილში” (2011) წარმოადგენს “მემენტო მორის” ავტორის აპოლოგიას. მხატვარი პოეტს უწოდებს “პლანეტების მგოსანს”, “კოსმიური ფენომენის უცნაურ ბინადარს” და მის შემოქმედებაში ესმის კოსმიურ ხმათა კივილი, კოსმიური ბერები, მარადიული მარტვილობის სიტყვები, კოსმიური მონოლოგი, კოსმი-

ური მუსიკა, კოსმიური სევდა, კოსმიური სივრცის მარადიულობაში გახმიანებული გრანელისეული, წმინდანური, სევდიანი, მაგრამ მოციქულებრივი მართალი ხმა (გვ. 7), ღამეული, ნისლდაფენილი, ჩვენი პლანეტის გარეთ გამავალი ხმა აფორიზმი: “შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ...”

მხატვარი გრანელის პოეზიაში ხედავს კოსმიურ მოგზაურობას, კოსმიურ სივრცეს, კოსმიურ სურათს, კოსმიურ ფერებს, კოსმიურ სიდიდეებს, კოსმიურ აზროვნებას, კოსმიურ ველს, კოსმიურ გენს, კოსმიურ სამკაულებს, კოსმიურ სულს, კოსმოსის მარადიულ სამყაროს, მგოსნის ლექსად ნააზრევ კოსმიურ სურათს, კოსმიურ სიმართლეს...

ტერენტი გრანელის გენიალურობის დაუინებული და დამაჯერებელი მტკიცებაა რეზო ადამიას განაცხადი: “ძლიერი, ღვთისნიერი, ყოველმხრივ განწმენდილი ანგელოზური ბუნების და კოსმიურად დამოუკიდებელი სული მხოლოდ დიდ ადამიანებს და გენიებს გააჩნიათ: “ამდაგვარი სულის მატარებელი გახლდათ ტერენტი გრანელი” (იქვე, გვ. 6).

რეზო ადამია საუბრობს მგოსნის “შეუდარებელ გენიაზე” და იმონწმებს პოეტის სიტყვებს: “წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხვია” — მიღიარდობით წლის შემდეგაც, ამ თითქმის ტრაგიკულ გოდებას მწარედ იტყვიან სიკვდილის კარამდე მისულნი... ამდაგვარი, კოსმიური პოეტური თემის გახსნა, თანაც ასეთი მაღალი დონით, თუ მუსიკალური სიღრმეებით და მაღალმხატვრულად, მხოლოდ გენიათ ძალუებთ” (იქვე, გვ. 7).

რეზო ადამიას გენიებად, კოსმიურ წმინდანებად ესახება ნიკო ფიროსმანიშვილი და ტერენტი გრანელი: “...ორივე გენია წმინდანებია კოსმიურ სივრცეში... ისინი უფალთან მარადისობაში თანაარსებობენ” (იქვე).

“გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი” — ასეთ კოსმიურ ბგერებს, ალბათ, მთავარანგელოზის გაფრენისას მისი უნაზესი ფრთათა რხევა თუ ტოვებს”...

“ლექსით “ფიროსმანი” ტერენტი გრანელი მსოფლიოს პოეზიის შედევრთა გალერეაშია ექსპონირებული” (იქვე, გვ. 14).

ტერენტი გრანელი იყო კოსმიური სულით და სევდით ნაკვები პოეტი. გრანელში ჩაისახა და მკაფიო სურათად ჩაიხატა ადამიანის მოდგმის მარადიული ტრაგედია, სული და მისი ბედის მთლიანი სახე” (იქვე, გვ. 3).

“ალბათ, წინაპართა კოსმიური ველის ცოცხალი ხაზიც უნაკლოდ გადიოდა ტერენტის სულში” (იქვე).

“ტერენტი გრანელმა მთელი მსოფლიო შემოიტანა თავის სულში, კოსმიურ პრობლემებს ლირიკით გასცა პასუხი” — სამარ-

თლიანად აღნიშნავს მკვლევარი აპოლონ უორდანია (“დრო და შემოქმედება”, თბ. 1987).

“ბედნიერი ხარ, თუ დრო გათანევე და მის სალესზე სული ალესე”, მიმართავს ზეგიად გამსახურდია მგლოვიარე სერაფიმს (“მარტოობა” — ტ. გრანელს, “მწერლის გაზეთი”, 22-28 ნოემბერი, 2001).

მუხრან მაჭავარიანი ტერენტი გრანელს უწოდებს “ჭეშმარიტ პოეტს, ვაჟას ნაღდ აჩრდილს” (“დიდ სალამს უძღვნის ახლა მუხრანი”, “მწერლის გაზეთი”, 2001, იქვე).

მერაბ კოსტავა გაოცებულია იმით, როგორ “ჰკვირობდა სულეთის სილრმეს „მემენტო მორის“ ავტორი და საზღვრის გაღმა გაღწეულად წარმოიდგენს მას: „ეს დედამინა აკრთობდა გრანელს, როცა ოცნებით ცაში ვიდოდა, იმ ცეცხლის ალით თვით დაიგრავნა, ვიდრემდე საზღვარს გადავიდოდა“ (მერაბ კოსტავა, “გალაკტიონი”).

პარიზში მცხოვრები ქართველი, ტერენტი გრანელის შემოქმედების მთარგმნელი და მკვლევარი დათო თოთიბაძე ხაზს უსვამს კოსმიური სივრცეებისადმი ტერენტი გრანელის ინტერესს: „ლამე შეახსენებს პოეტს შემოქმედების უსასრულობას და კოსმიური სივრცეების მონაწილედ ხდის“ (დათო თოთიბაძე, ტერენტი გრანელი, ხელნაწერი).

აქვე ნათქვამია, რომ ტერენტი გრანელმა “მთელი ცხოვრება მარტოსულად გაატარა და შეეპარა კოსმიური სპლინის თავისებური ნაირსახეობა, რომელიც შემძგომში მისი შემოქმედების ფუძედ და შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ გადაიქცა” (იქვე, გვ. 38).

შემდეგ “სამყაროს სინათლედ ქცეული პოეტი, როგორც იქნა, თავის ირმაგ განზომილებას იღებს, მისტიურს და კოსმიურს — ამას უნიდებს გრანელი „მესამე გზას“, ცხოვრების აზრს, მინიერ ცხოვრებასაც, რა თქმა უნდა, მაგრამ უპირველესად ციურ და სულიერ ცხოვრებას. მან გადალახა ადამიანური განზომილება, რომ შემოქმედის სიტყვით შთაგონებული წინასწარმეტყველი გამხდარიყუ” (იქვე).

ტერენტი გრანელმა “საუკუნოვანი ომი გადაიხადა ყოფნა-არყოფნის კანონმდებელთან — ლორსთან და სძლია იგ. მისმა ნაგვემბა სულმა ლოცვით გამოაღნია მეოცე საუკუნის მშეოთვარებასა და ულმერთობას და განწმენდილი, ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან ლეგენდად მდგარი, განახლების ძალითა და რწმენით გვიხმობს ახალ საუკუნეებთან მისახლოებლად” (ლერი ალიმონაკი, მამანტი როგავას წერილიდან “ტერენტი გრანელი”, ქართული მწერლობა — XXI, 1 (5), 2009, გვ. 21-22).

“...ქვეყნად მოვლენილი გრაალის თასში ჩამოლვრილი სისხლისა და სულის მატარებელი წმინდა პოეტი შინაგანი, მშობელი

ერის გულისხმით ენაცვლება ჯვარზე გაკრულ ქრისტეს, რათა საბოლოო დაღუპვისგან იხსნას ადამიანთა სულები, ქართველ ერში რომ არ ჩაკვდეს თავისუფლების ნაპერწეალი, სიყვარულისა და ლაზარეს ალდგინების დიადი მომავლის რწმენა” (მამანტი როგავა, იქ-ვე, გვ. 28).

თავი V

ანტიციპაციით მომადლებული ტერენტი გრანელი

წინასწარმეტყველური ხილვები

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რასაც ტერენტი გრანელი სულის თვალით ხედავდა.

„ვუმზერ სამყაროს ლია თვალებით“ (თუ ხარ წვიმისთვის 1,63), ამბობდა პოეტი და ლია თვალებით მზერა, ანუ უცდომელი მზერა მხოლოდ უფლის, წინასწარმეტყველთა, საღვთო სიბრძნით მომალებულთა ხვედრია: „დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ლია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19)(2,156).

ტერენტი გრანელი ხედავდა აჩრდილებს, ბრილიანტებით შემოსილ ლანდებს, ასტრალურ ორეულებს, ბედის მწვერვალს, სიცოცხლის ბოლოს, უსაზღვროებას, მარადისობას, უხილავს, გონიერ ცას ანუ ღმერთების ცას, რომელსაც ბიბლიაში „ცანი ცათანი“ ეწოდება.

პოეტი მონუსხული იყო სულიერი ზეცის ბრწყინვალებით: „...რა ბრწყინვალეა ცა იქაური“ (ახლაც ვიგონებ) (3,57).

ცასთან „კომუნიკაციის“ უნარით მომადლებულს, მაღალი, „ბრწყინვალე ცის“ დუმილიც ესმოდა: „...მაღლა ბრწყინვალე ცის დუმილია“ (თეთრი დღეები) (1,73).

ამქვეყნიური მიეთ-მოეთისგან განრიცებულს, „ცა უცნაური“ აძლევდა შთაგონებას: „ეს ჩემი ლექსი, ცა უცნაური, მორჩა, არ მეს-მის ქუჩის ხმაური (შვიდია სრული) (1,179).

ესაია წინასწარმეტყველი ხედავდა „შორეულ ქვეყანას“ (ესაია, 33,17) (2,97).

გალაკტიონ ტაბიძეს ესიზმრებოდა „რადაც წმინდა, შორი ქვეყანა“ (მე მესიზმრება) (4,97).

ტერენტი გრანელი ეძებდა ჩვეულებრივთათვის უხილავ შორეულ, მარადიულ, „ცისფერ სამყაროს“ (მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ) (3,58), „მე ყოველთვის ვერძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს“ (3,267).

ხედავდა ზეციურ, საღვთო ნათელს: „დგება ნათელი ისევ ზენარის (მე რა ვქნა) (1,202)

ხედავდა ანგელოზის ფრთებს, ანუ წმინდა, მფარველ სულს: „ჰაერში ირხევა ფრთები ანგელოზების“ (ფარული ვედრება) (1,187).

ხედავდა სულის ლანდს: „და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი ნისლის) (1,234).

„მემენტო მორის“ ავტორი ამჩნევდა „ცისფერ სულს“ (უცნობ საფლავთან), ხედავდა თანამედროვეთა სულს: „მე თითქოს ვხედავ და თითქოს ვუმზერ შეს სულს, ტანჯვისგან გასპეტაკებულს“, მიმართავდა აკაე ანდრიაშვილს.

„დმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელნი თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით“, ნათქვამია იოანე სახარებაში (იოანე, 4,24) (5,184).

პავლე მოციქულის მიხედვით, „...უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“, (პავლე მოციქული, ॥კორინთელთა, 3,17) (5,388).

ღმერთი „სულია სახიერი“, ღმერთი „სულია ჭეშმარიტებისა, რომელიც მამისაგან გამოვალს“ (პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) (6,16,14,15).

ტერენტი გრანელს ეიმედებოდა უფლის სულის მოვლინება „...მოვა ცისფერი სული“ (უცნობ საფლავთან ვდგავარ) (1,130).

მორწმუნე პოეტის სულისთვის ახლობელი იყო უზენაესი ცეცხლი: „... და სულს ცეცხლისკენ მივყავარ თრთოლვით“ (ხამთრის მოახლოება) (1,138).

„შორეულ სინათლეში“, „სულის გადაღმა“ ჭვრეტდა „კანდელს“ და მოსალოდნელ სიმძიმილს: „სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შორეულ რიცხვის“ (შორეული სინათლე) (7,62).

ტერენტი გრანელის მზერას ანგელოზები ევლინებოდა როგორც მინაზე, ისე ზეცაში: „მე მგონი ანგელოზები დაფრინავენ როგორც მინაზე, ისე იმ შორეულ ქვეყანაში, რომელსაც ეწოდება ზეცა“ (1,267).

ანგელოზის მფარველობას შეიგრძნობდა: „გულს მფარველი ანგელოზი იცავს“ (ნელა მივალ) (1,168).

პოეტის მზერა სწვდებოდა ყოფნის დასასრულს: „შორიდან ვხედავ ყოფნის დასასრულს“ (გუშინ ამ ხესთან) (1,82).

ხედავდა სულის გაფითორებას: „ფითორდება სული მზეზე მოღლილი“ (ზამთრის მოახლოება) (3,18).

პოეტის იდეალი იყო სულში დავანებული „ცისფერი ყვავილი“ (ყვავილი საღმრთო სახელია): „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“ (შორეული ყვავილები) (1,162).

მისი ფიქრის საგანი იყო „ცისფერი ლამე“: „მე მაინც ვფიქრობ ცისფერ ლამეზე“ (ეხლა ჩემს ირგვლივ) (1,119).

ვფიქრობთ, „ცისფერი ლამე“ მზიანი ლამის „იდენტური სახეა და ლერთის სახელია (8).

პოეტისთვის ბუნებრივი იყო საღვთო ნისლის განცდა: „...ეს წმინდა ნისლი, ეს წმინდა კვირა“ (ეს ჩემი ლექსი) (1,180).

სულით თვალი აფიქსირებდა „წმინდა შარას, წმინდა ქვებს“: „...ეს წმინდა შარა, ეს წმინდა ქვები“ (შარა) (1,166).

გზა, შარა საღვთო სახელია: „... აპა, გზა, იარეთ მასზე, როცა მარჯვინ ან მარცხნივ გადაუხვევთ“ (ესაია, 30,21) (2,136).

ქვა ქრისტეს პარადიგმა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: აპა, ქვა დავდევი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვა-კუთხედი, მასზე მინდობილი არ აჩქარდება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 28,16).

შორეული უსაზღვროების (ღმერთის) სავანეში გაჭრილი სული ხედავდა ზეციურ მეუფეს, საკუთარ აჩრდილს ანუ სულს: „შორიდან ვხედავ საკუთარ აჩრდილს, შორიდან ვხედავ უსაზღვროებას“ (ფიქრიდან ვხედავ შორეულ მიზანს) (1,228).

საკუთარ აჩრდილს ანუ მეორე მეს ესაუბრებოდა: „მთაზე დავდივარ და ვგრძნობ ანთებას, საკუთარ აჩრდილს ვესაუბრები“ (მძიმეა წამი) (1,93).

გულით გრძნობდა „ყრუ ბედისწერას“: „ყრუ ბედისწერა“ გეცემა გულზე“ (მძიმეა წამი) (1,92-93).

ტერენტი გრანელი ხედავდა „ფიქრის ნავებს“: „ისევ გამოჩნდნენ ფიქრის ნავები“ (მოდის ახალი ფიქრთა კრებული) (1,187).

ანგელოზური სულის პოეტი ინტუიციით ამჩნევდა სხვათა გულში დაბინავებულ მხეცს და ეს განაპირობებდა მის გაუცხოებას მტაცებელთა მასისგან“: „ვარ ეხლაც კენტად, მიმზერს გულიდან მხეცი, მოვედი შენთან, მე ანგელოზი ზეცის (ვარ ეხლაც კენტად).

ტერენტი გრანელს აქვს ერთი შეხედვით უცნაური ფრაზა: „და ლრუბლის ბავშვი ჩაივლის მზესთან“ (დადგა მაისი) (1,109).

ლრუბელი, მარიამ ლვთისმშოლის სიმბოლო (9, 124).

ლრუბლის ბავშვი“ არის ქრისტე, მზე-მამალმერთი.

უზენაესთან სულიერ კავშირზე მიმანიშნებელი ფრაზაა: „ეხლა შორის ელავს ცა მონმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“ (პოეტი პატიმარი) (1,35).

პოეტის ლვთიურ სულს შეგვაგრძნობინებს შემდეგი ფრაზა: „სულთან ახლა ცისფერი შუქი მარადისობის“ (მარადისობის ლაჟვარდები) (1,68).

მარადისობა, მარადისობის მამა „ღმერთის სახელია (ესაია წინასწარმეტყველი, 9,5)

შუქი უფლის პარადიგმა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნძი: „რადგან შენთან არს წყარო სიცოცხლისა, შენი შუქით ვხედავთ სინათლეს“ (ფს. 35,10).

„...იხსენი ჩემი სული სიკვდილისაგან, აგერ, ჩემი ფეხი წაბორძიკებისაგან, რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით“ (ფს. 56,14).

პოეტის სულს მარადისობის შუქი, ვარდის (საღვთო სახელია) შუქი აბრწყინებდა: „თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის“ (შეშლილი ცრემლები).

„ღმერთო, სიცოცხლის შუქი მაღირსე“, ევედრებოდა უფალს ძე ღმერთის სხივით გაბრწყინებას.

ასევე ელოდა პოეტი ღმერთს – სასწაულს: „ახლა სასწაულს მხოლოდ მე ველი“ (ვერ გიღალატე) (1,72).

ტერენტი გრანელს ენუგეშებოდა „ღმერთი სასწაულის მოქმედი“ (ფს. 76,15).

ემედებოდა „საოცრება“: „...საოცრება მოგელის შენ, ტერენტი გრანელი“ (მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე).

„უცნობი სფინქსი“ იდგა „საოცრების კარებთან“, მოელოდა „საოცრებას“ (ცისფერი სიშორე, 1,40).

საოცრება და კარი საღვთო სახელებია: „უფალი... გაიხსენეთ მისი ნამოქმედარი სასწაულები, საოცრებანი და სამართალი მისთა ბაგეთა (ფს. 104,5).

„კვლავ უთხრა იესომ: „ქეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხოვართა“ (იოანე, 20,7).

ტერენტი გრანელი ფიქრობდა „შორეულ ხეზე“, „ძვირფას ხეზე“ (ხე საღვთო სახელია), უმზერდა უსაზღვროებას, მარადისობას (უსაზღვროება, მარადისობა საღვთო სახელებია).

სიზმარი შეიძლება იყო წინასწარმეტყველური (10, 26, 255).

ძალზე ხშირად გვხვდება ტერენტი გრანელის ლექსებში სიზმარი, არა მარტო როგორც განცდილის დაფიქსირება, არამედ მოსალოდნელი მოვლენების წინასწარი ჭვრეტა.

სიზმრით გვამცნობს პოეტი სულში უფლის ჩასახლებას, რაც უვალ გზებზე სვლის, თავისუფლების, ზნეობრივი ამაღლების, მშვენიერებასთან ზიარების მომასწავებელია: „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი–უფალი. არ ქროდა ქარი და უცხო ბაღში მე მივდიოდი თავისუფალი. თითქოს მესმოდა ყორნის ჩხავილი, წინ იშლებოდა გზები უვალი. ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი“ (სიზმარი) (7,132).

ახალი აღთქმის მიხედვით, თავისუფალი მხოლოდ უფლის მონაა: „...უფალში მოწოდებული მონა უფლის თავისუფალია, ასევე

მოწოდებული თავისუფალიც ქრისტეს მონაა (პავლე მოციქული, 1 კორინთელთა, 7,22).

პოეტი გრძნობდა მარადიულ ცას: „მე ოცნებით მოვშორდები მინას, გული იგრძნობს მარადიულ ლაჟვარდს“ (მარადისობის ლაჟვარდები) (3,32).

მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს შეიგრძნობდა ინტუიციურად: „სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შორეულ რიცხვის“ (შორეული სინათლე) (3,156).

მთელი სამყაროს მოვლენები ფიქსირდებოდა უკიდეგანო სულში: „მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყსარო“ (ჩემი ბეჭი) (1,217)

განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა მის სულს შორეულთან, მარადიულთან: „მე ყოველთვის ვგრძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს“ (1,267).

პოეტი ირჩმუნებოდა: „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი“ (სამშობლოს) (1,94).

„მემენტო მორის“ ავტორი იყო „შორი გზით“ (ლმერთის გზით) მავალი, შორი პლანეტების განმცდელი: „ნახევარია ორის, მიდის ჩემი გზა სწორი. ნახევარია ორის, მიპყრობს პლანეტა შორი“ (ნახევარია ორის) (1, 172).

ტერენტი გრანელს აინტერესებდა „სულის მხარე“ (გუშინ ამ ხესთან) (1,82).

ბედისწერის ხაზები კვეთდნენ მის გონიერ გულს: „ყრუ ბედის-ნერა გეცემა გულზე“ (მძიმეა ნამი) (1,92-93).

„უცნობ სფინქსად“ მოვლენილ პოეტს ანამებდა ყველგანმყოფობის, მთელი მსოფლიოს გულისგულში ჭვრეტის, საკაცობრიო ტკივილების დაამების სურვილი: „ახლა მთვარიანი ღამეა და მწვავს სურვილები, ერთი და იმავე დროს, სწორედ ახლა მინდა ვიყო ყველგან, მინდა მთელი მსოფლიო გადაიშალოს ჩემს წინ, როგორც ერთი ნაჭერი მინა, აქედან ვუმზერდე პარიზში მიმავალ ადამიანს. მინდა ხელში მეკავოს მთელი მსოფლიო, როგორც ბურთი“ (ტერენტი გრანელის დღიურები).

გონით გულში მიმდინარე პროცესებს ჭვრეტდა: „შენ ჩემო თავო, გრძნობ გულის ანთებას“ (წვიმიანი დღე) (1,94).

ცისფერ უსაზღვროებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ სულის ყვავილს, მიმოზებს (ლმერთის სიმბოლოებია) გრიგალი ემუქრებოდა და დროის ავტედითობას თრობით, ლვინით გაურბოდა გალაკტიონივით: „არ ვესალმები ამგვარ დროებას, გრიგალი არხევს სულის მიმიზებს, ახლაც ვგრძნობ ცისფერ უსაზღვროებას და თანაც ვფიქრობ წითელ ლვინოზე“ (არ ვესალმები ამგვარ დროებას) (1,102).

იდუმალი მაინც არ ტოვებდა და მიწიურ უკეთურობებს ავიწყებდა: „და ის ყოველთვის იდუმალია, რაც ჩემში იწვევს აღფრთოვანებას“ (მას შემდეგ) (1,106).

მის გულს ემშობლიურებოდა ფასდაუდებელი იაგუნდები: „გულს რად ულირდა იაგუნდები“ (დაბრუნება ნავთლულიდან) (1,116).

იაგუნდი მარიამს სახელია (9,124).

ზეციური წამები უამებდა გულის წყლულებს: „და ვგრძნობ ზეციურ წამებს“ (ვაკიდან) (1,25-26).

ზეციური ვარსკვლავი (საღმრთო სახელი) ანათებდა გულს იმედებით: „ლამეა, ცაზე ვარსკვლავი ერთი მიღვიძებს გულში სხვანაირ იმედს“ (1,26).

უბედობას თრგუნავდა უხილავზე ფიქრით: „ბედს გავურბოდი და გული გავხსენ და ვსაუბრობდით ჩვენ, უხილავზე“ (ბედს გავურბოდი) (1,53).

ტერენტი გრანელის პოეზიის წინასწარმეტყველურ ხასიათზე მიუთითებენ მისი შემოქმედების მკვლევარები.

„წუთისოფულის მიზეზ-შედეგობრივ ბორბალზე მბრუნავმა“ ტ. გრანელმა ზუსტად „გამოთვალა“ თავისი ხვედრი, დასასრულს რომ უახლოვდებოდა. კარგად უწყოდა, საით მიჰეანებდა დროის ულმობელი, მაგრამ კანონზომიერი ქროლვა: „მე რა მომელის, არ ვიცი განა? ვიცი, სად მიჰერის დღეთა კრებული“... მის არსებაში ხომ ჩასახვამდე ლივლივებდა ბეფისნერის ტბა. სიყრმიდანვე ცნობისწადილით უმშერდა ამ ტბის შეფოთვას, უსმენდა მის იღუმალ მღერას და გულდასმით სწავლობდა მის აქაფებულ და უდაბურ სანაპიროებს... მთელი თავისი ცხოვრება წინასწარ ამოეკითხა ამ ხილულ, მაგრამ არარსებულ პერგამენტზე, ნერს ლერი ალიმონაკი (11,88), „წინახილვის შეგრძნება, ცნობიერ და არაცნობიერ თვითშემეცნებათა ერთობლიობის შედეგი“.. საშუალებას აძლევდა განეჭვრიტა თავისი „მომავალი ბედისწერა“... ამ წინახილვით ძალუძდა „სხვათა ფიქრების წვდომა, დროისა და სივრცის მოახლოება“ (იქვე, გვ. 136).

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი დავით თოთიბაძე, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ტერენტი გრანელის ლექსები წერს: „ტერენტი გრანელმა „გადალახა ადამიანური განზომილება, რომ შემოქმედის სიტყვით შთაგონებული წინასწარმეტყველი გამხდარიყო. მას ჰავანდა „წინაგრძნობა უმაღლესი რეალობის, უსასრულობის. ის გადასცემს სხვებს წინასწარ ცოდნას სხვა სამყაროს შესახებ, რომლისკენაც წაიყვანს კარგი მოძღვარივით. პოეტი ... არის ნიშანი, შეტყობინება რჩეული არხების, გამორჩეული ბედისწერის“ (12,46).

ლიტერატურა

1. ტერენტი გრანელი, ტ. I. თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
3. ტერენტი განელი, ასი ლექსი, თბ. 2005
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
5. ახალი ალთემა და ფსალმუნები, 1992
6. პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) შრომები, თბ. 1961
7. ცისფერი სიშორე, თბ. 1998
8. ტიტე მოსია, ოქსიმორონი მზიანი ლამის პრობლემატიკა, თბ. 1999
9. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
10. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1995
11. ლერი ალიმონიკი, კვირის წირვები, თბ. 1984
12. დავით თოთიძე, ტერენტი გრანელი, (ხელნაწერი).

ნათელსმენის ფენომენი

ტერენტი გრანელს, ნათელხილვასთან ერთად, ნათელსმენის უნარიც გამოარჩევდა.

ქრისტეს სასხლიანი ბედის თანაზიარს, უდაბნოდან ესმოდა ზარის ხმა: „ეს იყო დარდი, სულის დაღალვა და სისხლიანი ბედი ქრისტე-სი... გესმოდა ზარის ხმა უდაბნოდან და განვალებდა თოვლი და ქარი“ (MARCUEBITE) (1,177).

გალაკტიონი ამხელდა „ყრუ საუკუნეს“, რომელსაც სმენა დაეგ-მანა საღვთო ჰანგებისთვის (ყრუ საუკუნეს) (2,603).

ტერენტი გრანელისთვის დროის მახასიათებელი გამხდარიყო „ყრუ ფიქრები“: „მაშინებს ყოფნა ყრუ ფიქრებში გამოხვეული“ (სონე-ტი), „ყრუ ბედისწერა იყო მისი ხვედრი: „ყრუ ბედისწერა გაეცემა გულ-ზე“ (მძიმეა წამი) (1,92-93).

„უცნობი სფინქსი“ თავის მართალ ხმას ზეცას აწვდენდა და სამ-ყაროს აღვიძებდა: „ახლა ჩემი ხმა ზეცას მოიარს“ (ნელა ქრებიან) (3,50).

ტერენტი გრანელის პოეზიაში ოცნება ლერწმის რხევის ხმას გა-მოსცემს და ცის კალთაში პოულობს ადგილს: „ჩემი ოცნება შეირჩევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით“ (სო-ნეტი) (1,168).

პოეტი „კომუნიკაციას“ ვიღაც მარსიანელთანაც ამყარებს: „ძვირფასო ვტირი და ყოველ ღამე ვსაუბრობ ვიღაც მარსიანელთან“ (ვიგონებ სოფელს) (1, 184).

ნათელმსმენს „სულის მიმოზების“ რხევაც არ გამოეპარება: „არ ვესალმები ამგვარ დროებას, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს“ (არ ვესალმები ამგვარ დროებას) (1, 102).

ლექსში „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“ პოეტი შეიგრძნობს, როგორ „იმოსება“ მისი ოცნება: „ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება და იწვევს გაოცებას შორეული აღები“ (3, 67).

პოეტის ესმის „შრიალი იდუმალ ძალთა“ (ქალი მატერებელში“ (1, 61).

ესმის „ცრემლის შრიალი“, ოცნების თეთრი ნავების ქროლვა (3, 28), „თეთრი ფიქრის თარეში“ (ხომ მაღლელვებს მე ასე) (3, 78).

პოეტის ესმოდა „გულის ტირილი“ (წემს წინ), როიალის ტირილი (გათავდა, მორჩა), როიალის კვნესა, ბაბილონის ნაპირთან ყორნების რეკვა (მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე) (3, 67).

ტერენტი გრანელის სულში ქარები მღეროდნენ (დაბრუნება), 3, 90).

საიქიოდან მშობლების ძახილი სწვდებოდა სმენას: „თითქოს მე- ძახის საიქიოდან მამა სამსონი, დედა ივლიტა“ (დედ-მამის და ნათესა- ვების მოსაგონარი) (1, 66).

„მგონია, ციდან მეძახის ვიღაც“, ამბობდა პოეტი და მერე აკონ- კრეტებდა, რომ ეს უფლის ხმა იყო: „ეხლა შორს ელავს (ცა მონმენდი- ლი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“ (1, 35).

იმედებს ყოველთვის, შორი ცა“ – ღმერთების ცა უგზავნიდა: „და იმედს მაძლევს ახლაც შორი ცა, მარად მუქი“ (მორჩა, არავის ვე- ლი) (1, 73).

„ზარებში მიუსავლეთის“, „სხვა ზარების“ ხმა აძრნუნებდა: „მე რომ მაშვილთებს, სხვა ზარებია, მიუსავლეთში მივემგზავრები“.

ხორცისგან განშორებული სული „შორეულ ღრუბლის სანაპი- როდან“ შორეული „წვიმის“ ხმას შეიგრძნობდა, კუბოსთან მდგარ სე- არაფიმებს ხედავდა და ღვთისმშობლის ტირილი ესმოდა: „მე თეთრ კუბოში ჩუმად მეძინა, მოჰქონდათ ვარდი და გვირილები... და ეცე- მოდნენ სადღაც წვიმები, შორეულ ღრუბლის სანაპიროდან. კუბოს- თან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე „ტიროდა“ (მიცვა- ლებულის დღიურიდან) (3, 96).

„შორეული ღრუბელი“ მარიამის სიმბოლოა (4, 124).

წვიმა ძე ღმერთზე მიგვანიშნებს, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში ღმერთი არის „ბარაქიანი წვიმა“ ფს. (67, 10) (5, 590).

ტერენტი გრანელის სჯეროდა, რომ გლოვის ზარებით მავალი თეთრი კარეტა მის მგლოვიარე სულს სამოთხეში მიიყვანდა: „გლო-

ვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით”(ლოცვა მთვარესთან) (1,156).

საფრანგეთში მცხოვრები ქართველი, ტერენტი გრანელის პოეზიის მკვლევარი „დავით თოთიბაძე აღნიშნავს: „ტერენტი გრანელი ჰყავდა „განდობილს“, ესმოდა მიღმა სამყაროს ძახილი“ (6,37).

ლიტერატურა

1. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ. 1991
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, 1988
3. ტერენტი გრანელი, ასი ლექსი, თბ. 2005
4. ტიტე მოსია, სალვათისმშობლო სახისმეტყველება, 1996
5. ახალი ალთქმა და ფსალმუნები, 1992
6. დავით თოთიბაძე, ტერენტი გრანელი (ხელნაწერი)

სიკვდილის აჩრდილების გამოცხადება

ათეისტურ საზოგადოებას, რომელიც მიწას, ნივთს, მატერიას აიდეალებდა და სულის უკვდავება არ სწამდა, არ შეეძლო გაეგო ტერენტის განაცხადი: „... ისევ ვეძებ მარადიულ ყოფას, სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“ (გული მტკივა და ოცნებას მივსდევ) (1,144).

პოეტი იზიარებდა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ადამიანისთვის საწუთო, მიწა დროებითი, ხანმოკლე სამყოფელია, ხოლო წმინდა სული თავის მარადიულ სახლს-ღმერთის სავანეს უბრუნდება გარდაცვალების შემდეგ. როცა სული ტოვებს თავის ხორციელ გარსს, მარადისობაში ივანებს. სულის განთავისუფლებისა და ზეცაში დამკვიდრებისთვის, აუცილებელია ხორციელი განწმენდა, ცოდვების მონანიერა.

პოეტი ხედავდა „მიცვალებულ დედას“ (სიზმარი), „დედის აჩრდილი“ დებს და მამას აბარებდა (დაბრუნება სოფელში) (2,95). დედის აჩრდილი ელოდა გზაში (ჩემო ზოზია, მე წავალ მალე) (2,92,99).

ტერენტი გრანელმა იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების წელი, თვე და რიცხვის განსაზღვრაში ხუთი დღით შეცდა(3,4).

სიკვდილის შემდეგაც პოეტს ისევ „ცისფერი ზეცის“ „განაჩენი“, თბილისის მიწაში დასაფლავების ეიმედებოდა: „ქარი ატირდა მზესთან, ცისფერი ზეცა მიგლოვს. მე, გაფითრებულ პოეტს, თბილისის მიწა მიხმობს“.

იწინასწარმეტყველა თბილისში დასაფლავება: „მალე მოვკვდები და ვიცი, გულზე რომ დამაყრიან თბილისის მიწას“.

„ო, როგორ მორბის ლანდი სიკვდილის“, „ვხედავ სიკვდილის ყვითელ მანტიას“ – ასე შინაურივით დაიახლოვა პოეტმა გარდუვალთან შეხვედრა.

სიკვდილსაც სიცოცხლეში განიცდიდა: „სიკვდილს განვიცდი და მოდის მთვარე და თითქმის ვიცი, რა ხდება გარეთ“ (1,82).

„შორიდან ვხედავ ყოფნის დასასრულს“ (გუშინ ამ ხესთან), გვაუწყა ნათელზილვის უნარით მომადლებულმა.

სიკვდილი არ აფრთხობდა, რადგან გაშინაურებული ჰყავდა: „...დამეძებს გარეთ, ვერ მოვიცილე, სალამი ქარებს, სიკვდილს, სიცივეს“ (მისალმება ზამთრისადმი) (4,95)

სიკვდილის განცდა გაგვიცნობიერა ლექსში „გადარჩება?“ „ჩემს გარშემო ბურია, ჩემს გარშემო ნისლია, მოჩვენება შემოდის ლია თვალთა გუგებში“ (4,34).

თავისი სიკვდილიც ქვეყნის უსმართლობის ჭრილში მოიაზრა: „მე ვსტირი ქვეყნის უკულმართობას და ჩემს დაღუპვას აუცილებელს“.

იქნებ მის ლექსებში პეტრე-პავლეს სასაფლაოს ხსენებაც არ იყო შემთხვევითი, სადაც მისი სამარე გაითხარა. მინიატურაში „სიკვდილის შემდეგ“ წინასწარმეტყველებდა: ... ჩემი კუბო იქნება სადა და პროცესია უცრემლო.

მე დამასაფლავებენ შუადლის ორ საათზე თბილისის ახლო.

მხოლოდ ცხედართან მდგომ პოეტებს მოაგონდებათ ჩემ დანისლულ ლექსებიდან სტრიქონები.

ჩემს საფლავს დადგება მზე შორეულ რიცხვის... (4,375).

პროფესორი სერგი ჭილაია წერდა: „გასაოცარი წინაგრძნობა პქონია გრანელს. მისი გასვენებისას ყველაფერი ისე იყო, როგორც აღწერილი აქვს პოეტს. ოლონდ ზამთრის ნაცვლად შემოდგომა იყო და შემოდგომის ეს წვიმიანი დღე უფრო გულის დამაღლებლად გვაგონებდა გრანელის წინასწარმეტყველურ სიტყვებს მისი მინატურიდან „სიკვდილის შემდეგ“) (5,223).

ლადონ გუდიაშვილი წინასწარმეტყველურს უწოდებს ტერენტის ლექსს ნიკო ფიროსმანზე: „სულ ახალი ჩამოსული იყო ტერენტი თბილისში, ფიროსმანზე რომ სონეტი დაბეჭდა. საკვირველია, პროვინციიდან სულ ახლახან ჩამოსულმა, თბილისის კოლორიტს ხეირიანად რომ არ იცნობდა, რა საოცარი მისტიკური ხილვით იხილა ფიროსმანის ბედისწერის ტრაგედია, რომელიც მისივე ტრაგიკული ხვედრის თვითხილვაც იყო“ (5, 57-59).

უჩვეულო იყო მისი საფლავის ბედიც. ფიროსმანივით, მის საფლავსაც დაკარგვა ემუქრებოდა, რომ არა პოეტის მეგობრის-კონსტანტინე გაჩერჩილაძისა და მამა შიო თურქაძის (პეტრე-პავლეს სასაფლაოს მოძღვრის) ძალისხმევა.

დიდი მცდელობის შემდეგ გადაწყდა ტ. გრანელის ნეშტის გადასვენება დიდუბის პანთეონში, მაგრამ ეს ხდებოდა მოშურნეთა, ხელმოცარულთა, გულგრილთა მიერ ხელის შეშლის ფონზე. პეტრე პავლეზე ტერენტის სამარე გათხარეს, მაგრამ უამინდობის გამო გადასვენებას არ ჩქარობდნენ და ლია, პირდაღებული საფლავი, მისი მომლოდინე პოეტის გარეშე, ლრუბლიან ცას შესცეროდა. გვაგონდება პოეტის ადრეული განაცხადი: „მკვდარი ვიყავი და უგრძნობელი, ლია სამარე ჩემს გულს უცდიდა“ (მიცვალებულის დღიურიდან) (1, 294).

ელიზბარ ზედგინიძე წერს: „ტერენტი გრანელმა თავისი მომავალი თავისი პოეზიით წინასწარ განჭვრიტა, თანაც სწორად და უტყუარად. ამას ადასტურებს მისი უიღბლო სიცოცხლე და უკანასკნელი გზა, რომელიც გაიარა პეტრე-პავლეს სასაფლაომდე პატარა სენაკიდან უცხობ საფლავთა მრავალ ბორცვება და ძეგლებს შორის უკვე გამზადებულ სამარემდე, როგორც წუთისოფლის უცხო მგზავრი, მარტო მოსიარულე და მარტო დარდით აღსავსე უდაბნოში ტერენტი-სათვის უდაბნოდ ქცეულ თბილისში.

მხოლოდ, რამდენიმე მწერალმა მიაცილა პოეტი სამარემდე“ (5,202).

მორგიდან ტერენტი გრანელის გამოსასვენებლად მისულან: გალაკტიონი, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ლევან მეტრეველი, გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფურინდაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, იროდიონ ქავშარაძე, პლატონ კეშელავა, ალექსანდრე წერეთელი, სიმონ ყუხაჩაშვილი. ჭირისუფალთაგან არავინ ყოფილა (5,54-55).

ცნობილია, რომ ცოდვილი ადამიანის სულს ეშმაკი ეპატრონება, წმინდა პიროვნებისას – ანგელოზი. ტერენტის გრანელს თავის კუბოსთან სერაფიმები და ღვთისმშობელი ელანდებოდა: „...და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ლრუბლის სანაპიროდან. კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა“ (მიცვალებულის დღიურიდან) (1,294).

ანგელოზები და ქრისტე ესახებოდა იმქვეყნად მიმავალ პოეტს წინამძღვრად: „..., მიმასვენებდენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძღვოდა“ (1,294-296).

მიღმერ სამყაროში გამგზავრებისას სამოთხე ეიმედებოდა: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“ (ლოცვა მთვარესთან) (4,156).

ამ რწმენის საფუძველი იყო წმინდა ცხოვრება: „ძვირფასო, მხოლოდ მე დავრჩი წმინდა და სხვებმა სული ფულზე გაყიდა“.

ტერენტი გრანელი იზიარებდა გარდასხეულების თეორიას. მას სჯეროდა „სიცოცხლე სხეულის გარეშე“, „მესამე გზის“ არსებობა, სულის ღვიძილი ხორცის დატოვების შემდეგაც და ამბობდა: „და უმ-

ძაფრესი ღონის ქარიშხალია დღემდე, გამომეღვიძა, მგონი, გარდაცვალების შემდეგ (გამოღვიძება გარდაცვალებას შემდეგ) (5,107).

როგორც სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც პლანეტასავით სულის ანთების, სულის მარადიულობის იმედი არ ტოვებდა: „სული ჩქარია მრავალ სირბილით და ვიცი, ისევ რომ ავენთები, როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი, როგორც სიშორე და პლანეტები“ (პოეზია) (2,28).

არც ეს რწმენა გასცუდებია პოეტის: „...მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდება“ (უმიზნო ხეტიალი) (2,88).

თავისი საფლავის მარადიულობა ასე მიგნებულად გადმოსცა პოეტმა: „ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცვის“ (სიკვდილის შემდეგ,) (2,108-110).

ტერენტი გრანელმა იწინასწარმეტყველა თბილისში დასაფლავება: „მალე მოვკედები და ვიცი, გულზე რომ დამაყრიან თბილისის მიწას“.

პოეტმა იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების დრო, უცრემლო, უცერემონიო დასაფლავება, გამცილებელთა მცირერიცხოვანება („სიკვდილის შემდეგ“).

ლიტერატურა

1. ცისფერი სიშორე, თბ., 1998
2. ტერენტი გრანელი, ასი ლექსი, თბ., 2005
3. გივი ცქიტმვილი, ტერენტი გრანელმა საკუთარი სიკვდილი თითქმის ზუსტად იწინასწარმეტყველა, გაზ. „ვერსია“ 2001, 5-11 ნოემბერი
4. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ. 1991
5. ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984

აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების შეცნობა

გასაოცარი იყო ტერენტი გრანელის ინტუიცია, იგი უცდომლად ცნობდა ადამიანის სულს და უკეთურთ, ბოროტეულთ ყოველთვის გაურბოდა. მოჩვენებითი ლიმილის, თეთრი კბილების, მოწონების შეძახილებს მიღმა ყოველთვის განჭვრეტდა მოპირისპირეთა ზრახვებს და არასოდეს შეეფიცებოდა ბოროტებას, თუნდაც უზარმაზარ მიწიურ სიკეთეთა საზღაურად, თუმცა სწორედ მიწიური, ელემენტარული პირობები აკლდა ღამის გასათევს დანატრებულს და გამუდმებით თავშესაფრის მაძიებელს.

ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა ლავრენტი ბერიასთან დაკავშირებული ეპიზოდები, პოეტის თვალით ხილული სტალინი. აპოკალიფ-სურ მხეცთა ნაშიერები (ლ. ლოლობერიძე, ს. ორჯონივიძე).

ტერენტი გრანელი ხედავდა სულს და ეს საშუალებას აძლევდა, „გაეშიფრა“ მოპირისპირეთა ზრახვები აწმყოსა და მომავალში, რათა ურთიერთობებში არ დაეშვა შეცდომა. ცდუნების სიტუაციები კი მრავლად იყო.

პოეტი ღმერთის გადასახედიდან ხედავდა მოვლენებს და მას არ აშინებდა ამა ქვეყნის ძლიერთა, მინიერ, წარმავალ მტარვალთა მუქარა.

„ფოლადზე უმეტეს, კოლხეთის ჯავარდენის სიმტკიცეს იჩენდა პოეტი, როცა ყველას გასაგონად სტალინს მიმართავდა“, წერს ტერენტი დის-ზოზიას შვილიშვილი, ექიმი, პროფესორი მამანტი როგავა (მამანტი როგავა, ტერენტი გრანელი) „მწერლობა XXI“, №1/5, 2000).

„ყოვლისშემძლე „პარტიული ინტელიგენციისთვის“ სულიერად გაუტეხავი და მოუსყიდველი ადამიანის— ტერენტი გრანელის და მისი სამყაროსმომცველი პოეზის-როგორც თავისუფლების ჰიმნის არსებობა მათი ზეობის ხანაში წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო, რადგან მათ უსუსურობასა და არარაობას უსვამდა ხაზს. სხვადასხვა წარმომადგენელ კოლაბორაციონისტებისთვის თვით გრანელის სიცოცხლე, ცხოვრება და პოეზია იყო და დღესაც არის ყოველ-წუთიერი შეხსენება საკუთარი (როგორც პიროვნების და მოქალაქეების) მოღალატეობის, სულმდაბლობისა და სამარცვინო არსებობისა“ (იქვე).

„უკმარ სამყაროს ღია თვალებით“, ამბობდა პოეტი, „ღია თვალებით“ მზერა კი მხოლოდ ღმერთის, ღმერთის სახედ და ხატად შექმნილ რჩეულ ადამიანთა, წინასწარმეტყველთა პრეროგატივაა: „დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32, 19).

პოეტს არ ტოვებდა ქართველი ერის, ქართული ენის—ლაზარეს ალდგომის რწმენა და ჩვენი მშობლიური ხალხის სანუკვარ იდეალს იმედიანად ეხმაურებოდა: „მაგრამ ლაზარე ალდგება მკვდრეთით, ალდგება, როგორც ღვთის სიყვარული“ (ფიქრები ქაქუცას მკვდელობის დღეს, „ცისფერი სიშორე“, გვ. 18).

ტერენტი გრანელმა ზედმინევნით კარგად იცოდა ბიბლია და „დიდი დღის“ (მამალმერთის სახელია) დადგომის, ცოდვილთა განკითხვისა და მართალთა გაბრწყინების იმედით ცხოვრობდა: „...მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“...

ამავე დროს, მოსვენებას უკარგავდა ტოტალური კატაკლიზმები, პლანეტარული მასშტაბის სულიერი ავდრის მოლოდინი: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის... (1,154).

აპოკალიფსის საიდუმლოებაში ჩახედული, მეექვსე ბეჭდის მოხსნასა და კაცობრიობის გარდუვალ ურვა-მწუხარებასაც ხედავდა: „მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიჰქრის...“

ტერენტი გრანელი ხსნის გზად რელიგიას, რწმენას, ღმერთის გზით სიარულს, უზენაესთან შერიგებას მიიჩინევდა, როგორც წინასწარმეტყველები, ღვთისმეტყველები: „... და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი ნისლის).

ურნმუნო ეპოქაში ისევ ღმერთისკენ მიბრუნებას, „ძველი ფიქრების“, რწმენის აღორძინებას ხედავდა განგების ძალით: „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ ასეა ნება განგების“).

„შერიგების“ ცნებაში წინასწარმეტყველები, მოციქულები გულისხმობენ ადამიანის შერიგებას ღმერთთან, მიბრუნებას რწმენისკენ.

მალაქია წინასწარმეტყველი საუბრობს მამებისა და შვილების ღმერთთან შერიგებაზე (მალაქია, წინასწარმეტყველი (3,24) (2,307).

პავლე მოციქული შეგვახსენებს „შერიგების მსახურებას“ (II კორინთელთა, 5,18) „შერიგების სიტყვას“ (II კორინთელთა, 5,19) და გვმოძლვრავს: „ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს“ (II კორინთელთა 5,20).

„და ქრისტე ყვავილს ისვრის მთვარიდან“, აცხადებდა ტერენტი გრანელი და თითქოს ხედავდა ძე ღმერთის საშველად გამოწვდილ ხელს.

ცნობილია, ვანო სარაჯიშვილზე დაწერილი ტერენტი გრანელის ლექსით დაინტერესდა ლავრენტი ბერია, რომელიც ყველანაირი გზით ცდილობდა პოეტთან კონტაქტის დამყარებას. ერთხელ თავისი დამქაშების მეშვეობით კაპინეტში დაიბარა, კარგად მიიღო, შეუქოპოეზია, მწვანე მზა მისცა მისი ლექსთა კრებულის გამოცემას.

უბინაო, სანახევროდ ქუჩაში მცხოვრები, უპოვარი ტერენტი გრანელი ბერიას მხრიდან ხელის გამოწვდებას აღტაცებით არ შეხვედრია. თავისი უტყუარი ინტუიციით იგრძნობა პოეტმა, რომ ხელისუფლება იშინაურებდა, მის მოთვინიერებას იწყებდა, ქამანდს ესროდა და მიზანმიმართულად ეპატიულებოდა ხელმნიფის ეკიპაჟში – მისი განსაკუთრებული ნიჭის სამართავად, პარტიული დოქტრინის ყმად, ამა ქვეყნის ძლიერთა პოლიტიკის სამსახურში ჩასაყენებლად.

ტერენტი გრანელი არ აჰყვა დიდმპყრობელთა ხრისტეს, თავისი პრინციპული პოზიცია არ დათმო და „ღამესთან“ დადგა, „როგორც

ქანდაკება“. მან კარგად ამოიცნო პოეზიის რჩეულთა ნიჭიერები-
რე მიწიერი სამყაროს თავადნი, რომელთაც სურდათ ავტორიტეტუ-
ლი მხატვრული სიტყვით მომაღლებულნი თავიანთი სატანისტური
საქმიანობის მეხოტბედ ექციათ.

„...მიდის ჩემი გზა სწორი“, აცხადებდა გულმართალი ლირიკო-
სი და კარგად არჩევდა ამა სოფლად დროებით მოვლენილ ფეოდალთ
და ზეციურ თავადს, მიწიურს და მარადიულს.

ჩვენი ქვეყნის ოჯუპაციას კი არ მიესალმებოდა, დამოუკიდებ-
ლობის იდეებს ერთგულებდა და ყინულოვანი მონსტრის მიერ გამე-
ფებულ სიძნელეს, „ღრუბლებს“ ებრძოდა, ფინიად სახელდებულ უკე-
თურთ უპირისპირდებოდა: „და ჩაქრა შუქი თავისუფლების, სიბნელე
ირგვლივ დაფენილია, ნელა მიდიან ღრუბლები ცისკენ, გარეთ ვიღა-
ცას უყვფს ფინია“.

პოეტი ამხელდა ეპოქის საძულველ კერპებს, მარქსიზმ-ლენი-
ნიზმის შეამით მონამღლულ აპოკალიფსურ ტირანთა ნაშერებს და
უზენაეს, მარადიულ არსებათა თანამგზავრად მიიჩნევდა თავს.

ეს უკვე იყო ბოიკოტი, მედროვეთაგან განდგომა.

იმ პერიოდში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ტერენტი გრა-
ნელის ლექსი, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, პოეტის მაღალ
გულისთქმას ავლენდა, მთლიანად უპირისპირდებოდა „ძლევამოსი-
ლი სოციალიზმის“ მეხოტბეთა დოქტრინას და შეახსენებდა მხატ-
ვრული სიტყვის უმაღლეს მისიას – რწმენის, სიმართლის მსახურე-
ბას, ეროვნული იდეალების ერთგულებას: „ფიქრი გადადის შორეულ
ხეზე, როგორც სისწრაფე და შენელება, აქ სხვები წერენ ქალის ფე-
ხებზე, როცა მე ვუმზერ საშინელებას! ვფიქრობ, ეს ქალი როგორ ვი-
ნამე, ვფიქრობ, ეს ქალი ჩემთვის მკვდარია, აქ სხვები წერენ მხოლოდ
მინაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას“.

აქ მთლიანად უარყოფილია ტრაფარეტული ესთეტიკური კლი-
შეები და უმაღლესი პოეზიის საგნად ქცეულია „შორეული ხე“ (საღ-
მრთო სახელია) ზეცა, კოსმოსი, სულიერება, რწმენა, მხილებულია
ცოდვილი მიწის საშინელებები.

ამავე დროს, ლექსი არ არის დროისგან გაქცევა, პირიქით, მას-
ში არის ცდა ეპოქის გამრუდებული ორიენტირების გასწორების.

ლექსში ნაჩვენებია თანადროულობის ხასიათი, სოციალიზმის
დიქტატორული მესვეურნი, ირონიული დამოკიდებულება ვლინდება
წითელ დროშასთან, ნამგალთან.

მარადიულად მიწინეულია არა ეფემერული საბჭოთა წყობილე-
ბა, რომლის ნგრევა – წარმავლობას ითანე ღვთისმეტყველის აპოკა-
ლიფსი გვამცნობს, არამედ „შორეული ალი“ (ცეცხლი-ღმერთის სიმ-
ბოლო), მარადისობა (ღმერთის), ნაწინასწარმეტყველებია უკუთურ-
თა, სატანისეულთა წარდგომა ღვთაებრივი სასამართლოს წინაშე.
უაზრო ხმაური, უნიჭოთა მიეთ-მოეთი, წითელი დროშის „მშვენიერე-

ბა“, ნამგლის გაფეტიშება მარადისობის ძალით დაითარება, ასეთია პოეტის აზრი: „იყიქრის ტრიალი ისევ მოშალეს, ისევ ხმაურის დადგა დროება, აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე, როცა მე ვუმზერ უსაზ-ლვროებას. ჩნდება ფიქრები მორეულ ალზე, ვიცი, ეს გრძნობა არ მო-ისპობა, აქ სხვები წერენ მხოლოდ ნამგალზე, როცა მე ვუმზერ მარა-დისობას“.

ნამგალი და ურო სატანისტური ბოლშევიზმის იარაღებია, ნამ-გალი მოცელავს, ურო ანგრევს.

ამ ლექსით ტერენტი გრანელმა უცდომლად განჭვრიტა სამარ-თლიანობის სახელით მოსული ტირანია, ძალაუფლებისმპურობელნი და შავბენელი ხელისუფლებისთვის გახდა შავსიელი.

პოეტი წეგატიურად აფასებდა ხალხის სახელით მოსულ სის-ხლიან პროვოკატორებს და ალექსანდრე სიგუას (პატრიოტს, შემ-დგომ პოლიტიკორლელს-ლ.ს.) ეუბნებოდა: „ჩემო საბა, შენ რა, ეს ნყობილება გგონია? ესენი დამხვრეტელები არიან, დამხვრეტელები“ (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე“, ცისფერი სიმორე, გვ. 414).

ტერენტი შემთხვევას არ უშვებდა, რომ არ გაეკენლა სოცია-ლიზმის ფალავნები, ანტიეროვნული ვაიპოლიტიკოსები, ერის გადაგ-ვარების მოსურნე დამურები, უბირი ტირანები. სერგო ორჯონიძეს „ლუდაედს“ ეძახდა, მის მიერ გადაგვარებულ ახალგაზრდებს – „უთ-ვისტომოებს, კაცუნებს“ და გადაუგდებდა რა მათ თავიდან ორჯონი-კიძის მსგავს ძაბრისმაგვარ ქუდებს, იტყოდა: „მაგრად უნდა იდგე, მაგრად! მძიმე ხვედრი ერგო ჩვენს ტანჯულ სამშობლოს. უფრო მძი-მე გზაც გაუვლიათ ჩვენს წინაპრებს, ჩვენც უნდა გავუძლოთ“ (იქვე, 415-416).

ტერენტი კიცხავდა „ავადსახსენებელ“ ლევან ლოლობერიძეს, ხშირად ამბობდა, რომ „ამ გიენამ ქართველ თავადაზნაურთა და მო-აზროვნე ინტელიგენციის სისხლი ბოლომდე დალია. „ავადსახსენე-ბელთა“ რიგში პოეტი სერგო ორჯონიკიძეს, ლევან ლოლობერიძეს, 1924 წლის „შემოქმედთ“ გულისხმობდა და ამბობდა: „ესენი უცხო თესლები არიან ქართველებისთვის, ჩემო საშა! და რბილად რომ ვთქვათ, მათ უზნეო დედათა ნაშიერად მიიჩნევდა“ (იქვე)..

იმდროინდელ ცხოვრებას ტერენტი გრანელი ჯოჯოხეთს უწო-დებდა („როგორც გალაკტიონი, კ. გამსახურდია).

თურმე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში ტერენტის ლექსი, რომელიც თავის არქივში შეუნახავს ალ. სიგუას: „დავდივარ მარტო ლანდივით, დარდის პერანგი მაცვია, ცხოვრება ჯოჯოხეთია, სიცოცხლე – დეკორაცია“ (იქვე, 407).

ტერენტის ლექსი „სულის ცეცხლი“ ზოგიერთებმა „წითელი სა-უკუნის“ ხოტბად გამოაცხადეს. იგი ასე იწყება: „შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი, ქალაქის ცეცხლი, დაისრული დროშა წითე-

ლი, ბნელ შუაღამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე, ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი”.

შალვა დადიანი ამ სტრიქონებზე დამყარებით ლექსში საბჭოთა სინამდვილის თანაგრძნობას ხედავდა, მაგრამ ტერენტი გრანელი აღაშფოთა ასეთმა გაგებამ და ხაზგასმა დანარჩენ ორ სტროფზე გააკეთა. მართლაც, აშკარაა, რომ მასში ნახსენები სისხლის მდინარე, ბურუსი, ტყვიები, განსაცდელი, კვამლი, მღელვარება, შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება და ეშაფოტი ვერაფრით ვერ იქნებოდა ჯოჯოხეთური სინამდვილისადმი პოეტის მხარდაჭერის სტიმული: „სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა, დამწვარ ტყვიების სურნელება და განსაცდელი, ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა, კრთის ნაგროვებზე აღმაფრენა, როგორც სანთელი. ქალაქის კვამლი, მღელვარება, ლამის ალები და შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფოტი“.

„შორეული რაინდების უმწეო შფოთი“ ქვეყნის თავისუფლებისათვის ამარ შემართებაზე მიგვანიშნებს.

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ შთაგონა პოეტს თავისი ცნობილი წიგნი „მემენტო მორი“. სწორედ ამ სიტყვებით მიმართავდნენ გამარჯვებულ ტრიუმფატორებს ძველ რომში – „გახსოვდეთ სიკვდილი, თქვენც ხომ მისი შვება ხართო“ (იქვე, 397).

1924 წლის ტრაგედიამ სტიმული მისცა თავისუფლებანართმეულ საქართველოს შვილთა განსაკუთრებული ნიჭიერების გამოვლენას ახალი, გენიალური ნაწარმოებებით, ესენია: კონსტანტინე გამსახურდიას „ლიონისის ლიმილი“, (ჯოჯოხეთის სცენები, სატანისტური წითელი კირიპა, ჩრდილოეთისკენ გაფრენილი წითელი გველი ბოლშევიზმის ტრიუმფითა და აჯანყების დამარცხებით არის შთაგონებული), გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“, ტერენტი გრანელის „მემენტო-მორი“, გალაკტიონის პოემ „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, მისივე დემონების, სატანების, მეფისტოფელ-ლუციფერებისა და ბელზებელის თარეშის ამსახველი ლექსები.

ალ. სიგუა გვამცნობას: „საქართველოს თავს დატეხილი ამ დიდი ტრაგედიის, „შემოქმედს“ იოსებ სტალინს მიმართავს პოეტი, რომლის ერთი სტროფი დღესაც შემის ურუანტელს გვვგვრის: „ იმპერატორო, შენ დიქტატორო, მძვინვარებ სისხლის კორიანტელით, მამის საფლავზე რად დაგავიწყდა, აგენთო თუნდაც ერთი სანთელი“ (იქვე, 398).

თავისუფლებადაკარგული, „მკვდარი საქართველო“ იყო ტერენტი გრანელის იერემია წინასწარმეტყველისებური გოდების მიზეზი.

1921 წლის 25 თებერვლის კატასტროფის შემზარავი მოვლენები აუსახავს პოეტს ლექსში 1921, რომლის ეპიგრაფია: „დახოცილებ-

თან ერთად დაჭრილი იუნკრებიც დაუმარხავთ: „ახლა ეს ლექსი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სა-დაც ცოცხალი ხალხი მარხია“...

ეშმაკის ხელდასხმული, სატანისტთა მოძღვარი და მართალი სიტყვის ნამდვილი სულთამხუთავი ლავრენტი ბერია ადრე „აღტაცე-ბული“ იყო ტერენტის ნიჭით, ვიდრე პოეტი ქვეყნის მესვეურთა დამ-ღუპველი პოლიტიკის მხილებას დაწყებდა, მერე კი სისასტიკით, მუ-ქარით შეცვალა „მემენტო მორის“ ავტორისადმი დამოკიდებულება, „ცივი და გამყივანი ხმით“ მიანიშნა თავის რისხვაზე მოუსყიდავ და გადაუბირებელ პიროვნებას.

ამ ფაქტით ყოფილა შთაგონებული ტერენტი გრანელის ლექსი, რომელშიც კარგად ჩანს მართალი პოეტის აზრი „მზრუნველ“ ხელი-სუფლებაზე: „ამ ხალხის ქება არ მიხარია, ეს ხალხი ჩემს სულს რო-გორ ეპცევა? ჩემი ცხოვრება ქარისხალია და ჩემი გული მიწას ეცემა. რომელი იგრძნობს შორეულ საგანს, რომელმა იგრძნო ეს ატირება. და მე ამნაირ ცხოვრებისაგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცი-რებას“.

ტერენტი გრანელი შეუცდომლად ვრძნობდა მისდამი ბერიას ინტერესის შორსმიმავალ მიზანს, მაგრამ იგი არ გატყდა, არ გაინ-ვრთნა და ამის გამო დაუნდობლად გაუსწორდნენ ციხით, დევნით, ცილისნამებით, ბოლოს კი გიუის დიაგნოზი დაუსვეს და იძულებით მკურნალობას დაუქვემდებარეს.

ბერიამ და მისმა დამქაშებმა მოშურნე, ხელმოცარულ პოეტებ-თან ერთად, საბედისნერო როლი შეასრულეს ტერენტი გრანელის ცხოვრებაში.

და ბოლოს, როცა შეშლილად მონათლული, შერისხული პოეტი ფიზიკურად წავიდა ამ ქვეყნიდან, კიდევ ერთხელ გამოჩნდა პილატე-სავით ხელდაბანილი ბერია და ცდილობდა, მისი რეჟისორობით ჯვარცმული პიროვნების თაყვანისმცემლად გამოჩენილიყო.

იქნებ ეს იყო სისხლიანი ტირანის ერთგვარი მონანიება და სინ-დისის ქენჯანა იმის გამო, რომ მის ხელებს ერის საამაყო შვილების ბევრი სისხლი ეცხო?

შალვა დადიანს ბერიასთვის უკითხავს, ტერენტი გრანელს თუ იცნობდითო. ბერიას უპასუხნია: „ტერენტი დიდებული პოეტი გახლდთ, ბატონი შალვა“. შალვა დადიანს გულისტკივილით შეუნიშ-ნავს: „კი, დიდებული პოეტი იყო ის ცხონებული... მაგრამ ცხოვრებას მან ვერ გაუგო და დამარცხდა, თავი დაიღუპა“.

ტერენტისადმი შალვას ამ „ბრალდების“ პასუხად ბერიას პათე-ტიკურად უთქვამს: „ცხოვრებას კი არა, ბატონო შალვა, თვით ცხოვ-რებამ ვერ გაუგო მას“.

ბერიას ასეთი აზრით გაოცება ვერ დაუფარავს შალვა დადიანს და აკვიატებაა ტერენტის ლექსი: „ქართველმა ხალხმა გიჟი მიწოდა, მზე მიღის გაღმა, ცის ხმა ისმოდა“ (იქვე, 441).

ტერენტი გრანელის ინტერესი რელიგიური თემებისადმი, საბჭოთა წყობილების „სიკეთეთა“ შეფასება და რაინდული დაპირისპირება აპოკალიფსურ ტრიუმფატორებთან, ხალხის მტრების გაბედული მხილება, საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის აჯანყების ასახვა ნათელ პასუხს იძლევა იმაზე, თუ ვინ და როგორ ცდილობდა პოეტის ზემთაგონებული სახის ნაშლას, მისი შედევრების „პესიმისტურად“, „უიდეოდ“, „მავ წიგნად“ გამოაცხადებას.

ტერენტის „დიქტატორი იმპერატორის“, „ლუდაედების“, „გიენას“ გვერდით „ავი თვალის, უღირსი თვალის, პატარა მტრების, ყაჩალი ქარების, კაენის, გველის სახეებიც იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ნიღაბი აეხადა საქვეყნო-სახელისუფლო ბოროტებისთვის.

უეჭველია, რომ „მემენტო მორის“ ავტორის იდეოლოგიამ კ. გამასახურდიას, გრ. რობაქიძის, მ. ჯავახიშვილის, გ. ტაბიძის მხატვრულ ნააზრევთან ერთად, დიდი როლი შეასრულა ბოროტების იმპერიის თიხის საძირკვლების შერყყევაში.

ტერენტი გრანელი ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა ჩვენს ლიტერატურასა და ცხოვრებაში სიყალბეს, კერპთმსახურებას. მისი ლექსებიდან მონაბერი წმინდა ჰაერი სულს აჯანსაღებდა სიკეთის, სათხოების ფლუიდებით, აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერებს აფრთხობდა.

ობიექტურად შეაფასა პოეტმა სამართლიანობის სახელით მოვლენილი ბოლშევიზმი, ქვეყნის ტირანი მესვეურები, უცდომლად იწინასწარმეტყველა მათი ეფემერულობა და მომავალი სამსჯავროს წინაშე მათი სიავეების გამო უცილობელი განკითხვა, რაც ზედმინევნით ახდა კიდეც.

ლმერთისკენ მიბრუნების და საქართველოს დამოუკიდებლობის წინასწარმეტყველება

ათეიისტურ ეპოქაში ბევრმა მედროვემ მიჰყიდა ეშმაკს სული. ისინი არათუ არ ებრძოდნენ ბოროტებას, მასთან სისხლით სდებდნენ ხელშეკრულებას და შავის თეთრად ნარმოჩენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რადგან ხელისუფლებისაგან ბოძებული ხალათით იყვნენ სტიმულირებულნი.

ტერენტი გრანელი ეპოქალური სიავის მხილებით არის ცნობილი. მისი ტრაგიზმის წყარო ლმერთის უარყოფა და ანტიქრისტეს აღზევება იყო. ეზოპეს ენით, დაშიფრული მეტყველებით მიგვანიშნებდა

რწმენისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიაზე: „ეს ყვავილები ვინ აურია, და ქარიშხალთან ვარდის რტოვები, შორეული ყვავილები ხმებიან, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს, ღუნავს ქარები ალვას, და მიკავია დამჭვნარი ია, ახლოს არ დარჩა ვარდი არცერთი და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან, ზამთრის ვარდები დაიმსხვრევა ბალის კარებთან, გრიგალი მისცევს ოცნების ხომალდს, შენთვის მზე ჩაქრა, შენთვის ქარია, და ლამის ჩრდილმა დღის შუქი მოსპო, ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, ღამე თანაბეჭდან შუქს იპარავდა, ახლა ეს შუქი აღარ ინთება, ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესლაც, ეს შორეული იმედიც ჩაქრა, იმედი არ ჩანს, ქარმა დარეკა, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი, დადის დემონი მთვარის და ავი ბედისწერა, მიპყრობს ისლფერ თვალის ასე ულონო მზერა, და ჩემი სანთელიც ჩაქრა, ეს ცა შიშველი ვინ მოგვიტანა, შავი წირვები ატირდება წითელ ნარმაში...“

ტერენტი გრანჯლი ებრძოდა საშინელ დროს, გრიგალებს, ღამესთან იდგა, როგორც ქანდაკება“, რწმენის, სიკეთის ფლუიდებს ავრცელებდა თავისი ლექსებით და არ ტოვებდა ღმერთთან შერიგების, ლაზარეს აღდგომის, „დიდი დღის“ (ღმერთი) მოვლინების, სიწმინდის, ქართველი ერის გადარჩენის რწმენა: „მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება როგორც ღვთის სიყვარული“.

პოეტს ანამებდა ადამიანის განშორება ღმერთისგან, მაგრამ სჯეროდა მომავალში ადამიანის განწმენდა და უზენაესთან შერიგება: „... და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი კვირის).

ღვთისმეტყველებაში „შერიგება“ რელიგიური შინაარსისა და იგულისხმება ადამიანის შერიგება ღმერთთან, ადამიანის მიბრუნება სარწმუნოებისკან, რასაც ბიბლიაში დიდი ადგილი უჭირავს.

მალაქია წინასწარმეტყველი საუბრობდა მამებისა და შვილების შერიგებაზე ღმერთთან (მალაქია წინასწარმეტყველი 3,24).

პავლე მოციქული შეგვახსენებს „შერიგების მსახურებას“ (II კორინთელთა, 5, 18), „შერიგების სიტყვას“ (II კორინთელთა, 5, 19), ღმერთთან შერიგებას: „... ქრისტეს სახელით გთხოვთ: „შეურიგდით ღმერთს“ (II კორინთელთა, 5, 20).

ტერენტი გრანელის სული „ცისფერი ყვავილის“ (ღმერთის) სავანე იყო: „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“ (შორეული ყვავილები).

სულის თვალით ჭვრეტდა „წმინდა შარას, წმინდა ქვებს“ (შარა).

გზა, შარა საღვთო სახელია: „აპა, გზა, იარეთ მასზე, როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევთ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 30,21).

ქვა ქრისტეს პარადიგმაა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: აპა, ქვა დავდევი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვაკუთხედი, მასზე მინდობილი არ აჩქარდება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 28, 16).

პოეტმა იწინასწარმეტყველა ქართველი ხალხის მიბრუნება ქრისტიანობისკენ, რელიგიური გრძნობის მარადიულობა: „კაცი, ეს გრძნობა არ მოისპობა“ (პოეზია).

ტერენტი გრანელმა ზედმინევნით კარგად იცოდა ბიბლია და „დიდი დღის“ დადგომის (ცოდვილთა განკითხვისა და მართალთა გაბრწყნების) იმედით ცხოვრობდა: „მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდნენ“.

ამავე დროს, მოსვენებას უკარგავდა ტოტალური კატაკლიზმები, პლანეტარული მასტების სულიერი ავდრის მოლოდინი: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“.

აპოკალიფსის საიდუმლოებაში ჩახედული, მეექვსე ბეჭდის მოხსნასა და კაცობრიობის გარდუვალ ურვა-ტკივილებსაც ხედავდა: „მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიჰქრის“.

უცდომელი ინტუიციით გამორჩეულმა, რამდენიმე ათეული წლით ადრე განჭვრიტა ქართველი ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. იგი თვალებგაბრწყინებული“ ეუბნებოდა ალ. სიგუას: ესენი (გულისხმობდა სერგო ორჯონიკიძეს, ლევან ლოლობერიძეს და მათ მიმდევრებს – ლ.ს.) საქართველოს ვერ დააჩინქებენ. მოვა ჩვენი დროც და საქართველო ისევ თავისუფალი ეიქნება“ (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, „ცისფერი სიშორე“, 1998, გვ. 416).

საკუთარი მომავლის განჭვრეტა

ტერენტი გრანელის პოეზიაში გამოვლენილია საკუთარი პოეტური უკვდავების უეჭველი რწმენა და, შეიძლება ითქვას, ეს წინასწარჭვრეტა ზედმინევნით ახდა.

პოეტისთვის ლექსი „გული და სისხლი“ იყო, რაც არნებუნებდა თავისი „წმინდა სახელის“ მარადიულობაში: „ჩემი წმინდა სახელი პოეზიას დარჩება, ჩემი გული და სისხლი ეს მემნეტი მორია, მე ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება, ჩემი ნაზი საქონი – ლაუვარდები ცისფერი“ (მემნეტო მორი) (1,122).

საკუთარი სახელის სულის ნათებას ხედავდა სიცოცხლისა და სიკვდილის მიღმა, შორეულ პლანეტებში: „სული ჩქარია მრავალ სირბილით და ვიცი, ისევ რომ ავენთები, – როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი, როგორც სიშორე და პლანეტები“ (პოეზია) (2,28).

პირველობაზე ფიქრსაც მომავლის უცდომელი განჭვრეტის უნარი კარნახობდა: „არ უნდა ფიქრი-პირველი მე ვარ, მე, პოეზიის უმანკო მსხვერპლი“ (შენსკენ მოჰქრიან ეს ჩემი გზები) (1,48).

პოეტი გრძნობდა „გრიგალის“ (სულინინდის) ძახლს, წამების მიზეზს და ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ მოსულ დიდებას უტყუარი ალლოთი ხედავდა: „მე წავალ სხვანაირ სახით, ჩემს წასვლას დიდება

მოსდევს. დაო, ვგრძნობ გრიგალის ძახილს, დაო, ვგრძნობ წამების მიზეზს“ (დათოვლილი სანთელი) (1,64).

გარიყულს, შერისხულს, ავადმყოფს, ჭორების ბადეში მოქცეულს, იობივით ნანამებს მხოლოდ ქრისტეს გამოცხადება ემედებოდა და მისი სიდიადის დანახვისთვის დაბრმავებულთ, გამკილავთ მაინც ამართლებდა: „ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად: მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება. ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა, ახლა ჩემი გაკიღვა ყველას ეპატიება“ (დაბრუნება სოფელში) (1,74).

არც მაშინ ცდებოდა, როცა მომავლის დიდი განკითხვის, გადარჩენის შესახებ საუბრობდა: „მხოლოდ პოეტის, ჩემი და სხვათა, დარჩება ლექსი, გულით ნაწერი. და როგორც გემი, დგას, ქარიშხალთან ეს ათასცხრას ოცდარვა წელი“ (დღე) (1,90).

ათეისტურ ეპოქაში ტენდენციური ხელისუფლება და შეზღუდული კრიტიკა არ ცნობდა ტერენტი გრანელის ლირსებებს, მათვის მიუღებელი იყო რელიგიური პოეზია, ტერენტი გრანელი კი მომავლის იმედით ცხოვრობდა: „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“ (2,50).

ტერენტი გრანელმა იცოდა თავისი უგულებელყოფის მიზეზბი, სჯეროდა, რომ ხალხი ისევ მოუბრუნდებოდა რწმენას და მაშინ სხვა თვალით შეხედავდნენ მის ქრისტიანულ სიტყვას, მაგრამ არ სურდა ხელოვნურად დაეჩქარებინა ეს პროცესი.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ტერენტი გრანელს ლექსების თარგმნის მიზნით ეწვია, მაგრამ „მემენტო მორის“ ავტორი ამ წინადაცებას სრული სიდინჯით შეხვდა, თან ის მიზეზბიც ჩამოთვალა, რის გამოც მას თანამედროვე ოფიციალური კრიტიკა უგულებელყოფდა, თავისი პოეზის ლირსეული შეფასების დროდ ის მხოლოდ მომავალს იგულვებდა.

ტერენტი გრანელისთვის პოეზია „სულის ისტორია“ იყო, „ტანჯული სულის ტკივილი“, რომელიც მეოცე საუკუნეს უნდა გასცილებოდა, ასე სწამდა „მემენტო მორის“ ავტორს: „ამ საუკუნეს ხომ გასცილდება ჩემი ტანჯული სულის ტკივილი“ (ნელა ქრებიან) (2, 50).

თანამედროვეთა შურს, მტრობას, ავსიტყვაობას, ჩასაფრებას ვერ ჩაეკლა პოეტში მომავალი პოეტური დიდების რწმენა: „ვგრძნობ, მომავალი მაინც ჩემია“ (მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ) (2, 58).

საფლავის, სიკვდილის მომღერალმა, რომელიც სიცოცხლის დიდ ნაწილს უცნობების საფლავებთან ატარებდა, სიკვდილის ახალი თავისებური სახელმძღვანელო შექმნა და მისმა უცნაურობამ, სამუდამო განსასვენებლამდე გულლხელდაკრეფილს მიეცილებინა სრულიად უცხოები და ცრემლებიც დაეფრქვია მათვის, სათავე დაუდოლეგენდებს, მაგრამ, ამავე დროს, დააფიქრა ფუჭად მოზეიმე, ბეცი, მხოლოდ, ამქვეყნიურობაზე, მატერიალურზე მზრუნველი საზოგადოება და სულის თვალი აუხილა, სულის უკვდავების რწმენა, სულზე

ფიქრი ასწავლა. პოეტს სჯეროდა, რომ მისი საფლავიც მომავლის თაობებს ბევრ საგულისსხმოს ასწავლიდა, სიკვდილ–სიცოცხლის მარადიულ პრობლემაზე დააფიქრებდა: „... მოვა, ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდება“ (უმიზნო ხეტიალი (2,88).

არც ამაში შემცდარა პოეტი, რადგან არც პეტრე–პავლეს სასაფლაოზე დავანებული ტერენტი გრანელი დავინუბიათ მის გულშემატკივრებს და არც დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადანაცვლებული. მისი სამუდამო განსასვენებელი მართლაც იქცა გონებაგახსნილთა ფიქრის, განსჯის, შეკრების ადგილად. იქ მუდმივად აწყვია ყვავილები.

უფრო მეტი, დღემდე არ შეწყვეტილა პოეტის თაყვანისმცემელთა ფიქრი იმის შესახებ, განისვენებს თუ არა იგი იმ ადგილას, რომელიც თავისი შემოქმედებით დაიმსახურა, ბევრი თვალს მთან-მინდისკენ გააპარებს და ამის ხმამაღლა განცხადებასაც არ ერიდება.

ინინასწარმეტყველა რა ნაადრევი სიკვდილი, თავისი საფლავის მარადიულობაც განჭვრიტა. ეს საფლავი მან ეკლესიის ახლოს მოინიშნა: „კვირა დილით, როდესაც ყველა მლოცველისათვის გაიღება ეკლესიის კარები, ჩემს საფლავთან დაფიქრებული მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს, მოიგონებს ჩემს წამებას და შევეცოდები. ასე გაივლიან საუკუნეები. ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის“ (სიკვდილის შემდეგ) (3,375).

პოეტის „შორეული ნისლბურანით გარემოცული საკვირველი წინასწარმეტყველების ძალას და ცხადიერ სახეს“ ხედავს ლერი ალიმონაკი ტერენტი გრანელის სტრიქონებში: „.... და გაიგებენ დიდი ხნის მერე, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი“ (4,23).

უცდომელი იყო პოეტის მსჯავრი როგორც საკუთარ შემოქმედებაზე, ისე ცხოვრებაზე: „პოეზიაში ვარ უდიდესი და ცხოვრებაში გზადაბნეული“ (ქრიან ფიქრები თეთრი და შავი) (1,44).

ტერენტი გრანელის მოვლენებს ჭვრეტდა არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ გლობალურ მასშტაბებში და თავის პოეზიასაც მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად მოიაზრებდა: „ახლა მინდა, ვარსებობდე ყველგან, მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი“ ... და ძვირფასო, ჩემს ბრწყინვალე სახელს, ვგრძნობ, მსოფლიო ალიარებს მალე“ (ღამის სტრიქონები) (1, 140-142).

არც ამ მასშტაბების განსაზღვრაში შემცდარა.

ანგელოზური სულის პოეტი ანგელოზის ნიღბით ცხადდებოდა და შორს გახმიანებული ტაშისცემის ხმაც სწვდებოდა მის სმენას: „ალბათ დილას ჩამოწვება ნისლი, მე ვატარებ ანგელოზის ნიღაბს“ (შემოდგომა) (1,148).

ხალხის დაუინებულ მზერასაც ამჩნევდა, თავისი ეკლესიის გუმბათივით ელვარე სახეს უკეთებდა აქცენტს და არც ამაში იყო გა-

დაჭარბება: „მე მივდივარ და მიცქერის ხალხი, ჩემი სახე გუმბათივის იელავს“... (შემოდგომა) (1,148).

სხვაგან გაბრწყინებული ეკლესიას სახეში მოიაზრებდა თავის პორტრეტს: „საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია“.

ბრწყინვალება რჩეულთა ხვედრია. ტერნეტი გრანელი არ ცდებოდა, როცა თავის გამორჩეულობაზე ამახვილებდა ყურადღებას და მას საფუძვლიანად ეიმიდებოდა მეტი დიდება: „ჩემი სახელი ხომ ასე ბრწყინვას, მე მეტ სიხარულს ველი დღეიდან“ (შევალ ოთახში) (1,216).

ბრძოლის ველზე „ურიცხვ მტრებს“ დაპირისპირებული, მიწაზე კი არა, „ცისფერ სამყაროში“ ექვებდა ნუგეშს და ფიზიკური დამარცხების შემთხვევაშიც მომავალი ყოველთვის გარანტირებულად ესახებოდა: „დამამარცხებენ? დე დამამარცხონ, ვერძნობ, მომავალი მაინც ჩემია“ (მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ) (1,316).

ცაში, მარადისობაში დაბინავების იმედს ლექსი აძლევდა: „მე ლექსები გამაფრენენ ცაზე, მე ლექსების სიხარული მომკლავს“ (ვარა ასეთი, ვარ ყოველთვის, კენტი) (3,38).

„შორი ცის“ იმედი იყო დიდი სტიმული: „და იმედს მაძლევს ახლაც შორი ცა-მარად მუქი“ (მორჩა, არავის ველი) (3,73).

ტერნეტი გრანელი იყო ის პოეტი, ვინც ფიქრობდა „შორეულ ხეზე“ (სალვთო სახელია), უმზერდა უსაზღვროებას, „მარადისობას“ (ლერთს), პლანეტარიას, სამყაროს (პოეზია) (1,28).

„ამ საუკუნეს ხომ გასცილდება ჩემი ტანჯული სულის კივილი“, „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“, ჩაგვესმის ტერნეტი გრანელის ხმა და უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაფერი ახდა, რაც პოეტმა ინინასნარმეტყველა, მოვიდა მისი გაგების დრო, მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების სიტყვის ოსტატმა 21-ე საუკუნეში შემოაბიჯა დიდებით და კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ვირწმუნეთ მისი სიტყვების ჭეშმარიტება: „და ვიცი, უსათუოდ ვარ მსოფლიო პოეტი“...

განა შემთხვევითია, რომ ამ პოეტზე ფიქრისას სულინმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული გვახსენდება: „წინასწარმეტყველებას ნუ გააბიაბრუებთ“ (პავლე მოციქული, ფილიპელთა, 4,19) (5,429).

ისევ მოციქულს რომ მოვუსმინოთ, „წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულინმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისგან წარმოთქვამდნენ მას“ (II პეტრე, I, 21) (5,309).

ტერნეტი გრანელმა განჭვრიტა რელიგიური გრძნობის, რელიგიური პოეზის მარადიულობა (პოეზია), ინინასწარმეტყველა პოლეტარული პოეზის ეფექტურულობა: „თუ პოეზია მოიკრეფს ძალას,

შთამომავლობა რამდენს იცინებს, როცა დახედავს ეულის კალამს და მაშაშვილის ლექსის წინიღებს“.

„პოეტის შორეული ნისლ–ბურანით გარემოცული საკვირველი წინასწარმეტყველების ძალას და ცხადიერ სახეს“ ხედავს ლერი ალი-მონაკი პოეტის სტრიქონებში: „...და გაიგებენ დიდი ხნის მერე, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი“ (4,23).

ლადო გუდიაშვილი წინასწარმეტყველურს უწოდებს ტერენტის ლექსს ნიკო ფიროსმანზე, „მისივე ტრაგიკული ხელის თვითხილვას“.

„მინდა, ნათელი წინაგრძნობით სწორი ტ. გრანელი“ (ლ. ალი-მონაკი) თითქოს ცხადად ხედავდა, როგორ იქცეოდა მისი საფლავი მომავალში დაფიქრების, სულთა თანაზიარობის, სიკვდილის საიდუმლოებებზე ჭვრეტის ადგილად: „მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდება“ (უმიზო ხეტიალი), „ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის“ (გულიდან სისხლის წვეთები).

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი დავით თოთიბაძე წერს: „ტერენტი გრანელი ადრიდანვე წინასწარ გრძნობდა, რომ მალე დატოვებდა წუთისოფელს.“

მისი თვალები, რომლებსაც „პატარა ნათურებს“ ადარებს, ღამეში რომ ანათებენ, ჰგავს იესოს თვალებს იმითი, რომ შეუძლიათ ჩასწდნენ ღვთის უსაზღვროების საიდუმლოს და, ამავე დროს, უფრო ნათლად დაინახონ, რა ხდება სამყაროში და ადამიანთა შორის.

„... გულიდან მოსული ლოცვა... უხსნის წინასწარ ნაფიქ და ნაძებნ გზას, „მესამე გზას“, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ.

„მან გადალახა ადამიანური განზომილება, რომ შემოქმედის სიტყვით შთაგონებული წინასწარმეტყველი გამხდარიყო.

„პოეტს უჩინდება წინათვარის უმაღლესი რეალობის, იმ უსასრულობის, რომელიც მას ასე გამუშამებით სწყურია.

„იგი გადასცემს სხვებს წინასწარ ცოდნას სხვა სამყაროების შესახებ, რომლისკენაც წაიყვანს კარგი მოძღვარივით... თავისი ჯვარცმის ბოლო წუთამდე ის არის ნიშანი, შეტყობინება „რჩეული არხების“, „გამორჩეული ბედისწერის“ (6,26,33,34,36,41).

გამოჩენილი მხატვარი და ესეისტი რეზო ადამია „ტერენტი გრანელის მიერ წინასწარ ნაგრძნობი ლექსად ნათქვამი პოეზიის ფორმულას“ უწოდებს სტრიქონებს: „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“ (7,8).

ტერენტი გრანელის გამორჩეული მკვლევარ–გამომცემელი ლერი ალიმონაკი სწორად აღნიშნავს: „წინახილვის შეგრძნება, ცნობიერ და არაცნობიერ თვითშემეცნებათა ერთობლიობის შედეგი... საშუალებას აძლევდა განეჭვრიტა თავისი მომავალი ბედისწერა... ამ წინახილვით ძალუძა სხვათა ფიქრების წვდომა, დროისა და სივრცის მოახლოება“ (8,88).

ტერენტი გრანელი გამუდმებით ლოკალურიდან გლობალურისკენ, საზღვრის, მიჯნის მიღმა მიისწრავოდა. მისი დაუდევარი სული არა მხოლოდ დედამიწას, ცას, კოსმოსს, სხვა პლანეტებს ზერავდა და სამყაროს ცენტრში ყოფნის განცდა ეუფლებოდა.

მის პოეზიაში ბუნებრივად დაისვა მსოფლიოს შემოქმედებით ტრადიციებითან, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთან მიმართების, საერთაშორისო არქნაზე ქართული მხატვრული სიტყვის ადგილის და მნიშვნელობის გაზრდის საკითხი.

„მემენტო მორის“ ავტორის მიხედვით, „გული მსოფლიო ღერძია“, „გულის გარშემო მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია“ (მარადისობის ლავარდები). პოეტი დაატარებდა საკაცობრიო სევდას და შიში იპყრობდა გალიის, ყუთის, საპყრობილის სახეებად მოზმანებული ქვეყნის გამო: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ“...

მთელი ძალისხმეულია სულისა მარადიულს, მსოფლიოს, უსაზღვროს უტრიალებდა: ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი, გულია ისევ მსოფლიო ღერძი, მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო, მე ისევ ვექებ მარადისობას, და მინდა ყოფნა იქაც და იქაც“.

პლანეტარიას, სხვა პლანეტას, შორ პლანეტას ესწრავოდა, ჩვენი პლანეტის სევდა მსჭვალავდა. „მარსის წიაღში გაქანებაზე“ საუბრობდა, ვიღაც მარსიანელს ეკამათებოდა. მერე უფრო იზრდებოდა მასტებები და სულის უკიდეგანობას გვაუწყებდა ეს სურვილი: „მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი, მინდა ვარსებობდე ყველგან, მსურს სამყარო მეკავოს, ავენთები..., როგორც სიშორე და პლანეტები“.

პოეტმა მთელი კაცობრიობის ავდარი შეიგრძნო: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის, მოწყენა მოსდევს ამნაირ ავდარს, მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო (ჩემი ბედი).“

რწმენის, უსაზღვრობის (ღმერთის) სიყვარულით ეზრდებოდა ფრთები და ასტრალებში ნავარდის უნარი ენიჭებოდა: „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი, ვუმზერ პლანეტარიას, უსაზღვროებას, მარადისობას“.

პოეტი განიცდიდა როგორც ფიზიკურ სამშობლოს, ისე მის სულიერ ზეცას, „უხილავ საქართველოს“.

ტერენტი გრანელი არ ცდებოდა, როცა თავის შემოქმედებას პლანეტის, მსოფლიოს ყურადღების ღირსად აცხადებდა.

გამოჩენილ მხატვარს და ესეისტს — რეზო ადამიას პარიზში, პომპიდუს ცენტრში, ფრანგი მსახიობისგან მოუსმენია ტერენტი გრანელის ქება, მისი ხსენება ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის გვერდით.

რეზო ადამია აღფრთოვანებულია ქართველი პოეტის ფრანგული თარგმანებით, რომელიც შეასრულა პარიზში მცხოვრებმა ქართველმა – დავით თოთიბაძემ.

„... ცეცხლოვანი, მოლურჯო, მოწითალო და მოიისფრო კოსმიურ ალბი გახვეული მგოსანია ტერენტი გრანელი, აცხადებს პოეტის საიდუმლოებებით სავსე სამყაროში ღრმად ჩახედული მხატვარი.

რეზო ადამია დარწმუნებულია: ტერენტი გრანელის პოეზიას რომ გასცნობოდა, დიდი ესპანელი მხატვარი სალვადორ დალი უთუოდ დაინტერესდებოდა ქართველი მგოსნის მსოფლმხედველობით, პლანეტებისკენ მზერით და მისი ლექსებით მთაგონებული, კოსმიურზე და პლანეტებზე საოცარი სიურეალისტური სურათების სერიალს შექმნიდა.

ცაზე, უშორეულეს ვარსკვლავებს იქით ხედავს ქართველი ფერმწერი ტერენტი გრანელის „კოსმიურ გენს“ (7,56-107).

პარიზში მცხოვრები ქართველი მეცნიერი და მთარგმნელი დავით თოთიბაძე საუბრობს კოსმიურ სივრცეზე, კოსმიურ სპლინზე, მის ორმაგ განზომილებაზე, მისტიურსა და კოსმიურზე და ამას უნდებს „მესამე გზას“...

ტერენტი გრანელის პოეზია ჭეშმარიტად იყო „პოეზია პლანეტების“.

ლიტერატურა

1. ცისფერი სიშორე, თბ 1998
2. ასი ლექსი, თბ. 2005
3. ტერენტი გრანელი, ტ. I, 1990
4. ლერი ალიმონაკი, გრანელის ლანდი, თბ. 1997
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. დავით თოთიბაძე, ტერენტი გრანელი, (ხელნაწერი)
7. რეზო ადამია, ტერენტი გრანელის ლექსად მოქცევა და ტკივილად წასვლა, წიგნში „ტერენტი გრანელი, სისხლიდან ცრემლი“, 2008
8. ლერი ალიმონაკი, კვირის წირვები, თბ. 1984



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ტე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge